

საავტორო უფლება © ანა მესხი 2011

საავტორო უფლება © დავით მესხი 2011

რედაქტორი  
გიორგი გრიგოლაშვილი  
პოეტი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი

კომპიუტერული უზრუნველყოფა  
ნუგზარ არჩემაშვილი

დაიბეჭდა შ.პ.ს. „მნიგნობრის“ სტამბაში  
დ. აღმაშენებლის 40, თბილისი, ტელ.: 94 05 71

ISBN 978-9941-0-3501-2  
(სამივე ნიგნის)

ISBN 978-9941-0-3502-9  
(პირველი ნიგნის)

ყველა უფლება დაცულია. ამ გამოცემის არც ერთი ნაწილი არანაირი ფორმითა თუ საშუალებით, იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური, ფოტოპირზე გადაღებული თუ მაგნიტურ მონოპოლიობაზე ჩანერილი, არ შეიძლება გამოყენებულ ან გადაცემულ იქნას საავტორო უფლების ნერილობითი ნებართვის გარეშე.

All rights reserved. No part of this publication may be reproduced, stored in a retrieval system, or transmitted in any way or by any means, electronic, mechanical, photocopying or otherwise, without the prior written permission of the copyright holders.



ქართველური ცივილიზაციის კვლევის ცენტრი (ძკკც)

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქვეყნის ცენტრი

CENTER FOR RESEARCH OF KARTVELIAN CIVILIZATION (CRKC)

ანა მესხი

შეხვედრა ათასწლეულების შემდეგ  
ანუ  
გამიანის ხელნაწერის ამბავი

სამ წიგნად



**ქართველურ-მუშაველ-ეგვიპტური  
ლინგვოკულტუროლოგია**

**წიგნი I**



# სარჩევი

გამოსახულებების ნუსხა .....	11
პირველი წიგნის წინასიტყვაობა .....	15
სამადლობელი .....	18
Foreword to Book One .....	20
Acknowledgements .....	22
ნაშრომში გამოყენებული ტრანსლიტერაცია .....	23
შეხვედრა ხელნაწერთან .....	25

## ნანილი I

### ქართული ასომთავრული ანბანი და უძველესი დამწერლობები

1. ქართული ასომთავრული ღანი, ფინიკიური 'აინ და ბერძნული ომეგა .....	31
2. ქართული ანბანი და მისი თვისებები .....	36
3. კვლავ ქართული ასომთავრული ღანი, სემიტური 'აინ და ბერძნული ომეგა .....	48
4. ღვთაებრივი თვალის ცნება უძველეს ცივილიზაციებში ...	49
5. შუმერული და ეგვიპტური დამწერლობის შედარებითი ანალიზი .....	52
6. შუმერული ნაბუს შედარებითი ლინგვისტური ანალიზი	58
7. ქართველური ნება ეგვიპტურში	71
8. ეგვიპტური თოთის შედარებითი ლინგვისტური ანალიზი	78
9. ღვთაებრივი თვალი	86
10. ეზოთერული სწავლება ანუ „ვერ დაიჭირავს სიკვდილსა...“	90
11. ქართველური ღანი და სემიტური 'აინ	93
12. ფინიკიური 'აინისა და ქართველური ღანის ასტრონომიული მიმართებისთვის	103
13. ფინიკიური 'ალეფისა და ქართული ასომთავრული ანის ლინგვოკულტუროლოგიური და ეზოთერული ანალიზი	119
14. ფინიკიური 'ალეფ და ქართული ყალიბი .....	124
15. ფინიკიური 'ალეფ, ბერძნული ხალიბები და ქართველური ყალიბი .....	134
16. ფინიკიური 'ალეფ, ქართველური ჳარი და ხარება .....	150

## ნანილი II

### ქართველური ზეინფორმაციული ჯგუფის სემანტიკა

1. ვარი, როგორც დამწერლობის სიმბოლო .....	157
2. Bkha-ს ლინგვისტური და კულტუროლოგიური ანალიზი ...	165
3. ქართველური ბულა და ეგვიპტური ტოპონიმიკა .....	168
4. ბოლასქოის ლინგვისტური და კულტუროლოგიური ანალიზი .....	174
5. ბერძნულ-რომაული ბახუსის ლინგვისტური და კულტუროლოგიური ანალიზი .....	183
6. სახელის კონცეპტი ეგვიპტურ რელიგიაში .....	192
7. ეგვიპტური ენის ფონოლოგიური სისტემა .....	195
8. შორუსის ლინგვისტური ანალიზი .....	222
9. ეგვიპტური შორუსის კულტუროლოგიური ანალიზი .....	235
10. ხარებას ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზი .....	242
11. ქართველური ხალეპო .....	252
12. ქართველური ხარ, ხარხარ .....	254
13. დასკვნები .....	256
14. ბამიანის ხელნაწერი .....	259

## ნანილი III

### ქართული ასომთავრული, ფინიკიური და ბერძნული ანბანების ურთიერთობების გადასინჯვა

1. ქართული ასომთავრული დონის ანალიზი .....	263
2. ფინიკიური დალეთისა და ბერძნული დელტას რიცხოვრივი ანალიზი .....	272
3. სემიტური დალეთის ლინგვისტური ანალიზი .....	274
4. დონი, როგორც ქართული ასომთავრული ანბანის მათემატიკური და გეომეტრიული პრინციპების ერთება ..	288
5. ფინიკიური და ბერძნული ასო-ნიშნების ახლებური წაკითხვა .....	290
6. ქართულ-ფინიკიური ანბანური მიმართებისთვის .....	293
7. ქართულ-ბერძნული ანბანური მიმართებისთვის .....	295
8. ქართული ასომთავრული დონი და სხვა ანბანები .....	303
9. დონი, როგორც მარადიულობის სიმბოლო, ანუ „დონის“ ჰორიზონტალური ხაზი .....	309

## ნანილი IV

### ეგვიპტური ცივილიზაციის ქართველური ფესვები

1. ეგვიპტური Khetm-წიw/წen სიმბოლო და ქართული ასომთავრული დონი ..... 317
2. Khetm-წიw/წen-ის გრაფიკული ფორმა ..... 319
3. ატენის ლინგვისტური ანალიზი ..... 323
4. ოვალური კარტუში ..... 335
5. მზის ეკლიპტიკაზე მოძრაობის სხვა ფაზები ..... 337
6. ეგვიპტური სიტყვების *šennu, met* ლინგვოკულტუროლოგიური და ეზოთერული ანალიზი .. 342
7. წიw/წen-ის შედარებითი ლინგვისტური ანალიზი..... 347
8. შუმერული შენ, მისი ლინგვისტური და კულტუროლოგიური ანალიზი ..... 360
9. აქადური და ასურული სინის ლინგვისტური და კულტუროლოგიური ანალიზი ..... 362
10. ქართული შენ და ზოგიერთი ტოპონიმი ..... 363
11. ამონის ლინგვისტური და კულტუროლოგიური ანალიზი ..... 365
12. ამ-მიტას ლინგვისტური და კულტუროლოგიური ანალიზი ..... 370
13. მინის ლინგვისტური და კულტუროლოგიური ანალიზი ... 374
14. მენას ლინგვისტური და კულტუროლოგიური ანალიზი ... 377
15. მათის ლინგვისტური და კულტუროლოგიური ანალიზი .. 379
16. Khetm-ის ქართველური წარმომავლობა ..... 388
17. ტუტანხამონის ლინგვისტური და კულტუროლოგიური ანალიზი..... 392
18. ანის ლინგვისტური და კულტუროლოგიური ანალიზი ..... 393
19. ნილოსის ღმერთის ლინგვისტური და კულტუროლოგიური ანალიზი ..... 395
20. აჰისის ლინგვისტური და კულტუროლოგიური ანალიზი ..... 397
21. ჰათორის ლინგვისტური და კულტუროლოგიური ანალიზი ..... 398
22. ზოგიერთი რელიგიური ტერმინის ლინგვისტური და კულტუროლოგიური ანალიზი ..... 402



23. ტოპონიმების ლინგვისტური და კულტუროლოგიური ანალიზი .....	403
24. ეგვიპტური Sahu-ს ლინგვისტური და კულტუროლოგიური ანალიზი .....	407
25. Sekhem-ის ლინგვისტური და კულტუროლოგიური ანალიზი .....	412
26. თხზული სახელების ლინგვისტური და კულტუროლოგიური ანალიზი .....	414
27. ტოპონიმების ლინგვისტური და კულტუროლოგიური ანალიზი .....	415

## ნანილი V

### მესოპოტამია და ქართული ასომთავრული დონი

1. შესავლის ნაცვლად .....	425
2. ჯოხი და რგოლი და ქართული ასომთავრული დონი .....	426
3. რგოლ-სვეტები და ქართული ასომთავრული დონი .....	431
4. ნაყოფიერების ლარნაკი და ქართული ასომთავრული დონი .....	435
5. ქართული ასომთავრული დონის ლარნაკისეული გრაფიკა .....	437
6. ქართველური წინასწარმეტყველება ასურულ ხელოვნებაში ..	442
7. მესოპოტამიური აქსესუარები და ქართული ასომთავრული დონი .....	444
8. ნეოასურული ფირფიტის ახალი ხედვა .....	448
9. კვლავ ბამიანის ხელნაწერის შესახებ .....	460
<b>რვა წლის შემდეგ .....</b>	<b>465</b>
<b>დასკვნა .....</b>	<b>470</b>
<b>summary .....</b>	<b>496</b>
<b>გამოსახულებები</b>	
ფოტოები .....	519
ფერადი ილუსტრაციები .....	525
შემოკლებების სია .....	534
ბიბლიოგრაფია .....	534
<b>დამატება: დეშიფრირებული და ეტიმოლოგიზებული სიტყვების ცხრილი-ლექსიკონი .....</b>	<b>546</b>
<b>ინდექსი .....</b>	<b>574</b>

# ბამოსასულეგების ნუსხა

## ფოტოები

- ფოტო 1. ქალბატონი თორა, ბატონი საშა (ალექსანდრე) ბესტავა-შვილები და ანა მესხი. 519
- ფოტო 2. რვა წლის შემდეგ. ჯულიან შერიერთან ერთად ლონდონის ერთ პატარა ბარში. 519
- ფოტო 3-12. ბამიანის ხელნაწერი. 520-523
- ფოტო 13. გამოქვაბულები ბამიანის ბუდეებს უკან. 524
- ფოტო 14. ბამიანის ბუდეების განადგურება თალიბანის მიერ. 524

## ფერადი ილუსტრაციები

- ილ. 1. შუს ხელებზე დაყრდნობილი ზეცის ღმერთი ნუტ. 525
- ილ. 2. ოსირისის გვერდზე მისი აღდგომის სიმბოლოდ სარზე მიბმული გუდის გამოსახულება. 526
- ილ. 3. ჯარისთავიანი მიმინო ჰორუსის ტაძრის გალავანზე, ედფუ. 526
- ილ. 4. ფრესკა წიგნის მპყრობელი ხარის გამოსახულებით წმ. პავლეს ბაზილიკიდან რომში. 527
- ილ. 5. ატენის სიონი. 527
- ილ. 6. ნეხბეტი და ვადჯიტი ქართული ასომთავრული დონის გამოსახულებით. დედოფალ ჰატმეფსუტის ტაძარი. 528
- ილ. 7. დედოფალ ჰეტეფერეს სამარხში ნაპოვნი საფარდე ყუთი. 528
- ილ. 8. ნანის გასამართლება. *ნეჯმეტის პაპირუსი*. 529
- ილ. 9. „რაც ქვესკნელშია“. *ნეჯმეტის პაპირუსი*. 529
- ილ. 10. ანი და მისი მეუღლე სენეტის თამაშით იქცევენ თავს. 530
- ილ. 11. საყრდენი სვეტის გამოსახულება ტუტანხამონის სამარხიდან. 530
- ილ. 12. ქართული ასომთავრული დონის ქვესკნელური ხატი სენეფერის აკლდამაში. 531
- ილ. 13. ინანას ტაძრის ფასადი ურუქში. 532
- ილ. 14. სპილოს ძვლის მოზაიკა აშურის ახალი სასახლიდან. 532
- ილ. 15. ურმის დეტალი ურის სამეფო სამარხების შტანდარტიდან. 533
- ილ. 16. სულიწმინდის მოფენა. ტიხრული მინანქარი. 533

## სურათები

- სურ. 1. ყოვლისმხილველი თვალის გამოსახულება ჯვარზე, მანგლისის ეკლესია. 52
- სურ. 2. დავათის სტელა, ანუ ქართული ანბანის ზეცად ამალღება. 102
- სურ. 3. ვანის ქვაბები. 109
- სურ. 4. ონოფრე მაჭუტაძის მიერ აგებული შესასვლელი. 109
- სურ. 5. ჩრდილოეთის ფანჯრის თავზე გამოსახული ზამთრის ნაბუნობა. გერგეთის სამება. 110
- სურ. 6. ქვათახევის დედათა მონასტერი. 110
- სურ. 7. მზის სისტემის სტრუქტურის გრაფიკული ნახაზი. მზის ეკლიპტიკაზე მოძრაობა. 110
- სურ. 8. ნიკორწმინდის სამხრეთის ფასადი. მზის ციური გზა გუმბათის გარშემო. 113
- სურ. 9. ბუხრის საკვამური ქართული დარბაზის გუმბათოვანი გადახურვით. 113
- სურ. 10. ნიუ გრეინჯის შიდა დარბაზი. 113
- სურ. 11. ქართული გუმბათოვანი გადახურვა. 113
- სურ. 12. ჯარის თავის გამოსახულებები, როგორც უძველესი სადამწერლობო ნიშნები. 157
- სურ. 13. წინაღინასტიური ხანის საბეჭდავი კისურადან. 158
- სურ. 14. ეგვიპტური იეროგლიფები ხარის გამოსახულებით. 161
- სურ. 15. შენობის ნანილების აღმნიშვნელი იეროგლიფები. 163
- სურ. 16. მზის ღმერთი რა აღმოსავლეთისა და დასავლეთის კვერთხით ხელში. 164
- სურ. 17. ღმერთ-ჯარი, რას ერთ-ერთი სახე. 224
- სურ. 18. ქართული ასომთავრული უყელო დონი. 264
- სურ. 19. საფარის ტაძრის ჩრდილოეთის პორტალი ღანისა და დონის ანბანური გრაფიკისა და არქიტექტურული ფორმების ტოლობით. 270
- სურ. 20. ბანა, საერთო ხედი. 270
- სურ. 21. ადრეული ქანაანური წარწერები. 304
- სურ. 22. გეომეტრიული ნიშნები პრეისტორიული ხანის შეფერილ კენჭებზე მას დ'აზილიდან, სამხრეთ საფრანგეთი. 306
- სურ. 23. ეგვიპტური სიმბოლო khetm- $\dot{N}$ w/šen. 317
- სურ. 24. შელოცვის ტექსტი „თებეს მკვდართა წიგნიდან“. 341

- სურ. 25. ბაბილონის მეფე ნაბუ-აპლა-იდინა მზის ღმერთის შამაშის წინაშე. 426
- სურ. 26. ბაბილონის მეფე შამურაბი იღებს კანონთა კოდექსს მზე-ღმერთ შამაშისგან. 429
- სურ. 27. ურ ნამუს სტელა ქალდების ურიდან. 429
- სურ. 28. ღმერთი მარდუქი და მისი გველეშაპი (მამუშუ). 430
- სურ. 29. რელიეფი მალტაიდან. 430
- სურ. 30. მუხლმოყრილი მლოცველი ღმერთ აშურის წინაშე. 430
- სურ. 31. რგოლ-სვეტი, ანუ მზის სწრაფვა ზაფხულის ნაბუნობისკენ. 431
- სურ. 32. თამუზსა და ნინგიზიდას(?) უპყრიათ მზის ასტრონომიის გამომხატველი რგოლ-სვეტები. 433
- სურ. 33. ცილინდრული ბეჭედი კიშიდან. 433
- სურ. 34. ცარცის რელიეფი ურიდან. 433
- სურ. 35. ღმერთი ეა აბზუს წყლის ნიაღში იღებს მეორე ღმერთს, ალბათ შამაშს. 433
- სურ. 36. ნაყოფიერების ღმერთ ინანას ხელთ უპყრია მზის ქვედა კულმინაციური ხატი. 434
- სურ. 37. დონის მხატვრული გრაფიკა. 437
- სურ. 38. ანზუ, როგორც წყლის სათავე. 440
- სურ. 39. ფრაგმენტი ტელოდან. გუდას მეფობის ხანა. 441
- სურ. 40. სტეატიტის ლარნაკი ურიდან. 441
- სურ. 41. მჯდომარე ქალღმერთის თაბაშირის ქანდაკი, რომელსაც ხელთ უპყრია ქართული ასომთავრული დონი-ლარნაკი. 442
- სურ. 42. ინანა თავის ასტრალურ ასპექტში თაყვანისცემას იღებს. 443
- სურ. 43. ასურელი მეფის ასურნასირპალ II-ის სამეფო სასახლის მონუმენტური ქვის რელიეფი კალჭუში. 445
- სურ. 44. ასურელი მეფის ასურნასირპალ II-ის ქვის სტელის დეტალი, კალჭუ. 445
- სურ. 45. დეტალი გირჩით. ასურელი მეფის ასურნასირპალ II-ის სასახლის მონუმენტური ქვის რელიეფი კალჭუში. 447
- სურ. 46. ციური სამაჯური ინანას ხელში. ასურნასირპალ II-ის სასახლის მონუმენტური ქვის რელიეფი. 447
- სურ. 47. ღმერთი აშური. 447
- სურ. 48. ძველბაბილონური ცილინდრული ბეჭედი ლარსადან. 455

- სურ. 49. „გაკრული ხელით“ ნაწერი ქართული ასომთავრული დონის საგაზაფხულო ბუნიობის ხატიით. 455
- სურ. 50. ნიჩაბი ბიბლოსის ფსევდოიეროგლიფური წარწერით. 455
- სურ. 51. ილუსტრაცია ჰარი ფალკის სტატიიდან. 468

### ნახატები

- ნახ. 1. ქართული დამწერლობის სამკუთხედი. 39
- ნახ. 2. ღანისა და 'აინის ანბანური სამკუთხედი. 96
- ნახ. 3. მზის ეკლიპტიკური მოძრაობა. 111
- ნახ. 4. მზის დასაზღვრული ეკლიპტიკური გზა. 111
- ნახ. 5. უჩინარი ელიფსი. 111
- ნახ. 6. მზის ზედა და ქვედა კულმინაცია. 111
- ნახ. 7. ორი დამატებითი ფაზა: გაზაფხულის და შემოდგომის დღელამსწორობა. 111
- ნახ. 8. ა) მზის ნაბუნობა, ბ) ზამთრის ნაბუნობა, გ) მზის ორივე კულმინაციის კომბინირებული ხატი. 111
- ნახ. 9. ა) შემოდგომის დღელამსწორობა, ბ) გაზაფხულის დღელამსწორობა, გ) დღელამსწორობის ფაზების კომბინირებული ხატი. 111
- ნახ. 10. მზის მოძრაობის ძირითადი ფაზების კომბინირებული ხატი და კვადრატული ნანილიდან წრიულზე გადასვლა. 112
- ნახ. 11. ქართული ასომთავრული დონის გრაფიკული ფორმები. 263
- ნახ. 12. ქართული ასომთავრული დონის წარმოშობის ცხრილი. 264

## პირველი წიგნის წინასიტყვაობა

ქართველურ-შუმერულ-ეგვიპტური ლინგვოკულტუროლოგია წარმოადგენს პირველ წიგნს სამტომეულისა, სათაურით – შეხვედრა ათასწლეულების შემდეგ ანუ ბამიანის ხელნაწერის ამბავი. იგი გახლავთ ჩემ მიერ 1995 წელს ბრიტანეთის მუზეუმში შემთხვევით ნანახი ეტრატის „თავგადასავალი“, რომელიც ბამიანიდან (ავღანეთი), სადაც იგი აღმოაჩინეს, ინგლისში ჩამოიტანეს შეფასებისა და შესაძლო გაყიდვისთვის. ხელნაწერის გვერდებს ქვის პატარა ამოტვიფრული ბეჭდები ამშვენებდა. ორ ნაწილად გაყოფილი გამოსახულებების ზედა რეგისტრში ქართული ასომთავრული ანბანის ორი ასო-ნიშანი – ლანი და დონი იჯდა.

ენათა ნათესაობის ტრადიციულ სქემაზე დაყრდნობით მრავალი მკვლევარი ბამიანის ბეჭდების სიმბოლოებსა და ქართველურ<sup>1</sup> ასო-ნიშნებს შორის არსებულ გასაოცარ მსგავსებას შემთხვევითობას მიაწერდა და ამიტომ მათ შესწავლას უსაფუძვლოდ მიიჩნევდა, მე კი მსგავსი, დაუკავშირებელი მასალის ადრე შესრულებული გამოკვლევები უფრო სერიოზულ, თუმცა, ზედაპირზე უჩინარ ურთიერთობებს მთავაზობდნენ.

ხელნაწერის კვლევა 2003 წელს დავიწყე. პირველად მსურდა, მასზე მოკლე შეტყობინება გამეკეთებინა სამეცნიერო ჟურნალში, თუმცა ყოველი მიახლოება ხელნაწერთან ახალ-ახალ კითხვებს ბადებდა. პასუხის გაცემის სურვილმა და მცდელობამ პირვანდელი, 24 გვერდისგან შემდგარი სტატია სამნიგნიან კრებულად ჩამოაყალიბა:

1. ქართველურ-შუმერულ-ეგვიპტური ლინგვოკულტუროლოგია;
2. ბამიანის ხელნაწერის პალეოგრაფია;
3. ქართველურ-სპარსული ენობრივი მსგავსებანი.

თითოეული წიგნი, როგორც სათაურიდან ჩანს, ძიების ერთ-ერთ ასპექტზე ამახვილებს ყურადღებას: პირველი ტომი, ქართველურ-შუმერულ-ეგვიპტური ლინგვოკულტუროლოგია, ეძღვნება ბამიანის ხელნაწერის ქვა-ბეჭდების სიმბოლოებსა და ასომთავრული ასო-ნიშნების პალეოგრაფიულ ანალიზს, რომელმაც ძველი სამყაროს შესწავლის მთელი რიგი დარგები მოიცვა: ასირიოლოგია, ეგვიპტოლოგია, ინდოევროპეისტიკა, ისტორია, არქეოლოგია და ეთნოლოგია. მეცნიერული კვლევის გაფართოებასთან ერთად, იზრდებოდა ძველსა და ახალ სამყაროებს შორის არსებული ლინგვოკულტუროლოგიური კონტინუუმის მაჩვენებელი მასალა, რაც აღნიშნულ სამყაროთა შორის დღესდღეობით გაბატონებულ, არარსებული კავ-

<sup>1</sup> ტერმინში „ქართველური“ იგულისხმება როგორც ქართველურ ენათა ოჯახი, ისე მისი კულტურა.

შირის შეხედულებას ეწინააღმდეგება. მეორე წიგნი მთლიანად ეძღვნება ხელნაწერის შესწავლას, მის აღმოჩენის ადგილს, შექმნის დროებას, მასში გამოყენებული ასო-ნიშნების კლასიფიკაციასა და სხვა ანბანებთან მსგავსების გამოკვლევას. მესამე წიგნში კი მოცემულია ხელნაწერთან დაკავშირებული, ძირითადად მიდიური (ძველ-სპარსული) ენობრივი მონაცემების ლინგვისტური კვლევა. საერთო ღერძის გამო, სამივე წიგნი ერთი სახელწოდების ქვეშ გაერთიანდა – შეხვედრა ათასწლეულების შემდეგ ანუ ბამიანის ხელნაწერის ამბავი.

ხელნაწერზე მუშაობის პარალელურად, კვლევის შედეგებს, საერთაშორისო კონგრესებსა და კონფერენციებზე ვკითხულობდი მოხსენებების სახით, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ნაკითხულ ლექციებს დასავლელ მეცნიერთა არც დიდი ინტერესი გამოუწვევია და არც ძველი ცივილიზაციების კვლევაში ქართველური ენებისა თუ კულტურის მონაცემების გამოყენებისადმი არსებული ურწმუნოება შეურყეველია. დასავლეთის აკადემიური სამყაროს მსგავსი დამოკიდებულება ქართველური მასალისადმი, ჩემი აზრით, ორი მიზეზითაა განპირობებული. პირველი, რაზეც ჯერ კიდევ XX საუკუნის პირველ ნახევარში მ. წერეთელი მიუთითებდა, ქართველური ენებისა და კულტურის არცოდნაა, რამაც ბუნებრივად დაბადა წინააღმდეგობა – არ მომხდარიყო განსხვავებული (ქართველური) ენობრივი და კულტურული სისტემის ჩართვა უძველესი ცივილიზაციების კვლევაში.

მეორე მიზეზი, უკვე დადგენილი, უმრავლესობის მიერ გაზიარებული და ჩამოყალიბებული მეცნიერული ჩარჩოების შესაძლო ნგრევა და არსებულ *status quo*-ში (მეცნიერულსა თუ პირადში) ამ ნგრევით გამოწვეული ცვლილებების მასშტაბებია. წინამდებარე ნაშრომში მიღებული დასკვნები ეწინააღმდეგება მთელი რიგი ტრადიციული ჰუმანიტარული მეცნიერებების საფუძვლებს, როგორცაა: შედარებითი ენათმეცნიერება, ასირიოლოგია, ეგვიპტოლოგია, პალეოგრაფია, ცივილიზაციის ისტორია. ამ ფონზე, აღწერილი უარყოფითი დამოკიდებულება ქართველური და მკვდარი კულტურების ენობრივი თუ კულტუროლოგიური მსგავსების ამსახველი შრომების მიმართ ჩემთვის სავსებით გასაგები, თუმცა მიუღებელია.

ბევრისთვის, შესაძლოა, საკამათო იყოს ჩემს კვლევებში გამოყენებული კომპლექსური მეთოდოლოგიაც, რომელიც აღიარებულია და აპრობირებულია გვერდით, იყენებს უძველესი ეზოთერული მეცნიერების (კაბალა) მეთოდებსაც. ახალი მიდგომების შეტანა უძველესი ცივილიზაციების მრავალსაშუალო ჩხრეკაში, განსაკუთრებით ქართველური ენებისა და კულტურის სახით, მკვლევრებს

სთავაზობს პრობლემების ახლებურ ხედვას, გადაწყვეტის ინოვაციურ საშუალებებსა და საკვლევ სფეროს განსხვავებული სურათის წარმოჩენას. შესაბამისად, წინამდებარე ნაშრომში მკითხველი მრავლად ნახავს ტრადიციული მეცნიერებისთვის მიუღებელი ენობრივი თუ კულტუროლოგიური პრობლემატიკის ანალიზს, რითიც ხაზი გაესმება მსგავსი მეთოდოლოგიის, ქართველური ენობრივი სისტემისა და კულტუროლოგიური მასალის ჩართულობის აუცილებლობას, თანამედროვე ჰუმანიტურული პრობლემატიკის სფეროში.

2005 წელს ნაშრომი უკვე დამთავრებული იყო, მაგრამ შეგნებულად არ დაბეჭდილა. მსურდა, იგი ქართველოლოგებსა და შუმეროლოგებს ეხილათ, რაც ნებისმიერი მეცნიერული ნაშრომის გამოქვეყნების წინა ეტაპია. დიდი მადლიერებით აღვნიშნავ, რომ წიგნს „ბედმა გაუღიმა“ და ზოგიერთმა ქართველმა მეცნიერმა არც თავისი დრო და არც ცოდნა-გამოცდილება დაიშურა, რათა წინამდებარე ნაშრომის ხარისხი ამაღლებულიყო. სამწუხაროდ, მონოგრაფია შუმეროლოგთა შეფასების გარეშე ქვეყნდება. 2005 წელს, ჩიკაგოში, ასირიოლოგთა 51-ე კონგრესის მონაწილე, ჰარვარდის უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიისა და არქიტექტურის ფაკულტეტის პროფესორი, აირინ ვინტერი სიამოვნებით დამთანხმდა, წაეკითხა და შეფასებინა ჩემი ნაშრომი. დაუყოვნებლივ გავუზავნე ხელნაწერი, თუმცა, მოგვიანებით გამოგზავნილ წერილში, ზოგიერთი ჩემი მოსაზრების გაზიარების მიუხედავად, ქართულის არცოდნოს გამო, მან თავი შეიკავა ნაშრომის შეფასებისგან. ამიტომ, თუ გარკვეული ხარვეზები მაინც დარჩა, რაც მსგავსი მასშტაბური კვლევისთვის გარდაუვალია, მკითხველმა მაპატიოს.

ანა მესხი

სტამბული 2003-2008 – თბილისი 2011



## სამადლობელი

მსურს, გულწრფელი მადლობა გადავუხადო ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორებს, პროფესორებს, იზაჩანტლაძესა და გორჩა კუჭუხიძეს. მათი რეკომენდაციები მრავლად არის ნაშრომში გათვალისწინებული. მეტიც, ზოგიერთმა იდეამ საკითხის გავრცობა, დამატებითი მასალის მოძიება და კვლევა გამოიწვია, რითიც, ვიმედოვნებ, ანალიზი უფრო ლოგიკური, სისხლსავსე და ცხადი გახდა.

მადლიერი ვარ აგრეთვე ფილოლოგიის დოქტორების, რევაზ შეროზიასი და ქეთევან სიხარულიძისა. ქალბატონმა ქეთევანმა რომელმაც ნაშრომის გარკვეული მონაკვეთი (ბერძნული მასალა) ნაიკითხა და საინტერესო რეკომენდაციებიც გამიწია. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ფილოლოგიის დოქტორ ქეთევან მარგიანი-სუბარის დახმარება, რომელმაც უკვე დაკაბადონებული ნაშრომი ნაიკითხა საბოლოო გასწორება-შესწორებისთვის. არ შემიძლია ჩემი მადლიერება არ გამოვხატო ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორ მიხეილ ქურდიანის მიმართ, მისი გულწრფელი დახმარების სურვილისთვის, რომლის განხორციელებაშიც ავმა სენმა შეუშალა ხელი. დიდი მადლობა მათ, უანგაროდ გაღებული დროის, ცოდნისა და ენერჯისთვის, რასაც მკითხველი აუცილებლად შეიგრძნობს და შეაფასებს ნაშრომის კითხვისას.

ქედს ვიხრი პოეტის, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის, ნინამდებარე მონოგრაფიის რედაქტორის, გიორგი გრიგოლაშვილის უანგაროდ, თავდადებული თანადგომა-დახმარების წინაშე როგორც წარმოდგენილი, ისე უკვე განხორციელებული პროექტების ხორც-შესხმაში.

მსურს გულწრფელი მადლიერების გრძნობით მოვიხსენიო ბუდისტური (განდჰარანი) ხელოვნების სპეციალისტი ჯულიან შერიერი იმ წვლილისთვის, რომელიც მას წინამდებარე პროექტის განხორციელებაში მიუძღვის. მისი სიკეთე და დახმარების ჭეშმარიტი სურვილი რომ არა, ბამიანის ხელნაწერის ფოტოებს ვერ მოვიპოვებდი და ვერც წინამდებარე გამოკვლევა დაინერებოდა.

ასევე, დიდი მადლობა მუზეუმებს, გამომცემლობებსა და კერძო პირებს, რომლებმაც საჭირო ილუსტრაციების გამოყენების უფლება მომცეს.

ულრმესი მაღლობა ჩემს ამერიკელ მეგობარს ბეატრის კ. ვენის იმ მაღალი პროფესიონალიზმის, ჩვეული უანგარობისა და მუდმივი თანადგომისთვის, რაც ჩემი შრომების ინგლისური მონაკვეთების რედაქტირებასთან არის დაკავშირებული.

დიდი მაღლობა ნაცნობ-მეგობრებს იმ ინტერესისა და მოთმინებისთვის, რასაც მთელი ამ დროის განმავლობაში ვგრძნობდი მათგან. მსურს ამ წიგნის ყველა მკითხველსაც მდაბლად დავუკრა თავი, რაციონალიზმით აღსავსე დღევანდელ მსოფლიოში საკუთარი ფესვების სიყვარულს გულით რომ დაატარებენ.

განსაკუთრებული მაღლიერების გრძნობით მსურს აღვნიშნო ჩემი ოჯახის სიყვარული, მუდმივი მხარდაჭერა და ფასდაუდებელი სამსახური წინააღმდეგობების გადალახვაში, რაც თან სდევს სამშობლოდან მოშორებით ცხოვრებასა და შემოქმედებით მუშაობას.

## FOREWORD TO BOOK ONE

*Kartvelian-Sumerian-Egyptian Linguoculturology* is the first book of a three-volume set titled *Encounter after Millennia or the Story of the Bamiyan Manuscript*. Found in Bamiyan, Afghanistan, the small parchment manuscript was brought to the British Museum for assessment and possible purchase. Identical with two letter-signs of the Kartuli Asomtavruli alphabet, Gani and Doni were two engraved symbols of tiny stone seals fastened to the pages of the manuscript.

Based on the traditional scheme of language relationship, many scholars would have regarded as accidental the stunning similarity between the Kartvelian characters and the Bamiyan seal signs, and thus, unworthy of examination. Nevertheless, my previous research with analogous unrelated data suggested more serious, albeit hidden ties than what was obvious at first glance.

In 2003, I began studying the manuscript. My first intention was to publish a short article in a journal to inform researchers and the general public of the find; however, each contact with the manuscript turned into a constant source of emerging new questions which required answers. My desire to find solutions to posed queries developed the initial 24-page article into a three-volume set comprising:

1. Kartvelian–Sumerian–Egyptian Linguoculturology;
2. Paleography of the Bamiyan Manuscript;
3. Kartvelian and Persian Language Similarities.

The titles indicate that each book focuses on a single aspect of the research; the first volume, *Kartvelian–Sumerian–Egyptian Linguoculturology* is a paleographic analysis of the Bamiyan stone seal symbols and two Kartuli Asomtavruli letter-signs. Nonetheless, its scope is much larger and encompasses the investigation of related items in a number of fields: Assyriology, Egyptology, linguistics, history, archaeology, and ethnology. The expansion of scholarly boundaries shed abundant evidence to the existence of a single continuum which bonds dead and modern civilizations. This revealed fact contradicts the present outlook advocating for the absence of direct transition between the two worlds.

The second volume concentrates on the examination of the manuscript, its provenance, dating, design, classification of letter-signs, and the cultural analysis of the feather crown engraved on the stone seals. Whereby, the third volume provides linguistic support for the results reached in the previous two books, and offers a comparative study of Median (Old Persian) and Kartvelian language data related to the manuscript.

Despite heterogeneous subject matter of the volumes, they have a single axis: The Bamiyan manuscript and the Kartuli Asomtavruli characters ultimately responsible for the title of the entire set—*Encounter after Millennia or the Story of the Bamiyan Manuscript*.

As research continued through the years, I regularly presented my findings at different academic gatherings, but failed to make western academics take any

interest either in my lectures or shake their disbelief concerning the significance of Kartvelian languages and culture in the study of ancient civilizations.

The fountainhead for the described attitude towards Kartvelian material, in my view, is the combination of two causes:

1. Cited by M. Tsereteli as early as the first half of the twentieth century, the lack of knowledge of Kartvelian languages and culture has “fostered” an inevitable attitude to reject the inclusion of any “alien” linguistic or cultural system (Kartvelian) in Near Eastern Studies.

2. The breakdown of the mutually accepted scholarly framework by unwanted changes in scientific or personal *status quo*. The conclusions made in the book go contrary to the accepted fundamentals in a number of fields: comparative linguistics, Assyriology, Egyptology, paleography, history of civilization.

Although completely understandable, the described negative attitude of western scholars toward works on linguistic and cultural similarities between Kartvelian and dead cultures is, in fact, unacceptable.

Many will probably also object to the complex methodology employed in the book because it combines means and techniques offered by ancient esoteric sciences (Qabalah) with acknowledged and tested methods of analysis. The introduction of new methods, and especially the Kartvelian languages and culture in the multi-dimensional research of dead civilizations, offers scholars a new vision, innovative ways of solving problems, and the ability to reconstruct a neat and logical picture of the investigated phenomenon. Correspondingly, the reader will find numerous linguistic and cultural issues analyzed in the manner unacceptable for modern science. Nevertheless, the results yielded by the study underscore the necessity of involving Kartvelian language data and its cultural fabric in examining the problems of our past.

By 2005, Book One had been finished, but its publication was intentionally delayed due to a concentrated effort to find Kartvelologists and Sumerologists willing to review the work. Fortune would have it that some Georgian scholars spared no time, energy, knowledge, and scholarly experience to contribute to the betterment of the work. However, the book is published without a Sumerologist’s review. In 2005, Irine Winter, William Dorr Boardman Professor of Fine Arts, Department of Fine Arts, Harvard University whom I met at RAI-51 in Chicago, agreed to read and assess my work. I sent her the manuscript as soon as I arrived home. In her letter sent months later, Professor Winter shared some of my views but abstained from assessing the work due to lack of expertise in Kartvelian. Therefore, I beg the reader’s forgiveness for any flaws that still remain and are unavoidable for a work of such scope.

Anna Meskhi

Istanbul 2003-2008 – Tbilisi 2011

## ACKNOWLEDGEMENTS

I would like to thank Professors Iza Chantladze and Gocha Kuchukhidze, both Doctors of Philological Sciences, whose numerous comments and advice have been taken into account. Moreover, a few observations required additional material and analysis, which, I believe, helped the entire research become fuller, clearer, and more logical.

I am also grateful to Revaz Sherozia and Ketevan Sikharulidze, Doctors of Philology, who read different sections of the manuscript and gave me valuable feedback. My thanks are especially due to Ketevan Margiani-Subari, who went through the entire typeset book for a final editorial review. I gratefully acknowledge Professor Micheil Kurdiani's sincere desire to help which he failed to give due to health problems. I thank them all for their time, knowledge, and energy, which the reader will definitely feel while reading the book.

It is with a feeling of great appreciation that I would like to thank Giorgi Grigolashvili, a poet, Doctor of Technical Sciences, the editor of the present monograph for his continual, faithful, and dedicated assistance through years.

I pay tribute to Julian Sherrier, a specialist in Buddhist art (Gandharan), for his contribution to the evolution of the entire project. If not for his kindness and genuine desire to help, I would not have had the photos of the manuscript, and none of the three volumes of the set would have been possible.

Thanks to the authors, publishing houses and museums, who gave permission to reproduce illustrations found in my book.

From the bottom of my heart, I would like to thank my dear friend Beatrice K. Vanni for her high professionalism and disinterested and constant support she has given me for the last ten years in editing not only the English parts of the present monograph, but all my written works in English.

I acknowledge all of my friends and acquaintances whose sincere interest and excitement have been a true inspiration. I would also like to thank the readers of the book for their thirst to find out about their roots of this rational world.

Most importantly, I laud the love and support of my family, Mirian Meskhi, my husband, and son David, whose perpetual encouragement and cooperation helped me overcome various barriers that always accompany the living and creating in a foreign country.

## ნაშრომში გამოყენებული ტრანსლიტერაცია

ქართული Georgian	კონგრესის ბიბლიოთეკა Library of Congress	ქართული Georgian	კონგრესის ბიბლიოთეკა Library of Congress
ა	a	ს	s
ბ	b	ტ	t
გ	g	უ	w
დ	d	უ	u
ე	e	ფ	p'
ვ	v	ქ	k'
ზ	z	ღ	ğ
თ	ē	ყ	q
ი	t'	შ	š
კ	i	ჩ	č'
ქ	k	ც	c'
ღ	l	ძ	ž
მ	m	წ	c
ნ	n	ჭ	č
რ	y	ხ	x
ო	o	ჯ	ǰ
პ	p	ჯ	j
ჟ	ž	ჰ	h
რ	r	ჟ	ō

“...რამეთუ შეუძლე გამოცხადებად  
საიდუმლო ესე”

(დან. 2:47)

“...since you could reveal this secret”

(Dan. 2:47)

## შეხვედრა ხელნაწერთან

1995 წლის აგვისტოში გავემგზავრე ინგლისს, კემბრიჯის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში სამუშაოდ. მიზანი, ჩემი კვლევისთვის საჭირო, მაგრამ მიუწვდომელი ლიტერატურის გაცნობა იყო. გადანყვეტილი მქონდა, პასუხი გამეცა დიდი ხნის მტანჯველ შეკითხვაზე: რით იყო გამოწვეული ის გასაოცარი ფონეტიკური და სემანტიკური მსგავსებანი, რომლებიც ინგლისური ენის ლექსემათა უძველეს დაფიქსირებულ ფორმებსა და ქართულ სიტყვებს შორის არსებობდა. პარალელურად მსურდა, მომეძია მასალა ძველ ცივილიზაციებთან ქართველური ენებისა და კულტურის ურთიერთობის უკვე მივიწყებული თეორიის შესახებ. ამიტომ, ინგლისში ყოფნის დროს გადავწყვიტე, ერთი კვირა ბრიტანეთის მუზეუმის მუშერისა და ეგვიპტის დარბაზების შესწავლისთვის დამეთმო და კვლევისთვის საჭირო მასალა შემეგროვებინა. 12 ნოემბერს ვენჯიე ლონდონს. ბატონი საშა (ალექსანდრე) ბესტავაშვილის ოჯახმა, რომელიც ჩემი მეუღლის მხრიდან მენათესავება, გულთბილად მიმიღო (ფოტო 1, გვ. 519).

ყოველ დღით, მუზეუმის გახსნამდე, რკინის კარიბჭის წინ ვიდექი, რათა სამუშაო დრო არ დამეკარგა. მუზეუმიდანაც მხოლოდ მაშინ მოვდიოდი, როდესაც მცველთა სასტვენის დამთვალეირებლებს იქაურობის დატოვებას სთხოვდა. გასასვლელისკენ მიმავალი, ფეხს ვითრევდი, რათა ერთი-ორი ექსპონატის გადაღება კიდევ მომესწრო.

ჩემთვის საინტერესო ბევრი რამ ვნახე და ფოტოზეც აღვებეჭდე, თუმცა არ მასვენებდა ფიქრი, რომ საცავეებში შენახულ არტიფაქტებზე მრავლად იქნებოდა მიმობნეული ჩემი გამოკვლევისთვის უაღრესად საჭირო გამოსახულებანი სიმბოლოებისა თუ ნახატების სახით.

შეკითხვით ბიბლიოთეკის ცენტრალურ „საინფორმაციო მაგიდას“ მივმართე. მითხრეს, – მუშერული დარბაზის ხელმძღვანელს უნდა გაესაუბროთ, მან უნდა მოგცეთ თანხმობაო. უკვე რამდენიმე



ნუთის შემდეგ, მესოპოტამიური დარბაზის გამგეს ვესაუბრებოდი (სამნუხაროდ, სახელს ჩანანერებში ველარ მივაგენი, რისთვისაც მკითხველს ბოდიშს ვუხდი, ამ მადლიანი კაცის ვინაობას რომ ვერ ვაცნობებ. ავუხსენი ჩემი გულის ნადილი და შემპირდა, ხვალ დილით, მუზეუმის გახსნამდე მომცემდა ალბომებს, სადაც მთელი მათი ექსპონატების ფოტომასალები იყო მოთავსებული.

მეორე დილით, ადრე, მესოპოტამიური განყოფილების გამგის კაბინეტის მოსაცდელში ვიჯექი და ორ ვეება ალბომს ფრთხილად ვფურცლავდი, ყოველ დეტალს თუ საგანს ყურადღებით ვაკვირდებოდი, რადგან ინგლისში მეორედ ჩასვლის იმედი არ მქონდა და მაქსიმალურად უნდა გამომეყენებინა ჩემთვის გამომეტებული შესაძლებლობა.

ცოტა ხნის შემდეგ, მოსაცდელში საშუალოზე ოდნავ მაღალი, გამხდარი, ქართული გარეგნობის ახალგაზრდა შემოვიდა. შავი ხვეული თმა და ელვარე თვალები მის არაბრიტანულ წარმოშობაზე მეტყველებდნენ. მამაკაცი სკამზე ჩამოჯდა და ტყავის შავი „დიპლომატი“ იატაკზე დადგა. მე მუშაობა განვაგრძე. გავიდა თხუთმეტი ოდრე ნუთი და მოსაცდელს კიდევ ორი ახალგაზრდა შემომემატა, დაახლოებით 30-35 წლისა. მომლოდინე მამაკაცი ფეხზე წამოდგა და მათ საუბარი დაიწყო. ჩუმი ლაპარაკობდნენ, არაფერი მესმოდა, მაგრამ, როდესაც მამაკაცი „დიპლომატიდან“ ქსოვილის ნაჭერში სათუთად შეხვეული საგანი ამოიღო და გაშალა, დავინტერესდი.

უცნობი, მუზეუმის თანამშრომლებს (როგორც ეს შემდეგ გამოირკვა), უაღრესად ძველ ვერცხლის თასს სთავაზობდა შესაძენად. შორიდან კარგად ვერ ვარჩევდი, მაგრამ თასი ამოტივრული ჩანდა. საუბრის მანერითა და უესტიკულაციით მივხვდი, რომ მუზეუმის თანამშრომლებს თასის ფასეულობაში ეჭვი ეპარებოდათ და უარს ამბობდნენ მასზე.

ასეც მოხდა, მოსულმა ფრთხილად შეახვია თასი მისთვის განკუთვნილ ქსოვილის ნაჭერში, კვლავ დაიხარა და ამჯერად ჩანთიდან მომცრო საგანი ამოიღო, რომელიც ასევე სათუთად გაეხვიათ ქსოვილში. საგანი იმდენად პატარა იყო, რომ ვერ გავარჩიე, რას წარმოადგენდა, არადა დაუცხრომელი ინტერესი მკლავდა. ველარ მოვითმინე, ალბომებს თავი დავანებე და მოსაუბრეებს მივუახლოვდი. შავგვრემან მამაკაცს ხელში ერთ მხარეს გაკერილი პატარა ღია ყავისფერი ტყავის ნიგნაკი ეჭირა. ყოველ ფურცელზე მუქი ყავისფერი მელნით მოხაზულ წრეში უცხო ანბანით შესრულებული მცირე ზომის ტექსტი აღებეჭდათ. მუზეუმის თანამშრომლების აზრით, ეს „ლოცვანი“ ან „შელოცვის ნიგნაკი“ უნდა ყოფილიყო. სამნუხაროდ, ვერც ანბანის ამოცნობა მოახერხეს და დათარიღებისგანაც თავი შეიკავეს.

მოსაუბრეებს გავუსწორდი და... ელდა მეცა! პანანინა ტყავის ნიგნაკის გადაშლილი ფურცლის ზემო ნაწილის ცენტრში ფაქიზად დამუშავებული ცეროდენა ოთხკუთხედი ქვა-ბეჭედი მიემარებინათ, რომლის ზედაპირზე განლაგებული ნახატის ამოცნობაც ქართული ასომთავრული ანბანის მცოდნე არც ერთ ადამიანს არ გაუჭირდებოდა.

ბეჭდის მთლიანი გამოსახულება ორ ნაწილად იყოფოდა: ქვედა რეგისტრში ორი მამაკაცის – გვირგვინოსანი მეფისა და ჩვეულებრივი მოკვდავის სახე პროფილში იყო ამოტვიფრული. მათ თავს ზემოდან კი ქართული ასომთავრული ლანი გულდაჯერებული მიცქერდა! (ფოტო 4, გვ. 521 )

თხრობის გაგრძელებამდე მსურს, მკითხველს ასო-ნიშან ლანის შესახებ მცირე, მაგრამ აუცილებელი ინფორმაცია მივანოდო, რათა, მის დანახვაზე, ჩემი არაბუნებრივი რეაქცია უფრო ნათელი და გასაგები გახდეს.



ნანილი I

ქართული ასომთავრული ანბანი  
და  
უძველესი დამწერლობები



## 1. ქართული ასომთავრული ღანი, ფინიკიური 'აინ' და ბერძნული ომეგა

**შესავალი.** ქართული ასომთავრული ანბანის წარმოშობის თაობაზე მრავალი თეორია არსებობს. ერთ-ერთი მათგანის მიხედვით, იგი ფინიკიური დედაანბანის საფუძველზეა შექმნილი. რამაზ პატარიძე, რომელსაც ივანე ჯავახიშვილის შემდეგ, აღნიშნული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის, ასომთავრულ ანბანში ასო-ნიშანთა ორ დიდ ჯგუფს განასხვავებს, – *უცხოურსა და საკუთრივ ქართულს*:

- ფინიკიური ქვეჯგუფი, რომელიც შედგება პირველი 21 ასოსგან – ანიდან (1) ტარამდე (21);
- ბერძნული ქვეჯგუფი, რომელიც მხოლოდ სამ ასოს მოიცავს – ჯ-დან (22) ქანის (24) ჩათვლით;
- საკუთრივ ქართული ნაწილი, რომელიც იწყება ღანით (25) და სრულდება ჯანით (35).
- ასო-ნიშანთა მოცემულ მწკრივს მოჰყვება ორი, ე.წ. მოგვიანებით დამატებული ჰაე (36) და ოი (37).

როგორც ვხედავთ, ჩვენთვის საინტერესო ასო-ნიშანი „ღანი“, საკუთრივ ქართული ანბანური ნაწილის მეთაურია. „ღანის“ გრაფიკული, ფონეტიკური და აკროფონიული თვისებები ავტორს შემდეგნაირად აქვს დახასიათებული:

**გრაფიკული თვისებები.** გრაფიკულად ქართული ასომთავრული „ღანი“ თალია, რომელიც, რამაზ პატარიძის თანახმად, კლასიკური სემიტური „'აინისა“ და ბერძნული „ომეგასგან“ არის ნაწარმოები. „'აინ“ ზევით გახსნილი წრეა, მაშინ, როდესაც ბერძნული „ომეგა“, ქართული ასომთავრული „ღანის“ „ტყუპისცალია“.

### ცხრილი I

სემიტური 'აინ, ბერძნული ომეგა და ქართული ასომთავრული ღანი

სემიტური 'აინ	ბერძნული ომეგა	ასომთავრული ღანი
Ⲁ	Ω	ღ

ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ სამივე ასო ერთმანეთთან ძლიერ ახლოს მდგომი გრაფიკული ვარიანტებია. მიუხედავად ამისა, აღნიშნულ სემიტურ-ბერძნულ-ქართულ ჯგუფში იდენტური გრაფიკული ნახაზის საფუძველზე დასაშვებია ბერძნული და ქართული გრაფემების უფრო მჭიდრო „გაერთიანება“, მაშინ, როდესაც ფინიკიური ასო განცალკევებით რჩება.

## ცხრილი 2

### ქართველურ-ბერძნული და სემიტური ქვეჯგუფები სემიტურ-ბერძნულ-ქართველურ ჯგუფში

ასომთავრული ლანი – ბერძნული ომეგა	სემიტური 'აინ
Ⲓ	Ⲥ

**ფონეტიკური თვისებები.** მსგავსი გრაფიკული მახასიათებლები განსხვავებით, ფონეტიკურად ქართული ასომთავრული „ლანის“ ბგერითი ღირებულება სემიტური ასოს იდენტურია, – ორივე ასო ველარული სპირანტია (პატარიძე 1980:229), ბერძნული „ომეგა“ კი ხმოვან ო-ს გამოხატავს. სხვაგვარად, ბგერითი იგივეობის გამო, სემიტური „აინ“ და ქართული „ლანი“ უფრო მჭიდრო „ფონეტიკურ კავშირს“ ქმნიან, ბერძნული „ომეგა“ კი განზე რჩება.

## ცხრილი 3

### სემიტურ-ქართველური და ბერძნული ქვეჯგუფები სემიტურ-ბერძნულ-ქართველურ ჯგუფში

სემიტური 'აინ – ასომთავრული ლანი	ბერძნული ომეგა
Ⲥ	Ⲓ
Ⲥ	Ⲑ

ამრიგად, ირკვევა, რომ გრაფიკული თვისებებით ქართული ასომთავრული „ლანი“ ბერძნულ „ომეგასთან“ წყვილდება, ხოლო ფონეტიკური ღირებულება სემიტურ „აინთან“ აერთიანებს.<sup>1</sup>

**აკროფონიული თვისებები.** აკროფონიულად ქართული ასომთავრული „ლანი“ მიუთითებს ღმერთზე, – ღმერთი ქართულში ველარული სპირანტით (ღ) იწყება. ანალოგიური გარემოება გვაქვს სემიტურში, სადაც ველარული სპირანტით დაწყებული „აინ“ თვალს აღნიშნავს. ამის სანინააღმდეგოდ, ბერძნულში, როგორც ცნობილია, აკროფონიული პრინციპი დაიკარგა და ასო-ნიშანთა სახელდებასა და მათ ბგერით მხარეს შორის პირობითი კავშირები დამყარდა.

ზემოთქმულიდან ცხადი ხდება, რომ ქართულ-სემიტური და ქართულ-ბერძნული ფონეტიკურ-გრაფიკული იგივეობა მათი სემანტიკური ასპექტისგან საკმაოდ განსხვავებულია. ქართული

<sup>1</sup> ფინიკური „აინის“, ბერძნული „ომეგასა“ და ქართული ასომთავრული „ლანის“ შესახებ იხ. გვ. 290-303.

„ლანი“ აღნიშნავს ღმერთს, ფინიკიური „'აინ“ მიუთითებს თვალზე, ბერძნული „ომეგა“ კი მთლიანად დაცლილია მნიშვნელობისგან – იგი კონვენციონალური ნიშანია. მაგრამ ეს მხოლოდ ზედაპირული სურათია. შესასწავლ ასო-ნიშანთა შორის არსებული კავშირები მეტად რთული, ჩახლართული და ხშირ შემთხვევაში დაუჯერებელი „ფორმულების“ სახით არის მოცემული, რომელთა წინ წამოწევა ქართველური კულტურის მონაცემების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია. სწორედ ქართველურმა ეთნოლოგიურმა მასალამ მისცა შესაძლებლობა რ. პატარიძეს, ამოეხსნა არა მხოლოდ ასო-ნიშან „ლანის“ აკროფონიული მნიშვნელობა, არამედ გაეშიფრა მისი გრაფიკული მონახაზის ეზოთერიაც. „წარმართულ საქართველოში მნათობ ღვთაებათა ტრიადის გარდა, როგორც ჩანს, არსებობდა კულტი დიდი ღმერთისა, ქვეყნის შემოქმედისა. აღმოსავლურ ქართულ წარმართულ პანთეონში უმაღლეს ღვთაებას მიემართება სახელი მორიგე ღმერთისა, ანუ ცისა და ქვეყნის გამრიგისა“ (პატარიძე 1980:230).

აღმოსავლეთ საქართველოს რელიგიური მრწამსის შესახებ ვერა ბარდაველიძე წერს: „Согласно религиозным пережиткам, всевышний Гмерти восседал на золотом троне, разверзал золотые уста, изрекал свою волю и властвовал. Он был верховным законодателем и учредителем порядка на небесах и на земле. Поэтому ему и был присвоен эпитет Мориге. Под этим эпитетом Гмерти упоминается как в бытовых религиозных пережитках, так и в священно-служебных текстах. Кроме того, Гмерти был всевышним правосудцем, который по своему усмотрению распределял добро и зло на земле“ (Бардавелидзе 1957:15; ხაზგასმა ჩვენია – ა. მ.).

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მორიგე ღმერთს, ანუ ცისა და ქვეყნის გამრიგეს, განსხვავებული სახელებით მიმართავდნენ. დასავლეთ საქართველოში მას დიდ ღმერთს უწოდებენ. „По народным верованиям и пережиточно сохранившимся в устной народной передаче духовным текстам сванов, Хоша гермет был владыкой неба, господом вселенной, великим творцом мира. Вознесенный на небо он... восседал на золотом троне и созерцал вселенную, но непосредственного участия в управлении земными делами не принимал. Для этого в распоряжении ხოშა ღერმეთ находилось множество божеств, между которыми он раз и навсегда, неизменно и непрекасловно распределил обязанности и каждому разграничил род деятельности и сферу влияния“ (იქვე, 171; ხაზგასმა ჩვენია – ა. მ.). და შემდეგ: „По народным представлениям, в небесном царстве главы пантеона имелись врата, называемые 'вратами Гмерти' – ღვთის კარი. 'Врата Гмерти' часто упоминаются и в священнослужебных текстах...Гмерти, обитая в небесах, никогда



не спускался на землю и не имел на земле... культовых центров. Поэтому его врата находились только на небе" (იქვე; ხაზგასმა ჩვენია – ა. მ.).

„ლანის“ იდენტური გამოსახულება, ანუ თალი, სვანებს საკრალურ სიმბოლოდ მიაჩნიათ, რის გამოც იგი ფართოდ არის გავრცელებული საქართველოს ამ მთიანი მხარის ეთნოგრაფიულ ყოფასა და ხელოვნებაში (პატარიძე 1980:232). „ლანისა“ და სვანთა საკრალური ნიშნის იგივეობის გამო, რ. პატარიძე წერს: „...ანგარიშგასანევია ის გარემოება, რომ ქართული ანბანური ჯგუფის პირველ გრაფემას ლ ფონემის მნიშვნელობა აქვს, ე.ი. მისი ფონემური მნიშვნელობა საკრალურია, რადგან აკროფონიულად ღმერთის სახელის აღმნიშვნელია...“, „რაკი ასო „ლანი“ იდეოგრაფიულად მართლაც საკრალური ნიშანია, უნდა ვიფიქროთ, რომ გრაფიკულად იგი ღვთის კარის გამოხატულებაა და უხილავი ღმერთის სამყოფელია“ (იქვე, 230-233). ღვთის კარი კი, ქართველური წარმართული შეხედულებების მიხედვით, ღვთაებათა თავშეყრის ადგილია. ესაა ფაქტი, რომელიც ქართულ ასომთავრულ „ლანს“ არა მარტო უმაღლესი და უხილავი ღმერთის სამყოფლად, არამედ ყველა ღვთაებრივი სადამწერლობო ნიშნების თავშეყრის ადგილად, ანუ ღმერთების ერთგვარ ანბანურ ოლიმპოდ გადააქცევს.

„ლანის“ სისტემურ ანბანურ (გრაფიკულ და ხმოვან) მახასიათებლებსა და უძველესი ქართველური რწმენის საფუძველზე გამოტანილ დასკვნას ქართული ასომთავრული ანბანის კვლევისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. არანაკლები ღირებულებისაა სადამწერლობო ოლიმპოს გამოვლენილი ცნებაც, რომელიც საშუალებას გვაძლევს, განსხვავებული რაკურსით შევისწავლოთ და მამასადამე, უკეთ შევიმეცნოთ ის უძველესი სადამწერლობო სისტემები, რომლებსაც გარდასულ დროთა ბრძენი მოგვები ღვთაებრივ წარმოშობას მიაწერდნენ.

აღნიშნულ ვითარებაში, ქართული ასომთავრული ანბანის, განსაკუთრებით „ლანისა“ და უძველესი სადამწერლობო სისტემების დეტალური შედარებითი ანალიზი, არა მხოლოდ სასურველი, არამედ აუცილებელიცაა. ამოცანა არც მარტივია და არც იოლი. პირიქით, თავისი ბუნებიდან გამომდინარე ის ფრიად რთულია, ვინაიდან საჭირო ხდება არა მხოლოდ ფინიკიური და ბერძნული ანბანების მონაცემების მოხმობა, რომლებსაც სხვადასხვა მკვლევრები ქართული ანბანის წყაროდ მიიჩნევენ, არამედ უფრო ადრეული წარმოშობის მქონე ცნობილი პალეოგრაფიული სისტემების – შუმერულია და ეგვიპტურის ჩართვაც.

ვნახოთ, თუ რამდენად მართლდება უძველესი ქართული სარწმუნოების მიერ შემოთავაზებული დასკვნა. ძიებას აღნიშნული მიმართულებით, განსაკუთრებულ ინტერესსა და მნიშვნელობას ანიჭებს თეორია, ქართული ასომთავრული ანბანის ფინიკიურის ან ბერძნულის საფუძველზე შექმნის შესახებ. თუ ფინიკიურმა და ბერძ-

ნულმა გრაფიკულ-ფონეტიკურმა სისტემებმა მართლაც განაპირობეს ასომთავრულის შექმნა, ბუნებრივია, ვიკითხოთ და ვიკვლიოთ, თუ რა წვლილი მიუძღვით მათ ქართული ასომთავრულის ანბანური ოლიმპოს დამალული სახით ჩამოყალიბებაში. ამგვარადვე საინტერესოა, თუ რა ფუნქციური დატვირთვა აქვთ ფინიკიური 'აინისა და ბერძნული ომეგას გრაფიკულ, აკროფონიულ და კულტურულ მახასიათებლებს ქართული ასომთავრული „ლანის“ ეზოთერული ინფორმაციის კოდირებაში.

ვინაიდან, ერთი მხრივ ქართული ასომთავრულისა და სემიტურის, ხოლო მეორე მხრივ, ქართული ასომთავრულისა და ბერძნულის ტრადიციული პალეოგრაფიული კვლევა უკვე ჩატარებულია (კეკელიძე 1980; გამყრელიძე 1990; ჯავახიშვილი 1949; პატარიძე 1980), წინამდებარე ნაშრომში ძირითადი ყურადღება ლინგვისტურ, კულტუროლოგიურ და ეზოთერულ ანალიზზე იქნება გამახვილებული, რაც არ გულისხმობს ტრადიციული პალეოგრაფიული ასპექტების უგულვებელყოფას. ორთოდოქსალური და არაორთოდოქსალური მეოთხეოლოგიების ამგვარი შერწყმა თვით შესასწავლი მასალით არის განპირობებული.

როგორც ზემოთ ითქვა, ქართული ასომთავრულის წყაროდ მიჩნეული ფინიკიური და ბერძნული ანბანები ძლიერ განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ურთიერთობა ბგერას, ასოსა და ასოს სახელწოდებას შორის ბერძნულ ალფაბეტში მთლიანად პირობითია, მაშინ, როდესაც ფინიკურში იგივე კავშირები გრაფემის სახელითაა გაშუალებული. საინტერესოა, რომ ქართულ ასომთავრულში ორივე სახის ურთიერთობა აღინიშნება. თუ გარეგნულად ასომთავრულის ასო-ნიშნებსა და მათ შესაბამის ბგერებს შორის პირობითი დამოკიდებულებაა, შინაგანად, კრიპტულ დონეზე, ეს ურთიერთობები ასევე გრაფემათა სახელებით არის გაშუალებული. ვინაიდან ბერძნულმა ანბანმა უარყო იდეოგრაფიული პრინციპი, რომელიც მკვლევარს ასო-ნიშნის ინფორმაციულ პლანში წვდომის საშუალებას აძლევს, დეტალურ შედარებით სემანტიკურ ანალიზს დავუქვემდებარებთ სემიტურ „აინსა“ და ქართულ „ლანს“, ხოლო ბერძნულ „ომეგას“ ანალიზში საჭიროებისამებრ ჩავრთავთ. ქართული ლანისა და ფინიკიური 'აინის შედარებითი ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზის ჩატარებამდე, თვალი გადავავლოთ ქართული ანბანის ზოგიერთ ცნობილ თვისებას.

## 2. ძართული ანბანი და მისი თვისებები

არაერთმა ქართველმა და უცხოელმა მეცნიერმა შესწირა უამრავი დრო და ენერგია იმას, რომ პასუხი გაეცა ქართული ანბანის წარმოშობის კვლევისას წამოჭრილ შეკითხვებზე, რომელთაგან ზოგიერთი წმინდა პალეოგრაფიული ხასიათისაა და, აქედან გამომდინარე, საერთოა მსოფლიოს მრავალი ანბანისთვის. სხვათაგან განსხვავებით, ქართულ ანბანს ისეთი თვისებებიც აქვს, რომლებიც მსოფლიოს არცერთ სხვა სადამწერლობო სისტემას არ ახასიათებს. მთვარისა და მზის კალენდრები, გეომეტრიული ფორმულები, ოქროს კვეთა, მშენებლობის პრინციპები, მათემატიკური მეგობრული რიცხვები და თვლის ათწილადური წესი, ქართულ ანბანში კოდირებული საიდუმლო ცოდნის ამსახველი გრძელი სიის მხოლოდ მცირე ჩამონათვალია. ჩვენ არაერთხელ შევჩერდებით აღნიშნული ცოდნის ამსახველ მომენტებზე, აქ კი ანბანის სწორი პერსპექტივისა და მომავალი კვლევისთვის რამდენიმე ფაქტორზე გავამახვილებთ ყურადღებას. ესენია:

1. ანბანის გრაფიკული სახეობები;
2. მათი ურთიერთდამოკიდებულება;
3. ქრონოლოგია;
4. ქართული ანბანის წარმომავლობა.

**ანბანის გრაფიკული სახეობები.** ქართული ანბანი სამი სახისაა: ასომთავრული, ანუ მრგლოვანი, ხუცურნუსხური, ანუ ნუსხახუცური და მხედრული. მხედრული ანბანით შესრულებული პირველი წარწერა, რომელიც IX საუკუნით თარიღდება, ატენის სიონშია აღმოჩენილი (პატარიძე 1980:8, სქოლიო 1). ასოთა გრაფიკა, თვით უადრეს წარწერებშიც კი იმდენად სრულყოფილი და დახვეწილია, რომ ანბანის წარმოქმნას მეცნიერები გაცილებით უფრო ადრეულ ხანას მიაწერენ. ამის ზუსტი განსაზღვრა მასალის უქონლობის გამო, სამწუხაროდ, შეუძლებელია. მხედრული ასოები ოთხ ხაზს შუა იწერება და განსხვავდება ასომთავრულისა თუ ნუსხახუცურისგან. მხედრული ანბანი ყოველთვის საერო იყო, თუმცა ასომთავრულისა და ნუსხახუცურის ხმარებიდან გასვლის შემდეგ, მათი ადგილი რელიგიური ტექსტების შექმნაშიც მხედრულმა დაიკავა. იგი გასაოცარი მდგრადობის მქონეა, რომლის სტრუქტურა და გრაფიკა თორმეტი საუკუნის მანძილზე თითქმის უცვლელი დარჩა.

მხედრულის მსგავსად, ნუსხახუცურიც ოთხხაზოვან საწერ ბადეს იყენებს. ხუცური იმთავითვე საეკლესიო დამწერლობა იყო და, ბუნებრივია, რელიგიურ მიზნებს ემსახურებოდა. ამ ანბანით შესრულებულ უადრეს ხელნაწერს შეიცავს „სინური მრავალთავი“, რომელიც 864 წლით თარიღდება. აღსანიშნავია, რომ ხუცური ანბანი

დღესაც გამოიყენება საეკლესიო პრაქტიკაში, ანუ იგი კვლავ ცოცხალი და მოქმედი სადამწერლობო სისტემაა. მხედრულის მსგავსად, ხუცური ასო-ნიშნების სრულყოფილი მოხაზულობა მკვლევრებს აფიქრებინებს, რომ იგი უფრო ადრეულ ხანაშია შექმნილი, ვიდრე „სინური მრავალთავი“. ნუსხახუცურს მხედრულთან კიდევ ერთი თავისებურება აკავშირებს. ეს მისი სტაბილურობაა. ხუცურმა თავისი სტრუქტურა და ასოთა მოხაზულობა თორმეტი საუკუნის მანძილზე უცვლელად შეინარჩუნა.

ხუცურის მსგავსად, ასომთავრული ანბანი, რომელიც ასომთავრული ხუცურისა და მრგლოვანის სახელწოდებით არის ცნობილი, ასევე საეკლესიო დამწერლობას წარმოადგენდა. პირველი ასომთავრული წარწერა, რომელსაც რ. პატარიძე ძვ. წ. 292-274 წწ. ათარილებს, ნეკრესის ეკლესიაშია შესრულებული („ნეკრესული წარწერა“). ქვემო ქართლში ნაპოვნი ქრისტიანული ხანის პირველი (326 წ.) ე.წ. სამჯვრიანი წარწერა, ავტორის მიხედვით, იკითხება როგორც: „ქართლი, ქუეყანა ქრისტესი“. ქრისტიანული ხანის შემდგომი წარწერა ნაპოვნია სტელაზე ქვემო ქართლში და დათარილებულია 329 წ. ასომთავრულით შესრულებული პირველი ხელნაწერი „ქება და დიდება ქართულისა ენისაჲ“, იმავე მკვლევრის აზრით, მიეკუთვნება 342 წ. და გადანერილია ქართველი მეცნიერ-გადამწერის იოანე ზოსიმეს მიერ მე-10 საუკუნეში.<sup>2</sup>

მხედრულისა და ხუცურის მსგავსად, ასომთავრულის გრაფიკებიც ისეთი დახვეწილი სრულყოფილებით გამოირჩევიან, რომ არაერთი მეცნიერი, მისი შექმნის თარიღად გაცილებით უფრო ადრეულ ხანას ვარაუდობს.

მსჯელობიდან გამომდინარე, ქართული ანბანის სამივე სახეობა ერთი და იმავე თვისებების მქონეა:

- უადრეს წარწერებშიც კი ისინი უკვე კარგად ჩამონაკეთული და დახვეწილია;
- სამივე სისტემის დასრულებული და ჩამოქნილი ასო-ნიშნები იძლევა იმის საფუძველს, რომ მათი შექმნა გაცილებით ადრე ვივარაუდოთ, ვიდრე ჩვენამდე მოღწეული მასალის დათარიღებით არის განსაზღვრული;
- სხვა ანბანებისგან განსხვავებით, სამივე, მდგრადობის გასაოცარი ხარისხით ხასიათდება.

**გრაფიკული სახეების ურთიერთდამოკიდებულება.** ქართული ანბანის გრაფიკულ სახეობათა შორის არსებული დერივაციული ურთიერთობანი და ქრონოლოგიური მიმართება, დიდი ხანია, ქართული

<sup>2</sup> მეოთხე საუკუნეს მიეკუთვნება, აგრეთვე, ბოლნისისა (357 წ.) და „დავათის სტელას“ წარწერები (367 წ.).

პალეოგრაფიის საჭირობოროტო საკითხთა რიცხვს მიეკუთვნება. დავიწყოთ დერივაციული კავშირებით, რომლებიც ასომთავრულ, ნუსხახუცურ და მხედრულ ანბანს შორის არსებული გრაფიკული სხვაობის გამოძიებასთან არის დაკავშირებული. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, თუ გავითვალისწინებთ ქართულ ანბანებს შორის არსებულ დიდ გრაფიკულ სხვაობას. კერძოდ, „თუ ასომთავრულისა და ნუსხურის ურთიერთმსგავსება რამდენადმე შესამჩნევია, გრაფიკული მსგავსება ნუსხურსა და მხედრულს შორის კიდევ უფრო ნაკლებია“ (პატარიძე 1980:11). იმავე აზრს გამოთქვამდა ი. ტილორიც მე-19 საუკუნის დასასრულს (Taylor 1983:275). განსხვავება სამივე ქართულ ანბანს შორის იმდენად შესამჩნევია, რომ ზოგ მკვლევარს (ილ. ოქრომჭედლიშვილი, ნ. მარი) მხედრული, ასომთავრულზე უადრესად მიაჩნდა.

ტრადიციული შეხედულების მიხედვით, ნუსხახუცური მრგლოვანი ასომთავრულიდან განვითარდა, მაგრამ, როგორც ივანე ჯავახიშვილი მიუთითებს, ნუსხახუცური, მისი გამოყენებისთანავე, „უაღრესად კუთხოვანი დამწერლობაა, რომელიც, რასაკვირველია, ხუცურ მრგლოვან ასომთავრულთან არ შეიძლება, უშუალოდ იყოს დაკავშირებული და უეჭველია, მისგან არც არის წარმომდგარი, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას მრგვალი მოხაზულობა შერჩებოდა. კუთხოვანი დამწერლობა გაკრული ხელის წყალობით შეიძლება თანდათანობით მრგლოვან დამწერლობად ჩამოინაკეთოს, მაგრამ წინაუქმო პროცესი კი ძნელი დასაჯერებელია“ (ჯავახიშვილი 1949:184; ხაზგასმა ჩვენია – ა. მ.).


ასომთავრული ასო-ნიშნების ცვლილებების შესწავლის საფუძველზე ნუსხახუცურის წარმოშობას მეცნიერი შემდეგნაირად ხსნის: „კუთხოვანი ნუსხა-ხუცური კუთხოვანი ასომთავრულის გაკრული და გადაბმული დამწერლობისგან უნდა იყოს თანდათან წარმომდგარი. ამასთანავე, ასოთა მოხაზულობის ეს ღრმა პროცესი ამ დამწერლობას კერძო პირთა ხელში უნდა ჰქონდეს გამოვლილი“ (იქვე, 188). შესაბამისად, ნუსხახუცური კუთხური ასომთავრულიდან განვითარებული სისტემაა.

აღნიშნულთან დაკავშირებით ფრიად საინტერესო და ამავე დროს, ურთიერთგამომრიცხავი საკითხები წამოიჭრება, რაც, უპირველეს ყოვლისა, დამწერლობის განვითარების ეტაპების მონაცვლეობასთან არის დაკავშირებული. ცნობილია, რომ დამწერლობის კუთხოვანი სისტემები მრგლოვან ფორმებზე უადრესია. ეს უკანასკნელნი (მრგლოვანი სახესხვაობები) ვითარდებიან კუთხოვანი ასო-ნიშნებისგან გაკრული ხელისა და სანერი ზედაპირის ცვლის შედეგად. გამოდის, რომ მრგლოვანი ასომთავრულის წინ, ანუ ძვ. წ. V (რ. პატარიძე) ან VIII-VII (ივ. ჯავახიშვილი) საუკუნეებამდე, არსებობდა მისი კუთხოვანი ვარიანტი, რომლის დათარიღება დღეს შეუძ-

ლებელია და, რომელმაც, თავისი კვალი დატოვა არა მის უშუალო განვითარებაში (მრგლოვან ასომთავრულში), არამედ კუთხოვან ნუსხახუცურში, რომელიც IX საუკუნეში ჩნდება. შესაბამისად, კუთხოვანი ნუსხახუცური მრგლოვან ასომთავრულს დამორებულია 1300-1700 წლით, ხოლო მის მშობელ სისტემას კიდევ უფრო ხანგრძლივი პერიოდით. მეტიც, ათას წელზე ხანგრძლივი ტემპორალური წყვეტის გარდა, ნუსხური, „თავის მშობელ კუთხურ ასომთავრულს“ მთლიანი ანბანური სისტემის (მრგლოვანი ასომთავრული) „უგულე-ბელყოფის“ საფუძველზე უკავშირდება. სხვაგვარად, ქართული ანბანის გაანალიზებული სისტემები ამოვარდნილია ანბანური დამწერლობის განვითარების იმ ლოგიკური ჩარჩოდან, რომელსაც სხვა ენათა სისტემები ექვემდებარება. დადასტურებული მოდელის ნაცვლად – კუთხოვანი > მრგლოვანი, გვაქვს შემდეგი თანმიმდევრობა:

**\* კუთხ. ასომთ. > (მრგლ. ასომთ.) > კუთხოვანი ხუცური**

ანბანური განვითარების წარმოდგენილი ჯაჭვი კიდევ ერთი თვისებით ენიშნაღმდეგება აღიარებულ მოდელს. კერძოდ, ცნობილია, რომ კუთხოვანიდან მრგლოვან დამწერლობაზე გადასვლა თანდათანობითი პროცესია, რომელმაც შესაძლოა რამდენიმე საუკუნე მოიცავს. შესაბამისად, მრგლოვანი ასომთავრულის კუთხოვანიდან წარმოშობის პროცესიც დროის ანალოგიური ჩარჩოთი უნდა შემოისაზღვროს. ეს კი ენიშნაღმდეგება ქართველ პალეოგრაფთა უმრავლესობის მიერ გამოთქმულ აზრს, რომლის მიხედვით, მრგლოვანი ასომთავრული ერთდროული და ერთჯერადი შემოქმედების ნაყოფია. ეს გამორიცხავს მრგლოვანი ასომთავრულის კუთხოვანი სისტემიდან თანდათანობითი განვითარების ფაქტს. ქართულ ანბანურ სისტემებს შორის გამოვლენილ ალოგიკურ, გრაფიკულ თუ ქრონოლოგიურ ურთიერთობებს ნათლად ასახავენ სამკუთხედის აქ წარმოდგენილი მოდელები:



ნახ. 1

ABC და  $A_1B_1C_1$  სამკუთხედებით გადმოცემული ინფორმაცია შემდეგნაირად იკითხება: მეცხრე საუკუნით დათარიღებული ნუსხური ანბანი ( $B, B_1$ ) თავისი გრაფიკული მონახაზით მსგავსია ( $A_1B_1$  უწყვეტი ნრფე) მისგან 1300-1700 წლით დაშორებული სავარაუდო კუთხური ასომთავრულისგან ( $A, A_1$ ), მაგრამ განსხვავდება მასთან ქრონოლოგიურად უფრო ახლოს მდგომი ( $BC$  უწყვეტი ნრფე) მრგლოვანი ასომთავრულისგან ( $C, C_1$ ) იმავე ნიშნის (გრაფიკის) მიხედვით.<sup>3</sup> ნუსხურის ამგვარი წარმოშობა იმდენად ალოგიკურია, რომ შეგვიძლია დავასკვნათ, პირველი: კუთხური ასომთავრული არ არსებობდა, ხოლო მრგლოვანი ასომთავრული და კუთხური ნუსხახუცური ერთი ანბანური სისტემის ორი განსხვავებული სახეა, ან მეორე, კუთხური ასომთავრული არსებობდა და მის საფუძველზე ნუსხახუცურის შექმნა ხანგრძლივი ინტერვალის შემდეგ ჩვენთვის უცნობ მიზანს (ან მიზეზს) დაქვემდებარებული ანბანთშემოქმედებაა. უკანასკნელი ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს „ანის“, „დონის“, „ზენის“, „ონის“ (ჯავახიშვილი 1949:221; 207; 209; 219) და სხვა ასო-ნიშნების კუთხოვანი და მრგლოვანი ფორმები, რომელთა არსებობაც კუთხოვანი სისტემის სასარგებლოდ მეტყველებს.

იკვეთება ქართული დამწერლობის ფრიად საინტერესო სურათი, კერძოდ, ქართულ ანბანთშემოქმედებაში ადგილი აქვს, ერთი მხრივ, წყვეტილობას (მრგლოვანი ასომთავრულისა და ნუსხახუცურის სახით) და, მეორე მხრივ, დამწერლობის კონტინუუმს, რომლის აღდგენა ნუსხახუცურსა და სავარაუდო კუთხოვან ასომთავრულს შორის გარკვეულწილად მაინც შესაძლებელია.

გამოვლენილ ქრონოლოგიურ შეუსაბამობას ამძაფრებს ნუსხახუცური დამწერლობის განვითარება. სამი საუკუნის მანძილზე, მრგლოვანი ნუსხახუცური, პირველი კუთხოვანი ნიმუშებიდან (IX-XI სს.) სრულად ჩამონაკეთული სისტემაა, რის გამოც, ივანე ჯავახიშვილი ნუსხახუცურის წარმოშობას გაცილებით უფრო ადრე ვარაუდობს, ხოლო ცვლილების მიზეზად ავხელად დაწერილი ნუსხები მიაჩნია (ჯავახიშვილი 1949:190). სამწუხაროდ, კუთხოვნიდან მრგლოვან ნუსხახუცურზე გადასვლის დამადასტურებელი მკაფიო ფაქტები ჯერაც არ გვაქვს. ამიტომ, ერთი დამწერლობის სხვადასხვა ეტაპს შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ზუსტად განსაზღვრა შეუძლებელია. მეტიც, ნინაალმდეგობრივი თვით განვითარების მსვლელობაა. ნუსხახუცურის შემთხვევაში, სისტემაში მიმდინარე ცვლა ლოგიკურია და კუთხოვნიდან მრგლოვანისკენ მიემართება, მაშინ, როდესაც ტრადიციული შეხედულების მიხედ-

<sup>3</sup> უწყვეტი ნრფე აღნიშნავს მსგავსება-სიახლოვეს, ხოლო წყვეტილი – განსხვავება-დაშორებას.

ვით, მრგლოვანი ასომთავრული და მისგან წარმოქმნილი კუთხოვანი ხუცური ლოგიკური განვითარების მსვლელობას ენიშნა აღმდეგება.

არსებობს მესამე შეხედულებაც, ანუ მხედრული დამწერლობის განსაკუთრებულ თვისებად განსხვავებული გრაფიკული მონახაზი მიაჩნიათ. იგი გაკრული ხელით წერისა და ასოთა გადაბმის შედეგად წარმოქმნილ გამარტივებულ ნუსხახუცურს, უფრო ზუსტად კი მდივან-მწიგნობრულ დამწერლობას წარმოადგენს. ივანე ჯავახიშვილი შენიშნავს, რომ „XIV ს. დამდეგიდან იგი (მხედრული) თავის წარმომშობელს უკვე იმდენად დაშორდა, რომ შეიძლება განსაკუთრებულ დამწერლობად ჩაითვალოს იმისდა მიუხედავად, რომ მისი მოხაზულობის ჩამონაკეთის პროცესი ამ დროსაც ჯერ დამთავრებული არ იყო და შემდეგშიც გრძელდებოდა“ (იქვე, 124; ხაზგასმა ჩვენია – ა. მ.).

აღნიშნული გარემოება ფრიად საინტერესოა, ვინაიდან მდივან-მწიგნობრები – ისინი, ვისაც დამწერლობის ტრადიციების შენარჩუნება და მოვლა-პატრონობა ევალებოდა, – ტრადიციული ფორმების გამოყენებას ამჯობინებდნენ და მრავალფეროვნებას იშვიათად მიმართავდნენ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სახეზეა ორი ურთიერთსაპირისპირო ტენდენცია: ნუსხურის გრაფიკის უცვლელობა და იმავე სისტემის ისეთი კარდინალური ცვლა, რომლის შედეგად, ფაქტობრივად, ახალი სისტემა ჩამოყალიბდა.

გამოვლენილ წინააღმდეგობას ამძაფრებს მხედრულისა და ნუსხურის ძველი და ახალი ფორმების ურთიერთმიმართება. აქ, ერთი მხრივ, უნდა აღინიშნოს ასო-ნიშნების განსხვავებული ვარიანტების გამოყენება ერთსა და იმავე ხელნაწერში, ხოლო მეორე მხრივ, ძველი და ახალი ფორმების პარალელური გამოყენება ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე. შევედაროთ: „ერთსა და იმავე ძეგლში, ერთი და იგივე დამწერელი სულ სხვანაირად წერს ასოს იმისდა მიხედვით, ცალკეა და გადაუბმელი ეს ასო, თუ სხვაზეა გადაბმული“ (იქვე, 191). და შემდეგ: „საბოლოო გამარჯვებაც ძველ მოხაზულობას ვერ სპობდა და ძველიც ამა თუ იმ თემში კვლავ იხმარებოდა“ (იქვე, 192; ხაზგასმა ჩვენია – ა. მ.). აღნიშნული თვისებები მეტად საყურადღებოა, ვინაიდან ასო-ნიშნების გრაფიკის ცვლა, ანუ დიაქრონიული თვისება სინქრონიაში, ერთდროულობაშია წარმოდგენილი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქართული დამწერლობის განვითარების აღნიშნული ეტაპი (ნუსხურიდან მხედრულზე გადასვლა), გარკვეულწილად, დამწერლობის პროცესს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ასპექტის – დინამიკისა და სტატიკის ერთობლიობად წარმოადგენს.

თუ თავს მოვუყრით ქართული ანბანის განვითარების სამივე საფეხურის განხილვის შედეგად მიღებულ დასკვნებს, აღმოჩნდება, რომ სამივე სახეობას (მრგლოვანი ასომთავრული, ნუსხახუცური,



მხედრული) შორის არსებული წინააღმდეგობები მნიშვნელოვანი ინფორმაციის წყაროა. ეერძოდ, ქართულ დამწერლობაში მოცემულია დამწერლობის განვითარების როგორც ლოგიკური – კუთხოვნიდან მრგლოვანზე (კუთხოვანი ნუსხახუცურიდან მრგლოვან ნუსხახუცურზე), ისე ალოგიკური, ანუ უკუშებრუნებული – მრგლოვანიდან კუთხოვანზე (მრგლოვანი ასომთავრულიდან კუთხოვან ნუსხახუცურზე) გადასვლის საფეხურები.

ჰიპოთეტური კუთხოვანი ასომთავრულიდან კუთხოვანი ნუსხახუცურის განვითარებას, ქართული დამწერლობის ისტორიაში შემოაქვს წყვეტილობისა და მუდმივობის ერთობლიობის ცნება, რაც ბუნებრივად აგრძელებს აღწერილ გრაფიკულ განვითარებაში ლოგიკურ-ალოგიკური მიმართულებების თანაარსებობას. აღნიშნულ დასკვნას ქართული ანბანის შესამე საფეხურიც ეხმიანება, რომელიც დამწერლობის კიდევ ერთ უჩვეულო თვისებას – მის ერთდროულ სტატიკასა და დინამიკას აერთიანებს. როგორც ვხედავთ, ქართულ ანბანთა (ასომთავრული მრგლოვანი, ნუსხახუცური და მხედრული) შორის არსებული დერივაციული ურთიერთობები ნათლად წარმოაჩენს არა მათ მიერ განვლილ საფეხურებრივ-ევოლუციურ გზას, რაც დამწერლობის განვითარების ჩვეული პროგრესია, არამედ ურთიერთსაპირისპირო ფენომენების – ლოგიკურ-ალოგიკურის, წყვეტილ-უწყვეტისა და სტატიკა-დინამიკის მიერ შექმნილ მოდელებს, რომლებსაც ეს დერივაციული ურთიერთობები ეყრდნობა.

ამრიგად, ქართული ანბანი ისეთი სადამწერლობო სისტემაა, რომელიც თავის თავში აერთიანებს ანბანური დამწერლობის უზოგადეს და, ამავე დროს, ალოგიკურ და ურთიერთსაწინააღმდეგო კანონებს (კუთხოვნიდან მრგლოვანზე და მრგლოვანიდან კუთხოვანზე გადასვლა, განვითარების წყვეტა და კონტინუუმი). ესაა თვისებები, რომლებიც კარდინალურად განასხვავებს ქართულს ნებისმიერი ცნობილი ანბანისგან. ამიტომ, როდესაც ქართული ანბანის განვითარების მიღებულ სქემაზე ვსაუბრობთ (ასომთავრული → ხუცური → მხედრული), მხედველობაში უნდა გვქონდეს ის ფაქტი, რომ ეს მხოლოდ „სამუშაო“ სქემაა და არა ქართული ანბანის განვითარების მკაცრად დადგენილი ეტაპები.

**ქრონოლოგია.** „დაპირისპირებულთა ერთიანობის“ გარდა ქართულ ანბანებს მრავალი სხვა ანბანისგან კიდევ ერთი თვისება განასხვავებს. ესაა მათი პარალელური გამოყენების ხანგრძლივობა.

ქართული ასომთავრული ანბანი ნუსხახუცურსა და მხედრულთან ერთად თორმეტი საუკუნის მანძილზე გამოიყენებოდა (IX-XIX სს.), მაშინ, როდესაც, მთლიანობაში, მისი გამოყენება 24-27 საუკუნეს ფარავს – ძვ. წ. მე-8-5 საუკუნიდან ახ. წ. მე-19 ს-ის დასაწყისამდე! პალეოგრაფიის ისტორიამ მსგავსი შემთხვევა არ იცის. დამწერ-

ლობის განვითარება აჩვენებს, რომ საზოგადოების განვითარების მანძილზე წარმოქმნილი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ძვრები ახალ-ახალ მოთხოვნებს უყენებს ანბანურ სისტემებს, რომლებიც, მიესადაგებიან ახლად წარმოქმნილ ვითარებას და საკუთარი წარმოშობის წყაროს ხმარებიდან დევნიან (გამყრელიძე 1990:197-198).

ქართული ანბანის სამივე სისტემას შორის არსებული ურთიერთობა დამწერლობის განვითარების საერთო პრინციპებს არ ემორჩილება, რაც, ბუნებრივია, მათი ათასწლოვანი სტაბილურობისა და ფუნქციურობის განსხვავებულ მიზეზებზე მიუთითებს. სამწუხაროდ, ეს უჩვეულო და არაორდინალური პალეოგრაფიული მოვლენა მკვლევართა ყურადღების მიღმა დარჩა, მაშინ, როდესაც, ჩემი ღრმა რწმენით, მას ძალუძს არა მხოლოდ ქართულ ანბანებს შორის არსებული მიმართებების ნათელყოფა, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, საერთოდ ქართული დამწერლობის ქრონოლოგიის განსაზღვრა.

**ქართული ანბანის წარმომავლობა.** ქართული დამწერლობის წარმოშობის თეორიები შეიძლება ორ ძირითად ჯგუფად დაიყოს: პირველს მიეკუთვნება ისეთები, რომელთა მიხედვით ქართული ანბანი მთელი რიგი უცხოური ანბანებიდან იღებს სათავეს, მეორე ჯგუფი კი მის დამოუკიდებელ წარმოშობას ვარაუდობს. პირველი ჯგუფის თეორიებს უცხო პალეოგრაფიული სისტემიდან მომდინარე, ხოლო მეორისას – ქართული ანბანის დამოუკიდებელი წარმოშობის თეორიები შეგვიძლია ვუწოდოთ.

*თეორიები ქართული ანბანის უცხოური წარმომავლობის შესახებ.* ერთ-ერთი პირველი უცხოელი, რომელმაც ქართული ანბანის წარმოშობა უცხოურ ანბანურ სისტემას დაუკავშირა, იყო ფრანგი ქართველოლოგი მარი ბროსე. მისი აზრით, მხედრული, რომელიც ამჟამად უგვიანეს ანბანად ითვლება, ქართლის მეფის ფარნავაზის ეპოქაში იყო ჩამოყალიბებული, ხუცურის შექმნას კი სომხური ანბანის ავტორსა თუ რეფორმატორს მესროპ მაშტოცს მიანერდა (ბროსე I, 1895:65-67). ამავ აზრს გამოთქვამდა ინგლისელი მეცნიერი უ. ე. ალენი (Allen 1932:309-10). ნიკო მარს მხედრული წარმართულ ძეგლად მიაჩნდა, ხუცური კი – ქრისტიანული ეპოქის პირმშოდ (Mapp 1925:1-2).

ამის სანინაალმდეგოდ, გერმანელი მეცნიერი ი. კლაპროთი თვლიდა, რომ მხედრული შექმნილია ინდურ დევანაგარზე დაყრდნობით (Klaproth 1832:73), ხოლო, ჰ. იუნკერის აზრით, ქართული ანბანის საფუძველია ფაჰლევადან წარმომდგარი IV საუკუნის ავესტა (Junker 1925:1926). ინგლისელი ი. ტელიორი და რამდენიმე ქართველი მეცნიერი (ილია ოქრომჭედლიშვილი, სარგის კაკაბაძე) ქართული ანბანის ფაჰლევურ წარმომავლობას იზიარებდნენ (Taylor II, 1983:268), ხოლო ცნობილი ორიენტალისტი გიორგი წერეთელი ქართული ანბანის სათავედ აღმოსავლურ არამეულს მიიჩნევდა (Церетели 1948-49).

გარკვეული პერიოდის მანძილზე არსებობდა შეხედულება ქართული ანბანის სომხური დამწერლობიდან წარმომავლობის შესახებ, რომელიც ეყრდნობოდა ვარდაპეტ კორიუნის *მესროპ მაშტოცის ცხოვრებას*. ქართული ასომთავრულის შემოქმედად მაშტოცი ცხადდებოდა, ადამიანი, რომელმაც, სხვათა შორის, ქართული ენა არ იცოდა. სამწუხაროდ, დასავლეთ ევროპის მეცნიერთა ნაშრომებში დღესაც ვხვდებით ქართველი მეცნიერების მიერ კარგა ხნის წინ გაბათილებულ ამ აზრს. ივ. ჯავახიშვილმა და ზ. ალექსიძემ ნათლად უჩვენეს, რომ *მაშტოცის ცხოვრებაში* დაფიქსირებული ცნობა, მის მიერ ქართული ანბანის შექმნის შესახებ, გვიანდელი ჩანართია (ჯავახიშვილი 1949:198; ალექსიძე 1968:037). ქართული ასომთავრულისა და სომხური ანბანის სტრუქტურული შედარების საფუძველზე თ. გამყრელიძემ დაასკვნა, რომ მაშტოცს ქართული ანბანის შექმნაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია (გამყრელიძე 1990:195). ე. მაჭავარიანის აზრითაც, ორივე ანბანი – ქართული ასომთავრული და სომხური, სხვადასხვა პირთა შემოქმედებაა (მაჭავარიანი 1982:77). რ. პატარიძე მიდის იმ დასკვნამდე, რომ სომხური ანბანის ავტორმა სამი ანბანის ასო-ნიშნები გამოიყენა: სამხრეთ სემიტური (ქრისტიანულ-ეთიოპური), ქართული ასომთავრული და ბერძნული (პატარიძე 1980:544).

მიუხედავად იმისა, რომ ზემოხსენებული თეორიების უმრავლესობა უკუგდებულია, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქართულსა და მრავალ განსხვავებულ ანბანს შორის არსებული მსგავსება საფუძველს მეცნიერებს აძლევს, მათ შორის არსებულ გენეტიკურ კავშირებზე იმსჯელონ. ასეა თუ ისე, დღეს ქართული ასომთავრული ანბანის უცხოური წარმომავლობის ორი ურთიერთსაინააღმდეგო თეორია არსებობს: *ქართული ასომთავრულის წარმომავლობა ფინიკიურიდან ან ბერძნულიდან*. ასომთავრულის ბერძნულიდან წარმომავლობის თეორიის ფუძემდებელია გერმანელი მეცნიერი ვ. გარდტ-ჰაუზენი (Gardthausen 1876:308). ამავე აზრს იზიარებდნენ ქართველი ისტორიკოსები, ენათმეცნიერები და ლიტერატურათმცოდნენი: დიმიტრი ბაქრაძე (ბაქრაძე 1889:83), პავლე ინგოროყვა (ინგოროყვა 1939:167-68), აკაკი შანიძე (შანიძე 1973:19-20), კორნელი კეკელიძე (კეკელიძე 1980:35). დღეს ამ შეხედულებას იცავენ თამაზ გამყრელიძე (გამყრელიძე 1990) და ბესიკ ხურცილავა (ხურცილავა 2009:224-226).

ქართული ასომთავრულის ფინიკიურ წარმომავლობას ვარაუდობენ როგორც უცხოელი (Müller 1864:431-38), ისე ქართველი მეცნიერები: მოსე ჯანაშვილი (ჯანაშვილი 1887), გიორგი ნერეთელი, ივანე ჯავახიშვილი (ჯავახიშვილი 1949) და რამაზ პატარიძე (პატარიძე 1980). მათი თეორიის მიხედვით, ქართული ასომთავრულის

შექმნის თარიღი მერყეობს ძვ. წ. V საუკუნიდან ახ. წ. V საუკუნემდე. კერძოდ, მისი შექმნა ივარაუდება ძვ. წ.-ის 444 წელს. ათასწლოვანი სხვაობა აღნიშნულ თარიღებს შორის იმდენად დიდია, რომ შეუძლებელია ანბანის შექმნის რეალურ ისტორიას ასახავდეს.

ქართველური ისტორიული ტრადიცია ასომთავრულის ფინიკიურიდან წარმომავლობის თეორიას უბამს მხარს. ცნობას ამის შესახებ გვანვდის კათალიკოს ანტონ II-ის *მატიანე შემეცნებათა*. ეს ცნობა თეიმურაზ ბაგრატიონმა შეიტანა თავის ნიგნში, რომელიც გამოსცა გ. შარაძემ: „არა უნიგნონი იყვნენ ქართველნი უნინარესთა ჟამთაცა შინა, ვიდრე ფარნავაზამდე სწერდნენ იგინი უხუცესთა წერილითა. ესე იგი, ქურუმთა მათ, რომელთაცა უხუცესთა და ჳევის-ბერთა უხმობენ, იგინი იყვნენ კერპთა მღვდელნი და მემსხვერპლენი ერისანი ღმერთთა მიმართ. და წერილი მათი არს წერილი ესე ხუცური ჩვენი... მაგრამ წერილნი ხუცესნი პირველსა ჟამსა ქმნილ არს წერილისაგან ებრაულისა და ქალდეურისა და მსგავსცა არიან ასოთა მათთა ჩვენნი ხუცურნი“ (შარაძე 1972:125-26).

ისტორიული ცნობის გვერდით, რომელიც ქართულ დამწერლობას ებრაულ და ქალდეურ დამწერლობებს უკავშირებს, არსებობს ქართული ანბანის დამოუკიდებელი წარმოშობის თეორიაც. ეს აზრი *ქართლის ცხოვრებამ* შემოგვინახა. ქართველი ისტორიკოსის – ლეონტი მროველის ცნობით (X საუკუნე) „ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენაჲ ქართული, და არღარა იზრახებოდა სხუაჲ ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა და ამან შექმნა მნიგნობრობა ქართული“ (*ქართლის ცხოვრება*, 1973:57).<sup>4</sup>

*ქართული ასომთავრულის დამოუკიდებელი წარმოშობის თეორია*. ქართველ პალეოგრაფთა უკანასკნელ გამოკვლევებში აისახა შეხედულება ქართული ანბანის დამოუკიდებელი წარმომავლობის შესახებ. ე. მაჭავარიანი, რომელმაც ქართული ასომთავრულის გრაფიკული საფუძვლები შეისწავლა, ასკვნის: „ასოთა წარმოების რთული ვარიაციული სისტემა და პირობითობის პრინციპზე აგებული ასო-მოხაზულობათა სტილისტური ერთიანობა მიგვითითებს, რომ ქართული ასომთავრულის გრაფიკული სტრუქტურა სხვა ანბანთა ასო-ნიშნების გამოუყენებლად შეიქმნა...შემადგენელ ელემენტთა შორის არსებული პროპორციული გადანყვევითა და სტრუქტურის აგების ე. წ. კვადრატის პრინციპით ქართული ასომთავრულის

<sup>4</sup> თ. გამყრელიძის შეხედულებისამებრ, „მნიგნობრობა ქართული“ ნიშნავს ალოგლოტოგრაფიის წესით ჩანერას: „ტექსტს კარნახობდნენ ქართულად, იგი სინქრონულად ითარგმნებოდა და ჩაინერებოდა...არამეულად და ამოიკითხებოდა ქართულადვე“ (გამყრელიძე 1990:200).

სანყისები ხალხური არქიტექტურის (ქვასა და ხეში არსებულ) ტრადიციებს უკავშირდება" (მაჭავარიანი 1982:98).

ნახსენები ტრადიციები იმირის გორაზე V-IV ათასწლეულებით დათარიღებული საცხოვრებელი სახლების ქრონოლოგიურ სიღრმეს სწვდება. ავტორი ქართული ასომთავრული ანბანის შექმნას ძვ. წ. III ს. ათარიღებს და ამით ეთანხმება ქართულ ისტორიოგრაფიაში დაცულ ცნობას ფარნავაზის მიერ ქართული ანბანის შემოღების შესახებ (იქვე, 104). თუ გავითვალისწინებთ V-IV ათასწლეულებში ქართველთა სამშენებლო ცოდნის დონეს, რაც მხოლოდ მაღალი კულტურისა და მეცნიერული მიღწევების შედეგი შეიძლებოდა ყოფილიყო, ფრიად საეჭვოდ ჩანს ის ფაქტი, რომ ანბანის შექმნის იდეა ქართველებს მხოლოდ 4000 წლის შემდეგ გაუჩნდათ, 1300–1700-წლიანი ინტერვალის გამოტოვებით კი შექმნეს ხუცური და მხედრული ანბანები.

კიდევ უფრო დამაფიქრებელია ის, რომ აღნიშნული 4000 წელი მოიცავს და აჭარბებს კიდევ მსოფლიოს მრავალი ანბანის შექმნისა და განვითარების ისტორიას დღევანდელი ჩათვლით.<sup>5</sup> ფაქტები ურთიერთგამომრიცხავია. ახლა ამას დავუმატოთ ქართული ანბანის 2500 წლიანი სტაბილურობა მისი შექმნიდან და ნათელი ხდება, რომ აქ ყველაფერი რიგზე არ არის: გვაკლია ფაქტები, რომლებიც ლოგიკურად დააკავშირებენ შექმნილი სურათის კომპონენტებს. წინამდებარე ნაშრომი, როგორც შემდეგ გახდება ნათელი, ამ ფაქტების მოსაძიებლად უძველესი ცივილიზაციების ლინგვისტურ და კულტუროლოგიურ სამყაროში განუული მოგზაურობაა.

ასომთავრული ანბანის ათასწლეულების მანძილზე არსებული თვისებების შესაფერ თარიღს გვთავაზობს ზ. ქაფიანიძე. მისი აზრით, ქართული ანბანი დასაბამითგან 5604 წელს უნდა შექმნილიყო. „ქრისტიანულ საქართველოში... მიღებული იყო წელთაღრიცხვის სამი სისტემა, ანუ სამი ერა: წელთაღრიცხვა ქრისტესით, წელთაღრიცხვა დასაბამითგანით და წელთაღრიცხვა ქორონიკონით. წელთაღრიცხვა ქრისტესით ერთნაირი იყო მთელ ქრისტიანულ სამყაროში; რაც შეეხება ქართულ დასაბამითგანსა და ქართულ ქორონიკონს, იგი განსხვავდება ქრისტიანულ სამყაროში მიღებული წელთაღრიცხვისგან.

<sup>5</sup> სურათბატოვანი ნიშნების შემცველ ლურსმული დამწერლობის პირველ ნიმუშებს (ძვ.წ. 3300-3200 წწ.) და ფინიკურ ანბანს (ძვ.წ. c. 1500 წელი) 1700 წელი აშორებს. აღნიშნული პერიოდი, რომელიც კაცობრიობის ისტორიის ყველაზე დრამატული ცვლილებების ხანაა, ორჯერ უფრო მცირეა იმ 4000 წლიან მონაკვეთზე, რომელიც V-IV ათასწლეულებში გამოყენებულ ქართულ ხალხურ ხუროთმოძღვრების პრინციპებს ძვ. წ. მე-3 საუკუნეში ამ პრინციპებზე შექმნილ ასომთავრულ ანბანთან აშორებს. არც ის უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ ფინიკური კონსონანტური ანბანიდან (ძვ. წ. c. 1500 წ.) სრულყოფილი ბერძნული ანბანის ჩამოყალიბებამდე (ძვ.წ. მე-8 საუკუნის შუა ხანები) კაცობრიობას მხოლოდ 750 წელი დასჭირდა.

დასაბამითგანი არის განვლილი დრო ქვეყნის გაჩენიდან, ანუ ადამითგან ქრისტეს შობამდე. ქართული დასაბამითგანი... 5604 წელს ანგარიშობს. წელთაღრიცხვა ქორონიკონით, 532 წლიანი მოქცევის საშუალებით ხდებოდა... ქართულ დასაბამითგანსა და ქართულ ქორონიკონულ წელთაღრიცხვებს შორის ზუსტი მათემატიკურ-ქრონოლოგიური ურთიერთკავშირია, ე. ი. მათ ერთი წარმოშობა აქვთ. ... ქართული დასაბამითგანი განსხვავდება ქრისტიანულ სამყაროში გავრცელებულ დასაბამითგანთა სისტემებისაგან. კერძოდ, ქართული დასაბამითგანი (5604 წ.) ალექსანდრე ბიზანტიურ 5508 წლიან ერას (ბიზანტიურ დასაბამითგანს) 96 წლით; ალექსანდრიულ 5500 წლიან წელთაღრიცხვას – 104 წლით, ხოლო იერუსალიმურ, ანუ პანოდორესეულ 5492 წლიან წელთაღრიცხვას – 112 წლით“ (პატარიძე 1980:269-70).

მარტივი, მაგრამ მკაცრი ლოგიკა იმალება დასაბამითგანის დაწყების თარიღსა (5604 წ.) და ქართული ასომთავრული ანბანის შექმნის ზ. ქაფიანიძის მიერ შემოთავაზებულ თარიღს შორის. მრავალი მკვლევრის ნაშრომმა (რ. პატარიძე, ნ. კანდელაკი, გ. ცერცვაძე, ე. მაჭავარიანი, გ. ნარსიძე, ა. ბაქრაძე, ბ. ხურცილავა...) დაამტკიცა, რომ ქართული ასომთავრული მხოლოდ ხილულად მოცემული ანბანი არ არის. იგი ძლიერ რთული, მრავალშრიანი და, რაც მთავარია, მისტიური სისტემაა, რომელიც, დეკოდირებული უძველესი ასტრონომიული, რელიგიური, მათემატიკური, არქიტექტურული, გეომეტრიული და ა.შ. ფაქტების გარდა, სხვა მრავალ საიდუმლოებასაც მოიცავს (იხ. ქვემოთ). არ არის გამორიცხული, რომ ანბანში მისი შექმნის თარიღი სწორედ კალენდრის ათვლის წერტილით იყოს მოცემული. ამიტომ, 5604 წელი, რომელიც ანგარიშობს დროს კაცობრიობის დასაბამიდან ქრისტეს დაბადებამდე, შესაძლოა, აგრეთვე გვთავაზობდეს ინფორმაციას კაცობრიობის განათლებული არსებობის დასაწყისისა და მისი (კაცობრიობის) განვითარების უმაღლესი, ანბანური საფეხურის შესახებ. ასეა თუ ისე, 5604 წელი ფუნდამენტური რიცხვია, როგორც კალენდარული, ისე ანბანური თვალსაზრისით. ლინგვისტიკის ტერმინი რომ ვიხმართ, ქართული ასომთავრული ანბანი ბინარული სისტემაა, რომლის ერთი სახე ანბანია, ხოლო მეორე – კალენდარი. ანბანისა და კალენდრის აღწერილი ერთობით, მისი შემქმნელების მრწამსი არაორაზროვნად იკითხება: კაცობრიობის სრულფასოვანი არსებობის (ცივილიზაცია) უამთაღრიცხვა მხოლოდ დამწერლობით – აბსტრაქტული აზროვნების უმაღლესი საფეხურით განისაზღვრება. ესაა აგრეთვე მეცნიერების მიერ დღეს უცილობელ ჭეშმარიტებად მიჩნეული დებულება: ცივილიზაცია დამწერლობის გარეშე არ არსებობს. წინააღმდეგობა ქართულ ასომთავრულ ანბანსა და მეცნიერულ აქსიომას შორის

შინაარსობრივი კი არ არის, არამედ ქრონოლოგიური. მაგრამ, თუ გავიხსენებთ ქართული ანბანური სისტემისთვის დამახასიათებელ მთელ რიგ „უცნაურობებს“ (ანბანის სახეობანი, მათი დერივაციული და ქრონოლოგიური ურთიერთმიმართება, მსგავსებანი სხვა ანბანებთან, გასაოცარი სტრუქტურული და სემანტიკური სტაბილურობა, წინააღმდეგობებით აღსავსე თვისებები და სხვ.) ნათელი გახდება, რომ ახლადგამოვლენილი წინააღმდეგობა წესი უფროა, ვიდრე გამონაკლისი, რაც ქართული დამწერლობის კვლევას სრულიად განსხვავებული მეთოდოლოგიით წარმართავს.

### 3. კვლავ ქართული ასომთავრული ღანი, სამიტური 'აინ და ბერძნული ომეგა

განვაგრძოთ ღანის კვლევა და გადავამოწმოთ მისი ურთიერთობა ბერძნულ ომეგასა და ფინიკიურ 'აინთან, ასოებთან, რომლებიც ქართული ასო-ნიშნის წყაროდ არიან მიჩნეულნი. ქართული ასომთავრულის ერთ-ერთი ნამყვანი მკვლევარის, რამაზ პატარიძის მიხედვით, ღანი ბერძნული ომეგას საფუძველზეა შექმნილი, რომელიც, თავის მხრივ, ფინიკიური 'აინიდან იღებს სათავეს. როგორც ზევით იქნა მიკვლეული, ქართული ღანი ორივე ასოსთან გრაფიკული და ფონეტიკური კავშირების უჩვეულო მოდელებს ქმნის. გარეგანი (გრაფიკული) მახასიათებლების თვალსაზრისით, ქართული ასომთავრული ღანი უფრო ახლოს დგას ბერძნულ გრაფემასთან, ხოლო ფონეტიკური ღირებულების თვალსაზრისით, იგი ფინიკიური 'აინის მიერ გადმოცემული ერთ-ერთი ფონემის (ველარული სპირანტი) იდენტურია (პატარიძე 1980:229). უფრო მეტიც, ფონეტიკური მახასიათებლის მიხედვით, ქართული ღანი და ფინიკიური 'აინ ფუნდამენტურად განსხვავდებიან მათი ბერძნული წყვილისგან: ისინი თანხმოვნებია, ბერძნული ომეგა კი – ხმოვანი. სხვაგვარად, ფინიკიური და ქართული ასო-ნიშნები შინაარსობრივად იდენტური ერთეულებია.

აქედან გამომდინარე, სამივე ასო-ნიშნის ალწერილი სპეციფიკური თვისებები მიუთითებს უფრო მჭიდრო ქართველურ-ფინიკიურ, ვიდრე ქართველურ-ბერძნულ ურთიერთობაზე; ამ ვითარებაში, ქართველურ-ფინიკიურ-ბერძნული ჯგუფის შედარებითი ანალიზის დანყება ქართული ასომთავრული ღანისა და ფინიკიური 'აინით არა მხოლოდ ლოგიკურად არის გამართლებული, არამედ აუცილებელიცაა. ბერძნული ომეგას ანალიზში ჩართვა კი მოხდება მაშინ, როდესაც ეს კვლევის აუცილებლობით იქნება განპირობებული.

ფინიკიურმა „აინმა“ გრაფიკული განვითარების ორი საფეხური

განვლო: არქაული და კლასიკური. არქაული საფეხურის „აინ“ შეკრული წრეა (O), კლასიკური ფორმა კი – თავგახსნილი გრაფემა (U). სწორედ ეს უკანასკნელია მიჩნეული (ბერძნული კლასიკური მეთოდის გათვალისწინებით) ქართული „ლანის“ საფუძვლად (პატარაძე 1980:229).

იდეოგრაფიულად „აინ“ თვალთა, სახელი, რომელიც ასო-ნიშნის პირობით (შემთხვევით) დასახელებად არის მიჩნეული. მოყვანილი ტრადიციული შეხედულების საწინააღმდეგოდ, ფინიკიური „აინისა“ და ქართული „ლანის“ მნიშვნელობების შერწყმა („ლანი + აინ“) გვაძლევს სემანტიკას ღმერთი + თვალი. მიღებული ფორმულა ფინიკიურ ასოს სრულიად განსხვავებული სემანტიკით წარმოგვიდგენს: კერძოდ, დედა-ფინიკიური ანბანის ასო „აინ“ ქართველური უჩინარი ღვთაების, ქვეყნისა და ხმელეთის შემოქმედისა თუ გამრიგის თვალის ხდება.

#### 4. ღვთაებრივი თვალის ცნება უძველეს ცივილიზაციაში

ფინიკიურ-ქართველური შესიტყვების საფუძველზე წარმოქმნილ მნიშვნელობაში თითქოს გასაკვირი არაფერია. ღვთაებრივი თვალის ცნება უცხო არ არის არც ძველი და არც თანამედროვე რელიგიური მოძღვრებებისთვის. ავილოთ მაგალითისთვის შუმერი, სადაც ღვთაებრივი თვალის ცნება რელიგიური სისტემის ერთ-ერთი ცენტრალური ელემენტი იყო. „მესოპოტამიაში თვალის გამოსახულება ყოველთვის ძლიერ ომულეტს წარმოადგენდა. ტელ-ბრაკში, რომელიც სირიის ჩრდილო-აღმოსავლეთში მდებარეობს, ეგრეთ წოდებული 'თვალის ტაძრის' შემოგარენში არქეოლოგებმა აღმოაჩინეს გვიანი ურუქით დათარიღებული მცირე ზომის ათასობით 'თვალის კერპი'. ისინი წარმოადგენენ ადამიანის მსგავს სქემატიზებულ ფიგურებს, რომლებიც დამზადებულია თაბაშირის, კირქვის, სტეატიტისა და შავი პრიალა თიხისგან...ზოგს სამი თვალი აქვს, ზოგს კი – ერთიმეორის თავზე განლაგებული ორი წყვილი თვალი. ფიქრობენ, რომ ტაძარი მიძღვნილი იყო თვალის ღმერთისადმი, რომლის გამოსახულებაც თავდაპირველად კვარცხლბეკზე აღმართული ტაძრის შიგნით იქნებოდა მოთავსებული. იშვიათად აღნიშნული კერპების ფიგურები ბავშვს „იხუტებენ“, ასე რომ, განსხვავებული აზრის მიხედვით, ეს ფიგურები ყოვლისმხილველი დედა ღმერთის გამოსახულებებია“ (Black, Green 1992:79-80).

შუმერული ღვთაებრივი თვალის კონცეპტი მნიშვნელოვან სიახლოვეს ამჟღავნებს ქართული წარმართული ღვთაების – ბარბარ-ბარბოლის თავყანისცემასთან. სხვა მრავალ ფუნქციათა შო-



რის, „შეხედულება ბარბალეზე, როგორც გადამდებ სნეულებისა-გან მფარველ და თვალთა შუქის უზენაეს ბატონ-პატრონზე, ყველა ქართველ ტომში არსებობდა“ (ბარდაველიძე 2006:58). „სამეგრელოში გადამდებ სნეულებათაგან, განსაკუთრებით ყვავილისაგან დაბრმავებული პირები, ბარბალეს შველა-დახმარებას სთხოვდნენ“. „ქართლში თვალის ტკივილით დაავადებულებს ან მათ მახლობლებს ბარბალეს სახელობის ეკლესიაში ვერცხლის ან სანთლის „თვალის კაკლები“ მიჰქონდათ და თვალების განკურნებისათვის ლოცვა-ვედრებით ბარბალეს სწირავდნენ“ (იქვე, 58-62). ბარბალეს სახელობის ეკლესიებში აღმოჩენილია შენირული თვალის კაკლების დიდი რაოდენობა და აგრეთვე აკვანი, რაც პირდაპირ აკავშირებს ქართველთა ქალღვთაებას ტელ-ბრაკის დიდ დედასთან და გულში ჩახუტებულ ბავშვთან.<sup>6</sup>

ეგვიპტური ცივილიზაცია, სადაც თვალი ყველაზე მეტად უცნაური სიმბოლოა (Clark 1991:218), ღვთაებრივი თვალის ცნების გავრცელების კიდევ ერთი შესანიშნავი ნიმუშია. ეგვიპტელებს სჯეროდათ, რომ შავარდენის სახით წარმოდგენილი მათი უმაღლესი ღვთაება ჰორუსის (უფროსი ჰორუსი) მარჯვენა თვალი მზე იყო, ხოლო მარცხენა – მთვარე. „მინიერ ასპექტში თვალი ფარაონის აბსოლუტურ ძალაუფლებას განასახიერებდა, მაშინ, როდესაც კოსმიურად იგი 'თვითმპყრობელი თვალი' და მზის მწველი სიცხება“ (იქვე, 221). მწველი მზის უარყოფითმა თვისებებმა (დამანგრეველი ძალა, დამაბრმავებელი სინათლე, ცეცხლი) ხელი შეუწყვეს თვალისა და ჰორუსის სიმბოლოების ფუნდამენტურ ხატებად შერწყმას, რომელშიც ერთმანეთს გაუტოლდა:

**თვალი ≡ ალი ≡ გამანადგურებელი ქალღვთაება ≡ კობრა ≡ გვირგვინი**

ეგვიპტური რელიგიის მრავალი ელემენტის მსგავსად, აღნიშნული ტოლობა პირამიდების ტექსტებიდან ეგვიპტური ცივილიზაციის დასასრულამდე უცვლელი დარჩა (იქვე, 220).

ეგვიპტელთა უმაღლეს ღვთაება თვალს მრავალი უცნაური თვისება აქვს: მას შეუძლია არსებობა, ლაპარაკი და მისი პატრონისგან დამოუკიდებლად მოქმედება. იგი უმაღლესი ღმერთის დავალებასაც ასრულებს, რომ შუ და ტეფნუტი<sup>7</sup> მამას მიჰგვაროს. ახალი წლის დღესასწაულს თვალი ხელმძღვანელობდა, მანვე განაცხადა საკუთარი უმაღლესი ძალაუფლება ყველა ღმერთზე. თვითონ განსაჯეთ:

<sup>6</sup> ბარბალესა და შემერული მზის ღვთაების კავშირზე იხ. ვ. ბარდაველიძე, *ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, ღვთაება ბარბარ-ბაბარ, კავკასიური სახლი, თბილისი, 2006.*

<sup>7</sup> შუ და ტეფნუტი იყვნენ და-ძმა მეუღლეები. შუ განასახიერებდა ჰაერს და მზეს, ტეფნუტი კი – მთვარეს.

„შენი სიტყვით მე ძალა მომეცა  
და გავხდი ღმერთებზე უძლიერესი“ (იქვე, 223).

ჰორუსის<sup>8</sup> თვალი „ყოველგვარი გენერაციული ძალებისა და სი-  
ცოცხლის წარმოშობის მუდმივ წყაროდ მიაჩნდათ“ (Budge 1971:119).  
კუბოს ტექსტების 316-ე შელოცვაში დასაბამიერი ყოვლისმხილვე-  
ლი თვალი ჰორუსს ეკუთვნის:

„მე ვარ ჰორუსის თვალი ყოვლისმხილველი,  
რომლის გამოჩენა თავზარდამცემია,

შემმუსვრელი ქალბატონი, შიშის მომგვრელი უძლიერესი ერთი“  
(Clark 1991:221; ხაზგასმა ჩვენია – ა. მ.).

ეგვიპტური ღვთაებრივი პანთეონის ერთ-ერთი წამყვანი ღმერ-  
თის, ოსირისის სახელწოდებაც „თვალის ადგილს“ ნიშნავს. ოსირი-  
სის თვალი ღმერთს სეთმა ამოგლიჯა და გადააგდო, თოთმა კი იპო-  
ვა, ააწყო და თავის ადგილზე ჩასვა. ამ თვალს, რომელიც მთვარეს  
წარმოადგენს, ხშირად „Wedjat (ვეჯატ) თვალს“ უწოდებენ.


ჰორუსის ღვთაებრივი თვალისა და ვეჯატ თვალის გარდა, არ-  
სებობდა კიდევ ერთი, მივიწყებული ღვთაება „კაცის ან სახის ფორ-  
მით, რომელიც იხსენიება შესიტყვებით 'ის, ვინც ორივე თვალს გა-  
ნაგებს' ან მისი ალტერნატიული ფორმით 'უსინათლო'“ (იქვე, 219;  
ხაზგასმა ჩვენია – ა. მ.). ფიქრობენ, რომ ეს ღვთაება განასახიერებს  
უმთვარო ცას.

თვალის მნიშვნელობა იმდენად დიდი იყო, რომ, რწმენის მიხედ-  
ვით, თვით გარდაცვლილსაც შეეძლო იმით სარგებლობა. ოქროს  
ფირფიტებით დაფარული ლაპის ლაზულის თვალის ამულეტს ათავ-  
სებდნენ გარდაცვლილის სხეულზე გარკვეული თავის (CXL) ნაკითხ-  
ვისა და ზაფხულის ნაბუნიაობისას მსხვერპლის შეწირვის შემდეგ  
(Budge 1971:57).

მიუხედავად სიმოკლისა, წარმოდგენილი მიმოხილვა ააშკარა-  
ვებს ღვთაებრივი თვალის ცნების დიდ მნიშვნელობას წარსულის  
უდიდესი ცივილიზაციების (შუმერული, ეგვიპტური) რელიგიებში.  
მართალია, აღნიშნულმა ცივილიზაციებმა დიდი ხნის წინ შეწყვიტეს  
არსებობა, მაგრამ მათი ბედი ყოვლისმხილველი თვალის ცნებას,  
რომელიც ქრისტიანულმა მრწამსმა შეითვისა, წამდვილად არ გაუ-  
ზიარებია. ბიბლია უხვად გვთავაზობს დამადასტურებელ მასალას  
ღვთაებრივი თვალის, როგორც ქრისტიანული დოქტრინის ერთ-  
ერთი წამყვანი ცნების, მნიშვნელობაზე. მაგალითისთვის გავიხსე-  
ნოთ პავლე მოციქულის სიტყვები: „და არ არის ქმნილება, დაფარუ-  
ლი რომ იყოს მისთვის, არამედ ყოველივე გაშიშვლებულია და გა-  
მოაშკარავებული მის თვალთა წინაშე, ვისადმიც მიმართულია ჩვენი

<sup>8</sup> ეგვიპტური ჰორუსის ანალიზი იხ. გვ. 222-242.

სიტყვა“ (ებრ. 4:13; აქ და შემდგომ ხაზგასმა ჩვენია – ა. მ.). აგრეთვე: „ყველგან უფლის თვალებია, ხედავენ უკეთურებს და კეთილებს“ (იგავ. 15:3); და კიდევ: ღმერთი „გაბატონებულია თავისი სიძლიერით მსოფლიოზე, მისი თვალები ჭვრეტენ ერებს. ვინც ეურჩება, არ ამაღლდება“ (ფსალმ. 66:7) და ა.შ.



სურ 1. ყოვლისმხილველი თვალი ჯვარზე, მანგლისის ეკლესია. 2010 წ. (ავტორის ფოტოარქივი)

ქრისტიანული ტაძრები თუ სამოქალაქო დანიშნულების ნაგებობები იმავე ცნობას გვანვდიან. მათზე გამოხატული ღვთაებრივი, ყოვლისმხილველი თვალი, რომელიც ზეციდან ჭვრეტს სამყაროს, ამთლიანებს და თავს უყრის ამ ცნების ყველა ასპექტს კაცობრიობის ცივილიზებული არსებობის უადრესი დროიდან დღემდე (სურ. 1).

ღვთაებრივი თვალის იდეით დაინტერესებას, გატაცებასა და მასზე მუდმივად ზრუნვას შეუძლებელია, გავლენა არ მოეხდინა ღვთაებრივი შემოქმედების მეორე სფეროზე – დამწერლობაზე, რომლის შექმნა, იქნება ეს სურათხატოვანი, იეროგლიფური თუ ანბანური, წარმოადგენს უზარმაზარ ნახტომს კაცობრიობის განვითარებაში. მისი მეშვეობით იწყება ადამიანთა ინტელექტუალური ისტორია, რომელშიც ოდესღაც არსებული ლოგიკური კავშირები დღეს გაფერმკრთალებული და დაკარგულია. სრულიად გაუშიფრავი დამწერლობების (იეროგლიფური ხეთური, პროტოელამური, ინდის ველის დამწერლობა) გვერდით არიან ისეთებიც, რომლებიც დაემორჩილნენ მეცნიერთა დაჟინებულ მცდელობებს და თავიანთ სიღრმეებში ჩანვდომის შესაძლებლობა მისცეს.

## 5. შუმერული და ეგვიპტური დამწერლობის შედარებითი ანალიზი

ამ სფეროში, ყველაზე ღირსშესანიშნავ მიღწევებს შუმერული და ეგვიპტური დამწერლობითი სისტემების გაშიფრა წარმოადგენს, რაც, სამწუხაროდ, სრულყოფილებისგან ჯერ კიდევ შორს დგას. აღნიშნული სისტემები დამოუკიდებელი განვითარების შედეგად მიაჩნიათ და, თუ რაიმე კავშირს მაინც ხედავენ, ფიქრობენ, რომ ეგვიპტელებმა შუმერებისგან მხოლოდ დამწერლობის იდეა ისესხეს (Forman,

Quirke 1996:12). თვითონ განსაჯეთ: „...პირველ დაფიქსირებულ ნიმუშებში არსებული მსგავსება (ძვ.წ. c. 3200) და ლოგოგრაფიის, ფონოგრაფიისა და დეტერმინატივების კომბინაცია საკმარისი აღმოჩნდა, დაერწმუნებინა ეგვიპტოლოგები (Fischer 1977:1189; Schenkel 1984:725), რომ დამწერლობის იდეა ეგვიპტეში შუმერიდან მოვიდა. ამ ორ ხალხს შორის არსებული ადრეული კონტაქტები ფიშერისა და მიხალოვსკის ნაშრომებში არის დოკუმენტირებული“ (Daniels 1996:24).

აღიარებული შეხედულების მიუხედავად, შუმერულ და ეგვიპტურ დამწერლობებს შორის არსებული განსხვავებების (რომ არაფერი ვთქვათ მსგავსების შესახებ) ლინგვოკულტუროლოგიური შედარება ნარმოაჩენს მათ, როგორც ერთი სისტემის შემადგენელ პოლარულ კატეგორიებს, რაც ორივე სისტემის თვისებრივად უფრო მაღალ და დაფარულ კავშირებზე მიუთითებს. ეს უკანასკნელი, მსგავსება-განსხვავებათა ხუთ დონეს მოიცავს:

#### ცხრილი 4

#### შუმერულ და ეგვიპტურ დამწერლობათა მსგავსება-განსხვავებები

განსხვავება	მსგავსება
1. გრაფიკული	1. რელიგიური
2. ფონეტიკურ-ნოტაციური	2. ენობრივი
3. სიმბოლური	

**დამწერლობის გრაფიკა.** დღევანდელ დამწერლობათმცოდნეობაში გენეტიკური კავშირების განმსაზღვრელი ერთ-ერთი ძირითადი კრიტერიუმი გრაფიკული მსგავსებაა. ამ კუთხით შუმერული და ეგვიპტური პალეოგრაფიული სისტემები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან. სურათხატოვანი დამწერლობით დაწყებული და ლურსმულით დამთავრებული, შუმერული „აღფაბეტი“ იმთავითვე ამჟღავნებდა ტენდენციას აბსტრაქციისკენ, რამაც ასონიშანთა გრაფიკულ განვითარებაში გეომეტრიული პრინციპი შინაგან მამოძრავებელ ძალად აქცია.

ენის ბილატერალური ბუნების გადმოცემის თვალსაზრისით, ხაზობრივ-კუთხოვან გრაფიკაზე დაფუძნებული დამწერლობის ძირითადი მახასიათებელი თვისება არის „აღსანიშნა“ (საგანი) და „აღმნიშვნელს“ (სიტყვა), ანუ ფორმასა და შინაარსს შორის არსებული პირობითი (კონვენციონალური) ურთიერთობა (გავიხსენოთ ნებისმიერი ანბანური დამწერლობა). სხვაგვარად, საგანსა და სიტყვის ფორმას შორის „ბუნებრივი“ კავშირი არ არსებობს. ამის გამო, შუმერული და საერთოდ, ნებისმიერი დამწერლობის სურათხატოვანი

ნიშნების ნაკითხვა უფრო იოლია, ვიდრე მათი გააბსტრაგირებული გეომეტრიული ნიშნებისა.

ამრიგად, შუმერული დამწერლობა შეგვიძლია დავახასიათოთ, როგორც სისტემა, რომლის შინაგან მამოძრავებელ ძალას, მისი განვითარების ორივე ეტაპზე, სურათხატოვანსა და ლურსმულზე – აბსტრაქტული გრაფიკა წარმოადგენდა, ფორმა, – რომელმაც საბოლოო გამოხატულება გეომეტრიულ ხაზოვან-კუთხოვან გრაფიკაში ჰპოვა.

შუმერულის საწინააღმდეგოდ, ეგვიპტური იეროგლიფი ხატოვანი გამოსახვის პრინციპს ეყრდნობა და ცდილობს, დაამყაროს მაქსიმალური მსგავსება „აღსანიშნსა“ და „აღმნიშვნელს“ შორის. შესაბამისად, ხდება ლოგიკური და ბუნებრივი კავშირების დამყარება სიტყვის ფორმასა და შინაარსს შორის. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეგვიპტური დამწერლობის პირველ ეტაპზე, ანუ პირველი და მეორე დინასტიების ეპოქაში, იეროგლიფურ სისტემაში მრავლად მოიპოვებოდა გეომეტრიული გრაფიკის ნიშნები, რაც აღნიშნულ დამწერლობას, ამ ხაზით განვითარების დიდ შესაძლებლობას უქმნიდა (იხ. H. Petrie, *Egyptian Hieroglyphs of the First and Second Dynasties*, 1927). მიუხედავად ამისა, საგნის კონკრეტულ ფორმაზე ორიენტირებულმა ეგვიპტურმა დამწერლობამ ეს შესაძლებლობა ვერ გამოიყენა.

ირკვევა, რომ შუმერული და ეგვიპტური დამწერლობის სისტემები, ორ, ურთიერთსაწინააღმდეგო პრინციპზეა დაფუძნებული: შუმერული – აბსტრაქციაზე და შესაბამისად, გეომეტრიულ გრაფიკაზე, ხოლო ეგვიპტური – კონკრეტიკაზე და შესაბამისად, ხატოვან „გრაფიკაზე“. აბსტრაქცია და კონკრეტიკა, აზროვნების პროცესის ორი, ურთიერთსაწინააღმდეგო ფორმაა (ისევე, როგორც ინდექცია და დედექცია ან კონვერგენცია და დივერგენცია და ა.შ.). პირველი, მაღალი საფეხურის ფენომენია, მაშინ, როდესაც მეორე, შედარებით დაბალ საფეხურს მიეკუთვნება.

აბსტრაქციაზე ორიენტირებულ შუმერულ დამწერლობას განვითარების უფრო დიდი პოტენცია გააჩნდა (რაც გამოიყენა კიდეც!), ვიდრე ეგვიპტურ რეალისტურ ხატზე ფოკუსირებულ, მაგრამ ხისტ დამწერლობას, რომელიც თავისი პრინციპების ერთგული, სისტემის გადაშენებამდე დარჩა.

**ფონეტიკურ-ნოტაციური დონე.** სისტემებს შორის შემდეგი არსებითი ხასიათის „პალეოგრაფიული“ განსხვავება სრულმნიშვნელოვანი სიტყვების აგება-ნოტაციაა. შუმერული – ლოგოსილაბური დამწერლობაა, ეგვიპტური კი – ლოგოკონსონანტური. პირველ შემთხვევაში, მარცვალი ან დამოუკიდებელი იდეოგრამაა, ან სხვა ლექსიკური ერთეულის ნაწილი, რომელიც კარგავს თავის დამოუკიდებლობას და წმინდა ფონეტიკურ ელემენტად გადაიქცევა (რებუსის

პრინციპი). მარცვლის შემადგელობაში ხმოვნის არსებობა აუცილებელი პირობაა. მაგალითად: *a* (*წყალი*), *a*<sub>2</sub> (*მკლავი*; *სამუშაო...*), *da* (*ფრინველი*), *ma*<sub>2</sub> (*გემი*) და ა.შ. ეგვიპტურში სიტყვები შემოკლებული სახით იწერება, რაც ხორციელდება ხმოვნების ამოგდებით და სიტყვის თანხმოვანთა თანმიმდევრობის გათვალისწინებით. მაგალითად, *ntr* (*ღმერთი*), *ntrt* (*ქალღმერთი*), *sn* (*ძმა*), *jtj* (*მამა*) და ა. შ.

როგორც ვხედავთ, შუმერული და ეგვიპტური დამწერლობის სისტემები, ენის ფონეტიკური მხარის შემადგენელი, ორი, თვისებრივად განსხვავებული ფონემის (ხმოვანი – თანხმოვანი) გამიჯვნა-განსხვავებაზეა აგებული. შუმერული მარცვლისთვის ხმოვანი აუცილებელი ელემენტია, ეგვიპტურისთვის კი დომინანტ ბგერას თანხმოვანი წარმოადგენს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ორივე განხილულ დონეზე, შუმერული და ეგვიპტური წერითი სისტემები ურთიერთსანიშნააღმდეგო პრინციპებზეა აგებული: გრაფიკული თვალსაზრისით, შუმერული აბსტრაქციასა და გეომეტრიულ მონახაზს იყენებს, ეგვიპტური კი კონკრეტულსა და ხატვის ხელოვნებას, ხოლო ორივე ერთად წარმოადგენს აზროვნების საპირისპირო ფორმებს. ენობრივი ერთეულების ფონეტიკური ნოტაციისთვის გამოყენებული მეთოდებიც მკაცრად არის გამიჯნული: შუმერული ხმოვანზე ორიენტირებულ ლოგოსილაბურ პრინციპს იყენებს, ხოლო ეგვიპტური ლოგოკონსონანტური დამწერლობაა, ორივე (ხმოვანი, თანხმოვანი) ერთად კი ნებისმიერი ენის ბგერითი ფორმის არსებობის საწინდარია.

**რელიგიური დონე.** მიუხედავად აღწერილი განსხვავებებისა, შუმერულსა და ეგვიპტურ დამწერლობათა სისტემებს აქვთ საერთო თვისებებიც, რომლებიც ხშირად არასარწმუნოდ მიაჩნიათ და ამიტომ „პალეოგრაფიული“ განხილვის მიღმაა დატოვებული. ერთი ასეთი საერთო თვისება მათი ღვთაებრივი წარმოშობაა. შუმერებს, ისევე, როგორც ეგვიპტელებს, სწამდათ, რომ დამწერლობა ღვთაებრივი შემოქმედების ნაყოფია, ღვთიური ძღვენია, რომელიც ხალხმა შემოქმედისგან მიიღო და ღვთის მფარველობის ქვეშე იმყოფებოდა. შუმერისა და მესოპოტამიის დამწერლობის ღმერთი იყო ნაბუ (ძველი ნაკითხვით ნებო; Jastrow 1898:124. სილაბური დამწერლობა \*na-bi-um, ლოგოგრაფიული \*AK ან \*Pa). „მისი ეტიმოლოგია სადავოა; შესაძლოა მომდინარეობდეს nb-დან, რომლის მნიშვნელობაა 'დაძახება, გამოცხადება' და ნიშნავდეს 'ის, ვინც ეძახის' ან შესაძლოა, წარმოდგებოდეს ne/abu-დან, მნიშვნელობით 'მბრწყინავი, ელვარე', ანდა მომდინარეობდეს სრულიად განსხვავებული, უცნობი ძველ-ასურული ძირიდან“ (Leick 1998:123). ნაბუ (Nabû), წარმოშობით, დასავლეთ სემიტური სამყაროს ღმერთად არის მიჩნეული, რადგანაც იგი ებლას ღმერთებს შორის მოიხსენიება. მეორე ათასწლეულის და-

სანყისისთვის, ნაბუ ამორეველებმა მესოპოტამიაში შეიტანეს, ალბათ მარდუქთან ერთად, ვინაიდან, თავისი არსებობის მანძილზე, ისინი (ნაბუ და მარდუქი) მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. მარდუქი ბაბილონის ლმერთია, ნაბუ – ბორსიპასი. მოგვიანებით, ნაბუ მარდუქისა და შარპანიტუმის შვილად იქნა მიჩნეული (იქვე). იგი იყო ბედისწერის ღვთაებრივი მწერალი, გადამწერთა და დამწერლობის პატრონი (Black, Green 1992:133), „დამწერლობის, ასონიშანთა და ყოველგვარი განსწავლულობის შემქმნელი და შემოქმედი, 'ფირფიტების სახლის', ანუ ბიბლიოთეკის ლმერთი“ (Budge 1925:199). „ნაბუს“ ატრიბუტს და მის ღვთაებრივ სიმბოლოს სამკუთხოვანი წვერის მქონე კალამი წარმოადგენდა (იქვე, 185). „ვინაიდან დამწერლობის საშუალებით უზარმაზარი ცოდნის გადაცემა შეიძლებოდა, მოგვიანებით, ნაბუ ეასა (ენქი) და მარდუქს შეერწყა, როგორც სიბრძნის ლმერთი“ (იქვე, 133).

იგივე სურათი გვაქვს ეგვიპტურშიც, სადაც დამწერლობის შემქმნელად და გადამწერების პატრონად მთვარის ღვთაება თოთი ითვლებოდა. იგი წმინდა წიგნების, მეცნიერებისა და ცოდნის ლმერთი და პატრონი იყო. მის ატრიბუტს წარმოადგენდა ჩალის დაფა ან პალმის ფოთოლი.

ცოდნა, რომელსაც მესოპოტამიაში ნაბუ, ხოლო ეგვიპტეში თოთი პატრონობდა, წმინდა იყო და ამიტომაც საკრალურ ბიბლიოთეკებში საიდუმლოდ ინახებოდა, სადაც შესვლის უფლება მხოლოდ მმართველ ელიტას ჰქონდა.<sup>9</sup> შუმერი და ეგვიპტელი ქურუმების ცოდნას უდიდესი ბერძენი მოაზროვნენი დიდი მონინებით ეპყრობოდნენ. მათი აზრით, ეს ორი ქვეყანა ცოდნის დასაბამის, ცივილიზაციისა და ხელოვნების წყაროს წარმოადგენდა. სწორედ განათლებამ, სიბრძნემ და ცოდნამ გაუთქვა სახელი შუმერსა და ეგვიპტეს უძველესი კულტურული სამყაროს ხალხებში.

სიმბოლიკა. შემდეგი თვისება, რომელიც შუმერულ და ეგვიპტურ წერილობით სისტემებს აერთიანებს, ნაბუსა და თოთის საწერ ატრიბუტებს შეეხება. ნაბუს, როგორც დამწერლობის ლმერთის სიმბოლო – კალამია, ხოლო თოთისა – ჩალის დაფა ან პალმის ფოთოლი. ნაბუ და თოთი გარეგნულად (ფიზიკურად, ჩაცმულობით, ღვთაებრივი ატრიბუტიკით) განსხვავებული ღვთაებებია, თუმცა, არსე-

<sup>9</sup> ეგვიპტის ისტორია ცხადყოფს, რომ გარკვეულ შემთხვევებში თვით სამეფო ოჯახის წარმომადგენლებსაც კი არ ჰქონდათ აღნიშნულ ბიბლიოთეკებში შესვლის უფლება, რომ არაფერი ვთქვათ საზოგადოების ჩვეულებრივ წევრებსა თუ გაუნათლებელ ნაწილზე: „მე-17 დინასტიას ალბათ არ ჰქონდა მემფისისა და პელიოპოლისის ცოდნის უძველეს ცენტრებში შესვლის უფლება. საკრალურ ბიბლიოთეკებში შესვლის შესაძლებლობას მოკლებულებს ისლა დარჩენოდათ, რომ სიკვდილის შემდეგ გადარჩენის ტექსტების ახალი რედაქცია შეეკეთათ“ (Forman, Quirke 1996:114)

ბითად, ერთი მთლიანობის ორ განუყოფელ სახეს წარმოადგენენ. შუმერულ-ეგვიპტური დამწერლობის ღმერთების ერთობა დამყარებულია, ერთი მხრივ, ფუნქციურ იდენტურობაზე და, მეორე მხრივ, მათზე დაკისრებული უძირითადესი ამოცანის დამოუკიდებლად შესრულების უძღურებაზე, – ისინი დამწერლობისთვის აუცილებელ მხოლოდ თითო-თითო ინსტრუმენტს ფლობენ: კერძოდ, შუმერული ნაბუს სიმბოლო კალამია, ხოლო ეგვიპტური თოთისა – სანერი დაფა. ცალ-ცალკე, ვერც ნაბუ და ვერც თოთი დამწერლობის სრულყოფილ ღმერთად ვერ ჩაითვლება და ამიტომ ისინი უფრო ფართო, ურთიერთმიმართებით კონტექსტში უნდა განვიხილოთ. ამგვარი მიდგომისას ნაბუ და თოთი ერთიანდებიან დამწერლობის ღმერთის ერთ ღვთაებაში, რომლის ატრიბუტებსაც სწორედ მათი ინსტრუმენტები შეადგენენ: კალამი – როგორც სანერი ინსტრუმენტი და ჩალის დაფა/პალმის ფოთოლი – როგორც სანერი ზედაპირი. აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ ნაბუ და თოთი ორი განსხვავებული ცივილიზაციის ღმერთები არიან, ატრიბუტიკისა და სიმბოლიკის საფუძველზე, ისინი, თვით შუმერებისა და ეგვიპტელების აზრით, დამწერლობის შემქმნელი ერთი ღმერთის ორი განუყოფელი სახეა, ღმერთისა, რომელმაც ამ ორი ცივილიზაციის დამწერლობის ღვთაებებს საკუთარი სანერი ინსტრუმენტები გაუნაწილა.

ტრადიციული შეხედულების საპირისპიროდ, სადაც შუმერული და ეგვიპტური დამწერლობები ერთმანეთთან დაუკავშირებელი სისტემებია, გრაფიკაში, მეთოდებსა და ინსტრუმენტების დანაწილებაში გამოვლენილი უკიდურესი სიზუსტე და აღრევა-დამთხვევის კვალის არარსებობა, მნიშვნელოვანი ინფორმაციული ფაქტორი ხდება. კალამი და დაფა ის ინსტრუმენტებია, რომლებიც დამწერლობის ღმერთს *per se* (ისევე, როგორც ნებისმიერ ადამიანს) დამწერლობითი საქმიანობისას სჭირდება. ამიტომ ლოგიკურია, ვივარაუდოთ, რომ ნაბუსა და თოთის უკან დგას დამწერლობის **ჭეშმარიტი ღმერთი**, რომელიც ამავე დროს სანერი კალმისა და დაფის ერთადერთი მფლობელია. თუ წარმოდგენილი განზოგადება სწორია, შუმერული და ეგვიპტური ღმერთები დამწერლობის ერთი ღმერთის ორი განსხვავებული ეთნიკური სახეა. ეს დაფარული ღმერთი ის შემოქმედი, რომელმაც ასე შეუცდომლად და ზუსტად დაუნაწილა საკუთარი სანერი იარაღები თავის შუმერულ და ეგვიპტურ განსხეულებებს, განუსაზღვრა ენის გრაფიკული დაფიქსირების ფორმები (აბსტრაქცია-კონკრეტიკა) და ფონემათა (ხმოვანი-თანხმოვანი) კოდიფიკაციის პრინციპები.

უფრო მეტიც, დამწერლობის საკრალური, ღვთაებრივი და დაფარული ბუნების გამო, სავსებით შესაძლებელია, რომ შუმერული და ეგვიპტური ღმერთების გამოაშკარავებული ჰარმონიული



შერწყმა იმ „აისბერგის“ წვერზე მიუთითებდეს, რომლის ტანი გარდასული ათასწლეულების სიღრმეშია ჩაძირული. ასევე შესაძლებელია, რომ დამწერლობის მეთოდებისა და ინსტრუმენტების ჰარმონიული დანაწილება უძველესი საიდუმლოების ნიშანსვეტად იდგეს და უხილავი მთლიანის ხილულ ნაწილს წარმოადგენდეს. აქვე შევნიშნავთ, რომ უხილავი, პირდაპირ აღქმას არ ექვემდებარება და, მაშასადამე, ეზოთერიზმის სფეროს მიეკუთვნება; ეს უკანასკნელი კი გარკვეული მიზნით შექმნილი კოდური სისტემაა, რომლის გახსნა მხოლოდ იმ გასაღებით არის შესაძლებელი, რომლითაც აღნიშნული კოდის ჩანერა მოხდა. შესაბამისად, თუ ნაბუ და თოთი ამგვარი კოდის ნაწილს შეადგენენ, მაშინ ეს შუმერულ-ეგვიპტური ღვთაებრივი წყვილი 5000 წლის ხელშეუხებელ ინფორმაციას უნდა გვიმალავდეს.

კვლევა გვიჩვენებს, რომ სანერი მეთოდებისა და ინსტრუმენტების მწყობრი განლაგება მართლაც მალავს საიდუმლოებას, რადგან წარმოადგენს შიფრს, რომლის დანიშნულებაც, შუმერული და ეგვიპტური დამწერლობის ღმერთების, ნაბუსა და თოთის, ქართველურ წიაღში დაბრუნება გახლავთ.

## 6. შუმერული ნაბუს შედარებითი ლინგვისტური ანალიზი

„ნაბუს“ გარდა, შუმერულში ორი ომონიმური სიტყვაც გვაქვს:  
I nab – ღმერთი;

II nab – დასახლებული პუნქტი (Deimel 1950:168).<sup>10</sup>

თეოფორული „ნაბუსა“ და მოყვანილი საზოგადო არსებითი სახელის შედარება ნათელყოფს მათ შორის არსებულ ერთადერთ ფონეტიკურ განსხვავებას, სახელდობრ, ფორმა ნაბ ბოლო -უ ხმოვნის გარეშეა წარმოდგენილი. სემანტიკურად ნაბუ („დამწერლობის ღმერთი“) და I ნაბ იდენტურია და მეტონიმური ურთიერთობების საფუძველზე თანაარსებობენ:

ნაბ = ღმერთი → ნაბუ = კონკრეტული ღვთაება

აღნიშნულ სემანტიკურ კავშირს მხარს უჭერს ლინგვისტური აქსიომა საკუთარი სახელების შესაბამისი საზოგადო სახელებიდან წარმოქმნის შესახებ. შედეგად, ღვთაებრივი სახელი „ნაბუ“ უნდა წარმოქმნილიყო „I ნაბიდან“: ნაბუ < ნაბ.

ქართველურ ენებში არსებობს ანალოგიური ფონეტიკის მქონე ლექსემა:

ძვ. ქართ. ნება, ნებვა – „სურვილი, ნდომა; გულება, ჯერ-ჩენა, ჩენა“ (აბულაძე 1973:326);

<sup>10</sup> II ნაბ ნაპროში განხილული არ არის.

ახ. ქართ. ნება – 1. უფლება ან შესაძლებლობა თავისი შეხედუ-  
ლების ან სურვილის მიხედვით მოქცევისა; 2. სურვილი  
(ქეგლ 1958:1457-1458);

მეგრ. ნება – „ნებისყოფა, სურვილი, თავისუფლება, ნების  
დართვა, უფლება“ (ყიფშიძე 1994:288);

სვან. ნაბ (ზს.), ნებ (ლშხ.), ა-ნაბ, ნაბ (ლნტ.) – „ნება“ (თო-  
ფურია, ქალდანი 2000:624).<sup>11</sup>

სალექსიკონო სტატიები ცხადყოფენ, რომ ქართველურ ენებში  
აღნიშნული ძირი (ნებ) სამი ფონეტიკური ვარიანტით არის წარმოდ-  
გენილი:

ფუძისეული ე ხმოვნით (ქართ., მეგრ. ნება, სვან. ნებ);

ფუძისეული ა ხმოვნით (სვან. ა-ნაბ);

ფუძისეული უმლაუტირებული ჯ ხმოვნით (სვან. ნაბ).

წარმოდგენილი ლექსემები მდიდარ მასალას გვთავაზობენ  
ქართველური „ნებისა“ და შუშერული ნაბ-ნაბუს ურთიერთობების  
დასადგენად. რაკი სამივე ქართველურ ენაში ე ხმოვნიანი ფორმა  
მოგვეპოვება, ბუნებრივია, თავდაპირველ ფორმად სწორედ ის ვივა-  
რაუდოთ, ხოლო დანარჩენი ა და ჯ ხმოვნიანი ვარიანტები (ნაბ, ა-ნაბ)  
მოგვიანო განვითარების შედეგად მივიჩნოთ.

*როგორი იყო ეს მოგვიანო განვითარება?*

*შეგვიძლია მისი რეკონსტრუქცია?*

ვფიქრობ, შეგვიძლია. ამის საშუალებას გვაძლევს სვანური მა-  
სალა, რომლის დიალექტებში შემორჩენილი „ნებ“ ძირის ფონეტიკუ-  
რი მრავალფეროვნება სარკესავით აირეკლავს ენის სისტემის შიგ-  
ნით მომხდარ ცვლილებებს. ხაზგასმით აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ  
სვანურში ფიგურირებს როგორც თავდაპირველი ე ხმოვნიანი ძირი  
(ლშხ. „ნებ“), ისე ა და ჯ ხმოვნიანი ვარიანტები. უფრო მეტიც, ლენ-  
ტეხურ დიალექტში შემორჩენილია ა-ნაბ ფორმაც, სადაც ანლაუტის  
ა- მის პრეფიქსულ ფუნქციაზე უნდა მიუთითებდეს. თუ ა-ნაბ წანარ-  
მოები სიტყვაა, მისი სტრუქტურა შეესაბამება ა+ნაბ-ს. როგორც  
ზმნის პრეფიქსი, ა- ზედაობის მაჩვენებელი ელემენტია როგორც  
სვანურში (მაგ. ბზ. ადგარი „კლავს“, ზს. ჰსყი „აკეთებს“ ან ზს. ხ-ადგ  
არი „კლავს“, ლშხ. ხ-აძრა „ანერია“; თოფურია, ქალდანი 2000:19),  
ისე ქართულში („ა-ჰყავს, ა-ცოცდა, ა-ს-ძახის, ა-ჰ-ყვირის“ და ა.შ.;  
ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე 1988:10), ხოლო როგორც არსებითი სა-  
ხელის პრეფიქსი, ა- „ნების მქონებელზე“ მიუთითებს (შდრ.: ქართუ-  
ლი „ა-ჩრდილ-ი, ა-დგილ-ი“ და სხვ. „ჩრდილის მქონე, ადგილის მქო-  
ნე“; იქვე, 8).

<sup>11</sup> ლაზურში გამოყენებულია სრულიად განსხვავებული ძირის ლექსემა იზნი,  
რის გამოც მას წაშრომში არ განვიხილავთ.

ქართულ-მეგრულ ნებასა და სვანურ დიალექტურ ფორმებში არსებული განსხვავებანი ძალზე ადვილად იხსნება უკანა მიმართულების უმლაუტის მოქმედებით, ანუ ე+ა პოზიციაში -ე- ხმოვნის გაფართოება-დეპალატალიზაციით (ქალდანი 1969:25-26):

ნება > ნაბ > ნაბ

ფონეტიკური ცვლის წარმოდგენილი საფეხურები აფიქსირებენ ასიმილაციური პროცესის ყველა ეტაპს: სანყისი ე- (ქართ. ნება), ნანილობრივი ასიმილაციის ეტაპი, როდესაც ბგერას დაკარგული აქვს საკუთარი ფონეტიკური თვისება, მაგრამ მასზე მოქმედი სხვა ფონემის თვისებები ჯერ კიდევ მთლიანად არა აქვს შეთვისებული (ზს. და ლნტ. ნაბ) და საბოლოო ფაზა, ანუ სრული ასიმილაცია, როდესაც დამსგავსების პროცესი დასრულებულია (ლნტ. ა-ნაბ). შესასწავლ ჯგუფში ლენტეხური ა-ნაბ სრული ასიმილაციის ერთადერთი მაგალითია.

ამჟამად ძნელი სათქმელია, თუ ზუსტად როდის დაიწყეს აღნიშნულმა პროცესებმა მოქმედება, როდის გაჩნდნენ უმლაუტიზებული მონაცემები, ან როდის დასრულდა ცვლილებათა ჯაჭვი ცალკეულ ფორმებში. მიუხედავად ამისა, ნებას თავდაპირველი, ნანილობრივი და სრულად ასიმილირებული ფორმების არსებობა წამოჭრილ კითხვებზე პასუხს მაინც იძლევა. ცნობილია, რომ უმლაუტის პროცესები მხოლოდ სვანურ მასალაში დასტურდება, ქართულსა და მეგრულში მისი ზემოქმედების კვალი არ ჩანს. ეს გარემოება დიდად გვეხმარება ქართულ მასალაში ასიმილაციური ეტაპების მიახლოებითი ქრონოლოგიის გამოთვლაში, რაც დიაქრონიული შტუდიების ერთ-ერთი ნამყვანი ამოცანაა (Бенвенист 1955:26).

დღევანდელ სვანურ მასალაში, რომელიც, ფაქტობრივად, უცვლელი სახით თითქმის 4000 წლის არსებობას მოითვლის (ძვ. წ. 2200-2100 წწ.; Климов 1994:14),<sup>12</sup> ასიმილაციის პროცესი ჯერ სრულად დამთავრებული არ არის. ასიმილაციის სრული საფეხური მხოლოდ ერთ ანაბ (ლნტ.) ფორმაშია მიღწეული. დანარჩენ სამში კი (ზს., ლნტ.), სადაც ნაბ ფორმებია შემონახული, ასიმილაციის პროცესის მუალედური საფეხურია დაფიქსირებული. უფრო მეტიც, ფრიად უცნაურად ჩანს ის ფაქტი, რომ სვანურის ერთი და იმავე დიალექტის (ლენტეხური) ერთი და იმავე სიტყვის ორი, პრაქტიკულად იდენტური ფორმიდან მხოლოდ ერთმა გაიარა ასიმილაციის სრული პროცე-

<sup>12</sup>უნდა აღინიშნოს, რომ ქართველოლოგებს შორის ამ საკითხში ერთსულოვნება არ სუფევს (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, პ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ალ. ონიანი, მ. ქურდიანი, გ. კარტოზია, ი. ჩანტლაძე....). ქართველურ ენათა დივერგენციის ქრონოლოგიური ჩარჩოები უფრო გაახალგაზრდავებულია, რაც ამგვარი კვლევების ჩატარებას ხელს წამდვილად არ უწყობს. მეტიც, ჩვენს ხელთ არსებულ მასალას ქართველურ ენათა დიფერენციაციის ქრონოლოგიური ჩარჩოები (თუკი ამგვარი განყოფის პროცესს რეალურად ჰქონდა ადგილი) კიდევ უფრო ღრმა წარსულში გადააქვს.

სი, რაშიც მისთვის ხელი უნდა შეეწყოს პრეფიქსულ ა ხმოვანს, მეორე კი სადღაც შუა გზაზე დარჩა. თუ აღნიშნული სვანური ფორმების და საერთოქართველურის დაშლიდან დღემდე გასულ პერიოდს გავითვალისწინებთ, შესაძლოა, გარკვეული ლოგიკური კავშირების დანახვა. ვინაიდან ლაშხური ნებ ქართული და მეგრული ფორმების იდენტურია, მისი არსებობა სვანურის გამოყოფამდეა სავარაუდებელი, ანუ მანამ, სანამ უმლაუტი, როგორც ფონოლოგიური მოვლენა, ჩამოყალიბდებოდა სვანურში. ქრონოლოგიური ღერძის მეორე პოლუსზე იმყოფება ლენტეხური ა-ნაბ, რაც მისი ასიმილაციური ფორმითაც დასტურდება. საგულისხმოა, რომ ნანილობრივ ასიმილირებული ნაბ (ზს., ლნტ.), რომელიც რაოდენობრივადაც ჭარბობს ასიმილაციური ჯაჭვის სანყისი და საბოლოო ეტაპების ფორმებს (3-1-1 შესაბამისად), იმ ერთეულთა ჯგუფს განეკუთვნება, რომლის საფუძველზეც დაიწყო სვანურის განსხვავება საერთოქართველურიდან და, მაშასადამე, პროტონის დაშლას შეუწყო ხელი. შესაბამისად, ნანილობრივ ასიმილირებული ფორმები, პირობითად, შეგვიძლია დაახლოებით ძვ. წ. 2200 წლით დავათარილოთ, ანუ, როდესაც ივარაუდება სვანურის გამოყოფა საერთოქართველურიდან.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ სვანურის სამი დიალექტური (ბზ., ბქ., ლნტ.) ნაბ ფორმიდან მხოლოდ ერთმა (ლნტ.) მიიღწია ფონეტიკური ცვლილების ბოლო ეტაპს (ა-ნაბ), ხოლო დანარჩენი ფორმები კვლავ ასიმილაციის პროცესის ქვეშ იმყოფება, ა-ნაბ ფორმის წარმოსაქმნელად სულ ცოტა 2000 წელი მაინც უნდა ვივარაუდოთ. სხვაგვარად, საფიქრებელია, რომ ა-ნაბ ფორმა ჩვენი წელთაღრიცხვის მახლობელ პერიოდში გაჩნდა. თუ მიღებულ 2000 წელს ვიგულისხმებთ საერთოქართველურიდან პირველი ეტაპის დასრულებამდეც, ასიმილაციის პროცესის სანყისად წარმოუდგენელი სიძველე – ძვ. წ-ის V ათასწლეულია სავარაუდებელი (ცხრ. 5, გვ. 36)

ქართველურ ენათა ოჯახის დივერგენციის ფონზე, ცხრილში წარმოდგენილი ინფორმაცია შემდეგნაირად იკითხება: თავდაპირველი ქართველური ფორმა ე- ხმოვნია იყო (ნება). დაახლოებით ძვ. წ. 4200 წ. აუსლაუტის ხმოვანი (ა) ინვევს ძირისეული ხმოვნის ასიმილაციას, რომლის პირველი საფეხური მესამე ათასწლეულის ბოლოსთვის მთავრდება. ეს არის დრო, როდესაც სხვადასხვა ფონეტიკური ცვლილებების შედეგად დაგროვილი ენობრივი ფორმების საფუძველზე ხდება სვანურის ცალკე ენად გამოყოფა.

ფონეტიკური ცვლილებები და ნაბის ასიმილაციური „წინსვლა“ წელა, მაგრამ სტაბილურად მიმდინარეობს, რაც დაახლოებით 2000 წლის შემდეგ ლენტეხურში ორი – ნაბ და ა-ნაბ – ფორმის თანაარსებობით მთავრდება. ეს ის ვითარებაა, რომელიც ჯერაც არ შეცვლილა. ასიმილაციური (თუნდ ნებისმიერი ფონეტიკური) ცვლილების

მსგავსი ხანგრძლივობა, რაც ენის სტაბილურობის ქვაკუთხედი, ძნელად თუ მოიძებნება რომელიმე ენაში.

### ცხრილი 5

#### ქართველური ნებას რელატიური ქრონოლოგია<sup>13</sup>

საერთოქართველური ლშხ.	ზს., ლნტ.	→	ლნტ.
ნება 4200	→ ნაბ 2200	→	ა-ნაბ <sup>14</sup> 1 – 2009 ახ.წ. (სულ 6210 წელი)

**დავასკენით:** ქართველური „ნებას“ დიაქრონიული განვითარების სურათი საფუძველს გვაძლევს, მისი სანწყისი ფორმის არსებობა ძვ. წელთაღრიცხვის V ათასწლეულში ვიგულოვით. აღნიშნული პერიოდის ბოლოს მოქმედებას იწყებს „ნებას“ აუსლაუტის ა-ს ასიმილაციური მექანიზმი, რომელიც დღესაც მოქმედებაშია.

დავუბრუნდეთ შუმერულ წყვილს.

ტრადიციული ლინგვისტიკა შუმერულ ენას იზოლირებულად რაცხს და დღეს არსებულ ენებთან მის ნებისმიერ კავშირს გამორიცხავს. დებულება ძალაშია შუმერული და ქართველური ენების ურთიერთობაზე მსჯელობის დროსაც, თუმცა ქართველური და შუმერული მასალის შედარებითი ლინგვისტური ანალიზი საპირისპიროს გვიჩვენებს. ქართველური ფორმების ურთიერთობის განხილვისას გამოვლინდა მათ შორის არსებული ასიმილაციური კავშირები, კერძოდ: ნება > ნაბ > ა-ნაბ. ანალოგიური ფონეტიკური ცვლილების საფუძველზე შეიძლება შუმერული ნაბ-ნაბუს ახსნაც: ნება > ნებუ > ნაბუ > ნაბ, რაც დამაჯერებლობას მატებს ღმერთის სახელის ძველ (Nebo) ნაკითხვას.

წარმოდგენილი ჯაჭვის ბოლო ორი წევრი „ნებას“ ტრადიციული ნაკითხვისა და ზოგადად ღმერთის აღმნიშვნელი ლექსემის („ნაბ“) იდენტურია. ეს უკანასკნელი კი ლენტეხური „ა-ნაბის“ უპრეფიქსო ფორმის ტოლია. სხვაგვარად, „ნაბუ“ და „ნაბ“ ქართველურ „ნება-

<sup>13</sup> აქ და შემდგომ ცხრილში წლები ძველი წელთაღრიცხვით არის მოცემული.

<sup>14</sup> სქემა ენიანალმდეგება ტრადიციულ შეხედულებას ლენტეხური ფორმების უფრო არქაული ბუნების შესახებ. ამ უკანასკნელის მიხედვით უნდა ყოფილიყო ა-ნაბ → ნაბ → ნებ, რაც ენიანალმდეგება ქართველური ენების სისტემაში დაფიქსირებულ მონაცემებს: ქართ., მეგრ., სვან., ნებ. ცნობა მოგვანოდა ფილ. დოქტორმა ქ. მარგიანმა-სუბარმა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით მათ.



სრულად ასიმილირებული) სვანურის საერთოქართველურიდან გამოყოფისას თანაარსებობდა. ამგვარ ვითარებაში, ნებას ასიმილაციური ცვლილებების II და I ეტაპები იმდენად ღრმა წარსულში მიექანება, სადაც ენათმეცნიერული კვლევის აპარატი უძლურია. თუ ყველა საფეხურს შორის საშუალოდ 2000 წლიან ინტერვალს ვივარაუდებთ, მივიღებთ შემდეგ სქემას:

### ცხრილი 7

#### ქართველური ნებას კორექტირებული ქრონოლოგია

საერთოქართველური	ზს., ლნტ.	ლნტ.	შუმ.
ნება	→ ნაბ	→ ა-ნაბ = ნაბ, ნაბუ	
6200	← 4200	←	2200

ანალიზიდან გამომდინარე, ქართველური „ნება“ გაცილებით უფრო ადრეულია, ვიდრე შუმერული, რომლის „ნაბუ“ და „ნაბ“ ლექსემები ქართველურში, კერძოდ, სვანურის ერთ-ერთ დიალექტში (Sic!) მიმდინარე ასიმილაციური პროცესების მხოლოდ მესამე და საბოლოო ეტაპს ემთხვევა. ლენტეხურ ა-ნაბთან ერთად შუმერული ნაბის უკანასკნელ „ნიშაში“ განთავსებით, ნებას მიერ გავლილი ყოველი ბგერითი ცვლილება დამატებითი რაოდენობრივი და თვისებრივი მასალით მდიდრდება. მეტიც, შუმერული ნეერი, რომელიც ჩვენი დღევანდელი ცოდნის ფარგლებში შუმერულ-ქართველურ ლინგვისტურ ჯაჭვს უნდა იწყებდეს, მის ბოლოში აღმოჩნდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თვით შუმერული მასალა საკუთარი სიტყვის „ნაბ“ წარმომავლობის „პრეროგატივას“ ქართველურს უთმობს – ენას, რომელიც შუმერულთან შედარებით გაცილებით ახალგაზრდა სისტემად ითვლება და, მაშასადამე, მათ შორის მსგავს ქრონოლოგიურ დამოკიდებულებას გამორიცხავს. მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ისიც, რომ ქართველური „ნებას“ სქემა შუმერულ სიტყვას საკუთარი სისტემის ნაწილის მსგავსად იერთებს. ანალოგიურად, შუმერული „ნაბ“ და სირიული(?) „ნაბუც“ ქართველურ ჯგუფს იდენტური სიადვილით უერთდება. შესაბამისად, ქართველური და შუმერული ნება-ნაბ-ნაბუს გამოვლენილი ერთიანობა, ტრადიციული შეხედულებით, მოსალოდნელ დაუკავშირებელსა და შეუთავსებად ფონეტიკურ კომბინაციებს ჰარმონიული ურთიერთშეთანხმებით უპირისპირდება.

ანალიზი აჩვენებს, რომ შუმერული ნაბ („ღმერთი“) და დამწერლობის ღმერთი ნაბუ ქართველური ენობრივი წიაღიდან მომდინარეობენ და თუ ნაბუს თაყვანისცემა შუმერში მართლაც სირიიდან შევიდა, ის უპირველესად, ქართველურიდან უნდა იყოს შეთვისებული-

ლი. ამგვარ ვარაუდს მხარს უმაგრებს როგორც ისტორიული, ისე ენობრივი ფაქტები. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ფართოდ გავრცელებული თეორია ქართველური (ზოგადად „კავკასიური“) და უძველესი ცივილიზაციების ენების გენეტიკური კავშირების შესახებ. მიაჩნდათ, რომ ეს ენები, ოდესღაც, მთელ მცირე აზიასა და ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე გავრცელებულ ენათა ოჯახის წევრს წარმოადგენდა (ჩიქობავა 1946:230-33; წერეთელი 1912; გაბაშვილი 2001).<sup>15</sup> შესაბამისად, ქართველური ტომები ახლო აღმოსავლეთის უძველეს და ძირძველ მოსახლეობას მიეკუთვნება. მათ მიერ დასახლებული ტერიტორიები გადაჭიმული იყო ახლო აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ, ჩრდილო აფრიკასა და სამხრეთ ევროპაში (ბერძენიშვილი, ჯავახიშვილი, ჯანაშია 1946:16; მასხარაშვილი 2006:10-32). უცხო და მეზობელ ტომებთან მუდმივმა სავაჭრო თუ საომარმა ურთიერთობებმა (გაბაშვილი 2001:24) მათი კულტურული განვითარების მაღალი დონე, რომელზეც მრავალი ისტორიული თუ არქეოლოგიური ფაქტი მეტყველებს, ლინგვოკულტუროლოგიური სიმდიდრის სესხების მუდმივ წყაროდ აქცია. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ძნელია იმის თქმა, თუ რა ვითარებაში, როდის ან საიდან შევიდა ნაბუ შუმერულში, მისი კავშირი ნაბთან და ქართველურ მასალასთან აშკარაა.

ქართველური ენებისთვის დამახიათებელი თვისებები გამოსჭვივის ბოლოკიდურა ქართველური -ა და შუმერული -უ ხმოვნების მონაცვლეობაშიც, სადაც ორი მოვლენა იკვეთება:

1. ძველ ქართულში არსებობდა ე.წ. უმარცვლო -უ, რომელიც სიტყვის თავში, შუაში ან ბოლოში გვხვდება. სიტყვის ბოლოს იგი თანხმოვნის შემდეგ მოდიოდა: „ნაძუ“, „თაგუ“ და მისთანანი (შანიძე 1976:20-21).<sup>16</sup> აღნიშნული არსებითი სახელების ჯგუფს ადვილად უერთდება გასაანალიზებელი „ნებაც“, რომელიც „ნებუ“ ფორმით იქნებოდა წარმოდგენილი და უკუმიმართული ასიმილაციის შედეგად ნაბუ ფორმას მიიღებდა: ნებუ > ნებუ > ნაბუ > ნაბ > ნაბ;

2. ნ. მარის მოსაზრების მიხედვით, ქართულში სახელობითი ბრუნვის ნიშანი -ი ძველი -უ ნიშნის კანონზომიერი გრადაციია (Март 1908:3). თუ აღნიშნულ წესს ა-ზე დამთავრებული არსებითი სახელებიც ექვემდებარებოდნენ, „ნებას“ ტოლფასი „ნებუ“ ფორმის არსებობა სრულიად გამართლებულია, რასაც ძველი ნაკითხვის ნებო

<sup>15</sup> უშუალოდ შუმერულთან კავშირზე მიუთითებდნენ აგრეთვე ფ. ბორკი, ი. ტრომბეტი, ა. სეისი, ნ. მარი, ი. მემჩანინოვი და სხვ.

<sup>16</sup> ბოლოკიდურ ტ-სთან დაკავშირებით სევანურში იხ. ი. ჩანტლაძე, ქართველოლოგიური ძიებანი, I, ქართული ენა, თბილისი, 1998.



ფორმაც ადასტურებს. აღწერილი ფონეტიკური თუ გრამატიკული მიზეზებით მიღებული ფორმა (ნებუ) ისევე დაექვემდებარებოდა ასიმილაციურ ცვლას, როგორც ქართველური ნება, ე.ი.:

ნებუ > ნებუ > ნაბუ > ნაბ > ნაბ

როგორც ვხედავთ, შუმერული „ნაბუს“ ბოლოკიდური ხმოვანი ადვილად იხსნება. ესაა დამატებითი ფაქტი, რომელიც შუმერული დამწერლობის ღვთაების სახელწოდების ქართველურ და არა ტრადიციულად მიღებულ (სირიულ) წარმომავლობას ააშკარავებს.

ქართველურის გაბატონებული პოზიცია შუმერულ ნევრებზე არაპირდაპირ, ჯგუფის სხვა მახასიათებლით – სიტყვის სიგრძითაც დასტურდება. ქართველურისა და სვანურის მასალა გვიჩვენებს, რომ სიტყვის ფონეტიკური განვითარება ხდებოდა როგორც უმლაუტის, ისე მისი სიგრძის ხარჯზე, ანუ, შეიძლება ითქვას, რომ გასაანალიზებელ შემთხვევაში, სიტყვის სიგრძე მისი ასაკის პირდაპირპროპორციულია. თუ შუმერულსა და ქართველურ მასალას ამ თვალსაზრისით განვიხილავთ, ქართველური ფორმების ქრონოლოგიური წინსწრების ანალოგიურ სურათს მივიღებთ. ქართველური „ნება“ შუმერულ „ნაბზე“ უფრო გრძელია და მაშასადამე, ადრეულიც. მეტიც, სვანური ნაბ- (ზს., ლნტ.) და ნებ (ლმხ.) სიგრძით შუმერული ნაბის ტოლ ფორმებს წარმოადგენენ, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს შუმერული ფორმის მოგვიანო წარმომავლობას; კერძოდ, იმას, რომ ის სვანური ფორმების სრული ასიმილაციური ეტაპის დროს წარმოქმნილი ერთეულია.

თუ შუმერულ ნაბ-ნაბუ წყვილს სიტყვის სიგრძის იმავე პრინციპით განვიხილავთ, ისინი კვლავ ადრეულ ურთიერთდამოკიდებულებაში აღმოჩნდებიან. ზოგადი ლექსიკის ნაბ უფრო „ხანდაზმულია“, ვიდრე საკუთარი სახელი ნაბუ, მაშინ, როდესაც სიტყვის სიგრძისა და მისი ქრონოლოგიის გათვალისწინებით ნაბუ უფრო ძველ ერთეულად უნდა იქნას აღიარებული. აღწერილი შეუსაბამობისა და წინააღმდეგობებით აღსავსე ურთიერთობების ახსნა-რეგულირება ძალუძს ქართველურ „ნებას“, რომლის ფორმათა შემადგენლობაში ფიგურირებს როგორც შუმერული „ნაბუს“, ისე „ნაბის“ ტოლფასი სიგრძის ფორმები. ყოველივე ეს მიუთითებს ორივე ლექსემის ქართველური წყაროდან მომდინარეობაზე, რომლის განვითარების მანძილზე, სვანური ფორმების მსგავსად, ზოგადი ლექსიკის სიტყვამ ჩამოიშორა ბოლოკიდური ხმოვანი, ხოლო საკუთარმა სახელმა, რომელმაც ასიმილაციის იდენტური გზა გაიარა, არ შეკვეცა ბოლოკიდური უ. ამის მიზეზი ღვთაებრივი სახელების სპეციფიკაა, რადგან, ადამიანების ღრმა რწმენით, მათი დამახინჯება ღვთაების განრისხებას გამოიწვევდა. ნათქვამის შესაბამისად მოხდება მე-7 ცხრილის მოდიფიკაცია:

## ცხრილი 8

### შუმერული ნაბუსა და ნაბის ქრონოლოგიური ინკორპორაცია ქართველურში

საერთოქართველური	ზს., ლნტ.	ლნტ.	შუმ.
ნება	→ ნაბ	→ ა-ნაბ	→ ნაბ
	→	→	→ ნაბუ

წარმოდგენილი ანალიზის მიხედვით დასტურდება ზევით გამოთქმული მოსაზრება შუმერული „ნაბისა“ და „ნაბუს“ მესამე ენიდან წარმომავლობის შესახებ, რომელსაც, ვფიქრობთ, უნდა მივეუერთოთ სახელის ადრინდელი გამოთქმაც Nebu. ეს დასკვნა იმდენად სერიოზული განაცხადია შუმეროლოგიური კვლევების სფეროში, რომ მისი დამატებითი გადამოწმება აუცილებელიც არის და სასურველიც. მართლაც, თუ შუმერული „ნაბ“ და „ნაბუ“ (Nebu) ქართველური ენობრივი სიღრმიდან მომდინარეობენ, სემანტიკურმა ანალიზმა ნათელი უნდა მოჰფინოს შუმერულ ერთეულებსა და მათ არქეტიპებს შორის არსებულ ურთიერთობებს, რამაც, თავის მხრივ, უნდა ახსნას ქართველური ნებას სესხების მიზეზები და თავისებურებანი:

## ცხრილი 9

### ქართველურ-შუმერული სიტყვების ქრონოლოგიური და სემანტიკური თანმიმდევრობა

ქართველური	შუმერული	
ნება > ნაბ > ანაბ	ნაბ	ნაბუ (ნებო)
სურვილი, ნდომა, თავისუფლება, უფლების მიცემა, უფლების ქონა	ღმერთი	დამწერლობის ღმერთი

ქართველური „ნებისა“ და შუმერული „ნაბ-ნაბუს“ წარმოდგენილი ეტიმოლოგიური ჯაჭვი ნათელყოფს, რომ მათ შორის არსებული სემანტიკური კავშირები ენების განვითარების პროცესში დაფიქსირებული სესხების მოდელებს არ ასახავს. იგი ტექსტის ლინგვისტიკაში გავრცელებული სუპერლინეარული ანალიზის შედეგად ამოკრებილი ძირითადი შინაარსის შემცველი („გასაღები“) სიტყვების მწკრივს უფრო ნააგავს, რომელთა შორის სინტაქსური კავშირების აღდგენა თავდაპირველი ინფორმაციის აღდგენის საშუალებას იძლევა. „ყოფნა“ ზმნით გამოხატული უმარტივესი სინტაქსური კავშირის (პრედიკაცია) აღდგენისას გასაღები სიტყვები შემდეგი სახის წინადადებად აიკინძება: **შუმერთა ღვთაება და დამწერლობის ღმერთი ნებით, სურვილით გაჩენილი ღვთაებებია.**

აღწერილი მოვლენა, რომელსაც სინტაქსური ეტიმოლოგია შეიძლება ვუნოდოთ, სრულიად ახალი მოვლენაა. მეტიც, აპრიორი შეიძლება იმის მტკიცება, რომ ენების და მით უმეტეს, მკვდარი და ცოცხალი ენების ერთეულთა შორის არსებული სინტაქსურ-ეტიმოლოგიური ურთიერთობა გამორიცხავს ჩვეული დიაქრონიული განვითარების გზას, ვინაიდან კვლევის სფეროში შემოყავს თავდაპირველად არსებული სინტაქსური არქეტიპის (წინადადება-არქეტიპი) ცნება. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი დასკვნა სრულიად შეუფერებელია თანამედროვე ენათმეცნიერებისთვის, სვანური ენის მასალა ადასტურებს ქართველური ენის ღვთაებრივი ამალლების დეშიფრირებულ სემანტიკას და მასთან ერთად დეშიფრირების პროცედურას.

უძველესი ინფორმაცია სამყაროს შექმნის ღვთაებრივი ნებისა და წარმოდგენილი ანალიზის შესაბამისად, აღდგენილი ღვთაებრივი ნება კაცობრიობის კულტურული განვითარების შესახებ, ერთმანეთს ადასტურებს. თვითონ განსაჯეთ: „ღირსი ხარ, უფალო, რომ მიიღო დიდება და პატივი და ძლიერება, რადგანაც შენ შექქმენ ყოველი, და შენის ნებით არიან და შეიქმნენ“ (გამოცხ. 4:11). ენობ წინასწარმეტყველიც ახსენებს კაცობრიობას ბიბლიური შესაქმენ ღვთაებრივი ნების შესახებ: „და მაშინ ვადიდე სულთა ღვთაების სახელი კურთხევითა და ქებათა, მისი პირადი კეთილი სიამოვნებისა გამო“ (ენობის წიგნი, 2000, 39:9; ხაზგასმა ჩვენია – ა. მ.). იქვე მე-3 სქოლიო გვატყობინებს, რომ ლექსემა „სიამოვნება“ გამოყენებულია ნაცვლად სიტყვისა ნება შესიტყვებაში: „ღმერთის ნების გამო“.

იმავე ინფორმაციას გვანვდის იოსებ ფლავიუსი: „ჩვენ ვუმზერთ მის (ღმერთის) შემოქმედებას: ნათელს, ზეცას, დედამიწას, მზეს, წყლებს, სულდგმულთა გამრავლებას, მცენარეთა აყვავებას. ესენი შექმნა ღმერთმა არა ხელით, არა შრომით ან ვინმეს დახმარებით (მას არავის დახმარება არ სჭირდებოდა), არამედ მისი ნებით შეიქმნა ყოველივე, რაც დაუყოვნებლივ მშვენიერ იქმნა“ (ფლავიუსი 2:192). ვფიქრობთ, შუმერული ნებ-ნაბუს ჩვენ მიერ შემოთავაზებული დეშიფრირება სწორია და გამოყენებული გასაღები სიტყვების საშუალებით მისი შინაარსის (და არა ლექსიკური სემანტიკის) აღდგენაც გამართლებული.

ისტორიულ ენათმეცნიერებაში დადგენილი კვლევის მეთოდისკან განსხვავებული საშუალებების გამოყენება ენობრივი მასალის დიაქრონიული კვლევის დროს გასაანალიზებელ მონაცემებში, ინფორმაციის გასაიდუმლოებულ, დაფარულ ბუნებაზე მიუთითებს. გამოთქმულ მოსაზრებას აძლიერებს ქართველურ-შუმერული ნება-ნაბ-ნაბუს შორის აღდგენილი კავშირები მათში დამალული შინაარსობრივი დატვირთვით, რომელიც ღვთაებრივი ნების შემოქმედების

შესახებ არსებულ უძველეს რწმენას ავსებს, აზუსტებს და აკონკრეტებს ქართველური „ნებას“ მნიშვნელობებით: „უფლების მიცემა, უფლების ქონა“. სრულიად მოულოდნელად, ქართველური ენობრივი მასალა, შუმერი ღვთაებების შექმნის ნება-სურვილის მქონე დაუსახელებელ ღვთაებას ასახელებს: შუმერთა ნაბ ღვთაებისა და სირიული წარმომავლობის დამწერლობის ღმერთის ნაბუ/ნებოს როგორც ლინგვისტური, ისე კულტუროლოგიური არსებობა, ქართველთა ნების გამოვლენაა.

ქართველური „ნებას“ ღვთაებრივ ამაღლებას მისი სტრუქტურაც ადასტურებს. გავიხსენოთ, რომ დღემდე შემორჩენილი ლენტეხური „ა-ნაბ“ ა-პრეფიქსის საშუალებით გვიჩვენებს არა მხოლოდ ზედამიმართულ მოძრაობას, არამედ ამ მოძრაობის მფლობელსაც (იხ. გვ. 59). შესაბამისად, სახეზეა ერთი და იმავე დაფარული ინფორმაციის კოდირება სრულიად განსხვავებულ დონეებზე: სიტყვის, სინტაქსურ და საკრალური ლიტერატურის დონეზე.

სიტყვის დონეზე, ქართველური ცივილიზაციის მიერ შუმერიული კულტურისთვის ღვთაებრივი ძალისა და დამწერლობის ნება-სურვილით მინიჭება კოდირებულია, როგორც სემანტიკურად, ქართველური მასალის მეშვეობით: ნება > ნებ > ნაბ, ისე სტრუქტურულად, ლენტეხურ ა-ნაბში.

სინტაქსურ დონეზე, იგივე ინფორმაცია ქართველური და შუმერიული ერთეულების დიაქრონიული განვითარების თანმიმდევრობაში ძვეს, ხოლო ღია ტექსტით, საკრალური ლიტერატურა გვეხმია-ნება (იოსებ ფლავიუსი, *აპიონის წინააღმდეგ; ენოხის წიგნი*), რომლის მფარველ ღმერთად დამწერლობის ღვთაების აღიარება უძველესი ცივილიზაციების ცოდნის ნაწილი იყო. ერთი და იმავე გასაიდუმლოებული ინფორმაციის სხვადასხვა მეთოდით კოდირება ტემპორალურად და გეოგრაფიულად განსხვავებულ ცივილიზაციებში (ქართველური, შუმერიული, ებრაული) შესაძლებლობას გვაძლევს, მეტი დაბეჯითებით ვამტკიცოთ ანალიზის შედეგად მიღებული შედეგების ობიექტურობა.

*დავასკენით:* ქართველური და შუმერიული ნება-ნაბ სიტყვების ფონეტიკურ, გრამატიკულ და სტრუქტურულ იგივეობას სემანტიკური თავისებურებებიც აძლიერებს. ეს უკანასკნელნი ეყრდნობიან არა მოსალოდნელი ლექსიკური დერივაციის ტიპებს (მეტონიმია, მეტაფორა და ა.შ.), არამედ დაფარულ სინტაქსურ კავშირებს, რომლებიც ხელს უწყობენ ურთიერთშემავსებელი, ურთიერთგამჭოლი და კომპლემენტარული სემანტიკის გენერირებას. ამიტომ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სესხება უნდა გავიგოთ არა ამ ტერმინის არსებული მნიშვნელობით, არამედ, როგორც ქართველური არქეტიპის სემანტიკის ინფორმაციული განვრცობა. შესაბამისად, ქართვე-

ლური და შუმერული ენების ნათესაობა დამყარებულია არა ენათმეცნიერებისთვის ნაცნობი სესხების ფორმულებზე, არამედ სრულიად განსხვავებული კავშირების შემცველ „ჩაშენებულ“ ენობრივ კონტაქტებზე.

მიღებული შედეგი ენინალმდეგება როგორც ტრადიციულ ასირიოლოგიას, ისე ტრადიციულ დამწერლობათმცოდნეობასა და ისტორიულ ენათმეცნიერებას, რადგანაც პალეოგრაფიულ სისტემებსა და ენათა შორის ნათესობის გამოვლენის სრულიად განსხვავებულ სურათს გვთავაზობს. დღემდე ერთმანეთისგან დამოუკიდებელი შემოქმედებისა და განვითარების მქონე სისტემებად მიჩნეული უძველესი შუმერული და ეგვიპტური დამწერლობები, მათი აგებისთვის აუცილებელი ცნებებისა და პრინციპების ბინარული ოპოზიციების ერთობაზეა დამყარებული.

განსხვავებული სურათი იკვეთება გაანალიზებული ენების ურთიერთმიმართებების სფეროშიც. იზოლირებულ ენად მიჩნეული მკვდარი შუმერული და ცოცხალი ქართველური ისეთ მჭიდრო ფონეტიკურ სიახლოვეს ამჟღავნებენ, როგორც მხოლოდ გენეტიკური კონტაქტების მქონე ენებს შორის არის შესაძლებელი. უფრო მეტიც, კვლევის შედეგების მიხედვით, ქართველურსა და შუმერულს შორის არსებობს ისეთი ფონეტიკურ-სემანტიკური კომპლექსები, რომლებიც მიმართულია არა ჩვეულებრივ ლინგვისტურ კავშირებზე, არამედ ეზოთერული სახის ისტორიული ინფორმაციის გენერირებაზე. არაჩვეულებრივი ჰარმონიით შეკრული ქართველური და შუმერული მასალა აშენებს უნიკალურ კულტუროლოგიურ ინფორმაციას, რომელიც წმინდა წიგნების მეშვეობით გადმოგვეცა. გაანალიზებული ნება-ნაბუს შემთხვევა ერთადერთი არ არის. მსგავსი მასალა მრავლადაა წარმოდგენილი წინამდებარე მონოგრაფიაში, რომლის ანალიზი ამკარად მიუთითებს გარდასულ ცივილიზაციებთან არა მხოლოდ ქართველური ენების უალრესად ახლო კავშირებზე, არამედ ადასტურებს სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ მითითებულ აზრს ამ ენათა გასაოცარი მდგრადობის შესახებ.

ახლად ჩამოყალიბებულ სურათს კარდინალური მნიშვნელობა აქვს, რის გამოც მიღებული დასკვნები აუცილებლად უნდა გადავამოწმოთ. ამგვარი გადამოწმების სფეროს შუმერულ-ეგვიპტური დამწერლობის ღმერთის გაერთიანებული სახე და საწერი ინსტრუმენტების (კალამი, დაფა) ჰარმონიული შეთანხმება გვთავაზობს. უხილავი დამწერლობის ღმერთის კვლევაში გადადგმულ შემდგომ ნაბიჯს ეგვიპტურ ენასთან მივყავართ.

## 7. ქართველური ნება ეგვიპტურში

შუმერულის გარდა, ქართველურ ნებასა და მის ვარიანტებს ეგვიპტურშიც მივაკვლიეთ, სადაც ნებ ძირი ხშირად გამოიყენება როგორც დამოუკიდებლად, ისე რთული სახელების საწარმოებლად სხვა ერთეულებთან ერთად. მისი თანხმომოვანოცაცია წარმოდგენილია ორი ნიშნით nb (ნბ). ამარნას არქივში ნაპოვნ აქადურ მასალაზე დაყრდნობით, ზოგიერთი მეცნიერი მას ი ბგერით ახმომოვანებს: ნიბ (Kelley <http://www.friesian.com/egypt.htm>), უფრო ხშირად კი ვხვდებით ფორმას ნებ, სადაც ე გამოთქმის გასაადვილებლად არის ჩამატებული. ეგვიპტური ლექსემის სწორედ ეს უკანასკნელი ვარიანტი (ნებ) ფონეტიკურად ქართველური ნების იდენტური ფორმაა და ამიტომ მათ გაიგივებას არავითარი წინააღმდეგობა არ ხვდება. ერთადერთი განმასხვავებელი ნიშანი ეგვიპტურ ნებში ბოლოკიდური ხმოვნის არარსებობაა, რომელიც ადვილად იხსნება, ერთი მხრივ ეგვიპტური ნოტაციით, და მეორე მხრივ, ქართველური მორფონოლოგიით; კერძოდ, კვეციტ, რომელიც სვანურ ფორმებსა და შუმერულ ნაბთან დაკავშირებითაც აღინიშნა.

ეგვიპტური „ნების“ ქართველური წარმომავლობის გასარკვევად ანალიზის სფეროში უნდა შემოვიყვანოთ შუმერული „ნაბის“ გამოვლენილი ქრონოლოგია და მისი დამოკიდებულება ეგვიპტურთან. ზევით აღინიშნა, რომ შუმერული „ნაბ“ ქართული „ნებას“ ფონეტიკური განვითარების ბოლო სტადიას ემთხვევა, ანუ ქართველური „ნება“ რამდენიმე ათასწლეულით უფრო ადრეულია მის შუმერულ წევრთან შედარებით. თავის მხრივ, შუმერული ცივილიზაცია და მისი დამწერლობა ეგვიპტურს რამდენიმე ასეული წლით წინ უსწრებს. აღნიშნული გარემოება გაუგებრობის წყარო ხდება, ვინაიდან წარმოებულ ანალიზზე დაყრდნობით, შედარებით „ახალგაზრდა“ ეგვიპტურში უნდა ფიგურირებდეს შუმერულის მსგავსი „ნაბ“ და არა „ნებ“ ფორმა. სხვაგვარად, „ნებ“ სიტყვის არსებული ქრონოლოგიური სქემა, ეგვიპტური წევრის ჩართვით, წარმოდგენილი უნდა იყოს არა ქართველური ნება–შუმერული ნაბ–ეგვიპტური ნებ ტოლობით, არამედ ქართველური ნება–შუმერული ნაბ–ეგვიპტური \*ნაბით, სადაც უკანასკნელი წევრი შუმერულიდან უნდა იყოს შესული. ამის საწინააღმდეგოდ, ფორმების ლოგიკური დალაგება გვთავაზობს თანმიმდევრობას, რომელიც არაორაზროვნად მიუთითებს ეგვიპტურის მიერ სიტყვა „ნების“ ქართველურიდან სესხებაზე:

ქართველურ-შუმერულ-ეგვიპტური ნებ-ნაბის ლოგიკური ურთიერთობის ცხრილი

ქართველური	ნებ-ა	→	ნებ	ეგვიპტური
	ნაბ			
	ნაბ	→	ნაბ	შუმერული

კვლავ მივდივართ დასკვნამდე, რომელიც ენების ნათესაობისა და ცივილიზაციების ისტორიის შესახებ აღიარებულ ცოდნას ეწინააღმდეგება, მაგრამ საოცარი სიზუსტით ხსნის ყველა ნა-მოჭრილ გაუგებრობას. ირკვევა, რომ უძველესი შუმერული და ეგვიპტური ცივილიზაციების ენებმა ღმერთის აღმნიშვნელი სახელწოდება ერთმანეთისგან კი არა, არამედ სრულიად განსხვავებული მესამე წყაროდან ისესხეს. ეს წყარო ყველასთვის მოულოდნელად ქართველური ენაა, რომლის ერთი და იმავე ლექსიკური ერთეულის განსხვავებული ფონეტიკური ფორმები არქეტიპებად იქნა წაღებული. შუმერულმა ნაბმა ქართველური ნებას ფონეტიკური ცვლილების ბოლო, სვანური ა-dირიანი ფორმა ისესხა, რითაც ქრონოლოგიური „დამლა“ დაისვა, ეგვიპტურმა კი ქრონოლოგიურად არამარკირებული ნებ შეითვისა, რითაც ზევით ნახსენები ლინგვისტურ-ქრონოლოგიური შეუსაბამობა წარმოქმნა.

მიღებული დასკვნა ნათელყოფს, რომ გარდასული შუმერული და ეგვიპტური ცივილიზაციების ენათა გამთლიანება ქართველური მასალის საშუალებით ხორციელდება. უფრო მეტიც, შუმერული ნაბ-ნაბუსა და ეგვიპტური ნების გაერთიანება ერთ ლექსიკურ მიკრო-სისტემაში, სრულიად შეესაბამება სანერი ინსტრუმენტების ჰარმონიულ ერთიანობასა და დამწერლობის ღმერთის მიღებულ განზოგადებულ სახეს.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ შუმერულ-ეგვიპტურ-ქართველური ურთიერთობების განხილვისას მხედველობიდან არ უნდა გამოვგრჩეს მათთვის დამახასიათებელი ფრიად მნიშვნელოვანი თვისება – ქართველური ვარიანტების დანაწილების აშკარა ფაქტი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართველურ „ნებას“ გააჩნია როგორც ე-, ისე ა- ხმოვნისანი ფორმები. არ არის ძნელი იმის შემჩნევა, რომ შუმერული და ეგვიპტური შესატყვისობები მხოლოდ ერთ-ერთ ხმოვნიან ფორმას შეიცავენ: ან მხოლოდ ა-ნიანს (როგორც ეს შუმერულ ნაბ-ნაბუსაშია), ან ე-ნიანს (როგორც ეს ეგვიპტურ ნებუსაშია). სხვაგვარად რომ ვთქვათ, შუმერულ და ეგვიპტურ ნაბ-ნებს შორის, ფონეტიკურ დონეზე, იმავე ჰარმონიული შერწყმის მოდელთან გვაქვს საქმე, როგორც სანერი ხელსაწყოებისა და დამწერლობის ღმერთის *per se*.

განსახილველ ქართველურ და ეგვიპტურ სიტყვებს შორის არსებული სემანტიკური კავშირები ეგვიპტური ნევრის ქართველური წარმომავლობის დამატებითი მტკიცებულებაა. ეგვიპტური „ნების“ რამდენიმე მნიშვნელობიდან („კალათა“, „ღმერთი“, „ყოველივე“ (Forman, Quirke 1996:32) ერთ-ერთი („ღმერთი“) სრულად ემთხვევა შუმერული ნაბის სემანტიკას, რის გამოც ეგვიპტური „ნებ“ შუმერული „ნაბის“ მსგავსად ქართველურ სიტყვებთან იდენტურ, სინტაქსურად განპირობებულ სემანტიკურ ურთიერთობებში შედის:

ცხრილი 11

ქართველურ-ეგვიპტური ეტიმოლოგიური ჯაჭვი

ქართველური		ეგვიპტური
ნება, ნებ, ნაბ, ანაბ	→	ნებ
სურვილი, ნდომა, თავისუფლება, უფლების მიცემა, უფლების ქონა		ღმერთი

ცხადია, იდენტური სტრუქტურები იდენტურ ინფორმაციას შეიცავენ და იდენტურადვე უნდა იქნან წაკითხულნი. ამიტომ ქართველურ-ეგვიპტური ეტიმოლოგიური წყობა, ქართველურ-შუმერულის მსგავსად (ცხრ. 9, გვ. 67), გამიზნულია არა ჩვეულებრივ ლექსიკურ მნიშვნელობაზე, არამედ იმგვარ ზეინფორმაციულ ცოდნაზე, რომელიც ეტიმოლოგიური ჯაჭვის ნევრების დამაკავშირებელი, დამალული სინტაქსური კავშირების აღდგენის შედეგად წამოინევა. სხვაგვარად, აქაც საქმე გვაქვს არა ჩვეული მორფემული დონის ეტიმოლოგიურ გამოძიებასთან, არამედ სინტაქსურ ეტიმოლოგიზაციასთან. ქართველურ-შუმერული ზეინფორმაციის მსგავსად, ქართველურ-ეგვიპტური სინტაქსური არქეტიპის მიერ შემოთავაზებული ინფორმაციაც აცხადებს ქართველი ხალხის ნება-სურვილს, მიეცა დამწერლობის ღვთიური განძი და უნარი ეგვიპტური ღვთაებისთვის ნებ.

შუმერული, ეგვიპტური და ქართველური ურთიერთობები საშუალებას გვაძლევს, გავაერთიანოთ ორივე ცხრილი (9 და 11):

ცხრილი 12

ქართველური, შუმერული და ეგვიპტური სინტაქსური არქეტიპი

ქართველური		შუმერული			ეგვიპტური
ნება, ნებ, ნაბ, ანაბ	→	ნაბ	→	ნაბუ	→ ნებ
სურვილი, ნდომა, თავისუფლება, უფლების მიცემა, უფლების ქონა		ღმერთი		დამწერლობის ღმერთი	ღმერთი



ნარმოდგენილი ლინგვისტური ანალიზისა და მიღებული ზეინფორმაციის საფუძველზე, შუამერულ-ეგვიპტური განზოგადებული ღმერთი, რომელსაც ორი საწერი ინსტრუმენტი ეკუთვნის, არის ქართველი ხალხი, მათი ენა და მათი კულტურა.

ამგვარი დიაპაზონის კვლევასა და დასკვნებს სჭირდება დამატებითი დამადასტურებელი ფაქტები, რომლებიც, სხვათა შორის, მრავლად მოიპოვება ეგვიპტურ ენაში. ასე მაგალითად, ქართველური „ნებას“ მოკლე ფორმა „ნებ“ გამოყენებულია ძალზე მნიშვნელოვანი ეგვიპტური ღმერთების სახელებში. ერთ-ერთი მათგანია ხნუმი (აგრეთვე, ხნემუ, დააკვირდით ი-უ ბოლოკიდურ ხმოვნებს), რომელიც ნილოსის ხეობის უძველეს ღვთაებათაგანია. იგი პირველი კატარაქტის ღმერთი გახლდათ. ამავე დროს, ხნუმი ნილოსის სათავის პატრონი და ზოგადად, წყლის ღმერთიც იყო. მოგვიანებით იგი „მეთუნე ქე ხნუმის“ სახელით გახდა ცნობილი. „პტახთან“ ერთად ხნუმი სამყაროს არქიტექტორი ღვთაებაა. მრავალი ღვთაების მსგავსად, ხნუმსაც შვიდი სახე და თვისება გააჩნდა, თითოეულ სახეს კი თავისი სახელწოდება ჰქონდა. შვიდიდან ორის სახელი იყო Khnum Neb (ხნუმ ნებ) და Khnemu Neb-Ta-Ānkhht (ხნუმ ნებ-ტა-ანხტ) (Budge 1934:175). პირველი (ხნუმ ნებ) – „უფალ ხნუმს“ ნიშნავს, მაშინ როდესაც მეორე (ხნუმ ნებ-ტა-ანხტ), „სიცოცხლის მინის (ე.ი. აკლდამის) უფალია“. ხნუმის აღნიშნული სახელები დამატებით სემანტიკას ქართველური მნიშვნელობებიდან იღებენ. ისინი მიუთითებენ ნებაზე, სურვილზე და ა.შ., ხნუმის სახელწოდებები („უფალი ხნუმი“, „სიცოცხლის მინის უფალი“) თვითშემოქმედების, ანუ საკუთარ ნებაზე დამყარებული თვითშექმნის მნიშვნელობით მდიდრდებიან. ეს კი ის თვისებაა, რომელიც ეგვიპტის დიდი ღვთაებებისთვის იყო დამახასიათებელი. ირკვევა, რომ ხნუმის სახელთა ქართველური ეტიმოლოგია ეგვიპტური ღმერთების თვითშექმნის რწმენის ენობრივი დასტურია.

ეგვიპტური რწმენის მიხედვით, პიროვნება და მისი სახელი ერთმანეთის ტოლფასნი არიან. შესაბამისად, თუ ხნუმის სახელების შემადგენლობაში ქართველური სიტყვა ფიგურირებს, შეგვიძლია, მისი ქართველური წარმომავლობა ვამტკიცოთ.

ხნუმის სახელების მსგავსად, ქართველური „ნებას“ მოკლე ფორმა „ნებ“ ოსირისის სხვადასხვა ასპექტის სახელებშიც გვხვდება. შვიდიდან ორი ქართველურ „ნებას“ (ე.ი. „სურვილი, ნდომა, თავისუფლება“ და ა.შ.) მოიცავს: ოსირისის მეხუთე სახელი იყო Amenti Neb Heri-Mesen (ამენტი ნებ ხერი-მესენ), ხოლო მეშვიდე – Osiris Neb-Mer-Nefert (ოსირის ნებ-მერ-ნეფერტ; Budge 1934:191-92).

შემდეგი საღვთო სახელი, რომელიც ჩვენს ყურადღებას იმსახურებს, არის კარგად ცნობილი ნეფთის („სახლის ქალბატონი“). იგი

იყო სეთის და და შეუღლე და ოსირისისგან ჰყავდა ვაჟი ანპუ (ანუ-ბის). „მოგვიანებით იგი (ნეფთის) გაიგივებულ იქნა მათთან და სხვა ქალღმერთებთან, ესწრებოდა განკითხვის პროცესს და იყო გარდაცვლილთა მეგობარი“ (Budge 1934:211). ნეფთის ეგვიპტური ტრანსლიტერაციული ფორმაა Neb-T~~H~~et ნებ-ტ-ხეტ, რომლის პირველ კომპონენტში ქართველური ნებ-ნება მკაფიოდ იკვეთება.<sup>17</sup>

ჩამოთვლილი სახელების სიას უნდა მიეუმატოთ Neb-maāt (ნებ-მაათ), Neb-Sekhem (ნებ-სეხემ) და Neb-Heru (ნებ-ხერუ). ისინი ქვესკნელის ღვთაებებია, რომლებიც *ნუს პაპირუსის* ე.წ. „უარყოფით ალსარებაში“ მოიხსენიება. ნუ სხვადასხვა ღმერთს მიმართავს და აცხადებს, თუ რა არ შეუცოდავს, რის საფუძველზეც ღმერთებმა უნდა გაამართლონ და მიანიჭონ ოსირისის დარბაზში შესვლის უფლება, სადაც საბოლოო განაჩენს გამოუტანენ. აი, როგორ მიმართავს ნუ ზოგიერთ ღვთაებას, რომელთა სახელები ქართველურ სიტყვას („ნება“) შეიცავენ:

„18. მშვიდობა შენ, ნებ-მაათ, მათის ქალაქით გამოსულო, მე არავინ დამისმენია;<sup>18</sup>

25. მშვიდობა შენ, ნებ-სეხემ, გაუთი(?) გამოსულო, მე უაზროდ არ მილაპარაკია;<sup>19</sup>

31. მშვიდობა შენ, ნებ-ხერუ, ნეჯფ-ტ-ით გამოსულო, მე არ დამიბამს...მე არ... ღმერთის“ (Budge 1934:299-300).

მოკლე „ნებ“ ფორმის გვერდით სრულ ვარიანტ „ნებასაც“ ვხვდებით. „უარყოფითი ალსარების“ იმავე ტექსტში ერთ-ერთ ღმერთს, რომელსაც „ნუ“ მიმართავს, ქართველური „ნებას“ იდენტური სახელი „ნება“ ჰქვია:

„4. მშვიდობა შენდა, „ნება“ (Neba), რომელიც დასვენებიდან და სიმშვიდიდან მოემართები, მე არ გამიძარცვავს წმინდა განძი“ (იქვე).

როგორც ვხედავთ, ეგვიპტელთა განათლებული ელიტა ქართველური „ნებას“ ფორმებს საკმაოდ კარგად იცნობდა. მიღებული დებულება ამი დუატის წიგნი-დან („ლამის საათნი“) დამატებით მოყვანილი მასალით შეგვიძლია განვამტკიცოთ. დუატის ეტიმოლოგია უცნობია, თუმცა, ეგვიპტოლოგთა საერთო შეთანხმებით, იგი საიქიოს აღნიშნავს, არეს, რომელსაც მზე ჩასვლის შემდეგ გაივლის, რათა მეორე დილას აღმოსავლეთით კვლავ ამოზრწყინდეს. დუატი გარდაცვლილთა სულებით იყო დასახლებული. დუატის განსხვავებულ ადგილებს ღვთაებები დარაჯობენ. მრავალი მათგანის სახელი ქართველურ „ნებას“ შეიცავს. „ამი დუატის წიგნი“, რომლის უძველე-

<sup>17</sup> სახელის მეორე ნაწილის ხეტ ანალიზისათვის იხ. თავი ხეტმ-შნვ-შნ, გვ. 317-323; 388-392.

<sup>18</sup> მათის ანალიზი იხ. გვ. 379-388.

<sup>19</sup> სეხემის ანალიზი იხ. გვ. 412-414.

სი და ყველაზე სრული ეგზემპლარები ფარაონების (ამენ-ხეტეფ II, თოთმეს III, ამენ-ხეტეფ III) აკლდამებშია აღმოჩენილი, მრავალ (პატრონი) მფარველ ღვთაებას ასახელებს, რომელთა რთული სახელების შემადგენლობაში ფიგურირებს სიტყვა ნება. ასე მაგალითად, Ari-Nebau (არი-ნებაუი), დუატში Shesat-Makey-Neb-s-ის (შესატ-მაკეი-ნებ-ს) ნეტ-რა-ს მინების პატრონი ღვთაება იყო. ამ ადგილებს, აფუ<sup>20</sup> თავისი ნავით მეორე საათის განმავლობაში გაივლიდა (Budge 1934:359). აქვე იყო Net-Neb-Uā-Kheper-Autu (ნეტ-ნებ-უა-ხეპერ-აუტუ), რომელსაც მესამე საათის სივრცული არე შეესაბამებოდა (იქვე, 359), რელიგიური ტერმინი Nebtusha (ნებტუშა) აფუს დუატში მოგზაურობის მერვე საათს ერგებოდა (იქვე, 363), ხოლო ქალღვთაებას Tuatt-Makel-Neb-s (დუატ-მაკელ-ნებ-ს), რომელიც დუატის (ბესტ-არუ-ანხეტ-ხეპერუ) შემოგარენში მიაცილებდა ნავს, მეცხრე საათი ჰქონდა მიკუთვნებული (იქვე, 363).

კეთილი ღმერთების გარდა იგივე ქართველური სიტყვა „ნება“ ურჩხულთა სახელებშიც ფიგურირებს. ამის ნათელი მაგალითია ეშმაკი Nebt-ის (ნებტ) სახელი, რომელიც ბრიტანეთის მუზეუმის 10112-ე კაპირუსშია მოხსენიებული და რომელიც თენტ-ნუბტ-ის შვილის ტეხერტ-პურუ-აბტ-ისთვის დაინერა. იგი ღმერთებმა „სამსჯავროზე გაამართლეს“ (Budge 1934:348-49).<sup>21</sup> ფორმა „ნებტ“ უჩვენებს არა მარტო ქართველური ნებ ძირის გამოყენებას სახელში, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია ანალიზის ამ ეტაპზე, გვთავაზობს ახალ საფუძველს ეგვიპტური „ნების“ და „ნებტის“ ქართველური წარმომავლობის გასაძლიერებლად. საქმე ბოლოკიდურ -ტ თანხმოვანშია, რომელიც ეგვიპტური სიტყვების ქართველურ წყაროს კიდევ უფრო დამაჯერებელს ხდის. მისი არსებობის ახსნა მხოლოდ ქართველური გრამატიკით არის შესაძლებელი. ქართულ არსებით სახელთა ბრუნების სისტემა სიტყვა „ნებას“ შემდეგნაირად წარმოადგენს:

### ცხრილი 13

#### ქართველური ნებას ბრუნება

სახელობითი	ნება
მოთხრობითი	ნება-მან
მიცემითი	ნება-ს-ა
ნათესაობითი	ნებ-ის-ა
მოქმედებითი	ნებ-ით-ა
ვითარებითი	ნება-დ
ხოდებითი	ნება-ვ

წარმოდგენილი კვლევისთვის „ნებას“ ბრუნება მრავლისმთქმე-

<sup>20</sup> აფუ ან აფუ-რა – მზის სხეული, მზის ხორციელი სახე (Budge 1934:358).

<sup>21</sup> კაპირუსის საინდექსო ნომერი მოცემულია ბაჯის მიხედვით (Budge 1934:348).

ლია, განსაკუთრებით მისი მოქმედებითი ბრუნვა, სადაც ბოლოკი-დური -ა იკარგება და ჩნდება ბრუნვის დაბოლოება -ით. აღნიშნული ბრუნვის ფორმა კი სიტყვის მნიშვნელობას შემდეგნაირად ცვლის: საკუთარი ნებით, სურვილით (გაიხსენეთ ეგვიპტელთა რწმენა უდიდესი ღმერთების თვითშექმნის შესახებ). თუ ქართულ ფორმაში -ი ხმოვანს ამოვადებთ, მეთოდი, რომელიც ეგვიპტური დამწერლობისთვის არის დამახასიათებელი, მაშინ ქართველური ნებითის საბოლოო ფონეტიკური შედგენილობა ეგვიპტური ნებტის იდენტური გახდება: ქართ. ნებით > ნებთ = ნებტ. ყრუ ასპირაციული ხშული თ-სა და ყრუ მკვეთრი ხშული ტ-ს ურთიერთმონაცვლეობა იმდენად ხშირია, რომ ეს ფაქტი ქართველური და ეგვიპტური სიტყვების იგივეობას უფრო ამტკიცებს, ვიდრე ურყოფს.

ეგვიპტური „ნებტის“ წარმომავლობა ქართველური „ნებას“ მოქმედებითი ბრუნვიდან რამდენიმე ღვთაების სახელითაც დასტურდება. ესაა ღვთაებები, რომლებიც მოგვიანებით ხათორის სახელს შეერწყნენ. ერთ-ერთი მათგანია Neb[T]-Uarekht-Āat (ნებ[ტ]-უარეხტ-აატ). მას ლატოპოლისში ეთაყვანებოდნენ. მეორე სახელია NebT-Hetep (ნებტ-ხეტეფ; Budge 1934:231), რომელიც ნეფთის სახელს ემთხვევა, და შემდეგი სახელია ნებუტ (იქვე, 229), სადაც არქეტიპული ი (-ით) უ ხმოვნით არის წარმოდგენილი.

წარმოებული კვლევა უფლებას გვაძლევს ქართველური „ნებას“ ოდნავ შეცვლილი მოქმედებითი ბრუნვის ფორმა ზევით განხილული ტეხერტ-ნებ-ა პურუ-აბტის მამის სახელშიც თენტ-ნუბტ ამოვიცნოთ (გვ. 76).

ქართველური „ნებასა“ და მისი ეგვიპტური შესაბამისობების შედარებითი ლინგვისტური ანალიზის დასასრულს შეიძლება ითქვას, რომ შუმერული „ნაბ-ნაბუს“ მსგავსად ეგვიპტური ნებ, ნება და ნებტ მომდინარეობენ ქართველური ენობრივი წიაღიდან და ძალიან ჰგვანან თავის არქეტიპებს როგორც ფონეტიკურად, ისე სემანტიკურად. უფრო მეტიც, ირკვევა, რომ ქართველური ბრუნვის ფორმები (მოქმედებითი) ღვთაებათა სახელდებაში იღებენ მონაწილეობას. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბრუნვის დაბოლოებას (-ით) თავისი არქეტიპული მნიშვნელობა არათუ შენარჩუნებული აქვს, არამედ მონაწილეობას იღებს სახელის მთლიანი სემანტიკის ჩამოყალიბებაში. აღნიშნულის გამო, ქართველური მოქმედებითი ბრუნვის ფორმა, ერთი მხრივ, წარმოადგენს ეგვიპტურ ღვთაებათა თვითშემოქმედების უძველესი მრწამსის ენობრივი გამოხატვის საოცრად შეკუმშულ ფორმას, და მეორე მხრივ, ააშკარავებს ეგვიპტური ღვთაებების სახელდების ძირითად პრინციპს – ქართველური ბრუნვის ფორმების შინაარსობრივ ჩარჩოს. ქართველური „ნებ-ნებას“ შემცველი ეგვიპტური სახელები, ქართველური სიტყვე-

ბის მნიშვნელობის („სურვილი, ნდომა“) გამო, იძენენ მათთვის დამახასიათებელ უმნიშვნელოვანეს თვისებას – თვითდაბადებას, რითიც ღვთაებრივ კონცეპტებზე მიუთითებენ.<sup>22</sup>

ეგვიპტური „ნებ-ნებას“ ლინგვისტურმა ანალიზმა არა თუ გადაამონმა, არამედ დადასტურა კიდევ ქართველურ-შუმერული ნებ-ნება-ანაბ-ნაბ – I ნაბ-ნაბუს კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები. ამავე მიზნით, შემდგომმა ეტაპმა ეგვიპტური „დამწერლობის ღმერთის“ „თოთ-ის“ შედარებითი ანალიზი უნდა მოიცვას, ვინაიდან, ერთი შეხედვით, შუმერულ „ნაბუს“, ეგვიპტურ „ნაბსა“ და ეგვიპტური დამწერლობის ღმერთს („თოთი“) შორის ხელმოსაჭიდი ურთიერთობები არ ჩანს. ქვევით შემოთავაზებული ძიება ააშკარავებს თოთის ქართველურ არქეტიპსა და შუმერულ, ეგვიპტურ და ქართველურ ლექსემებს შორის არსებულ უხილავ კონტაქტებს.

## 8. ეგვიპტური თოთის შედარებითი ლინგვისტური ანალიზი

ეგვიპტური დამწერლობის ღმერთის სახელის იეროგლიფური გამოსახულებაა  $\text{𓆎}$   $\text{𓆏}$ . იგი იკითხება როგორც *Dḥwty* (Faulkner 2002:292), რომელიც *Dḥw*-დან მომდინარეობს. იმავე ფორმას სხვაგვარადაც ახმოვანებენ, მაგალითად, *Jehuty, Tahuty, Tehuty, Zehuti, Techu* ან *Tetu* და სხვ. უ. ბაჯის *ეგვიპტური ენის იეროგლიფურ ლექსიკონში* (EHD) თოთის სახელი *Ta* (?) მარცვლით არის გახმოვანებული (EHD 1978: 817), თუმცა გვერდით დასმული კითხვის ნიშანი შემოთავაზებულ გახმოვანებას მხოლოდ ვარაუდის მნიშვნელობას ანიჭებს. ყველაზე ხშირად ხმარებული სახელი *Thoth* კი *Dḥwty*-ის ბერძნულ ვარიანტად არის მიჩნეული.

<sup>22</sup> ინდოევროპული ფორმები, რომლებიც ერთმანეთს წმინდა ლინგვისტური (ფონეტიკური, სემანტიკური) ურთიერთობებით უკავშირდებიან და არაფერი აქვთ საერთო იმ ეზოთერულ ცოდნასთან, რომელიც იგივე ბგერითი შედგენილობის ქართველურ, შუმერულ და ეგვიპტურ ფორმებს ახასიათებთ და ამთლიანებთ, საფუძველს ქართველური ენის სიღრმეებიდან უნდა იღებდნენ. შდრ.: ძველი ინდური *nābhās*, „ღრუბელი, ნისლი“, ბერძნული *Nephos*, ლათინური *Nebula*, „ნისლი“ (Шанский, Иванов, Шанская 1971:286), ბელორუსული *Něbo*, ძველ-რუსული *небо*, ძველსლავური *небо*, ბულგარული *небе*, სერბოხროვატული *небо*, ჩეხური *nebe*, პოლონური *niebo*, ზემო და ქვემოლუყური *hebjō*, პალაბური *hebü* (Преображенский 1910-1914:597). მეტიც, ბიბლიური სახელები *ნებო*, *ნებაი*, *ნებეტ* (ნებით?), *ნებოს მთა* (სადაც გარდაიცვალა მოსე) და ა.შ. იმავე ქართველური ნიალიდან მომდინარე ერთეულები უნდა იყოს. ამასთან დაკავშირებით, გამოსაძიებელია მესხების მიერ მოსკოვის დაფუძნების ისტორიული ცნობა (ლომონოსოვი VI, 1952:18) და რუსული ეთნოსის ჩამოყალიბებაში ქართველური გენის წვლილი (მიქელაძე 2001:75).

დამწერლობის ღმერთის დიდი მნიშვნელობისა და როლის მიუხედავად, „ცოტა რამ არის ცნობილი „თოთის“ სახელის შესახებ და მისი სახელის დამაკმაყოფილებელი ახსნაც ჯერ არ შემოუთავაზებიათ. ძლიერ ძველი ლეგენდის მიხედვით, „თოთი“ ჰორუსის ვაჟია, რომლის თესლი სეთის სხეულში სალათის(?) ფოთლების მეშვეობით მოხვდა“ (Budge 1934:152). „დინასტიურ ხანაში თოთი რასა და ოსირისის ჟამთაღმრიცხველი იყო. იგი აღნუსხავდა დღის ღმერთის საქმეებს და ღამის ღმერთს – ოსირისს მის გასაკეთებლს შეახსენებდა ხოლმე. მან შექმნა დამწერლობა და რიცხვების მეცნიერება, ბრძანა ციური სხეულების მოძრაობა, ბატონობდა ჟამსა და წელიწადის დროებზე. თავდაპირველად, იგი ალბათ, ვარსკვლავთღმერთი იყო, რომელიც სამყაროს წონასწორობას უნარჩუნებდა (იქვე, 152-53).

ეგვიპტური თოთისა და ქართველური თვე-მთვარის ფონეტიკური სიახლოვე დიდი ხნის შემჩნეული ფაქტია. ქართულ კალენდარზე და კერძოდ, თვესა და მთვარეზე მსჯელობისას, ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს: „ძველი ეგვიპტელებიც მთვარის ღვთაებას და თვეს „თუთს“, ან „თოთს“ („თოკუთ“, „თოოკუთ“, „თოთ“, „თეკუთ“, „თოტ“ ბერძნულად – Θωυτ, Θοουτ, Θωμ, Θεωμ, Θωτ, ლათინურად Thoth) უწოდებენ, რომლის სახელი და შესახები თქმულებები ეგვიპტის გარეშეც ფინიკიასა, საბერძნეთსა და რომშიაც იყო ცნობილი“ (ჯავახიშვილი 1960:133). დეტალური ლინგვისტური და კულტუროლოგიური კვლევის ჩატარებამდე საჭიროა, რამდენიმე სიტყვა ითქვას ქართველური ფორმების შესახებ.

ქართველურ ენებში სიტყვა „თვე“ შემდეგნაირად არის წარმოდგენილი: ჭან. თუ-თ-ა, მეგრ. თუ-თ-ა, ქართ. თ-თ-უ || თუ-თ-ე, სვან. დო-შდ-ულ – „მთვარე, თვე“ (ჩიქობავა 1938:203-04).

ქართველური „თუთასა“ და ეგვიპტური „თოთის“ შედარება ნათელს ხდის მათ ფონეტიკურ იგივეობას. მეტიც, ფრიად გასაოცარია, რომ გეოგრაფიულად და ქრონოლოგიურად დიდად დაშორებულმა ქართველურმა და ეგვიპტურმა სიტყვებმა ყრუ ასპირაციული ხმოვლი (თ) უცვლელად შეინარჩუნეს. რაც შეეხება ხმოვნებს, აქ ორ უმნიშვნელო განსხვავებასთან გვაქვს საქმე: ქართველური უ ეგვიპტურში წარმოდგენილია ო ხმოვნით, და ქართველური ბოლოკიდური ა/ე ხმოვნები ეგვიპტურ სახელში არ ფიგურირებენ. ამის ახსნა რთული არ არის. ზემოთ განხილული ნაბუ-ნებას შემთხვევის მსგავსად, პირველი უ-ო შესაბამისობა ძალზე ხშირი ბგერათგანვითარებაა, რომელიც ინტერ- და ინტრალინგვისტურ დონეზე მოქმედებს. მეტიც, ეგვიპტური თოთ ზოგჯერ ფუძისეული უ ხმოვნით გვხვდება, რაც ღმერთის სახელს (თუთ) ქართველური ფორმების იდენტურ ვარიანტად გადააქცევს.

მეორე განსხვავება (ბოლოკიდური ხმოვნის არყოფნა) მრავალი მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული: ეგვიპტური არქეტიპის დაუ-

ზუსტებელი გამოთქმით, ბოლოკიდური ხმოვნის დასუსტება-ამოვარდნით, ან ქართველურ სიტყვებში გავრცელებული ბოლოკიდური ხმოვნის ამოვარდნის ანალოგიით (მაგ. კვეცა ა და ე ხმოვანფუძიან სახელებში). ნახსენები განმასხვავებელი თვისებები შეიძლება იოლად უგულებელვყოთ, ვინაიდან, ეგვიპტური თოთისა და ქართველური თუთა-თუთეს გაიგივება წინააღმდეგობას არ აწყდება.

აღწერილი ბგერითი მსგავსების გარდა, მასალა უფრო ღრმა ქართველურ-ეგვიპტურ ლინგვისტურ კავშირებსაც გვთავაზობს: „ძირეულია -თ-; ის დაცულია ქართულსა და მეგრულ-ჭანურში; სვანურში კანონზომიერად არის წარმოდგენილი შდ-თი; თავკიდური თუ- || თ- ზან. და ქართ., - როგორც ამას სვანურთან შედარების საფუძველზე სამართლიანად ასკენის ვ. თოფურია, ასიმილაციის შედეგადაა მიღებული დუ- || დ-სგან. ასე რომ, სვანურის მსგავსად ზანურსა და ქართულშიც დუ- გვექონდა - \*დუ-თა || \*დუ-თე... ეს დუ- ნივთის კატეგორიის თავსართია (დუ-ცხუ, დი-შქა, დო-ცხირ-ი...).<sup>23</sup>


„ძირეული -თ- იგივე უნდა იყოს, რაც თ-ე-ში გვექონდა („სინათლე“): თ-ან-უ-გან-თ-ენ-ა... აქედანვე: მ-თ-ოვ-არ-ე - მანათობელი“ (იქვე).

ნათქვამიდან გამომდინარე, თუთა და თუთე ფორმები დამყარებულია სტრუქტურაზე პრეფიქსი+ძირი+ხმოვანი, ე. ი. დუ+თ+ა/ე. თუთას სვანურ ვარიანტში პრეფიქსი წარმოდგენილია არა დუ-, არამედ დო- მარცვლით (დო-შდ-ულ), რაც საშუალებას გვაძლევს უფრო დავაზუსტოთ „თუთა“-ს განვითარების ფორმულა: დო+თ+ა/ე. გამოვლენილი მორფემული თანმიმდევრობის გამო უფრო მეტად ვუახლოვდებით არა მხოლოდ სახელს Thoth, რომელიც ეგვიპტური Dḥwty-ის ბერძნული ვარიანტია, არამედ მის არქეტიპსაც: დ-უ-თ-ე- Dḥ-w-t-y, სადაც, ფაქტობრივად, მხოლოდ ერთი განსხვავებული ბგერა ო ფიქსირდება.

თუ გასაანალიზებელ ერთეულებს შორის გამოვლენილი ურთიერთობა სწორად ასახავს მათ შორის არსებულ კონტაქტებს, შესაძლებელი ხდება ეგვიპტურ-ბერძნულ Dḥwty-Thoth-სა და ქართველურ მასალას შორის საინტერესო ენობრივი პარალელების გავლენა:

<sup>23</sup> აკად. ივ. ჯავახიშვილი არ ეთანხმება ვ. თოფურიას და მიაჩნია, რომ პირველადი უნდა იყოს თ და არა დ. ძირითად მიზეზად დასახელებულია ძველი ქართული თ-ს შესატყვისი კომპლექსი შდ და მეგრულ-ჭანურში დაფიქსირებული თ (ჯავახიშვილი 1960:132-33).

## ქართველურ-ეგვიპტურ-ბერძნული პარალელები



მოყვანილი სქემა ფრიად საინტერესო ინფორმაციას შეიცავს: ქართველური ნევრის ყველა ლექსემა (დუთა, დუთე, თუთა, თუთე) ერთი ენობრივი სისტემის ერთეულებია, მაშინ, როდესაც ჯგუფის მეორე ნევრის კომპონენტები (Dḥwty, Thoth) განსხვავებული ენების სისტემებს მიეკუთვნებიან; ქართველური ნევრის ყველა აღდგენილი სიტყვა (\*დუთა, \*დუთე) ემორჩილება ენის სისტემაში არსებულ კანონებს, მაშინ, როდესაც ეგვიპტურსა და ბერძნულში სიტყვის ნაკითხვის უამრავი ვარიანტია შემოთავაზებული (იხ. ზევით). განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის ფაქტი, რომ ფონეტიკური თვალსაზრისით, ეგვიპტურ-ბერძნული ფორმები გაცილებით უფრო ახლოს დგას ქართველურ ლექსემებთან (დუთა–Dḥwty, თუთე–Thoth), ვიდრე ერთმანეთთან.

წარმოდგენილი მახასიათებლები არაორაზროვნად მიუთითებენ ქართველური მასალის დომინანტურ როლზე, რაც საფუძველს გვაძლევს ეგვიპტური და ბერძნული ლექსემების წარმოშობა ქართველურიდან ვივარაუდოთ. ვინაიდან ეგვიპტური Dḥwty-ის ზუსტი ბგერითი ფორმა დადგენილი არ არის, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ლინგვისტური ანალიზი ქართველური „თუთასა“ და ბერძნული Thoth-ის საფუძველზე ჩავატაროთ, თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ ორივე ლექსემის გაჩენას წინ გარკვეული საფეხურები უძღოდა: ქართველურში, სანყისი და რეგრესიული ასიმილაციის შედეგად, მჟღერი ხშულის (დ) ყრუ ასპირაციულ ხშულად (თ) გადაქცევა და ბერძნული Thoth-ის წინ ეგვიპტური Dḥwty-ის არსებობა. მეტიც, თუ გავიზიარებთ ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებას გასაანალიზებელი სიტყვის სავარაუდო წარმოშობაზე, ქართველური „დუთა–დუთეს“

<sup>24</sup> ადიშის ოთხთავში იკითხება თუთე. იგი გადამწერის შეცდომად მიაჩნიათ (თოფურია 1926:217), რაც, თავის მხრივ, შეიძლება მცდარი ვარაუდი იყოს.



ნინ კიდევ ერთი ფონეტიკური ეტაპია საგულეებელი, – ესაა შდ > დ (ჯავახიშვილი 1960:133). შესაბამისად, გვექნება:

**\*შდომდ > დომდ > დუთა–დუთე > თუთა–თუთე**

ნათქვამიდან გამომდინარე, თუ ეგვიპტურ Dhwty-ის მართლაც აქვს ეტიმოლოგიური კავშირი ქართველურ დუთა–დუთესთან, მათ (ეგვიპტურ და ქართველურ ერთეულებს) ნინ უსწრებდა ფონეტიკური ცვლილების შდ > დ საფეხური, რომელიც ქართველური ენების ნიაღში გაცილებით ადრე უნდა მომხდარიყო, ვიდრე საკვლევ ლექსემებს შორის გამოვლენილი ფონეტიკური კავშირები ჩამოყალიბდებოდა (მდრ.: შუმერულ ნაბს). ამიტომ, ქრონოლოგიური თვალსაზრისით, ქართველური მასალა ეგვიპტურზე უწინარესია, რაც ავტომატურად მოიაზრებს მის ანალოგიურ ტემპორალურ წინსწრებას ბერძნული Thoth-ის მიმართაც.


გამოვლენილ დროით ჩარჩოებსა და ფონეტიკურ მსგავსებას სემანტიკური კავშირებიც ამყარებს, რომელთა ძიება ქართველურ „თუთასა“ და ეგვიპტური დამწერლობის ღმერთის სახელს („თოთ“) შორის არცთუ იოლია, ვინაიდან საჭირო ხდება ქართველურ „თუთასა“ და ქართულ დამწერლობას შორის არსებული დაფარული ურთიერთობების დღის შუქზე გამოტანა.

როგორც არაერთხელ აღინიშნა, ქართველური „თუთა“ სემანტიკურად „მთვარესა“ და „თვეზე“ მიუთითებს, ფონეტიკურად ეგვიპტურ „თოთს“ უკავშირდება, ხოლო სემანტიკით – ქართულ ასომთავრულ ანბანს; უფრო ზუსტად, მის პირველ ასო-ნიშანს, – მთვარის ღმერთს – ანის (პატარიძე 1980:94). ეგვიპტური „თოთის“ მსგავსად, რომელიც მთვარის ღმერთს განასახიერებდა და იმავდროულად მთვარის კალენდარს მეთაურობდა, ასომთავრული ანიც მთვარის ღმერთია<sup>25</sup> (ადრეული ცის ღმერთი) და ანბანის მთვარის კალენდარს მეთაურობს. „თოთის“ მსგავსად, რომელიც ქვეყნის რელიგიურ ცხოვრებასა და პრივილეგირებული სამღვდელოების ცოდნას განაგებდა, ანიც, თავისი მათემატიკური მნიშვნელობებითა და გეომეტრიული ფორმულებით, მთვარის თვიური და წლიური მოძრაობის უზარმაზარი ასტრონომიული ცოდნის სათავსოა. მეტი თუ არა, არც ნაკლები მნიშვნელობის ფაქტია ის, რომ ორივე ღმერთი დამწერლობის სისტემების საკუთრებაა. თოთს ეგვიპტური დამწერლობის შემოქმედ ღვთაებად მიიჩნევდნენ და ქართული ანბანის თავში მყოფი ანიც, იმავე ფუნქციას ასრულებს. ნათქვამის სქემატური გამოსახვა მოცემულია მე-15 ცხრილში:

<sup>25</sup> ქართველურ ანის, შუმერული ანა/ანუს და ფინიკურ 'ალეფის შესახებ იხ. გვ. 119.

ცხრილი 15

ქართველური ანი, თოთა და ეგვიპტური თოთ



ცხრილი ნათელს ჰფენს ფონეტიკური, სემანტიკური, ფუნქციური და კულტურული ჰარმონიის საოცრად რთული ბუნების მქონე კავშირებს, რაც ორ ენასა და კულტურას შორის მხოლოდ ურთულესი გენეტიკური ურთიერთობების მაჩვენებელია. ქართველური მასალა ნათლად მიუთითებს ეგვიპტური დამწერლობის ღმერთის სახელის არა მხოლოდ საერთოქართველურობას, არამედ ქართული ანბანის სიბრძნიდან და ცოდნიდან მომდინარეობასაც, რაც, თავის მხრივ, ფარდას ხდის მეცნიერების იმ სფეროთა მმართველობას (ასტრონომია, მათემატიკა, გეომეტრია), რომლებიც ეგვიპტურ ღმერთს ჩააბარეს. აქედან გამომდინარე, ეგვიპტური დამწერლობის ღმერთი აკონკრეტებს, შუმერების გარდა, თუ ვის ხვდა წილად პატივი, მიეღო ღვთაებრივი დამწერლობა და უსაზღვრო სამყაროსეული ცოდნა.


შეიძლება დავასკვნათ, რომ „თოთის“ ღვთაებრივი თვისებები უძველესი გასაიდუმლოებული ქართველური მეცნიერების ცოდნიდან „ამოიზარდა“. ეს ის ცოდნაა, რომლის ჩარჩოებში ქართულმა ასომთავრულმა ანიმ თავისი ღვთაებრივი ძღვენი \*დუთა > თუთაში („თვე, მთვარე“) გაასაიდუმლოა, რათა „ნამდვილი“ სახელით (ანი) შუმერული მთვარის ღმერთისთვის ანა/ანუ გაენოდებინა ხელი. ფონეტიკური განსხვავების მიღმა დარჩენილმა \*დუთა > თუთამ სხვა ფუნქცია იკისრა: ეგვიპტური თოთ ღვთაებრივ რანგში აიყვანა და ერთმანეთისგან გათიშა დამწერლობის ქართველური და ეგვიპტური უზენაესი ღვთაებები (ანი, თოთ), ერთი მხრივ, და შუმერული და ეგვიპტური მთვარის ღმერთები (ანა/ანუ, თოთ), მეორე მხრივ.

კიდევ უფრო საინტერესოდ მოჩანს განხილული სახელების სინ-

ტაქსური არქეტიპი, რომელიც ქართული გრამატიკისა და სემანტიკის პრინციპებს ეყრდნობა. ესაა უმარტივესი მაიგივებელი სინტაგმა ანა ანუ თოთ, რომელშიც პირველი კომპონენტი (ანა) ქართული ასომთავრული ანბანის პირველი ასო-ნიშნისა და შუმერული მთვარის ღმერთის სახელია, მეორე კომპონენტი ომონიმის პრინციპით აერთიანებს შუმერული მთვარის ღმერთის მოგვიანო სახელს (ანუ) და ქართულ მაიგივებელ კავშირს ანუ, ხოლო მესამე წევრი წარმოდგენილია ქართველური ეტიმოლოგიის მქონე ეგვიპტური თეოფორული სახელით თოთ. შესაბამისად, სინტაგმის სამივე წევრი ქმნის სამეწოვან სისტემას, რომელშიც ქართველური ელემენტი დომინანტია. მეტიც, სწორედ ქართველური სინტაგმის წყობაზე აგებული შუმერული და ეგვიპტური სახელები იღებენ მონანილეობას იმავე სინტაგმისთვის დამახასიათებელი ქართველური სემანტიკის ჩამოყალიბებაში და ღია ტექსტით მიუთითებენ კვლევის შედეგის სისწორეზე, კერძოდ, შუმერული, ეგვიპტური და ქართველური ღვთაებების ტოლობაზე. მკვდარი შუმერული და ეგვიპტური, და ცოცხალი ქართველური ლექსემების მსგავსი ურთიერთშეღწევადი, ურთიერთშემავსებელი და ურთიერთგანმსაზღვრელი ურთიერთობები, რომლებიც ქართველური მასალით იმართება, მხოლოდ ერთ გარემოებაზე მიუთითებენ – ქართველური ფენომენის (ხალხი, ენა, კულტურა) როლზე, როგორც ორი უძველესი ცივილიზაციის გამაერთიანებლისა და შემაკავშირებლის ძალაზე.

თუ ეგვიპტური „თოთის“ ანალიზის შედეგებს გრაფიკულად შევაჯამებთ, ამ სამ ცივილიზაციას (ქართველური, შუმერული, ეგვიპტური) შორის არსებული კრიპტული კავშირები უფრო მკაფიოდ გამოვლინდება.

ცხრილი 16  
ქართული ასომთავრული ანი და მისი კავშირები



ამრიგად, შუმერული და ქართველური ნაბუ-ნებას მსგავსად, ეგვიპტური „თოთი“ და ქართველური „თუთა“ (თავისი ვარიანტებით)

ფონეტიკურად იდენტური სიტყვებია. სემანტიკურადაც, მოსალოდნელი დაუკავშირებლობის ნაცვლად, ისინი ურთიერთშემავსებელ ჰარმონიაში თანაარსებობენ. ქართველური არქეტიპის მნიშვნელობები („მთვარე, „თვე“) და ქართულ ასომთავრულ „ანში“ კოდირებული ეზოთერული ასტრონომიულ-მათემატიკური ინფორმაცია „თოთის“ ღვთაებრივი მნიშვნელობისა და მისი საკრალური ფუნქციების სათავეს წარმოადგენს. ყოველივე ეს კი ნათელს ჰფენს იმ მიზეზებს, რომელთა გამოც „თოს“ დამწერლობისა და ცოდნის წარმართვა და ხელმძღვანელობა ჰქონდა ჩაბარებული.

კვლევიდან ისიც ირკვევა, რომ შუმერული „ნაბუ“ და ეგვიპტური „თოთი“ შესაბამისი სისტემების ორი ერთნაირი ღვთაებაა. ერთი მხრივ, „ნაბუ“ და „თოთი“ საკუთარ რელიგიურ სისტემებში დამოუკიდებელი ღვთაებებია, აქვთ საკუთარი მოვალეობანი და ხელმძღვანელობის ძალა-უფლება, მაგრამ როგორც კი ისინი ქართველურ ლინგვისტურ და კულტუროლოგიურ მასალასთან შემოდიან ურთიერთობაში, ანუ მიიერთებენ ქართველურ ეტიმოლოგიას („სურვილი, ნდომა“; „თვე, მთვარე“), ათასწლეულების შემდეგაც ქართველურ მასალას ემორჩილებიან, უერთდებიან ქართველურ საზოგადო სახელებს, განიცდიან დესაკრალიზაციას და კარგავენ დამოუკიდებლობის სტატუსს. მეტიც, ქართველური მასალა შუმერულ და ეგვიპტურ ღვთაებებს ეხიდება და „იყრდნობს“ ერთი შეხედვით განსხვავებული ცივილიზაციების გასაიდუმლოებულ წარმომავლობას. ამიტომაც არ არის საკვირველი, გამოვლენილი კავშირების მეშვეობით, „ნაბუ“ და „თოთი“ ქართველური დამწერლობის ერთადერთი ღმერთის ორსახა რთულ ხატს რომ ქმნიან; ესაა ფაქტი, რომელიც კალმისა და ჩალის დაფის ერთიანობის ფორმულას გასაოცარი სიზუსტით იმეორებს.

შუმერულ და ეგვიპტურ ღვთაებებსა თუ ქართველურ ენებსა და კულტურას შორის გამოვლენილი გასაიდუმლოებული კონტაქტები ადვილად არ ჩანს. ისინი დაფარულია მრავალჯერადი ენობრივი და კულტურული ფენებით, რომლებიც პრეისტორიის ისეთ სრულყოფილ სურათს აგებენ, სადაც თითოეული წევრის მიერ გაღებული წვლილი ქართველური ნყვილის მეშვეობით რეგულირდება. შუმერული „ნაბუსა“ და ეგვიპტური „თოთის“ ქართველური ეტიმოლოგია სხვაგვარად აშუქებს დამწერლობის დასაწყისს. ქართველური „ნებას“ მნიშვნელობა – „სურვილი, ნდომა“ და მისი კომბინაცია შუმერულ ღვთაება „ნაბთან“ („ღმერთი“) აჩვენებს, რომ დამწერლობაზე არსებული დღევანდელი შეხედულება მცდარი უნდა იყოს. შუმერების ხანგრძლივი სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების ნაცვლად, შესაძლოა, სავსებით განსხვავებულ სანყისთან გვქონდეს საქმე. ანალიზი აჩვენებს, რომ ახლო

აღმოსავლეთის რელიგიებში ათასი წლის მანძილზე შემონახული რწმენა დამწერლობის ღვთაებრივი ნებით დაწყების შესახებ შუმერულ-ქართველური და ეგვიპტურ-ქართველური ეტიმოლოგიური კომპლექსებით დასტურდება:

**ნაბ/ნებ (ღმერთი) + ნება (სურვილი) = ღვთაებრივი სურვილი**

მიღებულ ფორმულაში ღია ტექსტით არის ნათქვამი, რომ დამწერლობის დასაწყისი უნდა ვეძიოთ ღვთაებრივ ქართველურ სურვილში, ქართველთა (ნაიკითხე: ქართველ ხელდასხმულ ქურუმთა) ნებაში, მიეცათ დამწერლობა შუმერებისა და ეგვიპტელებისთვის და მაშასადამე, შეექმნათ დამწერლობა, საერთოდ.

გაანალიზებული მასალის ჩვენეული ხედვა ტრადიციული სამეცნიერო სკოლისთვის მიუღებელია, თუმცა დამწერლობის დაწყებაში შეტანილი ქართველური წვლილი მხოლოდ ნათქვამით არ შემოიფარგლება. არაერთოდოქსული მასალის აღიარებამდე, საჭიროა დამატებითი მონაცემების ანალიზი და გადამოწმება. ამიტომ, გამართლებულია, დაუბრუნდეთ ღვთაებრივი თვალის ცნებას, რომელიც დამწერლობის განსხვავებულ სისტემებშია კოდირებული და ქართველთა უდიდესი ღვანლის დამადასტურებლ დამატებით ფაქტებს გვთავაზობს.

## 9. ღვთაებრივი თვალის

ღვთაებრივი თვალის ცნება, რომელიც ქართველური და სემიტური ასო-ნიშნების (ღანი+’აინ) კომბინაციით მიიღება, უძველესი რელიგიური კონცეპტის ანბანური ინკარნაციაა. ყოვლისმხილველი „ღმერთის თვალის“ „განსხეულება“ მით უფრო მოულოდნელი და გასაკვირია, რომ იგი ცოცხალი ქართველური „ღანისა“ და მკვდარი სემიტური „’აინის“ სახელთა „უბრალო“ შესიტყვებით მიიღება. ათასწლოვანი დაშორებისა და გეოგრაფიული მანძილის მიუხედავად, სიტყვათა კომბინირების აქტი ისეთ ზუსტ მათემატიკურ ოპერაციას ემსგავსება, რომლის შემთხვევითი ხასიათი სრულიად გამორიცხულია. შემთხვევითობის შესაძლებლობის ხარისხს კიდევ უფრო ამცირებს ქართულ ასომთავრულ ანბანში იმავე მოდელის („უჩინარი ღმერთი+თვალის“) არსებობა. ცნობილია, რომ ქართულ ასომთავრულ ანბანს და მაშასადამე, ქართველთა უჩინარ და ერთადერთ ღმერთს („ღან“) საკუთარი თვალის გააჩნია, – ქართული ასომთავრული თანი (ⴁ), რომელსაც ანბანში მე-9 ადგილი უკავია. შესაბამისად, ღვთაებრივი თვალის ორი პარალელური სტრუქტურა იჩენს თავს: ა) შერეული ქართველურ-ფინიკიური ღან+’აინ, ბ) ნმინდა ქართველური ღან+თან. მაშასადამე, ქართველთა უჩინარ ღვთაებას ორი ღვთა-

ებრივი თვალი გააჩნია და სამყაროს სემიტური „აინითა“ და ქართული „თანით“ უმზერს. ცხადია, რომ ანბანური კუთვნილების მიუხედავად, ორივე თვალს ერთი და იგივე ფუნქცია აკისრია. ეს არის დებულება, რომელიც მხარს უმაგრებს რ. პატარიძის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას ასომთავრული თანისა და ლანის ურთიერთმიმართების შესახებ (პატარიძე 1980:241).

„თანის“ ფინიკურ-ქართველურ ერთობაში შემოჭრა მარტივ ოპერაციათა რიცხვს არ მიეკუთვნება, ვინაიდან ღვთაებრივი თვალის კონცეპტის სემიტურ-ქართველური „გაორკეცება“ რთული და მრავალშრიანი შერწყმაა, რომლის შემდგომი განვრცობა-გაფართოება კვლავ ქართული „თანის“ მეშვეობით ხორციელდება. გრაფიკული და სემანტიკური იდენტურობის საფუძველზე, „თანი“ შუმერულ (𐎲) და ეგვიპტურ (𓆎) „თვალეთან“ წყვილდება და ისედაც საკმაოდ რთულ, ქართველურ-სემიტურ ანბანურ სისტემაში შემოჰყავს (შეადარე: 𐎲 – 𓆎).

ფინიკურ-ქართველური ჯგუფის გაფართოება ორმხრივია: რაოდენობრივი და თვისებრივი. რაოდენობრიობის თვალსაზრისით, ჯგუფის ნევრთა რიცხვი სამიდან ხუთამდე იზრდება (ლანი, 'აინ, თანი, შუმერული თვალი, ეგვიპტური თვალი-ვაჯიტი), მაშინ როდესაც, თვისებრივად, ხდება ქრონოლოგიურად და კულტუროლოგიურად განსხვავებული სანერი სისტემების გარკვეული სიმბოლოების ერთ ჯგუფში გაერთიანდება:

### ცხრილი 17

ღვთაებრივი თვალი ქართულ, შუმერულ, ეგვიპტურ და ფინიკურ დამწერლობით სისტემებში

შუმერული თვალი	ეგვიპტური ვაჯიტი	ქართული თანი	ქართული ლანი	ფინიკური 'აინ
𐎲	𓆎	𐏂	ლ	א א

ყალიბდება გასაოცარი შუმერულ-ეგვიპტურ-სემიტურ-ქართველური ანბანური ოთხება, რომლის ღვთაებრივი სტატუსი გრაფიკული და იდეოგრაფიული ასპექტებით არის განპირობებული. ესაა თვისებები, რომლებიც შესაბამის ანბანებში და ამიტომ შესაბამის კულტურებშიც, საკვლევი ასო-ნიშნების საკრალურ სტატუსს განსაზღვრავენ. აღნიშნული ღვთაებრივი ოთხება გენეტიკურად დაკავშირებული ენების ტრადიციულად აღიარებული თვისებების საფუძველზე არ არის აგებული. იგი სრულიად ახალი წარმონაქმნია, ვინაიდან მკვდარი და ცოცხალი ენების უაღრესად რთული ერთებიდან

გამომდინარეობს. მეტიც, იგი ზეინფორმაციული წარმონაქმნია და დამწერლობის განვითარების მთლიან ისტორიას აირეკლავს. ყველა, ვინც კი ოდნავ მაინც იცნობს კაცობრიობის ძველისძველ წარსულს, ადვილად მიხვდება, რომ შუმერული და ეგვიპტური „თვალის“ პიქტოგრამებს დამწერლობის წინარესემიტურ ეპოქაში გადავყავართ; კერძოდ, იმ დროში, როდესაც კაცობრიობა დამწერლობის ცივილიზაციის სათავეებთან<sup>26</sup> იდგა და პირველ ნაბიჯებს დგამდა განვითარების სრულიად ახალი ეტაპისკენ – განათლებული ცივილიზაციისაკენ. დამწერლობა, რომელიც შუმერებმა, ხოლო ოდნავ მოგვიანებით ეგვიპტელებმაც შექმნეს, წარმოგვიდგება სიბნელიდან სინათლეზე გადასვლის გზად, რომლისგანაც უკან დასაბრუნებელი ბილიკი მოჭრილი იყო. ესაა დამწერლობის დაბადების ხანა, მისი პირველი ეტაპი, სადაც, ტრადიციული შეხედულებები რომ არა, ქართული ასომთავრული „თანნი“ შუმერულ-ეგვიპტური ჯგუფის განუყოფელი და სრულყოფილი წევრია.

სადამწერლობო ცივილიზაციის განვითარების მეორე (ანბანური სისტემების დომინირების) ფაზა, შუმერულ-ეგვიპტურ-სემიტურ-ქართველურ ოთხებაში, ფინიკიური „აინით“ არის წარმოდგენილი, ვინაიდან, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, სემიტური ანბანი მსოფლიო ანბანური სისტემების სათავეა. აქაც, მხოლოდ ქართული ასომთავრულის ასო-ნიშნები („ლანი, თანი“) „ვერ ჯდება“ ტრადიციულ მეცნიერულ ჩარჩოებში, არადა სწორედ ისინი წარმოადგენენ ანალიზის შედეგად ჩამოყალიბებული შუმერულ-ეგვიპტურ-სემიტურ-ქართველური თვალის მთლიან, სადამწერლობო სისტემის აღმძრავ და მამოძრავებელ ძალას, უძველესი და უდიდესი ასო-ნიშან-ღმერთების შემკრებსა და შესაკრებელს, მათი ერთობის ღერძს, დამწერლობის განვითარების როგორც პირველი, ისე მეორე ფაზების გამაერთიანებელსა და გამამთლიანებელ ენერგიას, რომელსაც სააშკარაოზე გამოაქვს განუწყვეტელი წინსვლა სურათხატოვნით დაწყებული ანბანურ დამწერლობამდე.

დამწერლობის განვითარების ჩვენეულ სურათს რელიგიური, უფრო სწორად კი, ღვთაებრივი სახეც გააჩნია. აქ, ქართული ასომთავრული ღანი უპრეცედენტო, უმაღლესი ღვთაებაა, უჩინარი

<sup>26</sup> ცივილიზაცია და კულტურა ურთიერთდაკავშირებული ცნებებია, თუმცა არსებობს გარკვეული განსხვავებაც. კულტურა გრადაციული ცნებაა. იგი შეიძლება იყოს პრიმიტიული, განვითარებული, ან ეკავოს რომელიმე შუალედური მდგომარეობა. ცივილიზაცია განვითარებული საზოგადოების ატრიბუტია. გამოყოფენ ცივილიზაციის სხვადასხვა მახასიათებლებს, რომელთაგან დამჯდარი ცხოვრება, სოფლის მეურნეობა, ქალაქმშენებლობა, რელიგიური სისტემა და დამწერლობა უძირითადეხია. ეს უკანასკნელი (დამწერლობა), განათლებული, სრულფასოვანი ცივილიზაციის არსებობის აუცილებელი პირობაა (Daniel 1973:69-75).

ლმერთია, რომელიც სიცოცხლეს შთაბერავს და ამეტყველებს გარდასულ ცივილიზაციათა მკვდარ ასო-ნიშნებს. ამბავი, რომელსაც შუმერული, ეგვიპტური და ფინიკიური ასო-ნიშნები ჰყვებიან, უზარმაზარი ინფორმაციული სისტემის „შენაკადია“. ირკვევა, რომ უძველესი ასო-ნიშნები დამატებით ფუნქციასაც ასრულებენ, რადგანაც ისინი ერთადერთი უჩინარი ლმერთის განსხვავებული ეთნიკური თვალებია. ქართველთა უხილავი, ყოვლისშემქმნელი ლმერთი ღანი (ღ) თავის შემოქმედებას ოთხი თვალით უმზერს – ქართული თანით (ტ), შუმერული თვალით (ტ), ეგვიპტური თვალითა (ჟ) და სემიტური 'აინით (O ო).

წარმოჩენილი დემიფირიებული მნიშვნელობის სისწორე სემიტური ასო-ნიშნის ფონეტიკური ღირებულებითაც დასტურდება. ზევით აღინიშნა, რომ ფინიკიური „აინის“ ბგერითი მხარე ორი ალოფონით განისაზღვრებოდა, რომელთაგან ერთ-ერთი, ველარული სპირანტია (ღ), ბგერა, რომლითაც ქართველი სახელს სდებს საკუთარ ლმერთს, სემიტი კი – თავისი ლმერთის თვალს.

ქართული ასომთავრული „ღანისა“ და „თანის“ მაორგანიზებული და წარმმართველი ძალის მეშვეობით აგებული სურათი ტრადიციული მეცნიერებისთვის მოულოდნელი და მიუღებელია, რომ არაფერი ვთქვათ პალეოგრაფიაზე, სადაც აღწერით პრინციპებზე დამყარებული კვლევის მეთოდიკა ანბანთა ნათესაობას ასო-ნიშნებს შორის არსებული ხუთი სახის ურთიერთობის მეშვეობით განსაზღვრავს (გრაფიკული მსგავსება, რიგითი სათვალავი, რიცხვითი მნიშვნელობა, ასო-ნიშნების ვოკალიზაცია, სახელდების პრინციპი) და დამწერლობის სისტემებსა და მათი განვითარების ეტაპებს შორის არსებულ დაფარულ კონტაქტებს ვერ ხედავს.

ეს სემანტიკური და ინფორმაციული კონტაქტები ჩვენგან დამოუკიდებლად არსებობენ, რადგანაც ისინი დაფარული და კოდირებულია, ანუ ეზოთერული ცოდნის სფეროს მიეკუთვნება.<sup>27</sup> ტრადიციული აკადემია ეყრდნობა მხოლოდ ხილულსა და რაციონალურს, რის გამოც, უარყოფს დაფარული ინფორმაციის არსებობის შესაძლებლობასაც კი, არათუ აღიარებს მათ მეცნიერულ ღირებულებას. მეტიც, „ეზოთერიის“, „ეზოთერულის“, ან „კაბალის“ მსგავს სიტყვებს ტაბუ ედება, არადა, ყოველივე დაფარული და დამალული გადმოგვცეს უძველესი კულტურების ღრმად განსწავლულმა ქურუმებმა. მეცნიერულად ღირებული და სანდო ეზოთერული მასალის არ-

<sup>27</sup> ქართულ ასომთავრულ ანბანში ჩამალული საიდუმლოებების შესახებ მსჯელობს პროფ. რ. პატარიძეც. შდრ.: „რაკი საქმე ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნეს ეხება, ცნობების სიმცირის გამო, უთუოდ ძნელია ქართული ანბანის ყველა საიდუმლოს ახსნა-განმარტება“ (პატარიძე 1980:475). იხ. აგრეთვე: გამყრელიძე 1990:183; ხურცილავა 2009:223; ხაზგასმა ჩვენია – ა. მ.).



სებობის დასამტკიცებლად მიღებული შედეგების გადამონშებაა საჭირო. ვინაიდან სააშკარაოდ გამოტანილი შუშერული, ეგვიპტური, ფინიკიური და ქართველური კონტაქტები უხილავია, მათი ხელახალი ანალიზი სწორედ ეზოთერულ, ანუ დაფარულ მოძღვრებათა პრიზმაში უნდა გატარდეს და გადამონშდეს.

## 10. ეზოთერული სწავლება, ანუ „ვერ დანიჭირავს სიკვდილსა“

დიდი ხანია, მეცნიერები უფროსიან ყოველივე დაფარულთან მიხლოებას, მის შესწავლასა და გამოძიებას. გასაიდუმლოებულ სწავლებასთან დაკავშირებული ტერმინებიც კი აკრძალულ სიტყვათა რიცხვს მიეკუთვნებიან, მაშინ, როდესაც ეზოთერული ცოდნა, რომელიც დღეს კაბალის სახელწოდებითაა ცნობილი, სხვა არა არის რა, თუ არა ქალდეველი<sup>28</sup> და ეგვიპტელი ქურუმების უძველესი სიბრძნე. ექსპერტთა აზრით, კაბალა „წარმოადგენს მეცნიერებისა და ხელოვნების სინთეზს, რომელიც დაიყვანება ერთ საერთო პრინციპამდე – სიტყვა“ (Panios 2001:15). „წარმოადგენს რა იდეის ანარეკლს, სიტყვა არის ყოველივე შექმნილის საფუძველი, ყოველგვარი ძალის წყაროსთვალი, და ვინაიდან სიტყვები იყოფა ასობად, ყოველ ასოს, ე.ი. ყოველ ბგერას გარკვეული ძალა (ძლიერება) გააჩნია...“ (იქვე, 10). ეს ძალა რიცხვითი მნიშვნელობითაც არის გაძლიერებული, რის გამოც „ებრაული ანბანის ყოველი ასო წარმოადგენს იდეას – იეროგლიფით გამოსახულ ღვთაებრივ სახელს“ (იქვე, 11). კაბალისტების მიხედვით, „ასო-ნიშნები ღვთაებრივ ძალთა ხილული გამოხატვაა, რომელთა საშუალებით ცა ეხსნება დედამიწას“. სამწუხაროდ, „კაბალის ამ ნაწილთან დაკავშირებით თითქმის არაფერი არ არის ცნობილი“ (იქვე, 55). ეს არის მიზეზი იმისა, რომ დღესაც საიდუმლოებად რჩება ის გზები და საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც გარდასულ დღეთა მოგვები დედამიწელებისთვის ზეციური ცოდნის გახსნას ახერხებდნენ.

ციტირებული მასალიდან სამი უაღრესად მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება შეიძლება:

- კაბალის გასაიდუმლოებული სწავლების ერთ-ერთი მთავარი პრობლემა არის სიტყვა და მისი შესწავლა. ანუ, კაბალისა და თანამედროვე ენათმეცნიერების შესწავლის საგანი ერთი და იგივე ობიექტია – სიტყვა;

<sup>28</sup> ქალდეველი, ბიბლიაში (დანიელი), ჰეროდოტესთან, სტრაბონსა და დიოდოროსთან ასტროლოგისა და ასტრონომის მნიშვნელობით გამოიყენება; ტერმინმა დიდ ხანს იარსება „ბრძენის“ მნიშვნელობით (Daniel 1973:38).

- ცალკეული ასო-ნიშნები დიდ როლს თამაშობენ სიტყვის დაფარული ინფორმაციის ჩამოყალიბებაში;
- ებრაული ანბანის ასო-ნიშნები ღვთაებრივ სახელებს ბგერითი და რიცხვითი მნიშვნელობებით არა მარტო გამოხატავენ, არამედ ასაიდუმლოებენ კიდევც.

ეზოთერული ცოდნის მოყვანილი პოსტულატები შესასწავლ სემიტურ-ქართველურ წყვილს 'აინ-ლანს სრულიად სხვა კუთხით წარმოგვიდგენს; კერძოდ, ვინაიდან ებრაული დამწერლობა სათავეს იღებს ფინიკიური ანბანიდან, სიტყვისა და ასო-ბგერის შესახებ კაბალაში გამოთქმული ეს დებულებები ფინიკიურ ანბანზეც ვრცელდება, ანუ სემიტური ანბანის ასო-ნიშნები და მათი დასახელებები გასაიდუმლოებული ღვთაებრივი ინფორმაციის „შთასადებელია“ ისევე, როგორც ეს ებრაულ ანბანს მიენერება. ამ თვალსაზრისით, სემიტურ-ქართველური 'აინ-ლან წყვილი გაცილებით უფრო ღრმა ფონეტიკურ და სემანტიკურ კავშირს ამჟღავნებს, ვიდრე ტრადიციულ პალეოგრაფიაშია მიღებული.

*ისმის კითხვა: რა კონკრეტული მეთოდებითა და საშუალებებით არის შესაძლებელი სემიტურ ასო-ნიშნებში დაფარული ღვთაებრივი ინფორმაციის ამოცნობა?*

ცხადია, მეცნიერებას, რომელსაც ებრაული ანბანის კოდური ფუნქციის ცოდნა გააჩნია, ამ ცოდნის სამზეოზე გამოტანის ხერხებსაც უნდა ფლობდეს. მართლაც, კაბალა თავისი სისტემის ერთ-ერთ შესასწავლ ობიექტად სიტყვას არა მხოლოდ ასახელებს, არამედ, რაც უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანია, მისი დეშიფრირების მეთოდიკასაც გვთავაზობს. შდრ.: „კაბალა ახდენს საიდუმლო ცოდნის თეორიული და პრაქტიკული წესების ჩამოყალიბებას“ (Панюс 2001:30).

მიმდინარე ლინგვისტურ-კულტუროლოგიური კვლევების ყველაზე საინტერესოა კაბალის სამი ოპერაცია, ანუ მეთოდი, რომლის მეოხებით ე.წ. პლასტიკური იეროგლიფიკის უძველესი საიდუმლოებების ამოხსნაა შესაძლებელი. ეს ოპერაციებია: თემურაჰ (Themurah), გემატრია (Gematria) და ნოტარიკონ (Notarikon). თემურაჰ ორი ძირითადი სახისაა: სინთეზური და იგივეობრივი. პირველი მათგანის დროს, „ერთი სიტყვა ასოთა განვითარება-დამატებით, გაყოფით და ადგილშენაცვლებით, გზას ხსნის რამდენიმე საძიებელი ლექსემისკენ“ (იქვე, 55; Mebes 1912:107-10). ამ დროს, მოცემულ და საძიებელ ერთეულებს შორის დამყარებული შესაბამისობაა  $a = n$ , სადაც  $a$  ტოლია 1-ის, ხოლო  $n$  კი განუსაზღვრელი რაოდენობის საძიებელი ერთეულია. მოცემული ტოლობისგან განსხვავებით, ტრადიციულ ისტორიულ ენათმეცნიერებაში, მოცემულსა და საძიებელ სიტყვებს შორის მხოლოდ ბალანსირებული ( $1=1$ ) ურთიერთობაა მისაღები.

ეტიმოლოგიური ურთიერთობების ეზოთერულ და ტრადიციულ ფორმულებს გააჩნია როგორც მსგავსება, ისე განსხვავება. რაც შეეხება მსგავსებას, ორივეს აქვს ქვედა და ზედა ზღვარი, ანუ მათთვის დასაშვები მოცემული ძირისა და საძიებელი არქეტიპის მაქსიმალური და მინიმალური რაოდენობა. მოცემულია უცნობი ეტიმოლოგიის ერთეული, საძიებელი კი მისი შესაძლო ეტიმონია.

განსხვავება თავს იჩენს ზედა ზღვარში (საძიებელ არქეტიპში), ვინაიდან იგი განსხვავებული ინდექსით არის წარმოდგენილი. ისტორიული ენათმეცნიერებისთვის, როგორც აღინიშნა, მოცემულ და საძიებელ ერთეულს შორის, მისაღებია  $1=1$  შესაბამისობა, მაშინ, როდესაც თემურაჰისთვის  $1 \neq 1$ , რითაც დასაშვები ხდება საძიებელი სიტყვის პრაქტიკულად უსაზღვრო რაოდენობა ნებისმიერი მოცემული ერთეულისთვის. არანაკლებ საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ თემურაჰ თავის თავში მოიცავს ტრადიციული ენათმეცნიერების კვლევის პრინციპს, როგორც საკუთარი სისტემის ნაწილს, მაშინ, როდესაც იმავეს თქმა ისტორიული ენათმეცნიერების მიმართ შეუძლებელია.

თემურაჰის მეორე ოპერაციის დროს (იგივეობრიობა), „რამდენიმე ვარიანტული დანერილობის სიტყვას ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს“ (იქვე, 55), ანუ გვაქვს იგივე  $a \neq 1$  მოდელი შებრუნებული რაოდენობრივი მონაცემებით. იგივეობრიობის შემთხვევაში მოცემული  $a$  ვარიანტებს 1-დან ზევით, ხოლო საძიებელი  $n$  ერთეული 1-ის ტოლია.

კაბალის მიერ შემოთავაზებული სიტყვების ლინგვისტური ანალიზის მეორე ხერხი – გემატრია (დამახინჯებული გეომეტრია) კვლევის სფეროში ასო-ნიშნების მათემატიკური მნიშვნელობების, როგორც სიტყვათა იგივეობის კრიტერიუმის, შემოტანას გულისხმობს. რაც შეეხება ნოტარიკონს, რომელიც წარმოდგენილ შრომაში გამოყენებული არ არის, მისი არსი სიტყვის შემადგენელი თითოეული ასო-ბგერიდან დამოუკიდებელი სიტყვების განვითარებაში მდგომარეობს.

ფინიკიური და ქართველური 'აინ-ლანის ანალიზის ფარგლებში შემოგვყავს ეზოთერული მეთოდის მხოლოდ ორი ხერხი – The-murah და Gematria, რის შედეგადაც წარმოდგენილი ტრადიციული ლინგვოკულტუროლოგიური კვლევა შესამე (ეზოთერულ) განზომილებას იძენს და კვლევის დიაპაზონს აფართოებს. ამიტომ, ნაშრომის შემდგომ თავებში წარმოდგენილი ქართველურ-სემიტური ანბანური ურთიერთობების კვლევა სამი კუთხით ხორციელდება: ლინგვისტურით, კულტუროლოგიურითა და ეზოთერულით.

## 11. ძართველური ღანი და სემიტური აინ

ქართველურ-სემიტური ღან-აინის ლინგვო-კულტუროლოგიური და ეზოთერული ანალიზი.

ფინიკიური აინისა და ქართული ღანის სინთეზური (Temurah) მეთოდებიდან ერთ-ერთი, კერძოდ, მომიჯნავე ასო-ბგერების ურთიერთშენაცვლების რაკურსით განხილვა, გასაოცარ შედეგს გვაძლევს. კერძოდ, სემიტურ „აინში“ ი და ნ ასო-ნიშნების ურთიერთგადანაცვლება, აღნიშნულ, ქართულსა და სემიტურ სახელებს იდენტურ ერთეულებად გარდაქმნის, შდრ.: ღანი > ღაინ და აინ > ანი-ღანი. ირკვევა, რომ ქართულ ლექსემაში სახელობითი ბრუნვის ნიშნის (ი) პოზიციის შეცვლით იცვლება მისი ფუნქციური დატვირთვა, – ბრუნვის ნიშნიდან იგი სემიტური „აინის“ ფუძისეულ ხმოვნად გარდაიქმნება. შესაბამისად, ერთადერთი ბგერის პოზიციურ-სემანტიკური ცვლის საფუძველზე, შექმნილია ქართული „ღანის“ არაჩვეულებრივად მოხერხებული კოდი-სამალავი, რომელიც ათასწლეულების მანძილზე ერთდროულად დახურულიც იყო და გახსნილიც.

გამოდის, რომ ფინიკიური აინ = ღანს = ქართ. ღანი, ანუ ფინიკიური აინ ქართული ღანის ტოლია. შედეგად:

ფინიკიური	=	ქართველური
აინ = ღანი	=	ღანი

თემურაპის და ტრადიციული ხერხით მიღებული ქართველური „ღანისა“ და სემიტური „აინის“ ფონეტიკური იდენტურობის შერწყმა „ღან-აინ = ღმერთი-თვალი“ მნიშვნელობასთან, კარდინალურად ცვლის ფინიკიური „აინის“ ლინგვისტურ სტატუსს. ეს უკანასკნელი ტოვებს ასო-ნიშნის უბრალო ჩარჩოებს და ღვთაებრიობის სტატუსში გადადის. ფინიკიური „აინ“ წარმოჩნდება არა მხოლოდ როგორც სემიტური ანბანის პირველი ასო-ნიშანი, არამედ როგორც ქართველური უხილავი ღმერთის „ლეგიტიმური“ ღვთაებრივი თვალი და უჩინარი შემოქმედის ტყუპისცალი.

გამოვლენილი ურთიერთობები შეიძლება შევადაროთ ლიტერატურული ნაწარმოების ღრმად დაფარულ შრეებზე განლაგებულ ესთეტიკურ-კოგნიტიურ ინფორმაციას (ეკი), რომლის წამოწევა მხოლოდ რთული სუპერლინეარული ანალიზის საშუალებით შეიძლება (Гальперин 1981, მესხი 1990, ჯოხაძე 1977, მერაბიშვილი 1978). ეკი-ს მსგავსად, მოხერხებულად ჩამოყალიბებული და ლინგვისტური ურთიერთობების უკან დამალული ნებისმიერი ცოდნა ან ინფორმაცია, ზეინფორმაციული (ინტელექტუალური და კულტუროლოგიური) დონის საკუთრებაა, რომელიც გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ენობრივ ერთეულებს შორის აშკარად არსებული

ურთიერთობები. სამწუხაროდ, სიტყვებს შორის არსებული ხილული კავშირები და გარეგნული მსგავსებანი საკმარისი არ არის მათი გამომწვევი ჭეშმარიტი მიზეზების გამოსავლენად. სიტყვები და ბგერები ინფორმაციული განვითარების მიმართულების მაჩვენებლები არიან და ამიტომ მხოლოდ „გზის ნიშნები“ როლს ასრულებენ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვეულებრივი ენობრივი ნიშნები ფუნქციონირებენ როგორც ეზოთერული ცოდნის შემცველი უჩინარი სისტემის შიფრი, კოდი ან მისი ხილული ნაწილები.

ასო-ნიშანთა გარეგნული მსგავსებანი (გრაფიკა, ანბანური რიგი, რიცხვითი მნიშვნელობა, აკროფონიული პრინციპი), რომლებიც ტრადიციული პალეოგრაფიის ფუნდამენტური კრიტერიუმებია, ანალოგიურად მოქმედებენ. ისინი წარმოადგენენ ერთგვარ ინდიკატორებს, რომლებიც მიმართულია არა მხოლოდ ქართველურ-ფინიკური ღან-‘ანი ფორმულის გასაიდუმლოებაზე, არამედ მათ შორის არსებული კავშირების გამოაშკარაებაზეც; ეს კი ტრადიციული პალეოგრაფიული კვლევით აღმოჩენილ კონტაქტებზე უფრო ღირებულა.

წამოწვეული ინფორმაცია წარსულის ინტელექტუალური საკუთრებაა, რომელიც, ბუნებრივია, დაფარული ცოდნის გაცილებით უფრო დიდი ქსელის ნაწილია. ლინგვისტურ დონეზე, აღნიშნული ქსელი სიტყვების განსაკუთრებულად და არაჩვეულებრივად სტრუქტურირებულ კომბინაციებს წარმოადგენს, რის გამოც ისეთ სამართავ მექანიზმს ემსგავსება, რომელიც მასში დამარხული გასაიდუმლოებული ინფორმაციის დეშიფრირების უფლებას მხოლოდ მაშინ იძლევა, როდესაც მოქმედებაში მოდის.

კვლევა აჩვენებს, რომ უძველესი შიფრის ამოსახსენლად, მეცნიერებს ტრადიციული და არატრადიციული საშუალებების კომბინაცია და ქართველური ენები მათი კულტურით სჭირდებათ. მხოლოდ ხერხებისა და საშუალებების ამგვარი სინთეზი ხსნის, იმას თუ რატომ ხელმძღვანელობს და წარმართავს დეკოდირების მთლიან პროცესს ქართული ასომთავრული „ღანი“, მოსალოდნელი ფინიკური „‘ანის“ ნაცვლად.

აღწერილი მეთოდოლოგიის ვარგისიანობის გადამოწმება იმითაც არის განპირობებული, რომ მისი საშუალებით გაანალიზებული უძველესი ენობრივი მასალის („ნაბუ“, „თოთ“) შესწავლის შედეგები მკვეთრად ეწინააღმდეგება გაბატონებულ ისტორიულ, ენათმეცნიერულ თუ პალეოგრაფიულ თეორიებს, და ათწლებლების მანძილზე დაუღალავი შრომის შედეგად გამომუშავებული მეცნიერული ცოდნის ჩარჩოებს.

სემიტურ და ქართველურ ენებს შორის არსებული ქრონოლოგიური მანძილი და ტრადიციულად აღიარებული არაგენეტიკური დამოკიდებულება „‘ანის“ აღწერილ მეტამორფოზას უპრეცედენტ-

ტოდ მაღალ მნიშვნელობას ანიჭებს, ვინაიდან იგი ნათელს ჰყფენს ორ ანბანს შორის მყოფი ენობრივი და რელიგიურ-მსოფლმხედვე-ლობრივი ბუნების ღრმად ჩაფლული ურთიერთმიმართებების არსე-ბობას, რომლებიც, შესაძლოა, მათი ნათესაობის ჭეშმარიტ მიზეზს წარმოადგენენ. ამიტომ, საბოლოო დასკვნის გამოტანამდე, „ლანი-სა“ და „აინ“ ასო-ნიშნების დამატებითი ეზოთერული ანალიზის ჩა-ტარება გამართლებული მეცნიერული მოთხოვნაა.

**ქართული ასომთავრული ღანის გემატრია და ფინიკიური 'აინ'.**

ურიგო არ არის იმის განმეორება, რომ იმ ხერხებსა და საშუალებებს შორის, რომლებსაც ეზოთერული სისტემა საკუთარი საიდუმ-ლოებების დეშიფრირებისთვის გვთავაზობს, არის საგნებსა და მოვ-ლენებს შორის არსებული მათემატიკური და გეომეტრიული კავში-რები. ლინგვისტური შინაარსის მსგავსად, ხილული მსგავსების (რიცხობრივი, გეომეტრიული) მიღმა, მიმართებათა ჭეშმარიტი ღი-რებულებები მიძინებულ მდგომარეობაშია და გასაიდუმლოებული-სა და დაფარულისთვის დამახასიათებელი წესებით იმართება.

წინამდებარე თავი ყურადღებას უთმობს კრიპტულ მათემატი-კურ და გეომეტრიულ წესებს, რომლებიც ქართველურ-ფინიკიურ ღან-‘აინის ჯგუფს აკონტროლებენ.

ქართულ ასომთავრულ ანბანში ასო-ნიშნებს ფიქსირებული ან-ბანური რიგი და ინდივიდუალური რიცხვითი მნიშვნელობა აქვთ. ამ თვისებებს იზიარებენ ფინიკიური და ბერძნული პალეოგრაფიული სისტემებიც. ქართული ასომთავრული ღანის ანბანური რიგი უდრის 25-ს, ფინიკიურ 'აინს კი მე-16 ადგილი უკავია. აღნიშნული რიცხვები (25 და 16) მნიშვნელოვანია გეომეტრიულად, რადგან ისინი ამჟღავ-ნებენ მართკუთხა სამკუთხედში.3-ის და 4-ის ტოლ კათეტებსა და 5-ის ტოლ ჰიპოტენუზას შორის არსებულ კანონზომიერ დამოკიდებუ-ლებას. როგორც ცნობილია, პითაგორის თეორემის მიხედვით, მართკუთხა სამკუთხედის ჰიპოტენუზის კვადრატი უდრის კათეტე-ბის კვადრატების ჯამს. ტოლობა წარმოდგენილია ფორმულით:  $a^2 + b^2 = c^2$ , სადაც  $a$  და  $b$  კათეტებია, ხოლო  $c$  – ჰიპოტენუზა. მართლაც ( $3^2 + 4^2 = 5^2$ ) = (9 + 16 = 25).

გამოდის, რომ ციფრი 25, რომელიც ღანის ანბანურ რიგზე მი-უთითებს, მაღავს 5<sup>2</sup> მათემატიკურ ფორმულას და ამავე დროს ასო-ნიშნის გეომეტრიულ მნიშვნელობას – გეომეტრიულად ასო ღანი მართკუთხა სამკუთხედის ჰიპოტენუზაა.

ასევე, მათემატიკურად ფინიკიური 'აინ უდრის 16-ს, ანუ გრძე-ლი კათეტის კვადრატს ( $4^2$ ) და, მაშასადამე, გეომეტრიულად იგი ერთ-ერთი კათეტია. თუ დავაკვირდებით მანძილს, რომელიც ამ ორ ასოს ერთმანეთისგან აშორებს შესაბამის ანბანებში, აღმოჩნდება, რომ იგი 9-ის ტოლია (25-16=9). სხვაგვარად რომ ვთქვათ, „აინსა“

და „ლანს“ შორის არსებული მანძილის რიცხობრივი (მათემატიკური) გამოხატულება მეორე კათეტს ( $3^2$ ) შეესაბამება და ამიტომ გეომეტრიულად იგი მომცრო კათეტს წარმოადგენს. მაშასადამე, ქართული ასომთავრული „ლანი“ და ფინიკური 'Ain აშენებენ ანბანურ მართკუთხა სამკუთხედს, სადაც ჰიპოტენუზის კვადრეატი ქართული ასომთავრული „ლანის“ ანბანური რიგია, დიდი კათეტის კვადრეატი – სემიტური „'აინის“ ანბანური რიგი, ხოლო მცირე კათეტის კვადრეატი კი ამ ნიშნებს შორის არსებული ანბანური მანძილი. „ლანსა“ და „'აინს“ შორის არსებული გეომეტრიული ურთიერთობების სქემატიზაცია უფრო ნათელს ხდის მათ თავდაპირველ ერთობასა და მოგვიანო განცალკევებას (ნახ. 2):



ნახ. 2. ლანისა და 'აინის ანბანური სამკუთხედი

იგივე რიცხვი (9) ასო „თანის“, ე.ი. საკუთრივ ქართული ასომთავრული თვალის ანბანური სათვალავია. იგი აკროფონიულ პრინციპებზეა აგებული და „ლანს“ იმავე რაოდენობის ასო-ნიშნებით (16) არის დაშორებული, რის გამოც „თანი“ „ლანის“ თვალია. ეს ის ურთიერთობაა, რომელიც გამოვლინდა ფინიკური და ქართველური 'აინ+ლანი სინტაგმატური მიმართებით, ე.ი. თვალი+უჩინარი ღმერთი. აქედან გამომდინარე, ქართული ასომთავრული ანბანის ღვთაებრივი თვალი „თანი“ და ფინიკური „'აინ“ ქართველურ უხილავ შემოქმედ „ლანთან“ მიმართებაში იდენტურ გეომეტრიულ (კათეტი) და მათემატიკურ ( $16=4^2$ ,  $9=3^2$ ) ფუნქციებს ასრულებენ.

აღწერილი რიცხობრივი ურთიერთობანი ნათელს ჰყვენენ „'აინის“ მათემატიკურ მოტივაციას არა მხოლოდ სემიტურ ანბანში, არამედ გაერთიანებული ქართველურ-სემიტური ანბანური სტრუქტურის შიგნითაც, რაც, თავის მხრივ, ააშკარავებს აღნიშნული ანბანების გეომეტრიული ერთების საფუძველში ჩადებულ მარკუთხა სამკუთხედის პრინციპს. იდენტური რიცხვები – 9, როგორც მანძილი „ლანიდან“ „'აინამდე“ და 9, როგორც „თანის“ ანბანური რიგი, გვეხმარებიან იმ ზიარი კულტუროლოგიური (რელიგიური) ცნებების ამოცნობაში, რომლებიც განსახილველი ასო-ნიშნების ზეინფორმაციულ დონეს მიეკუთვნება. ვინაიდან ორივე ასო-ნიშანი, ქართული

ასომთავრული „თანნი“ და ფინიკიური „აინ“, აგებულია ერთი და იმავე აკროფონიულ პრინციპზე და დაშორებულია „ლანს“ 16 ერთეულით, ანუ „აინის“ ანბანური რიგის მაჩვენებელი რიცხვით, ორივე („თანნი“ და „აინ“) „ლანის“ თვალეზია. ეს არის ფაქტი, რომელიც შესასწავლი ასო-ნიშნების დასახელებათა სინტაგმატურმა ურთიერთობებმა გამოავლინა.

ნათქვამზე დაყრდნობით შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ქართული ასომთავრული ლანი და ფინიკიური აინ დაკავშირებული არიან რთული მრავალპლანიანი (ლინგვისტური, რელიგიური, მათემატიკური, გეომეტრიული) ურთიერთობებით, რომელთა კოდირება ანბანურ ასო-ნიშნებში მხოლოდ თვით ანბანის შექმნის პროცესშია შესაძლებელი.

წარმოდგენილ მსჯელობას ერთი გარემოება ეწინააღმდეგება, – ესაა პითაგორული სისტემის გამოყენება ფინიკიური ანბანთრიგისა და ასო-ნიშნების გეომეტრიული მნიშვნელობების მიმართ. როგორც ცნობილია, ჩრდილო-სემიტური ანბანის შექმნა მეორე ათასწლეულის დასასრულს ივარაუდება (ძვ. წ. XI ს.),<sup>29</sup> მაშინ, როდესაც პითაგორა ძვ. წ. მე-6 საუკუნეში (ძვ. წ. 569-475 წწ.) მოღვაწეობდა.

მიუხედავად ამკარა ქრონოლოგიური შეუსაბამობისა, გვაქვს მთელი რიგი გარემოებანი, რომლებიც ამ შეუსაბამობის მნიშვნელობას აქარწყლებს. ასე მაგალითად, არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ბერძენმა მეცნიერებმა (პითაგორას ჩათვლით) განათლება ბაბილონელი ქურუმებისგან მიიღეს. „პირველი ბერძენები, რომლებმაც აღნიშნულ საგნებში (ასტრონომია, არქიტექტურა, – ა. მ.) დიდ წარმატებას მიაღწიეს, აღიარებდნენ, რომ ისინი მხოლოდ ბაბილონელი მასწავლებლების მოკრძალებული მოსწავლეები იყვნენ“ (Rawlinson 2002:188-89). „მეზობელ ხალხებთან ბაბილონელთა მუდმივი კონტაქტების გამო, ქალდეურმა კულტურამ უსაზღვროდ დიდი გავლენა იქონია სხვა ქვეყნების კულტურაზე... რიცხვითი მისტიციზმი, რომელიც ქალდეური მეცნიერების განუყოფელ ნაწილს შეადგენდა, ფართოდ გავრცელდა. ძველი ქალდეა ყოველთვის ითვლებოდა რიცხვითი მისტიციზმის სამშობლოდ, ისევე, როგორც სხვა მისტიკური მეცნიერებებისა. საბერძნეთში ქალდეურ მოძღვრებებს პითაგორა ავრძელებს“ (Чистяков 1927:126-27; 1968:4-5, 20-21).

სხვების მსგავსად, პითაგორაც პირველად ქალდეელმა და სირიელმა სწავლულებმა აზიარეს განათლებას ტირში. შემდგომ, ძვ. წ. 535 წ., იგი ეგვიპტეს გაემგზავრა, სადაც 10 წლის განმავლობაში მრავალი ტაძარი მოინახულა და ცოდნა გაიღრმავა. პლუტარქე

<sup>29</sup> ფიქრობენ, რომ ანბანური დამწერლობის პირველი ნიმუშები მეორე ათასწლეულის პირველ ნახევარში 2000-1700 წლებს შორის გაჩნდა.



გვატყობინებს, რომ პითაგორა ცოდნას ჰელიოპოლელ ოენუპისთან ეზიარა, ისევე, როგორც სხვა ბერძენი მოაზროვნენი ენაფებოდნენ განათლებას ეგვიპტელ ქურუმებთან (Cooke 1931:105). ამრიგად, პითაგორის ცოდნის წყაროს ეგვიპტელ ქურუმთა იგივე დახურული კასტა წარმოადგენდა, რომელიც მანამდე მოსემ და ორფეოსმა განვლეს (Папиус 2001:177). ინიციაციის გავლის შემდეგ, პითაგორა დიოსპოლის ტაძრის ქურუმიც კი გახდა. ძვ. წ. 525 წ. სპარსელების მიერ (კამბიზ II) ეგვიპტის დაპყრობის შემდეგ, პითაგორა ტყვედ წაიყვანეს ბაბილონში, სადაც ბაბილონელ მაგებთან ურთიერთობის შედეგად, მისმა ცოდნამ კიდევ უფრო ფართო მასშტაბები შეიძინა და ღმერთების თაყვანისცემის უმაღლეს მისტიკასაც კი ჩაასწავდა. ამბობენ, რომ დედამიწისა და სამყაროს შესახებ ცოდნა პითაგორამ თვით ზარათუსტრასგან გაიმდიდრა (Welburn A., *The Book*, გვ. 98-107; ციტირებულია: გამსახურდია 1995:60). აქედან გამომდინარე, პითაგორის ცოდნა მისი პირადი მეცნიერული კვლევის შედეგი კი არ არის, არამედ ქალდეველ-ეგვიპტელ ქურუმთა ჩაკეტილი ოლიგარქიის კუთვნილებაა.

განათლებულთა აღსაზრდელად პითაგორა აარსებს სკოლას, სადაც, მხოლოდ შეძენილ ცოდნას გადასცემს მოწაფეებს. გასაკვირია, რომ კოლოსალური ცოდნის მპყრობელს, არც ერთი მეცნიერული ნაშრომი არ დაუწერია, – ფაქტი, რომელშიც აშკარად გამოსჭვივის ამ უდიდესი პიროვნების არა მხოლოდ ღრმა პატივისცემა თავისი ქალდეველი, ეგვიპტელი და სპარსელი ქურუმებისა თუ მოგვების მიმართ, არამედ მისი კეთილსინდისიერება და პატიოსნება მასწავლებლების ცოდნის მიუთვისებლობის გამო. ამიტომ პითაგორელთა სწავლების გარკვეულ პოსტულატებთან შეხვედრა იგივეა, რაც ქრონოლოგიურად წინა ხანის ქალდეველ-ეგვიპტელი ქურუმების ოლიგარქიის დაფარულ ცოდნასთან შეხვედრა.<sup>30</sup> შესაბამისად, ფინიკიურ ანბანში პითაგორული ცოდნის აღმოჩენამ, რომელიც დიდად უსწრებდა წინ პითაგორის შემოქმედებას, მაინცდამაინც არ უნდა გაგვაოცოს. თუ გავიხსენებთ, რომ პალეოგრაფთა დიდი ნაწილისთვის ეგვიპტის კავშირი სემიტური ანბანის შექმნასთან უდავოა (ლენორმანი, ულმანი, რონზევალი, გარდინერი), სემიტურ ანბანში არც პითაგორელთა პოსტულატების აღმოჩენამ უნდა „დაგვაფრთხოს“.

<sup>30</sup> წარმოდგენილ შეხედულებას მხარს უმაგრებენ ასირიოლოგების აღმოჩენები. იხ. ჯ. კონერისა და ე. რობერტსონის სტატია „პითაგორის თეორემა ბაბილონურ მათემატიკაში“ (O'Connor, Robertson [www-gap.dcs.st-and.ac.uk/~history/HistTopics/Babylonian\\_Pythagoras.html](http://www-gap.dcs.st-and.ac.uk/~history/HistTopics/Babylonian_Pythagoras.html)). ასირიოლოგთა მსოფლიო კონგრესზე ე. რობსონმა წაიკითხა მოხსენება, სადაც იგი ამტკიცებს, რომ „მათემატიკა უძველესი ინტელექტუალური ცხოვრების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა“ (Robson 2005).

ახლა კვლავ ქართული ასომთავრულისა და ფინიკიური დედა-  
ანბანის ანალიზს დავუბრუნდეთ. საინტერესოა, რომ მათი ორგანუ-  
ლი ერთიანობა სხვა მასალითაც დასტურდება; კერძოდ, ქართულ-  
სემიტური „ლან-‘აინის“ იგივეობის განსხვავებული რიცხობრივი რა-  
კურსით განხილვისას.

პითაგორული სწავლების ერთ-ერთი პოსტულატის მიხედვით  
რიცხვი 25 („ლანის“ ანბანური რიგი) 7-ის ტოლია, რადგან  $25=2+5=7$ .  
თუ ეს ასეა, მაშინ „აინის“ რიგობითი რიცხვიც – 16, აგრეთვე 7-ის  
ტოლია ( $16=1+6=7$ ). იდენტური რიცხვები იდენტურ კონცეპტებზე  
მიუთითებენ, ყველასთვის ცხადია. ამიტომ, რაოდენ პარადოქსულა-  
დაც არ უნდა მოგვეჩვენოს, კონცეპტუალურად  $25=16$  და მაშასა-  
დამე, „ლანი“=„აინს“, ანუ „აინიც“, ისევე, როგორც „ლანი“, ერთად-  
ერთი და უხილავი შემოქმედი ღმერთია, რომელიც ოდნავ განსხვავე-  
ბული ფონეტიკური სახით („აინ“) საკუთარ ქართველურ წარმომავ-  
ლობას სემიტურ წიაღში ასაიდუმლოებს.

თუ მიღებული დებულება სწორია, მაშინ „აინის“ ორგვარი ბუ-  
ნება დამატებით განმარტებას საჭიროებს. უნდა დადგინდეს მისი  
აბსოლუტურ ღვთაებად და ღვთაებრივ თვალად ფუნქციონირების  
სფეროები. ამასთან დაკავშირებით საჭიროა გავიხსენოთ, რომ „აი-  
ნის“ დასახელება („თვალი“), მეცნიერთა აზრით, ასო-ნიშნის პირო-  
ბითი (შემთხვევითი) დასახელებაა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სე-  
მიტური ანბანი საკუთარი წევრის იდეოგრაფიულ მოტივაციას ვერ  
გვთავაზობს. არც ის არის ნათელი, თუ რა მიზნით დაერქვა „თვალი“  
ასო-ნიშნის და ჰქონდა თუ არა მას რაიმე განსხვავებული მნიშვნე-  
ლობა.

საკითხის განმარტება ღვთაებრივი თვალის სინტაგმურ დონე-  
ზე გამოვლენილი მთელისა და ნაწილის მეტონიმური ურთიერთობე-  
ბიდან მომდინარეობს. თანმიმდევრობა „თვალი+უხილავი ღმერთი“  
ნათლად უჩვენებს, რომ სემიტური ასო-ნიშნის სახელი სემიტურ ან-  
ბანზე (ან სემიტურ ენასა თუ კულტურაზე) კი არ არის გათვლილი,  
არამედ ქართული „ლანისთვისაა“ გამიზნული და მხოლოდ მასთან  
დანყვილებისას ააშკარავებს სახელდების პრინციპს. მეტიც, მხო-  
ლოდ ქართული „ლანის“ მეშვეობით ახერხებს სემიტური ასო-ნიშანი  
დამალული ღვთაებრივი ბუნების გახსნას. მიუხედავად ამისა, საკმა-  
რისია, „აინ“ მისთვის „ბუნებრივი“ ქართველური გარემოს გარეშე  
აღმოჩნდეს, რომ სახელდების ლოგიკა და იდეოგრაფიული მოტივა-  
ცია დაიმსხვრეს და არსებული *status quo* მთელი რიგი ამოუხსნელი  
პრობლემებით დაუყოვნებლივ აღდგეს.

აქედან გამომდინარე, „აინ“ არა მარტო სემიტური ანბანის  
ჩვეულებრივ ასო-ნიშნის და ქართული „ლანის“ ოდნავ სახეშეცვლი-  
ლი გრაფიკული სახეა, არამედ, იგი ქართული ასომთავრული „ლა-

ნის", და მაშასადამე, მთლიანი ქართული ანბანის განუყოფელი ნაწილია. ამგვარ ვითარებში, „აინ“ ქართველური წარმართული კულტურის შემადგენელი ნაწილიცაა. იდეოგრაფიულად გამართლებული მნიშვნელობით „აინ“ მხოლოდ ქართული ასომთავრული ანბანის სისტემაში და ქართულ კულტურულ ფონზე ფუნქციონირებს. შესაბამისად, როგორც ზოგადად კულტურული კონტექსტის ელემენტი, ღვთაებრივი თვალის სტატუსს „აინ“ ქართული ასომთავრული ანბანის შიგნით იძენს, როდესაც იგი ასომთავრულ „ლანთან“ დაწყვილდება. ეს უკანასკნელი კი, როგორც უკვე აღნიშნული იყო, თავის ღვთაებრივ კარში, ოქროს ტახტზე დაბრძანებული უხილავი შემოქმედი ღმერთია, რომლის ხილული თვალი სემიტურ ანბანშია გასაიდუმლოებული. ამიტომ ასო-ნიშან „აინის“ დასახელება იმ „ბედნიერი შემთხვევითობის“ შედეგი კი არ არის, როდესაც ველარული თანხმოვნით (ლ) დაწყებული მრავალი სიტყვიდან სემიტებმა „უნებურად“ ქართულ ასომთავრულ „ლანზე“ გათვლილი მნიშვნელობის მქონე სიტყვა „აინ“ („თვალი“) ამოარჩიეს, არამედ ეს გახლავთ საგულდაგულოდ მოფიქრებული სქემის ისეთი გამოყენება, როდესაც უძველესი ქართველური წარმართული კულტურის უმნიშვნელოვანესი ცნებები შუაზე გახლიჩეს და სხვადასხვა სისტემებს გადასცეს შესაძლად.

ახლა განვიხილოთ შემთხვევა, როდესაც „აინ“ უხილავ ღმერთად გვევლინება. სემიტური ასო-ნიშნის შექმნილი ღვთაებრივი სტატუსი მის შემადგენელ ასო-ნიშანთა ფონეტიკურ ღირებულებაზეა დამყარებული. ძირითადად, ეს ველარული სპირანტის (ლ) საწყისი პოზიციია, რაც სემიტურ „აინს“ ქართული ასომთავრული ანბანის აკროფონიული სისტემის წევრად გარდაქმნის და „ლანთან“ აწყვილებს. „ლანისა“ და „აინის“ გამოვლენილი აკროფონიული ერთობა და სხვა ანბანური მახასიათებლები ბიძგს აძლევს ისეთ ღრმა ზიარ პროცესებს, რომლებიც სემიტურ „აინს“ უხილავი შემოქმედის სრულ იდეოგრაფიულ და ეზოთერულ სახეს უერთებენ. აღწერილ ტრანსფორმაციას „აინის“ „ლანად“ შენაცვლებაც ეხმიანება, რაც სემიტური ასო-ნიშნის ყველაზე „გაბედული ნაბიჯია“ მისი ქართველური წარმოშობის გასამულავნებლად. ამ ცვლილებების შედეგად, „აინ“ იძენს უხილავი ღმერთის სტატუსს საკუთარ წერით სისტემაში – ფინიკურში.

ფინიკური „აინ“ ქართული ასომთავრული „ლანის“ აკროფონიული სისტემის წევრი და სემიტურ ანბანურ სისტემაში ქართული უხილავი შემოქმედი ღმერთის აკროფონიული სახის (ლ) მატარებელია. მეტიც, „აინ“ თავისი კრიპტული ბგერითი ფორმით – „ლანი“, ქართველური უხილავი შემოქმედი ღმერთის სემიტური სახეა, რომელიც სემიტური ანბანის წიაღში დაფარულად „მოქმედებს“.

ნათქვამიდან გამომდინარე ვასკვნით, რომ სემიტურ „აინს“ ორი ფუნქცია გააჩნია. ქართული ასომთავრულის შიგნით იგი ქართული „ლანის“ ღვთაებრივი თვალთა, ხოლო ფინიკიურ სისტემაში – უხილავი ღმერთი. შესაბამისად, „აინისთვის“ პირველადია ქართულ ასომთავრულ ანბანზე გათვლილი ღვთაებრივი თვალის ფუნქცია, ხოლო მეორადი – უხილავი ღმერთის როლი საკუთარ ფინიკიურ სისტემაში. მართალია, სემიტური ანბანის შიგნით „აინ“ სამყაროს შემოქმედი ღვთაებაა, მაგრამ, უნდა გვახსოვდეს, რომ იგი სემიტური ღმერთი არ არის. „აინ“ ქართველი ხალხის უხილავი ღმერთის განსხვავებაა, „ლანის“ ორეულია, დამალული ღმერთია, რომელმაც საკუთარი კრიპტული, საკრალური არსებობა ფინიკიურ ანბანში ათასწლეულების მანძილზე შეინარჩუნა.

„აინის“ დაფარული წარმომავლობა რიცხვითი მნიშვნელობითაც დასტურდება. მისი მე-16 ადგილი წინასწარმეტყველურ ინფორმაციას შეიცავს. კაბალის მიხედვით, აღნიშნული რიცხვი ფიზიკური ნგრევისა და განადგურების სიმბოლოა – *Destructio physica* (Mehec 1912:97) – აქტი, რომელსაც „აინ“ საკუთარი ანბანური სისტემის შიგნით ახორციელებს ქართველური წარმომავლობის გამოაშკარავებით. მაგრამ ეს უბრალო ნგრევა არ გახლავთ; ეს არის ფიზიკური კვდომა ღვთაებრივ იერარქიაში ასასვლელად; ეს არის ნგრევა, რომელიც ხელს უწყობს სემიტური „აინის“ სვლას ღვთაებრივი ანბანური იერარქიის ზედა შრეებისკენ; ეს არის განადგურება, რომელიც „აინს“ სემიტური ანბანური სისტემის გარღვევაში ეხმარება, რათა ამ ნგრევა-გარდაცვალებაში მისი („აინის“) ქართველური ფუძე და საწყისი აღშენდეს, ამალდდეს.

ქართველური და სემიტური „ლანისა“ და „აინის“ ღვთაებრივი გაერთიანება მხოლოდ „აინის“ აღმასვლით არ ამოიწურება; ეს აღმასვლა ერთნაირად მნიშვნელოვანია ქართველური „ლანისთვისაც“, რომლის მკვდრეთით აღდგომა დიდი ხნის წინ, მე-4 საუკუნეში იწინასწარმეტყველეს („ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“<sup>31</sup> და „დავათის სტელა“ – სურ. 2 გვ. 102).

ფინიკიური „აინის“ ზეცად ამალღების მისტიერიას კვლავ კაბალით შემოთავაზებული რიცხვითი მნიშვნელობა გვიდასტურებს, რადგან „ლანისა“ და „აინის“ ანბანური რიგის (25 და 16) შემადგენელ კომპონენტთა ჯამი უდრის 7-ს, შვიდი კი გამარჯვებაა (Mehec 1912:63; Папиус 2001:64). აქედან გამომდინარე, კაბალისეული რიცხვები 16 და 7 წარმოადგენენ სემიტური „აინის“ ფუნდამენტური სემანტიკური მეტამორფოზის ორი ეტაპის – კვდომისა და აღდგომის – მათემატიკურ გამოსახულებას, რომელსაც ბიძგს აძლევენ და წარ-

<sup>31</sup> აგრეთვე იხილე გვ. 448.

მართავენ ქართული ასომთავრული ანბანის ასო-ნიშნები. ამის გამო, ქართული ასომთავრული „ლანი“ და ფინიკიური „'აინ“, – ორივე გამარჯვებული ღვთაებრივი ასო-ნიშანია.

„ლანისა“ და „'აინის“ რიცხვითი მნიშვნელობების შედარებისას ნათელი ხდება, რომ ასო-ნიშნები განსხვავებულ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ დეკოდირებული ინფორმაციის მიმართ. ასე მაგალითად, ფინიკიური „'აინ“ ორ ურთიერთსაინანააღმდეგო ეზოთერულ სახეს ასაიდუმლებს. პირველი, ანუ ხილული სახე, რომელიც მისი ანბანური რიგით (16) არის გამოხატული, სიკვდილის ტოლია, მაშინ, როდესაც დაფარული რიცხვითი მნიშვნელობა ( $7=1+6$ ) „'აინის“ მომავალ მკვდრეთით აღდგომას წინასწარმეტყველებს.

„აინის“ საპირისპიროდ, ქართული ასომთავრული „ლანის“ რიცხვითი მნიშვნელობა რადიკალურად განსხვავებულია. 25-ე ადგილას მდგომს, ერთადერთი სახე გააჩნია – გამარჯვებული უხილავი ღმერთისა, რომლის აღდგომა ქართველური კულტურით არის წინასწარმეტყველები.

როგორც ვხედავთ, ქართველური „ლანისა“ და სემიტური „'აინის“ ლინგვისტურ-კულტუროლოგიური და კრიპტული ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნები ეზოთერული ცოდნის დონეზეც დასტურდება. უფრო მეტიც, როგორც კვლევა აჩვენებს, ჩრდილო-სემიტური ანბანი სიტყვისა და ასოს ეზოთერულ გაგებას მხოლოდ ქართულ ასომთავრულ ანბანთან კავშირში ამჟღავნებს, ანბანთან, რომელიც აღძრავს და წარმართავს დეკოდირების მთლიან პროცესს. ფინიკიური „'აინისა“ და ქართული „ლანის“ რიცხობრივი ურთიერთმიმართებანი კიდევ უფრო გასაიდუმლოებულ შრეებზეც არის განლაგებული; კერძოდ, 4-ისა და 16-ის, ანუ  $4^2$ . აღნიშნული ურთიერთობა კი უკვე ასტრონომიის სფეროში ძევს.



სურ. 2. დავათის სტელა, ანუ ქართული ანბანის ზეცად ამალღება (ჯავახიშვილი გ., 1998, ილ. XVII).

## 12. ფინიკიური 'აინსა და ქართველური ღანის ასტრონომიული მიმართებისთვის

რ. პატარიძის უაღრესად მნიშვნელოვანი გამოკვლევის მიხედვით, „ღანის“ ასტრონომიული (ასტროლოგიური) მნიშვნელობა მისი ანბანთრიგიდან და რიცხვითი მნიშვნელობებიდან გამომდინარეობს. „ღანი“, როგორც უკვე ითქვა, ანბანში საკუთრივ ქართული ნაწილის მეთაური ასოა და ანბანური სისტემის მეოთხე შვიდეულშია განლაგებული. „ეს „ღანის“ შვიდეულია, რომელიც მთვარის სრული ციკლის შვიდეულებს არ განეკუთვნება,<sup>32</sup> ე.ი. ერთგზის ასო ღანი მე-4 ადგილზე ზის; „ღანის“ მე-4 შვიდეულში „ღანი“ მე-4 ადგილზე ზის, ე.ი. მეორეგზის ასო „ღანი“ კვლავ მე-4 ადგილზე ზის; ქართულ ასომთავრულ ანბანში სულ შვიდი იდეოგრამა-აკროფონია. ამ შვიდ იდეოგრამა-აკროფონს შორის, თუ ეს იდეოგრამა-აკროფონები ანბანური თანმიმდევრობით ამოვკრიფეთ, „ღანი“ კვლავ მე-4 ადგილზე ზის. ე.ი. სამგზის ასო „ღანი“ ქართულ ანბანში მე-4 ადგილზე ზის“ (პატარიძე 1980:239):

### ცხრილი 18

ქართული ასომთავრული ანბანის შვიდი ღვთაება ასო-ნიშანი

ანი	დონი	თანი	ღანი	ცანი	ჭარი	ჯანი
ⴌ	ⴍ	ⴎ	ⴏ	ⴐ	ⴑ	ⴒ
1	2	3	4	5	6	7

შესაბამისად, ფინიკიური „აინი“, რომელიც ქართული უხილავი შემოქმედი ღმერთის „ღანის“ თვალი და ორეულია და ჩრდილო-სემიტურ ანბანში იმავე ფუნქციითაა წარმოდგენილი, 4-ის რიცხვით მნიშვნელობასაც უნდა ფლობდეს. ეს მართლაც ასეა, ოღონდ აღნიშნული მნიშვნელობა დაფარულად, კვლავ ქართული ასომთავრული ასო-ნიშნის მეშვეობით არის გაცხადებული ( $4^2=16$ ), სადაც 4 „ღანის“ ციფრია, მისი კვადრატი (16) კი ფინიკიური „აინისა“. გამოვლენილი მათემატიკური კანონზომიერება („ღანი“ = 4  $\rightarrow$   $4^2=16$  = ფინიკიურ „აინ“) ფინიკიური „აინითა“ და ქართული „ღანით“ გადმოცემულ რიცხობრივ ურთიერთობებს (16, 4) ერთმანეთზე დამოკიდებულ სიდიდეებად წარმოაჩენს. აღწერილი რიცხობრივი ურთიერთობანი დიდი მნიშვნელობისაა, ვინაიდან ისინი სინტაგმატურ დონეზე ქართული „ღანისა“ და ფინიკიური „აინის“ მთელისა და ნაწილის,

<sup>32</sup> აღნიშნული ჯგუფის განხილვა იხ. რ. პატარიძე, ქართული ასომთავრული, თავი: ქართული წარმართული კალენდარი, გვ. 311 და შემდგომ.

მეტონიმურ ურთიერთობებს იმეორებენ. შესაბამისად, ფორმულა  $4^2=16$  ქართულ ასომთავრულ „ლანსა“ და ფინიკიურ „აინს“ შორის არსებულ მთელისა და ნანილის დამოკიდებულებას მათემატიკური კუთხით ადასტურებს. ესაა პროცესი, რომელიც ასო-ნიშნებს შორის არსებულ კავშირებს უკიდურესად რთული ინფორმაციული სისტემის სახეს აძლევს. აღნიშნული სისტემა მრავალი შრისგან შედგება:

- ანბანური, – გრაფიკული, აკროფონიული, იდეოგრაფიული;
- ლინგვისტური, – სინტაგმატური, სტილისტური (მეტონიმია);
- კულტუროლოგიური, – ღვთაებრივი თვალი, უხილავი შემოქმედი – ღმერთი;
- გეომეტრიული, – მარკუთხა სამკუთხედი;
- რიცხობრივი, –7, 4,  $4^2$ , 16.

ოთხის ეზოთერული მნიშვნელობა ნათქვამით არ ამოიწურება, რადგანაც იგი „ლანის“ ასტრონომიული ასპექტის განუყოფელი ელემენტია. ზემოთ უკვე ითქვა, რომ „ლანი“ იდეოგრაფიულად ღვთის კარია და ამ ასო-ნიშანში უხილავი ღმერთი იგულისხმება, ე.ი. ასტრალურად იგი მე-4 ცაზეა. „შვიდ ცათაგან მე-4 ცა ცენტრალური ცაა და მზის ღვთაების ცაა“ (პატარიძე 1980:239). ეს უკანასკნელი, (მზეღვთაება) ქართულ ასომთავრულში იდეოგრამა-აკროფონ „დონით“ აღნიშნება (იქვე, 239). სხვაგვარად რომ ვთქვათ, „ლანი“ და „დონი“, – უხილავი შემოქმედი ღმერთი და მზეღვთაება, ერთსა და იმავე ცაზე არიან დაბრძანებულნი. მაგრამ, თუ მეოთხე ცა მზის ღმერთის საკუთრებაა, მაშინ აქ საქმე გვაქვს „ლანსა“ და „დონს“ შორის არსებულ აშკარა მათემატიკურ წინააღმდეგობასთან, რადგანაც ორივე ღვთაებას ერთი და იგივე რიცხვითი მნიშვნელობა (4) აქვს.<sup>33</sup>

სინამდვილეში საქმე გვაქვს არა წინააღმდეგობასთან, არამედ სრულ ჰარმონიასთან. 4 „დონის“ ხილული რიცხვი და მათემატიკური ღირებულებაა, „ლანისთვის“ კი – დაფარული და საიდუმლო რიცხვი. წარმოადგენს რა „დონის“ ეგზოთერულ, ხოლო ლანის ეზოთერულ ინდექსს, რიცხვი 4 ორივე ასოს, ე. ი. „ლანსა“ და „დონს“ ერთმანეთს უტოლებს. რიცხობრივი იგივეობა გაცილებით შორს მიდის, ვინაიდან უხილავი ღმერთის შემთხვევაში 4 დაფარული ღირებულებაა, მაშინ, როცა, „დონის“ შემთხვევაში იგი ცნობილი ფაქტია. სხვაგვარად, რიცხვი 4-ის მემკვიდრით მზეღვთაება დონი და უხილავი შემოქმედი ლანი ხილულ/უხილავსა და ღია/დაფარულ წონასწორებას იზიარებენ.

ღვთაებათა ბუნებასა და მათ მათემატიკურ გამოსატყულებას-

<sup>33</sup> ქართულ ასომთავრულ ასო-ნიშნებს შორის არსებული წინააღმდეგობანი შენიშნული აქვთ სხვა სპეციალისტებსაც (წინიძე 2005:8), თუმცა უნდა ითქვას, რომ მსგავსი მოვლენების უკან მნიშვნელოვანი დაფარული ინფორმაცია დგას.

თან დაკავშირებული ჰარმონია ისეთ ერთობას გვთავაზობს, როდესაც დონი ღანის ხილული სახეა. მსგავს გარემოებაში, ანუ როდესაც წყვილი უხილავი და ხილული ნევრებისგან შედგება, ხილული ნევრი უხილავი ორეულის ეგზოთერული სახეა. შესაბამისად, ხილული მზელმერთი „დონი“ უხილავი შემოქმედის ხილულ ასტრალურ სახედ წარმოჩნდება. დებულებას თვით ფილოლოაოსის კონცეფცია უმაგრებს მხარს: „...მზე არის მხოლოდ ხილული წარმომადგენელი უხილავი ღვთაებისა – სამყაროს შუაგული ცეცხლისა“ (იქვე, 246).

დამატებით მამტიკიცებელ მასალას ბერძნული წყაროები გვთავაზობენ: „პითაგორულ მოძღვრებაში მეტაფიზიკური რიცხვი მიჩნეული იყო კოსმიურ ძალად და მიზეზად. სამყარო, პითაგორელი ფილოლოაოსის კონცეფციით, 10 ციური სხეულისგან შედგებოდა. რიცხვები 4 და 7 საშუალო პროპორციული რიცხვებია 1-დან 10-მდე: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10. ფილოლოაოსის ასტრალურ სამყაროში მზეს მიკუთვნებული აქვს მე-4 და მე-7 ადგილები და ამიტომაც იგი ასტრალურ ცენტრად, შუაგულად იყო მიჩნეული. ფილოლოაოსის ასტრალურ სისტემაში მზის რიცხვი არის 7“ (იქვე, 245-6).

ქართული ასომთავრული „დონისა“ და „ღანის“ ურთიერთმე-მავსებელ კრიპტულ მიმართებას მათი ანბანური ნიშანთმისტიკაც ადასტურებს. ორივე ასო-ნიშანს გააჩნია როგორც ხილული, ისე დაფარული რიცხობრივი მნიშვნელობები. პირველს მიეკუთვნება ასო-ნიშნების ანბანური რიგი და მათი რიცხვითი მნიშვნელობანი, მეორეს კი – ასო-ნიშნების სახელების შესაბამისი რიცხვითი გამოსახულებები. პირველით კალენდარული ინფორმაციის გადმოცემა ხდებოდა, მეორით კი მათი დაფარული რიცხვითი მნიშვნელობების გაცხადება. დონისა და ღანის ოთხივე რიცხვითი მნიშვნელობა ასეთ გამოსახულებას იძენს:

ცხრილი 19<sup>34</sup>

ღანისა და დონის რიცხვითი მისტერია (1)

სახელი	ანბანური რიგი	სათვალავი	სახელის რიცხვითი სახე	დაფარული რიცხვითი მნიშვნელობა
დონი	4	4	34	124
ღანი	25	700	40	751

<sup>34</sup> მეოთხე და მეხუთე სვეტში მოცემული რიცხვითი მონაცემებისთვის იხ. ბ. ხურცილავა 2009:65-66. ჩენი ნაშრომი დიდი ხნის (2006) დამთავრებული იყო, როდესაც ბ. ხურცილავას ნაშრომს გავეცანი. მის მიერ გამოკვლეული ეგზოთერული მათემატიკის მონაცემები საოცარი ჰარმონიით შეერწყა რამდენიმე წლით ადრე დასრულებულ წიგნს.



პითაგორული მეტაფიზიკური რიცხვის თანახმად, ყოველი ორი და მეტი ნიშნისგან შემდგარი რიცხვი ერთნიშნამდე დაიყვანება. აღნიშნული პოსტულატის გამოყენება „დონისა“ და „ლანის“ რიცხვით მნიშვნელობებს სრულ მათემატიკურ პარამონიას ანიჭებს:

### ცხრილი 20

#### ლანისა და დონის რიცხვითი მისტერია (2)

სახელი	ანბანური რიგი	სათვალავი	სახელის რიცხვითი სახე	დაფარული რიცხვითი მნიშვნელობა
დონი	4	4	$3+4 = 7$	$1+2+4 = 7$
ლანი	$2+5 = 7$	$7+0+0 = 7$	$4+0 = 4$	$7+5+1 = 13$ $1+3 = 4$

თუ მონაცემებს უფრო გავამარტივებთ, მივიღებთ „დონისა“ და „ლანის“ მათემატიკურად დადასტურებულ ხილულ-უხილავ ერთებას:

### ცხრილი 21

#### ლანისა და დონის რიცხვითი მისტერია (3)

ხილული ასპექტები			უხილავი ასპექტები	
სახელი	ანბანური რიგი	სათვალავი	სახელის რიცხვითი სახე	დაფარული რიცხვითი მნიშვნელობა
დონი	4	4	7	7
ლანი	7	7	4	4

ნარმოდგენილი ანალიზი ააშკარავებს „დონსა“ და „ლანს“ შორის არსებულ ისეთ გასაიდუმლოებულ რიცხვით კავშირებს, რასაც პითაგორამდეც შესანიშნავად ფლობდნენ შუმერ-ქალდეველი მეცნიერები და, როგორც ჩანს, ქართველთა უძველესი აკადემიაც.

ორი ქართული ასომთავრული ასო-ნიშნის („ლანი“, „დონი“) შემაკავშირებელი სიმების ზენამონევა ამდიდრებს მათი კვლევის შედეგად მიღებულ დასკვნებს. აშკარა ხდება, რომ არა მხოლოდ „ლანია“ სემიტურ „აინთან“ მჭიდრო კონტაქტებით დაკავშირებული, არამედ „დონიც“, რომელიც ფინიკიურ ნყვილთან იმავე მათემატიკურ ურთიერთობაში შედის: დონი =  $4 = 4^2 = 16$ , ანუ ლანი =  $4 = 4^2 = 16$ .

აღნიშნული ტოლობის საფუძველზე „დონისა“ და „ლანის“ ჩამოყალიბებული ხილულ-უხილავი მთლიანობა კიდევ უფრო ზრდის

ქართული „ლანის“ მეშვეობით ფინიკიურ „აინში“ ჩამალული ცოდნის მასშტაბებს. კერძოდ, ქართული ასომთავრული „დონი“ წარმოადგენს არამხოლოდ ლანის ხილულ სახეს, არამედ ფინიკიური „აინის“, უფრო ზუსტად კი, სემიტურ სახელს ამოფარებული უხილავი ქართველი შემოქმედი ღმერთის ხილული სახეც ხდება. მეტიც, „ლან-აინის“ შემთხვევის ანალოგიურად, „აინისა“ და „დონის“ სინტაგმატურ ღერძზე განლაგება ჩვენთვის უკვე ნაცნობი ღვთაებრივი თვალის ცნებას გვაძლევს. შდრ.: (დონი = მზელმერთი) + (აინ = თვალი) → ღვთაებრივი თვალი = მზელმერთის თვალი. მაშასადამე, აინ = ღვთაებრივი თვალი.

„დონისა“ და „აინის“ ამგვარი დანყვილება, ისევე, როგორც ლან-აინის ურთიერთობა, რთული და ურთიერთგადაჯაჭვული მოვლენაა; ქართული ასომთავრული „დონი“ ხდება ფინიკიური „აინისა“ და უხილავი ღმერთის ხილული, ანუ ეგზოთერული სახე. გამოაშკარავებული რთული და ურთიერთგამჭოლი კონტაქტები ფინიკიურ და ქართულ „აინსა“ და „დონს“ უკვე განხილული აინ-ლანის რთული ერთარსი მექანიზმის ჩარჩოებში აქცევს, სადაც ფინიკიური „აინ“ ორივე მხრით ქართველური ასო-ნიშნებით არის დასაზღვრული – ლანი = აინ = დონი.

წარმოჩენილი მასალა ვერ ამონურავს ვერც ქართული ასომთავრული „ლანისა“ და „დონის“ და ვერც ფინიკიური „აინის“ სიღრმისეულ შრეებზე განლაგებულ ინფორმაციას. პირიქით, წიაღსვლებთან ერთად წამოჭრილ შეკითხვათა რაოდენობა განუხრელად იზრდება, გაცემული პასუხებით გენერირებული ინფორმაციული საზღვრები კი შეუდარებლად მასშტაბური ხდება.

ასე მაგალითად, წარმოდგენილმა კვლევამ შეუძლებელია, არ დაგვაფიქროს ქართველურ-სემიტურ უხილავ ღმერთსა და მის ხილულ სახეს შორის არსებულ იმ განმსაზღვრელ ასტრონომიულ ურთიერთობებზე, რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, ლანსა და დონს, ხოლო შემდეგ კი ლან-დონსა და ფინიკიურ აინს შორის გამოვლენილ ტოლობებს მიღმა იმალება.

წამოჭრილ საკითხს „ლანისა“ და „დონის“ გრაფიკული გამოხატულება აძლევს პასუხს. „ლანი“, როგორც ცნობილია, ნახევარწრეა, უფრო ზუსტად, ნახევარელიფსი. ელიფსი კი იგივე ეკლიპტიკაა, – დედამიწიდან ცის თალზე დანახული მზის ხილული გზა. სხვაგვარად, ეკლიპტიკა წარმოადგენს აბსტრაქტულ კონსტრუქტს, რომელიც დედამიწის ორბიტული ბრუნვით გამოწვეულ მზის ცვალებად პოზიციებს აირეკლავს. მიუხედავად ამისა, თვალისთვის სწორედ მზე მოძრაობს და მიუყვება სხვამხრივ უჩინარ გზას. ანბანური თვალსაზრისით, ხილული მზე (დონი), რომელიც, ფილოლოგის მიხედვით, სამყაროს ცენტრის ცენტრია, საკუთარი უხილავი (ფაქ-

ტობრივად არარსებული) გზის, ეკლიპტიკის (ლანი) ასტრალური სახეა. ქეშმარიტად ასეა!

„ლანისა“ და „დონის“ გამოაშკარავებული ასტრონომიული მნიშვნელობა ქართული ასომთავრული ანბანის შემქმნელთა უზარმაზარი სიბრძნის მხოლოდ მცირე მონაკვეთს წარმოადგენდა. „ლანისა“ და „დონის“ გრაფიკა ეჭვს გარეშე აყენებს იმ ფაქტს, რომ უძველეს „ქართველ ქურუმთა აკადემიას“ მზის სისტემის და მისი ფუნდამენტური თვისებების შესახებ საკმაოდ ზუსტი წარმოდგენა ჰქონდა და იოლად შეეძლო მის განკარგულებაში მყოფი ამ კოსმიური ფილოსოფიის ნებისმიერი ელემენტისა თუ ფაზის გადმოცემა. ქართული ასომთავრული ასო-ნიშნები ამ ცოდნის სხვადასხვა მონაკვეთის ანბანური ხატის გასაოცარი ნიმუშებია, – ლანი როგორც მზის მოძრაობა განზოგადებული ორბიტული გადაადგილება და დონი როგორც „პლანეტა“ მზის მუდმივი მოძრაობის ერთ-ერთი გაყინული ფაზა. უძველესი ქართველური რწმენის მიხედვით, „ლანი“ მზის უხილავი გზის ხატია, „დონი“ კი – მოძრაობაში მყოფი მზის სისტემა.

*გვაქვს თუ არა ეს ცოდნა ასახული ჩვენს მშობლიურ კულტურაში?*

გვაქვს და თანაც მრავლად, რადგანაც კულტურის ნებისმიერი ფორმა, იქნება ეს სიტყვიერი შემოქმედება, ფერწერა, ქანდაკება, მშენებლობა, ქვითა თუ ხით ხურობა, კერამიკა და სხვა, მხოლოდ კოდში მოცემულ ინფორმაციას ასახავს. სიმარტივისთვის, მშენებლობის ამსახველ ნიმუშებს მოვიყვანოთ.

თვალი შევავლოთ ქართული ტაძრებისა თუ ეკლესიების შესასვლელს, ე.წ. ნალისებურ თაღს. ყოველი ნალისებური თაღი ქართული ასომთავრული ლანია, – ქვაში გამოკვეთილი ქართველთა უხილავი ღმერთი, სამყაროს მამოძრავებელი და მაცოცხლებელი.


მე-3 სურათზე წარმოდგენილია ვანის ქვაბების გუმბათიანი ეკლესიის ჩრდილოეთის ხედი. ღვთის სახლში შესასვლელი ეკლიპტიკური თაღი, როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით, ყოველგვარი დეკორის გარეშეა წარმოდგენილი. ეს მისი (ეკლიპტიკის) უჩინარი ბუნების არქიტექტურული გამოსახვაა (გვ. 109).

ახლა ყურადღება მე-4 სურათზე გადავიტანოთ: ლანი-თაღი-ეკლიპტიკა „ღია ტიქსტით“ არის მოცემული, რადგან დავით გარეჯის ონოფრე მაჭუტაძის მიერ აშენებულ ლან-თაღოვან შესასვლელს მთელ სიგრძეზე მკვეთრად გამოხატული ორი „ბილიკი“ მიუყვება, რომლის მრავალფეროვანი სტილიზაციის მაგალითებს მკითხველი ადვილად შეავსებს საკუთარი მეხსიერებიდან. მისი არქიტექტურული ტერმინია ლილვები, კოდირებული ინფორმაციით კი ქართულ ასომთავრულ „ლანში“ დაფარული უძველესი ასტრონომიული ცოდნის, – მზის ეკლიპტიკაზე მოძრაობის, ეგზოთერულად გამოხატული მცირე ნაწილი.

უძველეს ქართველ მეცნიერთა ცოდნა მზის სისტემის არსებობის ფუნდამენტურ თვისებაზე – ეკლიპტიკურ (და არა ორბიტულ) მოძრაობაზე, და ამ ცოდნის კოდოფიკაცია ანბანურ ხატსა თუ არქიტექტურულ დეტალებში, თავისთავად გულისხმობს მათ (ქართველ მეცნიერთა) მიერ ამ კოსმიური ფენომენის ხილული და უხილავი მხარეების ნებისმიერი ელემენტისა თუ ფაზის გრაფიკულ გამოსახვას. სხვაგვარად, ქართველური სამეცნიერო სკოლა იოლად მოახერხებდა წრეების მეშვეობით მზის როგორც მთლიანი, ისე ყოველი მომდევნო წრებრუნვის ფაზის ზუსტ გამოსახვას (ნახ. 3, გვ. 111). ასევე, ორი პარალელურად მდებარე ოვალის კიდევს შორის მოთავსებული წრეების მეშვეობით, ყოველგვარი სირთულის გარეშე შეძლებდა მზის კოსმიური გზის გრაფიკული გამოსახულების მიღებას (ნახ. 4, იქვე).




სურ. 3. ვანის ქვაბები. გუმბათიანი ეკლესია. ხედი ჩრდილოეთიდან (ლექთაძე 2000, ილ. 357).




სურ. 4. „ონოფრე მაჭუტაძის მიერ აგებული შესასვლელი“ (ქვლივიძე 1981:7).


წრისა და ოვალის კომბინირების სანიანალმდებო მოქმედებით, – მათი განცალკევებით, მოხდებოდა უშუალოდ პლანეტა მზისა და მისი გზის აბსტრაქტულად წარმოსახვა (ნახ. 5, იქვე). მეტიც, ნახაზის სიმარტივე საშუალებას მისცემდა ქართველ მეცნიერებს, იოლად შეეცვალათ ძირითადი ნახაზი, მზის მოძრაობის რომელიმე მომენტის აქცენტირების მიზნით. ნახ. 6 (გვ. იქვე) წარმოადგენს ორი ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდის – ზაფხულისა და ზამთრის ნაბუნობის (21-22 ივნისი, 21-24 დეკემბერი) გრაფიკულ ხატს. ნახაზი შეიძლებოდა განვრცობილი-



სურ. 5. ჩრდილოეთის ფანჯრის თავზე გამოსახული ზამთრის ნაბუნობა. ყაზბეგი, გერგეთის სამება, XI-XIV სს. (ზაქარაია 1981, ილ. 89).




სურ. 6. ქვათახევის დედათა მონასტერი. ქართული ასომთავრული „დონის“ რთული ასტრონომიული გამოსახულება. XII-XIII სს. (ავტორის ფოტოარქივი).




სურ. 7. მზის სისტემის სტრუქტურის გრაფიკული ნახაზი. მზის ეკლიპტიკაზე მოძრაობა. VI საუკუნის რუსის ტაძრის ტიმპანის რელიეფის ნაშთი (ჩუბინაშვილი 1940:437).

ყო გაზაფხულისა და შემოდგომის დღელამსწორობის გათვალის-  
წინებით (21 მარტი, 22 სექტემბერი) ისე, როგორც ეს მე-8 ნახატშია  
მოცემული:




ნახ. 3. მზის ეკლიპტიკური  
მოდრაობა.




ნახ. 4. მზის დასაზღვრული  
ეკლიპტიკური ზედა.



ნახ. 5. უჩინარი ელიფსი.



ნახ. 6. მზის ზედა და ქვედა  
კულმინაცია



ნახ. 7. ორი დამატებითი ფაზა:  
გაზაფხულის და შემოდგომის  
დღელამსწორობა.

აღნიშნული გრაფიკული გამოსახულებები შესაძლოა, უფრო გა-  
ვამარტივოთ; კერძოდ, ეკლიპტიკა მთლიანი ელიფსით კი არა, არა-  
მედ გარკვეული მონაკვეთით წარმოვადგინოთ. მივიღებთ შემდეგ  
გრაფიკულ გამოსახულებებს:

ა	ბ	გ	ა	ბ	გ
ნახ. 8: ა) მზის ნაბუნობა, ანუ ზედა კულმინაცია, ბ) ზამთრის ნაბუნობა, ანუ ქვედა კულმინა- ცია, გ) მზის ორივე კულმინაციის კომბინირებული ხატი.			ნახ. 9: ა) შემოდგომის დღელამ- სწორობა, ბ) გაზაფხულის დღე- ლამსწორობა, გ) დღელამსწორო- ბის ფაზების კომბინირებული ხა- ტი.		

წარმოდგენილი განხილვიდან გამომდინარე, არ არის გასაკვირი, რომ უამრავი ქართული ტაძარი და წმინდა სალოცავი ამ საკრალური ცოდნის სხვადასხვა მონაკვეთს ასახავს. მე-5 სურათში (გვ. 110), გერგეთის სამების ფასადზე, ჯვრის თავს სწორედ ქვესენელური მზის, ანუ მზის ქვედა კულმინაციური ფაზის გამოსახულება ამშვენებს, მაშინ, როდესაც ქვეთახევის დედათა მონასტრის ერთ-ერთ ფასადზე ამკარად მოჩანს მომაჯადოებელი დახვეწილობით შესრულებული ქართული ასომთავრული „დონი“, – ქართველთა ზეციური ღვთაების რთული ასტრონომია (სურ. 6, იქვე).

ახლა მე-7 სურათს დავაკვირდეთ, სადაც VI საუკუნის რუისის ტაძრის ტიშპანის რელიეფის ნაშთს მზის სისტემის სტრუქტურის საიდუმლო, წრეებით გამოხატული არშიის სახით მიჰყვება (სურ. 7, იქვე).

მსგავსი გამოსახულებანი ძალზე მრავლად არის წარმოდგენილი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებზე, ტაძრის მთლიანი ტანის გარშემო, კარიბჭის, ფანჯრებისა თუ სარკმლების ჩარჩოს დეკორში და სხვა. ნათქვამის დასადასტურებლად გთავაზობთ ნიკორწმინდის (XI ს.) სამხრეთის ფასადის სურათს (სურ. 8, გვ. 113). გუმბათის თავს ნაქარგ არშიასავით მიუყვება მზის სამყაროს გასაიდუმლოებული ცოდნა – ორ სწორ ხაზს შორის მოქცეულ წრეთა უწყვეტი ჯაჭვი, ანუ მზის ეკლიპტიკური ბილიკი. როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია, ვინაიდან ეს უკვე მთლიანი ასტრონომიული ფენომენის – მზის ეკლიპტიკაზე მოძრაობის საჯაროდ გამოტანაა, რაც ცხადი უნდა იყოს ყველასთვის! მოყვანილი ფაქტები ადასტურებენ ზ. ქაფიანიძის მიერ ასომთავრული „ლანის“ ჩუქურთმის აღმოჩენას სვეტიცხოვლის ტაძრის კედლებზე (ქაფიანიძე, მიბრუნაი 2002:476).

**დავასკენით:** ქართულ ხუროთმოძღვრებაში მზის სისტემის სტრუქტურის ამსახველი ცოდნა ჩუქურთმებად დაგვიტოვეს ჩვენმა წინაპრებმა, რათა „დონ-ლანის“ ხილულ-უხილავი ერთობის მსგავსად, ქვის ჰარმონიაში გაესაიდუმლოებინათ უძველესი ქართული სამეცნიერო სკოლის მიღწევები.




ნახ. 10.

მზის ძირითადი ფაზების გამოსახულებათა (ნახ. 8გ, 9გ) შერწყმის შედეგად მიიღება კვადრატში ჩახაზული წრე (ნახ. 10), გამოსახულება, რომელსაც არქიტექტურის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპთან მივყავართ. ესაა შენობის კვადრატული ნაწილიდან წრიულზე გადასვლა.<sup>35</sup>

აღნიშნულ ანბანურ-არქიტექტურულ გეგმას ქართველები ჯერ კიდევ V-VI ათასწლეულებში იყენებდნენ ე. წ. „გლეხური საცხოვრებელი სახლის“ მშენებლობაში (Джавახишвили 1973). მოგვიან-

<sup>35</sup> აღნიშნული არქიტექტურული პრინციპის დეტალური განხილვა ქართულ ასომთავრულ ანბანთან მიმართებაში იხ. მაჭავარიანი 1982:10-13.


სურ. 8. ნიკორწმინდის სამხრეთის ფასადი. მზის ციური გზა გუმბათის გარშემო (სურგულაძე 1989).



სურ. 9. ბუხრის საკვამური ქართული დარბაზის გუმბათოვანი გადახურვით. ზემო თმოგვი, მაისურაძეების სახლი, 2001 წ. (ავტორის ფოტოარქივი).



სურ. 10. ნიუ გრეინჯის შიდა დარბაზი, ძვ. წ. 3200 წ. (DLM 1979:74).



სურ. 11. ქართველური გუმბათოვანი გადახურვა (როულინსონის მიხედვით -- სომხური Louvre, Rawlinson I 2002, ილ. XVII).



ებით, იგი გუმბათოვანი გადახურვის ქართულ დარბაზში განვითარდა, სადაც გამოიყენებოდა რვაკუთხოვანი კუთხური წყობით, რვაკუთხოვანი პარალელური წყობით, თორმეტკუთხოვანი კუთხური წყობითა და ოთხკუთხოვანი კუთხური წყობით გადახურვისას (Сумбадзе 1960:17; 1977). მოგვიანებით, ეს სამშენებლო მეთოდები უფრო დაიხვეწა ქართულ ცენტრალურგუმბათოვან ტაძრებში, რომლებიც კვადრატში ჩახაზული წრის პრინციპზე იგებოდა (Чукинашвили 1959:201). მსგავსი შენობების ნიმუშები კიდევ მრავლად არის შემორჩენილი საქართველოში (სურ. 9, გვ. 113).

ახლა შევადაროთ ქართული დარბაზის ილუსტრაცია კუთხოვანი წყობის გადახურვით ირლანდიის ნიუ გრეინჯის კუთხოვან გადახურვას (სურ. 10, იქვე)! მშენებლების ვინაობა უცნობია, მაგრამ გასაოცარია მსგავსება ქართული დარბაზის გადახურვასთან. ნიუ გრეინჯი წარმოადგენს მეგალითურ ნაგებობას, რომელიც ძვ. წ. 3200 წლით თარიღდება, პერიოდი როდესაც ბრიტანეთის კუნძულები უცნობი იბერიელებით იყო დასახლებული. მისი აგების მიზნად მეცნიერული თეორიები ძირითადად ასტრონომიულ მიზეზს ასახელებენ, ვინაიდან შიდა კორიდორი და დარბაზი, ე.წ. „ჭერის ყუთის“ მშვეობით, მხოლოდ რამდენიმე დღის განმავლობაში ნათდება და ისიც სულ რაღაც 17 წუთით, ზამთრის ნაბუნობისას (დეკემბერი 19-23). „მეგალითების საუკუნის“ ავტორები წერენ: „...თუ ძველი მშენებლები ასეთი ჭკვიანები იყვნენ, თუ მათ იცოდნენ პითაგორის მართკუთხა სამკუთხედისა (როგორც ამას პროფესორი თომი აცხადებს) და ბუნობის პრეცესიის შესახებ (როგორც ამას პროფესორი ჰოილი ამტკიცებს), როგორ მოხდა, რომ მეტი არაფერი მოიგონეს? – ბორბალი ან ანბანი, ანდა ქალაქ-სახელმწიფო, – ნებისმიერი სხვა რამ, გარდა დაბნელებების გამოთვლის ტექნოლოგიისა?“ (WLM 1979:74).

ვინაიდან ეს თემა დამატებით კვლევას მოითხოვს, აქ მასზე აღარ შეეჩერდებით, ქართულ დარბაზთან და ნიუ გრეინჯის შიდა პალატასთან შესადარებლად კი შემოგთავაზებთ ილუსტრაციას ასურული სასახლის გადახურვისა, რომელსაც როულინსონი სომხურ გადახურვას უწოდებდა (სურ. 11, იქვე).

მ. ბოტა და ბატონი ფერგუსონი, რომლებიც ფიქრობენ, რომ შიდა ეზოების გარდა, მთელი ასურული სასახლე გადახურული იყო, გეთავაზობენ შენობის განათების ორ ძლიერ განსხვავებულ საშუალებას: მ. ბოტას სასახლეში შუქი სპეციფიკურად განლაგებული ხის მორებიდან შემოჰყავს, როგორსაც დღესაც შეხვდებით სომხეთსა და ინდოეთში“ (Rawlinson I 2002:195). ჩვენ დავუმატებთ, – საქართველოშიც და თანაც უხსოვარი დროიდან.

მზის ეკლიპტიკაზე მოძრაობის ოთხი ძირითადი ფაზიდან, ქართული ასომთავრული „ლანის“ და „დონის“ გრაფიკაში მხოლოდ

ერთი, ზედა კულმინაციის ხატია ეგზოთერულად წარმოდგენილი (მდრ.: 7-ის გამარჯვების სიმბოლიკას). მაგრამ იგი ამკარად მიანიშნებს ქართველ ანბანთშემოქმედ ქურუმთა ფართო ასტრონომიულ ცოდნაზე. გავიხსენოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ უძველესი ქართული კალენდარი მზის მოქცევას ემყარებოდა და ახალი წელი ბარბალობის დღესასწაულით, ანუ ზამთრის ნაბუნობით იწყებოდა, რის გამოც, დეკემბრის თვეს სვანურად *barblǎz* ანუ ბარბლაშ ეწოდებოდა (ბარდაველიძე 2006: 102; ხაზგასმა ჩვენია – ა. მ.). უფრო მეტიც, ცხოვრების სხვადასხვა სფერო იმავე ასტრონომიული ცოდნის კოდირების საოცრად დიდ და მრავალფეროვან სივრცეს წარმოადგენდა. ამ სივრცის გამოყენების პირდაპირი შედეგია ღრმადფესვებამდგარი ქართველური ტრადიციები, მისივე შემადგენელი ელემენტებით. ნათქვამის საილუსტრაციოდ, ქალის სვანური სამგლოვიარო სამოსის აღწერას შემოგთავაზებთ. ნახევარწრის, ანუ „ლანის“ ორნამენტის სვანეთში გავრცელების შესახებ პროფ. ვ. ბარდაველიძე წერს: „Подобными узорами снабжается даже траурная женская одежда, – края ее рукавов, блузки и подола юбки подрезаются дугообразно“ (Бардавелидзе 1957:222; ხაზგასმა ჩვენია – ა. მ.).

როგორც ვხედავთ, ავტორი ფაქტობრივად „ლანის“ ინვერსიულ ვარიანტზე, ანუ მზის ქვედა კულმინაციაზე საუბრობს, რომელიც, ერთი მხრივ კოსმიური ცოდნაა, ხოლო მეორე მხრივ, ქართული ტრადიციული სამოსის ერთ-ერთი დეტალი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქალის სვანური სამგლოვიარო კაბის ერთ-ერთი ელემენტი უზარმაზარი ასტრონომიული ცოდნის ღია კოდია, თვისება, რომელმაც განაპირობა როგორც მისი ხანგრძლივობა, ისე მისი გაფერმკრთალება და საბოლოო წაშლაც კი. ამიტომ, ვინც იცის „ლანისა“ და „დონის“ ერთების მისტერია და აქვს მის მიღმა დავანებული ეზოთერული ცოდნა, მისთვის, სამგლოვიარო სამოსზე „ლანის“ ინვერსიული ფიგურის გამოჩენა მტკიცე ლოგიკას ემორჩილება: გარდაცვლილი ტოვებს სააქაოსა და ზეციურ მზეს; ამიერიდან იგი ქვესკნელის საუფლოშია, რომელსაც საიქიოს უდიდესი ღვთაება განაგებს. ასტრონომიულად, ეს ღმერთი ზამთრის ნაბუნობაა, ქართულ ცნობიერებაში – დამდგარი თვალი და მკვდრის მზე,<sup>36</sup> რომელიც მგლოვიარე ქალის სამოსის ორნამენტში განხატებულ გარდაცვლილს მისი უკანასკნელი განსასვენებლისკენ მიაცილებს.

ქართულ ასომთავრულ ასოებში („ლანი“, „დონი“) დავანებული ასტრონომიული ცოდნით აღჭურვილ ადამიანს გაცილებით მეტის ამოკითხვა შეუძლია სამგლოვიარო სამოსის სიმბოლიკაში. იმის გამო, რომ ქვესკნელური მზე ღამისეული და მისი ქვედა კულმინაციის რე-

<sup>36</sup> იხ. გ. შატბერაშვილის მოთხრობა „მკვდრის მზე“ (შატბერაშვილი გ., მკვდრის მზე, თბილისი, 1991).

ლიგიური გამოხატულებაა, მზის შემდეგი ფაზა, ანუ გაზაფხულის დღელამსწორობა, მკვედრის აღდგომის ტოლფასია. ამ რწმენას არც-  
თუ იშვიათად ვხვდებით რელიგიურ დოქტრინებში. ამიტომ „ლანისა“  
და „დონის“ გრაფიკული ტოლობის განხილვა მზის კოსმიური მოგ-  
ზაურობის ანბანური უსასრულობის მოდელია, სიცოცხლისა და  
სიკვდილის წრებრუნვის რელიგიური განსახიერებაა. ანალოგი-  
ურად, როცა „ლანი“ და „დონი“ დღისა თუ ზაფხულის კულმინაციის  
ხატებაა, ისინი სიცოცხლის მომცემი უწყვეტი ენერჯის წყაროა,  
ხოლო, როცა ლამისა თუ ზამთრის კულმინაციებს განასახიერებენ,  
მათში ქვესკნელის უფალი და მისი მარგანიზებული ძალა იგუ-  
ლისხმება.

„ლანისა“ და „დონის“, როგორც ღმერთის ხილული („დონი“) და  
უხილავი („ლანი“) ერთების ფონზე, ფინიკიური „'აინ“ ასო-ნიშნის  
გრაფიკული ვარიანტები (O, U) კოდის ფუნქციას იძენენ და სრუ-  
ლიად განსხვავებული, ასტრონომიული რაკურსით იკითხებიან.  
ასტრონომიულად, არქაული ფინიკიური „'აინ“ (O) ხილვადი მზის სა-  
ხეა, მაშინ, როდესაც კლასიკური „'აინ“ (U) „ლანის“ ორეული და მე-  
წყვილეა. მიუხედავად არქაული და კლასიკური პერიოდებისა, „თვა-  
ლის“ მნიშვნელობის გამო, „'აინ“ – ქართველური სამყაროს უხილავი  
ღმერთი „ლანი“ და ამ ღმერთის სემიტური ხილული სახეა; თავისი  
გრაფიკის გამო კი, „'აინ“ ჯერ „დონის“ ტოლია და მხოლოდ მოგვიან-  
ებით ღებულობს „ლანის“ მოხაზულობას.

წარმოდგენილი კვლევის ფონზე, ფინიკიური „'აინის“ გრაფიკუ-  
ლი განვითარების ორი ეტაპი კარგავს შემთხვევითობის ხასიათს და  
სრულიად განსხვავებულ ინფორმაციას გადმოსცემს. ეს ამბავი  
ღვთაებრივი ისტორიაა, როდესაც უხილავი და ერთადერთი ქართვე-  
ლური ღმერთი, ცივილიზაციის გარიჟრაჟზე, კაცობრიობის წინაშე  
თავისი ხილული ანბანური სახით, ფინიკიური „'აინით“ წარდგა; მოგ-  
ვიანებით, ანბანის განვითარების კლასიკურ ხანაში, როდესაც გა-  
ნათლების წინსვლის შეჩერება შეუძლებელი გახდა, სამყაროს კულ-  
ტურტრეგერი ღვთაება საკუთარი წიაღის ქვესკნელურ ხატში  
დაიმალა, რითაც გააფერმკრთალა არა მხოლოდ თავისი მზიური  
წარმომავლობა, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, მისი დასა-  
ბამი ქართველური ლანისა და დონის ერთობიდან, მზისა და მისი  
მოძრაობის ეკლიპტიკიდან.

პირვანდელი ხილული სახის, მზისა და ეკლიპტიკის წრიული  
ფორმის უკვდავსაყოფად, ფინიკიური „'აინის“ არქაულ ფორმას ზე-  
ვით თავი გაეხსნა (გაუხსნეს) – ცვლილება, რომელმაც სემიტური  
„'აინ“ ქართული ასომთავრული „ლანის“ ინვერსიულ, ანუ ქვეს-  
კნელურ ორეულად გადააქცია. ფაქტია, რომ სემიტური „'აინის“  
„შემთხვევითი“ გრაფიკა და გაუთვალისწინებელი ცვლილებები მისი

„ბიოგრაფიის“ უცნობ მონაკვეთებს გვაზიარებს, მაგრამ არ უნდა დაგვაფიქვდეს, რომ აღწერილი ინფორმაციის ამოკითხვა მხოლოდ ფინიკიური „აინის“ ქართულ ასომთავრულ „ლანსა“ და „დონთან“ დანყვილების შედეგად არის შესაძლებელი.<sup>37</sup>

ამრიგად, ფინიკიური „აინისა“ და ქართული „ლანის“ ლინგვო-კულტუროლოგიური და ეზოთერული კვლევის დასასრულს, ქართული ასომთავრული „ლანი“ იკვეთება მრავალსახოვან ანბანურ ერთეზად, რომლის დაფარული ასტრონომიული მნიშვნელობა ეკლიპტიკაა; მისი ანბანური გრაფიკა ნახევარელიფსია, გეომეტრიული მნიშვნელობა კი – მართკუთხა სამკუთხედის ჰიპოტენუზის კვადრადტი ( $5 \times 5 = 25$ ), რაც ადასტურებს პროფ. რ. პატარიძის დასკვნას „ლანის“ გეომეტრიული არსის შესახებ: „ლანის გეომეტრიული ნიშანია მართკუთხა სამკუთხედი“ (პატარიძე 1980:244).

მეტაფიზიკური ნუმეროლოგიის თვალსაზრისით, „ლანი“ არის ერთი (ქართული ჯგუფის პირველი ასო ანბანში), ოთხი (სამგზის მე-4 ადგილზე მყოფი) და შვიდი (სამყაროს შუაგულის ერთ-ერთი საშუალო პროპორციული). სხვაგვარად, უხილავი ღმერთის ერთ-ერთი სახე გახლავთ მათემატიკის, როგორც ტრადიციული მეცნიერებისა და რიცხვის ურთულესი, ანუ მეტაფიზიკური ერთება. ეს არის დასკვნა, რომელიც პითაგორული მეტაფიზიკური რიცხვის მოძღვრებას ეთანხმება. შეადარეთ: „Число есть душа и закон гармонии, ея тайна. Между всеми силами природы в их взаимодействии существуют числовые соотношения, на которых жидется подвижное равновесие вселенной (Трубецкой 1890:176-77). ამიტომ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართული ასომთავრული ანბანის უხილავი ღმერთი – „ლანი“ სამყაროს რიცხვის, ანუ მათემატიკური სიზუსტისა და ჰარმონიის მეშვეობით განაგებს.

არქიტექტურულად ქართული ასომთავრული „ლანი“ კარიბჭეა, კარია და გზა ღვთის სახლისკენ, ხოლო რელიგიურად – უხილავი შემოქმედი ღმერთი.

ქართველურ მრავალსაპექტურ ანბანურ ღვთაებას თავისი „უცხოელი“ ხატიც გააჩნია. ეს ფინიკიური „აინია“, რომლის რთული ბუნება ქართველური მასალის საშუალებით წარმოჩნდება და ამიტომ აბსოლუტურ ჰარმონიაშია მასთან. ფინიკიური „აინ“ ასომთავრულ „ლანთან“ მჭიდრო, მაგრამ დაფარული კავშირების მეშვეობით „ლანისა“ და „დონის“ ისედაც რთული და მრავალფუნქციური ხატის შემადგენელი ელემენტი ხდება.

ქართული „ლანისა“ და ფინიკიური „აინის“ ეგზოთერულად დაფიქსირებული გრაფიკული და ფონეტიკური მსგავსებანი გაცილებით

<sup>37</sup> 'აინის დეტალური გრაფიკული ანალიზი იხ. გვ. 290-294.

შორს მიდის. ეს გზა ფინიკიური „აინის“ ლეთაებრივი ბუნების აღმოჩენის გზაა, რადგანაც ლეთაება „აინ“ ქართული ასომთავრული „ლანისა“ და „დონის“ ყოვლისმზილველი თვალია, რომელსაც გასაოცარ პარმონიაში მოჰყავს მათი გარფიკული ფორმები (O - G, U - N).

ფინიკიური ანბანის შიგნით, „აინ“ თვით უხილავი შემოქმედი „ლანია“ და მზის კოსმიური გზის მეორე ნახევარი (N U). მათემატიკურად, „აინი“ 16, ანუ 4<sup>2</sup>, ანუ „ლანის“ დაფარული რიცხობრივი მნიშვნელობიდან, - 4-იდან წარმოებულ სიდიდე. გეომეტრიულ მნიშვნელობას სემიტური ასო კვლავ ქართული ასომთავრულიდან იღებს და „ლანის“ მსგავსად, საკუთარ გეომეტრიულ არსს მართკუთხა სამკუთხედს, კერძოდ, მის დიდ კათეტს უტოლებს. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ასტროლოგიურადაც, „აინ“ თავისი ქართველური ორეულის ტოლია, ვინაიდან მისი დაფარული რიცხვითი მნიშვნელობა (7) „ლანის“, როგორც სამყაროს ცენტრის, ერთ-ერთი საშუალო პროპორციულის (7) ტოლია (7=1+6).<sup>38</sup>

ხილულ (გრაფიკულ, ფონეტიკურ, აკროფონიულ, იდეოგრაფიულ და ლექსიკურ-ონომასტიკურ დონეებზე) და ეზოთერულ ანუ თვალთ უხილავ სიღრმისეულ შრეებზე განფენილი ქართულ-ფინიკიური ასო-ნიშნების ურთიერთკავშირი გაცილებით უფრო მდიდარია და რთული, ვიდრე ჩვეული, პალეოგრაფიის ფარგლებში გამოვლენილი ანბანური მსგავსებანი. როგორც გამოირკვა, ფინიკიური ასოს მრავალპლანიანი და ჩახლართული „კონტაქტების“ მქონე სახის აღმენებისთვის „დონის“ ორივე ტიპის (ეზოთერულისა და ეგზოთერულის) ინფორმაციის მოხმობაა საჭირო. აღწერილი ურთიერთობების ლინგვისტური მექანიზმი ფინიკიური და ქართველური კულტუროლოგიური ფენების (მათემატიკური, გეომეტრიული, არქიტექტურული, რელიგიური და ა. შ.) მრავალსაპექტურ მართვად „თანამშრომლობას“ უფრო ნააგავს, ვიდრე ჩვეული ანბანთშემოქმედების ამსახველ კავშირებს.

ლინგვისტური მექანიზმის მოძრაობაში მოყვანა ისტორიის გარდასულ სურათებს აცოცხლებს, დამწერლობის დაბადებისა და განვითარების დაფარულ ამბავს ჰყვება და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ღია ტექსტით გვამცნობს სამყაროს უხილავი შემოქმედის ვინაობას, გვანდობს მის დღევანდელ ადგილსამყოფელს და გადმოგვცემს ამბავს მის მშვენიერ ლეთაებრივ თვალთა შესახებ, რომლებითაც დიდი ღმერთი, დიდი მორიგე, მის მიერვე შექმნილი სამყაროს მოძრაობას ადევნებს თვალს.

მოყვანილი დასკვნები, რომლებიც მხოლოდ ფინიკიური „აინისა“ და ქართული „ლანის“, ე.ი. ასო-ნიშნათა ერთი ნყვილის ლინგვის-

<sup>38</sup> ნუმეროლოგიის მოშველიებით ხსნის ქართული ასომთავრულის შექმნის საიდუმლოებას თ. ჩხენკელიც (ჩხენკელი 1999:37).

ტურ, კულტუროლოგიურ და ეზოთერულ ანალიზს ეყრდნობა, ამ ორ ანბანს შორის არსებული გასაიდუმლოებული კავშირების დასადასტურებლად დამატებით მტკიცებას მოითხოვს, რისი მოპოვებაც ექსპერიმენტულად, ანუ ანალოგიური მასალის განმეორებითი ანალიზის შედეგად არის შესაძლებელი. ამის გამო, ქვემოთ გთავაზობთ ფინიკიური და ქართული ასომთავრული ანბანების მეორე წყვილის 'ალეფ-ანის ანალოგიურ კვლევას, რომლის მსვლელობა შებრუნებული სახით იქნება წარმოდგენილი, ე.ი. პირველად ჩატარებული იქნება მათემატიკური, გეომეტრიული, ასტრონომიული და ეზოთერული (გემატრია), ხოლო შემდეგ ლინგვისტური და სინთეზური ანალიზი.

### 13. ფინიკიური 'ალეფისა და ქართული ასომთავრული ანის ლინგვოკულტუროლოგიური და ეზოთერული ანალიზი

ფინიკიური 'ალეფ და ქართული ანი შესაბამისი ანბანების პირველ ასო-ნიშნებს წარმოადგენენ. ვინაიდან მათემატიკური სიზუსტის ხორცშესხმის ერთ-ერთი კონკრეტული სახე ასტრონომიული ცოდნაა, გთავაზობთ ამ ცოდნის ქართული და ფინიკიური ანბანების პირველ „ან“ და „ალეფ“ ასოებში გამოვლენილი გასაიდუმლოებული ფაქტების ანბანური კოდირების შედარებით ანალიზს.

ქართველურ-სემიტურ წყვილში პირველი, ქართული „ანი“, მთვარის ღმერთია, ხოლო მეორე, სემიტური „ალეფ“ კი – მთვარის ღმერთის შესანიერი საკრალური ცხოველი (ჯავახიშვილი 1949:262; პატარიძე 1980:90). ამიტომ, ორივე, ქართული „ანი“ და სემიტური „ალეფ“, ერთი და იმავე რელიგიური კონცეპტის (მთვარის ღმერთი) ორი განსხვავებული სახეა: ასტრალური და ზოომორფული. ესაა ფაქტი, რომელიც მათ აღნიშნული რელიგიური ცნების ურთიერთ-შემავსებელი ბუნების ელემენტებად გადააქცევს. მიუხედავად ამისა, წყვილში მთვარე-ხარი, მთვარე ასტრალური და მამასადამე, წამყვანი სახეა, ხარი კი – მიწიერი და ამიტომ, მეორეული.

მთვარე-ხარს შორის გამოვლენილ უტოლობას ნათელს პფენს შუმერული რელიგიური სისტემა, სადაც მთვარე ხარის მამაა და, შესაბამისად წამყვანი სახეა, ხარი კი მისი შვილი, ე.ი. მასზე დამოკიდებული. ამიტომ „ლან-‘აინ“ წყვილისა არ იყოს, „ან-‘ალეფის“ ანბანურ წყვილშიც ქართული ასომთავრული წამყვანი ნიშანია, ხოლო სემიტური კი, მასზე დამოკიდებული. სხვაგვარად, ქართულ-სემიტური „ან-‘ალეფი“ მშობლისა და შვილის ურთიერთობაში იმყოფება, რაც არაჩვეულებრივი სიზუსტით იმეორებს „ლან-‘აინის“ მთელისა და ნაწილის მოდელს:

ლანი = ლმერთი

ანი = მამა, მთვარის ლმერთი

'ანი = ღვთის თვალი

'ალეფ = ღვთის (მთვარის) შვილი

ქართული ასომთავრული „ანი“ მთვარის ზეციური ხატის არამართო ანბანური განხორციელებაა, არამედ მთვარის კალენდრის მეთაური ასოცა გახლავთ. იგი, თავის ვარიანტებთან ერთად – „ინ“, „ენ“ და „ონ“, 20 სხვა ასო-ნიშნის სახელდების შემადგენლობაში შედის. ესენია:

### ცხრილი 22

ქართული ასომთავრული ანბანის ანის 3 შვიდეული

	1 შვიდეული	2 შვიდეული	3 შვიდეული
1	ან	ს-ან	ვ-ინ
2	ბ-ან	ქ-ან	შ-ინ
3	გ-ან	ღ-ან	ჩ-ინ
4	თ-ან	ც-ან	ენ
5	კ-ან	ხ-ან	ზ-ენ
6	მ-ან	ჯ-ან	ონ
7	ყ-ან	ინ	დ-ონ

ქართული ასომთავრულის 21 ასო-ნიშანში ფიქსირებული მთვარის დასახელება საოცარი სიზუსტით შეესაბამება სემიტური დედა ანბანის 21 ასო-ნიშანს (ბოლო ასო თავ დასასრულის მაუნყებელია), რომელსაც მთვარის საკრალური ცხოველი „'ალეფ“ (ხარი) მეთაურობს. გამოდის, რომ პალეოგრაფიული თვისებების გარდა, ქართული ასომთავრული „ანი“ და ფინიკიური „'ალეფ“ მთელ რიგ სხვა თვისებებსაც იზიარებენ:

- იწყებენ ანბანს;
- აერთიანებენ ასო-ნიშნათა თანაბარ რაოდენობას;
- გააჩნიათ ღვთაებრივი სახე;
- ქმნიან ქართველურ-სემიტურ მამა-შვილის მოდელს.

ქართულ ასომთავრულსა და სემიტურ ანბანებში მთვარის კალენდარზე არაორაზროვნად მიმანიშნებელი მეთაური ასო-ნიშნების დასახელებები, ისევე როგორც მათ მიერ გაერთიანებულ ასოთა რაოდენობა (21), შემთხვევითობას ვერ მიეწერება. აქ ლინგვისტური, პალეოგრაფიული და კულტუროლოგიული (რელიგიური, მათემატიკური) კავშირები გაცილებით უფრო რთული და სიღრმისეულია. კერძოდ, ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ქართულის მსგავსად, სემიტური „'ალეფიც“ მთვარის კალენდარს განაგებს, ანუ, გრაფიკული მსგავსების გარდა, ორივე ანბანი მთვარის ღვთაების სამ შვიდეულს მბრძანებლობს. გასათვალისწინებელია, რომ ზოგიერთ მკვლევართა აზ-

რით (Gordon 1970:93-97; პატარიძე 1980), სემური ანბანის ასო-ნიშანთა დასახელებები და მათი რაოდენობა კალენდარული და ზოდიაქალური მნიშვნელობისაა. ანბანის წარმოშობის თეორიების მიმოხილვისას, პროფ. რ. პატარიძე ასკვნის: „დღეს სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში გაცილებით დიდი ყურადღებით სარგებლობს ანბანური დამწერლობის წარმოშობის ე.წ. კალენდარული თეორია. ამ თეორიით, ასო-ნიშნებს უძველეს სემურ ანბანურ მწკრივში მთვარის თვის კალენდარული დღეების მნიშვნელობა აქვთ“ (პატარიძე 1980:376).

ნათქვამიდან გამომდინარე, სრულიად ლოგიკური და მართებულია, თუ სემიტური ანბანის 21 ასოს ქართული ასომთავრული ანბანის მთვარის კალენდრის სამი კვირის შესაბამის ასო-ნიშანთა სამ შვიდეულს გავუტოლებთ:<sup>39</sup>

### ცხრილი 23

#### სემიტურ და ქართულ ანბანთა მთვარის კალენდრის სამი კვირის შემადგენელი შვიდეულები

	1		2		3	
	სემიტური	ქართული	სემიტური	ქართული	სემიტური	ქართული
1	'ალეფ	ან	ჰეთ	სან	სამექ	ვინ
2	ბეთ	ბან	ტეთ	ქან	'აინ	შინ
3	გიმელ	გან	იოდ	ლან	ფე	ჩინ
4	დალეთ	თან	ქაფ	ცან	სადე	ენ
5	ჰე	კან	ლამედ	ხან	კოფ	ზენ
6	ვაფ	მან	მემ	ჯან	რეშ	ონ
7	ზაინ	ჟან	ნუნ	ინ	შინ	დონ

აშკარაა, რომ ქართული და სემიტური ანბანები, გარდა ანბანთა გენეტიური ურთიერთობის დამადასტურებელი ტრადიციულად აღიარებული თვისებებისა (გრაფიკული და ფონეტიკური მსგავსება, ანბანთრიგი და ა.შ.), ერთმანეთს გაცილებით უფრო რთული და ღირებული სისტემური მახასიათებლებით უკავშირდებიან (მათემატიკურ-ასტრონომიული, რელიგიური და სხვა).

<sup>39</sup> პროფ. რ. პატარიძესაც მიაჩნია, რომ ფინიკიურ ანბანში განხორციელებულია მთვარის კალენდარული სისტემა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მეცნიერისთვის ამოსავალს წარმოადგენს თეორია უძველესი 27-ნიშნიანი სემურ-უგარიტული ანბანის არსებობის შესახებ, რომლისგანაც მოგვიანებით 22 და 30-ნიშნიანი ფინიკიური და უგარიტული ანბანები წარმოიშვა (პატარიძე 1980:312-17).



ასოთა რაოდენობისა და ასო-ნიშან „'ალეფის“ რელიგიური მნიშვნელობიდან გამომდინარე, უნდა ვალიაართ, რომ ნიშანთა რაოდენობა ანბანში საკმარისი არ არის ცაზე მთვარის სრული წრებრუნვის გადმოსაცემად. პლანეტის ერთი სრული ბრუნი შედგება 28 (სიდერული) ან 30 (სინოდური) დღისგან. ამიტომ ცაზე მთვარის მოძრაობის სრული სიდერული ციკლის გადმოსაცემად ორივე ანბანის „ანისა“ და „'ალეფის“ 3 შვიდეულს ერთი დამატებითი კვირა, ანუ მეოთხე დამამთავრებელი ფაზა აკლია. შესაბამისად, ორივე ანბანს ასო-ნიშანთა კიდევ ერთი შვიდეული ესაჭიროება, რათა აღნიშნული ასტრონომიული მოვლენა სრულად გადმოსცეს.

პროფ. რ. პატარიძემ, ქართული ასომთავრულის შიგნით, ეს ნაკლები მეოთხე შვიდეულიც აღმოაჩინა. ამ ჯგუფის ასო-ნიშნების სახელები „არ“ მარცვალზე ბოლოვდება და მეთაურ გრაფემად ანბანის 34-ე ასო „წარ“ უზის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქართულ ასომთავრულს მთვარის საკრალური ცხოველის აღმნიშვნელი საკუთარი (შდრ.: „თანს“) ასო-ნიშანი გააჩნია, რომელიც ფინიკიურისგან განსხვავებით, მთელ ანბანს კი არა, არამედ მის მხოლოდ ერთ მცირე ნაწილს, ერთ შვიდეულს ქმნის:

#### ცხრილი 24

მთვარის კალენდრის გამომსახველი ქართული ასომთავრულის ოთხი შვიდეული

	1 შვიდეული	2 შვიდეული	3 შვიდეული	4 შვიდეული
1	ან	სან	ვინ	წარ
2	ბან	ქან	შინ	ჭარ
3	გან	ღან	ჩინ	ყარ
4	თან	ცან	ენ	ფარ
5	კან	ხან	ზენ	ტარ
6	მან	ჯან	ონ	პარ
7	ყან	ინ	ღონ	ნარ

ცხადია, რომ ქართულ ასომთავრულ ანბანს უნარი შესწევს, დამოუკიდებლად დაასრულოს მთვარის მოძრაობის ასტრონომიული ციკლი, ფინიკიური ანბანი კი ამ თვალსაზრისით ნაკლებია და ამ „ხარვეზის“ აღმოფხვრის არანაირი საშუალება არ გააჩნია. ხატოვანი გამოთქმა რომ მოვიშველიოთ, დედა-სემიტურ ანბანს არ ძალუძს „დანყებული საქმის დამთავრება“ (მთვარის კალენდარული ციკლის სრული გადმოცემა). იგი ამას მხოლოდ მაშინ ახერხებს, როდესაც

ქართული „ჭარის“ შვიდეულს დაიმატებს და მისი მეოხებით ნაკლულ ფაზას აღიდგენს.

აღნიშნული მიზეზების გამო, შემოთავაზებული ანბანური შეც-  
ლება უბრალო და მარტივი პროცედურა არ გახლავთ. დასამატებელი  
ასომთავრულის მეოხზე შვიდეული „ჭარის“ შვიდეულია, რომლის  
მეშვეობით ფინიკიური ანბანი იცვებს არა თუ მთვარის კალენდრის  
სრულ ციკლს, არამედ იყალიბებს ერთი და იმავე „ჭარის“ დასახე-  
ლების მქონე ასო-ნიშნით წინამძღოლ 28 ასო-ნიშნიან ჰარმონი-  
ულ სისტემას, რომელსაც მთვარის სრულყოფილი სიდერული  
თვის გადმოცემა ძალუძს.

ქართველურისა და სემიტურის ტრადიციული ქრონოლოგიური  
და გენეტიური ურთიერთმიმართებების ფონზე შემოთავაზებული შერ-  
წყმა მიუღებელია.<sup>40</sup> მიუხედავად ამისა, თუ აღნიშნულ პროცედურას  
ქართული ასომთავრული ანბანის პრიზმაში განვიხილავთ, აღმოჩნდე-  
ბა, რომ ჩვენი ანბანის 5-შვიდეულიანი წყობა თავის თავში მალავს არა  
მხოლოდ ცაზე მთვარის გადაადგილების თვიურ ციკლს, არამედ ორ-  
განულად იერთებს სემიტური ანბანის მთლიან სისტემას და თანაც  
ისე, რომ იმავე ასტრონომიული მოვლენის გამოსახატავად ეს უკანას-  
კენლი თავის ანბანურ სტრუქტურას ჰარმონიულად სრულყოფს,  
ზრდის ასო-ნიშნითა რაოდენობას 28-მდე და ძალუძს გადმოსცეს, გა-  
მოხატოს და იანგარიშოს მთვარის კალენდრის სიდერული თვე. მე-  
ტიც, „ლან-‘აინისა“ და „ან-‘ალეფ“ წყვილების ანალიზის შედეგად იკ-  
ვეთება მათი აგების ძირითადი პრინციპი – მთელისა და ნაწილის ურ-  
თიერთმიმართება, სადაც მთელი, იმავდროულად ნამყვანი, ქართუ-  
ლი მასალით არის წარმოდგენილი, ხოლო ნაწილი და დამოკიდებული  
კი – ფინიკიური წევრით. ქართული და სემიტური ანბანთაგების გა-  
მოვლენილი პრინციპი მათ შორის ისეთ ურთიერთობებს უზრუნ-  
ველყოფს, რომელთა საფუძველზე, ისინი კი არ ეწინააღმდეგებიან  
ერთმანეთს, არამედ პირიქით, ავსებენ და ამთლიანებენ ერთურთს.  
ურთიერთობათა ჩამოყალიბებული სისტემის მიხედვით, ქართველუ-  
რი და ფინიკიური „ანი“ და „‘ალეფი“ წარმოდგება მთვარის ღმერთისა  
და მისი თერეომორფული სახის ერთობად, მაშინ, როდესაც ნათესაურ  
ურთიერთობათა დონეზე ისინი მამა-შვილის მოდელს აყალიბებენ და  
ამით ეხმიანებიან შუმერული თეოლოგიის/რელიგიის პრინციპებს.

ქართველური „ანის“ მრავალმხრივ დომინანტურ სტატუსს, ფი-  
ნიკიურ „‘ალეფთან“ შედარებით, აძლიერებს აღნიშნულ სახელთა  
შედარებითი ლინგვისტური ანალიზიც, რომელსაც შემდეგ თავში  
შემოგთავაზებთ.

<sup>40</sup> ამასთან მიმართებაში საინტერესოა ნ. მარის შეხედულება, რომლის მიხედვით,  
ქართველური და სემიტური ენები შორეულად იყვნენ დაკავშირებულნი (Mapp 1908).

#### 14. ფინიკიური 'ალეფ და ქართული ყალიბი

ფინიკიური *ʾĀleph* და ქართული „ანის“ წარმოდგენილ მათემატიკურ და ასტრონომიულ ანალიზს მხარს უმაგრებს ფინიკიური ასონიშნის დასახელების – „'ალეფის“ ქართველურ ენობრივ ჭრილში განხილვა. სემიტური სახელის ამგვარ კვლევას ორგვარი დატვირთვა აქვს:

- ქართულ და ფინიკიურ ანბანებს შორის აღმოჩენილი უპრეცედენტო კავშირების შემთხვევითობა-რეგულარობის გადამოწმება;
- კომპლექსური ლინგვოკულტუროლოგიური და ეზოთერული მეთოდების გამოყენების ეფექტურობის გადამოწმება, მომავალ კვლევებში მათი გამოყენების მიზნით.

დავინწყოთ იმით, რომ ჩრდილო-სემიტური ანბანის პირველი ასო, რომლისგანაც წარმოსდგება დღევანდელი დასავლეთის ანბანების პირველი ხმოვანი ასო-ნიშანი, არის გლოტალური მსკდომი (ხშული) თანხმოვანი. ქართველურში მისი უახლოესი შესაბამისი არის თანხმოვანი ყ – პოსტ-ველარული, გლოტალიზებული, ხშული. თუ სემიტურ ბგერას ქართველური შესატყვისით შევცვლით, მივიღებთ ფორმას ყალეფ, რომელიც საოცრად ჰგავს ქართველურ სიტყვას ყალიბი. ყალიბი არაბული წარმოშობის ლექსემად მიაჩნიათ. მაგრამ აღნიშნულ შეხედულებას ისტორიული და ლინგვისტური ფაქტები აქარწყლებენ.

არაბული *kalabu*<sup>41</sup> ნიშნავს „форма для отлива, для теста и т. п. модель; пол. матрица“ (Баранов 1985: 654). ძირია *kalab*, -un (თენვინი) – განუსაზღვრელობის მაჩვენებელი სუფიქსია. ლექსემის ზმნური ფორმაა *kalaba*, რომელიც „გარდაქმნას, გადაქცევას, ...“ ნიშნავს.

ქართველურში არაბულ ნასესხობად მიჩნეული ყალიბი ქართულსა და სვანურშია დაფიქსირებული:

[ყალიბი ნ. დარიჯაგი, კალაპოტი] (საბა 1993:262).

დარიჯაგი (საბა 1991:199).

კალაპოტი (იქვე, 348).

ყალიბი- სვანურში სამი ფონეტიკური ვარიანტიცაა წარმოდგენილი:

„ყალიბ იგივეა, რაც კალიზ (თოფურია, ქალდანი 2000:803).

კალიზ ყალიბ ზს., ლნტ., კალიბ ლშხ. – ყალიბი, მსგავსი, ნაირი, გვარი“ (იქვე, 343).

დავაჯგუფოთ მიღებული მასალა:

<sup>41</sup> თურქული *kalip* არაბულ ნასესხობად ითვლება.

## ცხრილი 25

### ქართველური ყალიბის შედარებითი ცხრილი

	ფინიკიური	არაბული	ქართველური
1.	'Āleph	ḵālab-un kalaba	ყალიბ-ი (ქართ.)
2.			ყალიბ (ზს., ლნტ.)
3.			კალიზ (ზს., ლნტ.)
4.			კალიბ (ლმხ.)

რაოდენობრივი და თვისებრივი, ანუ ფონეტიკური ვარიანტების მიხედვით, ქართველურ „ყალიბს“ ცხრილში დომინანტური პოზიცია უკავია, რადგანაც ფინიკიურსა და არაბულში ერთი სანწყისი თანხმოვანი (' , ḵ) ფიგურირებს, ქართველურში კი ორი (ყ/კ). რაც შეეხება ფინიკიურ ძირისეულ ph-ს (ფ), მას არაბული და ქართული ზ შეესაბამება. გასაანალიზებელი ლექსემების პირველი ძირისეული ხმოვანი ā ფონემითაა წარმოდგენილი, ქართველური – ორით: ა და აჰ, ხოლო ფინიკიურ e-სა და არაბულ a-ს ქართული ი შეესატყვისება:

## ცხრილი 26

### ფინიკიური, არაბული და ქართული ყალიბის ფონეტიკური განსხვავების ცხრილი

თანხმოვნები:	ფინ.	არაბ.	ქართ.
	'	ḵ	ყ/კ
	ph	b	ბ
ხმოვნები:	ფინ.	არაბ.	ქართ.
	ā	ā	ა/აჰ
	e	a	ი

მიღებულ ბგერათმიმართებებზე დაყრდობით, უპირველეს ყოვლისა, „ყალიბის“ არაბულიდან ქართულში ნასესხობის ფაქტი გადავამოწმოთ. დავინყოთ თანხმოვნებით, კერძოდ, ḵ-ყ/კ მოდელის ანალიზით, რომელიც მკვლევრის წინაშე მთელ რიგ შეკითხვებს სვამს. ასე მაგალითად, რამ განაპირობა ერთი და იმავე არქეტიპული (ḵ) თანხმოვნის ორი განსხვავებული ფონემით (ყ/კ) სესხება ქართველურში? როგორ მოხდა, რომ ქართულმა არაბული ḵ გააფორმა ყ ფონემით (ყალიბი), ხოლო სვანურმა ძირითადად კ-თი გადმოიღო

(კალიბ, კალიბ)?<sup>42</sup> კიდევ უფრო საეჭვოს ხდის „ყალიბის“ არაბულიდან სესხებას სვანურის ერთი დიალექტის ფარგლებში არსებული ფორმების (ყალიბ, კალიბ) გათვალისწინება.

გამოვლენილი ბგერათმომართებების ახსნას არაბული ჭ-ს ფონეტიკური ღირებულება კიდევ უფრო ართულებს, ვინაიდან იგი (k) ქართული ყ-სა და კ-ს თვისებების ერთგვარი შუალედური ბგერაა. იკვეთება სურათი, რომლის მიხედვით, არაბული ḳālib-ის სესხებისას ქართველურმა ენებმა გახლიჩეს არაბული ბგერის (ḳ) ფონეტიკური ღირებულება არა მხოლოდ ენათა დონეზე (ქართული ყ, სვანური კ), არამედ, რაც უფრო მოულოდნელი და არაბუნებრივია, ერთ-ერთი ქართველური ენის (სვანური) დიალექტის (ლენტეხური: ყ-კ) დონეზეც.

ნათელია, რომ ტრადიციული შეხედულება ყალიბის არაბულიდან ქართველურში სესხების შესახებ კი არ ხსნის, არამედ სრულიად გაუგებარს ხდის ქართველურ ენობრივ მონაცემებში განსხვავებული თანხმოვნების (ყ/კ) თანაარსებობას.

არაბული და ქართველური ხმოვნების (ā-ა/ჲ, a-ი) ურთიერთმიმართების განხილვა მსგავს ალოგიკურ სურათს გვთავაზობს. „ყალიბის“ არაბულიდან სესხების შემთხვევაში აუხსნელი რჩება ის მიზეზი/ები, რის გამოც, იდენტურ ლინგვისტურ გარემოში, ქართველურმა არქეტიპული ხმოვანი (ā) ორი განსხვავებული ვარიანტით (ა/ჲ) გადმოიტანა (ყალიბი-ყალიბ, კალიბ-კალიბ). საინტერესოა ისიც, რომ, თანხმოვნების მსგავსად (ყ/კ), ორივე ა/ჲ ხმოვანი ფიქსირდება როგორც ორ ქართველურ ენაში (ქართ. ყალიბი-სვან. ყალიბ), ისე სვანურის შიგნით (კალიბ-კალიბ). განხილული ბგერათშესაბამისობების ფონზე, ā-ა/ჲ მოდელი შემთხვევითობას ვერ მიეწერება, რადგანაც „ყალიბის“ ფონეტიკური ვარიანტები ქართველური ენებისთვის დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესებით იხსნება. მხედველობაში გვაქვს უკანა მიმართულების უმლაუტი, რომელიც გასაანალიზებელი ლექსემის (ყალიბი) ვარიანტებს ორ ნყვილად აჯგუფებს:

I	II
ქართ. – ყალიბი	ზს., ლნტ. – ყალიბ
სვან. (ლმხ.) – კალიბ	ზს., ლნტ. – კალიბ

მარჯვენა სვეტში მოთავსებულ ფორმებში ძირისეული ა უმლაუტირებულია (ჲ) მომდევნო წინა რიგის ხმოვნის (ი) გავლენით. აღნიშნული ცვლილება (ა-ჲ) უმლაუტირების პირველი საფეხურია. მეორე და ბოლო ეტაპი, რომელიც ა ხმოვნის სრული დამსგავსებით უნდა დამთავრდეს (ი/ე ← ა ← ი), ქართველურში არ ფიქსირდება. ნარმოდგე-

<sup>42</sup> უნდა აღინიშნოს, რომ „ყალიბი“ ერთეული შემთხვევა არ არის (შდრ.: არაბ. „კალამ“, ქართ. „კალამი“, „ყალამი“), რაც აღნიშნული ბგერათმომართებების გადასინჯვის აუცილებლობაზე მიუთითებს.

წილი ქართველური მასალა საშუალებას გვაძლევს, მიახლოებით მაინც განვსაზღვროთ, დროის მონაკვეთი, რომელიც უმლაუტირების პირველ საფეხურს დასჭირდა. აღნიშნული ფონეტიკური პროცესის დაწყება მესამე ათასწლეულის დამლევს, ანუ სვანურის საერთო ქართველურიდან გამოყოფის დროს უნდა ვივარაუდოთ. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ „ყალიბში“ მიმდინარე უკანა მიმართულების უმლაუტის პირველი ეტაპის ხანგრძლივობა დაახლოებით 4200-4100 წელს შეადგენს და ცვლილება დღემდე გრძელდება. ამგვარი ხანგრძლივი პერიოდის ობიექტურობაზე მიუთითებს სხვა ლექსიკური ერთეულების ლინგვისტური ანალიზის შედეგად მიღებული მონაცემებიც (მდრ.: ნება > ნაბ).

ანალიზიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მესამე ათასწლეულის ბოლოს (ძვ. წ. 2200-2100 წ.) ლექსემა „ყალიბი“ არათუ არსებობდა ქართველურ ენებში, არამედ ფონეტიკურ ცვლილებებსაც კი განიცდიდა. შესაბამისად, არაბების ისტორიულ სარბიელზე გამოსვლამდე (არაბთა სახალიფო, ახ. წ. მე-7 ს.) დიდი ხნით ადრე, ქართველურ ენებში უკვე თანაარსებობდა „ყალიბის“ უმლაუტიანი (ყალიბ, კალიბ) და უუმლაუტო („ყალიბი“, „კალიბ“) ვარიანტები.

კვლევის შედეგებს აძლიერებს სესხების პრინციპების გათვალისწინებაც. გავიხსენოთ, რომ ენობრივი სესხება ორ შემთხვევაში ხდება: ენა სესხულობს მის სისტემაში არარსებულ ცნებას ან მის კულტურაში არარსებულ საგანსა და დასახელებას. ამის ფონზე, ფრიად სერიოზულ ეჭვებს ბადებს ქართველური და არაბი ტომების მეტალურგიულ კულტურასთან დაკავშირებული ისტორიული ფაქტები. ცნობილია, რომ უძველეს ხელნაწერებში, როგორცაა ბიბლია (დაბ. 4:22) და ბერძენი მწერლების (იხ. ქვემოთ) შრომებში, ხშირად ვხვდებით მითითებას ქართველური ტომების მალალ მეტალურგიულ განსწავლულობაზე. მეტიც, ისინი ამ დარგის პიონერებად გვევლინებიან; მაშინ, როდესაც მეტალურგიის ათვისების დარგში არაბების წარმატებები არსად არ ფიგურირებს. არაბებმა სახელმწიფოებრივი გაერთიანება ისლამის შემოღებასთან ერთად შეძლეს (VII ს.), როდესაც ლითონის დნობასა და მჭედლობას უკვე განვითარების ხანგრძლივი ეტაპი ჰქონდა განვლილი. უფრო მეტიც, იმავე VII-VIII საუკუნეებში არაბი ტომების უმრავლესობა ჯერ კიდევ მომთაბარე ცხოვრობას ეწეოდა და საქონლისთვის ნოყიერი საძოვრების ძიებაში ადგილიდან ადგილზე გადადიოდა. ამიტომ, ქართველთა განვითარებული მეტალურგიული კულტურა, რომელიც მოსეს მიერ პირველი 5 წიგნის დაწერისას (ძვ. წ. 1513-1473 წწ., 105:597) უკვე ცნობილი იყო, სულ ცოტა 2200 წლით უსწრებს ხალიფატის შექმნას, ანუ პერიოდს, როდესაც ქართველთა მიერ „ყალიბის“ სესხება შეიძლება ვივარაუდოთ. აქვე დავძენთ, რომ ქართველებს „ყალიბის“ აღმნიშვნელი კიდევ ორი სიტყვა („დარიჯაგი, კალაპოტი“) ჰქონდათ

და სესხების პრინციპებიდან გამომდინარე, არაბული შესატყვისობის აღების არც ენობრივი და არც ტექნიკური აუცილებლობა არ არსებობდა. დავუმატებთ იმასაც, რომ ვინც ქმნის, სახელსაც ის არ ქმევს. შეუძლებელია, ერთი ერის წიაღში განვითარდეს კულტურის, მრეწველობის ან მეცნიერების რომელიმე დარგი და სხვა ერმა ამ წინსვლის სახელდება მოახდინოს, თანაც 2200 წლის შემდეგ.

ამიტომ, ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ მელითონეობაში განსწავლულ ქართველურ ტომებს შესაბამისი მეტალურგიული ტერმინოლოგიაც ჰქონდათ, რაც სხვა ენებისთვის ფართო დიაპაზონს ქმნიდა, როგორც თვით ამ დარგის, ისე მისი ტერმინების სესხებისთვის. ჩანს, არაბებმა ეს გამოიყენეს კიდევ! მეტის თქმაც შეიძლება: არაბულმა, ანუ მსესხებელმა ენამ, რომელიც ნასესხები სიტყვის ზუსტ ბგერით „იმიტაციას“ ესწრაფვის, ეტყობა, ერთი და იმავე ლექსემის ფონეტიკურ ვარიანტებში დაფიქსირებული ორი თანხმოვნი (ყ, კ) „გააერთიანა“ და ერთ ბგერად ჩამოაყალიბა.

ლინგვისტური ანალიზის შემდეგი მნიშვნელოვანი ეტაპი ქართველურ და არაბულ ლექსემებს შორის არსებული სემანტიკური კავშირების გამოძიებაა. არაბული არსებითი სახელის (kālābun) მნიშვნელობაა „სადნობი, საცხობი ფორმა“ და „მოდელი“ (Баранов 1997:654), ანუ ქართველური „ყალიბი“, ხოლო იმავე ძირიდან ნაწარმოები პოლისემანტიკური ზმნის (kālaba) მნიშვნელობებს შორის მხოლოდ ერთი, ლექსიკო-სემანტიკური ვარიანტი („შეცვლა, გარდაქმნა“, ზმნის მე-5 თემა)<sup>43</sup> უახლოვდება ყალიბის დანიშნულებას – „უფორმო მატერიიდან თავისი მსგავსი საგანი წარმოქმნას“. სხვაგვარად, დერივაციული ლექსემებისთვის დამახასიათებელი მჭიდრო კავშირი ყალიბის არაბულ სახელსა (kālābun) და ზმნას (kālaba) შორის სუსტია.

განსხვავებული მდგომარეობაა ქართველურ მასალაში, სადაც სახელის – ყალიბი უშუალო სემანტიკურ დერივატს ზმნა ყალიბება წარმოადგენს:


- ყალიბდება 1. ყალიბის ფორმას იღებს, ყალიბით ისხმება, ყალიბში გამოდის;  
 2. (ჩამოყალიბდა, ჩამოყალიბებულა) გადატ. გამოგამოკვეთილი, საბოლოო სახე ეძლევა, – ფორმდება; არსდება (ქეგლ 1962:503-504).

<sup>43</sup> kālaba-ს მნიშვნელობები: I 1) вращать; 2) переворачивать, опрокидывать; 3) выворачивать; 4) перелицовывать; 5) изменять; превращать; 6) свергать (правительство, власть); II 1) вертеть (рассматривая); 2) перелистывать; 3) ворочать, ворошить; V 1) ворочаться, переворачиваться (на постели); быть перевёрнутым; 2) изменяться, колебаться (о ценах); 3) быть изменчивым, неустойчивым, VII 1) быть перевёрнутым; перевёртываться, опрокидываться (напр. о лодже); 2) быть вывернутым; 3) превращаться; 4) выступать (против кого); 5) возвращаться (Баранов 1976:653-54).

„ყალიბის“ სვანური მნიშვნელობები – „მსგავსი, ნაირი, გვარი“ – კიდევ უფრო აძლიერებენ საანალიზო ლექსემის ქართველური ენობრივი სივრცისადმი კუთვნილებას, რადგან, ისინიც, ზმნის გარდა, ზუსტად ასახავენ ამ ხელსაწყოს ძირითად დანიშნულებას – შექმნას თავისი მსგავსი. თუ ქართველური ლექსემების (არსებითი სახელის, ზმნის) ძირითად მნიშვნელობებს „სინტაქსურ“ წყობაზე დავალაგებთ, მივიღებთ ლოგიკური მიზეზ-შედეგობრივი კავშირებით შეკრულ მიკროსისტემას, რომლის ლერძი ერთი სემით – ფორმა – არის წარმოდგენილი:

### ცხრილი 27


#### ქართველური ყალიბის დერივაციული ხაზი



თუ ანალოგიური პრინციპებით მივუდგებით არაბულ მასალას, მივიღებთ შემდეგ ცხრილს:

### ცხრილი 28

#### არაბული ყალიბის დერივაციული ხაზი




არაბული მასალა ნათლად უჩვენებს მოყვანილ ლექსემებს შორის სემანტიკური კავშირის ალოგიკურობას; სამი წევრიდან დერივაციული ხაზი ნათლად გამოიყოფა მეორე და მესამე კომპონენტებს შორის, მაშინ, როდესაც პირველი წევრი, ფაქტობრივად, მათგან იზოლირებულად დგას; იგი ქართველური მსკრივის ბუნებრივი წევრი უფროა, ვიდრე მშობლიური ენობრივი სისტემის ერთეულებისგან შემდგარი მსკრივისა:



ცხრილი 29


ქართველური და არაბული ყალიბი—*kālabun*-ის  
გაერთიანებული სქემა



აღწერილ ენობრივ მიმართებებზე დაყრდნობით, პირველი (ქართველური), ერთი და იმავე ენის სისტემაში მიმდინარე პროცესების ლოგიკური შედეგია, მეორე კი განსხვავებული სემანტიკური პროცესების ჩარევაზე მიუთითებს. მეტიც, თუ შევეცდებით არაბული ლექსემის მთლიანი დერივაციული სისტემის ზემოთ წარმოდგენილ ცხრილში ჩართვას, მივიღებთ არაბული *kālabun*, *kalaba*-ს ზმნური, ზედსართავული და არსებითი სახელების ლექსიკური მნიშვნელობების პასუხს „გატეხილ“ სემანტიკურ დერივაციაზე:

ცხრილი 30

ქართველური და არაბული ყალიბი—*kālabun*-ის  
გაერთიანებული სქემა



კვლევა აჩვენებს, რომ არაბული სიტყვა (*kālabun*) ქართველური სისტემიდან მომდინარეობს და არა პირიქით, როგორც ეს თანამედროვე ენათმეცნიერებაშია მიჩნეული. მისი (არაბული *kālabun*—*kālaba*) წყარო ქართველური „ყალიბის“ დერივაციული ბუდეა, საიდანაც არაბულმა ცალ-ცალკე ისესხა ერთი და იმავე პროცესის განსხვავებული კომპონენტების დასახელებები და განსხვავებულად „მოექცა“ მათ:

საგანი ყალიბი პირდაპირი მნიშვნელობით გადმოიღო, ვინაიდან არც მეტალურგიის ცოდნა გააჩნდა და არც მისთვის საჭირო ინსტრუმენტებისა; ზმნა ყალიბება, ზოგადად, ცვლის პროცესად გადაიაზრა, რითიც *kālabun* და *kālabā* სემანტიკურად ერთმანეთს დააშორა, ხოლო ზედსართავი *kullab* უკვე ნასესხები ზმნის სემანტიკიდან ანარმოა, რითიც საკუთარ დერივაციულ ჯაჭვს ლოგიკა დაუბრუნა, მაგრამ მის ქართველურ მენყვილეს ძლიერ დააშორა.

„შიშვლდება“ რთული ქართველურ-არაბული ლინგვისტური ურთიერთობები, რომლებში გარკვევაც მხოლოდ ნერილობით ნყარობებში დაფიქსირებული მასალის საფუძველზე შეუძლებელია. ენათვითონ ინახავს საკუთარი განვითარების ამსახველ ფაქტებს. ისინი ხშირად უფრო სარწმუნოა, ვიდრე ხელშესახები დოკუმენტები. ქართველური ლექსემების ფონეტიკურ-სემანტიკური მთლიანობა ერთი და იმავე ენის სისტემაში მიმდინარე სახელდების (სიტყვის დაბადება) ლოგიკური შედეგია, მეორე კი, არაბულისა განსხვავებული სემანტიკური პროცესების ჩარევაზე მიუთითებს. შესაბამისად, ყალიბის ლინგვისტური და კულტუროლოგიური ანალიზი აბათილებს მისი არაბულიდან ქართველურში სესხების გავრცელებულ შეხედულებას და არქექიპის კურსორს ქართველურისკენ აბრუნებს.

მიღებულ დასკვნას ადასტურებს სემიტური, კერძოდ, არაბული *kāna* („ჭედავდა“) და *kāyn*-ის („მჭედელი“; ძირი *kyu*) ქართველური ენებიდან სესხებაც. „Однако, это заимствование в семитических языках из яфетических, повидимому более позднее и может восходить не к глаголу, а к имени, в частности к этническому названию “ковача предметов из железа”, словом арабский глагол может быть деноминативным, как это обычно и толкуется (Март 1911:141). კაინი, როგორც ეს გარკვეული აქვს თ. მიქელაძეს, ჭანების ეთნიკური დასახელების ადრეული ფორმაა და უდრის ხალიბ//ხალდი//კაინ//ჭანს (მიქელაძე 1974:134). შესაბამისად, თუ „ჭედვა“ და მასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია იაფეტიურიდან (ქართველურიდან) არის არაბულში ნასესხები, მაშინ გაუგებარია, რატომ უნდა ესესხათ ყალიბის აღმნიშვნელი სიტყვა ქართველებს არაბებისგან. უფრო ლოგიკურია სესხების სანინალმდეგო მიმართულება, რაც ზევით მოყვანილი ლინგვისტური და კულტუროლოგიური ანალიზითაც დადასტურდა.

წარმოდგენილი კვლევა, მიღებული ლინგვისტური და ქრონოლოგიური დასკვნები და ისტორიული ფაქტები არა თუ უარყოფენ შეხედულებას „ყალიბის“ არაბული ნასესხობის შესახებ, არამედ აბათილებენ მის არაბულ ეტიმოლოგიას. ირკვევა, რომ „ყალიბი“ ქართველური ლექსიკის საკუთრებაა, რომელიც არაბებმა ქართველებისგან ისესხეს, თანაც ისე, რომ ზუსტი ბგერითი შესატყვისობის ძიებაში, ქართველურ ფონეტიკურ ვარიანტებში (ყალიბი, კალიბ) დაფიქსირე-

ბული ორივე თანხმოვანი (ველარული გლოტალიზებული კ და პოსტ-ველარული ხშული ყ) ერთ შუალედურ ბგერად (k) გააერთიანეს.

ქართველური და არაბული ყალიბი-*kālabun*-ის ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზის შემდეგ დავუბრუნდეთ ფინიკიურ 'Āleph-ს, რომელიც ქართველურ ყალიბთან უფრო გამჭვირვალე სურათს ქმნის და, რომელთანაც, მისი ფონეტიკური იდენტურობის გამოვლენა არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს. ამ წყვილში, ერთი მხრივ, დაფიქსირებულია ph (ფ)-ბ თანხმოვანთშესაბამისობა, რომელთა ურთიერთგადასვლა ენათა განვითარების მანძილზე ფრიად გავრცელებული მოვლენაა და, მეორე მხრივ, - ე-ი მოდელი, რომელიც, თავისი სიხშირისა და გავრცელების არეალის მიხედვით, მხედველობაში მისაღები არ არის. რაც შეეხება ქართველური „ყალიბის“ ბოლო ი-ს, თავისი აფიქსალური ბუნების გამო (სახელობითი ბრუნვის ნიშანი), იგი იოლად შორდება სიტყვის ფუძეს; ეს ის მიზეზია, რის გამოც, სესხების პროცესში, უკანასკნელი ხმოვანი აუცილებელ კომპონენტად არ იქნა აღქმული და ამოვარდა; ამას დიდად შეუწყობდა ხელს წრფელობითი ბრუნვის უსუფიქსო ფორმა. აქედან გამომდინარე, ფინიკიური 'Āleph-ის ქართველური წარმომავლობა შემდეგნაირად წარმოდგება:

ყ	ა	ლ	ი	ბ	ი
↓	↓	↓	↓	↓	
'	Ā	l	e	ph	

მიუხედავად იმისა, რომ ქართველური „ყალიბის“, ფინიკიური 'Āleph-ისა თუ არაბული *kālabun*-ის ლინგვისტურმა და კულტუროლოგიურმა კვლევამ ქართველური ფორმების არქეტიპული სტატუსი დაადასტურა, ტრადიციული ისტორიული ენათმეცნიერებისთვის ეს მაინც არ კმარა; განსხვავებული ენების სიტყვები იმ შემთხვევაში ითვლება მონათესავე ან იდენტურ ერთეულებად, თუ დასტურდება მათი როგორც ფონეტიკური, ისე სემანტიკური ასპექტების მსგავსება-კავშირი. თუ ქართველური ყალიბისა და არაბული *kālabun*-ის შემთხვევაში სემანტიკური კავშირები შენარჩუნებულია, ფინიკიური და ქართული 'ალეფ-ყალიბის წყვილში ამგვარი კავშირები არ გვაქვს. „ალეფ“ აღნიშნავს „ხარს“, ხოლო ქართული „ყალიბი“ მეტალურგიული ინსტრუმენტია და ამიტომ, მიღებული თვალსაზრისით გასაანალიზებელი ფინიკიურ-ქართველური წყვილი ურთიერთ-დაკავშირებულ ელემენტებად ვერ ჩაითვლება.

მიუხედავად ამისა, გვაქვს გარემოება, რომლის უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება. ეს გახლავთ წინამდებარე კვლევა, რომლის მიხედვითაც, სემიტური და ქართველური ასო-ნიშნების დასახელებათა და საძიებელ სიტყვათა სინტაგმატური ურთიერთგანლაგებისას წარმოიქმნება ისეთი რთული ზეინფორმაციული სემიტურ-

ქართველური ჯგუფები (შდრ.: „ლანი+‘ანი“ = ლეთაებრივი თვალი), რომელთა გაერთიანებული სემანტიკა გათვლილია არა ჩვეულებრივ ლექსიკო-სემანტიკურ კავშირებზე, რასაც ისტორიული ენათმეცნიერება შეისწავლის, არამედ კოდირებულ ცოდნაზე და ისტორიულად დაფიქსირებულ სინამდვილეზე. ამ რაკურსით, სემიტური და ქართველური ნყვილის განსხვავებული მნიშვნელობები „‘ალეფ“ და „ყალიბი“ („ჭარი+დარიჯაგი“) წარმოქმნიან ერთგვარად ბუნდოვან მნიშვნელობას; თუმცა, თუ იმავე ნყვილს ანბანის განვითარების კუთხით შევხედავთ, სემიტურ-ქართველური ფრაზის მნიშვნელობა არც თუ ისე ბუნდოვნად მოგვეჩვენება. ფრაზაში ჩამალული მნიშვნელობა გაცილებით უფრო მაღალი რანგის ინფორმაციაზე გაანგარიშებული, ვიდრე ჩვეულებრივი სინტაგმის სემანტიკა. კერძოდ, იგი დამწერლობის განვითარების ჩვენეულ ცოდნას ეხმიანება, ვინაიდან ჩრდილო-სემიტურმა ანბანმა „მშობლობა გაუნია“ თითქმის ყველა თანამედროვე ანბანს, რის გამოც სიტყვათშეთანხმება 'ალეფ-ყალიბი მიუთითებს იმ ფუნქციაზე, რომელიც ჭარით, ანუ ჭარის ყალიბით დაწყებულ ჩრდილო-სემიტურ ანბანს კაცობრიობის ანბანური ცივილიზაციის შექმნაში დაეკისრა.

სემიტური ანბანისთვის ქართველური „ყალიბით“ მინიჭებული ისტორიული დანიშნულება მით უფრო ყურადსაღებია, რომ ანბანური დამწერლობის განვითარების ისტორიას ადასტურებს. ბერძნულისა და არამეულის შუალედური რგოლით, სემიტური ანბანი თითქმის ყველა თანამედროვე ანბანის სათავეა. პალეოგრაფიულმა მეცნიერებამ დიდი ხანია დაასაბუთა, რომ ანბანური სისტემების შექმნაში ფინიკიურმა ანბანმა მართლაც ყალიბის როლი შეასრულა. კიდევ მეტი, „‘ალეფ-ჭარმა“, როგორც ანბანის პირველმა ასომ, სწორედ თავისი ჭარის ყალიბი, ანუ თავისი გრაფიკული ჩარჩო გადასცა ყველა მომდევნო ანბანს. აქედან გამომდინარე, ძნელია, არ დავეთანხმოთ სემიტურ „‘ალეფ-ყალიფში“ ყალიბით კოდირებული ქართველური მნიშვნელობის არსებობას; ესაა ფაქტი, რომლის უარყოფა ან უგულებელყოფა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება.

წარმოდგენილ ანალიზზე დაყრდნობით, სემიტური „‘ალეფ“ გვევლინება როგორც კომპლექსური, ორ შრიანი სემანტიკის მქონე ერთეული, რომლის ეგზოთერული ფენა საყოველთაოდ ცნობილი სემიტური „ხარის“ მნიშვნელობაა, ხოლო ეტიმოლოგიურ-ეზოთერული კი – ქართველური ყალიბი. სხვაგვარად, სემურ „‘ალეფში“ მოცემულია არა მხოლოდ მისი მნიშვნელობა, არამედ ანბანის დანიშნულება-ფუნქციაც, რაც კაცობრიობის კულტურული განვითარების საქმეში ფინიკიურ ანბანს დაეკისრა.

## 15. შინიკიური 'ალეფ, ბერძნული ხალიჯები და ძართველური ჟალიზი

სემიტური „ალეფის“ ქართველური „ყალიბიდან“ წარმომავალ ეტიმოლოგიას ადასტურებს ბერძნების მიერ ერთ-ერთი ქართველური ტომის „დამახინჯებული“ დასახელებაც. საქმე ეხება ხალიჯებს, რომელიც ბერძნებმა შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე ბინადარ ქართველურ ტომებს უწოდეს. ხალიჯებს მოიხსენიებენ როგორც ბერძნული ისტორიული წყაროები (სტრაბონი XII, 3,20; ევსტათი ანტიოქელი, ეპიფანე კვიპრელი; გეორგიკა 1961, 34-40; 88), ისე ბერძნული მითოლოგია (ჰომეროსი). პირველად ისინი ჰალიძონების, ხოლო მათი ქვეყანა ალიბეს სახელით ჰომეროსის ეპოსშია ნახსენები. „ეპისტროფოსი და დიოსი ჰალიძონებს მოუძღოდნენ შორეული ალიბედან, სადაც პირველი ვერცხლის საბადოები დაამუშავეს“ (ილიადა, 2, 763-64).<sup>44</sup>

ანტიკური ხანის ერთ-ერთი ყველაზე ობიექტური ისტორიკოსი, ამიანე მარცელინი იმავე ინფორმაციას გადმოგვცემს, კერძოდ, რომ ხალიჯებმა „პირველად მოიპოვეს და დაამუშავეს რკინა“ (გეორგიკა 1961: 88).<sup>45</sup> აღნიშნული ინფორმაცია დღეს დადასტურებული ფაქტია. „სამხრეთ საქართველო რკინის წარმოების უძველესი კერა ჩანს მახლობელ აღმოსავლეთში, ...საისტორიო წყაროების ცნობათა და სხვა მრავალი საისტორიო რეალიების საფუძველზეც ნათელია და არქეოლოგიურადაცაა დადასტურებული“ (მიქელაძე: 1974, 156). თ. მიქელაძეს ეკუთვნის ხალიბთა ტომის როგორც ქართული, ისე უცხოური სახელწოდებების შეჯერება-ქრონოლოგიზაცია ლინგვისტურ-ისტორიული და არქეოლოგიური მასალის საფუძველზე (ცხრ. 31, გვ. 135).

<sup>44</sup> თარგმანი შესრულებულია ჰომეროსის ინგლისური გამოცემის (*Homer, The Iliad, Wordsworth Classics, Translated by George Chapman, UK, 2003*) მიხედვით, ვინაიდან ქართულ ტექსტში გამოტოვებულია ყველაზე მნიშვნელოვანი ცნობა ქართველური ტომების მეტალურგიულ საქმეში განსწავლულობის შესახებ: „ჰალიძონები ეპისტროფოსს, ოდიოსს მოჰყვენენ ვერცხლის შორეული საბადოდან – ალიბეს მხრიდან“ (ჰომეროსი, *ილიადა*. ძველბერძნულიდან თარგმნა რომან მიმინოშვილმა. *საბჭოთა საქართველო*, თბილისი, 1990, ნიგნი 2, 856-857). შდრ.: Epistrophus and Dius did the Halizonians guide, // *Far-fetch'd from Alybe, where the first silver mines were tried*".

<sup>45</sup> ზოგიერთი ცნობის მიხედვით, ხალიჯები დაჰების გვერდით ბინადრობდნენ. დაჰები კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე ცხოვრობდნენ – ფაქტი, რომელიც, ქართველი ისტორიკოსების აზრით, დაჰებისა და დიაუხების სახელთა აღრევის შედეგია.

ხალიბების შესაძლო ვარიანტები და პარალელები

წყარო	ვარიანტი	პარალელი	მნიშვნელობა
დაბადება		კაენი	ადამ და ევას ძე, რკინის დამამუშავებელი
ხეთური	Ḫulaijaš		მდ. ხალისი
	Ḫaliwa		მდ. ხალისის ქვეყანა
ურარტული	Ḫalitu		ხალდი
	URU haldiriulhi		ხალდი
ბერძნული	Αλιζάνω		ალიძონები
	Ἄλυβη		ალიბე
	Χάλυβες		ხალიბები
	χάλυψ		ფოლადი
	Χάλυβος		
ლათინური	Chalybum Chalybes Chalibes		ხალიბები ფოლადი
სომხური	Xaltiq		ხალდი
ქართველური		ჭანები	

ცხრილიდან ნათლად იკვეთება ეთნონიმ „ხალიბის“ რთული ლინგვოკულტუროლოგიური კავშირები როგორც მის პარალელებს (კაენი, ჭანი), ისე მის ფონეტიკურ ვარიანტებს შორის. ჩვენ არ შევჩერდებით ცხრილის თითოეულ ნევრზე, არამედ მოვახდენთ მხოლოდ ბერძნული და ლათინური ფორმების ლინგვისტურ ანალიზს, რომლის შედეგებიც გამართლებული იქნება მთლიანი ჯგუფისთვისაც. თუ საკვლევ ვარიანტებს ორთოგრაფიული პრინციპის მიხედვით დავალაგებთ, შევძლებთ არქეტიპული ფორმის შესახებ საინტერესო ინფორმაციის ამოკითხვას:

ბერძნული	ჰომეროსისეული	ლათინური
Χάλυβες	Αλύβη	Chalybum
Χάλυψ	Αλιζάνω	Chalybes
Χάλυβος		Chalibes

**ბერძნული ლექსემები.** ერთი და იმავე დენოტატის ფონეტიკური ვარიანტების არსებობისას, უპირველეს ყოვლისა, უნდა დადგინდეს მათი (ვარიანტების) მორფემული შედგენილობა, რაც ძირისა და აფიქსების გამოყოფას გულისხმობს. მოყვანილ ვარიანტებში ძირეუ-

ლი მორფემის პირველი თანხმოვანი ორი სახით არის წარმოდგენილი: ა) თანხმოვნით (X) (Χάλυβες, Χάλυψ, Χάλυβος) და ბ) უთანხმოვნოდ – ჰომეროსისეულ ფორმებში (Αλύβη, Αλιζώνων). მათ (ჰომეროსისეულ ფორმებს) მკვლევრები სხვადასხვაგვარად კითხულობენ. ქართულ მეცნიერულ ტრადიციაში ზ-ს კითხულობენ როგორც ძ (გორდეზიანი et al 2001:22), ხოლო დასავლეთში კი როგორც zd ან გამარტივებული ზ ფორმით. შესაბამისად, გვაქვს Αλιζώνων-ის ქართული ვარიანტი ჰალიძონები და მისგან განსხვავებული Alizonion ([www.perseus.tufts.edu](http://www.perseus.tufts.edu)). შედარებით უნიფიცირებულია ხალიბების ქვეყნის სახელი Αλύβης („ალიბე“). იოლი აღმოჩნდა სუფიქსური მორფემის გამოცალკავება -η, -ες, -ος, -ώνων, რის შედეგადაც მკაფიოდ იკვეთება ძირისა და აფიქსის ზღვარზე დაფიქსირებული თანხმოვნების სამი ვარიანტი β, ψ, ζ. თუ საკვლევ ერთეულებს ანალიზით გამოვლენილ მორფემულ კატეგორიებად დავალაგებთ, მივიღებთ ქვემოთ მოყვანილ ცხრილს:

### ცხრილი 32

ხალიბების ბერძნული ფორმების მორფემული შედგენილობა

ვარიანტი	სანყისი თანხმოვანი	ძირის იდენტური ნაწილი	მორფემული შესაყარი	სუფიქსები
Χάλυβες	Χ	άλυ	β	-η
Χάλυβος	Χ	άλυ	β	-ες
Αλύβη	-	Αλυ	β	-ος
Αλιζώνων	-	Αλυ	ζ	-ώνων
Χάλυψ	Χ	άλυ	ψ	

ლათინური ფორმები. ლათინური ფორმები Chalybes, Chalibes, Chalybum ბერძნულზე დამყარებული ვარიანტებია, რის გამოც, მათი ანალიზში ჩართვა, კვლევას უფრო ობიექტურს გახდის და მიღებულ შედეგებს მეტ დამაჯერებლობასა და სანდოობას შესძენს. ლათინური ფორმები მეტი ერთგვაროვნებით გამოირჩევიან, ამიტომ ადვილად გამოიყოფა, ერთი მხრივ, ძირი Chalyb და, მეორე მხრივ, სუფიქსები -es, -um. ორთოგრაფიული (γ-ლ) განსხვავება ფონემურ დონეზე არ განიჩნევა, ასე რომ აღნიშნულ ფორმებს ზოგჯერ ერთი ვარიანტით წარმოვადგენთ. თუ ლათინურ ფორმებს, ბერძნული ვარიანტების მსგავსად, მორფემულ ელემენტებად გამოვსახავთ, მივიღებთ ქვემოთ მოყვანილ ცხრილს:

### ცხრილი 33

#### ხალიბების ლათინური ფორმების მორფემული შედგენილობა

ვარიანტი	საწყისი თანხმოვანი	ძირის იდენტური ნაწილი	მორფემული შესაყარი	სუფიქსები
Chalybes	ch	aly	b	-es
Chalibes	ch	ali	b	-es
Chalybum	ch	aly	b	-um

ხალიბების ბერძნული და ლათინური ფორმების მორფემული შედგენილობის შედარება საშუალებას გვაძლევს, უფრო მკაფიოდ გამოვკვეთოთ მათ შორის არსებული მსგავსება-განსხვავებები:

### ცხრილი 34

#### ხალიბების ბერძნული და ლათინური ფორმების მორფემული შედგენილობის მსგავსება-განსხვავებები

ვარიანტი	საწყისი თანხმოვანი	ძირის იდენტური ნაწილი	მორფემული შესაყარი	სუფიქსები
1. Χάλυβες	X	άλυ	β	-ες
2. Χάλυβος	X	άλυ	β	-ος
3. Αλύβη	-	Αλυ	β	-η
4. Αλυζάνων	-	Αλυ	ζ	-άνων
5. Χάλυψ	X	άλυ	ψ	
6. Chalybes	ch	aly	b	-es
7. Chalibes	ch	ali	b	-es
8. Chalybum	ch	aly	b	-um

„ხალიბების“ ბერძნულ-ლათინური ფორმები შეიცავენ საინტიერესო მასალას, რომელიც მათი არქეტიპის გამოვლენაში დაგვეხმარება. ამისთვის, უპირველეს ყოვლისა, ძირეული მორფემის განსაზღვრაა აუცილებელი, რომლის საწყისი თანხმოვანი სამი განსხვავებული ვარიანტით არის წარმოდგენილი: ერთი ასო-ნიშნით ბერძნულში, თანხმოვანთკომბინაციით ლათინურში, ხოლო ჰომეროსისეულ ილიადაში – უთანხმოვნოდ. საკითხი იმის შესახებ, თუ რომელია უფრო სანდო ფორმა ლინგვისტური ანალიზისთვის, მარტივად წყდება რაოდენობრივ მაჩვენებელზე დაყრდნობით. ყველა მოცემული ვარიანტიდან (8 ერთეული) მხოლოდ ორი ჰომეროსისეული ფორმაა წარმოდგენილი თანხმოვნის გარეშე, რაც მთელი რაოდენობის 25%-ს შეადგენს. თუ გავითვალისწინებთ ხეთურის, ურარტულისა და სომ-



ხურის მონაცემებსაც (5 ერთეული), ხალიბების ძირისეული მორფემის საწყისი თანხმონის არსებობა არანაირ ეჭვს არ იწვევს; 13 (8 + 5) ერთეულიდან უთანხმოვნო ვარიანტები მხოლოდ =0,2%-ია.

ორთოგრაფიული განსხვავება პირველი ძირისეული ბგერის ალსანიშნავად, გამოწვეულია ბერძნული და ლათინური ენების ფონოლოგიური თავისებურებებით; კერძოდ, ბერძნული ველარული ყრუ ფონემა (x) გადმოცემულია თანხმოვანთკომპლექსით (ch), რაც ჩვეული ხერხია ენებს შორის არსებული ფონემურ-ფონეტიკური განსხვავებების დროს. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჰომეროსისეულ ვარიანტებში ამოვარდნილია პირველი ძირისეული თანხმოვანი. აღნიშნული მოვლენა ფრიად უცნაურად მოჩანს, ვინაიდან ველარული ყრუ (x/ხ), ბუნებრივია, ენის ბგერით სისტემაში ჰომეროსის დროსაც არსებობდა და ბერძნების დიდ ბარდს არც მისი გამოყენება გაუჭირდებოდა.

### *რატომ მოხდა ძირისეული თანხმოვნის ამოვარდნა?*

საქმე იმაშია, რომ ენა ბგერის ამოვარდნას მიმართავს მაშინ, როდესაც ნასესხები სიტყვის შედგენილობაში შემავალი ფონემის გადმოცემის არანაირი რესურსი არ გააჩნია. თუ ჰომეროსის Αλιζάνων, Αλσίηζ ვარიანტებში მსგავსი მოვლენა ასახული, უნდა ვივარაუდოთ, რომ არქეტიკში ბერძნებისთვის ძლიერ რთული არტიკულაციის ბგერა, უფრო სწორად კი, თანხმოვანი უნდა ყოფილიყო. მართლაც, „უკვე პროფ. დესტუნისმა აღნიშნა, რომ ყოველთვის, როცა ბერძნები „ტძ“-ს ერთადა ხმარობენ, მათ უცხოელების თანხმოვნების „ც“, „ჩ“, „ჯ“ გამოსახვა სურდათ“ (ჯავახიშვილი 1960:405).

აღნიშნული ბგერები ქართული ფონეტიკური სისტემის ძირძველი კომპონენტებია, რის გამოც, მათი შემცველი განსხვავებული ფორმისა და შინაარსის ქართველური სიტყვები ბერძნულში მნიშვნელოვან ფონეტიკურ მსგავსებას შეიძენდნენ. სხვაგვარად, ერთი ბგერათკომპლექსი სამი განსხვავებული ფონემის ღირებულების გადმოსაცემად იქნებოდა გამოყენებული. მეტიც, ც, ჩ, ჯ ფონემების გარდა, საარტიკულაციოდ რთულ ბგერათა რიცხვში უნდა ვიგულისხმოთ ყველა სპეციფიკური ქართველური თანხმოვანი და ბგერათკომპლექსი, რომელთა გამოთქმის დროსაც აუცილებლად მოხდებოდა მათი მეტ-ნაკლები ფონეტიკური დამახინჯება. ამიტომ, პასუხი კითხვაზე, შეიძლება თუ არა საწყისი თანხმოვანი ქართული პოსტ-ველარული ხშული ყ ყოფილიყო, დადებითია (იხ. ქვევით).<sup>46</sup> წარმოდგენილ ვარაუდს აძლიერებს არა მხოლოდ ჩვენი „ერთობ პი-

<sup>46</sup> მკითხველს ვთხოვთ, გაიხსენოს სპეციფიკური ქართველური თანხმოვნების უცხო ენებზე გადმოცემის უამრავი შემთხვევა, რისი მონმეტ ყოველდღიურად კხდებით.

რობითი" შეხედულება წინაბერძნული ენის ფონოლოგიურ სისტემაზე (გორდეზიანი 2007:29), არამედ ფურნეს მიერ ყ-ს ჩართვა მის მიერ ჩამოყალიბებული წინაბერძნული ენის თანხმოვანთა სისტემაში (იქვე, 35).

ძირისეული მორფემის მეორე, შუალედური თანხმოვანი ყველგან (ხეთურის, ურარტულისა და სომხურის ჩათვლით)  $l$ / ზგერით აღინიშნება, მაშინ, როდესაც მესამე ზგერა სამი ფონემით არის წარმოდგენილი  $\beta$ ,  $\zeta$ ,  $\psi$ , რომელთა რაოდენობრივი ინდექსი  $\beta$ -ს არქეტიპული სტატუსის სასარგებლოდ მეტყველებს; კერძოდ, 8 ერთეულიდან 6 ვარიანტი  $\beta$ -ს (75%), ხოლო თითო-თითო ლექსემა  $\zeta$  ( $=0,1$ ) და  $\psi$ -ს ( $=0,1\%$ ) თანხმოვნებს აფიქსირებენ (სულ 0,25%). სამწუხაროდ, ხალიბების ხეთური, ურარტული და სომხური ვარიანტების გათვალისწინება ამჯერად ვერ გვეხმარება, მათი ფართო ვარიანტულობის გამო. მიუხედავად ამისა, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ხალიბების ბერძნულ-რომაული ვარიანტების მეორე ძირისეული მორფემა  $\beta/b$  თანხმოვნით არის წარმოდგენილი. შესაბამისად, ხალიბების ძირეული მორფემის ფონემური მხარეა  $x + v + l + v + b$ , სადაც სანყისი და ბოლოკიდური არქეტიპული ფონემების მცირედი ვარიანტები კვლავ დასადგენია.

თანხმოვნების განსაზღვრის შემდეგ, უნდა დადგინდეს ხმოვანთა ყველაზე დიდი ალბათობით გამორჩეული არქიფონემა, რისთვისაც ანალოგიურ, კვანტიტატიურ მეთოდს მივმართავთ. თუ პირველი ძირისეული ხმოვანი  $a$  ყველგან იდენტურია, მეორე ხმოვანი,  $u$  (მაგ.  $\chi\acute{\alpha}\lambda\iota\beta$ ) და  $i$  (Chalibes) ხმოვნებით გვხვდება. 13 ერთეულიდან,  $i/i$  ფონემა აშკარა უპირატესობაშია, ვინაიდან 13-დან 7 ერთეულში ფიგურირებს, ხოლო  $u$  – ოთხში. (ცხრ. 31, გვ. 135). თუ ფონეტიკური შედგენილობის ფორმულაში არქეტიპული ზგერობის „კანდიდატ“ ფონემებს ჩავსვამთ, მივიღებთ შემდეგ ფონეტიკურ ნყობას  $x + a + l + i + b$ , რომელშიც, როგორც უკვე აღინიშნა, დამატებით შესწავლას პირველი და მესამე თანხმოვანი ( $b$ ,  $\beta$  შესაბამისად) მაინც მოითხოვს.

ხალიბების არქეტიპის უშუალო რეკონსტრუქციამდე, რამდენიმე ლინგვოკულტუროლოგიურ საკითხზეა საჭირო ყურადღების გამახვილება. ხალიბები – ქართველური ტომის აღმნიშვნელი სახელია, ამიტომ, ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ იგი ქართული სიტყვის ფონეტიკური ცვლილების შედეგად არის მიღებული. ნომინაციის პრინციპების მიხედვით, სახელდება (საგნების, მოვლენების, ხალხის და ა.შ.) ემყარება დასახელებული საგნის მახასიათებლებიდან შერჩეულ რამდენიმე ყველაზე მნიშვნელოვან თვისებას. უნდა ვიფიქროთ, რომ ხალიბების შემთხვევაშიც, ბერძნები სწორედ ასე მოიქცნენ: ამოარჩიეს, მათი აზრით, ქართველებისთვის დამახასიათებელი უმნიშვნელოვანესი თვისება – რკინის მოპოვება-დამუშავება. აქედან გამომ-

დინარე, ბერძნული „ხალიბები“ უნდა წარმოადგენდეს ქართველურ სიტყვას და აღნიშნავდეს ქართველთა უპირველეს თვისებას – მეტალურგიულ დარგში განსწავლულობას, ან ამ დარგის ერთ-ერთ აუცილებელ კომპონენტს. თუ გავიხსენებთ, რომ „ხალიბების“ ლექსემის პირველი თანხმომავანი ბერძნებისთვის ძნელად გამოსათქმელი ბგერა იყო, ქართველური არქეტიპის – ყალიბის აღდგენა ველარული ხშული ბგერით (ყ) არც თუ ისეთი რთული პროცედურაა. წარმოდგენილი არქეტიპის სასარგებლოდ უამრავი ფაქტი მეტყველებს. ერთ-ერთი მათგანია ბერძნულ ტრადიციაშივე დაფიქსირებული ინფორმაცია ქართველების მაღალგანვითარებული მეტალურგიული ცოდნის შესახებ, რომლის ილუსტრაცია შესაძლებელია ქართულიდან სხვა ენებში შესული ლითონის დასახელებების საფუძველზეც. ასე მაგალითად, ევროპული ბრინჯაოს სახელი „ბრონზე“, რომელიც სპარსული 'ბირინჯისგან' მომდინარეობს, შეთვისებულია ქართველური ენა-კილოკავების საზოგადო სახელისგან: სპილენძი, სვან. სპილენძ, მეგრ. ლინჯ, სომხ. პლინძ, რაც უდრის 'სპილენძს', სპირ-ენძს, და სპერის ანუ ისპირის მადანს ნიშნავს (ჯავახიშვილი 1960:24-25).

იგივე ითქმის ზოგიერთ ევროპულ ენაში „თითბრისა“ და „რკინის“ სახელების შესახებაც: მაგალითად, თითბრის გერმანული სახელწოდებაა messinc, ანგლოსაქსური – mästling, ძველნორვეგიული messing და პოლონური mosiandz, ე.ი. მოსსენე, ანუ თითბრის დამუშავების ხელოვნებით განთქმული მოსსინიკის ქართული ტომის სახელი. ქართულში „თითბრის“ სახელი ძირძველი ქართულია და ნიშნავს „თუთფერი“, ე. ი. მთვარის ფერის მადანს (მეგრ. თუთა, ქართ. თთუშ)<sup>47</sup>. ვფიქრობთ, ასევე, ქართველური წარმომავლობისაა აქადური, უგარიტული და ებრაული რკინის სახელწოდებები parzillu, brsl და berzel, რომელიც სვანური „ბერეყიდან“ (რკინა) უნდა მომდინარეობდეს (მიქელაძე 1974:12). საჭიროა აღინიშნოს, აგრეთვე ქართული „რკინიდან“ უგარიტულში შესული idnu (ლილაქვა, ლურჯი მინის პასტა), იმავე მნიშვნელობის sqnu აქადურში, უცნობი შინაარსის მქონე Ku-wa-an-nas-e ხურიტულში, ხეთური kuna (=სპილენძს), ასევე ბერძნული kyanos და χάλυψ/σφίς – ფოლადის მნიშვნელობით (იქვე, 114-149).

აღნიშნულიდან გამომდინარე, ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ბერძნებმა ქართველურ ტომებს ხალიბები, მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი თვისების (მჭედლობა) მეტონიმური ტრანსპოზიციის (აგენტი –საქმიანობა) შედეგად შეარქვეს. სემანტიკური დერივაციის ანალოგიური მეთოდი იქნა გამოყენებული „ფოლადის“ χάλυψ დასახელების შემთხვევაშიც, რის შედეგადაც ფორმირდება სესხების ელემენტების ლოგიკური ჯაჭვი:

<sup>47</sup> იხილეთ ევკვიპტური თოთის ანალიზი, გვ. 78.



ეტიმოლოგიურად ქართველური ყალიბია, დარიჯაგია, კალაპოტია ლითონის საგნების წარმოებისთვის, როგორც ეს რკინის პირველ მომპოვებლებსა და დამმუშავებლებს შეეფერება.

სახელის ძირის ქართველური ეტიმოლოგია გვეკარნახობს როგორც ძირისეული მეორე თანხმოვნის ვარიანტულობის (ჯ, ψ), ისე დაბოლოებების (-ი, -ეჯ, -ოჯ, -ψ, -es, -um) ქართველურ წარმომავლობას, თუმცა, ამ შემთხვევაში, ქართულ გრამატიკას უნდა მივმართოთ, ვინაიდან საქმე ეხება ძირისა და სუფიქსის თავშეყრას. ამგვარი მიდგომისას, შესასწავლი დაბოლოება -ი სახელობითი ბრუნვის ნიშნის -ი ტოლია; სუფიქსები -ეჯ / -es ქართული ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის (-ის) ოდნავ სახეცვლილი ვარიანტებია, ხოლო ლათინური -um კი მოთხრობითის, ანუ ერგატიული (-მ, -მან) ბრუნვის მაჩვენებელი. ერგატ. ყალიბ-მან > Chalyb-u-man > Chalyb-um, სადაც საარტიკულაციოდ რთული, ორი წყვილბაგისმიერი თანხმოვნის შუაში (ბმ) დამატებითი ხმოვანი u განვითარდა, ხოლო ერგატივის დაბოლოებამ სიტყვის ბოლოს სუსტ პოზიციაში მყოფი -ან დაკარგა და გამარტივდა. აქვე შევნიშნავთ, რომ, როგორც გამოკვლევა გვიჩვენებს, ერთი და იმავე საწარმოთქმო ადგილის მქონე თანხმოვნების ფონოტაქტიკას ინდოევროპული ენები ძნელად ეგუებიან,<sup>49</sup> მაშინ, როდესაც ქართველურისთვის ეს ბუნებრივი მოდელია.

თანხმოვნების შეერთების ანალოგიურ ვითარებას გვთავაზობს სუფიქსი -ოჯ, რომელშიც წინაბერძნულის ერთ-ერთ ყველაზე პროდუქტიულ სუფიქსად ითვლება. მისი ეტიმონი ორი ქართველური სიტყვა-ფორმით შეიძლება იქნას წარმოდგენილი: ა) ყალიბის მიცემითი (ყალიბ-ს) და ნათესაობითი (ყალიბ-ის) ფორმებით. ეს უკანასკნელი (ნათესაობითი) ამ სუფიქსის ძირითად ფუნქციად მიაჩნიათ (გორდეზიანი 2007:73). პირველ შემთხვევაში -ო-ს გაჩენა გააადვილებდა თანხმოვანთკომპლექსის წარმოქმნას, ხოლო მეორეში კი შესაძლოა, იყოს წინ მდგომი უკანა რიგის ხმოვნის მიერ ქართული ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის (-ის) ასიმილირებული ფორმა. (შდრ.: Χαλσιβοϋ). თუ ჩვენ მიერ შემოთავაზებული სურათი ჭეშმარიტებას ასახავს, სახეზეა ქართული ოთხი ბრუნვის ფორმა: სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი და ნათესაობითი:

<sup>49</sup> გორის უნივერსიტეტის პუბლიცისტური ფაკულტეტის ანგლისტიკის სამაგისტრო კურსზე, ჩვენი ხელმძღვანელობით მომზადდა სამაგისტრო ნაშრომი „ინგლისური და ქართული ენების ფონოლოგიური დონეების ანალიზი (წყვილბაგისმიერი თანხმოვნების მასალაზე დაყრდნობით)“ (მაგისტრანტი ნ. ჯაფარიძე), რომელშიც ნათლად გამოიკვეთა ქართულისთვის დამახასიათებელი წყვილბაგისმიერი თანხმოვნების მრავალფეროვანი კომბინატორიკა ინგლისურ ენასთან შედარებით, რასაც, შესაძლებელია, ბერძნული და ლათინური ენებიც იზიარებდნენ.

ქართველური ყალიბის არქეტიპული ფორმები

ქართველური		ბერძნულ-ლათინური	
ბრუნვა	ბრუნვის ფორმა		
სახელობითი	ყალიბ-ი	Αλσβ-η	
მოთხრობითი	ყალიბ-მან		Chalyb-um
მიცემითი	ყალიბ-ს	*Χάλσβ-ος	
ნათესაობითი	ყალიბ-ის	Χάλσβ-ες *Χάλσβ-ος	Chalyb-es

შედარებით უფრო რთულად არის საქმე ბერძნულ ფორმაში  $\chi\acute{\alpha}\lambda\sigma\psi$ . იგი ( $\chi\acute{\alpha}\lambda\sigma\psi$ ) მესამე კანკლედობის სახელობითი ბრუნვაა (ნიშანი - $\psi$ ), ხოლო ზევით განხილული  $\chi\acute{\alpha}\lambda\sigma\beta$ -იც – ნათესაობითი (ნიშანი - $\sigma$ ). ძირისეული თანხმოვანი  $\beta$  ნათესაობით ბრუნვაში აღდგება. აქ რამდენიმე გარემოებაა დამაფიქრებელი:

*რატომ უნდა ხდებოდეს თავდაპირველი ძირის ( $\chi\acute{\alpha}\lambda\sigma\beta$ ) ნათესაობითში აღდგენა, როდესაც, როგორც ნესი, ნამყვანი – სახელობითი ბრუნვის ფორმაა? და შემდეგ:*

*რატომ უნდა ხდებოდეს თავდაპირველი ძირის აღდგენა მაინც-დამაინც ნათესაობითში, ანუ ბრუნვაში, რომელიც შესაძლო ქართველურ არქეტიპად აღდგება და კუთვნილებას უჩვენებს?*

*ხომ არ არის ეს ქართველური სუბსტრატის გრამატიკული ფორმის გაფერმკრთალებული გამოძახილი?*

შესასწავლი ლექსემის კანკლედობაში გამოვლენილ შეუსაბამობებს ქართული გრამატიკა ანესრიგებს. იგი ბერძნულ  $\chi\acute{\alpha}\lambda\sigma\psi$ -ს ქართველურ მიცემით ბრუნვასთან აიგივებს, სადაც თავს იყრის მჟღერი, წყვილბაგისმიერი, მსკდომი (ბ) და ნაპრალოვანი ყრუ სისინა (ს; ყალიბს) ბგერები. ასიმილაციის შედეგად ყრუ სუფიქსურმა თანხმოვანმა მის წინ მდგომი მჟღერი თანხმოვანიც ასევე ყრუ ფორმაში გარდაქმნა, ხოლო მათი კომბინაცია ერთ ბგერად იქნა აღქმული, რამაც ერთი გრაფიკული ნიშნის ( $\psi$ ) გამოყენება განაპირობა. შესაბამისად, ორი განსხვავებული სტატუსის მქონე ბგერა (ძირის თანხმოვანი, სუფიქსი) ერთ ბგერად ჩამოყალიბდა და ერთი ასო-ნიშნით გადმოიცა, რის გამოც,  $\chi\acute{\alpha}\lambda\sigma\psi$ -ის სახელობითი ბრუნვა, რომელშიც სახელის ძირი სრულად უნდა ყოფილიყო მოცემული, ნაკლული ფორმით დაფიქსირდა ( $\chi\acute{\alpha}\lambda\sigma\psi$ ).

ახლა განვიხილოთ ნათესაობითი ბრუნვის ფორმა  $\chi\acute{\alpha}\lambda\sigma\beta\sigma\varsigma$ , რომელშიც დაკარგული ძირისეული თანხმოვნის აღდგენა ხდება. აქ, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ  $\beta$ -ს აღდგენა არა მხოლოდ ნათესაობითში, არამედ ყველა დანარჩენ ბრუნ-

ვაშიც ხდება.<sup>50</sup> ამგვარ ვითარებაში, ბუნებრივია, იბადება კითხვა, თუ რამ განაპირობა ნათესაობითი ბრუნვის არჩევა სიტყვის სრული ძირის განსაზღვრის კრიტერიუმად. საინტერესოა ისიც, რომ -ი ბრუნვის ნიშანი მხოლოდ მესამე კანკლედობის ნათესაობითში გვხვდება. ვფიქრობთ, სიტყვის ნათესაობით ბრუნვაში გადაყვანა ψ-ს სანყისი კომპლექსის უკვე დავინყებული კომპონენტების არქეტიპული სტატუსის აღდგენასთან არის დაკავშირებული. ვინაიდან ἄλυσ ქართული მიცემითი ბრუნვის ფონეტიკურად „შერყვნილი“ ფორმაა, ხოლო მისივე ἄλυσიც ნათესაობით ბრუნვას წარმოადგენს და მიუთითებს ყალიბის მფლობელსა თუ ავტორზე, იგი ასახავდა ქართველურ-ბერძნული ურთიერთობის რეალურ სურათს, რის გამოც, უპირატესობა სწორედ ნათესაობით ბრუნვას მიენიჭა. თუ ბერძნულში გამოვლენილ ქართველურ ფორმებს ბრუნვათა ცხრილში გავაერთიანებთ, ფრიად შთამბეჭდავ სურათს მივიღებთ:

### ცხრილი 37

ქართველური ყალიბის არქეტიპული ფორმების სრული ნუსხა

ქართველური		ბერძნულ-ლათინური	
ბრუნვა	ბრუნვის ფორმა		
სახელობითი	ყალიბ-ი	Ἀλυσ-η	
მოთხრობითი	ყალიბ-მან		Chalyb-um
მიცემითი	ყალიბ-ს	ἄλυσ	
ნათესაობითი	ყალიბ-ის	ἄλυσ-ες ἄλυσ-ος	Chalyb-es

ვფიქრობთ, „ყალიბის“ ბრუნვის მიკროსისტემის როლი ბერძნული და ლათინური კანკლედობის ჩამოყალიბებაში უდავოა: მიცემითმა და ნათესაობითმა მოგვცა შესაბამისად სახელობითი და ნათესაობითი ბერძნულში, ხოლო მოთხრობითმა და ნათესაობითმა კი - ლათინურის ნათესაობითი (მრავლობითი) და, შესაძლოა, -es დაბოლოების მქონე სამი ბრუნვის ფორმა (სახელობითი, აკუზატივი, ვოკატივი). ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ -η, -ες/-es, -um, -ψ და -ος განსხვავებულ ბრუნვათა ნიშნებია, ისინი ქართული ყალიბ-ის სახელობითი, ნათესაობითი, მოთხრობითი და მიცემითი ბრუნვების დაბოლოებათა ფონეტიკური ცვლილებების შედეგად მიღებული ვარიანტებია.

არსებითი სახელის კანკლედობის ფორმების არქეტიპული ფუნ-

<sup>50</sup> შეადარე: Nom./Voc. Ἄραψ, Acc. Ἄραβῆ, Gen. Ἄραβος, Dat. Ἄραβι.

ქციის კიდეც ერთი ნიმუშია<sup>51</sup> ბერძნულ ენაში შემონახული ხალიბების ტომის სახელწოდებისგან წარმომდგარი ზედსართავი სახელი χάλυβνικόζ მნიშვნელობით „ხალიბური“. თუ მას ქართველური ენების სიტყვათწარმოების პრიზმაში განვიხილავთ, ბერძნული χάλυβνικόζ შედგენილი სიტყვის სტრუქტურით წარმოდგება – χάλυβ+νικόζ, სადაც, მეორე კომპონენტში (ნიკოζ), κ ქართველური ხ-ს შემცვლელი ჩანს. მართლაც, თუ κ-ს შევცვლით ხ-თი, მივიღებთ თიხის (მეგრული დიხა), რომლის ბოლოკიდური მარცვალი კვლავ ნათესაობითი ბრუნვის ფორმაზე მიუთითებს (თიხის). შედეგად, თხზული სიტყვის ხალუბდიკოს მნიშვნელობა იკითხება, როგორც თიხის ყალიბი, სიტყვა-სიტყვით ყალიბ(ი)თიხის/დიხას, რაც ძველი ქართული პოსტპოზიციური ატრიბუტული სინტაგმის მოდელს იმეორებს. წარმოდგენილი ეტიმოლოგიზების დამაჯერებლობას ზრდის კოლხური კერამიკული მინიატურული ცულის „ყალიბის“ აღმოჩენა (საქმენ მილთან ერთად) ძველი კოლხური ხანის მასალასთან ერთად სოფ. ქვემო ჭალადიდის ნამოსახლარზე (მიქელაძე 1974:57).

როგორც ვხედავთ, ქართული კანკლედობა ბერძნული ენის ლექსიკის გამდიდრების ერთ-ერთი საშუალებაა. მიუხედავად ამისა, ქართულ და ბერძნულ ენებს შორის ბრუნვის ფორმების მეშვეობით დამყარებული ურთიერთობების სიღრმე მხოლოდ ნათქვამით არ ამოინურება. უფრო საინტერესოდ მოჩანს ქართულ და ბერძნულ ბრუნვის ფორმებს შორის არსებული კავშირებისა და ამ კავშირებით გადმოცემული სემანტიკის განხილვა. აღსანიშნავია ის, რომ ქართული „ყალიბის“ მიცემითი ბრუნვის ფორმამ ბერძნული სახელობითი, ანუ სანყისი ბრუნვა წარმოშვა. შესაბამისად, ბერძნული არსებითი სახელის ბრუნვის სისტემა, ქართველურ სისტემასთან მიმართებაში, მეორადი წარმონაქმნია. სხვაგვარად, ქართველური მიცემითი ბრუნვის ფორმა, რომელიც საკუთარ სისტემაში დამოკიდებული ფორმაა, ბერძნულში ერთ-ერთი კანკლედობის საწყისია, ანუ სახეზეა მთელი-სა (ქართველური) და ნანილის (ბერძნული) ურთიერთობა. მკითხველს შევასხენებთ, რომ იდენტური დამოკიდებულება იქნა აღმოჩენილი ამ ორი ენის ასო-ნიშნების შედარებითი შესწავლის დროსაც.

ბრუნვის ფორმების მეშვეობით გადმოცემულ ურთიერთობებს მათი სემანტიკაც ეხმიანება. ასე მაგალითად, ბერძნულის ნათესაობითი ბრუნვა, რომელშიც მესამე კანკლედობის რეალური ძირი აღდგება, ზოგადად კუთვნილებას აღნიშნავს, ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში კი, მეტალურგიული წარმოების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტის, „ყალიბის“ ქართველური ტომების-

<sup>51</sup> დარწმუნებულნი ვართ, რომ მომავალში, ბერძნული და ქართული ენების კანკლედობის შედარებითი კვლევა მიღებული დასკვნების დამადასტურებელ ბევრ საინტერესო ფაქტს გამოავლენს.



ადმი კუთვნილებას. მეტიც, მოთხრობითი ბრუნვით, რომლითაც ქართველური აგენტობა გადმოიცემა, ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში, სამუშაოს „ყალიბით“ შემსრულებელი ერია მითითებული. შესაბამისად, ენობრივი მასალის ანალიზი სრულად ადასტურებს ბერძნულ ისტორიულ და ლიტერატურულ წყაროებში დაფიქსირებულ ინფორმაციას, ქართველთა მეტალურგიული პირველობისა და ამ დარგში, ბერძენთა „შეგირდობის“ შესახებ.

ამრიგად, ყველა გაანალიზებული სიტყვა (Χάλυβες, χαλψ/σβιος, Chalybes, Chalybum, Chalibes) მიუთითებს არა ერთ ან რამდენიმე ქართველურ ტომზე, რომლებიც კომპაქტურად იყვნენ დასახლებულნი მდ. პალისისა და არმენიის ჩრდილოეთით, არამედ ქართველებზე საერთოდ, რომლებიც ახლადმოსულ თუ მეზობელ ხალხებს საკუთარი კულტურის მიღწევებს აზიარებდნენ. ვინაიდან, ნებისმიერ ბრუნვაში ჩასმული „ყალიბი“ უპირველესად მის შემქმნელ და გამომყენებელ ქართველურ ტომებზე მიუთითებდა, მეტონიმური გადატანის შედეგად, ინსტრუმენტის დასახელება მის მფლობელზე გადავიდა. ფუძისეულ ელემენტებად აღქმული ბრუნვის ნიშნები ამ პროცესისთვის ხელშემშლელ პირობას არ წარმოადგენდა, რადგანაც, როგორც ამას გაანალიზებული მასალა გვიჩვენებს, ლითონდამუშავების კულტურის ათვისება ბერძნული ტომების მიერ უშუალო კონტაქტების და ზეპირი ურთიერთობის საფუძველზე მიმდინარეობდა. „ყალიბის“ საწყისი ფორმის ფონეტიკურად და სემანტიკურად შეცვლილი ასეთი ვარიანტები შევიდნენ ბერძნული ენის ლექსიკონში ქართველური ტომების აღსანიშნავად, საიდანაც „გაბერძნებული“ „ყალიბი“, ხალიბის (Χάλυβες, χαλψ/σβιος) ფორმით, საკუთარ ენობრივ ნიაღს დაუბრუნდა.

საინტერესოა სესხების ბუნებაც. Χάλυβες, χαλψ/σβιος-ის გრამატიკული შინაარსი და სიტყვის ძირის სემანტიკა ადასტურებს ისტორიულად ცნობილ ფაქტს ბერძნული კულტურის მაღალგანვითარებული წინაბერძნული ცივილიზაციიდან აღმოცენების შესახებ. პარალელურად ირკვევა წინაბერძნული ცივილიზაციის ქართველურობა და ახსნა ეძებნება ბერძნულ ისტორიულ და მითოლოგიურ წყაროებში დაფიქსირებულ ცნობას, მეტალურგიის დარგში ქართველურ ტომთა პირველობისა და კულტურტრეგერობის შესახებ. ამიტომ არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ბერძნებმა ერთ-ერთ ქართველურ ტომს, რომელსაც ისინი რკინის დამუშავებაში მასწავლებლებად თვლიდნენ, მისცეს იმ კულტურული ნასესხობის სახელი, რომელმაც, მათივე აზრით, მათ გაკულტურებაში უდიდესი წვლილი შეიტანა. ნმინდა ლინგვისტური ტერმინოლოგია რომ მოვიშველიოთ, სახეზეა სემანტიკური განვითარების ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მექანიზმი, მეტონიმური სემანტიკური დერივაცია, როდესაც ხალხის

კულტურული განვითარების მახასიათებელი თვით ამ ხალხის სახელწოდებად იქცა.

ბერძნული  $\chi\acute{\alpha}\lambda\upsilon\psi$ / $\sigma\beta\omicron\varsigma$ -ის ქართველური ეტიმოლოგია მნიშვნელოვან ქრონოლოგიურ და კულტურულ ფაქტორებზეც მიუთითებს. კერძოდ, ირკვევა, რომ, სანამ ბერძნები ქართველებს ხალიბებს დაარქმევდნენ, ქართველებს უკვე ძლიერ განვითარებული ცივილიზაცია გააჩნდათ, ფლობდნენ ფოლადის დნობისა და იმ დროისთვის პროდუქციის მასიური წარმოების უმნიშვნელოვანეს ხელსაწყოს – ყალიბს. ამ დროს, ბერძნები მხოლოდ განვითარებად საზოგადოებას წარმოადგენენ და საკუთარი ცივილიზაციის შესაქმნელად წინამორბედი ხალხისგან არა მარტო კულტურულ წარმატებებს, არამედ მათთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიასაც „ისრუტავდნენ“.

ამრიგად, ისტორიული და ენობრივი ფაქტები, ისევე, როგორც სიტყვა „ხალიბების“ მნიშვნელობა, ეჭვს გარეშე მიუთითებს ბერძნულ-ლათინური  $\chi\acute{\alpha}\lambda\upsilon\beta\epsilon\varsigma$ ,  $\chi\acute{\alpha}\lambda\upsilon\psi$  /  $\sigma\beta\omicron\varsigma$  Chalybes, Chalybum, Chalibes-ის ქართველური „ყალიბიდან“ წარმომავლობას.

ბერძნული „ხალიბების“ წარმოდგენილი ანალიზი ისტორიული ენათმეცნიერების თვალსაზრისითაც მრავალმხრივ არის საყურადღებო:

1) იგი მიგვანიშნებს მნიშვნელოვან გარემოებაზე – სპეციფიკური ქართველური ბგერების გამო, ქართველურ ენათა ფონოლოგიური სისტემა, პრაქტიკულად, გადაულახავ საარტიკულაციო სირთულეებს სთავაზობდა (და სთავაზობს) არაქართველებს;<sup>52</sup>

2) განსხვავებული ფონოლოგიური სისტემების მქონე ენები სპეციფიკურ ქართველურ თანხმოვნებს (წ, ჭ, ლ, ყ, ძ, ხ, ჳ...) განსხვავებულად გადმოსცემენ: ცალკეული ასოებით ან ასოთკომპლექსების მეშვეობით. ასე მაგალითად, ქართველური გლოტალიზებული ხშული ყ ერთ შემთხვევაში გადმოიცემა მისი მსგავსი გლოტალური მსკდომი თანხმოვნით („აღეფში“), ბერძნულში  $\chi$ -ს მეშვეობით, ხოლო ლათინურში  $ch$  კომბინაციით.<sup>53</sup>

<sup>52</sup> 2002 წელს ჩავატარეთ ფონეტიკური ექსპერიმენტი იშვიკის უნივერსიტეტის (თურქეთი) ინგლისური ენის მოსამზადებელი განყოფილების 30 ამერიკელ, ბრიტანელ და თურქ მასწავლებელთან. მათ ტრანსკრიფციით უნდა წარმოედგინათ ქართველური სიტყვები რამდენჯერმე მოსმენის შემდეგ. გამოკვლევის შედეგებმა, რომლებიც მოგვიანებით მოხსენების სახით წარდგენილ იქნა საერთაშორისო კონფერენციაზე არლინგტონში (ვირჯინია, აშშ), ნათლად აჩვენა ის სირთულეები, რასაც მასწავლებლები ქართველური თანხმოვნების გადმოცემისას აწყდებოდნენ. 35 სიტყვიდან ერთმა – ბრდღეილი „რეკორდი“ დაამყარა, ვინაიდან, 34 ვარიანტით იქნა წარმოდგენილი (დეტალური ინფორმაციისთვის იხ. ა. მესხი, *ფონოლოგიის როლი უცხო ენის ათვისებაში*, Clearinghouse on Languages and Linguistics (ERIC), ERIC ED466632, [www.eric.ed.gov](http://www.eric.ed.gov)).

<sup>53</sup> ქართული საიდუმლო დამწერლობა იმავე ხერხებს მიმართავდა სპეციფიკური

ხალიბების ბერძნულ-ლათინური ვარიანტების ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზი ნარმოდგენილ იქნა, ერთი მხრივ, ქართველური „ყალიბის“ არქეტიპული გამოყენების გამოსავლენად და, მეორე მხრივ, ფინიკური „ალეფის“ ქართველური „ყალიბიდან“ ნარმოდგელობის დასადასტურებლად. პარალელურად, ნათელი ეფინება უფრო დიდი დიაპაზონის მქონე მოვლენას – მთლიანი სემიტური ანბანის ნასესხებ ბუნებას, რაც დომინანტური დამოკიდებულის, ნანილისა და მთელის და „მამა-შვილის“ მოდელებით, რამდენჯერმე, განსხვავებულ კულტუროლოგიურ დონეზე დადასტურდა. ბერძნების მიერ ნასესხები „ყალიბის“ მსგავსად, რომელიც ქართველთა მეტალურგიული მრეწველობის მაღალ დონეს ასახავს, „ალეფიც“ კულტურული ნასესხობაა, ჩვენ ვიტყვით, უდიდესი კულტურული ნასესხობა – ანბანთნასესხობა, ვინაიდან, ანბანი კაცობრიობის აზროვნების უმაღლესი მიღწევაა.

წინამდებარე გამოკვლევაში გამოაშკარავებული უჩვეულო ენობრივი თვისებები – სპეციფიკური ქართველური ბგერების საარტიკულაციო სიძნელენი და არაქართული ენების მიერ მათი გამოხატვის მრავალგვარი საშუალებების გამოყენება, უმაღლ, ახალ შეკითხვას ბადებს:

*შესაძლოა თუ არა, რომ (') ნიშანი სემიტურ 'ალეფში დამატებით გადმოსცემდეს ისეთ ბგერას, რომლის აღდგენა, ბგერითი სიახლოვის გარდა, სემანტიკური სიახლოვითაც იქნება ალბეჭდილი? ანუ, შეიძლება თუ არა, რომ ქართულში არსებობდეს სიტყვა, რომელიც სემიტურ 'ალეფთან სემანტიკურად და ფონეტიკურად ერთდროულად იქნებოდა დაკავშირებული?*

დასმული შეკითხვა ტრადიციული ენათმეცნიერებისთვის მიუღებელია, ვინაიდან ნასესხებ სიტყვასა და სესხების წყაროს შორის მხოლოდ 1=1 შესაბამისობა დაიშვება. ამის სანინააღმდეგოდ, ეზო-

---

ქართველური ბგერების გადმოცემისას. თვითონ განსაჯეთ: „ამ სისტემის მიზანი, სხვა სისტემათა მსგავსად, იგივეა – ყველასათვის არ ყოფილიყო ხელმისაწვდომი ესა თუ ის მინანური ან ტექსტის გარკვეული ნაწილი. ტექსტის ამოკითხვის გასაძნელებლად გადამწერი მიმართავდნენ შემდეგ ხერხს: ქართულ ტექსტს, რომლის შინაარსი და ენა ქართული იყო, წერდნენ ხოლმე რომელიმე უცხო ენის ანბანით. სხვადასერილობის სისტემის კრიპტოგრაფებისთვის საქართველოში ძირითადად გამოუყენებიათ ბერძნული, ლათინური, სომხური და სლავური ანბანები. სხვადასერილობის სისტემის კრიპტოგრაფებში ქართულ სპეციფიკურ ასოებს ჩვეულებრივ ტოვებდნენ, ზოგჯერ კი ამ ასოებისათვის კრიპტოგრაფში გამოყენებული ანბანიდან მიახლოებით მსგავს ასოებს იხმარდნენ ხოლმე. მაგ., ლათინური ch ერთ კრიპტოგრაფში ხან ხ-ს გადმოსცემს, ხან ქ-ს (A-246). ასევე, ბერძნული χ ხან ხ-ს მაგიერ გვხვდება, ხან ქ-ისა (Q-741) და ა. შ. (ათანელიშვილი 1982:94; ხაზგასმა ჩვენია – ა. შ.).

თერული სწავლების მიერ შემოთავაზებული ენობრივი მასალის კვლევის მეთოდები არათუ გამორიცხავს, არამედ პირიქით, გვთავაზობს მსგავსი ხერხების გამოყენებას (Themurah). როგორც ეს ზემოთ იქნა აღნიშნული (გვ. 92), ეზოთერული ინფორმაციის კოდირების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს სიტყვათა შესაბამისობა – ერთი = მრავალი. აქედან გამომდინარე, თუ სემიტურ „აღეფში“ ქართველური ენობრივი მასალის მეშვეობით გარკვეული ინფორმაციაა კოდირებული, სავსებით მოსალოდნელია, რომ „აღეფსა“ და ქართველურ ენობრივ მასალას შორის სწორედ Themurah-ით გათვალისწინებული შესაბამისობები არსებობდეს.

აღნიშნული დაშვების შემთხვევაში, ყველაზე „რეალურ კანდიდატურას“, ყ ბგერის შემდეგ, მისი ფონემური წყვილის მეორე წევრი – ყრუ, პოსტველარული ხშული ჳ წარმოადგენს, მით უმეტეს, რომ, ძველ ქართულში, ჳ და ყ ურთიერთშენაცვლებად ბგერებად გვევლინებიან (შანიძე 1976:29). შემოთავაზებული ფონეტიკური რეკონსტრუქციის შედეგად, ფინიკიური „აღეფ“ ქართველური ჳარებ სიტყვასთან საოცრად ახლოს მდგომი ფონეტიკური ჳალეფ ფორმით წარმოჩნდება, რადგანაც სემიტურსა და ქართველურ წყვილში არსებული ბგერითი კორელაციები – ლ–რ და ფ–ბ ისტორიული ენათმეცნიერების მიერ კარგა ხნის დაფიქსირებული მოდელებია. ამ თვალსაზრისით, აღნიშნული ვარიანტების ერთ სიტყვად მიჩნევა არანაირ წინააღმდეგობას არ აწყდება.

კმაყოფილდება მეორე (სემანტიკური) პირობაც. კერძოდ, სემიტური „აღეფ“ და ქართველური „ჳარ–ებ“ ორივე მამალ ჳროხაზე (საბა 1993:437) მიუთითებს. მეტიც, 'Aleph–ჳარის ასტრონომიული მნიშვნელობა (მთვარის ღმერთის ჳომორფული სახე) დამატებით მტკიცებულებასაც იღებს უძველესი შუმერული ცივილიზაციის ენის ლექსიკიდან, სადაც სიტყვა "Har ღვთაებრივ ჳარს ნიშნავდა, სწორედ ისე, როგორც ეს ქართულ ასომთავრულ და ფინიკიურ ანბანებშია.

შენდება ანალიზის შედეგად წარმოქმნილი და შუმერულით გართულებული ღან–'აინის მსგავსი შუმერულ–ფინიკიურ–ქართველური ღვთაებრივი ჳარის სამება, რომლის ქართველური წევრი არა მარტო მთლიანი მიკროსისტემის შემკვრელი და მამოძრავებელი ძალაა, არამედ უძველეს ენებთან (შუმერულთან და ფინიკიურთან) არსებული დაფარული ეტიმოლოგიური კავშირების ჳენამონევის ერთადერთი საშუალებაც. ანალოგიური კრიპტული ფორმით შენახული უძველესი ენობრივი და კულტუროლოგიური მიმართებების ამგვარი რეგულარობა სხვა არა არის რა, თუ არა მათი ობიექტურად არსებობის დასტური.

მიუხედავად აღწერილი ფონეტიკურ–სემანტიკური ერთობისა, გვაქვს სტრუქტურული და გრამატიკული ხასიათის პრობლემები.

სტრუქტურული თვალსაზრისით, სემიტური „'ალეფ“ მარტივი სიტყვაა, მაშინ, როდესაც ქართველური „ჭარ+ებ“ აშკარად ნაწარმოები ბუნებისაა და ორ შემადგენელ ნაწილად იშლება. ამათგან პირველი „ჭარ“ – სიტყვის ძირია და, როგორც ვთქვით, ფინიკიური „'ალეფის“ მნიშვნელობის იდენტური, მეორე წევრი (-ებ) მრავლობითი რიცხვის მანარმოებელი სუფიქსია.

აქედან გამომდინარე, თუ სემიტურ „'ალეფს“ ქართველური ენების კუთხით განვიხილავთ, იგი ნაწარმოები სიტყვის სტრუქტურას ამჟღავნებს: 'ალ-ეფ = ჭარ+ებ. მიღებული რეკონსტრუქციის აღიარებას „'ალეფისა“ და „ჭარ-ების“ გრამატიკული შეუთავსებლობა უშლის ხელს. სემიტური სახელი მხოლოდითი რიცხვის ფორმაა, ქართველური კი – მრავლობითისა. ესეც რომ არ იყოს, საეჭვოა, ანბანის ასო-ნიშნის დასახელება მრავლობითი რიცხვის ფორმით გადმოცემათ, როდესაც ყველა ასო-ნიშნის სახელდება მხოლოდითით არის გადმოცემული და შეუძლებელია, რომ ანბანის აღნიშნული მახასიათებელი (სისტემურობა) ამ ერთ კონკრეტულ შემთხვევაში დაერღვიოს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „'ალეფ-ჭარის“ ეტიმოლოგიურ ურთიერთობას საფუძველი ერყვევა, რითიც მაგრდება ტრადიციული პალეოგრაფიისა და ენათმეცნიერების პოზიციები ქართველურ და სემიტურ ენათა გენეტიკური დამოკიდებულების არარსებობის შესახებ.<sup>34</sup> მიუხედავად ამისა, გამოვლენილი ფონეტიკურ-სემანტიკური ურთიერთობანი ('ალეფ=ყალიბ=ჭარ) გვთავაზობენ იმდენად მყარ ენობრივ და ისტორიულ სურათს, რომ მისი უგულვებელყოფა არ შეიძლება. პირიქით, ვინაიდან მართლდება თემურაჰის (Themurah) მეთოდი ერთი-მრავალი შესაბამისობის შესახებ, უნდა განვაგრძოთ ძიება -ებ აფიქსის შემცველი სიტყვის მისაკვლევად, სიტყვისა, რომელიც ზემოთ ნამოჭრილ წინააღმდეგობებს მოხსნის.

*მაშ, რომელი სიტყვისთვის იყო გამიზნული აღნიშნული -ებ სუფიქსი?*

## 16. ფინიკიური 'ალეფ, ქართველური კარი და ხარება

ერთადერთი სიტყვა, რომელიც ორივე პირობას აკმაყოფილებს, ე.ი. შეიცავს ძირს ჭარ და ამავე დროს მოითხოვს -epH/-ებ სუფიქსის დართვას, გახლავთ სიტყვა ხარება – სასიხარულოს თქმა; შუება, მხიარულება, განშუება, განცხრომა; სიხარული, გახარება, გაგება, შეტყობინება (საბა 1993:417; აბულაძე 1970:560; სარჯველაძე (1997:573), სადაც კ-ხ ურთიერთჩანაცვლება არც ერთი ქართვე-

<sup>34</sup> ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ პროფ. გ. ნერეთლის აზრით, ქართული ანბანი სემიტურ, კერძოდ არამეულ, ანბანთან არის დაკავშირებული.

ლისთვის (და მით უმეტეს უცხოელისთვის) არ იქნება მოულოდნელი და გასაკვირი (მდრ.: კანონზომიერი შესატყვისობა: ქართ., სვან. ჭან-/ჳნ, მეგრ., ლაზ. ხონ-, ხონ; ქართ. ჭარ და მეგრ. ხოჯ და ა.შ., ფენრიხი, სარჯველაძე 2000:710-11). ჭარ-ებ-ა სიტყვის კვლევის სფეროში შემოტანით იზრდება არა მხოლოდ ფინიკიური „'ალეფ“ სიტყვის ქართველური არქეტიპების რაოდენობა, არამედ ფართოდება შემოერთებული სიტყვების გრამატიკული ბუნებაც, რის შედეგადაც, „'ალეფის“ შესატყვისობები ორი სრულიად განსხვავებული კატეგორიისა და სემანტიკის მქონე ჯგუფით წარმოდგება – არსებითი სახელით (ყალიბი, ჭარი) და ზმნით (ხარება).

საძიებელი არქეტიპების რაოდენობის გაზრდა, სრულიად უცხოა ტრადიციული კომპარატივისტიკისთვის, მაგრამ შესაბამისობაშია ეზოთერული სწავლების მეთოდოლოგიასთან. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ეს გახლავთ მოქმედებაში მყოფი Themurah, ე. ი. როდესაც ყოველი მოცემული ერთი ერთეულისთვის („'ალეფ“) რამდენიმე საძიებელი (ქართველური) არქეტიპი მოიპოვება; ხდება Themurah-ის ერთ-ერთი აჟი მოდელის რეალიზაცია, რომლის საფუძველზეც, შემომატებული ჭარ და ხარ+ება სიტყვები კი არ უნდა გამოვთიშოთ ანალიზიდან, არამედ, პირიქით, დეტალურ კვლევაში უნდა ჩავრთოთ.

აღნიშნული დაშვების შემთხვევაში, ფონეტიკურ მსგავსებაზე დამყარებული ქართველური არქეტიპული სიტყვების შემცველი ჯგუფი წარმოიქმნება. ვინაიდან გამოვლენილი არქეტიპები ომონიმებს წარმოადგენენ, მხედველობის არიდან არ უნდა გამოვვრჩეს სემიტური „'ალეფის“ სხვა პოტენციური ომონიმი-არქეტიპებიც. აღნიშნული მიზეზების გამო, ამავე ჯგუფის „ლეგიტიმურ“ ნევრად უნდა ვაღიაროთ სიტყვა ხალეპო – „ავი“ (საბა 1993:414), რომელიც, ბგერითი თვალსაზრისით, სემიტურ „'ალეფთან“ უფრო ახლოს დგას, ვიდრე „ჭარი“ და „ხარ-ება“ (მდრ.: 'Āleph-ხალეპ-ო).

არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქართველურში გვაქვს კიდევ ორი სიტყვა, ხარ – ყოფნა ზმნის მეორე პირის მხოლოდითი რიცხვის აღმნიშვნელი ფორმა („შენ მყოფობ“, იქვე, 417) და რედუბლიკაციური ზმნა ხარხარი – „ბრიყული სიცილი“, „მაღალი და უშვერი სიცილი“ (იქვე, 418-99), რომლებიც გამოსაკვლევ ჯგუფს მათი სრული ბგერითი (ომონიმური) და არა სტრუქტურული თუ სემანტიკური მსგავსების საფუძველზე უერთდებიან (ხ „ყოფნა“ ზმნის შესაბამის ფორმაში ხ-ა-რ მეორე სუბიექტური პირის ნიშანია), ეს კი კაბალით გამოშალე-ბული უძველესი ქალდეური მეთოდის, ერთ-ერთი პრინციპია.

გამოდის, რომ ეზოთერული სისტემის მიერ შემოთავაზებული ე.წ. იგივეობრიობის მეთოდის გამოყენების და ფონეტიკური თუ სემანტიკური მსგავსების საფუძველზე, ფინიკიური ანბანის პირველი

ასო-ნიშნის სახელს „'ალეფ“ ექვსი ქართველური შესატყვისობა მიესადაგება. ექვსივე სიტყვა სპეციფიკური ქართველური ბგერებით იწყება: ა) ყ – პოსტველარული გლოტალიზებული ხშული, ბ) ჳ – პოსტველარული ყრუ ხშული; გ) ხ – ველარული ყრუ სპირანტი. სამივე ქართველური ბგერა ერთ სემიტურ ნიშანს (') შეესაბამება.<sup>55</sup>

მაშასადამე, ფინიკური „'ალეფის“ შესაძლო ქართველური არქეტიპების ჯგუფი რთული და მრავალშრიანი წარმონაქმნია, რომელიც შედგება შემდეგი ერთეულებისგან:

არსებითი სახელი:

1. ყალიბ-ი (რომელსაც ქვემოთ მოყვანილ ანალიზში აღარ შევხებით);
2. ჯარ-ი (მამალი ზროხა).


ზმნა:

3. ხარ-ებ-ა (სასიხარულოს თქმა);
4. ხარ (ყოფნა ზმნის ანმეოს მწკრივის მხ. რ. მეორე პირი);
5. ხარხარ-ი (ბრიყული სიცილი, მაღალი და უშვერი სიცილი).

ზედსართავი სახელი:

6. ხალეპ-ო (ავი).

მეტი თვალსაჩინოებისთვის მოვიყვანოთ აღნიშნული ქართველური ჯგუფისა და სემიტური „'ალეფის“ სქემატური გამოსახულება:



ჩვენ წინაშეა ექვსწევრა, უჩვეულო ფონეტიკურ-სემანტიკური წარმონაქმნი, რომლის გამაერთიანებელი პრინციპი, ენათმეცნიერებაში გაბატონებული ტრადიციული აზრის სანიშნაოდ, ფონეტიკურად იდენტურ და სემანტიკურად განსხვავებულ სიტყვებში ძევს. სემანტიკურად განსხვავებული, მაგრამ სხვა მხრივ იდენტური სიტყვები ზრდიან ჩამოყალიბებული ჯგუფის სემანტიკურ პოტენციას; უფრო მეტიც, მათი მნიშვნელობების საფუძველზე წარმოდგე-

<sup>55</sup> თანამედროვე ებრაულში არსებობს ' აღნიშვნის ამოვარდნის ტენდენცია, რაც მისი განსხვავებული წარმომავლობის ნიშნად მიგვაჩნია.

ბა მთლიანი ჯგუფი, როგორც ზეინფორმაციული მექანიზმი, სადაც სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა დეზინაციისა და სინფიკაციის ფუნქციებს კი არ ასრულებს, არამედ მეთაურ სიტყვასთან ('ალეფ) დაკავშირებულ ისტორიულ-კულტუროლოგიურ ინფორმაციას გვთავაზობს. აღნიშნული ინფორმაციის სრული დემიფირებისთვის, უპირველეს ყოვლისა საჭიროა, თითოეული წევრის ფუნქციური დატვირთვის განსაზღვრა; უნდა გაირკვეს ის სემანტიკური წილი, რომლითაც თითოეული ქართველური სიტყვა მთლიანი ინფორმაციული სისტემის აღშენებაში იღებს მონაწილეობას. იმის გამო, რომ აღნიშნული ტერმინების მოკლე მიმოხილვაც კი საკმაოდ შორს წაგვიყვანს განსახილველი თემიდან, მათ, მოკლედ, მხოლოდ დამწერლობასთან კავშირში განვიხილავთ.





**ნაწილი II**

**ქართველური ზეინფორმაციული ჯგუფის  
სემანტიკა**



# 1. კარი, როგორც დამწერლობის სიმბოლო

შუმერული პიქტოგრამები. „კარი“, როგორც დამწერლობის სიმბოლო, სამეცნიერო ლიტერატურაში, „ლია ტექსტით“, ჯერ-ჯერობით არსად არ გვხვდება. სამაგიეროდ, ხელოვნების ნიმუშებში და, უპირველეს ყოვლისა, როგორც დამწერლობის, ისე რელიგიურ ძეგლებში, ნამოყენებული დებულების დამადასტურებელი მასალა მრავლად მოიპოვება. მათი განხილვა მით უფრო საინტერესოა, რომ მსგავსება ქართველურ მონაცემებთან კვლევის ფართო დიაპაზონს გვთავაზობს. ამ მხრივ, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია პირველი სადამწერლობო ნიშნებით აღბეჭდილი შუმერული თიხის ფირფიტები არქაული ურუქიდან (ძვ.წ. 3200-3100 წწ.).

შუმერში კარის რამდენიმე გამოსახულება არსებობდა: ა) კარის თავის რეალური გამოსახულება (სურ. 12ა); ბ) კარის თავის სტილიზებული ფორმა, რომელიც, მოგვიანებით, პიქტოგრამის სახით გვხვდება (სურ. 12ბ) და გ) ქართული ასომთავრული „კარის“ იდენტური მონახაზი (სურ. 12გ):

ა	ბ	გ
სურ. 12ა. კარის თავის რეალური გამოსახულება არქაული პერიოდის იარლიყზე ურუქიდან (Szarzynska 1997:198, ცხრილი 2, ნიშანი 4).	სურ. 12ბ. კარის თავის პიქტოგრამა არქაული პერიოდის ურუქის თიხის ფირფიტებზე (იქვე).	სურ. 12გ. ქართული ასომთავრული კარის გამოსახულება არქაული პერიოდის სარეგისტრაციო გაიგივებისთვის გასაღებ ფირფიტაზე (იქვე).

„კარის“ მოყვანილი სამი გამოსახულებიდან <sup>ა ბ გ</sup> ორი მათგანის სახელი ქართველური სიტყვების იდენტურია. კარის სტილიზებული თავის <sup>ბ</sup> დასახელებაა PA-RAD-(GUD). GUD შუმერულად აღნიშნავს „ხარს“, ქართველურად კი ცხოველის, მათ შორის ხარის ტყავისგან დამზადებულ ტომარას, შთასადებელს. გუდას შუმერული და ქართველური მნიშვნელობები – ხარი და ხარის ტყავისგან დამზადებული საგანი – ერთმანეთთან მეტონიმურად არიან დაკავშირებულნი (მესხი 2000). მეტიც, ლექსიკური სემანტიკის ტერმინოლოგია რომ მოვიშველიოთ, ისინი ერთი და იმავე ლექსემის განსხვავებული ლექსიკურ-სემანტიკური ვარიანტებია, რაც მხოლოდ ერთი და იმავე ენობრივი სისტემის კუთვნილება შეიძლება იყოს. როგორც ვხედავთ, ქართველურ-შუმერული წყვილი მნიშვნელობის თვალსაზრისითაც იდენტურია.

აღნიშნული ქართველურ-შუმერული სიტყვების ფონეტიკურ-სემანტიკური იდენტურობის არაშემთხვევითი ბუნება კვლავ შუმერულ-ქართველური ენობრივი და დამწერლობითი (ნაიკითხე როგორც ანბანური) მონაცემებით დასტურდება. მხედველობაში გვაქვს ქართული ასომთავრული ასო „წარისა“ და შუმერული გამოსახულების (ჰ) იდენტური გრაფიკა. შუმერული ნიშნის სახელი უცნობია, მაგრამ ქართველური ანბანური მასალის მიხედვით, მისი სახელი უნდა იყოს „წარი“. ჩვენი მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს თვით შუმერული ენის ლექსიკაც, რომელშიც არსებობდა სიტყვა „Har, ანუ წარი“.

დეტერმინანტის მიხედვით, „Har ჩვეულებრივი ცხოველი არ არის; ის ღვთაებრივი „წარია“, ისე, როგორც ქართული ასომთავრული „წარი“. მეტიც, ნიშანთა გრაფიკული იდენტურობა და ღვთაებრიობის სტატუსი საშუალებას გვაძლევს, გავაიგივოთ არა მხოლოდ შუმერული ნიშანი (ჰ) და მისი სახელი, არამედ, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, განვსაზღვროთ ჰ ნიშნის რელიგიური ასპექტიც.

ზემოთ უკვე იყო მსჯელობა, რომ, შუმერული რელიგიური შეხედულებების თანახმად, „წარი“ (ჰ) მთვარის შვილია, ასტრალური ღმერთის მინიური და ზოომორფული განსხეულება დედამიწაზე. ითქვა ისიც, რომ აღნიშნული მამა-შვილის მოდელი უშეცდომოდ არის დაფიქსირებული ქართული ასომთავრული ანბანის ღვთაება ასო-ნიშნებში, სადაც „ანი“ (C) იწყებს ანბანს და, შეიძლება ითქვას, ყველა ასო-ნიშნის მამაა, ხოლო „წარი“ 34-ე ადგილზე დგას და, მაშასადამე, „ანთან“ მიმართებაში შვილის სტატუსი გააჩნია. აღწერილი შუმერულ-ქართველური მოდელების ჰარმონიული ურთიერთშეთავსება მიგვითითებს, რომ უძველეს ურუქის თიხის ფირფიტებზე აღმოჩენილი ნიშნის (ჰ) სახელი კარგად ცნობილი „Har სიტყვაა“.

შემოთავაზებული დემიფრირების ჭეშმარიტ ბუნებას კვლავ შუმერული ხელოვნების ნიმუშები გვიდასტურებენ. მე-13 სურათზე გამოსახულია რელიგიური მსვლელობის ცერემონიალი წინაღინასტიური ხანის საბჭქდავზე კისურადან. მასში, შუმერული „წარი“ (ჰ) და ქართული ასომთავრული ანბანის ასო-ნიშანი „წარი“ (ჰ) ცერემონიისთვის გამოყენებული შტანდარტია, ე.ი. ღვთაებაა.



სურ. 13. წინაღინასტიური ხანის საბჭქდავი კისურადან, აბუ-შატაბ (Szarzynska 1997:103).

ილუსტრირებული მასალის საფუძველზე ნათელი ხდება, რომ არქაული ურუქის პერიოდში პირველ სადამწერლობო ნიშნებს შორის „ჭარის“ სამი გრაფიკული გამოსახულება გამოიყენებოდა: ნატურალური, სტილიზებული, ანუ პიქტოგრაფიული და გეომეტრიული (ანუ ანბანური). ამათგან ერთ-ერთი, რომელიც აბსტრაქციის ყველაზე მაღალი საფეხურის გამოვლინებას წარმოადგენს, შუმერული და ქართული პიქტოგრაფისა თუ ასომთავრული ანბანის ასონიშან „ჭარის“ გამოსახულებაა, რომელთა იდენტური სემანტიკურ-ფუნქციური დატვირთვა მათ გენეტიკურ ნათესაობაზე მიუთითებს.

იდენტური ფონეტიკურ-სემანტიკური ასპექტების მქონე შუმერული და ქართველური *Gud*-გუდა და *\*Har*-ჭარი, არაორაზროვნად მიუთითებენ მკვდარი შუმერულისა და ცოცხალი ქართველური ენობრივი მასალის იგივეობაზე, რაც განუზომლად დიდ მნიშვნელობას იძენს. ის ფაქტი, რომ სამი უძველესი (ურუქი IV) შუმერული სადამწერლობო ნიშნიდან ორი, ანუ დაახლოებით 70%, ქართველურ ენობრივ მასალასთან არის ნილნაყარი, ამ ორი ენის ნათესაობაზე მეტყველებს.<sup>1</sup>

**ეგვიპტური იეროგლიფები.** შუმერული რელიგიური სისტემით ნასაზრდოებმა „ჭარის“ მრავალპლანიანმა სიმბოლიზმმა (ღვთაებრიობა, ძალაუფლება, ნაყოფიერება და სხვ.) დიდად განაპირობა მისი სადამწერლობო ნიშნად გამოყენება, როგორც იეროგლიფურ, ისე ანბანურ სადამწერლობო სისტემებში. დღესდღეობით, ჩვენს ხელთ არსებული არქეოლოგიური და ისტორიული მასალა გვიდასტურებს ამ დებულებას, ვინაიდან შეუძლებელია, რომ „ცივილიზაციის აკვნად“ ცნობილ ტერიტორიაზე დაბადებული უდიდესი კულტურების (შუმერული, ეგვიპტური, ხათური და ა.შ.) რელიგიურ სისტემებში დაფიქსირებული „ჭარის“ მრავალმხრივი სიმბოლიკა ორგანულ კავშირში არ ყოფილიყო მათივე დამწერლობასთან. მივმართოთ ეგვიპტურ იეროგლიფიკას.

შუმერთან შედარებით, დამწერლობა ეგვიპტეში ოდნავ გვიან იწყებს ჩამოყალიბებას. ეგვიპტური ტერმინი იეროგლიფი *ლმერთის* სიტყვას ნიშნავს (Forman, Quirke 1996:10), რაც მის საკრალურ და ღვთაებრივ არსზე მიუთითებს. ღვთაებრივი ბუნების გამო, იეროგლიფები მხოლოდ რელიგიური მიზნებისთვის გამოიყენებოდა – ტაძრებსა და აკლდამებში წარწერების შესასრულებლად.

ეგვიპტური მრწამსის მიხედვით, სიტყვები საგნების შესახებ

<sup>1</sup> „ჭარის“ გამოსახულების ინფორმაციული პლანი მხოლოდ ამით არ ამოიწურება. მის კავშირებზე ქართულ ასომთავრულ „დონთან“ საუბარი იყო ჩვენს ნაშრომში, რომელიც მოხსენებულ იქნა გერმანიაში, ორიენტალისტთა საერთაშორისო კონფერენციაზე (შუმერული კულტურა და მიკუს ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზი, პალე ან დერ ზალე, სექტემბერი, 2004).

არსებულ ღრმა ცოდნას ატარებენ; ესაა რწმენა, რომელიც იეროგლიფებზეც ვრცელდება, ვინაიდან ეგვიპტურ სურათხატოვან დამწერლობაში ისინი თავად წარმოადგენენ დამოუკიდებელ სიტყვებს „ჴარის“ მრავალგვარი გამოსახულების ჩათვლით.

ჴარის თაყვანისცემა ეგვიპტურ ცივილიზაციაში ნეოლითურ ხანიდან შეიმჩნევა. ჩრდილოეთ დელტაში, მერიმდეს ნეოლითურ კულტურაში, ნაპოვნია გამომწვარი თიხის ხარის თავი. მეცნიერთა ნაწილი ფიქრობს, რომ ეს საგანი შესაძლებელია უკავშირდებოდეს „პატარა ამულეტის ხარის თავებს წინადინასტიური და დინასტიური ეპოქიდან და წარმოადგენს შედარებით გვიანი ისტორიული ხანის ხარის კულტს“ (Lurker 1986:13). ალბათ, მრავალი, ჯერ კიდევ აღმოუჩენელი ნიმუშის გვერდით, ეს ხარის უდიდესი თაყვანისცემის პირველი „მერცხალია“ ეგვიპტურ ცივილიზაციაში.

„ხარის გამოსახულება ქვეყნის (ეგვიპტის, ა. მ.) რელიგიურ და კულტურულ ცხოვრებას მისი დასაწყისიდან დასასრულამდე მსჭვალავს. მზისა და მთვარის ეპითეტები იყო 'ზეციური ხარი'; „ნუნ“, ანუ უპირველესი წყლებიც, ხარის თავით იყო გამოსახული ისევე, როგორც ხარის გამოსახულებით შეიძლებოდა მდინარის აღიდება გადმოცემა; აქედან წარმოდგება ტერმინი 'ხარის საჩუქარი'. „ითიფაღურ ღმერთებს, „მინის“ და „ატუმს“, „კამუტეფი“, ანუ 'დედის ხარი' ეწოდებოდა. ახალი სამეფოს ხელმწიფენი ხშირად მოიხსენიებიან ეპითეტით 'ძლიერი ხარი' ან 'ჴორუსის ძლიერი ხარი', მაშინ, როდესაც არქაულ ხანაში მმართველი პიროვნება ყოველთვის ხარის სახით იყო გამოხატული, ისე, როგორც ეს ნარმერის პალეტზეა მოცემული, სადაც მეფე ქალაქის კედელს რქებით ანგრევს და მის დამცველს ჩლიქებით მიწაზე თელავს“ (იქვე, 36).

წინადინასტიურ და არქაულ პერიოდში, ავი ძალების უკუქცევის რწმენით, საკრალური შენობები და საკურთხეველები წმინდა ხარების თავებით იყო მორთული ხოლო ისტორიულ პერიოდში ხარის თავებს ბუნზე წამოაცვამდნენ ხოლმე (მაგ. რამზეს III-ის აკლდამასთან). ჰათორის კულტის თავდაპირველ სიმბოლოს ორი ხარის თავი ჰქონდა, ნაცვლად ადამიანის თავებისა (იქვე, 36). ხარის თაყვანისცემის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს ჰელიოპოლისის არქაული ფეტიშის „იუვენის“ სვეტი, რომლის წვერზეც ხარის თავი იყო დამაგრებული. სვეტის აღმართვა დიდი ზეიმით ხდებოდა. მოგვიანებით, სვეტი ჯერ მთვარეს, ხოლო შემდეგ ოსირისს დაუკავშირეს (იქვე, 72).

ხარის კულტის ცენტრალურმა ფიგურამ ქვეყნის სხვადასხვა ადგილას გაღმერთებული, განსხვავებული ძალების მქონე ხარის ღვთაებებად გადააზრება გამოიწვია: მაგალითად, ხარი აპისი 'შემოქმედი ღმერთის პტახის დიდებული სული' იყო; ბუქისი, რომელსაც ჰერმონთისში ეთაყვანებოდნენ, 'მონთის ცოცხალ სახედ' და „რესა“ და „მნევისის“ ხარად ითვლებოდა... (იქვე, 36).

ხარის დომინანტურ ცნებაზე დამყარებული კულტურისთვის უჩვეულო არ არის მის გამოსახულებაზე დაყრდნობილი რამდენიმე ასეული იეროგლიფის შემუშავება, რომელთაგან სამი განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. ესენია: ა) ხარის თავის რეალისტური გამოსახულება  $\text{ჰ}$  (სურ. 14ა); ბ) ცხოველის სტილიზებული სახე (ჰათორის იეროგლიფი; (სურ. 14ბ); გ) რქების რეალისტური გამოსახულება ფონოგრაფის ღირებულებით  $\text{ჰ}$  (სურ. 14გ), ან  $\text{wp}$  (Allen 2002:429).



სურ. 14 ა, ბ, გ. ეგვიპტური იეროგლიფები ხარის გამოსახულებით (Budge 1966:63; 1934:228; Allen 2001:29).

შუმერული და ეგვიპტური სურათხატოვანი დამწერლობის ნიმუშების შედარებისას შეუძლებელია, თვალში არ გვეცეს მათი საოცარი გრაფიკული მსგავსება და უმნიშვნელო განსხვავება: პირველ ნყვილში ( $\text{ჰ}$  სურ. 12ა, 14ა) ხარის სახე სანინაალმდეგო მიმართულებითაა გამოსახული; მეორე ნყვილში ( $\text{ჰ}$  სურ. 12ბ, 14ბ) ხარის თავის სტილიზებულ გამოსახულებებს შორის ეგვიპტური ჰათორის სიმბოლოს ( $\text{ჰ}$ ) შუმერული გუდისგან ( $\text{ჰ}$ ) მხოლოდ ყურები და მცირე ვერტიკალური ხაზი განასხვავებს, ხოლო მესამეში ( $\text{wp}$  12გ, 14გ), შუმერული  $\text{ჰ}$ -ისა და ქართველური  $\text{ჰ}$ -ის მოგრძო ვერტიკალური ფეხი მათ ეგვიპტური  $\text{wp}$  ასოსგან განარჩევს. აღნიშნული განსხვავებანი სადამწერლობო ნიშნების ძირითადი მონახაზის დამატებითი ელემენტებია, რაც მიუთითებს ამ სიმბოლოების შექმნელთა მიერ განუულ დიდ გარჯაზე, რათა ნიშნებს შორის არსებული მსგავსებანი თვალში საცემი არ ყოფილიყო; უფრო მეტიც, მათ მეორადი და არც თუ უმნიშვნელო ფუნქციაც გააჩნდათ, კერძოდ, მოეხდინათ ასონიშნების ძირითადი ნაწილების და, მაშასადამე, მთლიანი ნიშნების იდენტიფიკაცია. მაგალითისთვის ავიღოთ ჰათორის სიმბოლოსა და „ჰარის“ გეომეტრიული გამოსახულების ქართველურ-შუმერულ ნიშანთა ვერტიკალური ხაზი, რომელიც „ჰარის“ სტილიზებულ და აბსტრაქტულ-გეომეტრიულ ნიშნებს ერთმანეთთან აკავშირებს.

აღნიშნული ვერტიკალური ხაზი სხვა ფუნქციითაცა არის დატვირთული. გეომეტრიული ნიშნებისგან განცალკევება და ხარის სტილიზებულ გამოსახულებებზე დართვა, ააშკარავებს ვერტიკალური ხაზის განსაკუთრებულ უნარს, იმოძრაოს არა მხოლოდ ქართველურ-შუმერულ და ეგვიპტურ ნიშნებს შორის, არამედ საკუთრივ ქართველურსა და შუმერულს შორისაც ( $\text{ჰ}$  და  $\text{ჰ}$ ). ამ ნიშნების ზედა ნაწილის ანალოგიურ მოძრავ ხასიათზე მიუთითებს ეგვიპტური იეროგლიფი  $\text{wp}$   $\text{V}$ , რომელიც აღნიშნული სიმბოლოების მხოლოდ ზედა ნაწილის რეალისტური ვარიანტია.




ანალიზს მიყვავართ უალტერნატივო დასკვნამდე: ქართველური და შუმერული ხარის სანერი ნიშნები რთული ასაწყობ/დასაშლელი მექანიზმია, რომელიც ორი ნაწილისგან შედგება: ა) ვერტიკალური ხაზისა | და ბ) ზედა თავ-გახსნილი მართკუთხედისგან **⌒**. ისინი ხარის თავის განსხვავებული ნაწილებია, რომელთა იდენტიფიკაციისთვის დავიმოწმებთ ვ. ბარდაველიძეს: "В наиболее ранних надписях асомтаврали (V-VI вв.) х гортанное обозначается более угловатым знаком, а впоследствии – с удлинненной или скошенной нижней чертой. Но, несмотря на эти детали, в целом он представляет собой схематическое изображение символа священного животного грузии – голову, или вернее, морду и рога быка" (Бардавелидзе 1957:202; ხაზგასმა ჩვენია – ა. მ.). ჩვენ ხელთ არსებული მასალის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ქართული ასომთავრული და, მაშასადამე, შუმერული ხარის ზედა ნაწილი **⌒** ცხოველის რქებია, ხოლო ქვედა | ნარმოადგენს მაქსიმალურად სტილიზებულ ნაწილს შუბლიდან ცხვირის ჩათვლით.

ქართველური, შუმერული და ეგვიპტური სანერი ნიშნების აღწერილი გარეგნული იგივეობა და გრაფიკული ურთიერთკავშირები გვთავაზობენ სერიოზულ ფაქტებს, რომლებიც ამ ნიშნებს შორის გაცილებით უფრო რთულ და გასაიდუმლოებულ ურთიერთობებზე გვითითებენ, ვიდრე ეს აქამდე იყო ცნობილი. ნარმოდგენილმა ანალიზმა სააშკარაოზე გამოიტანა იეროგლიფების ერთ-ერთი საიდუმლო; კერძოდ ის, რომ ეგვიპტური რქების რეალისტური ხატი ნარმოდგენს ქართული ასომთავრული ჭარისა და შუმერული უსახელო პიქტოგრაფის (**⌒**) ნაწილს; მეტიც, ეგვიპტური იეროგლიფი ქართულ ასომთავრულ (**⌒**) და შუმერულ (**⌒**) ნიშნებთან მთელისა და ნაწილის ისეთივე ურთიერთობას ამყარებს, როგორც ქართველურ და ფინიკურ ასო-ნიშნებს შორის აღმოჩნდა (ანი-'ალეფ, ლანი-'აინ).

ქართველურ, შუმერულ და ეგვიპტურ სანერ ნიშნებს შორის აღმოჩენილ ურთიერთობებს სხვა იეროგლიფებიც ადასტურებენ, რაც ეგვიპტელი (ისევე, როგორც შუმერი) ქურუმების მიერ ქართული „ჭარის“ სიმბოლოს გეომეტრიული ვარიანტების საკმაოდ კარგ ცოდნაზე მიუთითებს. მხედველობაში გვაქვს ე.წ. შენობების ნაწილების აღმნიშვნელი იეროგლიფები, რომლებიც ჰ. პეტრიეს (Petrie H.) ნიგნში *Egyptian Hieroglyphics of the First and Second Dynasties* არის მოცემული (ცხრილი XXVI, 606-614, განსაკუთრებით 606-608; სურ. 15, გვ. ).

მასზე ილუსტრირებული ნიშნები „ჭარის“ იეროგლიფებია, ვინაიდან ეგვიპტური იეროგლიფების შექმნის საიდუმლოებას ააშკარაებენ. ნათელი ხდება, რომ ეგვიპტური იეროგლიფები, უპირველეს ყოვლისა, ქართული ასომთავრული ჭარის, ხოლო შემდეგ „ჭარის“ მთლიანი ქართველურ-შუმერული ჯგუფის (**⌒** - **⌒**) შესწავლის შედე-

გად გამოვლენილი გრაფიკული აგებისა და სემანტიკური დატვირთვის იდენტურ პრინციპებს ემყარებიან. ქართველური, შუმერული და ეგვიპტური სანერი ნიშნების ზედაპირული შედარებაც კი საკმარისია იმისთვის, რომ მოვახდინოთ ასირიოლოგიისთვის დღემდე ამოუცნობი შუმერული იეროგლიფის (𒀪), ეგვიპტური „საყრდენის“ (𓆎) და ქართული ასომთავრული „ჭარის“ (Ⴀ) სრული იდენტიფიკაცია. სამივე ნიშნის მსგავსების ახსნა შემთხვევითობით გამორიცხულია. ფინიკიური ‘აინის მსგავსად, ეგვიპტური 𓆎 გათვლილია არა იმდენად საკუთარ სადამწერლობო სისტემაზე, რამდენადაც ქართველურ (და შუმერულ) სისტემებზე, რაკი მხოლოდ ქართული ასოს მეშვეობით



სურ. 15. შენობის ნაწილების აღმნიშვნელი იეროგლიფები (Petrie 1927, ცხრ. XXVI, 606-614).

ეფინება ნათელი მისი შექმნის ჭეშმარიტ მიზეზებსა და წარმომავლობას. დამატებით დამამტკიცებელ ფაქტებს გვთავაზობს ქართველური „ჭარის“ ვარიანტული დანერილობაც (Ⴁ) და ეგვიპტური „საყრდენის“ ნიშანი 610 (სურ. 15), რომელიც უმცირეს დეტალებშიც კი ემთხვევა თავის ქართველურ პარალელს. ამიტომ, მიუხედავად ათასწლიანი გეოგრაფიული და ქრონოლოგიური დისტანციისა, სამივე ნიშანი, გრაფიკულად, ერთი და იმავე „ხარის“ გამოსახულებას წარმოადგენს და კვლავ ქართველური კულტურიდან მომდინარეობს.

„საყრდენის“ იეროგლიფების გამოვლენილი გრაფიკული და შინაარსობრივი მსგავსებანი ჰელიოპოლისის ენეადის ერთ-ერთ ღვთაებას, სუნთქვისა და ჰაერის ღმერთს („შუ“) ეხმიანება. „შუ“ პირველშობილი ცხრა ღმერთის თაობას მიეკუთვნებოდა. ისინი სანყისი წყლების ღმერთმა („ნუ“) შვა. შუსა და მის დას ხუთი შვილი ეყოლათ: გები და ნუტი, ოსირისი და ნეფთისი და სეტი. ნუტსა და გებს ერთმანეთი შეუყვარდათ. ეს ურთიერთობა არ მოენონა ამუნს

და სთხოვა შუს, რომ გამიჯნურებული წყვილი ერთმანეთისთვის დაემორებინა. შუმ ანია ზეცის ღმერთი ნუტი და ხელეებზე დაიყრდნო. მოყვანილ ილუსტრაციში „შუ“ გამოსახულია ამ რთული დავალების შესრულების შემდეგ (ილ. 1, გვ. 525).

თუ „შუს“ უმარტივესი გრაფიკული ფორმით წარმოვადგენთ, მივიღებთ ადამიანის გამოსახულებისადმი მისადაგებული „საყრდენის“ იეროგლიფის იდენტურ გამოსახულებას. სქ შუს პოზის, „საყრდენის“ იეროგლიფისა და ქართული ასომთავრული „ჭარის“ გრაფიკული იდენტურობა ადასტურებს ღმერთის დაფარული ღვთაებრივი ხარის სახის არსებობას. ესაა იპოსტასი, რომელიც მრავალ ღმერთს გააჩნდა. ამრიგად, ტრადიციულად აღიარებული, ერთმანეთთან დაუკავშირებელი ეგვიპტური „საყრდენის“ ვარიანტული იეროგლიფიკა და ღმერთი „შუ“ ქართულ ასომთავრულ „ჭართან“ ისეთივე ურთიერთმიმართებას, ურთიერთშეთანხმებასა და ჰარმონიას ამჟღავნებენ, როგორსაც შემერული წყვილი ქართველურ მასალასთან მიმართებაში.

„შენობათა ნაწილები“ მსგავსად, „ჭარის“ კონტექსტიდან ამოვარდნილია კიდევ ერთი იეროგლიფი, რომელიც 22-ე ნომრად არის წარმოდგენილი Budge-ის ნაშრომში (სურ. 16, Budge 1966:53). იეროგლიფი ანთროპომორფული გამოსახულებაა, რომელსაც ხელში ქართული ასომთავრული ჭარის იდენტური საგანი უჭირავს. განმარტებაში ვკითხულობთ: „რას ხელთ უპყრია აღმოსავლეთისა და დასავლეთის ჰორიზონტების კვერთხები“ (იქვე).



სურ. 16

კვერთხის ინსიგნიის ფუნქცია და მისი გრაფიკა არაორაზროვნად მიუთითებს იმაზე, რომ რას მიერ ხელთპყრობილი კვერთხი ღვთაებრივი ხარია (შდრ.: შემერული „Har). წარმოჩენილი მასალა ნათელს ჰფენს არა მხოლოდ კიდევ ერთი ქართული ასომთავრული ჭარის იეროგლიფის არსებობას ეგვიპტურში, არამედ მიუთითებს „შურას“ ტოლობაზეც, ვინაიდან რას კვერთხი ქართველური ღვთაებრივი „ჭარისა“ (ქ) და ეგვიპტური „საყრდენის“ (⸎) გაერთიანებული სახეა. ამ ახალგამოვლენილ ღვთაებრივ ერთებას (შუ=რა) კიდევ უფრო შორს მიჰყავს შუს ხარისეული იპოსტასი, სადაც იგი რას ღვთაებრივი ხარის Bkha-ს ხატს ერწყმის. Bkha-ს ჰერმონთისში ეთაყვანებოდნენ.

აღნიშნული სახელის შემოტანა ახალ ნაპერწკალს ანთებს ქართველურ-ეგვიპტურ ურთიერთობებში, რადგანაც ქართველურ-შემერული იგივეობრიობის მსგავსად (ჭარ=Har, გუდა=Gud), სახელი Bkha ქართველური ლექსიკის სიღრმეებიდან მომდინარეობს.

## 2. Bkha-ს ლინგვისტური და კულტუროლოგიური ანალიზი

Bkha ერთ-ერთი ეგვიპტური ხარის ღვთაების სახელია. ეგვიპტურმა თანხმოვანოტაციამ, რომელიც ხელს უშლის სახელწოდების პირვანდელი ფონეტიკური შედგენილობის ზუსტ აღდგენას, სახელის მრავალგვარი წაკითხვა და დანერილობა განაპირობა: Bakh ან Bacis (Mackenzie 1913:71), Basis ან Pacis (Budge 1934:75), Bachis, Bakha (Budge 1978:601a, 869b), Buchis (Lurker 1986:35). ღვთაებრივ ხარს Bkha თებეს სამხრეთით მდებარე ქალაქ ჰერმონთისში (არმანტ) ეთაყვანებოდნენ. იგი „რასა და ოსირისის ინკარნაციად მიაჩნდათ, ისევე, როგორც მისი მენყვილე ხარი – აპისი, მემფისში“ (Lurker 1986:35). Bkha ომის ღმერთის – მონთის (მონტუ) საკრალური ცხოველია, რომელიც ეგვიპტურ რელიგიაში მე-11 დინასტიის უცხოური წარმოშობის მეფეებმა შემოიტანეს. სიკვდილის შემდეგ ხარს დიდი პატივით კრძალავდნენ უზარმაზარ მინისქვეშა კატაკომბებში, რომლებსაც ბუქეუმი (Bucheum) ეწოდებოდა (იქვე, 35).

Bkha, ისევე როგორც Bucheum, ქართველური წარმომავლობისაა. მისი ბგერითი მხარე ემთხვევა ქართველურ პოლისემანტურ სიტყვას ბულა, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელობა ჭარია.

ბულა	დაუკოდავი ხარი (კამეჩი), რომელსაც სანაშენედ ინახავენ, კურო;
ბულ-რ-ა-ობ-ს	რქითა და ტორით მინას თხრის და ბუბუნებს (ხარი შეჭიდების წინ). შდრ.: ბულ-რ-ა-ობ-ა, მო-ბულ-რ-ავ-ე;
ბულრაობა	სახელი, ბულრაობს ზმნის მოქმედებისა (ქეგლ 1950:1192-93);
ბულრანაყობა-ღ	(თუშ.) ბულრაობა, ხარების მიერ მინის თხრა ფეხითა და რქით (თ. უთურგ.; ლლონტი 1984:96);
ბულრაობა	რა ჭარი რქით მინას ბრდღვნიდეს ZA (საბა 1991:123);
დათუ	(დათვი BCDE) (ოთხფ.) დათვი არს მკვეცი მძვინვარე; დათვსა უწოდენ ვარსკვლავსა, რომელსა ზედა ბრუნვენ ცანი; დათვსა უკმობენ მდაბიონი ბულაურსა ZA (იქვე, 189);
ბულა-ურ-ი	1. სვეტის თავი. 2. სვეტის თავზე დადებული ხის ნაჭერი, რომელზეც დაყრდნობილია მთავარი კოჭი, ბალიში (ქეგლ 1990:138);
ბულ-ა-ურ-ი,	(ქართლ.) იგივეა, რაც დედა-ბოძი (ს. მენტეშ.; ლლონტი 1984:96);

ბულ-ა-ურ-ი <sub>2</sub>	(ქიზიყ.) ბოძის თავზე დადებული დაჭრელე-ბული ხე;
ბულაური	სვეტის თავი (ZAB <sup>1</sup> ). ბოძის თავი CDE;
ბულდა	ნ. საბულდაო] (საბა 1991:123);
ბულღეჯ-ა-ი	(თუშ.) ზღაპრული საშიში არსება, რომლის სახელითაც ბავშვებს აშიინებენ (პ. ხუბ.; ლლონტი 1984:96);
ბულ-ობ-ია	(აჭარ.) ბავშვთა თამაშობაა ერთგვარი (შ. ნი-ჟარ.; ლლონტი 1984:96);
საბულდაო	საზღაური ZA (საბა 1991:22);
ბულღა	(-წჳშ, -წჳლ ბზ., -წჳშ, -წჳოლ ბქ., -წჳშ, -წჳლ ლმხ., -წჳშ, -წჳრ ლნტ.), ზოოლ. ბულა, კურო (თოფურია, ქალდანი 2002:158-59).

ეგვიპტური და ქართველური სიტყვები თითქმის იდენტურია. თუ ქართველურ „ბულას“ ეგვიპტური ნოტაციის კანონების მიხედვით ჩავენერთ, მივიღებთ ზღა ფორმას. ერთადერთი განმასხვავებელი ბგერა არის ველარული სპირანტი ღ, რომელიც არტიკულაციის თვალსაზრისით დიდ წინააღმდეგობებს უქმნის არაქართველებს. როგორც ეს „ალეფის“ ანალიზის დროსაც იყო აღნიშნული, სპეციფიკურ ქართველურ თანხმოვნებს, სხვადასხვა ენები, საკუთარი ფონოლოგიური სისტემიდან გამომდინარე, განსხვავებული ბგერათკომპლექსების მეშვეობით აღნიშნავენ. ეგვიპტური bkha უჩვენებს, რომ ქართველური „ბულას“ ფონოლოგიური ნოტაციისას იმავე პროცესს ჰქონდა ადგილი. თუ ეგვიპტურ kh კომპლექსს ველარული სპირანტით – (ღ) ჩავანაცვლებთ, ეგვიპტური დანერილობა bkha გარდაიქმნება ზღად. რეკონსტრუქციის სისწორეს ადასტურებს გასაანალიზებელი სიტყვების ბგერითი მხარეც და მათი სემანტიკური იგივეობაც, რადგან ორივე ერთსა და იმავე ცხოველზე („ჭარი“) მიუთითებს. ეგვიპტური ნოტაციით ჩანერილი ქართული „ბულა“ („ბლა“) არქეტიპის სრული რეკონსტრუქციისთვის ფუძისეულ ხმოვნად უ-ს გეკარნახობს. აღდგენითი პროცესის ფონეტიკური ჯაჭვი შემდეგნაირად შეიძლება წარმოვადგინოთ:

ეგვიპტური		ქართველური
bkha	=	ბლა < ბულა

ქართველური „ბულას“ მეშვეობით წარმოებულ ეტიმოლოგიზებას ადასტურებს Bkha-ს გახმოვანების ვარიანტი Buchis, სადაც სხვა ფორმებისგან განსხვავებით, ხმოვანი უ (u) სწორედ არის ფიქსირებული. ყველა ვარიანტის შედარება (Bakh, Bacis, Basis, Pacis, Bachis, Bakha, Buchis) მკაფიოდ აჩვენებს, თუ როგორი ბგერითი და ორთოგრაფიული მრავალფეროვნების გამოწვევა შეუძლია ერთ ქართველურ

ლურ სპეციფიკურ თანხმოვანს, რომ არაფერი ვთქვათ სიტყვის ფარგლებში გამოყენებულ რამდენიმე თანხმოვანზე ან თანხმოვანთ-კომპლექსზე.

### ცხრილი 39

ქართული ბგერა ლ და მისი გადმოცემის მრავალფეროვნება



აღსანიშნავია ღვთაების სახელწოდებათა განსხვავებული დაბოლოებებიც; კერძოდ, ერთ ვარიანტში (Bakh) დაბოლოება საერთოდ არ ფიგურირებს, ანუ სახელწოდება „შიშველი“ ძირითაა წარმოდგენილი, ისე როგორც ქართული ბულა შეკვეცილ მდგომარეობაში (Bakh-ბულ); ერთი შემთხვევა (Bakha) ქართველური „ბულას“ ფუძით არის წარმოდგენილი, ხოლო ხუთ ვარიანტში (Bac-is, Bas-is, Pac-is, Bach-is, Buch-is) ეგვიპტური თეოფორული ლექსემა ბულის ნათესაურის ფორმის იდენტურია. ირკვევა, რომ ეგვიპტური ღმერთის სახელი Bkha, თანხმოვან-ნოტაციის მეშვეობით, ქართველური არქეტიპის („ბულა“) სამალავია, ხოლო შემორჩენილი სხვადასხვა ვარიანტები (Bakh, Bacis, Basis, Pacis, Bachis, Bakha, Buchis) გაუგებარი ფორმები კი არ არის, არამედ ქართველური ბრუნვის სისტემის წარჩენებია, რომლებიც მშობლიური ენის პრიზმაში განხილვისთანავე თავ-თავის ადგილებს იკავებენ და ლოგიკურ კავშირებს ამყარებენ.

ეგვიპტური და ქართველური სიღრმისეული კავშირების გამოსაამკარავებლად, ანალიზში ქართველური „ბულას“ „დედაბოდის“ მნიშვნელობაც უნდა ჩავრთოთ, რადგანაც იგი ფრიად საინტერესო საკითხს ჰფენს ნათელს: ქართული ასომთავრული ჭარის იდენტური ეგვიპტური იეროგლიფის სახელი საყრდენი, სახელდების შემთხვევითობით კი არ არის გამონვეული, არამედ ქართული ენობრივი და ანბანური (კულტუროლოგიური) მასალის მიზანდასახული გამოყენებაა. შესაბამისად, ქართველური ენის „ხელმძღვანელობით“, ერთად იყრიან თავს გაფანტული ეგვიპტური იეროგლიფი საყრდენი, რას ორი ჰორიზონტის კვერთხი, ღმერთი შუ და თვით ღვთაება რაც. ესაა პროცესი, რომელსაც დღის სინათლეზე გამოაქვს არა მხოლოდ „საყრდენის“ სახელდების პრინციპები, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, მისი ქართველური წარმომავლობა.

ამრიგად, ჰერმონტის საკრალური ეგვიპტური ხარის სახელი Bkha ქართველური ბულადან მომდინარეობს.

### 3. ძართველური ბუღა და ეგვიპტური ტოპონიმიკა

ქართველური „ბუღა“ ეგვიპტურ ტოპონიმიკაშიც იყო გავრცელებული და გაცილებით უფრო ფართოდ, ვიდრე ამის წარმოდგენა დღევანდელი ცოდნის საფუძველზე არის შესაძლებელი. ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს ორი ფონეტიკურად იდენტური ტოპონიმი, რომლებიც ეგვიპტურ რელიგიურ ტექსტებშია მოხსენიებული. ერთ-ერთი მათგანია Bu-gem, ქალაქი, სადაც ოსირისი დაიბადა (Budge 1934:149) და სადაც „რას“ თვალი გაეშურა; მეორე ქალაქი Bugem კი სუდანში მდებარეობდა. აქედან გავრცელდა სეხმეტის, შუსა და ტიფნუტის თაყვანისცემა ეგვიპტეში (იქვე, 161).

მოცემული სახელები მრავალსმთქმელია ქართველური ენების მცოდნე პიროვნებისთვის, რადგან ეგვიპტურ ტოპონიმსა და ქართველურ ბუღას შორის ფონეტიკურ-სემანტიკური კავშირი ადვილად შესამჩნევი და ასახსნელია. როგორც ეს რამდენჯერმე უკვე ვახსენეთ, სპეციფიკური ქართველური თანხმოვნები სხვადასხვაგვარად გადმოიცემა. გადმოცემის მრავალგვარობა, რომელსაც ვხვდებით როგორც განსხვავებული, ისე ერთი და იმავე ენის შიგნით, ცალკეული ბგერებიდან ბგერათკომპლექსებამდე ვარირებს. ეს უკანასკნელი გამოყენებულია Bkha < ბუღას მაგალითში, სადაც kh კომპლექსი ველარულ სპირანტს ლ გადმოსცემს, მაშინ, როდესაც იგივე ქართველური თანხმოვანი ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმებში Bu-gem და Bugem ერთი ასო-ნიშნით (g) არის წარმოდგენილი. ველარული სპირანტის აღდგენის შემთხვევაში, ეგვიპტური სახელები შემდეგ ფორმას მიიღებენ: Bu-ḡem (ბუ-ღემ) და Bugem (ბუღემ).<sup>2</sup>

აღნიშნულ სახელთა ქართველურ წარმოშობას დამატებით ადასტურებს ბოლოკიდური -მ, ვინაიდან ქართველურ სახელთა ბრუნების სისტემაში იგი მოთხრობითი (ერგატივი) ბრუნვის ნიშანია<sup>3</sup>, ხოლო ა-ე შესაბამისობა ქართველურ-ეგვიპტური ლექსემების გაიგივებას ხელს ვერ უშლის ეგვიპტური ნოტაციის თავისებურებების გამო. შევადაროთ:

ქართველური		ეგვიპტური
სახელობითი	ბუღა	Bu-gem > buge-m
მოთხრობითი	ბუღა-მ	Bugem > Buge-m

<sup>2</sup> ნაშრომში გამოყენებულია ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ბიბლიოთეკის ტრანსლიტირების სისტემა (*The World's Writing Systems*, 1966. Edited by P. T. Daniels and W. Bright, Oxford University Press, New York-Oxford, p. 366).

<sup>3</sup> გაიხსენოთ ანალოგიური შემთხვევა ხალიბების ლათინურ ფორმაში Chalybum (გვ. 112 და შემდგომ).

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ორივე ეგვიპტური ტოპონიმი Bu-gem და Bugem, ქართველური „ბულას“ მოთხრობითი ბრუნვიდან იღებენ სათავეს, რითიც ივსება „ბულას“ უკვე გამოვლენილი ბრუნვის ფორმების რიცხვი (სახელობითი, მოთხრობითი, ნათესაობითი).

აქედან გამომდინარე, ეგვიპტური ტოპონიმების ვარიანტულობა, მათი დეფისიანი (Bu-gem) თუ უდეფისო (Bugem) დანერილობა, ქართველური „ბულას“ ჭეშმარიტი სტრუქტურის არცოდნის უეჭველი ნიშანია. ჩანს, ეგვიპტელ გადამწერებს ახსოვდათ (იცოდნენ) ბოლოკიდური მარცვლის მოძრავი ბუნება, მაგრამ ამ მარცვლის ზუსტად გილმდებარეობაში არ იყვნენ დარწმუნებულნი; კერძოდ, ეგვიპტური Bu-gem უნდა ყოფილიყო ნარმოდგენილი როგორც Bugem.

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ გადამწერებს სიტყვების თავდაპირველ ფორმაზე, ხშირად ბუნდოვანი ნარმოდგენა ჰქონდათ. როგორც ამ ორი ეგვიპტური ტოპონიმის დანერილობა გვეკარნახობს, გადამწერების აზრით, Bu-gem და Bugem ორ სხვადასხვა სახელს ნარმოადგენდა. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ამგვარად აღნიშნული ქალაქები გეოგრაფიულად განსხვავებულ წერტილებში მდებარეობდნენ.

როგორც ვხედავთ, ქართველური ენობრივი მასალა ხსნის ისეთ უმნიშვნელო დეტალებსაც კი, რომელთა განმარტება ეგვიპტურში საერთოდ არ არის მოსალოდნელი ქრონოლოგიურად ისეთი დაშორებული ენით, როგორიც ქართველურია. ქართველურის უნარი, ახსნას და განმარტოს ეგვიპტური ენობრივი პრობლემები, ნარმოადგენს აღნიშნული ტოპონიმების (Bu-gem, Bugem) ქართველური ნარმოშობის მყარ საფუძველს, ისევე, როგორც ეგვიპტური საკრალური „ჭარის“ (Bkha/Buchis) შემთხვევაში.

ფონეტიკურ მსგავსებებს ეხმიანება ფოლკლორული მონაცემებიც. ნუბიის ქალაქი Bu-gem ოსირისის დაბადების ადგილია, ანუ ოსირისი „ბულადან“ დაბადებული ღვთაებაა. გავიხსენოთ, რომ ქართველთა სოლარული გმირი – ამირანი ჭარის ტყავიდან მოველინა ქვეყანას. სხვაგვარად, ეგვიპტელების ერთ-ერთი უდიდესი ღვთაება, ქვესკნელის ღმერთი და გამრიგე, ოსირისი ქართველური ფოლკლორის გმირის ამირანის მსგავსად იშვა.

დამამტკიცებელ მასალას ოსირისის მკვდრეთით აღდგომის რელიგიური ტრადიცია გვთავაზობს. ეგვიპტელთა რწმენით, ოსირისი მკვდრეთით მაშინ აღდგებოდა, როდესაც ჭარის ტყავში, ანუ გუდაში ჩასვამდნენ. ეგვიპტელებს ჭარის ტყავი საკრალურ ნივთად მიაჩნდათ. ქურუმები საიდუმლოდ ინახავდნენ გუდის როლსა და ფუნქციას ეგვიპტურ რელიგიაში და არაავითარ შემთხვევაში არ აქცევდნენ მას ხელმისაწვდომი ცოდნის ნაწილად (Budge 1934:27).



მიუხედავად საიდუმლოს ათასწლოვანი ხანდაზმულობისა, ქართველურ ენობრივ და ეთნოგრაფიულ მასალას დღის შუქზე გამოაქვს ოსირისის ჯარისეული წარმომავლობა და, მაშასადამე, მისი წარმოშობა იმ ხალხიდან, რომელმაც ოსირისის დაბადების ადგილს ბულა-მ უწოდა; მეტიც, ტოპონიმის გრამატიკული ფორმა (მოთხრობითი) სწორედ „ბულას“ ანიჭებს ოსირისის „შექმნის“ პერეოგატივას. ამიტომ, ქართველთა ამირანის მსგავსად, ხარის ტყავიდან დაბადებისა და გუდიდან მკვდრეთით აღდგომის სიმბოლოდ, ოსირისის ქვესკნელური ტახტის ახლოს დარჭობილ ხის სარს გუდა მიუბეს. აღწერილი საკრალური მოვლენის კომპოზიცია, რომელსაც მრავლად ნახავთ ფარაონთა აკლდამების კედლებზე, დღემდე არ ემორჩილება ახსნას (ილ. 2, გვ. 526).

ოსირისის ასტრალური ორანი, რომელიც ორიონის თანავარსკვლავედის სახით წარმოედგინათ, გუდიდან მისი მკვდრეთით აღდგომის უძველეს რწმენას ამტკიცებს. ორიონი ხარის ტყავის ტომრიდან, ანუ გუდიდან დაიბადა (Kerényi 1976:42), ხოლო სახელი *Sahû-Ori*, რომელიც ოსირისის სახელიცაა (*Sâhû-Osiris*), ოსირის-ორიონს ამირანს უტოლებს.

ოსირისის ჯარის ტყავიდან აღდგენის სიმბოლო მეტ დამაჯერებლობას მატებს განხილული ეგვიპტური ტოპონიმების ქართველურ წარმომავლობას, რადგან იგი დაკლული საქონლის გატყავების ქართველურ წესსაც ამხელს. გავიხსენოთ, ამ მეთოდს „ოთხში ამოყვანა“ ეწოდება. საქონელს ისე ატყავებენ, რომ ყველაზე რთულად გასატყავებელი ფეხების ადგილებიც კი ყოველგავრი დაზიანების გარეშე რჩება. საქონლის გატყავების იგივე მეთოდია გამოყენებული ოსირისის გუდის დამზადებაში, რაშიც სურათზე (ილ. 2, გვ. 526) მოცემული გუდის გამოსახულებაც ადვილად გვარწმუნებს. გუდა კი, როგორც უკვე იყო აღნიშნული, ერთ-ერთი შუმერული პიქტოგრამის (წ) სახელწოდებაცაა. ამიტომ ეგვიპტელთა ქვესკნელის მზის ღმერთი თავის ძირითად მახასიათებლებს – დაბადებას, დაბადების ადგილსა და აღდგომას, ქართული კულტურული წიალიდან იღებს.

ქართველური კულტურიდან მომდინარე ჯარის რელიგიურ მნიშვნელობას ჰარმონიულად ეთანხმება ოთხი გეოგრაფიული კუთხის ეგვიპტური დასახელების ლინგვისტური და კულტუროლოგიური ანალიზიც. ნილოსის ხეობის მცხოვრებთ სწამდათ, რომ მათი ქვეყანა მდებარეობდა მოგრძო, კუბის მაგვარი ყუთის ოდნავ ჩაღრმავებულ იატაკზე. ეს ყუთი სამყაროს ანალოგი იყო, რომლის ქერი ათასობით ანთებული ლამპრის ზეცას წარმოადგენდა. ზეცა ხის ოთხ ჩანგლისთავიან ბოძს ეყრდნობოდა, რომლებსაც ოთხი მაღალი მთა ცვლიდა. აღმოსავლეთის მთას ერქვა *Bâkhû* და „შობის მთა“ ნიშნავდა (Maspero 1922:16-18).

ის ფაქტი, რომ Bâkhû ზევით გაანალიზებული Bakh, Buchis, Bu-gem და Bugem სახელების ორთოგრაფიულად ოდნავ შეცვლილი ფორმაა, სავსებით ნათელია. Bâkhû-ში სპეციფიკური ქართველური ველარული სპირანტი (ლ) kh კომპლექსით არის გადმოცემული (შდრ. სახელს Bakh), ხოლო ფუძისეული უ-ა ხმოვნები ადგილშენაცვლებულია, რაც ეზოთერული ინფორმაციის კოდირების ერთ-ერთი ხერხია (Themurah): ბულა > ბალუ. ეგვიპტურ სახელში: Bâkhû > Bûkhâ. თუ მოცემულ ცვლილებებს აკვირდებით, მივიღებთ ქართველური „ბულას“ ენობრივი განვითარების გზას, სანამ იგი ეგვიპტურ სახეს მიიღებდა:

ქართველური	ეგვიპტური
ბულა	ლ > kh > Bukha    უ > â > Bâkhû

სხვა ფაქტებსაც ამავე დასკვნამდე მივყავართ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ ზეციური საყრდენის სამხრეთ მწვერვალს Apit-to, ანუ „მინის რქა“ ეწოდებოდა (იქვე, 18). ბუნებრივია, სადაც ბულა და ჯარი ივარაუდება, მისი რქაც იქვე უნდა ყოფილიყო.

ფონეტიკური ასპექტის გარდა, სახელები Bâkhû („შობის მთა“) და Bu-gem (ქალაქი, სადაც ოსირისი დაიბადა) შინაარსობრივადაც ერთიანდებიან. მათი შემაკავშირებელი რგოლი სამყაროს შექმნის მითებში ძვეს, რომლებმაც, მართალია, ჩვენამდე ნაწყვეტების სახით მოაღწიეს, მაგრამ მათში „მთის“, როგორც ერთ-ერთი ძირითადი ელემენტის გამოყოფა მაინც შესაძლებელია. ასე მაგალითად, მითიურმა ბატმა პირველი კვერცხი ქაოსიდან ამოზიდულ მთაზე დადო და ასევე ქაოსიდან ამოზიდულ მთაზე ამოვიდა ლოტოსი, საიდანაც პირველი მზე-ჭაბუკი დაიბადა (Матве 1956:16-18). ეს ფაქტი ფრიად მნიშვნელოვანია ჩვენი კვლევისთვის, რადგან ღვთაების მოვლინება ამ ქვეყნად და მთა, როგორც მისი დაბადების ადგილი, ზემოხსენებულ ტოპონიმებს – Bâkhû („შობის მთა“) და Bu-gem (ქალაქი, სადაც ოსირისი დაიბადა) – მჭიდროდ აკავშირებს ერთმანეთთან. მეტიც, ეგვიპტურ მითოლოგიაზე დაყრდნობილი სახელების (Bâkhû, Bu-gem) ერთებას სწორედ ქართველური ენობრივი მასალა ადასტურებს და ამაგრებს, რადგან ორივე სახელი „ბულას“ ერთი და იმავე არქეტიპიდან მომდინარეობს.

აღმოსავლეთის მწვერვალი თავის სახელწოდებას („შობის მთა“) ქართველური ფოლკლორის ფაქტებით ხსნის. აქ კვლავ უნდა მივმართოთ ამირანის ეპოსს, რომელიც უკვე მოვიხმეთ სემიტური Āleph-ისა და ქართველური „ჯარის“ ანალიზის დროს. ხალხური ტრადიციის მიხედვით, ამირანი მონადირისა და ქალღმერთის, დალის პირმშოა. შვილის მოსალოდნელი დაკარგვით შეშინებული ღვთაება სთხოვს მონადირეს, მუცელი გაუჭრას და ბავშვი ხარის ტყავში ჩასვას, სადაც ამირანი თავის ემბრიონალურ განვითარებას დაასრულებს.

Bâkhû-ს ქართველური ეტიმოლოგიისა და ქართველურ-ეგვიპტური რელიგიური და ხალხური გადმოცემების შეჯერებისას, ტოპონიმი „შობის მთა“ (Bâkhû-ბულა) მრავალშრიანი სიტყვად გადაიქცევა, რომლის განსხვავებული მნიშვნელობები, მოსალოდნელი წინააღმდეგობებისა და შეუსაბამობების მიუხედავად, ერთმანეთს ავსებენ და ფრიად მნიშვნელოვანი სახის ინფორმაციულ სისტემას აკებენ. ამიტომ, ფინიკიურის, შუმერულისა და ზევით განხილული ეგვიპტური ენობრივ-კულტურული ფაქტების მსგავსად, Bâkhû მიმართულია ქართველურ ხალხურ შემოქმედებაზე, რათა შუქი მოჰფინოს ოსირისის ცხოვრების გასაიდუმლოებულ დეტალებს; სახელდობრ, ოსირისი, რომლის თერეომორფული განსხეულება Bkha („ბულა“) გახლდათ, ფლობდა ორონიმულ, ანუ მთის სახესაც. მაგრამ ოსირისი არც უბრალო მთაა და არც უბრალო ჯარი. როგორც მთის მწვერვალი, იგი სამყაროს საყრდენია და ეგვიპტის დამწერლობისთვის საყრდენის იეროგლიფი (𓆎); როგორც ჯარი (Bkha-ბულა), იგი დაიბადა ჯარის ქალაქ Bu-gem-ში („ბულამ“), იშვა ჯარის ტყავიდან (გუდა = შუმერული „გუდ“) და რწმენის მიხედვით, მკედრეთით კვლავ ჯარის ტყავიდან უნდა აღდგეს.

დამამტკიცებელ მასალას (უკვე მერამდენედ) ამირანის ეპოსი გვთავაზობს, სადაც სიტყვა „მთა“ („შობის მთა“) ჩვენეული გმირის ცხოვრების რამდენიმე მნიშვნელოვან მომენტთან არის დაკავშირებული. უპირველესად ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ქალღმერთი დალი გამოქვაბულში ცხოვრობდა, სადაც მას ხშირად აკითხავდა მიჯნური მონადირე. მთა ღმერთკაც ამირანის ჩასახვის ადგილია, იმ სოლარული გმირისა, რომელიც ქართველი ერის განზოგადებული სახეა. როგორც ცნობილია, დავაჟკაცებულმა ამირანმა თვით ქრისტე გამოიწვია ჭიდილში.<sup>4</sup> ღმერთმა არ აპატია მას თავხედობა და დასაჯა, კავკასიონის მთას მიაჯაჭვა (ზოგი ვერსიით, მთა დაახურა თავზე), რომელსაც ამირანის გორა ეწოდება. ქართული „ამირანის გორისა“ და ეგვიპტური „შობის მთის“ დანყვილების შედეგად ეჭვი არ რჩება, რომ ისინი ერთმანეთის სანინაალმდეგო ცნებებს გადმოსცემენ. ეგვიპტურ „შობის მთას“ ქართული „ამირანის გორა“ „ანონასნორებს“, რომელიც სიკვდილის, უფრო ზუსტად კი „ტყვეობის მთას“ წარმოადგენს. სწორედ ამ ტყვეობიდან ელის ქართველი ხალხი ამირანის გამოხსნას.

მეტად მნიშვნელოვანია ამირანის სახელის მატარებელი მრავალი მთა-გორისა და გამოქვაბულის არსებობა საქართველოში, რომელთაგან ერთ-ერთი, კერძოდ, „ამირანის გორა“, III ათასწლეულით დათარიღებული დასახლებაა მესხეთში. ყველგან, სადაც კი ამირანის გორა არსებობს, ადგილობრივ მცხოვრებლებს მტკიცედ სჯერათ, რომ მათი

<sup>4</sup> ქრისტე-ღმერთთან ჭიდილი ქრისტიანული ეპოქის ჩანართია, რომელიც, ჩვენი ღრმა რწმენით, ძველი ღმერთმებრძოლების მოდელის გამეორებაა.

საყვარელი გმირი მათ ტერიტორიაზეა დასჯილი და, მაშასადამე, მისი განთავისუფლება-აღდგომაც იქვე უნდა მოხდეს. როგორც ვხედავთ, ეგვიპტური „შობის მთა“, ქართველური წარმომავლობის ეგვიპტური ონომასტიკა, ქართველური ფოლკლორი და არქეოლოგიური მასალა, ერთმანეთს ავსებს და ზიარ ქართველურ-ეგვიპტურ ენობრივ და კულტუროლოგიურ სივრცეს აყალიბებენ.

Bákhús-ს ქართველურ წარმომავლობას კიდევ უფრო აძლიერებს ბრუგშის (Brugsch) მიერ განსახილველ ლექსებაზე გამოთქმული აზრი. „ბრუგში, რომელმაც პირველმა შეისწავლა საყრდენი მთების ფუნქცია, ფიქრობდა, რომ ოთხივე საყრდენი ჩრდილოეთით იყო განლაგებული და ეგვიპტელებს სომხითის მთებზე მიაწინებდა. მოგვიანებით მან ჩათვალა, რომ ისინი ოთხი გეოგრაფიული პუნქტის ადგილზე იყვნენ აღმართულნი, მაგრამ იმასაც ფიქრობდა, რომ ამგვარი შეხედულება პტოლომეუსის პერიოდისთვის იყო დამახასიათებელი. ყველა ეგვიპტოლოგის მსგავსად, შემდგომში მან აღიარა, რომ საყრდენები ყოველთვის გეოგრაფიული პუნქტების ადგილებზე იყვნენ წარმოდგენილნი“ (Maspero 1922: 17, სქოლიო 1).

აქ ორი მომენტი საინტერესოა: პირველი საყრდენი მთების გეოგრაფიულ მდებარეობას ეხება, მეორე კი მათ გაიგივებას „სომხითის მთებთან“. ბრუგშის აზრს, საყრდენი მთების ჩრდილოეთით მდებარეობის შესახებ, ორი ფაქტი ამართლებს: საქართველოს მდებარეობა ეგვიპტის ჩრდილოეთით და განხილული ეგვიპტური მასალის ქართველური წარმომავლობა.

აღნიშნული ფაქტების გარდა, მნიშვნელოვანია თვით „სომხითის მთების“ ხსენებაც, სადაც ნოეს კიდობანი გაჩერდა. დღეს, აღნიშნული მთის მასივის ფართოდ გამოყენებული სახელის („სომხითის მთები“) ადრეული ფორმებია „მასის“ და „კორდუს“ მთები. როგორც ეს ყველა ქართველს კარგად მოეხსენება, მასის მთები ქართველურ სატომო სახელთან მეს-ხ-ი, მას-ხ-ი, მოს-ხ-ი არის დაკავშირებული და მესხთა მთებს ნიშნავს, ხოლო ძირი მას აღნიშნულ სახელწოდებაში (მას-ის) ნათესაობითი ბრუნვის ფორმაა. სომხების მიერ აღნიშნული ტოპონიმით („მასის მთები“) არარატის მთის მასივის სახელდება ამკარად მიუთითებს ამ ტერიტორიების ძირძველი მფლობელის ვინაობაზე.

„მასის მთების“ მეორე ადრინდელი სახელია კორდუს მთები (Korduaian Mountains; Josephus 1:93, ციტირებულია: Berossos and Manethos 2003:51).<sup>5</sup> „კორდუია“ იგივეა, რაც „კორდი-კალდუ“, ანუ „ქორთუ“ (ქართველთა სატომო სახელის „ქართუს“ ზანური ვარიანტი). როგორც ვხედავთ, ისტორიული და ლინგვისტური მონაცემები სრულ

<sup>5</sup> იოსებ ფლავიოსის 1987 წლის გამოცემაში (Josephus 1987) Korduaian გადმოცემულია როგორც Cordyaean. ამასვე შენიშნავს მასპერო (Maspero 1922:572), რომელიც სახელის შემდეგ დანერგობას გვთავაზობს – Gordyaean mountains.

შესაბამისობაშია, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ფაქტს, რომ ინდოევროპელი არმენების მოსვლამდე, ეს ტერიტორია ქართველური მოსახლეობით გაცილებით უფრო ადრე იყო დასახლებული.

ბრუგმის აზრი „საყრდენი მთების“ ჩრდილოურ განლაგებაზე, მათი „მასის მთებთან“, ანუ „ქართველთა მთებთან“ გაიგივება და წარმოდგენილი ანალიზის დასკვნები მიუთითებენ განხილული ეგვიპტური მასალის ქართველურ ენობრივ და კულტურულ არქეტიპზე. ამას დავუმატოთ საყრდენის იეროგლიფური გამოსახულება (¶), რომელიც ასომთავრული „ვარის“ იდენტურია და სრულიად ნათელი გახდება, რომ ეგვიპტური „საყრდენი მთები“ წარმოადგენდა არა კარდინალურ გეოგრაფიულ კუთხეებს *per se*, არამედ ქართველებით დასახლებულ ჩრდილოეთ ტერიტორიებს, საიდანაც ეგვიპტემ ცივილიზაციის ბიძგი მიიღო.

ქართველური „ბულას“ საოცარი გავრცელების ფაქტი ეგვიპტური სახელებით არ შემოიფარგლება. სიტყვის აღმოჩენა, ხეთების იმპერიის ტერიტორიაზე, არანაკლებ მნიშვნელოვანია ქართველური ბულას უპრეცედენტო განვრცობის საილუსტრაციოდ.

#### 4. ბოლასქოის ლინგვისტური და კულტუროლოგიური ანალიზი

ძველი ხატუსას დედაქალაქის თურქული სახელია ბოლასქოი (Boğazköy = böğ köy), რომელიც ორი ფუძისგან შემდგარი თხზული ერთეულია: böğaz, რომელიც ნიშნავს „ყელს“ და köy, რომლის მნიშვნელობაა სოფელი. ამრიგად, ტოპონიმის სახელი იშიფრება, როგორც „ვიწროებში განლაგებული სოფელი“.

Boğaz-ის სალექსიკონო სტატიის ყურადღებითი ანალიზი მის ისეთ ნიშნებს ააშკარავებს, რომლებიც აღნიშნული სიტყვის განსხვავებულ ეტიმოლოგიას უნდა მალავდეს:

„Boğaz (boğoz) – ყელი. სიტყვის მეორე ხმოვანი ძლიერ მოკლე იყო და ჩვეულებრივ, ხმოვნით დანყებული სუფიქსების წინ ვარდებოდა; მოგვიანო ფორმებში დაფიქსირებული არასტაბილური შესაბამისობა -u და -a ხმოვნებს შორის თავდაპირველი -o- ხმოვნის არსებობას გვაპარაუდებინებს. იგი შენარჩუნებულია ჩრდილო-აღმოსავლურ ტუვიურში – bo:s; სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქულში გვაქვს buğaz/buğuz; ჩრდილო-ცენტრალურ ყაზახურში – buaz; სამხრეთ-ცენტრალურ უზბეკურში – bñğiz; ჩრდილო-დასავლურ ყაზახურში – buaz; ნოღაურში – buğaz და ჩრდილო-დასავლურ აზერბაიჯანულში, ოსმალურში, თურქმენულში – böğaz. მოყვანილი სიტყვებიდან, „ყელის“ გარდა, ზოგს „მაკეს“ მნიშვნელობაც გააჩნია, ზოგს კი მხოლოდ „მაკესი“; კავშირი „ყელისა“ და „მაკეს“ მნიშვნელობებს

შორის, რომელიც ხვარაზმულში(?) უკვე დაფიქსირებულია, ნათელი არ არის" (Clauson 1972:322).

კვლევისთვის საინტერესო, მეორე სალექსიკონო სტატია გვატყობინებს:

"Boğuzla – სახელიდან ნანარმოები ზმნა. მომდინარეობს სიტყვიდან boğuz; 'ყელის გამოჭრა' (აკუზატივი), 'დაკვლა'. არ არის შემჩნეული XIII ს-მდე, თუმცა იხ. boğuzlan-..." (იქვე, 322).

Boğuz სიტყვის რამდენიმე თვისება იპყრობს ყურადღებას. უპირველეს ყოვლისა, ეს ძირისეულ ხმოვნებს ეხება. მეტი თვალსაჩინოებისთვის, ანალიზის დანყებად, არჩეული ლექსემის ვარიანტები გარკვეული სისტემის, მაგალითად, პირველი ძირისეული ხმოვნის იდენტურობის მიხედვით დავალაგოთ:

#### ცხრილი 40

#### თურქული Boğuz-ის ლექსემები

1	სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქულში	buğaz
2	"-----"	buğuz
3	ჩრდილო-ცენტრალურ ყაზახურში	buaz
4	ჩრდილო-დასავლურ ყაზახურში	buaz
5	ხოლაურში	buğaz
6	სამხრეთ-ცენტრალურ უზბეკურში	būğiz
7	თურქულში	boğuz
8	"-----"	boğoz
9	ჩრდილო-აღმოსავლურ ტუვიურში	bo:s
10	ჩრდილო-დასავლურ აზერბაიჯანულში	boğaz
11	ოსმალურში	boğaz
12	თურქმენულში	boğaz

მოყვანილი ლექსემების შედარების საფუძველზე, ფრიად საინტერესო მასალა იჩენს თავს; კერძოდ, ირკვევა, რომ u და o ხმოვნები, ფაქტობრივად, თანაბრად არიან გადანაწილებულნი თურქული ენების ჯგუფში; გვაქვს 6 u (1-6) და 6 o (7-12) ხმოვნისანი ლექსემა ოთხ-ოთხი განსხვავებული ვარიანტით, თითოეული ფონემის (u და o) შესაბამისად. u ხმოვნისანი ვარიანტებია: buğaz, buğuz, buaz და būğiz, ხოლო o ფონემისანი ვარიანტებს მიეკუთვნება: boğaz, boğuz, boğoz და bo:s. ტოლფასიროდენობრივი მაჩვენებლების საფუძველზე, სავარაუდოდ არქეტიპული ხმოვნის განსაზღვრა დამატებითი მონაცემების გარეშე შეუძლებელია (იხ. ქვემოთ).

შემდგომ საინტერესო საკითხს წარმოადგენს ფუძის მეორე ხმოვნად დაფიქსირებული რამდენიმე ბგერა, რომლებიც სიხშირის მიხედვით შემდეგნაირად ლაგდებიან: a (7), u (2), o, o: და i შესაბამისად, თითოჯერ. კლაუსონის აზრით, a და u ხმოვნების არასტაბილური

მდგომარეობა მათი არქეტიპული *o*-დან განვითარებით უნდა აიხსნას. მიუხედავად ამისა, *a* ხმოვნის განსაკუთრებით მაღალი რაოდენობრივი ინდექსი – იგი თითქმის 4-ჯერ აღემატება *u*-ს რაოდენობას, მიგვანიშნებს მის ინიციალურ ბუნებაზე. აღნიშნულ ფაქტზე უნდა მიუთითებდეს აგრეთვე შემოკლებული ფორმებიც (*buaz*, *bo:s*), სადაც ძირისეული თანხმოვნის  $\xi$  ამოვარდნის შედეგად, *buaz*-ში ორი ხმოვანი ერთმანეთის გვერდით აღმოჩნდა, ხოლო *bo:s*-ში სახეზეა კიდევ უფრო შორს წასული ფონეტიკური პროცესი – ხმოვნების შერწყმის შედეგად გრძელი ფონემების წარმოქმნა. შედარებით უფრო გაურკვეველი ვითარებაა *-i*-ხმოვიანი *buǰ/z*-ში, რომლის ბოლოკიდური თანხმოვანი შეესაბამება მთლიანი ჯგუფის სისტემურ მონაცემებს (იხ. ცხრ. 40, გვ. 175), მაგრამ მისი საარტიკულაციო ბუნება მკვეთრად განსხვავდება წინმდგომი ხმოვნების (*a*, *u*, *o*) საარტიკულაციო ბუნებისგან, ვინაიდან იგი (*i*) წინა რიგის ხმოვანია.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ ჩვენთვის საინტერესო ლექსემის მეორე ძირისეული ხმოვანი, თავდაპირველად, წარმოდგენილი იყო *a/a* ხმოვნით, ხოლო *u*-ხმოვიანი ვარიანტები მისი მოგვიანო განვითარების შედეგია. მიღებული მონაცემების გათვალისწინებით, კვლევის ამ ეტაპზე, სავარაუდო არქეტიპის ფორმა უნდა ყოფილიყო *b-u/o-ǰ-a-z*.

*Boǰaz*-ის ფონეტიკური ვარიანტები მეორე ძირისეული თანხმოვნის თვალსაზრისითაც არის საინტერესო, ვინაიდან ველარული სპირანტი ( $\xi$ ) 12 გასაანალიზებელი ვარიანტიდან 9 შემთხვევაში შენარჩუნებულია, სამში კი დაკარგული. ისევე, როგორც *a*-ძირეულ-ხმოვიანი ფორმების შემთხვევაში, რიცხვი 9  $\xi$  თანხმოვნის არქეტიპული სტატუსის აღიარების სანდო საყრდენია, რის გამოც არქეტიპის მაქსიმალურად მიახლოებულ სახედ კვლავ *b-u/o-ǰ-a-z* რჩება. ეს უკანასკნელი საოცრად იმეორებს ქართველური ბულა-ს მიცემით ბრუნვის ფორმას – ბულას, რითიც პირველი ძირისეული ხმოვნის რაობას *u* ფონემის სასარგებლოდ წყვეტს. ფორმის *buǰaz* არქეტიპად აღდგენას მხარს უჭერს ისტორიულად დაფიქსირებული ვარიანტებიც, – სამხრეთ-აღმოსავლურ თურქულსა და ნოლაურში დაფიქსირებული ფორმები (*buǰaz*). თურქული *buǰaz*-ის ქართველური წარმომავლობის ნათელსაყოფად, შედარებითმა ლინგვისტურმა ანალიზმა სამ შეკითხვას უნდა უპასუხო:

- ა)  $\xi$  ბგერის ფონეტიკური ღირებულება და სტატუსი;
- ბ) ბოლოკიდური ხმოვნის შენარჩუნება-ამოვარდნის მიზეზი;
- გ) ბოლოკიდური *z/s*-ს სტატუსი.

ა) ქართველური „ბულასა“ და შესაბამისი თურქული ლექსემის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი მახასიათებელია ე.წ. „რბილი  $\xi$ “. თავი-

სი წარმოშობით იგი ველარული სპირანტი (ǰ); ზემოთ განხილულ ეგვიპტურ ონომასტიკაში ფიგურირებდა როგორც ბგერათკომპლექსი kh (Bākhû) და ცალკეული ფონემა ǰ (Bu-ǰem). მიუხედავად ქართველური და თურქული ბგერების (ველარული სპირანტი) ფონეტიკური ღირებულების დიდი მსგავსებისა, მათ შორის ოდნავი განსხვავება მაინც არსებობს. კერძოდ, ქართველურ ბგერასთან შედარებით, თურქულ ვარიანტებში ველარული სპირანტი სუსტია, რის გამოც მას, როგორც უკვე ითქვა, „რბილი ǰ“ ეწოდება.<sup>6</sup> აღნიშნული განსხვავება ასოს თავზე დიაკრიტიული ნიშნით (ǰ) არის გამოხატული.

თანხმოვნის დასუსტება ბგერის ლინგვისტური გარემოს ზეგავლენის შედეგია. ენების დიაქრონიული განვითარების შესწავლა აღნიშნულ ცვლილებას სამი საფეხურისგან შემდგარ პროცესად წარმოადგენს: ა) სრულყოფილი ფონეტიკური ღირებულება; ბ) დასუსტება; გ) კარგვა. თურქული ფორმები მხოლოდ ბოლო ორ საფეხურს აფიქსირებენ, მაგრამ არ გვიჩვენებენ თანხმოვნის საწყის მდგომარეობას, ანუ ველარული სპირანტის სრულ ფონეტიკურ ღირებულებას, რომელიც დანარჩენ ორ საფეხურს უსწრებდა წინ. ასეთი ველარული სპირანტი ქართველურ ფორმებშია მოცემული. თუ ქართველურ და თურქულ ფორმებს ველარული სპირანტის განვითარების ქრონოლოგიური ჯაჭვის მიხედვით დავანყობთ, შემდეგ დიაქრონიულ სურათს მივიღებთ:

ქართველური					თურქული
ბულა	>	buǰaz	>	buǰaz	>
↓				↓	
სრული ბგერა				დასუსტება	>
					bo:s/buaz
					↓
					კარგვა

ფონეტიკური განვითარების ილუსტრირებული ჯაჭვი ნათლად წარმოაჩენს ქართველური „ბულას“ არქეტიპულ ურთიერთობას თურქული შესატყვისების მიმართ.

თურქული სიტყვების ქართველურ წარმომავლობაზე მიუთითებს ბოლოკიდური ხმოვნის ამოვარდნაც (bo:s/buaz), რომელიც შემორჩენილია სამხრეთ-აღმოსავლურ თურქულში (buǰaz), ნოღაურში (buǰaz), ოსმალურსა და თურქმენულში (boǰaz) და ა.შ. თურქული სიტყვების ქართველური წარმომავლობის გათვალისწინებით, buǰaz, boǰaz, – დასაბამს იღებენ ქართველური „ბულას“ მიცემითი ბრუნვიდან ბულა-ს. უფრო მეტიც, ისინი ქართველურისთვის დამახასიათებელ ბოლოკიდურ -ა ხმოვანსაც ინარჩუნებენ, რითაც ა-ზე დამთავრებული არსებითი სახელების ბრუნების გრამატიკულ მოთხოვნებს ექვემდებ-

<sup>6</sup> საინტერესოა აღინიშნოს, რომ ველარული სპირანტის დასუსტების პროცესი თურქულში დღესაც არ შეწყვეტილა, რაც გავლენას ახდენს ენის განვითარებაზე.



ბარებიან (შდრ. კაცი-კაც-ს, მაგრამ ბულა-ბულა-ს). წარმოდგენილი ლინგვისტური ანალიზის შედეგები თურქული სიტყვების ქართველური წარმომავლობის დამატებითი მამხილებელი მასალაა.

მიცემით ბრუნვას მხარს უჭერს „ბულას“ ნათესაობითი ფორმაც, რომელიც უზბეკურ ხმგზ-შია შემორჩენილი. ბულ ფუძეს მოსდევს მარცვალი *iz*, რომელიც -ის'ის ოდნავ სახეცვლილი ფონეტიკური ფორმაა (შდრ.: ბულ-ის- ხმგ-iz); ა-ზე დამთავრებული საზოგადო არსებითი სახელების ბრუნების თავისებურებების დაცვა (კვეცა) სამხრეთ ცენტრალურ უზბეკურ ხმგზ-ში კვლავ ადასტურებს არა მხოლოდ განსახილველი თურქული ლექსიკური ერთეულების ქართველურ წარმომავლობას, არამედ ხსნის კლაუსონის მიერ მითითებულ თავისებურებასაც: „სიტყვის მეორე ხმოვანი ძლიერ მოკლე იყო და ჩვეულებრივ ხმოვნით დანყებული სუფიქსების წინ ვარდებოდა“ (Clauson 1972:322).

თურქული სიტყვებისა და მათი ქართველური არქექტიპული ფორმების ურთიერთობა შემდეგნაირად შეიძლება იქნას წარმოდგენილი:

### ცხრილი 41

#### თურქული სიტყვების ქართველური არქექტიპები

ქართ. ბულა		სამხ.-აღმ. თურქული	ნოლაური	ოსმ., თურქმ.	სამხ.-ცენტრ. უზბ.
მიც. ბრ.	ბულა-ს	buğaz = buğa+z	buğaz = buğa+z	boğaz = boğa+z	
ნათ. ბრ.	ბულ-ის				ბმგზ = buğ+iz

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ბოლოკიდური *u* ხმოვნით გაფორმებული სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქული *buğuz*, *buğuz*, რომლებშიც *u* შეიძლება მიუიბედეს ორ განსხვავებულ მოვლენაზე: ა) სახეზეა პროგრესული ასიმილაცია, რომლის დროსაც პირველი ძირისეული თანხმოვნის (*u*) გავლენის შედეგად *a > u*, მოხდა ორი იდენტური ფონემის თავმოყრა სიტყვაში. თუ ფონეტიკური მოვლენების აღწერილი სცენარი სწორად ასახავს განვითარების მექანიზმს, აღწერილი ცვლილება (*a > u*) თურქული ენების ოჯახში უნდა მომხდარიყო. ბ) მეორე შემთხვევაში, ბოლოკიდური *u* შეიძლება წარმოადგენდეს თურქულ სიტყვებში ქართველური ენობრივი ფენომენის – უმარცვლო უ-ს (ფ) ნარჩენს. თუ ბოლოკიდურ *a* ბგერას მისი ადრინდელი ვარიანტით შევცვლით, ქართველური „ბულა“ მიიღებს ფორმას ბულჟ, რომლის მიცემითი ბრუნვა ბულჟ-ს იდენტურია თურქული სიტყვებისა: *buğuz*, *boğuz*.

ირკვევა, რომ შესასწავლი თურქული სიტყვების არქეტიპს წარმოადგენენ ქართველური „ბულას“ განსხვავებული ბრუნვის ფორმები. მიღებული დასკვნების სისწორეს ადასტურებს ის, რომ ქართველური სიტყვები, სხვადასხვა ენების მიერ განსხვავებული ბრუნვის ფორმებით არიან ნასესხებნი, როგორც განუყოფელი ერთეულები. ესაა ფაქტი, რომელიც აღნიშნული სიტყვების მსესხებელ ენებში შესვლას არა მხოლოდ ზეპირი გზით ვარაუდობს, არამედ მსესხებელი ენების მიერ სესხების წყარო-ენის დაბალ ცოდნაზეც მიუთითებს.

მიუხედავდ იმისა, რომ თურქული ხიჭუა და მისი მონათესავე ფორმების ფონეტიკური ანალიზი ფრიად დამაჯერებელი და სარწმუნოა, ქართველურ არქეტიპსა („ბულა“) და თურქულ ხიჭუა-ს („ყელი“) შორის არსებული ლექსიკური განსხვავება კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მიღებულ დასკვნებს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მითითებული სემანტიკური შეუსაბამობა, რომელიც ქართველურსა და თურქულ სიტყვებს შორის ადვილი გასაგებია, თვით თურქული სიტყვის (ხიჭუა) სემანტიკისთვისაც არის დამახასიათებელი. ხიჭუა-ს ორი ფრიად განსხვავებული ლექსიკო-სემანტიკური ვარიანტი (ლსე)<sup>7</sup> გააჩნია: „ყელი“ და „მაკე“. პირველი დაკავშირებულია ზმნასთან „ყელის გამოჭრა, დაკვლა“, მაშინ, როდესაც მეორე („მაკე“) დაკავშირებულია ქართველურ „ბულასთან“ ცხოველის საერთო სემით.

იმისთვის, რომ გავიგოთ და ავხსნათ მიღებული სემანტიკური შეუთავსებლობა, მივმართოთ ქართველურ და თურქულ ეთნოლოგიურ ინფორმაციას; კერძოდ, იმ რელიგიურ დღესასწაულებს, რომლებიც ჭარის (ბულის) დაკვლის ელემენტს შეიცავს. თურქულში, ისევე, როგორც მთლიანად ისლამურ სამყაროში, ცხოველებს კლავენ ე. წ. კურბან ბაირამის დროს, დღესასწაულზე, რომელიც რამაზან ბაირამს (მარხვის დღესასწაულს) 17 დღის შემდეგ მოჰყვება. ეს დღესასწაული მომდინარეობს ბიბლიური ლეგენდიდან აბრაამის მიერ ისააკის (ისლამური ტრადიციით *ისმაილი*) ღვთისადმი შეწირვის აქტიდან. ოჯახები, ჩვეულებრივ, აქლემს ან საქონელს (ჭარის ჩათვლით) სწირავენ, მაშინ, როდესაც ცალკეულ პიროვნებას ბატკნის ან თხის შეწირვის უფლება აქვს. ცხოველთა შეწირვის კურბან ბაირამსა და ქართველურ ტრადიციებს შორის არსებულ საინტერესო პარალელებზე არ შევჩერდებით, რადგანაც ამ კონტექსტში მათ შორის არსებული განსხვავება უფრო საინტერესოა.

თურქები (და ისლამური სამყარო მთლიანად) კურბან ბაირამს წელიწადში ერთხელ აღნიშნავენ და, შესაბამისად, საკლავს მხოლოდ ერთხელ სწირავენ. ქართველური ტრადიციის მიხედვით, საქონელი

<sup>7</sup> ლექსიკო-სემანტიკური ვარიანტი – პოლისემანტური სიტყვის ერთ-ერთი მნიშვნელობა.

ყოველი რელიგიური დღესასწაულისა თუ მნიშვნელოვანი თარიღის აღნიშვნის დროს იკვლება. სხვადასხვა ცხოველს შორის (ხარი, თხა, ცხვარი, ბატკანი, ...), ქართველებისთვის ჯარი ღვთაებისადმი შენიღული უმაღლესი რანგის ცხოველია. რწმენის მიხედვით, რაც უფრო დიდია მსხვერპლი, მით უფრო დიდია ღვთაებრივი წყალობა და პატირონობა. 1998 წლის 3-7 სექტემბერს, როდესაც გუდამაყარში ახობის დღესასწაულს დავესწარი, ფუცის ანგელოზის ხატში სულ მცირე 30 ხარი და უთვალავი ცხვარი დაიკლა.

უზარმაზარი რელიგიური მნიშვნელობის გარდა, ხარის შენიღვა საქართველოში მნიშვნელოვანი არარელიგიური მოვლენების დროსაც ხდებოდა და დღესაც ხდება, განსაკუთრებით ქორწილებისა და დაკრძალვების დროს. ასე მაგალითად, „სვანეთში გარდაცვლილის ხსოვნის ერთ-ერთ დღეს, რომელსაც „ბჰცხ“ ეწოდება, ოჯახი დაკლავს 10 ხარსა და 10 ტახს და ყველას მოინვევს, მეზობელი სოფლებიდანაც კი“ (დადუანი 1973:13).

ცხოველის შენიღვის ქართველური და თურქული ტრადიციების შედარებისას ნათელი ხდება, რომ, თუ თითოეული ჩვეულება შესაბამისი კულტურის ნაწილია, მათი შედარებით ჭრილში განხილვისას, თურქული კურბან ბაირამი მსხვერპლშენიღვის სისტემის მხოლოდ ერთ ფრაგმენტს წარმოადგენს, ერთეულ შემთხვევას რთული და განუზომლად ვრცელი ქართველური სოციალურ-რელიგიური სისტემიდან. უფრო მეტიც, თუ ქართველურ-შუმერული, ქართველურ-ეგვიპტური და ქართველურ-ფინიკიური ენობრივ-კულტუროლოგიური მასალის ანალიზისას გამოვლენილი ნაწილისა და მთელის მეტონიმურ მიმართებებს გავისხენებთ, ისლამური კურბან ბაირამი ქართველურ ტრადიციას ნაწილის სტატუსით მიუერთდება. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ქართველურსა და თურქულ კულტურაში იდენტური წეს-ჩვეულება ფიგურირებს, ქართველური ხარის (ბულის) შენიღვის ტრადიცია, თურქულ წესთან შედარებით, თვისობრივად და რაოდენობრივად, განუზომლად უფრო მეტის მომცველია.

მიღებული დასკვნა შესანიშნავად ეხმიანება წარმოდგენილი ლინგვისტური ანალიზის შედეგებს და ხსნის თურქულ *buğaz/bığaz*-ში ცხოველის მნიშვნელობის („მაკე“) არსებობას.

დაკლულ ცხოველს საკვების თვისებების შესანარჩუნებლად ყელი უნდა გადაუჭრან, რათა სისხლისგან სწრაფად დაიცალოს. ეს სწორედ ის აქტია, რომელმაც მეტონიმური ურთიერთობების საფუძველზე განაპირობა სემანტიკური დერივაცია ცხოველი > ყელის გამოჭრა. ახალი მნიშვნელობის „დაკანონებით“ ქართველურმა „ბულამ“ შეწყვიტა პირვანდელი მნიშვნელობის გადმოცემა და მხოლოდ ცხოველის ნაწილზე („ყელი“) იწყო მითითება; არქეტიპული სემანტიკის შეცვლამ კი გზა გაუხსნა ახალი სიტყვის წარმოქმნას, კერძოდ, გაჩნ-

და ზმნა *biğuzla* – „ყელის გამოჭრა, დაკვლა“. აღნიშნული ცვლილებების შედეგად, *biğuz* ასოცირდა *ყელთან* და სრულიად დაკარგა პირვანდელი მნიშვნელობა, რომელიც (როგორც *სემა*) სიტყვის მთლიანი სემანტიკის მხოლოდ ერთ-ერთ ლსვ-ში („მაკე“) დარჩა.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართველურმა „ბულამ“ და საქონლის შეწირვასთან დაკავშირებულმა ტრადიციებმა ითამაშეს ენობრივი და ეთნოლოგიური არქეტიპის როლი თურქული ენის ლექსიკის გამდიდრებაში.

საინტერესოა, რომ ქართველური ბულა მხოლოდ ერთხელ არ იყო ნასესხები თურქული ენის მიერ. იგივე არქეტიპი მრავალჯერ იქნა გამოყენებული საკუთარი ენობრივი ფონდის შესავსებად. ამის ნათელი მაგალითია თურქული *buka* მნიშვნელობით „ბულა“.

„*Buka*: „ხარი, ბულა“. დღეს არსებული ენების უმრავლესობაში შემორჩენილია ზოგიერთი ფონეტიკური ცვლილებით (*b/p; k/g*). ზოგ თათრულ (*Tatar* კლაუსონთან) ჩრდილო-დასავლურ და სამხრეთ-დასავლურ დიალექტებში, ოსმალურის გარდა, -*o*- ხმოვნის ნაცვლად გვაქვს -*u*- ბგერა“ (Clauson 1972:312).

*Buka/buga*-ს ქართველური წარმომავლობის დადგენა არ აწყდება ფონეტიკურ და სემანტიკურ წინააღმდეგობებს. ცვლილებები იფარგლება ერთადერთი თანხმოვნით; კერძოდ, ქართველური ველარული სპირანტი ლ ჩანაცვლდება კ/გ ბგერებით, რაც ნათელს ჰყენს უცხო ენების მიერ სპეციფიკური ქართველური თანხმოვნის გამარტივებული გადმოცემის უკვე აპრობირებულ ხერხს. შესაბამისად, გვაქვს: ბულა > *buka/buga*.

წარმოდგენილი თურქული ფორმების ქართველურ წარმომავლობას სიტყვიდან „ბულა“ ამჟღავნებს სიტყვა *biğüş*-ც (გმირი, რაინდი, ფალავანი; Древнетюркский словарь 1969:116). თურქული სიტყვის უმლაუტიანი ხმოვნები აშკარად მიუთითებენ მისი ბგერითი წყობის მეორად ხასიათზე, ხოლო სემანტიკა კი ადამიანზე „ბულას“ თვისებების მეტაფორულ გადატანაზე. მსგავსი შემთხვევების სიმრავლე, ე. ი. როდესაც მნიშვნელოვან პიროვნებებს (მაგალითად, შუმერის ქალაქ-სახელმწიფოების მეფეებს, პატესებს ან ეგვიპტელ ფარაონებს) ფოლკლორისა და რელიგიური სისტემების სოლარულ გმირებს, ადარებენ ჭარს ან ბულას, შემოთავაზებულ იდენტიფიკაციას დამატებით ადასტურებს.

იმავე ქართველური „ბულადან“ იღებენ სათავეს თურქული *biğün* (*biğün*) – „ბრძენი, მაგი, ჯადოქარი“ (Clauson 1972:324). ქართველურ ეტიმონსა და მის თურქულ ვარიანტს შორის არსებული სემანტიკური დისტანცია „ბულას“ იმ რელიგიური მნიშვნელობით აიხსნება, რომელიც მას თითქმის ყველა უძველესი ცივილიზაციის კულტურაში ჰქონდა და, რა თქმა უნდა, ქართულშიც.

როგორც ვხედავთ, ქართველური ენები და კულტუროლოგიური მასალა ააშკარავებს არა მხოლოდ ცალკეული თურქული სიტყვების ეტიმოლოგიას (bığuz, bığuzla, buka/buga), არამედ, თვით თურქული ენის შიგნით, მათ საკუთარი „ნათესაების“ (buka/buga) პოვნაშიც ეხმარება.

ახლა დროა, გავიხსენოთ ანკარის ანატოლიური ცივილიზაციის მუზეუმში გამოფენილი ხარის/ბულას მრავალრიცხოვანი ფიგურები ხატუსადან (Boğazköy), მისი გამოსახულებები თიხის ჭურჭელზე და იაზილიკაიას კლდის რელიეფი, რომელზეც ხეთების ღვთაებები ხარებზე არიან ამხედრებულნი. ყოველივე ეს დასტურია იმისა, რომ Boğazköy-ის ქართველური ეტიმოლოგია გაცილებით უფრო კარგად ესადაგება ძველი იმპერიის სახელის მნიშვნელობას, ვიდრე „ყელის“ „საკუთარი“ – თურქული(?) მნიშვნელობა. ეს უპრეცედენტო დამთხვევაა(!), როდესაც თურქებმა „საკუთარი“ (?) სიტყვა (bığaz) ქართველური ეტიმოლოგიური მნიშვნელობის სრული შესაბამისობით გამოიყენეს.

თურქოლოგების აზრით, buka/buga გენეტიკურად არის დაკავშირებული შესაბამის სიტყვებთან უკრაინულში, პოლონურში, რუმინულში, ძველ ბულგარულში, ბერძნულში, სპარსულში, რუსულსა და ტუნგუს-მანჯურულში (Севортян 1978:230-32). ჩვენი კვლევა აჩვენებს, რომ სიტყვის ჭეშმარიტი წარმომავლობა უფრო ღრმად მიდის პრეისტორიაში და წარმოდგება ქართველური სიტყვიდან ბულა; ესაა ფაქტი, რომელიც შეულამაზებლად მოხაზავს აღნიშნული ქართველური სიტყვის ევრაზიული გეოგრაფიისა და 5000 წლიანი ქრონოლოგიის საზღვრებს:

## ცხრილი 42

### ქართველური ბულა და მისი თურქული დერივატები

ქართველური		თურქული
სახელობითი	ბულა	—
მიცემითი	ბულა-ს	bığuz- / bığo-z buğaz- / buğuz bığaz-

ენათა მოცემულ ჩამონათვალს უნდა დავუმატოთ კასიტების ლმერთი ბუგაში, რომელიც აგრეთვე ქართველური „ბულადან“ იღებს სათავეს. აქაც, ისევე, როგორც თურქულ buğaz-ში, სახელი მიცემითი ბრუნვის ფორმით არის შესული.

## ქართველური ბულა და მისი დერივატები

ქართველური სახელობითი	ბულა	თურქული	კასიტური
მიცემითი	ბულა-ს	—	—
		biğa-z / biğo-z	buga-ğ
		buğa-z / buğuz	
		biğa-z	

აქედან გამომდინარე, თურქული ენის მთელი რიგი სიტყვები (biğuz/biğoz, biğä, biğü/biğö) და biğuz/biğoz-ის მონათესავე ვარიანტული ფორმები იყენებენ ერთსა და იმავე ქართველურ არქექტის – ბულასა და მის განსხვავებულ ბრუნვის ფორმებს. მიღებული დასკვნების სისწორე მტკიცდება სესხების ფორმულის განმეორებადობითაც, რომელშიც ქართველურ ენათა გრამატიკული ფორმები განუყოფელი ენობრივი ერთეულების სახით არიან დაფიქსირებულნი და ასიმილირებულნი. ეს უკანასკნელნი კი უკვე მერამდენედ მიუთითებენ მასზე, რომ მსესხებელ ხალხებს ძლიერ მცირე ცოდნა ჰქონდათ იმ ენისა, რომლისგანაც მათთვის საჭირო ლექსიკას ასე უხვად სესხულობდნენ.

### 5. ბერძნულ-რომაული ბახუსის ლინგვისტური და კულტუროლოგიური ანალიზი

ქართველური „ბულას“ ანალიზი ბერძნულ-რომაული ღვინისა და ღვინის სმის ღვთაების – ბახუსის (Βάκχουζ/Bάκχουζ, Bacchus) გარეშე, სრულად არ იქნება წარმოდგენილი. როგორც ღვთაების, ისე ღვინის სახელწოდებაც ბერძნულში ერთი და იმავე ძირით ალინიშნება. ბახუსი, ანუ იგივე დიონისე, უცნობი წარმომავლობის ღმერთია და დღემდე არაერთ საიდუმლოს მალავს. ღმერთის ნასესხები ბუნების დამალვა ბერძნებს არც უცდიათ, რადგანაც შესანიშნავად უწყობდნენ, რომ ბახუსი მათ რელიგიურ პანთეონში არაბერძნული კულტურიდან შევიდა. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, იგი საბერძნეთში კრეტადან მოხვდა, ხოლო აქ კი მცირე აზიიდან გავრცელდა (Kerényi 1976:58). კრეტაზე დიონისეს კულტის მცირე აზიიდან გავრცელების დასტურად კ. კერენი ტრაპეზუნდის მხარეს ასახელებს (იქვე, სქოლიო 24), ხოლო მ. ნილსონს (Nilsson M.) მისი სამშობლოს კონკრეტულ ტერიტორიად თრაკეა და ფრიგია მიაჩნია (Otto 1960:52). დასახელებული ტერიტორიები, განსაკუთრებით კი ტრაპეზუნდი და ფრიგია, ოდითგანვე ქართველური ტომებით იყო დასახლებული, რის გამოც ბახუსის კულტის ბერძნულ სამყაროში შესვლა სწორედ ქართველურ-

რი კულტურიდან არის სავარაუდებელი. თუ ეს ასეა, მაშინ Βάκχοι/Βάκχοι და Βάκχοι ქართველური ენობრივი წიალიდან ამოზრდილი სახელებია.

მართლაც, ქართველური „ბულასა“ და ბერძნული ბახუს/დიონისეს ლინგვოკულტუროლოგიური შესწავლა ააშკარავებს იმ ენობრივ ცვლილებებსა და საერთო ანდრეზულ-მითოსურ თვისებებს, რაც ქართველურ ცივილიზაციას ბერძნულ-რომაული ღვინის ღმერთის სამშობლოდ სახავს. დავინწყით ლინგვისტური ანალიზით.

ქართველური „ბულასა“ და ბერძნული ბახუს/დიონისეს გენეტიკურ ნათესაობას რამდენიმე ენობრივი დეტალი აფერმკრთალებს. მათ შორის, უპირველესად, ღვთაების სახელწოდების ორთოგრაფიული მხარეა საინტერესო. შესასწავლი ლექსემების ვარიანტები Βάκχοι/Βάκχοι, Βάκχοι (Дворецкий 1958:286) და Bacchus (*Латинско-русский словарь* 1986:137) მკაფიოდ გამოყოფენ ფუძესა და სუფიქსურ ელემენტებს: Βάκχοι, Βάκχοι, Βάκχοι, Bacch+us. ბერძნული Βάκχο და ქართველური „ბულა“ ორი ბგერით განსხვავდებიან ერთმანეთისგან: ქართველურ ძირისეულ უ-ს შეესაბამება ბერძნული α და თანხმოვან ღ-ს (ველარული სპირანტი) თანხმოვანთკომპლექსი კჟ. პირველი, უ-α მოდელი ორი თვალსაზრისით არის საინტერესო: შედარებით-ისტორიული ენათმეცნიერებისა და ენობრივი მასალის კვლევის კაბალისტური მეთოდიკის კუთხით. ისტორიულმა ენათმეცნიერებამ, განსაკუთრებით ინდოევროპული ენების ნათესაობის კვლევაში, აჩვენა, რომ მსგავსი ფონეტიკური გადასვლები ხშირია. ამიტომ ბულა-Βάκχο ნყვილში უ-დან ა-ში გადასვლა ამ ძირთა გაიგივებას ვერ ეწინააღმდეგება.

უფრო საინტერესოდ მოჩანს შესასწავლი ხმოვანთმონაცვლეობის განხილვა კაბალის მეთოდოლოგიით (Themurah), რომლის ერთ-ერთი კონკრეტული ხერხი – ასოთა ადგილმენაცვლება – კოდირებული ინფორმაციის გამოვლენის საშუალებაა. ამ თვალსაზრისით, უ და ა ბგერების პოზიციათა გადანაცვლება ქართულ ბულა-ში, ფაქტობრივად, სახელის ბერძნულ დანერილობას გვაძლევს: ბულა > ბალუ – Βάκχοι.

უფრო მკაფიოდ, აღნიშნული გადანაცვლება რომაულ Bacchus-ში ჩანს, სადაც a და u ხმოვნების გადაადგილებას ბერძნულ-რომაული ღვინისა და მევენახეობის ღვთაების სახელწოდებას ქართული „ბულას“ იდენტურ ერთეულად გადააქცევს: Bacchus > Buccha-s (მდრ.: „ბულას“). როგორც ვხედავთ, ბახუსის სახელწოდების ლათინური ვარიანტი პირდაპირ კი არ იმეორებს ბერძნულ ფორმას, არამედ არქეტიპული ბგერების განსხვავებული ორთოგრაფიული ფიქსაციით, ბერძნულ ფორმებთან ერთად, ღვთაების სახელის ქართველური არქეტიპის დემიფორირებისთვის საჭირო დამატებით და ურთიერთმემავსებელ

ფაქტებს გვთავაზობს. გამოტანილ დასკვნაში ძნელია ეჭვის შეტანა, რადგან ანალოგიურ მოვლენასთან გვეკონდა საქმე ხალიბების ბერძნული და ლათინური ფორმების განხილვის დროსაც; გამეორება კი იგივეა, რაც ექსპერიმენტულად დადასტურებული ფაქტი.

ბერძნული  $\kappa\chi$  და ლათინური  $cch$  თანხმომავანთკომპლექსების ანალიზიც ბერძნულ-რომაული სახელწოდებების ( $B\acute{\alpha}\chi\iota\zeta/B\acute{\alpha}\chi\iota\theta$ ,  $\beta\acute{\alpha}\chi\iota\zeta$ , Bacchus) ქართველურ წარმომავლობას ააშკარავებს, რადგან არაორაზროვნად მიუთითებს იმ საარტიკულაციო სირთულეებზე, რომლებსაც ორივე ერის წარმომადგენლები არქეტიპული  $l$  ბგერის სრულყოფილი გადმოცემისას აწყდებოდნენ.

მიღებულ დასკვნებს, ბერძნული და ლათინური ფორმების ( $B\acute{\alpha}\chi\iota\zeta/B\acute{\alpha}\chi\iota\theta$ ,  $\beta\acute{\alpha}\chi\iota\zeta$ , Bacchus) ქართველური წარმომავლობის შესახებ, მათი სუფიქსური ელემენტებიც ადასტურებენ. როგორც აღინიშნა, ი. დვორეცკის ლექსიკონში ღვინის ღმერთისა და თვით ღვინის სახელი წარმოდგენილია როგორც  $B\acute{\alpha}\chi\iota\zeta/B\acute{\alpha}\chi\iota\theta$  და  $\beta\acute{\alpha}\chi\iota\theta$  (Дворецкий 1958:286), ანუ ღმერთის სახელი დიდი, ხოლო ღვინის სახელწოდება პატარა ასოთი იწერება. ორივეს ძირია  $\beta\acute{\alpha}\chi\chi$ , ხოლო  $-i\zeta$  და  $-i\theta$  მეორე (ო-მიკრონ) კანკლედობის სახელობითი ბრუნვის ნიშანი. თითქოს ყველაფერი ნათელია, მაგრამ გვაქვს, ერთი შეხედვით უმნიშვნელო გარემოება, რომელიც ახსნას საჭიროებს. ეს გასაანალიზებელი ლექსემების ბოლოკიდურ მარცვლებს შორის არსებული განსხვავებაა: კერძოდ, ორ შემთხვევაში ( $B\acute{\alpha}\chi\iota\zeta$ ,  $\beta\acute{\alpha}\chi\iota\theta$ ) ბოლოკიდური მარცვალი  $-i\theta$  ფორმითაა მოცემული, ხოლო ერთში –  $-i\zeta$ -ის მეშვეობით ( $B\acute{\alpha}\chi\iota\zeta$ ). აღნიშნული ორთოგრაფიული განსხვავება მნიშვნელოვანია, რადგანაც ფუძისეული  $\theta$  ბოლოკიდურ  $-i\zeta$ -ში სიტყვის ძირიდან  $i$  ელემენტით არის გამოყოფილი, რაც ამ კანკლედობის სახელებს, როგორც წესი, არ ახასიათებთ. აღნიშნული მოვლენის არაშემთხვევითი ხასიათი დასტურდება ანალოგიური ფორმის შემცველი მთელი რიგი სიტყვების მეშვეობით, რომლებიც დერივაციულად  $B\acute{\alpha}\chi\iota\zeta/B\acute{\alpha}\chi\iota\theta$  და  $\beta\acute{\alpha}\chi\iota\theta$ -თან არიან დაკავშირებულნი; მაგალითისთვის დავასახელებთ  $\beta\alpha\chi\iota\acute{\alpha}\zeta$ ,  $\acute{\alpha}\delta\zeta$  – ვაკხური,  $\beta\alpha\chi\iota\acute{\alpha}$ ,  $\iota\delta\zeta$  – ვაკხი (Дворецкий 1958:286) და სხვა. უფრო მეტიც, ზედაპირულად უმნიშვნელო ელემენტის (ხმოვანი  $i$ ) თავისუფალი „მოქმედება“ ბახუსის სახელიდან ნაწარმოები სიტყვების ბოლოკიდურ მარცვალში, არქეტიპული ხმოვნის ანალოგიურ ბუნებაზე მეტყველებს. მართლაც, ქართველური ბულა-ს ბრუნვის სისტემაში ი ხმოვანი ორჯერ ფიგურირებს: ნათესაობითში (ბულ-ის) და მოქმედებითში (ბულ-ით).  $B\acute{\alpha}\chi\iota\zeta$ -ში დაფიქსირებული  $i$ , ისევე როგორც  $\beta\acute{\alpha}\chi\iota$  ძირიდან ნაწარმოებ  $i$ -ს შემცველ სიტყვებში, ქართული ნათესაობითი ბრუნვის ფორმიდან უნდა იყოს შემორჩენილი. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ  $i$  ბგერის შემცველი სიტყვები კუთვნილების სემას, ანუ ნათესაობითი ბრუნვის შინაარსს შეიცავენ, როგორც ზევით მოყ-



ვანილ ნიმუშებში:  $\beta\alpha\chi\upsilon\acute{\alpha}\zeta$ ,  $\acute{\alpha}\nu\zeta$  – ვაკხური, ანუ ვაკხებისთვის დამახასიათებელი,  $\beta\alpha\chi\upsilon\zeta$ ,  $\iota\delta\iota\zeta$  – ვაკხი ქალი, ანუ ღვთაების თაყვანისმცემელი პიროვნება და სხვა.<sup>8</sup>

ქართველური „ბულას“ ნათესაობითი ბრუნვის ფორმის არქეტიპულ სტატუსს მხარს უჭერს  $\beta\acute{\alpha}\chi\iota\zeta$  ფორმაც, რომელიც „ბულას“ მიცემითი ბრუნვის ფორმის ანალოგია:  $\beta\acute{\alpha}\chi\chi$  (ძირი)+ $\iota$  (ფუძის მანარმოებელი ხმოვანი) +  $\zeta$  (ბრუნვის ნიშანი).<sup>9</sup> აქედან გამომდინარე, ქართული მიცემითი ბრუნვა ბერძნული სახელობითი ბრუნვის ნიშანია, რაც ბერძნულ ბრუნების სისტემას ქართველურზე დამოკიდებულ, მეორად სტრუქტურად წარმოაჩენს. იმის დასტურად, ბერძნული  $\beta\acute{\alpha}\chi\iota\zeta$  რომ გამოწვევის არ წარმოადგენს, საკმარისია, გავიხსენოთ ბერძნულში ნასესხები ხალიბებისა და კასიტურსა და თურქულში ნასესხები ქართველური ბულას იდენტური არქეტიპული მიცემითი თუ ნათესაობითი ბრუნვის ფორმები:

#### ცხრილი 44

არქეტიპებად გასული ქართველური ბულას ბრუნვა

ქართველური	სახელობითი	მიცემითი	ნათესაობითი
	ბულა	ბულა-ს	ბულ-ის
თურქული		boğuz / boğoz	būñiz = buğ+iz
		buğaz / buğuz	
კასიტური		buga + š	
ბერძნული		$\beta\acute{\alpha}\chi\iota$ + $\zeta$	$\beta\acute{\alpha}\chi\iota\zeta$
ლათინური		Bacchu + s	

ამრიგად დავასკვნით, ბერძნული  $\beta\acute{\alpha}\chi\iota\zeta$ ,  $\beta\acute{\alpha}\chi\iota\zeta$  და რომაული Bacchus მომდინარეობენ ქართველური „ბულას“ მიცემითი ბრუნვიდან, მაშინ როცა,  $\beta\acute{\alpha}\chi\iota\zeta$  ქართული ნათესაობითი ბრუნვის ნარჩენი ი ხმოვნით არის შემორჩენილი. შესაბამისად, ქართველური „ბულას“ მიერ გავლილი ფონეტიკური ცვლილებები შემდეგნაირად წარმოდგებიან:

#### ცხრილი 45

ქართველური ბულა და ბერძნულ-რომაული ბახუსი

ბულა / ბულა-ს >	უ → $\acute{\alpha}$ , ღ > $\chi\chi$	→	$\beta\acute{\alpha}\chi\iota\zeta$
ბახუს	←		
ბულა / ბულ-ის >		→	$\beta\acute{\alpha}\chi\iota\zeta$
ბულა / ბულა-ს >		→	Bacchus

<sup>8</sup> შდრ.: ბერძნული  $\chi\acute{\alpha}\lambda\upsilon\beta\text{-}\epsilon\varsigma$  და Chalyb-es (ნათესაობითი ბრუნვა), გვ. 141-146.

<sup>9</sup> შდრ.: ბერძნული  $\chi\acute{\alpha}\lambda\upsilon\psi$  (მიცემითი ბრუნვა), გვ. 141-146.

სახელის ბრუნვიანი ფორმების სესხება, რაც ქართველურიდან სესხების განსაკუთრებულ თვისებად იკვეთება, სხვადასხვა გარემოების თავმოყრის შედეგია. მათ შორის უნდა დავასახელოთ „ბულას“ მიცემითი ბრუნვის ხშირი ხსენება ბულა-ბახუსისადმი მიძღვნილი დღესასწაულების დროს. ამას უნდა დაემატოს სესხების ზეპირსიტყვიერი გზა და სესხების შორეული წარსულიც (შდრ.: „ყალიბის“ სესხებას), რის შედეგადაც, ბრუნვისფორმიანი სიტყვების განუყოფელ ერთეულებად აღქმა ბუნებრივ მოვლენად წარმოჩნდება.

დიონისე-ბახუსის კავშირი ქართველურ სამყაროსთან, რომელიც მისი ეტიმოლოგიზაციით მულავნდება, დადასტურებას მინოსური კულტურიდანაც იღებს, საიდანაც ბახუსის საბერძნეთში შესვლა ივარაუდება. ასე მაგალითად, კრეტის სასახლეებში ქმნიდნენ ბრწყინვალე ღვინის სასმისებს, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა „ხელოვნური სასმელი რქები“ (ჩვენებური ყანწი), რომლებიც ღვინის დიდი დღესასწაულებისთვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. „ერთ-ერთი პროცესიის დროს, ამგვარი სასმელი რქა იმ ახლაგაზრდის სიმალლისა იყო, რომელსაც მისი ტარება ევალებოდა“ (Kerényi 1976:53). ღვინის რქის, ანუ ყანწის დაბადება აღწერილია Nonnos (XII 293-362) მითში ღვინის დაბადების შესახებ (იქვე, 60). მითი აგვიწერს, თუ როგორ წაუძღვა გველი დიონისეს კლდეში, სადაც მან დიდი ნახვრეტი (საწნახელი) ამოთხარა, აავსო ყურძნით და შემდეგ ფეხებით მისი ჭყლეტა დაიწყო. დიონისე-ბახუსმა ღვინის დამზადება შემდეგ სატირებს ასწავლა, რომლებიც ყურძნის ჭყლეტისას ღვთაებას უმღეროდნენ. როდესაც ორმომში (საწნახელში) ყურძნის წვენი დაგროვდა, სატირებმა ხარის რქებით დაიწყეს მისი ამოხაპვა, ვინაიდან ჭიქა (სასმისი) მანამდე არ ენახათ. ამის შემდეგ, ჭიქამ ღვთაებრივი „ღვინის რქის“ სახელი მიიღო (იქვე, 60).

მოყვანილი ინფორმაცია მრავალგზის არის საინტერესო. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის, რომ საქართველოში ღვინოს ოდითგან ცხოველის და მათ შორის ხარის ნამდვლი რქით სვამდნენ, რაც დღევანდლამდე შენარჩუნებული ტრადიციაა და ქართველურ მოდელს დედნის ძალას ანიჭებს, დიონისესეულს კი – მეორადს.

ბერძნების მიერ მევენახეობა-მელვინეობის ნასწავლ, იმპორტირებულ ბუნებას ამხელს ინფორმაცია, სატირების მიერ სასმისის უნახველობის შესახებაც, რაც თავისთავად გულისხმობს ამგვარი სასმისების არსებობას იმ დროს, როდესაც სატირები ღვინის გაკეთების საიდუმლოებას სწავლობდნენ. ამის სანინაალმდეგოდ, ქართველურ ენებში შემორჩენილია სხვადასხვა ფუნქციის (შესანახი, შესანირი, სასმელი) და ზომის ღვინის ჭურჭლის საოცარი მრავალფეროვნება. სასმისებიდან უნდა დავასახელოთ ბადიები, კათხები, კვატუშები, კვანჩხები, თასები, ქვიშინები, ჭინჭილები, ხამანკები, კულები, აზარფეშები, გარეული თხის, არჩვისა თუ ხარის და ძროხის ყანწები და სხვა.

მინოსური კულტურის შემდეგი მაგალითი კვლავ ღვინის სასმისებს ეხება. „ღვინის რქების“ გარდა კრეტელებს ჰქონდათ ხარისთავიანი გამოსახულების მქონე სასმელი ჭურჭლებიც, რომლებსაც რიტუალის განსაკუთრებულ მონაკვეთებში იყენებდნენ. „რიტონის (ხარისთავიანი სასმისი) მცირე ნახვრეტიდან ღვინის გადმოღინებას მინოსელებისთვის რაღაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა“ (იქვე). როგორც კერენი მიუთითებს, ამგვარი სასმისებიდან ღვინის სმა დიონისესა და ხარის მატერიალურ გაიგივებას წარმოადგენდა (იქვე, 55), ანუ დიონისეს, ხარსა და ღვინის მსმელს, ერთ მთლიან არსებად კრავდა.

საქართველოში მოგზაური უცხოელებიც, ალტაცებულნი, გაოცებით აღწერენ ქართულ სუფრას, რომლის დახვეწილი სმა-შეჯიბრი ათქმევინებს განცვიფრებულ ჟან შარდენს: „მხოლოდ მესამე თავი საჭმელის შემდეგ შეხურდნენ და საკვირველად სმა დაიწყეს“ (შარდენი 1935:105).

შემდეგი თვისება, რომელიც კრეტელ ბახუსს ქართველურ სამყაროსთან აკავშირებს, არის ღვინის სახელის შერქმევა ხარისთვის: „The Minoans gave a bull the name of Oinops, wo-no-qa-so, „wine-colored,“ as is twice attested along with other names for bulls on tablets from Knossos“ (Kerényi 1976:54). სხვაგვარად, კრეტელები ხარებს ქართველებით ღვინიას ეძახდნენ. საინტერესოა, ქართველების მსგავსად, კრეტელებიც ყურძენსა და ღვინის ჭურჭელს თუ ადარებდნენ ხარს, რადგანაც ყურძნის ერთ-ერთ სახეობას საქართველოში ხარისთვალა ეწოდება, ხოლო ღვინის ყველაზე მოზრდილ დოქს იმერეთში ხარა-დოქი ჰქვია.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ დიონისე-ბახუსის დაბადებაც ქართველურ სამყაროში ხდება. სემელესა და ზევსის ახლადდაბადებული ვაჟი, დიონისე მონწულ კალათში ჩაანვინეს, და გამოქვაბულში დადგეს. ამ გამოქვაბულის სახელია Korykion antron, ანუ ტყავის ტომრის გამოქვაბული (Kerényi 1976:45), რაც დიონისეს ქართველთა გმირ ამირანთან აიგივებს, მაგრამ გაიგივება ერთნაირ ხნოვანებას არ გულისხმობს. დიონისე-ბახუსი ამირანზე გაცილებით „ახალგაზრდაა“, ვინაიდან ამირანი ხარის ტყავიდან დაიბადა, დიონისე კი მასში მხოლოდ დაბადების შემდეგ „დაანვინეს“. უფრო მეტიც, დიონისე-ბახუსი გულის გამოქვაბულში კალათით შეიყვანეს, ამირანი კი გამოქვაბულში ქალღმერთ დალისა და მონადირის სიყვარულის შედეგად ჩაისახა.

ყოველივე თქმულის შემდეგ გასაკვირი არ არის, რომ „ბახუსი“ ბერძნებისთვის „ბულის“ სახიანი ღმერთი იყო. „იზიდა და ოსირისში“ პლუტარქე გვატყობინებს, რომ „ხშირად ბერძნები თავის ღმერთს ჯარის სახით წარმოსახავდნენ; არგიველებისთვის, რომლებიც ბახუსს ეთაყვანებოდნენ, ღვთაების დაბადება 'ჯარის' სახით წარმო-

ედგინათ, ხოლო ელვას მცხოვრებლების ბახუსი 'ჯარის ტერფება' იყო" (Cooke 1931:148).<sup>10</sup>

ქართველური „ბულასა“ და ზოგი მკვლევრის მიერ, კრეტული თუ მცირე აზიური ან ფინიკიური წარმომავლობისად მიჩნეული, ბერძნულ-რომაული ბახუსის შედარებითი ანალიზი ნათელს ჰფენს ღმერთის გასაიდუმლოებულ გენეტიკას, რომელიც ქართველური ენებისა და კულტურის საგანძურიდან იყო ნასესხები და კასიტური-სა თუ თურქულის მსგავსად, ქართველური სიტყვების სხვადასხვა ბრუნვის ფორმების სესხების „ნესს“ ემორჩილებოდა. ამიტომ, ქართველი ეთნოლოგების მიერ გამოთქმული მოსაზრება მელვინეობის ღმერთის „ბახუსასა“ და ყურძნითა თუ ღვინით ცნობილი სოფლის სახელის „ბახვის“ ბერძნული ბახუსიდან წარმომავლობის შესახებ (ბარდაველიძე 1957:74) მცირეოდენ შესწორებას საჭიროებს. თუ ბახუა და ბახვი მართლაც ღვინის ღმერთის სახელწოდებიდან („ბახუსი“) მომდინარეობენ, რაც ჩვენ ფრიად სარწმუნოდ მიგვაჩნია, მაშინ ორივე სახელი თავისი არსით მაინც ქართველურია. ლინგვისტური მოგზაურობის დასაწყისში ქართველურმა ბულამ ბერძნულ-რომაული ბახუსის (Βάχχιος/Βάχχιος, βάχχιος, Bacchus) ფორმა მიიღო და ასე სახეშეცვლილი დაუბრუნდა თავის „ძირძველ სამშობლოს“, სადაც

---

<sup>10</sup> აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ, „ნებას“ მსგავსად, რუსულში და საერთოდ სლავურში ღმერთის აღმნიშვნელი სიტყვა ნორ, ქართველური ბულადან უნდა იღებდეს სათავეს. შეადარეთ: მცირერუსული ნორ, ძველრუსული ნორ, ძველსლავური Бог, Božič, ბულგარული ნორ, სერბოხორვატული ნორ, განსაკუთრებით ჩეხური Bůh, Bůžek, პოლონური Бог, ზემოლუჟური Bóh, ქვემოლუჟური Бог (ღ > გ; ბულ > Бог). ზოგიერთი მკვლევრის აზრით, სლავებმა, აღნიშნული მნიშვნელობით, ეს სიტყვა ირანელი სკვიტებისგან ისესხეს (Slavisches etymologisches Wörterbuch, von E. Berneker. Vol. 1, Heidelberg. 1908, 67), რასაც ზოგიერთი მეცნიერი არ იზიარებს (Преображенский 1910-1914:71), თუმცა ბგერითი ფორმების მსგავსება მათ შორის არსებულ კავშირებს უჭერს მხარს. თვითონ განსაჯეთ: ძველ სპარსული бага, ზენდური baghō, საშუალოსპარსული bagh და უფრო ღრმად სანსკრიტთან bhāga-s (მიც. ბრ. ?), პირველად მნიშვნელობად ასახელებენ მონყალეს, ნილს და სიმდიდრეს, რომლისგანაც ღმერთის მნიშვნელობა მოგვიანებით განვითარდა (Шанский 1965:148).

ნაშრომში, წარმოებული ანალიზის ფონზე მოყვანილი ინდოევრუპული ფორმები ქართველურ, შუმერულ და ეგვიპტურ მასალასთან შეპირისპირებაში უნდა იქნეს ხელახლა განხილული. ამგვარი ანალიზის ჩატარების სასარგებლოდ მეტყველებს ის ინდოევროპული ფორმები, რომლებსაც განსაკუთრებით კარგად აქვთ შენარჩუნებული არქეტიპის ბგერითი შედგენილობა. მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ ჩეხური Bůh, საშუალო სპარსული bagh და ზენდური baghō, რომელთა დამწერლობაშიც ნათლად ჩანს ველარული სპირანტის გადმოცემის სურვილი, მაშინ როდესაც ძველსპარსულში უფრო მარტივი бага-ა ნარმოდგენილი. ესაა ფაქტი, რომელიც ეწინააღმდეგება სიტყვათა ბგერითი განვითარების ლოგიკას. მაგრამ ამაზე აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, ვინაიდან ეს საკითხები ცალკე და უფრო ღრმა შესწავლას მოითხოვს.

მეორადი „გაქართველება“ განიცადა და ბახუსა და ბახვის ფორმები მიიღო.<sup>11</sup>


დასკენის სახით შეიძლება ითქვას, რომ, ეგვიპტური წმინდა ჯარის (Bkha) მსგავსად, უცნობი წარმომავლობის ცნობილი ბერძნულ-რომაული ღმერთი, რომელიც (თავისი ეთნოსის დასამალად?) თებეში გადაცმული შევიდა, სანყისს ქართველური „ბულადან“ იღებს. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ უდიდესი ეგვიპტური მზის ღმერთი ოსირისი, რომელიც დიდად არის „დავალებული“ ქართველური ენობრივი და კულტურული სიმდიდრისგან, ღვინის ბერძნულ-რომაულ ღმერთთან მთელ რიგ მსგავსებებს ამჟღავნებს (ჯარის სახე, ჯარით დაბადება, ერთი და იგივე ენობრივი არქეტიპი).

თუ წინამდებარე ანალიზის შედეგებს განვაზოგადებთ, ცხადი გახდება, რომ ქართველურმა ენებმა და კულტურამ „ჯარში“ კოდირებული რეალიები და თვით სახელწოდებაც მთელ რიგ ენებსა და კულტურებს გაუზიარა. გასაოცარი გენეტიკური ურთიერთობანი აკავშირებს ქართველურს როგორც მოგვიანო, ისე უადრეს ცივილიზაციებთან; შუმერულმა, ჯარის აღმნიშნელი ორი ქართველური ლექსემა ისესხა: „ჯარი“ (Har) და „გუდა“ (Gud), მაშინ, როდესაც ეგვიპტურმა ენამ სიტყვა „ბულა“ წაიღო და რელიგიური კონცეპტისა („შობის მთა“) თუ თეოფორული სახელების სანარმოებლად გამოიყენა.

დიდი მნიშვნელობისაა ის ფაქტი, რომ საკუთარი სადამწერლობო ნიშნების შესაქმნელად, შუმერულმა და ეგვიპტურმა, ქართული ასომთავრული „ჯარის“ გრაფიკული მონახაზიც ისესხეს:  $\text{ქ} > \text{ქ}, \text{ყ}$ . ასევე მოიქცა ძველი კასიტური იმპერიაც, რომელმაც ქართველური „ბულა“ საკუთარი პანთეონის ერთ-ერთი უდიდესი ღმერთის დასახელებად წაიღო. მოგვიანებით, ბერძნული და რომაული სამყარო, რომელმაც ვაზის გაშენება და ღვინის დაყენება უცხო ხალხისგან ისწავლა, იმავე ქართველურ წყაროს დაესესხა ღვინის ღმერთის სახელის – ბახუსის შესაქმნელად. თურქულმა ენებმა ტრადიციული ენათმეცნიერების სესხების მოდელს მიმართეს, ვინაიდან ქართველური ბულა ლექსიკური ერთეულის სახით გადაიტანეს.

ერთი და იმავე სიტყვის ინტენსიურმა სესხებამ ჯარ/ბულას გამაგნებლად რთული ქსელი ჩამოაყალიბა, რაც მეტი მკაფიოებისთვის 46-ე ცხრილის სახით არის მოცემული:

<sup>11</sup> ქართველური წარმოშობის სიტყვების ანალოგიურ „მოგზაურობაზე“ მიუთითებს მ. მიქელაძეც (მიქელაძე 2001:58-59).



ქართველურსა და მთელ რიგ ძველ ენებს, განსაკუთრებით შუმერულსა და ეგვიპტურს შორის, არსებული გენეტიკური კონტაქტების გამომჟღავნების შემდეგ იბადება კითხვა: ჰქონდა თუ არა ეგვიპტური საყრდენის იეროგლიფს სხვა ქართველური სახელი (შუმერულის მსგავსად), რის შედეგადაც ქართველურ-შუმერული და ქართველურ-ეგვიპტური მასალა ისეთ განონასწორებულ სტრუქტურულ მწკრივებად ჩამოყალიბდა, როგორც ეს 47-ე ცხრილშია მოცემული:

ჯარის ქართველურ-შუმერული და ქართველურ-ეგვიპტური წყვილები

ქართველური	გუდა-ჯარი	შუმერული	Gud- <sup>h</sup> Har
ქართველური	ბულა-ჯარი	ეგვიპტური	{ Buchis - ? Bu-gem

პასუხი წარმოდგენილ შეკითხვაზე არც იოლია და არც ადვილად შესამჩნევი, ვინაიდან ჯარის იეროგლიფის ქართველური და შუმერული სახელი ეგვიპტური ენის დაფარულ სიღრმეში ძვეს. მისი ზენამონევა, ერთი მხრივ, ეგვიპტურ ღმერთებს შორის არსებული კავშირების გაანალიზებისა და ქართველური მასალის მოხმობის, ხოლო, მეორე მხრივ, სახელის ეგვიპტური ფილოსოფიის გარკვევის გარეშე, შეუძლებელია. დავინყოთ ამ უკანასკნელით.

## 6. სახელის კონცეპტი ეგვიპტურ რელიგიაში

„აღმოსავლეთის ხალხების მსგავსად, ეგვიპტელებიც უადრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სახელის ცოდნას“ (Budge 1971:157). მათი აზრით, ადამიანის სახელი ასრულებდა არა მხოლოდ იდენტიფიკაციის ფუნქციას, არამედ წარმოადგენდა პიროვნების არსებობის განუყოფელ ნაწილს (Lurker 1986:7). „ეგვიპტელისთვის სახელი მისი არსების ისეთივე ნაწილი იყო, როგორც სული, ორეული, ანუ კა<sup>12</sup> ან სხეული, და დაზუსტებით შეიძლება ითქვას, რომ ეს შეხედულება უადრესი პერიოდიდან იღებდა სათავეს“ (Budge 1971:157). „ადამიანები და საგნები ფაქტობრივად იწყებდნენ არსებობას სახელის მინიჭების მომენტიდან, სახელი მთლიანობის მანიფესტაციას, ანუ ხარისხის რეალიზაციას მოასწავებდა; ამიტომ სახელს გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ვიდრე ეს პიროვნების ამოცნობის უბრალო საშუალებაა“ (Lurker 1986:83).

გარდა ამისა, „სახელის უბრალო წარმოთქმით ხდებოდა ძალაუფლების ამოქმედება, ვინაიდან სახელში ჯადოსნური გავლენა ბუდობდა, რომლის 'ორეულების' არსებობა ღრმად სწამდათ. პიროვნების სახელი წარმოადგენდა ამოცნობილ სულს; მის წინაშე სამსახური მისი წარმოთქმის დროს სრულდებოდა. სული იყო სახელი და სახელი იყო სული. როდესაც ჯადოქარი ვინმეს წინააღმდეგ ბოროტებას ჩაიფიქრებდა, იგი მის სახელს ძლიერი ჯადოსნური ფორმულების

<sup>12</sup> მსურს, დიდი მადლობა გადაეხადო პროფ. გ. კუჭუხიძეს წინამდებარე ნაშრომის ყურადღებით წაკითხვისთვისა და სასარგებლო რჩევა-შენიშვნებისთვის. საჭიროდ მიმაჩნია, აგრეთვე, სრულად მოვიყვანო მისი კომენტარი ორ ეგვიპტურ სახელთან დაკავშირებით, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ეგვიპტურსა და ქართველურს შორის არსებულ კავშირებს: „რაჭველებისაგან გემგონია ასეთი რამ (ჩემი დაკვირება არ არის): ონი – სახელი იგივე ძველეგვიპტური მზის ქალაქი ონიაო. „კა“ – ადამიანი რომ ძლიერი სულისა გახდებოდა, მის სახელს მაშინ ემატებოდაო, – მაგალითად, „გოჩა“-„გოჩაუკაო“ (ალბათ სადმე წაკითხული ჰქონდა „კას“ შესახებ იმას, ვინც ეს მითხრა რაჭაში ათი წლის წინ...ენერება სადმე...“.

ბიბლიური „ონის“, (დაბ. 41:45) ანუ ეგვიპტური მზე-ღმერთის ძირითადი სათაყვანებელი ქალაქის ეგვიპტური სახელი იყო „ანა“ ან „უნუ“. მისი სავარაუდო მნიშვნელობაა „სვეტის ქალაქი“ (IOS 1988:554), რომელიც ქალაქის პირველი ღვთაების, ფეხბეშეტყუებული პტაჰის მდგომარე მუმბას წარმოსახავდა. აღნიშნული ღვთაება „ანაში“, ანუ „ონში“ ეგვიპტის ლეგენდარულმა მფეუ მენესმა შემოიტანა (Budge 1934:12-13; იხ. გვ. ). ქალაქ ონში აღმართული იყო მზის ღმერთის ტაძარი, რის გამოც ბერძნებმა ანა/უნუ-ონს ჰელიოპოლისი („მზის ქალაქი“) უწოდეს. ეს ენობრივი იგივეობანი – ქართველური „ანა“, „უნი“, „ონი“ და ეგვიპტური ანა, უნუ და ონ ზედაპირზე ძვეს და მათ შორის არსებულ სიღრმისეულ კოდურ ცოდნაზე მიუთითებენ, რის გამოც, მომავალში, მათი დანვრელებითი ლინგვისტური და კულტუროლოგიური ანალიზი აუცილებლად უნდა ჩატარდეს.

წარმოთქმისას იყენებდა. მიცვალებულების სულებსაც ასევე იძახებდნენ, როდესაც მათ სახელებს ღმერთებისადმი აღვლენილ ვედრებაში მოიხსენიებდნენ; ბოროტი სულების განდევნაც მხოლოდ იმათ შეეძლოთ, ვისთვისაც მათი სახელები იყო ცნობილი. ჯადოქრების მფლობელობაში მყოფი 'ძალის მქონე სიტყვების' ან სიტყვიერი წყევლისგან თავის დასაცავად ეგვიპტელები საჭიროდ თვლიდნენ ორი სახელი ჰქონოდათ – დიდი და პატარა, ანუ ნამდვილი და კარგი სახელი. ეგვიპტელი 'დიდ, ნამდვილ სახელს' საიდუმლოდ ინახავდა, ვინაიდან იგი წარმოადგენდა „რანს“;<sup>13</sup> კარგი, პატარა სახელი კი მისი თიკუნი (ზედმეტი სახელი) იყო და მისივე არსების ნაწილს არ შეადგენდა“ (Mackenzie 1913:90-91; ხაზგასმა ჩვენია – ა. მ.).

„ეგვიპტელებისთვის სახელის არჩევა არც თუ უბრალო საქმე გახლდათ; არათუ ადამიანებსა და ცხოველებს, არამედ საგნებსაც კი რამდენიმე სახელი სჭირდებოდათ და შეიძლება ითქვას, რომ ვერც ადამიანი და ვერც საგანი ვერ მიაღწევდა სრულყოფილ არსებობას, სანამ სახელს არ შეარქმევდნენ. უძველესი სახელები, ხშირად, მოკლე სიტყვებია, რომლებიც გარკვეულ მორალურ ან ფიზიკურ თვისებას აღნიშნავენ“ (Maspero 1922:259-60).

„სახელების ცერემონია გასაიდუმლოებულ ვითარებაში ენყობოდა. ბავშვის ბედი დაკავშირებული იყო ნამდვილ სახელთან და ადამიანის ხასიათიც მისი გავლენის ქვეშ ექცეოდა, რის შემდეგ ზედმეტი სახელი გამოიყენებოდა, მაშინ, როდესაც ნამდვილი სახელი საფლავის სახელი იყო და წარმოითქმებოდა, როდესაც სულის კარგად ყოფნა ჯადოსნური შელოცვებით იყო უზრუნველყოფილი; ეს უკანასკნელი 'გზას უხსნიდა' გარდაცვლილს მიცვალებულთა სამეფოში“ (Mackenzie 1913:90-91). ამიტომ, „მაგიური ძალის მქონე სახელების გამოყენებისა და მათი წარმოთქმის ცოდნა აუცილებელი იყო როგორც ცოცხლების, ისე მკვდრებისთვის“ (Budge 1971:157). ქვესკნელში მოგზაურობისას, გარდაცვლილს სთხოვენ კარიბჭეების, მეკარეების, დარაჯების, ნავის სხვადასხვა ნაწილებისა და ა.შ. სახელთა წარმოთქმას („დღით გამოსვლის თავები“; Budge 1971:164-65). მთელ რიგ შემთხვევებში გარდაცვლილს სხვადასვა საგნის (მდინარეთა, მდინარის ნაპირებისა და ა.შ., იქვე, 169) მისტიური, ანუ დაფარული სახელებიც უნდა წარმოეთქვა, რაც ადვილ საქმეს არ წარმოადგენდა, რადგანაც ღმერთებს ბევრი სახელი ჰქონდათ და მხოლოდ რამდენიმე მათგანი იყო თვით ღმერთებისთვისაც კი ცნობილი, რომ არაფერი ვთქვათ ჩვეულებრივ მოკვდავზე.

<sup>13</sup> საინტერესოა, ქართული რანი (კითხვითი ნაცვალსახელის რა მრ. რიცხვი), რომლის მნიშვნელობა გამოთქმაში – „რანი ვართ“, ადამიანის არსის ეგვიპტური გაგების იდენტურია.



ნამდვილი სახელები ყოველთვის დაფარული ან უცნობი იყო, თუმცა ისინი სწორედ იმ ლექსებებს წარმოადგენდნენ, რომლებშიც საგნის ჭეშმარიტი არსება იყო დავანებული. „რას ღმერთებისა და ხალხისთვის მრავალი უცნობი სახელი ჰქონდა, მაგრამ ღვთაებრივი ძალა მხოლოდ ერთ-ერთი საიდუმლო სახელის წყალობით გააჩნდა“ (Mackenzie 1913:2). შეადარეთ ღმერთის ისეთი სახელი, როგორცაა „თვითშობილი არსება“, „მრავალია და დაფარული, თვით ღმერთებსაც კი არ აქვთ მათი ცოდნა“ (რასა და ისიდას ლეგენდა, Budge 1971:137). მსგავსი რწმენა-წარმოდგენების საფუძველზე, სახელების ფუნქციისა და არსის შესახებ ჩამოყალიბდა შეხედულება, რომლის მიხედვით „თითოეული ადამიანის ცხოვრებას მისი სახელის საიდუმლო ძალები განაგებს“ (Lurker 1986: 83-84). ერთი ეგვიპტური ანდაზის თანახმად, „ცოცხლობს ის, ვისი სახელიც იხსენიება. ამის გამო მეფეთა და წარჩინებულთა სახელებს ხშირად წერდნენ მონუმენტებზე, რათა სიკვდილის შემდეგ მათი პატრონების სიცოცხლე უზრუნველყოთ ...“ (იქვე).

აქედან გამომდინარე, ნამდვილი სახელი ადამიანის (საგნის) განმსაზღვრელი ასპექტია. ესაა თვისება, რომელიც რეალურად განკარგავდა სახელის პატრონის სიკვდილ-სიცოცხლეს. ამის შემდეგ, არ არის გასაკვირი, რომ სახელს საიდუმლოდ ინახავდნენ, ხოლო ღმერთების ნამდვილი სახელის გაგება წარმოუდგენლად რთულ ამოცანას შეადგენდა როგორც ძველად, ისე ახლაც. თუ ძველ ეგვიპტელს ღმერთის სახელის ცოდნა ღვთაებრივ ძალებზე ზემოქმედების შესაძლებლობას აძლევდა, თანამედროვე მეცნიერს იგივე ცოდნა კარს გაუხსნის ეგვიპტური ცივილიზაციის ჭეშმარიტი ისტორიისკენ, რაც დაგვეხმარება კაცობრიობის განვითარების პრეისტორიული ხანის რეალური სურათის აღდგენაში. სამწუხაროდ, მთელ რიგ გარემოებათა გამო (იხ. ქვემოთ), მეცნიერთა უმრავლესობას ეგვიპტური ენის ფონოლოგიური სისტემის ზუსტად აღდგენის შესაძლებლობაც კი განუხორციელებელ ამოცანად მიაჩნია, რაც ამ უძველესი ხალხისა და ღირსშესანიშნავი ეპოქის ჭეშმარიტი ისტორიულ და კულტურულ სურათში შეუღწევადობის ექვივალენტურია. როგორც ა. დ. მაკენზი შენიშნავს, „ჩვენ მიერ ენის სწორად გამოთქმის უცოდინრობა ზოგიერთ ღმერთს უაზროს ხდის, თუმცა ისინი ალბათ სიბრძნის მარგალიტებად იყვნენ მიჩნეულნი“ (Mackenzie 1913:240). „ჩვენ შეიძლება დარწმუნებულნი ვიყოთ იმაში, რომ ღმერთების ფორმასა და მათი აღჭურვილობის ყოველ დეტალს რეალური მნიშვნელობა ჰქონდა, როდესაც ისინი პირველად დახატეს. ჩვენ რომ ეს მნიშვნელობები ვიცოდეთ, ღიმილი გაგვიქრებოდა სახეზე“ (Budge 1934:23).

სწორედ ამ ლინგვისტური სიძნეელების გადალახვაში გვეხმარებიან ქართველური ენები, რის გამოც ვაგრძელებთ ქართველური ენობრივი მასალის გამოყენებას ქართველურ-ეგვიპტური წყვილის დაკარგული რგოლის საძიებლად:

ცხრილი 48  
ქართველურ-ეგვიპტური ჯარის წყვილი

ქართველური ეგვიპტური	ბულა Bkha	ჯარი ?
-------------------------	--------------	-----------

## 7. ეგვიპტური ენის ფონოლოგიური სისტემა

ეგვიპტური ღმერთების ლინგვისტურ-კულტუროლოგიური ანალიზის დაწყებამდე აუცილებელია, მოკლედ მიმოვიხილოთ ეგვიპტური ფონოლოგია ქართველურ სისტემასთან მიმართებაში – საკითხი, რომლის სპეციალური კვლევა ჯერ არ ჩატარებულა. წინამდებარე თავში არ შევხებით არც ცალკეული ეგვიპტური ბგერების დეშიფრირების ისტორიას და არც მათ განხილვას ქართველურთან ურთიერთობაში. ჩვენი მიზანია, მოვხაზოთ ამ ორი ენის ფონოლოგიური სისტემის ძირითადი მახასიათებლების შედარებითი სურათი და ვაჩვენოთ ქართველური ენების ბგერითი შედგენილობის შესაძლებლობები ეგვიპტური ფონოლოგიური სტრუქტურის დასადგენად, რომლის განსაზღვრის სირთულე ძირითადად ორი თვისებით არის გამოწვეული: ორთოგრაფიული, ანუ დანერილობითი და ფონეტიკური, ანუ ბგერითი. პირველს მიეკუთვნება სანერი ნიშნების მრავალგვარობა, ხოლო მეორეს ეგვიპტური დამწერლობის კონსონანტური პრინციპი.

ორთოგრაფიული თვალსაზრისით, ეგვიპტური დამწერლობა სამი სახის ნიშნებს შეიცავს: პირველი, ცალკეული ბგერების გამომხატველი, ანუ ერთნიშნა იეროგლიფებია (ჰომოგრაფები), რომლებიც ანბანის ასო-ნიშნების მსგავსად ფუნქციონირებენ; მეორე, მთლიანი სიტყვების გამომხატველი იეროგლიფებია. მათ იდეოგრამებს (ლოგოგრამებს) უწოდებენ; მესამე ჯგუფი მოიცავს ე.წ. სემოგრამებს, ანუ დეტერმინანტ-მსაზღვრელებს, რომლებიც სიტყვით აღნიშნული საგნის კლას-კუთვნილებაზე მიუთითებენ (ღვთაებები, სანერი მასალა, ფრინველები და ა.შ.). საქმეს ართულებს ისიც, რომ სიტყვის ორთოგრაფია შეიძლება ყოფილიყო წარმოდგენილი მხოლოდ ჰომოგრაფებით, ჰომოგრაფებითა და იდეოგრამებით და სამივე სახის იეროგლიფით ერთდროულად (Allen 2002: 13).

ორთოგრაფიული საშუალებების ამგვარ სიჭრელეს ემატება ეგვიპტური დამწერლობის კონსონანტური პრინციპი, რომელიც ხმოვნების უგულვებლყოფის გამო, ხშირ შემთხვევაში, პრაქტიკულად, თანხმოვანთა ძნელად გამოსათქმელი მწკრივის სახით წარმოდგება. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ ამენპოტეპ III-ის სახელის ტრანსლიტერაცია Nbmꜣtḥr, რომლის მსგავსი ენის გასატეხი, კელი როსის საერთოდ არ ეგულება (<http://www.friesian.com/egypt.htm>).<sup>14</sup>

აღნიშნულმა გარემოებებმა ფრიად გაართულა ეგვიპტური ფონოლოგიური სისტემის დადგენა, რომელიც მეთოდოლოგიურად სამძირითად პრინციპს ეყრდნობა. ესენია: აფროაზიური ენობრივი მასალის შედარებითი რეკონსტრუქცია, სემიტური ენების უკეთ შესწავლილი ფონოლოგიური სისტემების მონაცემები და ის ფონოლოგიური კანონები, რომლებიც ბგერათა ცვლილებებს ძველი ეგვიპტურიდან კოპტურამდე მართავდნენ (Loprieno 1995:28). მიუხედავად ამგვარი კომპლექსური მიდგომისა, ეგვიპტოლოგები ყოველთვის ხაზგასმით მიუთითებენ რეკონსტრუქციების ჰიპოთეტურ და არაზუსტ ხასიათზე. შდრ.: „მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოდ შესაძლებელია ბგერათა ცვლილებების რეგულარული მოდელების ამოცნობა ეგვიპტური ენის განვითარების მანძილზე მათი აფრო-აზიური პრაფორმების ჩათვლით, ყოველ მოცემულ დროის მონაკვეთში ეგვიპტური ენის სინქრონულ სისტემებში ოთხი ათასი წლის შემოქმედებითი ისტორიის მანძილზე ფონოლოგიური ოპოზიციების დადგენა ენინააღმდეგება ნათელ ანალიზს“ (იქვე; ხაზგასმა ჩვენია – ა. მ.). ნახევარი საუკუნის წინ ანალოგიურ აზრს გამოთქვამდა ინგლისელი ეგვიპტოლოგი ა. გარდინერი: „არ უნდა დაგვაინყდეს, რომ შემოთავაზებული ვოკალიზაცია წმინდა წყლის ხელოვნური ჩანაცვლებაა და ხმოვნებთან მიმართებაში, მცირე ან არავითარი მსგავსება არა აქვს იმ უცნობ თავდაპირველ გამოთქმასთან, რომლითაც ეგვიპტელები მეტყველებდნენ“ (Gardiner 1957:28).



ეგვიპტური ფონოლოგიური და დამწერლობითი სისტემების მოყვანილი თვისებების გათვალისწინებით, მოვიყვანოთ სხვადასხვა დროის წამყვანი ეგვიპტოლოგების მიერ შემოთავაზებული ბგერითი სისტემების გაერთიანებული ცხრილი. (ცხრ. 49, გვ. 197-204).

როგორც ცხრილიდან ჩანს, ეგვიპტური ჰომოგრაფების ძირითადი რაოდენობა 25 ნიშნით განისაზღვრება.<sup>15</sup> ფონეტიკური ღირებულების დადგენის სირთულეების გათვალისწინებით, ორი ჯგუფი გამოიყოფა: იეროგლიფები, რომელთა ბგერითი მხარე ფაქტობრივად ცალსახად არის დადგენილი (6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 24; სულ 16) და იეროგლიფები, რომელთა ფონემური ასპექტი


<sup>14</sup> ამენპოტეფ III-ის სახელის დაახლოებითი ქართული ნოტაციაა ნბმყხტრხ.

<sup>15</sup> ერთნიშნა ანბანური იეროგლიფების რაოდენობა მერყეობს 24-იდან 26-მდე.



ცხრილი 49  
 ეგვიპტური ენის იეროგლიფური „აზანი“

იეროგლიფი	სახელწოდება	ტრანსლიტერაცია	გამოთქმა	აღნიშვნა
1 	კური (მიმინო, ძერა)	კ	<p>აღუფს ან ხამზას მსგავსი ბგერა (ოდნაი ჩახველება)</p> <p>/a / (Budge)</p> <p>/3/ (Gardiner)</p> <p>/l /r/ (Allen)</p> <p>დაუზუსტებელია.</p> <p>/r/ &gt; /l/ (Loprieno)</p> <p>/l/ (Ritner)</p>	<p>გლოტალური ხშული/მსკდომი, რომელიც სასული მილის ოდნაი ჩაკეტვისას წარმოიქმნება</p> <p>ხმოვანი.</p> <p>l და r გაქრნენ საშუალო ეგვიპტურში. მათი ადგილი დაიკავა ბგერა ʕ-მ ან გლოტალურმა ხშულმა.</p> <p>ადრეული r &gt; გვიანი ? (ხორხისმიერი ხშული).</p>
2 	ლერნის ფითილი	ლ	<p>/a/ (Budge)</p> <p>/l/ (Gardiner)</p>	<p>თავდაპირველად იყო კალატალური ირაციონალური ხმოვანი.</p> <p>ხმოვანი.</p>

				(Allen)	არ გააჩნდა საკუთარი ფონეტიკური ლირებულება; უჩვენებდა სიტყვის ხმოვნით დანაწევბა-დამთავრებას. ბგერობრივად ალბათ იგივე იყო რაც ყ.
				(Loprieno) (Ritner)	ადრეული } > გვიანი ?. პეგეს I-ს, სხვაგვარად j.
3		ლერნმის ორმაგი ფოთოლი	v j	(Budge) (Gardiner) (Allen) (Loprieno) (Ritner)	გრძელი ნინა როგის ხმოვანი. ხმოვანი. როგორც ყ ინგლისურ სიტყვაში yet. j როგორც ინგლისურ სიტყვაში yoke. ჩვეულებრივ სიტყვის ბოლოში.
4		მკლავი	c	არაბული 'აინ	მკლავი ფარინგალური ფრიკატივი, გუბურალური თანხმოვანი.






5		მწერის ბარტყი	w	/ა/ /ა/ /d/ რ/  რ/ რ/  /w/ /ა/ /w/ /w/ /w/ /w/ /w/	(Budge) (Gardiner) (Allen)  (Loprieno) (Ritner)  (Budge) (Gardiner) (Allen) (Loprieno) (Ritner)	ხმოვანი.  თავდაპირველად ალბათ გამოთქმულია როგორც ძ ინგლისურ სიტყვაში deed, შემდეგ როგორც წ.  როგორც არაბული სიტყვაში ka'ba.  ბაგისმიერი ირაციონალური ხმოვანი. ხმოვანი.  შესაძლოა, ზოგჯერ გამოთქმულია როგორც ა. უკავს ა-ს, სხვაგვარად w.
---	---	---------------	---	---	--	---



6		ფეხი	b	/b/	მეფერი წველიბაგისმიერი ხმული.
7		სკამი	p	/p/	ყრუ წველიბაგისმიერი ხმული.
8		რქიანი გველი	f	/f/	ყრუ კბილბაგისმიერი ფრიკატივი.
9		ბუ	m	/m/	წველიბაგისმიერი ცხვირის-მიერი სონანტი.
10		წყალი	n	/n/	ალეკოლარული (უნისმიერი) სონანტი. შუიძლება იდგეს ს-ნაცვლად (Allen, Ritner).
11		პირი	r	/r/	სონანტი. შუიძლება იდგეს ს-ნაცვლად (Allen, Ritner).
12		ჩაკეტილი სივრცე, თავმუსაფარი	h	/h/	ყრუ გლოტალური ფრიკატივი.
13		დაგრეხილი თოკი	h	არაბული (h.a) ჯ	ყრუ ფარინგალური ფრიკატივი, ძლიერი გუტურული თანხმოვანი.
				/h/	(Budge)

				/h/ /h/ /h/ /h/	(Gardiner) (Allen) (Loprieno) (Reitner)	გამოთქმის ღრმად ყელში. როგორც არაბულ სიტყვაში ahmad.
14.		ულაცენტა (?)	h kh	/kh/ /kh/ /h/ /x/ /x/ /x/	(Budge) (Gardiner) (Allen) (Loprieno) (Ritner)	ერუ ველარული ფრიკატივი.  ბგერა ch გერმანულ სიტყვაში ach. როგორც გერმანულ სიტყვაში Buch.
15		ცხოველის მუ- ცილი ან ჯიქანი	h	/kh/  /kha/ /h/	  (Budge) (Gardiner)	ერუ პალატალური ფრიკატივი, რომელსაც ეგვიპტელები პლა- ცენტას იეროგლიფის kh ბგე- რისგან არ ანსხვავებდნენ.



				/ɛ/	(Allen)	ძლიერი h ინგლისურ სიტყვაში hue.
				/ɛ/ ალბათ /ɛ/	(Loprieno) (Ritner)	როგორც გერმანულ სიტყვაში Ich /ɛ/.
16		დაკეცილი ქსოვილი	s	/s/ /s/ /s/ /z/	(Budge) (Gardiner)	ყრუ ალვეოლარული (წუნისმიერი) ფრიკატივი.
17		საკეტი	z	/z/ /s/ /z/ /z/ /th/ /z/ /z/	(Budge) (Gardiner) (Allen) (Loprieno) (Ritner)	მყლური ალვეოლარული (წუნისმიერი) ფრიკატივი.  როგორც ინგლისურ სიტყვაში think z > s z > s
18		აუზი	s sh	/ʃ/		ყრუ პალატო-ალვეოლარული ფრიკატივი.

19		მთის კალთა	ჭ	q	არაბული qaf (ق)	(Budge) (Gardiner) (Allen) (Loprieno) (Ritner)	ყრუ შევლარული ხბული/მსკდომი.  გამოთქმის ძლიერ ღრმად ველში. როგორც არაბულ სიტყვაში qur'an.
20		ყურიანი კალაია	k		/k/		ყრუ შევლარული ხბული/მსკდომი. როგორც ინგლისურ სიტყვებში kick და cue.
21		დოქის სადგამი	გ		/g/		მულერი შევლარული ხბული/მსკდომი.
22		პური	t		/t/		ყრუ კბილისმიერი ან ნუნის-მიერი ხბული/მსკდომი.
23		საბელი	ქ	ts	/tʃ/	(Budge)	ყრუ პალატო-ალვეოლარული აფრიკატი.

24		ხელი	d		/h/ /k/ /x/ /c/ /s/	(Gardiner) (Allen) (Loprieno) (Ritner)	„ჰეორე ჯ. როგორც ხ ინგლისურ სიტყვაში chaw. როგორც ინგლისურ სიტყვაში choke.“
25		გველი	d		/tʃ/ /s/ /tʃ/ /d/ /x/ /s/ /h/	(Budge) (Allen)  (Budge) (Gardiner) (Allen) (Loprieno)	მეფური კბილისმიერი ან წუნისმიერი ხშული/მსკლომი.  ჯ გარკვეული ემფატიკით.  მეფური პალატო-ალვეოლარული აფრიკატი.  როგორც ინგლისურ სიტყვაში June. როგორც ინგლისურ სიტყვაში joke.

ცხრილში გამოყენებულია: Allen 2002, Budge 1978, Gardiner 1957, Loprieno 1995, Kelley <http://www.friesian.com/egypt.htm>

დღესაც დაუდგენელია და საკამათო (1, 2, 3, 4, 5, 14, 15, 23, 25; სულ 9). იეროგლიფების სწორედ ეს ჯგუფი იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას, ვინაიდან მასში შემავალი ნიშნების ბგერითი ასპექტის განსაზღვრა მომავალში ძლიერ დაეხმარება ეგვიპტოლოგებს ამ უძველესი ენის ფონოლოგიური სისტემის ჩამოყალიბებაში. შესაბამისად, შეიქმნება ეგვიპტური ენის უფრო ზუსტი აღწერისა და ნათესაური თუ სხვა სახის კავშირების გამოვლენის შესაძლებლობა. ასე მაგალითად, აღნიშნულ ჯგუფში შედიან ე.წ. ფარინგალური თუ გლოტალური თანხმოვნები (ემფატიკური თანხმოვნები), რომლებიც ეგვიპტური ენის ფონოლოგიური სისტემის ერთ-ერთი მახასიათებლები არიან (Loprieno 1995:1) და რომლებიც, სპეციფიკური ქართველური თანხმოვნების მსგავსად, მჟღერ და ყრუ მენწყვილებთან ერთად, სამწევრა ოპოზიციებს წარმოქმნიან. ქართველურ ბგერებთან სიახლოვით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ ოთხი იეროგლიფით გადმოცემული ბგერები. ესენია: „ჩაკეტილი სივრცე“ (12), „დაგრეხილი თოკი“ (13), „პლაცენტა“ (14) და „ცხოველის მუცელი“ (15) შესაბამისი ღირებულებებით **h**, **ḥ**, **h̥**, **ȟ**. გთავაზობთ აღნიშნული ფონემების აღწერას ჯ. ალენის *Middle Egyptian*-ის მიხედვით:

„**h** ალბათ წარმოითქმის როგორც ინგლისური **h** სიტყვაში *hot*.

**ḥ** ინგლისური **h**-ს მსგავსი ბგერაა, ოღონდ წარმოითქმის ღრმად ყელში. ესაა არაბულსა და ებრაულ ენებში არსებული ბგერის მსგავსი მონაცემი, რომელიც ჰგავს სათვალის გასანმენდად ამოსუნთქული ჰაერის ხმიანობას.

**h̥** ალბათ წარმოადგეს გერმანული **ch**-ს მსგავს ბგერას *ach* კომბინაციაში. ინგლისურს რომ მიეუახლოოთ, სცადეთ წარმოთქვათ *lock ყელის მთლიანი დახურვის გარეშე*. ზოგიერთი ეგვიპტოლოგის აზრით, იგი ახლოს უნდა მდგარიყო არაბულ და ებრაულ თანხმოვან „აინთან“ (სცადეთ წარმოთქვათ *log ყელის მთლიანი დახურვის გარეშე*).

**ȟ** ალბათ წარმოითქმოდა, როგორც წინა ბგერა (**h**) მომდევნო **γ**-თან ერთად (სცადეთ წარმოთქვათ *cue ყელის დახურვის გარეშე ან hue ძალიან ძლიერი h ბგერით*). იმ ეგვიპტოლოგების აზრით, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ **ḥ** „აინის“ მსგავსად გამოითქმოდა, **h̥**-ს მიაწერენ **ch** ბგერის ღირებულებას, როგორც გერმანულ *ach*-ში“ (Allen 2002: 16; ხაზგასმა ჩემია – ა. მ.).

ბგერების ასეთი დეტალური აღწერა წარმოდგენილია არა მხოლოდ ჩვენთვის საინტერესო თანხმოვნების დაუზუსტებელი ფონეტიკური ღირებულებების ხაზგასასმელად, არამედ, უფრო მეტად იმისთვის, რომ ვაჩვენოთ ეგვიპტურში საკამათო ფონემების შესაბამისი ბგერების არსებობა ქართველური ფონოლოგიაში. როგორც ითქვა, **h**, **ḥ**, **h̥** და **ȟ** „ყელის მთლიანი დახურვის“ გარეშე წარმოითქმის, რაც მათ ფშვინვიერ (ფრიკატულ) ბუნებაზე მიუთითებს.

ქართველურში, ფრიკატივების რამდენიმე ჯგუფიდან<sup>16</sup>, აღწერილ ეგვიპტურ ბგერებს ყველაზე მეტად უვეულარული (უკანა ენისმიერი და ენის ძირის მიერი) და გლოტალური (ხორხისმიერი) ფონემები შეესაბამება: ქ, ხ, ლ, ჳ, ჰ. პირველი, ანუ ეგვიპტური ხ შეესაბამება ქართველურ გლოტალურ ფრიკატივს ჰ. მეორე, ანუ ეგვიპტური ჰ აღწერილი თვისებების მიხედვით (წარმოითქმის ღრმად ყელში („სათვალის გასანმენდად ამოსუნთქული ჰაერის ხმიანობა“) ემსგავსება არა მხოლოდ არაბულ და ებრაულ ბგერებს, არამედ ორ, შესაძლო ქართველურ ბგერასაც: ხ-სა და -ჳ-ს; საინტერესოა, რომ აღნიშნული თანხმოვნები ქართველურში ურთიერთჩანაცვლებადი ბგერებია.

მესამე ფონემა (h), რომელსაც „აინს“ ამსგავსებენ, ქართველურ მჟღერ ველარულ სპირანტს ლ შეესაბამება, ხოლო რაც შეეხება ეგვიპტურ h-ს, აღწერილი თვისებების საფუძველზე (ძალიან ძლიერი h), იგი ფაქტობრივად h-თანხმოვნის მსგავსია, ვინაიდან „სათვალის გასანმენდად ამოსუნთქული ჰაერის ძლიერი ნაკადით“ და, მაშასადამე, ხმით ხასიათდება. შესაბამისად, ისევე როგორც h-ს, h-საც ორი ქართველური ფონემა მიესადაგება: პოსტ-ველარული ჳ ან ყრუ ველარული სპირანტი ხ. ნიშანდობლივია, რომ ქართველური მონაცემები და ორი იეროგლიფის („დაგრეხილი თოკი“, „ცხოველის მუცელი“) არტიკულაციური აღწერა მათ ფონეტიკურ ღირებულებებს ერთმანეთს უტოლებენ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ქართველური ამას აღნიშნული ფონემების ურთიერთჩანაცვლების საფუძველზე ახდენს, ეგვიპტური კი დამოუკიდებელი იეროგლიფების ფონემების განსაზღვრით. შესაბამისად, ეგვიპტური და ქართველური ბგერები შემდეგ ფონეტიკურ წყვილებად შეგვიძლია წარმოვადგინოთ:

### ცხრილი 50

#### ეგვიპტური და ქართველური ფონეტიკური წყვილები

h-ჰ

h-ხ / ჳ

h-ლ

h-ჳ / ხ

ფონეტიკური ღირებულების დადგენის სირთულით კიდევ რამდენიმე იეროგლიფი გამოირჩევა. ესენია: „ქორი“ (1), „ლერნმის ფოთოლი“ (2), „მკლავი“ (4), „მთის კალთა“ (19), „საბელი“ (23) და „გველი“ (25). „გველის“ იეროგლიფის მიღებული ფონეტიკური ღირებულება (მჟღერი პალატო-ალვეოლარული აფრიკატი /dʒ/, ქართული ჯ) ბაჟს წარმოდგენილი აქვს ts (შდრ.: ქართული ც) და tch კომბინაციებით. ამ

<sup>16</sup> წყვილბაგისმიერი ფ; ენაკბილისმიერნი: თ, ც, ს; ენანუნისმიერნი: ჩ, შ; უკანა ენისმიერნი: ქ, ხ, ლ; ენის ძირის მიერი ჳ; ხორხისმიერი ჰ.

ორი შესაძლებლობიდან ავტორი მხოლოდ tch /tʃ/ ვარიანტს ანიჭებს უპირატესობას, მაშინ, როდესაც ორივე კომპლექსით გადმოცემული ფონემა სრულად შეესაბამება ორ ქართულ ბგერას ც-სა და ჩ-ს. „საბელის“ იეროგლიფი ყრუ ალვეოლარული აფრიკატია /tʃ/ (ქართული ჩ), რომელიც, ბაჯის აზრით, გამოითქმოდა როგორც კბილბაგისმიერი th ინგლისურ სიტყვაში thin, რაც ძლიერ ახლოს დგას ქართველურ თ-სთან.

კიდევ უფრო საინტერესოდ მოჩანს ის ფაქტი, რომ ამავე (მეორე) ჯგუფის იეროგლიფები („ქორი“, „ლერნმის ფოთოლი“, „ორი ლერნმის ფოთოლი“, „მწყრის ბარტყი“), ზოგი მკვლევრის აზრით, ხმოვანი ან ნახევარხმოვანი იყო. ასე მაგალითად, „ლერნმის ფოთოლი“, რომელიც ძლიერ სუსტ ბგერას წარმოადგენდა და მხოლოდ სიტყვის ხმოვნით დანყებაზე მიუთითებდა, ზოგჯერ უღერდა როგორც ყინგლისურ სიტყვაში yet, რაც დაახლოებით ქართულ მ-ს შეესაბამება. ბაჯის აზრით, მას გააჩნდა ლიობის თვისებაც, ანუ იგი ა-სა და ე-ს შუალედურ ბგერას წარმოადგენდა (Budge 1978:lxii). იგივე ითქმის „ქორის“ იეროგლიფზეც, რომელიც ა-სა და ო-ს შუალედურ ხმოვანს იყო გატოლებული და ასევე „მკლავის“ იეროგლიფზე (სემიტური ყ-ს შესატყვისი ბგერა), რომელსაც, ხშირად ა-ს (მახვილიანი ან ბლაგვი) ღირებულება გააჩნდა.

აზრთა სხვადასხვაობაა ორმაგი „ლერნმის ფოთლის“ ფონეტიკურ ღირებულებასთან დაკავშირებითაც. ერთი თვალსაზრისით იგი გრძელი ი-ს ტოლია, ხოლო მეორის მიხედვით – ინლისური ნახევარხმოვნის ყ-ს ბადალი. სხვაგვარად, „ლერნმის ფოთოლი“ და „ორმაგი ლერნმის ფოთოლი“ გარკვეულ შემთხვევებში ერთნაირ ბგერებს გადმოსცემდნენ. ზოგადად, ცალკეული ხმოვნების პრობლემა ეგვიპტურში დიდი სირთულით გამოირჩევა. მიაჩნიათ, რომ თავდაპირველი სისტემა სამ ხმოვანს მოიცავდა: ი, ა, უ (Loprieno 1995:1).

აღნიშნული იეროგლიფების ხმოვნიანობაზე საუბრისას მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება; კერძოდ, ეგვიპტელები აღნიშნულ იეროგლიფებს გამოთქვამდნენ არა მხოლოდ როგორც განსხვავებულ ხმოვნებს, არამედ, აგრეთვე, როგორც მათ მოდიფიცირებულ ვარიანტებს. „მასპერომ თავის *Introduction à l'Étude Phonétique Égyptienne* (პარიზი, 1917) დიდი ენერჯიის ხარჯზე შეძლო, შეეგროვებინა უამრავი მაგალითი, რომელიც ააშკარავებს იმ განსხვავებულ ხმოვან ბგერებსა და მათ მოდიფიცირებულ ვარიანტებს, რომლებსაც თვით ეგვიპტელები ანიჭებდნენ ამ იეროგლიფებს და, რაც ადამიანურ არტიკულაციას ძალუძს, მინიჭოს ასო-ნიშანს“ (Budge 1978:lxiii; ხაზგასმა ჩვენია – ა. მ.).

გამოთქმული მოსაზრება დიდად გვაგონებს ქართველური ენების ფონოლოგიური სისტემის მრავალფეროვნებას, სადაც ძირითა-

დი ხუთი ხმოვნის გარდა (ა, ი, ე, ო, უ), გვაქვს გრძელი (ზ, რ, ჟ, რ, ჟ), პალატალური (ჭ, რ, ჟ), გრძელი-პალატალური (ჭ, რ, ჟ) და გრძელი და მოკლე ცენტრალური ხმოვანი (გ, ზ), რომელსაც ხშირად ვხვდებით ინდოევროპულ თუ სხვა ენებში და უმარცვლო ჟ. უფრო მეტიც, გვაქვს ნახევრადხმოვნებიც: მ (მე) და ჯ (ჟი). პირველი (მ) პალატალურ ყ-ს ესადაგება, ხოლო მეორე – „მწყრის ბარტყის“ იეროგლიფით გადმოცემულ წყვილბაგისმიერ w-ს. ეს უკანასკნელი, ბაჯის აზრით, უ ხმოვანსაც გადმოსცემდა. როგორც ვხედავთ, ქართველური და ეგვიპტური ენების ფონეტიკური სისტემები მსგავსი მრავალფეროვნებით ხასიათდებიან. მეტიც, ქართველური ფონოლოგიური სისტემა გაცილებით უფრო მასშტაბურია და ამონურავს ეგვიპტური ენისთვის დაშვებულ ყველა ბგერით შესაძლებლობას. ეს კი ხსნის გზას ქართველური და ეგვიპტური ენების შედარებითი კვლევისკენ.

თუ შევეცდებით ეგვიპტური იეროგლიფების ფონეტიკური ღირებულებებისა და მათი შესაბამისი ქართული ფონემების ერთ სისტემაში გაერთიანებას, ფრიად შთამბეჭდავ სურათს მივიღებთ (ცხრილი 51, გვ. 209).

თუ იეროგლიფებისთვის მიკუთვნებულ იდენტურ ვარიანტებს ცალკეულ ფონემებად გავაერთიანებთ, მივიღებთ 32 ბგერისგან შემდგარ ფონოლოგიურ სისტემას, რომლის 28 წევრს გააჩნია თავისი ქართველური წყვილი და მოიცავს ყველაზე პრობლემატური იეროგლიფების ჯგუფს („დაგრეხილი თოკი,“ „პლაცენტა,“ „ცხოველის მუცელი ან ჯიქანი,“ „საბელი,“ „გველი“). ეს ის ნიშნებია, რომელთა ბგერითი შესაბამისობების საბოლოო ღირებულებების დადგენა ჯერ-ჯერობით ვერ ხერხდება. დარჩენილი ოთხი ბგერა, რომლებიც ოდნავ განსხვავდებიან შესაბამისი ქართველური წევრებისგან, მიეკუთვნება იმ იეროგლიფებს („ქორი,“ „ლერნმის ფოთოლი,“ „ორმაგი ლერნმის ფოთოლი,“ „მკლავი“), რომელთა ფონეტიკური ღირებულებების განსაზღვრა ეგვიპტოლოგიის ურთულეს საკითხთა რიცხვს მიეკუთვნება (იხ. ცხრილი 52, გვ. 213).

ცხრილიდან ნათლად იკვეთება, რომ ქართველური ენების ფონოლოგიურ სისტემას ძალუძს ეგვიპტური ენის ბგერითი შესაძლებლობების არა მხოლოდ სრული ასახვა, არამედ გააჩნია „სარეზერვო“ ბგერების საკმაოდ მოზრდილი ჯგუფიც. ეს უკანასკნელი აერთიანებს როგორც ხმოვანთა დიდ მრავალფეროვნებას, ისე სპეციფიკურ ქართულ თანხმოვნებს (ქ, ძ, წ, ჭ...), რომელთა გამოყენება ეგვიპტურში უფრო ინტენსიურია, ვიდრე ცხრილის მონაცემების საფუძველზე არის სავარაუდებელი. საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ „გველის“ იეროგლიფი, რომლის ფონეტიკური ღირებულებები, ეგვიპტოლოგიის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, ორი – მჟლერი (ძჟ-ჯ) და ყრუ (tch-ჩ) პალატო-ალვეოლარული აფრიკატით შემოიფარგლებიან.

ცხრილი 51  
ეგვიპტურ-ქართველური შედარებითი ფონეტიკა

	ეგვიპტური				ქართველური	
	სახელწოდება	ტრანსლიტ-ერაცია	აღწერა	გამოთქმა	ფონემა	აღწერა
1	იერო-გლოფი 	ქორი (მამნი, ძემა) 3 3	*გლოტალური ხშული*, რომელიც სასულე მილის ოდნავი ჩაკეტვისას წარ- მოიშობება	აღუფის ან ხამზას მსგავსი ბგერა (ოდნავი ჩახვევლებზე)	ყ ხ	ხანისმიერი (ფარინგალური) ერუ ხშული უკანასასისმიერი (ველა- რული) ერუ სპირანტი
2			/a/	/a/	ა ბ გ ძ	უკანა რიგის ა და მისი მოდიფიკაციები
3			a-o	a-o	ო ო რ ო	უკანა რიგის ო და მისი მოდიფიკაციები
4.			/l/	/l/	ლ	წინაენისმიერი, ენა- ცხილისმიერი მქედური (ალ- ვეოლარული) ლატერალი
5.			/r/	/r/	რ	წინაენისმიერი, ენაწუნის- მიერი (ალვეოლარული) ეი- ბრანტი
6.	ღერწმის ფოთილი 	ღ 1	თავდაბირველად (პალატა- ლური ირაციონალური ხმოვანი)	/l/	ა ი	შუაენისმიერი ნახვერად- ხმოვანი; წინა რიგის ხმოვანი
7.			/a/	/a/	ა ბ გ ძ	უკანა რიგის ა და მისი მოდიფიკაციები
8.			a-e-s	a-e-s შუალე- დური ბგერა	ე მ	ცენტრალური ხმოვანი და მისი მოდიფიკაციები
9.	ღერწმის ორ- მაგი ფოთილი 	ღ 11	გრძელი წინა რიგის ხმოვანი	/r/	ი	წინა რიგის გრძელი ხმოვანი ი.



10.					/l/	შუენისმეორე ნახევარდ- ხმოვანი	ა	
11.		მკლავი	ე ან ზ		'ain	მედიური ფარინგალური ფრიკატივი, გუტურალური თანხმოვანი	ა	შუენისმეორე ნახევარდ- ხმოვანი
12.					/a/		ა ან ან ან	უკანა რივის ა და მისი მოდიფიკაციები
13.		მწერის ბარტი	w		/w/	ბაგისმეორე ირაკიონა- ლური ხმოვანი	ა	ბაგისმეორე (ლამბალური) დიფთონგი
14.					/u/		უ ან უ ან უ	უკანა რივის უ და მისი ვარიანტები.
15.		ფეხი		b	/b/	მედიური წვეილბაგისმეორე ხმოვანი	ბ	მედიური წვეილბაგისმეორე ხმოვანი
16.		სკამი		p	/p/	ყრუ წვეილბაგისმეორე ხმოვანი	პ	ყრუ წვეილბაგისმეორე ხმოვანი
17.		რქვანი გველი		f	/f/	ყრუ კბილბაგისმეორე ფრიკატივი	ფ	ყრუ წვეილბაგისმეორე ფრი- კატივი
18.		ბუ		m	/m/	წვეილბაგისმეორე ცხვირისმეორე სონანტი	მ	წვეილბაგისმეორე ცხვირის- მეორე სონანტი
19.		წყალი		n	/n/	ალეკოლარული (წუნის- მეორე) სონანტი	ნ	წუნისმეორე (ალეკოლა- რული) სონანტი
20.		პირი		r	/r/	სონანტი	რ	წინაწინისმეორე, ენაწუნის- მეორე (ალეკოლარული) ვიბ- რანტი
21.		ჩაკეტილი სოფრე, თავფეხაფარი		h	/h/	ყრუ გლოტალური ფრიკა- ტივი	ჰ	ხორისმეორე (გლოტალური) ფრიკატივი

22.		დაგრეხილი თოკი	h	ყრუ ფარინგალური ფრი- კატივი, ძლიერი გუტურუ- ლური თანხმოვანი	არაბული (h.a) ح	ხ	უკანასასიმიური (ველა- რული) ყრუ ფრიკატივი, ხასისმიური (ფარინგალური) ყრუ ხმული
23.		პლაცენტა (?)	kh	ეპირალური 'ან	/kħ/	ღ	უკანასასიმიური (ველა- რული) მძვინვარი ფრიკატივი
24.		ცხოველის მუცელი ან ჯიქანი	h	ყრუ პალატალური ფრიკა- ტივი (რბილი ხ, "ხილი") (გერმანული ch)	/ħ/	ხ	უკანასასიმიური (ველა- რული) ყრუ ფრიკატივი.
25.					/kħa/	ჰ	ხასისმიური (ფარინგალური) ყრუ ხმული.
26.		დაკეცილი ქსოვილი	s	ყრუ ალვეოლარული (ნუნისმიური) ფრიკატივი	/s/	ს	წინანუნისმიური, ენაკბი- ლისმიური (ალვეოლარული) ყრუ ფრიკატივი
27.		საკეტი	z	მძვინვარი ალვეოლარული ფრიკატივი	/z/	ზ	წინანუნისმიური, ენაკბი- ლისმიური (ალვეოლარული) მძვინვარი ფრიკატივი
28.		აუზი	sh	ყრუ პალატო- ალვეოლარული ფრიკატივი	/ʃ/	შ	წინანუნისმიური, ენანუნის- მიური (ალვეოლარული) ყრუ ფრიკატივი
29.		მთის კალთა	q	ყრუ უველარული ხმული	არაბული qaf ( ا )	ყ	ხასისმიური (ფარინგალური) ყრუ ხმული
30.		ყურთანი კალთა	k	ყრუ ველარული ხმული	/k/	კ	უკანასასიმიური (ველა- რული) ყრუ ხმული
31.				ველარული ფრიკატივი	/kʰ/	ქ	უკანასასიმიური (ველარუ- ლი) ფრიკატივი
32.		დოქის სადგამი	g	მძვინვარი ველარული ხმული	/g/	გ	უკანასასიმიური (ველარუ- ლი) მძვინვარი ხმული

33.		კური	t	ყრუ კბილისმიერი ან წუნისმიერი ხშული	/t/	ტ	კბილისმიერი (დენტალური) ყრუ ხშული
34.		საბელი	ʃ	ყრუ პალატო-ალვეოლარული აფრიკატი	/ʃ/	ჩ	წინაენისმიერი, ენაწუნის- მიერი (ალვეოლარული) ყრუ აფრიკატი
35.			th	კბილშუა ყრუ ფრიკატივი	/θ/	თ	წინაენისმიერი, ენაკბილს- მიერი (დენტალური) ყრუ ფრიკატივი
36.		ხელი	d	მჟღერი კბილისმიერი ან წუნისმიერი ხშული	/d/	დ	კბილისმიერი (დენტალური) მჟღერი ხშული
37.		მეპელი	ɖ	მჟღერი პალატო- ალვეოლარული აფრიკატი	/ɖʒ/	ჯ	წინაენისმიერი, ენაწუნის- მიერი (ალვეოლარული) მჟღერი აფრიკატი
38.					/tʃh/	ჩ	წინაენისმიერი, ენაწუნის- მიერი (ალვეოლარული) ყრუ აფრიკატი
39.					/tʃ/	ც	წინაენისმიერი, ენაკბილს- მიერი ყრუ (დენტალური) ფრიკატივი

ცხრილში გამოყენებულია: შანიძე 1976, Allen 2002, Budge 1978, Gardiner 1957, Loprieno 1995,  
Kelley <http://www.friesian.com/egypt.htm>



„ეგვიპტური ენის იეროგლიფურ ლექსიკონში“ (EHD) დაფიქსირებულია მრავალი ლექსემა, რომელთა განხილვა ქართველური ენების ფონოლოგიური სისტემის მეშვეობით, ააშკარავებს „გველის“ ნიშნის შესაბამის სამ სპეციფიკურ ქართველურ თანხმოვანს: **ჭ, წ, ძ**. კვლევისთვის საინტერესო ლექსემების პირველი ჯგუფი ცხრა ერთეულისგან შედგება:

- 1) tcherà ძლიერი ადამიანი ან საგანი (a strong one or thing);
- 2) tcherà კედელი, სიმაგრე (wall, fort);
- 3) tcherà-t კედელი, ღობე, ხისგან გაკეთებული თავდაცვითი ღობე (wall, palisade, wooden palings for defence; Budge 1978:910);
- 4) tcher-t ხელის გული (palm of the hand; იქვე, 908);
- 5) tcherà-t ხელი (hand; იქვე);
- 6) Tcher-t ზეციური დიდი ხელი (The Great Hand in heaven; იქვე);
- 7) tchera იყო დაჭერილი, დაბმული (to be bound, tied; იქვე, 899);
- 8) tchera ცხოველის ხერხემლის ზედაპირი (rump, chine; იქვე, 909)
- 9) tcheri-t დარბაზი, საცხოვრებელი სახლი, პირადი ოთახი, ნმინდა ადგილი, ხატი (chamber, store, dwelling, private room, shrine; იქვე).

ეგვიპტური სიტყვების მნიშვნელობა და თანხმოვანთა კომპლექსით (tch) გადმოცემული საწყისი ბგერა არქეტიპულ მორფემად წარმოაჩინეს ქართველურ ძირს **ჭერა**. გასაანალიზებელი ერთეულების ქართველური ბგერით გახმოვანება ააშკარავებს არა მხოლოდ ეგვიპტურსა და ქართველურ სიტყვებს შორის არსებულ ფონო-სემანტიკურ იგივეობას, არამედ შემოაქვს ეგვიპტურ ფონეტიკაში არარსებული ხმოვანი **ე (e)** და ახდენს **ჭერას** ლსვებისა და ეგვიპტური ლექსემების დაწყვილებას:

ქართველური

ეგვიპტური

- |                                   |              |                          |
|-----------------------------------|--------------|--------------------------|
| <b>ჭერ-ა:</b> „დაჭერა (შეკავება)“ | „დაყრდნობა“  | მაგალითები 1, 2, 3, 8, 9 |
| „ხელში დაჭერა“                    |              | მაგალითები 4, 5, 6       |
| „დაჭერა“                          | „დატყვევება“ | მაგალითი 7               |

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „გველის“ იეროგლიფის ერთ-ერთი შესაძლო ფონეტიკური ღირებულება არის ენანუნისმიერი (ალვეოლარული) ყრუ ხშული **ჭ**, რომელიც „გველის“ იეროგლიფის ფონეტიკურ ღირებულებად არსად არ ფიქსირდება. დასკვნის სისწორეს სხვა ლექსემებიც ადასტურებენ:

- 1) tchauatà მფრინავი მწერი (?), ჩიტი (?), წერო (?) (a kind of flying insect (?), bird (?), crane (?); Budge 1978:897);
- 2) Tchauti-Ṭuat I ქორი-ღვთაება, (a hawk-god; იქვე);
- 3) tchât რალაც ფრინველი (a kind of bird; იქვე, 902).

თუ მოყვანილი ლექსემების სანყის თანხმოვანთკომპლექსს (tch) იმავე ნუნისმიერი ყრუ ხშულით (ჭ) შეცვლით და მხედველობაში მივიღებთ ეგვიპტურ მნიშვნელობას (ფრინველი), ქართველური ენების ლექსიკა არქეტიპად ჭოტს გვთავაზობს. ეტიმონის სისწორეს Tuat-ის მნიშვნელობაც უჭერს მხარს; იგი ბნელით მოცული ქვესკნელია, სადაც ღვთაებების ძირითადი დანიშნულება – ლამით ღვიძილი და ფხიზლობა – ჭოტის ნომინაციში ჩადებული თვისებებია. თუ წარმოდგენილი რეკონსტრუქცია ჭეშმარიტებაა, ეგვიპტური ენის ხმოვანთა სავარაუდო სისტემას (ი, ა, უ) ე-ს გარდა, ხმოვანი ო-ც უნდა დავუმატოთ.

შემდეგი მაგალითი, რომელიც ქართველური ენობრივი წიაღიდან არის აღებული, მიცვალებულთა საპატივსაცემოდ გამართული ხევსურული ტრადიციის (ჯერი) ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტია:

- 1) tchen სწრაფი წანევა წინ (to advance in a hurry; იქვე, 907);
- 2) tchenf ვინმეს პატივსაცემად გამართული ცერემონია (ceremonies performed in honour of someone; იქვე).

როგორც წინა შემთხვევებში, სანყის თანხმოვანთა ჯგუფის (tch) ქართველური ფონემით (ჭ) შეცვლა აზუსტებს როგორც გამოთქმას, ისე იმ ცერემონიების რაობას, რომლის დროსაც „სწრაფი წინ წანევა ხდებოდა“. ეგვიპტური tchen-tchenef-ის არქეტიპია ძირი ჭენ (ჭენ-ებ-ა), რომელიც მიცვალებულის ჯერზე გამართულ დოღს უკავშირდება. მეტიც, ეგვიპტური წყვილი იყენებს სიტყვათწარმოების ქართველურ მოდელს (ჭენ-ჭენ-ებ-ა), რის საფუძველზეც tchenef-ის სტრუქტურა ორი მორფემის – ძირი+ხუფიქსი – ერთობლიობად წარმოდგება: \*tchen-ef < ჭენ-ებ.

შემდეგი მაგალითია Tchahar. იგი „დაავადების ღმერთის სახელი ან ტიტულია“ (a name or title of a god of sickness; იქვე, 900). ნუნისმიერი ყრუ ხშულის (ჭ) აღდგენით Tchahar პირდაპირ იკითხება როგორც ჭალარა. ქართველური არქეტიპი, რომელიც მიზეზ-შედეგობრივი კავშირებით დაკავშირებულია სიბერესთან, მართლაც დაავადებისა და ავადმყოფობის ღმერთია. მეტიც, სახეზეა ქართველური ველარული ლ-ს გამარტივებული ბგერით (h) გადმოცემა: Tchahar < ჭალარ-ა.

მომდევნო ხუთი ეგვიპტური სიტყვა დაკავშირებულია ქართველური ტომების ერთ-ერთ უძირითადეს დამახასიათებელ თვისებასთან – მეტალურგიასთან. ეს ლექსემებია:

- 1) tcheṭ ბრწყინვა, შუქი, ელვარება, ნათება (to shine, light, brilliance, radiance; იქვე, 914);
- 2) tcheṭ-tu დაბრმავებული, დამაბრმავებელი ელვარება (blinded, dazzled; იქვე);
- 3) tcheṭa მტკიცე, მყარი (firm, solid; იქვე);
- 4) tcheṭf-t ხანჯალი, სანერი კალამი, საფხეკი (dagger, stilus, scraper; იქვე, 915);
- 5) ā tchet ამულეტი (an amulet; იქვე, 105).

გაანალიზებული მაგალითების ანალოგიურად, მოყვანილ სიტყვებში არქეტიპული ბგერის (ჭ) აღდგენა ლექსემების საერთო ძირს tche! ქართველურ „ჭედვას“ უტოლებს, მაშინ, როდესაც ცალკეული ლექსემების მნიშვნელობებს ჭედვის პროცესის სხვადასხვა თვისების სახელდებად წარმოაჩენს. მაგალითად, ლექსემა 1 (tche!) ეყრდნობა ჭედვის დროს ცეცხლის მიერ გამოცემულ ელვარებას, მეორე (tche!-tu) – აღნიშნული ელვარებით გამონვეულ ზემოქმედებას, მესამე (tche!a) – ჭედვის შედეგად მიღებული პროდუქტის თვისებას (სიმყარე), მეოთხე (tche!-t) და მეხუთე (ā tchet) კი – გამოჭედილი საგნების მრავალფეროვნებას. ყველა მნიშვნელობა ლექსიკური სემანტიკის ცვლილებების „ნორმატიულ“ ჩარჩოებში ზის და მოქმედებს ფორმულის – პროცესი-თვისება ფარგლებში, სადაც პირველი კომპონენტი უცვლელია, მეორე კი – ცვლადი. აღსანიშნავია, რომ ხუთიდან სამ ლექსემაში გამოყენებულია „ხელის“ იეროგლიფი (ჭ ბაჯის მიხედვით), რომლის ბგერით შესაბამისობად მჟღერი მსკდომი დარის მიჩნეული. ამიტომ ჭედვა > tche!.

„გველის“ იეროგლიფით ქართველური ნუნისმიერი ყრუ ხშული (ჭ) ბგერის გადმოცემის შემდეგი მაგალითებია ჭა და მისი გაორმაგებით მიღებული „ჭაჭა“. მათგან შემდეგი ლექსემები მომდინარეობენ:

- 1) tcha-t სარწყავი (?) ჭურჭელი (measure (?) vessel (იქვე, 895);
- 2) tchatcha მტერი, დუშმანი (foe, enemy; იქვე); აქედან:
- 3) tchau-t მტრობა, საომარი მოქმედება (hostilities, enmity; იქვე);
- 4) tchatchaau ქვაბი, ვაზა, ჭურჭელი, თასი (pot, vase, vessel, bowl; იქვე);
- 5) tchatcha წყლით ავსება, მორწყვა (to fill with water, to water; იქვე, 902).

მოყვანილი მაგალითების ქართველური არქეტიპი ორი ლექსემით არის წარმოდგენილი. ესენია „ჭა“, როგორც „წყლის რეზერვუარი“ და ჭაჭა, რომლის გაორმაგებული ძირი არაორაზროვნად მიუთითებს სითხის, ამ შემთხვევაში არყის, მწველ თვისებაზე. შესაბამისად, ეგვიპტური tcha-t (ჭურჭელი, სარწყავი) მომდინარეობს ქართველური სიტყვიდან „ჭა“ („წყლის რეზერვუარი“), რის შედეგადაც ეგვიპტური მნიშვნელობა ლებულობს დამატებით მტკიცებულებას და ხსნის ვარაუდის(?) ნიშანს. ეგვიპტური ნიმუშების მე-4 (tchatchaau) და განსაკუთრებით მე-5 ერთეულის (tchatcha) ქართველურ „ჭაჭასთან“ ფონეტიკური და სემანტიკური იდენტურობა იმდენად გამჭვირვალეა, რომ არანაირ ლინგვისტურ ანალიზს არ მოითხოვს. ეს უკანასკნელი, (სემანტიკური იდენტურობა) მეტონიმური დერივაციის შედეგია: ჭაჭა > სასმელი (თასი, ვაზა), ჭაჭა > შესანახი ან გამოსახადი ჭურჭელი. ოდნავ განსხვავებული ვითარებაა მე-5 ლექსემის მნიშვნელობაში

(„წყლით ავსება“, „მორწყვა“), რომელსაც წინ უსწრებდა ჭაჭისა და წყლის გაიგივება საერთო სემის („სითხე“) საფუძველზე. სემანტიკური სიტყვათნარმოქმნის განსხვავებული ფორმულა მოქმედებს მე-2 (tchatcha) და მე-3 (tchau-t) ლექსემებში, სადაც არქეტიპით წარმოდგენილია ნივთიერება („ჭაჭა“), ხოლო ეგვიპტური დერივატებით, ჭაჭის ადამიანზე ზემოქმედების შედეგი; კერძოდ, სასმელის უარყოფითი გავლენა ადამიანზე, რის გამოც იგი მტრად გადაიზრება.

იგივე ძირი ფიგურირებს საკუთარ სახელში Tchatcha, რომელიც ოთხი გეოგრაფიული კუთხის ღვთაებებს (Mesthà, Hāpi, Tuamāutef, Qebhēsennuf) მიემართება (Budge 1967:258). ისინიმონანილეობას იღებდნენ გარდაცვლილის განკითხვაში და შეეძლოთ, გავლენა მოეხდინათ განაჩენის გამოტანაზე. შდრ.: „ოსირის, მიმართა მწერალმა ანიმ: 'ჩემი გული ჩემი დედა, ჩემი გული ჩემი დედა, ჩემი გული ჩემი დაბადება! დე ნურაფერი შემენინაალმდეგება მე (ჩემს) სამსჯავროზე; დე ნუ იქნება წინააღმდეგობა ჭაჭას მხრიდან; დე ნურავინ დაგაშორებს შენ ჩემგან იმის თანდასწრებით, ვისაც (ბედის) სასწორი უპყრია!'“ (იქვე, 258).<sup>17</sup>

<sup>17</sup> მსურს, ჭაჭასთან დაკავშირებით, მოვიყვანო ერთი შემთხვევა. 2006 წლის 21-22 ოქტომბერს მონანილეობა მივიღე პარვარდის უნივერსიტეტის აზიის ცენტრისა და ასლიპ-ის (ენის პრეისტორიული შესწავლის ასოციაცია) გაერთიანებულ კონფერენციაში Asian Remnant Languages and the Year of the Australoid. ჯ. ბენგსტრომა, რომელმაც ნაიკიბა მოხსენება A Multilateral View of Austric, ნიჰალის ენის გაურკვეველი ეტიმოლოგიის მქონე სიტყვების ნიმუშად (რომლებიც, სხვათა შორის, დიდ მსგავსებას იჩენდნენ ქართულთან), დაასახელა „სიცხის“ მნიშვნელობის მქონე სიტყვა chacha თუ chuchა და დაფაზეც დაწერა. მოხსენების შემდეგ გამართულ განხილვაში, მე გამოთქეი ვარაუდიანნიშნული სიტყვის ფონეტიკური და სემანტიკური კავშირისა ქართველურ ენებთან და კულტურასთან. კერძოდ, აღვნიშნე, რომ ენობრივად, ნიჰალის სიტყვა chacha ქართველური „ჭაჭას“ იდენტური იყო, რაც, სხვათა შორის, მისი მნიშვნელობითაც („ცხელი“) დასტურდებოდა. ეს უკანასკნელი განვითარებული უნდა ყოფილიყო ჭაჭის დალევის შედეგად გამოწვეული სიცხის შეგრძნების მეტონიმიური გადატანის შედეგად (შდრ.: „მტრის“ მნიშვნელობას ეგვიპტურ სიტყვაში tchatcha).

საინტერესოა „ცხელის“ მნიშვნელობის მეორე ვარიანტიც chuchა, რომელიც ქართველური ფონოლოგიის მეშვეობით იკითხება როგორც მცირეწლოვანი ვაჟის სასქესო ორგანო (ჭუჭუ). აღნიშნულ მნიშვნელობაზე ალბათ არც ღირდა ყურადღების გამახვილება, მით უმეტეს ქართველი მკითხველისა, რომელიც, ისედაც, ყოველგვარი სირთულის გარეშე მოახდენდა აღწერილი ფონეტიკური და სემანტიკური ურთიერთობის აღდგენას ნიჰალის chuchა-სა და მის ქართველურ შესატყვისს შორის, ერთი გარემოება რომ არა, მხედველობაში მაქვს ოსირისის ფალოსის ეგვიპტური ფრაზა-სახელი, რომლის არასწორი გახმოვანებით წარმოდგენილი ერთ-ერთი ნევრი იგივე ქართველური ჭუჭუდან მომდინარეობს. შდრ.: etch-re-pes-tchatcha = a name of the phallus of Osiris (ოსირისის ფალოსის სახელი; Budge 1978:523). არანაკლებ საინტერესოა ის ფაქტი, რომ ეგვიპტური „ფალოსი“ ნიჰალის „ცხელის“ მნიშვნელობის მქონე პირველი ვარიანტის (chacha) მსგავსი ტრანსლიტერაციით (tchatcha) არის გადმოცემული. სხვაგვარად, ერთი და იგივე ქართველური თანხმოვანი (ჭ) ნიჰალის ენაში ch, ხოლო ეგვიპტურში tch ჯგუფით არის წარმოდგენილი. აღნიშნულ მასალას სააშკარაოზე გამოაქვს მეტად რთული, ვიტყვდი, დაუჯერებელი ურთიერთობები ქართველურს, ეგვიპტურსა და ნიჰალის ენებს შორის, რომლებიც გეოგრაფიული, ენობრივი, თუ



შემდეგი მაგალითი tch თანხმოვანთა კომბინაციის განსხვავებული წაკითხვის შესაძლებლობას გვთავაზობს:

tchar დაზვერვა, ყურადღებით დათვალიერება; მზვერავი, წინამძღოლი(?) (to spy, scrutinize; spy, guide(?; Budge 1978:899).

მოყვანილ ლექსემაში ჩვენთვის საინტერესო ბგერათკომპლექსი ორგვარად შეიძლება იქნას წაკითხული: როგორც ჭ და მივიჩნიოთ „და-ჭერ-ის“ დერივატად ან როგორც ჯ და მივიჩნიოთ ჯარიდან განვითარებულ ერთეულად. მსგავს შემთხვევებში, ანუ როდესაც არქექტიპული ბგერა რამდენიმე შესაძლო „კანდიდატიდან“ უნდა განისაზღვროს, გადამწყვეტ კრიტერიუმად სიტყვის სემანტიკა გვევლინება. ეგვიპტური tchar-ის მნიშვნელობები („დაზვერვა“, „ყურადღებით დათვალიერება“; „მზვერავი“), რომლებიც ომის, ბრძოლის და ზოგადად, სამხედრო საქმის სემანტიკურ ველს განეკუთვნებიან, ეტიმონად ქართველურ ჯარს ასახელებენ. შესაბამისად, რეალიზდება „გველის“ იეროგლიფის მიღებული ფონემა – მჟღერი პალატო-ალვეოლარული აფრიკატი ჯ.

იგივე ბგერა (ჯ) ფიგურირებს ფრაზაში tcher enti, tcher entet, მნიშვნელობით – „იმიტომ, რომ“ (Budge 1978:908). ვგონებ, ძნელი არ არის ქართული ჯერ ერთის ამოკითხვა ამ შესიტყვებიდან, ვინაიდან ნ-რ წარწერა ბგერების ურთიერთგადასვლა გავრცელებული ფონეტიკური მოვლენაა. აღნიშნული ფრაზის ქართველურ წარმომავლობას ადასტურებს პირველი კომპონენტის tcher დამოუკიდებელი მნიშვნელობა: „როდესაც, -დან, მანამ სანამ, როგორც კი“ (when, since, whilst, as; because; იქვე), რომლებშიც დროის გაგება ქართველური „ჯერის“ იდენტურია.

განხილულ სპეციფიკურ ქართველურ თანხმოვნებს (ჭ, ჯ) კიდევ ორი – ყრუ ენაკბილისმიერი (დენტალი) ნ და მისი მჟღერი მენყვილე (d) ემატება. პირველს ვხვდებით სიტყვებში:

- 1) tcheser იყო ლამაზი, გალამაზება, პატივისცემით მოპყრობა, წმინდანად აღიარება, კარგი გზის გაკეთება, გზის მომზადება (to be beautiful, to beautify, to hold in honor, to account holy, to make a good road, to prepare a path; Budge 1978:912);
- 2) tcheser ღვთაებრივი ხელი; ღვთაებრივი მკლავი, ღვთაებრივი წარმოშობის, ლამაზი, ე.ი. ღვთაებრივი ადგილი, ბრწყინვალე (holy of hand, holy of arm, of holy creation, a beautiful, i.e. holy place; magnificent; იქვე);

---

დროითი დაშორების მიუხედავად, აშკარა ენობრივ კავშირში იმყოფებიან. აღწერილი შემთხვევა ერთადერთი არ არის, რის გამოც, ქართველური ენებისა და სამხრეთ აზიის ენების ურთიერთობის შესწავლა-გამოკვლევა მომავალი ენათმეცნიერული ძიების ერთ-ერთი მიზანი უნდა გახდეს.

- 3) tcheser ბრწყინვალეობა, მომხიბლაობა, დიდება, ბრწყინვალე რანგი, ღვთაებრივი პატივი (splendour, magnificence, glory, splendid rank, exhalted honour, იქვე);
- 4) tcheser ღვთაებრივი საგნები (holy things; იქვე);
- 5) tcheseru ღვთაებრივი, წმინდა საგნები, ღვთაებრივი ადგილი ან ქვეყანა (holy things, a holy place or country; იქვე);
- 6) tchesu მისალმება, შეკითხვით მიმართვა (to hail, to greet, to address a question; იქვე, 911).

წარმოდგენილი ლექსემების ქართველური არქეტიპებია წესი (tchesu) და წესიერი (tcheser, tcheseru). ეთიკურ და ზნეობრივ ნორმებთან (ქცევის ნორმა, ზრდილობიანი, და ა.შ.) დაკავშირებული ქართველური „წესის“ მნიშვნელობები, რომლებიც განსაკუთრებული მკაფიოობით პირველ („პატივისცემით მოპყრობა“), მესამე („ღვთაებრივი პატივი“) და მეექვსე („მისალმება“) ერთეულებში გამოსჭვივის, გადააზრებულ იქნა როგორც ლამაზი, წმინდა და ღვთაებრივი, რამაც ბიძგი მისცა დანარჩენი მნიშვნელობების განვითარებას. ნათქვამის ფონზე, გაკვირვებას აღარ იწვევს ქალ-ფარაონ ჰატშეფსუტის (XVIII დინასტია) მიერ დერ ალ-ბაჰარში აგებული ტაძრის სახელი Tchesr-tcheseru, ანუ წესიერ-წესიერი (უწესიერესი).

„გველის“ იეროგლიფის მიერ გადმოცემულ თანხმონებს ემატება კიდევ ერთი – ენაკბილისმიერი მჟღერი ძ, რომელიც იმავე თანხმონთანაა ჯგუფით (tch) წარმოგვიდგება.

- 1) tcheru მიმინო, შევარდენი, ქორი (vulture, kite, glede; იქვე, 910);
- 2) tcherà-t მიმინო, შევარდენი, ქორი (vulture, kite, glede; იქვე, 910);
- 3) tcher-t მიმინო, შევარდენი, ქორი (falcon, vulture, kite, glede; იქვე, 909);
- 4) Tcherà ღვთაება (იქვე).

მოყვანილი სიტყვების ეგვიპტური მნიშვნელობები (1, 2, 3), მათ მიერ აღნიშნული მტაცებელი ფრინველის (მიმინო / შევარდენი / ქორი) როლი ეგვიპტურ რელიგიაში და ქართველური ფონოლოგიური სისტემის ერთობლიობა, არაორაზროვნად გვეკარნახობს სიტყვის ზუსტ გახმოვანებას, და, შესაბამისად, მტაცებელი ფრინველის ზუსტ იდენტიფიკაციას; ესაა ძერა. ამრიგად, ძერა ეგვიპტური რელიგიის ერთ-ერთი წამყვანი ღვთაების Horus-ის (შევარდენი, მიმინო, ქორი) ზოომორფული სახე უნდა იყოს, რითიც ხდება მეოთხე ლექსემის დაკონკრეტება: Tcherà = ძერა = Horus.<sup>18</sup>

tch კომბინაციის ახლადგამოვლენილი ფონეტიკური ღირებულების (ძ) რეგულარობას სხვა ლექსემებიც ადასტურებენ. EHD-ის 899-ე გვერდზე ვკითხულობთ: tchara ძლიერი (strong; იქვე, 899).

<sup>18</sup> Horus-ის ლინგვისტური ანალიზი იხ. გვ. 222-242.

ეგვიპტური სემანტიკისა და ქართველური ფონემური სისტემის დახმარებით, ადვილად ხდება სიტყვის თავდაპირველი ბგერითი შედგენილობის დადგენა; კერძოდ, კომპლექსი tch აღნიშნავს ძ-ს, ხოლო არქექტიპული ლ-ს ნაცვლად გვაქვს რ. ქართველური ბგერების ჩასმით ეგვიპტური tchara აღდგება როგორც ძალა: ძალა > tchara.

ეგვიპტური და ქართველური ფონოლოგიური სისტემების მოკლე შედარებითი მიმოხილვის ბოლოს მოვიყვანთ კიდევ ორ მაგალითს, რომლებიც მხოლოდ ქართველური ენობრივი მასალის პირდაპირი მისამართია. EHD-ის 534-ე გვერდზე ვკითხულობთ: „khatch – bread, loaves of bread“ („პური, ერთი თავი პური“), ხოლო 897-ე გვერდზე კი მოცემულია „tchapurta – round things, rings, cakes“ („მრგვალი საგანი, რგოლი, ნამცხვარი“). ქართველური ლექსიკა აღნიშნულ ლექსემას (tchapurta) კომპოზიტად წარმოადგენს: khatch(a)+purta. პირველი მორფემა (khatch =ხაჭ), მასში შემავალი სპეციფიკური ქართველური თანხმოვნების გამო, როგორც ჩანს, ეგვიპტელებისთვის, საკმაოდ რთული აღმოჩნდა, რის გამოც, მოხდა მისი არტიკულაციური გამარტივება წინაკიდური მარცვლის (ხა) ამოგდების ხარჯზე, დარჩენილი თანხმოვნის გადმოსაცემად საჭირო კომპლექსი (tch) კი მეორე მორფემას (purta) მიუერთდა. შემოთავაზებულ რეკონსტრუქციას მხარს აძლევს დამოუკიდებელ ლექსემად დაფიქსირებული khatch, რომლის სემანტიკური სიახლოვე tchapurta-სთან აშკარაა. საინტერესოა ისიც, რომ purta, რომელსაც ქართველური არქექტიპი დამოუკიდებელ მორფემად გამოყოფს, ნყარო-ენის დერივაციულ მოდელს იმეორებს: pur+ta, სადაც პირველი კომპონენტის ძირი ქართველური პურია (Poraba 1951), ხოლო მეორე კი წარმოადგენს რთულ სუფიქსს, რომელშიც გამოიყოფა მრავლობითობის აფიქსი -თ- და ემფატიკის მაჩვენებელი ელემენტი -ა (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე 1988:182). შესაბამისად, ორივე ეგვიპტური ლექსემა khatch და purta და მათგან წარმოებული კომპოზიტი tchapurta ქართველური კულინარიული კულტურის საკუთრებაა: ხაჭო, პური > ხაჭაპური.

მეორე მაგალითი, დარწმუნებული ვარ, ღიმილს მოჰგვრის მკითხველს, ვინაიდან მოსალოდნელი რეაქცია (რაც ჩემთვის სრულიად ნაცნობია), ერთი ფრაზით შეიძლება ჩამოყალიბდეს: „სად ქართული ჩერჩეტი და სად ეგვიპტური ენაო“. მაგრამ ფაქტები, რომლებმაც ათასწლეულებს გაუძლეს, ჯიუტია. თვითონ განსაჯეთ:

- 1) tchertcher იყო უცხოელი ან უცნობი (to be foreign or alien; Budge 1978:911);
- 2) tchertcherà-t უცნაური ან უცხო მეტყველება (strange or foreign speech; იქვე);
- 3) tchertcheru უცხოელი, უცნობი, მკვებარა (foreigner, alien, boaster; იქვე);

მკვებარები, ისინი, ვინც დაუმსახურებლად იღებენ მათთვის შეუფერებელ ნოდებას (boasters, those who assume rank to which they are not entitled; იქვე).

ციტირებული მაგალითები ნათლად აჩვენებენ მათ დიდ ფონეტიკურ და სემანტიკურ სიახლოვეს ქართველურ „ჩერჩიტან“ (tch-ჩ, e-ე, რ-რ, tch-ჩ, e-ე, რ≠ტ), სადაც ბოლო თანხმოვანი (ტ), ალბათ, გამოთქმის გამარტივების პროცესში რ-დ შეიცვალა. ქართველური არქეტიპის სასარგებლოდ მეტყველებს ეგვიპტური ლექსემების მნიშვნელობაც, სადაც tchertcher („ჩერჩეტი“) ლოგიკურად არის გადააზრებული გაუგებარ, უცხო მეტყველებაში და შესბამისად, ამ ენაზე მეტყველ პიროვნებად. უფრო მეტიც, ეგვიპტური კონსონანტური დამწერლობისა და მისი კულტურის მონაცემებზე დაყრდნობით ქართველური ფონოლოგიური სისტემა არა თუ ალადგენს ეგვიპტური ლექსემების თავდაპირველ უღერადობას, არამედ სააშკარაოზეც გამოაქვს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ერთ ნიშანში კოდირებული სპეციფიკური ქართველური თანხმოვნის რაობა.

წარმოდგენილი კვლევა ნათელს ჰფენს „გველის“ იეროგლიფში ჩადებული ფონეტიკური პოტენციის მასშტაბებს, რის საფუძველზეც ერთ ნიშანს („გველი“) თანხმოვანთა დიდი მრავალფეროვნების გადმოცემა ხელენიფება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, „გველის“ იეროგლიფი არის შიფრი, გასაიდუმლოებული ბგერების „სათავსო“, რომელიც ერთდროულად 5 ქართველურ თანხმოვანს (ჭ, წ, ჩ, ძ, ჯ) მოიცავს. ეგვიპტურ იეროგლიფსა და ქართველურ ბგერებს შორის არსებული ერთი-მრავლის, ანუ 1+n კრიპტული ურთიერთობების (Themurah) საფუძველზე იქმნება, მოხერხებული ლინგვისტური მექანიზმი, რომელიც მხოლოდ მაშინ მოდის მოქმედებაში, როდესაც კოდის გასაღებს (ნაიკითხე, როგორც ქართველურ ენას) მოირგებს. ყველა სხვა შემთხვევაში, განხილული ეგვიპტური სიტყვების თავდაპირველი ფონეტიკური შედგენილობის რეკონსტრუქციის ცდა სრულყოფილ შედეგს ვერ გამოიღებს. მიზეზი ნათელია: მეცნიერებისთვის საძიებელი არქეტიპის მოდელი, რომელიც მოცემული და უცნობი ელემენტების 1=1 ფორმულას ეყრდნობა, სინამდვილეში არ არსებობს. ამიტომ, ერთი ეტიმონის ძიება ეგვიპტური ენის განსხვავებულ მასალაზე მეცნიერებს განსხვავებულ დასკვნებს სთავაზობს, რაც ცალკეულ იეროგლიფთა მრავალგვარ განხილვაში გამოიხატა (ცხრ. 51, გვ. 209).

ნათქვამი, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს ეგვიპტოლოგიაში მრავალი წლის მანძილზე გამომუშავებული მეთოდოლოგიის უარყოფას ან დაუფასებლობას. ჩვენ მხოლოდ გვსურს, ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ, თუ ახლო აღმოსავლეთის უძველესი ცივილიზაციების ენობრივი და კულტურული რეალიების შესწავლაში ქართველური ენები და კულტურა არ იქნება გათვალისწინებული, ჩვენი სწრაფვა მეცნიერული ცოდნის სრულყოფისკენ დარჩება კეთილშობილურ სურვილად და ამ კულტურების მიერ დატოვებული საიდუმლოებები

სამუდამოდ დაგვაშორებენ ჩვენი ცივილიზაციის შემქმნელი წინაპრებისგან.

აქედან გამომდინარე, ნაშრომის მომდევნო თავებში წარმოდგენილი ეგვიპტური მასალის კვლევაში, არსებული მეთოდის პარალელურად, გამოყენებული იქნება ქართველური ენების მონაცემებიც, რომლებსაც, მთელ რიგ შემთხვევებში, უპირატესობა ენიჭებათ.

*„ვინც იხილავს ამ წიგნს და მოეპყრობა ისე, რომ ჩემი კა და სახელი მუდმივად დარჩეს [ოსირისის] გამორჩეულ სახელთა შორის, იგივე მოელის მის სახელს სიკვდილის შემდეგ, იმის საპასუხოდ, რაც მან ჩემთვის გააკეთა“.<sup>19</sup>*

## 8. შორუსის ლინგვისტური ანალიზი

ეგვიპტური რელიგია შორუსის რამდენიმე ფორმას განასხვავებს, მაგრამ ყველაზე მეტად, მისი შავარდენში განსხვავდება ცნობილი. „იგი იცავდა ადრეულ მეფეებს, რომლებიც შორუსის 'ქურუმები ან შთამომავალი' იყვნენ; ამ დროიდან მოყოლებული, შორუსი სამეფო ტიტულს წარმოადგენს“ (Mackenzie 1913:163). ორი ყველაზე სახელგანთქმული შორუსია 'დიადი შორუსი', რომელსაც 'ძველი შორუსისა' და 'ხანდაზმული შორუსის' სახელებითაც მოიხსენიებენ და ისიდასა და ოსირისის ნული. პირველი შორუსი უადრესი ზეცის ღვთაებას წარმოადგენდა, რომელსაც ორი (მზისა და მთვარის) თვალი ჰქონდა. *მკედართა წიგნის* თანახმად (თავი xvii), 'ძველ შორუსს' ორი ტყუპი ვაჟი ჰყავდა – ოსირისი და რა“ (Budge 1934:7-8).

ისიდასა და ოსირისის ვაჟი, რომელსაც „ბავშვი შორუსის“ სახელითაც მოიხსენიებენ, ოსირისს სიკვდილის შემდეგ შეეძინა. მას გამოსახავდნენ ბავშვის სახით, რომელსაც პირში თითი ედო. აღნიშნულის საფუძველზე, „ძველი შორუსი“ და „ბავშვი შორუსი“ ერთი და იმავე შთამომავლობის ხაზს მიეკუთვნებიან; კერძოდ, სახეზეა ბაბუის სახელის შვილიშვილზე გადასვლა. შემოთავაზებულ კავშირს ამტკიცებს მათი იდენტური სახელებიც, რაც დღესაც, სახელის დარქმევის ფართოდ გამოყენებული პროცედურის უძველეს ფესვებს ააშკარავებს (წინაპრის სახელის უკვდავყოფა შთამომავლობის მიერ).

ორ შორუსს შორის აღმოჩენილი მსგავსებანი მხოლოდ აისბერგის ნვერია, ვინაიდან, სახელის ცნების ეგვიპტური სისტემის მიხედ-

<sup>19</sup> „კურთხევა“, პაპირუსი 10188, ბრიტანეთის მუზეუმი (ციტირებულია: Budge 1934:527; ხაზგასმა ჩემია – ა. მ.)

ვით, დიდი, ანუ დაფარული სახელი ადამიანის (ან საგნის) ქეშმარიტ რაობას წარმოადგენს. ამიტომ დასაშვებია, რომ სახელი ჰორუს ღვთაებრივი ბაბუისა და შვილიშვილის ნამდვილ არსს ასაიდუმლოებდეს. სამწუხაროდ, ეგვიპტური ენის დღევანდელი ჩვენი ცოდნა არ გვაძლევს სახელის სიღრმისეულ ფონეტიკურ და სემანტიკურ ფენებში შეღწევის საშუალებას, რადგანაც მთელი რიგი ასო-ნიშნების ფონეტიკური ღირებულება ჯერ კიდევ დაუზუსტებელია. სწორედ მსგავს რთულ გზაჯვარედინებზე გვეხმარება ქართველური ენობრივი და კულტუროლოგიური მასალა, რომელიც ეგვიპტურ ჰორუსთან ფონეტიკურად ახლოს მდგომ ქართველურ სიტყვა ჯარს გვთავაზობს. იბადება ბუნებრივი მეცნიერული ცნობისმოყვარეობა, თუ რამდენადაა შესაძლებელი, ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზის მეშვეობით, აღნიშნული ბგერითი მსგავსების გადამოწმება.

სახელი Horus წარმოადგენს ოსირისის ვაჟის ლათინურ დანერღობას (ბერძნული ფორმაა Harsiese, Lurker 1986:66). მისი ეგვიპტური ნოტაციაა ḥr, რომელსაც, პირამიდების ტექსტებში ღვთაების სახელის ერთ-ერთი ჩანანერის მიხედვით, ბოლოში დაუმატეს უ (ḥr-u), მაგრამ მ. ნავილის (M. Naville) აზრით, რომელიც სხვა ეგვიპტოლოგებმაც გაიზიარეს, სახელი აღნიშნულ ხმოვანს სიტყვის შუაში მოითხოვდა. ამიტომ გვაქვს ორი უ (ḥur) და ო (ḥor) ხმოვნებით (ბაჯი 1978: lviii) განყოფილი შესაძლო ვარიანტი ებრაულში, კობტურსა და ბერძნულში. ჩვენი ანალიზისთვის ამოსავალი ფორმაა ეგვიპტური ḥr, რომლის გახმოვანებულ ვარიანტებს დამხმარე მასალად ვიყენებთ.


თუ ქართველურ „ჯარს“ (ხარს) ეგვიპტური ნოტაციით ჩავენერთ, მივიღებთ ტოლფას ფორმებს ჯრ-ხრ, რომლებიც, ფაქტობრივად, ეგვიპტური „ლექსემის“ ḥr იდენტურია. შესაბამისად, ნათელი გახდება, რომ ორივე ქართველური ბგერა – პოსტველარული ხშული ჯ (=ჩ) და ყრუ ველარული სპირანტი ხ (=ჩ) – თანაბარი ალბათობის არქეტიპებია: ჯრ/ხრ > ḥr. ქართული თანხმოვანნოტაცია ძირეულ ხმოვნად ა-ს გვთავაზობს, რის შედეგადაც ეგვიპტური ḥr > ḥar. უფრო საინტერესოდ ჩანს ის, რომ ქართველური ჯარი/ხარი ღვთაების დაფარულ სემანტიკას, ანუ მის ხარის სახეს ამჟღავნებენ და ეგვიპტური ḥr-ს სწორ ვოკალიზაციაზე მიუთითებენ.

იდენტიფიკაციის შემდგომ დასტურს წარმოადგენს რას მეორე სახელი hrw (Budge 1966:74), – ქართული გახმოვანებით „ჰრუ“, სადაც h რთული არქეტიპული ფონემების (ხ-ჳ) გამარტივებული ფორმაა. შესაბამისად, hrw-ს რეკონსტრუირებული გამოთქმა კვლავ ჯარი/ჯარუ ან ხარი/ხარუ-ა. რასა და მისი მამა-ჰორუსის სახელის იდენტურობა ძლიერდება სამ თაობას შორის (ბაბუადან შვილიშვილამდე) არსებული ურთიერთდამოკიდებულებით (ოსირისის ხაზით), რაც ახალშობილთათვის მათი წინაპრების სახელების შერქმევის პრაქ-

ტიკას ლიად აცხადებს. ამიტომ არც არის გასაკვირი, რომ რას ერქვას მამის სახელი hr-hru, ხოლო ბავშვი-ჰორუსი ამ ტრადიციას აგრძელებდეს. ამრიგად, „ძველი ჰორუსიდან“ „ბავშვ ჰორუსამდე“ (ამ უკანასკნელის ბიძის, „რას“ სახელთან ერთად) არსებული ღვთაებრივი გენეალოგიის ქართველური ნარმომავლობა წარი/ხარიდან სახელების ფონეტიკურ (ნოტაციურ) ფორმაშია გასაიდუმლოებული.

მიღებული შედეგების ჭეშმარიტებაზე სერიოზულ გავლენას ახდენს ეგვიპტური და ქართველური სიტყვების განსხვავებული სემანტიკა. როგორც ცნობილია, პირველი, შავარდენს (დიდ მტაცებელ ფრინველს)<sup>20</sup> აღნიშნავს, მაშინ, როდესაც ქართველური წარი-ხარი ნიშნავს ბუღას, ხარს. მიუხედავად აღნიშნული განსხვავებისა, ჰორუსისთვის დამახასიათებელი ხარის სახე მთელ ეგვიპტურ რელიგიას მსჭვალავს. ამის მაგალითები მრავლადაა და ნიმუშად მხოლოდ რამდენიმეს მოვიყვანო. პლანეტა სატურნი იყო 'წარი ჰორუსი' (Mackenzie 1913:163-64); ათრიბის ნომის<sup>21</sup> უძველესი ღმერთი იყო 'დიდი შავი წარი', რომელსაც მოგვიანებით Horus Khenti-Khati (ჰორუს ხენტი-ხატი) ეწოდებოდა.<sup>22</sup> ჰორუსი არის აგრეთვე 'მისი დედის წარი და მამის შურისმაძიებელი' (Budge 1967:420).

ჰორუსის გარდა, მამამისი, ოსირისი და მისი ტყუპის ცალი – რაც წარის სახის მფლობელები არიან. მზე-ღმერთ რას, რომელიც მზის ზენიტში ყოფნის ფაზას, ანუ საშუალო კულმინაციას ნარმოადგენდა, წარის თერეომორფული ასპექტი გააჩნდა. შეადარეთ: რა „ახალგაზრდა წარის ალესილი რქაა“ (იქვე, xcvi), „ახალგაზრდა წარია“ (იქვე). ლოცვებშიც რას „წარობით“ მიმართავდნენ: „ლოცვა-კურთხევა შენ, ო ამენ-რა, ანუს წარო, ღმერთების ხელმწიფე ...“ (იქვე, cxvii); ან კიდევ „დიდება შენ, ო ამენ-რა, ქვეყნიერების გვირგვინის მეუ-



სურ. 17. „ღმერთ-წარი“, რას ერთ-ერთი სახე (Budge 1934:74).

<sup>20</sup> ნაშრომში Horus-ი ტრადიციულად შავარდნით (მიმინოთი) აღინიშნება, თუმცა, ჩვენი გამოკვლევის მიხედვით, იგი ძერაა. შდრ.: ძერა = ძე+რა, რაც ჰორუსის ეგვიპტურ გენეალოგიას ადასტურებს.

<sup>21</sup> ნომი – ადმინისტრაციული დანაყოფი.

<sup>22</sup> სიტყვასთან Khati დაკავშირებით იხ. გვ. 388-392.

ფევ, თებეში დავანებულო, შენ, შენი მშობელი დედის ჯარო..." (იქვე, cxxvii; ხაზგასმა ჩვენია – ა. მ.) და ა. შ. (სურ. 17, გვ. 224).

ოსირისს, ჰორუსის ვაჟს და რას ტყუპის ცალს (განსხვავებული ტრადიციის მიხედვით, მზე-ლმერთ რას ერთადერთ ვაჟსაც) ჯარის სახე აქვს: „ო, ოსირის, ... შენ ხარ ამენტაში დამკვიდრებული ჯარი. შენი ვაჟი ჰორუსი შენი ტახტის გვირგვინოსანი ხელმწიფეა“ (Budge 1967:356).

ციტირებული მასალა გვიჩვენებს, რომ ჯარის ღვთაებრივი (ასტრალური) დინასტია, რომელსაც საფუძველი ცის ღმერთმა ჰორუსმა ჩაუყარა, ჯერ მის ვაჟებზე, ოსირისსა და რაზე გადადის, შემდეგ კი ახალგაზრდა ჰორუსზეც. შედეგად, ჰორუსი-შავარდენი/მიმინო თავისი წინაპრებისგან მემკვიდრეობით იღებს არა მხოლოდ მზიურ (რა) და ქვესკნელურ (ოსირისი) სახეებს, არამედ ჯარის ზოომორფულ იპოსტასსაც.

ჰორუსის ღრმად ჩაკირული ჯარ-ფრინველის ორსახა ასპექტი ეგვიპტური ისტორიის ბერძნულ-რომაულ პერიოდსაც შემორჩა. მე-3 ილუსტრაცია (გვ. 526) წარმოადგენს ჰორუსის ტაძრის გალავანზე გამოსახულ ჯარისთავიან შავარდენს, რომლის შესახებ ანოტაციაში ვკითხულობთ: „ჰორუსის ტაძრის გალავანი. ედფუ; პტოლემეს IX და პტოლემეს X მეფობის ხანა; ძვ.წ. წ. 116-88 წწ. 'ის-ვისი-ხმაც-შემზარავია,' სახელი ჯარისთავიანი მიმინოს (შავარდენის) ღმერთისა, რომელიც უმაღლეს ნერტილზე დაბრძანებულა და ყველას, ვინც კი ცდის ჰორუსის ტაძრის გალავანზე ასვლას, უბედურებას უწინასწარმეტყველებს; ურჰემჰემისთვის“ (Schulz, Seidel 1998:307).

წარმოდგენილი ანალიზი, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს ღმერთისა და მისი სახელის ამომწურავ განხილვას, რამდენიმე საკითხს ჰფენს ნათელს: უპირველეს ყოვლისა, ეგვიპტური ღვთაებრივი პანთეონის ძლიერ ჩახლართულ და მრავალშრიან თეოფორულ ურთიერთობებში აღდგება დიდ ჰორუსს, რას, ოსირისსა და ახალგაზრდა ჰორუსს შორის არსებული გაფერმკრთალებული ნათესაური დამოკიდებულება; „შიშვლდება“ არა მხოლოდ განსახილველი ღმერთების გენეალოგიური კავშირი, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, მათი იდენტური ზოომორფული ასპექტი – ჯარის სახე. ეს შედეგები მიიღწევა ქართველური ენობრივი მასალის ანალიზში ჩართვით; იგი აღადგენს სახელს „ჰორუს“ ქართველური ჯარი-ხარიდან და წარმოაჩენს რას სახელს hru როგორც hr-ს ორთოგრაფიულ ვარიანტს. ჰორუსის არქეტიპისა და მისი მნიშვნელობის გამოვლენა ეგვიპტურ ღმერთს გარდაქმნის რთულ თეოფორულ სახედ, სადაც შავარდენის (ქორის / მიმინოს) ეგვიპტური მნიშვნელობები ღიად დაფიქსირებული სახელებია, ხოლო ჯარის ქართველური მნიშვნელობა კი მისი გასაიდუმლოებული და ამიტომ ჭეშმარიტი სახელ-არსია.



გამოდის, რომ, შუმერების მსგავსად, ეგვიპტელებიც ღვთაება-თა პანთეონის ერთ-ერთ ცენტრალურ ღმერთს სწორედ ქართველურ სახელს უწოდებდნენ; უფრო ზუსტად კი „საყრდენის“ იეროგლიფში (Y) ასაიდუმლოებდნენ თავიანთი ღმერთის გრაფიკულ და შინაარსობრივ წარმომავლობას ქართული ასომთავრული Y-დან. აქედან გამომდინარე, ეგვიპტური რელიგიის ღვთაებრივი პანთეონის ერთ-ერთი უდიდესი ღვთაება, ისევე, როგორც ამირანი, ქართული ასომთავრული Y-ის კრიპტული ხატია, რომელიც სამშენებლო საყრდენს უბოძეს და იეროგლიფად გამოაცხადეს.

ამრიგად, დასტურდება ფაქტი, რომ ქართული ასომთავრული „ჴარის“ გრაფიკულ-სემანტიკური და რელიგიური სიმბოლიკა, ყველაზე ძველ წერილობით სისტემებში, – შუმერულ პიქტოგრამებსა და ეგვიპტურ იეროგლიფიკაშია დაფიქსირებული.

ჰორუსის სახელის ლინგვოკულტუროლოგიური ჰარმონია მრავალფეროვანი ფონეტიკური და ორთოგრაფიული საშუალებების გამოყენებით მიიღწევა. ერთ-ერთი მათგანია სპეციფიკური ქართველური თანხმოვნების (ჴ-ხ) განსხვავებული იეროგლიფებით (ბგერებით ან ბგერათკომპლექსებით) გამოსახვა. ბგერათჩანაცვლების ეს მეთოდი ქართველურ-ეგვიპტური ფონეტიკური კოდის საფუძველთა საფუძველია, რის გამოც, ამ მოდელზე აგებულ ნებისმიერ ეგვიპტურ-ქართველურ ენობრივ ნყვილში, ქართველურს წამყვანი ფუნქცია აკისრია.

კოდური სისტემის შემდეგი მეთოდი გახლავთ კარგად ცნობილი ეგვიპტური სიტყვების თანხმოვნებით ჩაწერა, სადაც გამოტოვებული ხმოვნების აღდგენა ქართველური არქეტიპების მეშვეობით ხდება. კოდური ჩაწერის აღნიშნული ხერხების ერთდროულმა გამოყენებამ შესაძლებელი გახადა ერთი ქართველური სიტყვიდან „ჴარი“ (ხარი) ეგვიპტელთა ორი ღმერთის – მზე-ღვთაება რასა და ჰორუსის სახელების (hru, hr) წარმოება.

შეიძლება დავასკვნათ, რომ, შუმერებისა და მოგვიანებით, ბერძნების მსგავსად, ეგვიპტელებმა ქართველური ლექსემები საკუთარი ღვთაებრივი პანთეონის ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი ღმერთის (რა, ჰორუსი) სახელდებისთვის გამოიყენეს და მათი ქართველური წარმოშობა სხვადასხვა სახის გრაფიკულ-ბგერითი მოდიფიკაციის მეშვეობით გაასაიდუმლოეს.

ეგვიპტური ჰორუსის ქართველური წარმომავლობის დადგენის შემდეგ საინტერესოა, განვიხილოთ ბოლოკიდური თანხმოვნის (-ს) არსებობა სახელის ლათინიზებულ ფორმაში. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი აუსლაუტი ლათინური ენის თავისებურებებით შეიძლება იყოს გამონეული, სახელის ქართველური წარმომავლობა და ბერძულ-ლათინურ ლექსემებზე ჩატარებული კვლევა განსხვავებული შესაძლებლობის არსებობას გვაპარაუდებინებს; კერძოდ, სახელის ფორმა

Horus ქართველური „ხარის“ ერთ-ერთი ბრუნვის ფორმით არის წარმოდგენილი.

ქართული არსებითი სახელების ორ ჯგუფად დაყოფას ფუძისეული მახასიათებლები განსაზღვრავს. თანხმოვანფუძიან სახელებს ახასიათებთ: ა) კუმშვა, როდესაც ფუძისეული ხმოვანი იკარგება და ბ) უკუმშველობა, როდესაც ხმოვანი შენარჩუნებულია. ხმოვანფუძიანი სახელებიც, რომლებსაც განსხვავებული თვისებები გააჩნიათ, აგრეთვე ორ ჯგუფად განიყოფიან: ა) კვეცად და ბ) უკვეცელ სახელებად. კვეცადი სახელების ჯგუფს მიეკუთვნებიან ა-ზე და ე-ზე დაბოლოებული არსებითი სახელები, ხოლო უკვეცელები არიან ო-ზე და უ-ზე დამთავრებული სახელები. შესაბამისად, თუ ჭარი-ხარის ძველქართულ ფორმებში ბოლოკიდურ ხმოვანად -უ'ს ვიგულისხმებდით, იგი ხმოვანფუძიანი არსებითი სახელი იქნებოდა, მოგვიანებით კი, უ-ს ი-თი შეცვლის შედეგად, თანხმოვანფუძიანთა რიგებში გადაინაცვლებდა.<sup>22</sup> ორივე ტიპის ბრუნება ქვევით, 53-ე ცხრილშია ნაჩვენები:

ცხრილი 53

ჭარი-ხარი-სა და \*ჭარუ-ხარუ-ს ბრუნება

სახელობითი	ჭარ-ი	ხარ-ი	ჭარუ	ხარუ
მოთხრობითი	ჭარ-მან	ხარ-მან	ჭარუ-მან	ხარუ-მან
მიცემითი	ჭარ-ს	ხარ-ს	ჭარუ-ს/ა	ხარუ-ს/ა
ნათესაობითი	ჭარ-ის	ხარ-ის	ჭარუ-ისა	ხარუ-ისა
მოქმედებითი	ჭარ-ით	ხარ-ით	ჭარუ-ით/ა	ხარუ-ით/ა
ვითარებითი	ჭარ-ად	ხარ-ად	ჭარუ-დ	ხარუ-დ
წოდებითი	ჭარ-ო	ხარ-ო	ჭარუ-ო	ხარუ-ო

ცხრილი გვიჩვენებს, რომ მიცემით ბრუნვაში „ჭარუ“ და „ხარუ“ ორგვარ ვარიანტად არის წარმოდგენილი: გაფართოებული ჭარუ-სა-ხარუსა და მოკლე ჭარუს-ხარუს სახით. სწორედ ეს უკანასკნელი ფორმებია იდენტური ეგვიპტური ღმერთის სახელთან: Horus: ჭარუს-ხარუს. სახელი „ჭარუს-ხარუს“ წარმოადგენდა ქართველურ სიტყვას, ამიტომ ხშირად გამოიყენებოდა სხვადასხვა ბრუნვაში სახელობითისა და მიცემითის ჩათვლით, რომლებმაც ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთზე ასაზრდოეს სანიანი (Horus) და უსანო (hr, hru) ფორმები.

ირკვევა, რომ ეგვიპტური ღმერთის სახელი წარმოდგენილია ქართველური ჭარი-ხარის ორი ბრუნვით: სახელობითით – ჭარი/ჭარუ და ხარი/ხარუ, რომელიც გვხვდება ეგვიპტურ ფორმებში hr

<sup>22</sup> შეადარეთ უ-ზე დამთავრებული საზოგადო არს. სახელების თანხმოვანფუძიანთა ჯგუფში გადასვლის საპირისპირო მოვლენა (შანიძე 1976:39).

და hr-u და მიცემითით –**ჯარუს** და **ხარუს**, რომელმაც წარმოშვა ლათინიზებული ფორმა (Horus პორუს):

ცხრილი 54

ეგვიპტური Horus-ის ქართველური არქეტიპები

ქართველური > ეგვიპტური	ქართველური > ლათინური
სახელობითი	მიცემითი
ჯარი } > hr	
ხარი } > hr	
*ჯარუ } > hru	ჯარუს } > Horus
*ხარუ } > hru	ხარუს } > Horus

აღმოჩენილი მახასიათებლები საშუალებას გვაძლევს, პორუსის ახალი სტრუქტურული მოდელი წარმოვადგინოთ. იგი შედგება ძირისგან Horu და მასზე დამატებული მიცემითი ბრუნვის ნიშნისგან -ს (-s): haru+s. ფუძისეული a-o-ს მონაცვლეობა მხედველობაში არ არის მისაღები მისი ფართო გავრცელებისა და ეგვიპტური თანხმობანოტაციის გამო, რაც დიდად შეუწყობდა ხელს, რომაული პერიოდისთვის, არქეტიპული ხმოვნის მახსოვრობიდან წაშლას. ამრიგად, ბერძნებისა და კასიტების მსგავსად, ეგვიპტელებმა ქართველური სიტყვების გრამატიკული ფორმები განუყოფელ ერთეულებად ისესხეს.

ღმერთის სახელში გასაიდუმლოებულმა ჯარის ბუნებამ საშუალება მისცა პორუსს, მიეერთებინა და შეერწყა ჯარის სახის მქონე სხვა ღმერთებიც. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ მენტუ, ჯარის სახით გამოხატული მეზრძოლი ღმერთი, რომელიც, ამონის კულტთან შეერთების მიუხედავად, „აგრძელებდა დამოუკიდებელ არსებობას პორუსთან შერწყმის გამო. იგი გამოსახულია ჯარის კუდიანი ადამიანის ფორმითა და შავარდნის თავით, რომელზეც ამონის ორმაგ ბუმბულში მოთავსებული მზის დისკო ადგას; მას გამოხატავდნენ აგრეთვე შავარდნისთავიან სფინქსად. როდესაც მენტუ ხარისთავიანი ადამიანის ფიგურით არის გადმოცემული, მას მშვილდი, ისრები, კომბალი და დანა უჭირავს“ (Mackenzie 1913:198). ნიშანდობლივია, რომ პორუს-მენტუ პელიოპოლისის ქურუმებმა გამოაცხადეს „რას სულად“ და „ზეციურ ხარად“ (იქვე, 199).

ქართველური „ჯარის“ არქეტიპული და ღვთაებრივი „ჯარის“ მნიშვნელობა ეგვიპტურ რელიგიურ სისტემაში, ზრდის ქართველური ფონეტიკური ფორმების არსებობის შესაძლებლობას სხვა ღვთაებრივ სახელებშიც. ამიტომ, ისლა დაგვრჩენია, ვნახოთ, შემოგვინახა თუ არა ეგვიპტურმა ენამ ქართველური ჯარ/ხარის მსგავსი ბგერითი ვარიან-

ტების მქონე სახელები ან სიტყვები. ამისთვის არც თუ დიდი ძიება დაგვეჭირდება, რადგან Horus-ის სახესთან შერწყმული ღვთაებების სახელები ამ საიდუმლოებასაც იოლად გაცემენ. მათ შორის არიან Harakhty (ვარ-ახტი), Harmachis (ვარ-მახის), Heru-ur ან Aroueris (ვარ-ოერის; იქვე, 228), Her-pe-khred (ვარ-პოკრატეს; იქვე, 340), Har-siese (ვარ-სიესე), Har-sopdu (ვარ-სოპდუ), Har-somtus (ვარ-სომტუს=ახლაგაზრდა ჰორუსი), Har-merati (ვარ-მერატი), Har-shafitū (ვარ-შაფიტუ) და სხვ. აღნიშვნის ღირსია სახელიც Harris (ჰარრის) ანუ „ვარის“, რომელიც ვარის პაპირუსის (*The Harris Papyrus*) დასახელებაში გვხვდება და სიტყვა „ვარი“ ნათესაობით ბრუნვაშია წარმოდგენილი (იხ. ცხრ. 53). ყველა ჩამოთვლილ სახელში აშკარად მოსჩანს ქართველური ძირი ვარ/ხარ, რომელთაც მეთაურობს ორსახა შავარდენ-ვარის ზეციერი სახება დიდი ანუ ძველი ჰორუსი ḥr (Her, Hur, ან Hor).

ქართველური ვარი-ხარი ფარაონების სახელებშიც ფიგურირებს, რადგან ისინი ცოცხალ ჰორუსად მიაჩნდათ. სანიმუშო მაგალითია ჰიკსოსების ერთ-ერთი უდიდესი ფარაონის სახელი ნეფერჰარა-სებეკჰოტეფ (*Neferkhar-Sebekhotep*). მისი სახელი იოლად გაცემს თავის ქართველურ წარმომავლობას, ვინაიდან ქართველური ვარი-ხარი გადმოცემულია არა ერთი ასო-ნიშნით, როგორც ეს მოცემულია სიტყვაში ḥr (ჰორუს), არამედ გართულებულია თანხმოვანთა ჯგუფით kh: khara-ვარი-ხარი.<sup>24</sup> შემდეგი პიროვნების სახელია მემფისის იმპერიის მეფე Menkaū-horū, რომლის სახელშიც წინაკიდური h (ჰ) ქართველურ ვ/ხ-ს ცვლის, ხოლო ვოკალიზაცია o ბგერის მუშევობით, ისევე როგორც სიტყვაში Horus, მცდარია.

მრავალ მაგალითს შორის, რომლის მოყვანაც შეიძლებოდა, მინდა, ჰორუსის ქართველური წარმომავლობის კიდევ ერთი უცილობელი საბუთი მოვიყვანო. უკვე ნახსენები იყო, რომ ეგვიპტურ რელიგიაში ჰორუსს მრავალი სახე გააჩნდა, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი „დიდი ჰორუსი“ და „ბავშვი ჰორუსია“. ეს უკანასკნელი ინერებოდა როგორც Heru-p-kharṯ (*Budge 1967:c xv*). სახელის ტრანსლიტირაცია, განსაკუთრებით, თანხმოვანთა თავყრილობა და მათი ფონეტიკურად დაშვებული შესაბამისობები ქართველურ სიტყვასთან „ბლარტი“ (p-ბ, kh-ლ, a-ა, r-რ, t-ტ), მიუთითებს ეგვიპტური p-kharṯ-ის ქართველურ წარმომავლობაზე. უფრო მეტიც, არქეტიპი მიგვანიშნებს არასწორ ეგვიპტურ დეფისიან დაწერილობაზე და ააშკარავებს კიდევ ერთ ფონეტიკურ კოდს; კერძოდ, kh თანხმოვთა ჯგუფის შესაბამისობას არა მხოლოდ ქართველურ ვ და ხ ბგერებთან, არამედ ველარულ ფრიკატივთანაც ლ, რაც გვახსენებს ეგვიპტოლოგთა და-

<sup>24</sup> მიაქციეთ ყურადღება აგრეთვე, შემდგომ განხილვაში სიტყვებს Sahu და Sakhe, Hapi და Khaf, და ა.შ.

ვას ფრიკატივების განსხვავებულ ფონეტიკურ ღირებულებათა შესახებ. ეგვიპტური p-kharṭ და ქართველური „ბლარტი“ სემანტიკურადაც იდენტური ლექსემები არიან; პირველი „ბავშვს“ აღნიშნავს, მეორე კი – „ფრინველის შვილს, მართევს“ და უფრო უკეთ ზის ეგვიპტურ რელიგიურ სისტემაში, ვიდრე საკუთარი მნიშვნელობა („ბავშვი“), ვინაიდან ბავშვი ჰორუსი დიდი შავარდენ-ჰორუსის შთამომავალია. მეტიც, ეგვიპტური Ḥeru-p-kharṭ-ის კომპონენტები არა მხოლოდ ქართველური ენობრივი ნიალის ერთეულებია, არამედ ჰორუსის ეგვიპტური რელიგიის ორსახა ზოომორფულ ხატსაც კარი+შავარდენი, ღიად ასახელებს.<sup>25</sup>

განალიზებული მასალა ნათელყოფს, რომ ქართველური მონაცემები არქეტიპის ყველა „მოთხოვნას აკმაყოფილებენ“:

- აღდგება სიტყვის ორ ბგერითი შედგენილობა როგორც ვარ/ხარ;
- ნათელი ეფინება სიტყვის ორ სტრუქტურას, როგორც მარტივი სიტყვისას, ხოლო სახელის Horus, როგორც სიტყვაფორმისას: ფუძეს+ბრუნვის ნიშანი;
- ფარდა ეხდება ღმერთის დაფარულ „ვარის“ სახელს;
- გამოიყოფა სახელის ძირი სხვა თერეომორფულ სახელებში;
- განიმარტება სხვა ღმერთების შერწყმა ჰორუსის სახესთან „ვარის“ დაფარული საერთო ასპექტის საფუძველზე;
- სწორდება და ზუსტდება რამდენიმე თანხმოვნის ფონეტიკური ღირებულება;
- ხდება სწორი ვოკალიზაციისა და სტრუქტურის რეკონსტრუქცია.

არა გვგონია, წარმოდგენილი კვლევა საჭიროებდეს დამატებით მტკიცებულებას, რომ ერთ-ერთი წამყვანი ეგვიპტური ღმერთის ორ/Horus დაფარული ლინგვისტური და გრაფიკული სახე ქართველური „ვარიდან“ მომდინარეობს.

ჩვენ არაერთხელ ვახსენეთ, რომ „ვარი“ ქართული ასომთავრული ანბანის ერთ-ერთი ღვთაებრივი ასოს „ვარის“ (ⴅ) სახელიცაა, რომლის გრაფიკული ფორმა ეგვიპტური იეროგლიფის „საყრდენის“ იდენტურია (ⴅ). გამოაშკარავებული ლინგვისტური და პალეოგრაფიული მსგავსებანი ქმნიან ორ შრეს: იეროგლიფურ-სიმბოლურსა და რელიგიურს. იეროგლიფიკის კუთხით, ქართული ასომთავრული „ვარის“ გამოსახულება ეგვიპტელებს არა მხოლოდ შენობის საყრდენი ნაწილის საიდუმლო საწერ ნიშნად მიეცათ, არამედ როგორც შუს გრაფიკული სახეც. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შუს იეროგლიფური სახე – (ⴅ)

<sup>25</sup> ქართველური „ბლარტი“ ძლიერ ძველი ჩანს, ვინაიდან იგი მხოლოდ დიალექტურ ფორმებშია შემორჩენილი: „ბლარტი-ი (ფშ., კახ., ქართლ., ქიზიყ., ლენჩხ., ზ. აჭარ.) მართვე, ბარტყი, შვილი გარეული ფრინველისა და მწერისა (ვაჟა, IV, ა. შან., ს. მენთეშ.); ბავშვი (ავღლებით), უსუსური (შ. ნიჟარ.); ბარტყი. ნ. ბულარტი (დიალექტ., 604). შდრ.: ნ. ჩუბ., დ. ჩუბ.“ (ლლონტი 1984:99).

– ჰორუსის ეზოთერული იეროგლიფური ხატიცაა, რომლის ათას-ნლოვან დამალულ არსებობას განაპირობებდა ჰორუსის ნამდვილი, ანუ დიდი სახელი და ამავე დროს, მის დაფარულ გრაფიკულ მონახაზსა და გასაიდუმლოებულ იეროგლიფურ ნიშანს შორის არსებული, ერთი შეხედვით დაფანტული და დაუკავშირებელი კავშირებიც. ხანგრძლივ სიჩუმეს ქართველური მასალა არღვევს, რომლის ლინგვისტური და კულტურული ნიალი, მთელი ამ ხნის განმავლობაში, მიმინოსთავიან ვარს (ჰორუსს) განუწყვეტილვ ასაზრდოებდა. ნარმოდგენილი ქართველური და ეგვიპტური ფაქტები, – ერთდროულად დაფარული და ხილვადი, ეზოთერული და ეგზოთერული, – ქართველურ-ეგვიპტური ლვთაების შავარდენ/მიმინო-ვარის რთულ სიმბოლოს აყალიბებს. იგი მსჭვალავს მთლიან ეგვიპტურ რელიგიურ სისტემას მისი დაბადებიდან სიკვდილამდე და მოქმედებს როგორც საყრდენი ზოგადად ეგვიპტური ცივილიზაციისა.

სახელის ქართველური ნარმომავლობის გამომჟღავნება, ეგვიპტური ცივილიზაციის აქამდე გაბატონებულ შეხედულებას მისი თვითმყოფადობის შესახებ, საყრდენს აცლის და „დაცემით“ ემუქრება. მაგრამ ეს მუქარა უარყოფითი მოვლენა არაა. პირიქით, იგი პროგრესული ფაქტია, ვინაიდან მთელი რიგი ეგვიპტური საიდუმლოებების ამოხსნის შედეგია. ნამყვან როლს ქართველური ენობრივი და კულტუროლოგიური მასალა თამაშობს, რომელსაც სააშკარაოზე გამოაქვს ეგვიპტურის კავშირები არა მხოლოდ ქართველურთან, არამედ შუმერულთანაც. ამ სამწევრა ერთობაში ქართველური ყოველთვის დომინანტია, მაშინ, როდესაც შუმერული და ეგვიპტური, მამა-შვილის უკვე ნაცნობი ფორმულის ახალგაზრდა წევრები ხდებიან.

გავიხსენოთ, რომ შუმერული ზეცის ღმერთი იყო ანა (მოგვიანებით ანუ). ორივე ლვთაების სახელი – შუმერული ანა და ეგვიპტური ვარი (Horus) ქართული ასომთავრული ანბანის ლვთაებრივი ასონიშნების სახელებია. „ანა-ანი“ არის ქართული ანბანის პირველი ასო და სიმბოლურად მიუთითებს ზეცაზე (მოგვიანებით მთვარე), ხოლო „ვარი“ კი ნარმოდგენს ანბანის 34-ე ასოს და შუმერული რწმენის მიხედვით მთვარის ძეა. ორივე ასო-ნიშანი („ანი“, „ვარი“), როგორც ეს გამორკვეული იყო ფინიკიური და ქართული ასომთავრული ანბანების შედარებითი ანალიზისას, ქმნიან შუმერული მამა-შვილის ფორმულის ანბანურ ორანს, სადაც მთვარე ანი ვარის მამაა.

ქართველურ ანბანურ პრიზმაში განხილული ეგვიპტური და შუმერული ანა/ანუ და ვარი/ჰორუსი შუმერულ ცის ღმერთს მამად ნარმოდგენს, ხოლო ეგვიპტურ ცის ღმერთს კი – მის ძედ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, შუმერული მთვარის ღმერთი და ეგვიპტური ვარი/ჰორუს მამა-შვილის ურთიერთობებში შედიან; ეს კავშირია, რომელიც ადასტურებს ჩვენს ცოდნას ამ ორი ცივილიზაციის შედარებით

ქრონოლოგიაზე, რომ ეგვიპტური კულტურა შუმერულის მომდევო ხანაა.

ცის ღმერთის შუმერულ-ეგვიპტური მამა-შვილის მოდელი ფარდას ხდის ორი უძველესი სამყაროს კიდევ ერთ საიდუმლოს, კერძოდ, თუ რა სახით მიემართებოდნენ ეს ცივილიზაციები ერთმანეთს, შეკითხვა, რომელსაც შუმეროლოგები და ეგვიპტოლოგები, დიდი ხანია, უშედეგოდ იკვლევენ. ქართული ასომთავრული ანბანი იძლევა მკაფიო პასუხს, თუმცა, ტრადიციული მეცნიერებისთვის მოულოდნელს: შუმერული და ეგვიპტური ცივილიზაციები ერთმანეთს მამა-შვილის მსგავსად მიემართებიან; შუმერულმა ცივილიზაციამ მამასავით შექმნა ეგვიპტური კულტურა მაშინ, როდესაც მეორე, პირველისგან შვილივით ამოიზარდა.

ამრიგად, ქართული ასომთავრული ანბანი გვატყობინებს არა მხოლოდ ამ ორი ცივილიზაციის ტემპორალურ მახასიათებელს, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, სააშკარაოზე გამოაქვს მათი გენეტიკური კავშირები. ამოცანა, რომელიც 200-წლიანმა ეგვიპტოლოგიამ ვერ გადაჭრა, ქართული ასომთავრული ასო-ნიშნების განლაგებითა და სახელების მეშვეობით ადვილად იხსნება. ნამდვილი საოცრებაა ის, რომ ქართული ანბანი გვატყობინებს კაცობრიობის წარსულის თვით უფაქიზეს დეტალებსაც კი.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ შუმერული და ეგვიპტური ენები ფლობდნენ ქართველური წარმოშობის ორ ღვთაებრივ სახელს და ორივე ნიშნავდა „ვარს“. ერთ-ერთი მათგანია Bkha/Buchis, რომელიც ქართველური „ბულას“ სახელობითი და ნათესაობითი ბრუნვებიდან მომდინარეობს, ხოლო მეორე კი ორ/ორუს, რომელიც ძველქართველური ვარი/ხარისა და ვარუ/ხარუს სახელობით და მიცემით ბრუნვებთან მიდის. შესაბამისად, ორივე ენამ (შუმერულმა და ეგვიპტურმა) გამოიყენა „ვარის“ მნიშვნელობის ქართველური სინონიმური ჯგუფი: ვარი/ხარი შუმერული ორ და ეგვიპტური ორ/ორუსისთვის, „ბულა“ ეგვიპტური Bkha/Buchis-თვის, და „გულა“ შუმერული Gud-ისთვის. თუ ახალმიღებულ მონაცემებს შევიტანთ 195-ე გვერდზე მოცემულ ცხრილში (48), მივიღებთ შემდეგ გამოსახულებას:

ცხრილი 55

ვარის ქართველურ-შუმერული და ქართველურ-ეგვიპტური ნყვილები

ქართველური:	გულა	ვარი	ქართველური	ბულა	ვარი
	↓	↓		↓	↓
შუმერული:	Gud	ᵛHar	ეგვიპტური	Bkha/Buchis	ᵛr/Horus

ქართველური ჯარ/ხარის, ბუღას და გუდას აღმოჩენილი სიმეტრიული განაწილება შუმერულსა და ეგვიპტურ ენებს შორის (რომ არაფერი ვთქვათ ბერძნულსა და სხვა ენებზე), მიუთითებს ეგვიპტური სახელების ნოტაციის არა შემთხვევით, არამედ მის კოდურ ბუნებაზე, რომელიც ეგვიპტური ღმერთების ჭეშმარიტი სახელების და მაშასადამე, მათი წარმომავლობის გასასაიდუმლოებლად იყო გამოყენებული. შედეგები სრულ შესაბამისობაშია ეგვიპტურ რწმენასთან დაფარული ანუ ნამდვილი სახელის შესახებ (იგი საფლავის სახელსაც წარმოადგენდა), რომელიც ღმერთის, ადამიანისა თუ საგნის ჭეშმარიტ არსს გამოხატავდა. ეს სახელი მის მატარებლებს არა მხოლოდ ღვთაებრივ ძალაუფლებას აძლევდა, არამედ მათ სიცოცხლესა და სიკვდილსაც აკონტროლებდა. შეუძლებელია, ეს რწმენა დაფარული ქართველური წარმომავლობის მქონე ეგვიპტურ სახელებზე უკეთესად რაიმეს მიესადაგოს, ვინაიდან ისინი მართლაც აკონტროლებდნენ (და აკონტროლებენ) ჰორუსის ცხოვრებას, როგორც მისი სიცოცხლის, ისე სიკვდილის შემდგომ.

ეგვიპტელებს სწამდათ, რომ მათ იეროგლიფებს „გაცილებით მეტის გაკეთება შეეძლოთ, ვიდრე ეს საზოგადოების მიერ შეთანხმებული მნიშვნელობების გადმოცემაა“ (Forman, Quirke 1996:10). გამოკვლევის შედეგები ამართლებენ და ადასტურებენ ეგვიპტელთა ამ შეხედულებას. გავიხსენოთ, რომ „საყრდენის“ იეროგლიფი თავის გრაფიკულ ჩარჩოებზე შორს მიდის და მსჭვალავს არა მხოლოდ საკუთარ რელიგიურ სისტემას, არამედ სტოვებს თავისი ეროვნული კულტურის ფარგლებს და უერთდება ამჟამად მკვდარ შუმერულსა და ცოცხალ ქართველურ ენებს, მათ რელიგიებსა და წერის სისტემებს.

ერთ-ერთი ეგვიპტური რწმენის მიხედვით, „ღმერთის სახელი თვით ღმერთია“ (Budge 1971:162). ამ რწმენის გაზიარებისას, ტრადიციული შეხედულებებისთვის სავსებით მოულოდნელად, ეგვიპტური ἱρ და Buchis საკუთარი ამბის თხრობას იწყებენ, ამბისა, რომელიც ძლიერ ნააგავს სემიტური 'ალეფის მიერ გადმოცემულ ამბავს. ეგვიპტური რელიგიური პანთეონის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ღვთაება შავარდენი/მიმინო ჰორუსი არის ქართველური ჯარი, რომელიც „ჯარის“ სახეს ღმერთთან შერწყმულ ყველა ღვთაებას გადასცემს. ქართველური „ჯარი“ ჰორუსისთვის, დაბადებისას, საკრალური ცერემონიის დროს ნოდებული სახელია. ქართველური „ჯარი“ არის ღმერთის ჭეშმარიტი ანუ საიდუმლო სახელი, რომლის გამოაშკარავებაც გამომააშკარავებელს ღმერთზე და „მის ფორმებზე“ „განუსაზღვრელ ძალაუფლებას“ ანიჭებს (იქვე, 171). ღმერთის ჭეშმარიტი სახელის მფლობელი ხდება „ერთადერთი პიროვნება, რომელსაც შეუძლია დასწყევლოს ღმერთი და გაანადგუროს დემონური ძალები“ (Lurker 1986:83-84). ეს უძველესი წინასწარმეტყველე-



ბა(?) რეალობად გარდაიქცევა, ვინაიდან ჰორუსის გასაიდუმლოებული ქართველური სახელის გამოაშკარავება ანგრევს და ძირს სცემს ეგვიპტურ ღმერთს თავისი ღვთაებრივი ტახტიდან, რათა აღადგინოს და გვირგვინი ორმაგ ქართველურ-ეგვიპტურ სამეფო ტახტრევანზე დაადგას (შეადარე 'ალეფს და 'აინს).

ანალოგიური გამთლიანება ხდება გრაფიკულ დონეზეც. შუმერული, ქართველური და ეგვიპტური ასო-ნიშნები და სხვადასხვა რელიგიური და სამეფო ინსიგნიები ბიძგს აძლევენ „ჯარის“ იეროგლიფის მიმოფანტული გამოსახულებების ერთ ჯგუფში გაერთიანება-გამთლიანებას. მათი „ანსამბლი“ შუმერულ, ეგვიპტურ და ქართველურ წერის სისტემებში არსებული ღვთაებრივი „ჯარის“ ლერძის გარშემო ლოგიკურ და განყობილ სისტემად ყალიბდება. აქ არის რას იეროგლიფი, რომელიც ღმერთს გამოსახავს ორი ჰორიზონტის სკიპტრით ხელში ოქ, „საყრდენის“ იეროგლიფი – ო, შუს პოზა ო, რომელსაც ცა ნუტი ხელებით უჭირავს და შტანდარტი კისურადან ო, რომელიც, რას სკიპტრასთან ერთად, უძველესი ეგვიპტური ჯარისთავიანი სვეტების გეომეტრიული ანალოგია. შუმერული პიქტოგრაფებიც აქვე არიან – „გუდ“ ო და „Har ო. „მკვდარ“ ასო-ნიშნებს შორის ცოცხალი ასოებიც „ურევია“. ეს არის ქართული ასომთავრული „ჯარი“ (ო), ასო-ნიშანი, რომელმაც ყველა განხილული ნიშნის იდენტიფიკაციისა და ურთიერთდაკავშირების მთლიანი პროცესი წამოიწყო.

მიღებული სტრუქტურა ფარდას ხდის უძველეს ცივილიზაციებში „ჯარის“ სიმბოლური გამოსახვის უპრეცედენტო მასშტაბებს და სამ ცივილიზაციას შორის (შუმერულს, ეგვიპტურს, ქართველურს) არსებულ გენეტიკურ კავშირებს ზენამოწევს. აღწერილი რთული, ურთიერთგამჭოლი და ურთიერთმემავსებელი კავშირები სამ დონეზე თანაარსებობენ: დამწერლობის, გრაფიკისა და რელიგიური სისტემების. ყოველ დონეს თავისი „მოვალეობები აკისრია“. გრაფიკული მსგავსება მოქმედებს, როგორც პოლივალენტური სიმბოლოების აისბერგის მწვერვალი, რომელიც ამჟამად მკვდარი კულტურების ქართველური წარმომავლობის უდიდეს ეზოთერულ საიდუმლოებას ინახავს. იეროგლიფების, ღვთაებათა სახელებისა და მათი თვისებების სემანტიკური ჯამი, რომელიც ქართველურ წყაროზეა გამიზნული, ავსებს კაცობრიობის უძველესი წარსულის ჭეშმარიტ სურათში არსებულ სიცარიელებს და აღადგენს უზარმაზარ ინფორმაციულ პლასტს, რომელიც მეცნიერების საჭირობოროტო შეკითხვებს პასუხობს.

## 9. ეგვიპტური ჰორუსის კულტუროლოგიური ანალიზი

შუმერულს, ეგვიპტურსა და ქართველურს შორის აღმოჩენილი ენობრივი კავშირები უფრო ღრმად განლაგებული კრიპტული ფენებისკენ მიგვიძღვება; კერძოდ, ქართველური მითოლოგიისა და ანდრეზული ტრადიციისკენ. გავიხსენოთ, რომ ქართველი ხალხის განზოგადებული სახე, ნახევრად ღმერთ ამირანის ერთი იპოსტასი, სწორედ „ჯარია“ და მისი ანბანური გამოსახულება – ქართული ასომთავრული „ჯარი“. ეს უკანასკნელი იგივეა, რაც ეგვიპტური „საყრდენის“ იეროგლიფი, რომლის ღვთაებრივი ასპექტი სამი ღმერთით იყო წარმოდგენილი: ჰორუსი, რა და შუ. ქართველური ჯარის, შუმერული ოHar-ისა და ეგვიპტური ოHr-საყრდენის გრაფიკა ერთმანეთს უტოლებს და აერთიანებს მათ შესაბამის ღვთაებებს.<sup>26</sup> ქართველთა მზე-ჭაბუკი შუმერული ოHar-ის, ეგვიპტური Horus-ის, Ra-სა და Shu-ს ტოლია. შესაბამისად, ეგვიპტელებიც და შუმერებიც ღვთაებათა პანთეონის ერთ-ერთ ცენტრალურ ღმერთს სწორედ ქართველურ სახელს სდებდნენ; უფრო ზუსტად, ქართული ასომთავრული „ჯარის“ სახითა და სახელით ასაიდუმლოებდნენ თავიანთი ღმერთის წარმოშობას როგორც გრაფიკულად, ისე შინაარსობრივად. მიღებული დასკვნის სქემატური გამოსახვა შთამბეჭდავ რელიგიურსა და დამწერლობით სურათს იძლევა:

### ცხრილი 56

ჯარის ქართველურ-შუმერულ-ეგვიპტური ანბანური და რელიგიური მოდელი

ქართველური შუმერული		ეგვიპტური		
ყ	ჟ	𐎠	𐎢	𐎤
ამირანი	ჯარი	ჰორუსი	რა	შუ

მიუხედავად ჩვენი თავშეკავებისა, ეგვიპტური და ქართველური ღმერთების (მაგ. ოსირისი, ჰორუსთან შერწყმული ღმერთები და ა.შ.) და მითოლოგიური გმირების შემდგომი იდენტიფიკაციისგან, შეიძლება დავასკვნათ, რომ Horus-ის სახელის გაშიფვრით იკვრება „ჯარის“ აღმნიშვნელი ეგვიპტური იეროგლიფის, შუმერული პიქტოგრამისა და ქართული ასომთავრული „ჯარის“ გრაფიკულ-სემანტიკური და ინფორმაციული წრე. ეს წრე ორ პლანში მოქმედებს – ერთი მხრივ,

<sup>26</sup> ნაშრომში განხილულია შუმერული ოHar-ის მთლიანი სემანტიკის მხოლოდ მცირე ნაწილი.

იგი აერთიანებს ერთი ენის შიგნით არსებულ იდენტურ, მაგრამ დაქსასულ სადამწერლობო ნიშნებს, როგორც ეს ხდება ეგვიპტურსა (𓆎, 𓆏, 𓆐) და შუმერულში (𒀭, 𒀮, 𒀯) და, მეორე მხრივ, მოქმედებს ინტერ-ენობრივ, „საერთაშორისო“ დონეზე, რის შედეგადაც ხდება სამივე ენის დამწერლობის ნიშნების აგებისა და სემანტიზაციის (მოტივაციის) იდენტური პრინციპების გამომუდავება-გამოაშკარავება. ეს პრინციპები ქართველური ენების ფონეტიკურ, გრამატიკულ და ლექსიკურ კანონებს ექვემდებარებიან. თავის მხრივ კანონები, მოიცავენ მინიმალური განმასხვავებელი ნიშნების მქონე ფონემებს (ჟ-ბ), სინონიმურ ლექსემებს (ჟარი, ბულა, გუდა), ერთი და იმავე არსებითი სახელის განსხვავებულ ბრუნვის ფორმებს (ბულის, ჟარის), წარმოადგენენ ლინგვოკულტუროლოგიური კოდური სისტემის ნაწილს, რომელიც „ჟარის“ კრიპტული და უსაზღვროდ რთული მრავალსახა და მრავალშრიანი სიმბოლოს განსხვავებულ კულტურებში დასაწერად არის გამოყენებული. კოდური მექანიზმი მოდელის ყველა მონაკვეთზე მოქმედებს: ქართველურ-შუმერულზე, ქართველურ-ეგვიპტურზე, შუმერულ-ეგვიპტურსა და სამივეზე ერთად. ასე მაგალითად, „ჟარის“ სიმბოლოს გრაფიკული იგივეობა შუმერო-ეგვიპტურ დონეზე მიუთითებს მათ საერთო წყაროზე, რითიც დღის წესრიგში კვლავ დგება ეგვიპტური დამწერლობის წარმომავლობის საკითხის განხილვა. თანამედროვე ეგვიპტოლოგიის მიხედვით, ამ ორი ცივილიზაციის დამწერლობა ერთმანეთთან მხოლოდ „იდების დიფუზიით“ არის დაკავშირებული: „მიუხედავად იმისა, რომ მესოპოტამიური დამწერლობა ალბათ ეგვიპტურ იეროგლიფებზე ადრე აღმოცენდა, განსხვავება ამ ორ დამწერლობას შორის მათ კავშირს შეუძლებელს ხდის. თუ ეგვიპტელებმა საერთოდ ისესხეს რაიმე, ეს უნდა ყოფილიყო აზრი იმის შესახებ, რომ ნიშნებს ბგერებისა და სიტყვების აღნიშვნა შეეძლოთ“ (Forman, Quirke 1996:12; ხაზგასმა ჩვენია – ა. მ.). და შემდეგ, „რაც არ უნდა იყოს დამწერლობის (ეგვიპტური, ა. მ.) საფუძველი, იგი ფრიად განსხვავებულია მესოპოტამიური დამწერლობისგან მისთვის ყველა დამახასიათებელი ნიშნით; მან შეინარჩუნა თავისი სურათხატოვანი თვისება, რითიც დაიბადა“ (იქვე, 12).

ციტირებული შეხედულების საწინააღმდეგოდ, ჩატარებული კვლევა ცხადყოფს, რომ შუმერულ და ეგვიპტურ დამწერლობებს შორის არსებობს არა ჩვეულებრივი, მოსალოდნელი და ნაცნობი სახის ურთიერთობანი, არამედ ძლიერ რთული, ჩახლართული და გასაიდუმლოებული კავშირები, რომლებიც დეშიფრირებას მხოლოდ მაშინ ემორჩილებიან, როდესაც მათი განხილვა ქართველური ენებისა და კულტურის მონაცემების საშუალებით ხდება, – თავისი ეფექტურობით ყველაზე ნაკლებ სავარაუდო საშუალებით, რომელიც კი ოდესმე მსგავს გამოკვლევებში გამოუყენებიათ. ძველი მა-

საღიგადმი ახალი მიდგომა ნათელს ჰყენს აღწერილ დამწერლობის სისტემებსა და მათ შესაბამის რელიგიებს შორის არსებულ გაცილებით უფრო მჭიდრო კავშირებს, ვიდრე ეს დღემდე იყო მიჩნეული. „ჯარის“ სიმბოლოს განხილვა მკაფიოდ აჩვენებს, რომ მისი გამოყენება პიქტოგრაფიულ, იეროგლიფურ და ანბანურ ნიშნად, უპირველეს ყოვლისა, მისი კომპლექსური რელიგიური სიმბოლიზმით (ღვთაებრიობა, ძალა, ნაყოფიერება და ა.შ.) იყო განპირობებული. შემოთავაზებული დებულება დოკუმენტირებულია ჩვენ ხელთ არსებული უამრავი არქეოლოგიური და ისტორიული მასალით. ესეც რომ არ იყოს, წარმოუდგენელია, რომ ის მაღალი რელიგიური სტატუსი, რომელიც „ჯარს“ შუმერულ და ეგვიპტურ ცივილიზაციებში ჰქონდა, არ ყოფილიყო დაკავშირებული დამწერლობასთან. მითუმეტეს, რომ დამწერლობას, მის წარმოშობას და „დაცვას“ ჩვეულებრივ მოკვდავთაგან ძლიერი ქურუმთა კასტა განაგებდა.

ამგვარი გარემოებების დროს, სხვადასხვა ცივილიზაციას შორის „ჯარის“ სიმბოლიზმში გამორკვეული მსგავსებანი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია და ბევრის მთქმელი მათ შორის გენეტიკური კავშირების დასადგენად, ვიდრე პალეოგრაფიის მიერ აღიარებული პრინციპები.

კიდევ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი მახასიათებელი, რომელიც აღიარებულ მეცნიერულ დებულებებს არ ეთანხმება, შეეხება ქართულ ასომთავრულ „ჯარში“ დაფიქსირებულ საკრალურ გრაფიკასა და სემანტიკას, რომლებიც მსოფლიოს უადრესი ცივილიზაციების სადამწერლობო სისტემებში – შუმერულ პიქტოგრამებში და ეგვიპტურ იეროგლიფებში არის დაფიქსირებული. „ჯარის“ მონახაზი, რელიგიური მნიშვნელობა და დამწერლობითი ფუნქცია, რომლებსაც დამწერლობის განვითარების გარიჟრაჟზე ვხედავთ, ქართულ ასომთავრულ „ჯარში“ 5000 წლის შემდეგ კვლავ შენარჩუნებულია. შუმერული „ჯარის“ პიქტოგრამის სტილიზებული გეომეტრიული ფორმა სრულიად იდენტურია ქართველური ასო-ნიშნისა, რომელიც „ჯარის“ სურათბატოვან და ანბანურ ნიშანს ერთ სიმბოლოში აერთიანებს.

თანაბრად გასაოცარია ის ფაქტიც, რომ იდენტური შუმერული და ქართველური საწერი ნიშნებით (ჟ, ყ) შემოფარგლული 5000 წლიანი პერიოდის მანძილზე 'ალეფი „ჯარის“ აღმნიშვნელი ანბანური ნიშანი სხვა პიქტოგრამიდან (გუდ) განვითარდა. კავშირი, რომელიც გარკვეული მიზეზების გამო მკვლევართა ყურადღების მიღმა დარჩა:<sup>27</sup>

<sup>27</sup> ქართველური „ჯარი“, მისი მრგვლოვანი ვარიანტი და ფინიკიური „ვაჲ“ განხილული იქნება ფინიკიური და ქართული ანბანების შედარებითი ანალიზისადმი მიძღვნილ ნაშრომში.

ცხრილი 57

შუმერული ჯარ და სემიტური კუთხოვანი და მრგვლოვანი 'ალეფ

ህ	𐎠	𐎡	𐎢
---	---	---	---

პირველივე პიქტოგრაფიული ნიშნებიდან დაწყებული მსგავსებანი, რომლებიც ანბანურ დამწერლობამდე მოდის, ფინიკიურ „'ალეფს“ „ჯარის“ სიმბოლოს შუმერულ-ეგვიპტურ-ქართველურ ჯგუფში მოიზიდავს, აფართოებს მას და გვთავაზობს დამატებით მამხილებელ მასალას ქართველური და ფინიკიური „ჯარისა“ და „'ალეფის“ გამოვლენილი კრიპტული იგივეობის დასადასტურებლად. 56-ე და 57-ე ცხრილებში მოცემული ანბანურ-რელიგიური სქემების ინკორპორაციის შედეგად ვლტებულობთ რამდენიმე ათასი წლის მანძილზე გადაჭიმულ გასაოცარ კულტუროლოგიურ კონტინუუმს:

ცხრილი 58

ჯარის სიმბოლოს ანბანური კონტინუუმი

ქართველური	შუმერული		ეგვიპტური	ფინიკიური	
𐏃	𐎡	ህ 𐎠	𐎢	𐎡	𐎢
ჯარი	𐎡ar	Gud	Bkha/bukhis	'Alef	
ამირანი			Hr, Ra, Shu		

ილუსტრირებული მასალა ნათელყოფს, რომ შუმერული სურათბატოვანი დამწერლობა, ეგვიპტური იეროგლიფიკა, ფინიკიური და ქართული ასომთავრული ანბანები ორგანულ კავშირში იმყოფებიან. უფრო მეტიც, დასტურდება ფაქტი, რომ ქართული ასომთავრული „ჯარის“ გრაფიკულ-სემანტიკური და რელიგიური სიმბოლიკა ყველაზე ძველ წერილობით სისტემებში – შუმერულ პიქტოგრამებსა და ეგვიპტურ იეროგლიფიკაში იმთავითვეა ფიქსირებული. ამიტომ, მიუხედავად ქართველურის ტრადიციულად აღიარებული ახალგაზრდა ასაკისა, სწორედ ქართველური წარმოადგენს მთლიანი სისტემის დომინანტ ნევრს, რადგანაც ის ახდენს სიმბოლოთა ამოცნობას (𐎡, 𐎢, 𐎡, 'ალეფ, გუდ), სახელის წოდებას (𐎡 = 𐎢 = ჯარ), ეტიმოლოგიის ახსნასა და გაფერმკრთალებული კონტაქტების აღდგენას.

მახსოვრობა ხარისა და დამწერლობის მჭიდრო კავშირის შესახებ, საკმაოდ დიდხანს შემორჩა შუმერულ კულტურაზე დაყრდნობილ კაცობრიობას. გთავაზობთ მოზაიკას მე-4 საუკუნეში აშენებული და 1823 წლის ხანძრის შემდეგ მთლიანად რეკონსტრუირებული წმინდა

პავლეს ბაზილიკიდან, სადაც ხარს ნიგნი, კაცობრიობის ანბანური განათლების სიმბოლო, წინა ფეხებით უპყრია. (ილ. 4, გვ. 527).

„ჯარის“, როგორც დამწერლობის სიმბოლოს ანალიზის დასასრულს, დავასკვნით: ქართულ ასომთავრულში დაფიქსირებული „ჯარის“ გრაფიკული ფორმა და შინაარსობრივ-კულტუროლოგიური პლანი დამწერლობის გარიჟრაჟზე ჩამოყალიბებული სისტემის სახით არსებობს. არქაული ურუქის თიხის ფირფიტებზე აღბეჭდილი გამოსახულებები და ეგვიპტელ ფარაონთა პირველი დინასტიების მიერ შექმნილი იეროგლიფური ნიშნები ადასტურებენ, რომ უადრესი სადამწერლობო ნიშნების გვერდით ფიგურირებს ქართული ასომთავრული ანბანის 34-ე ასო-ნიშანი ყ „ჯარი“. სიტყვა „უადრესი“ ჩვეულებისამებრ ასოცირდება პრიმიტიულთან, მაგრამ როდესაც საქმე გვაქვს 5000-წლიან უწყვეტ მდგრადობასთან, პრიმიტიული არის აბსოლუტური *misnomer*. ათასწლოვანი უცვლელობის მიზეზები უნდა ვეძიოთ შემქმნელთა მიზანში – შეენარჩუნებინათ სიმბოლოს რთული სემანტიკური სისტემა საოცრად დაშორებული მომავალი თაობებისთვის. ასო-პიქტოგრამის ყ განვითარება, ცვალებადობა და მოქნილობა მომაკვდინებელ დარტყმას მიაყენებდა ნიშანში კოდირებულ მათემატიკო-გეომეტრიულ და ასტრონომიო-კალენდარულ ცოდნას. მათთვის, ვინც ასო-ნიშნის გრაფიკული მონახაზი შექმნა, ფორმის სტაბილურობა გადამწყვეტი იყო. მათ შესანიშნავად იცოდნენ, რომ მხოლოდ უცვლელ სიმბოლოს, მის რიცხობრივ მნიშვნელობას, ანბანურ რიგსა და სხვა ნიშნებთან ურთიერთობას შეეძლო კოდირებული ცოდნის მრავალი საუკუნის მანძილზე შენახვა და გასაღების ფუნქციის შენარჩუნება, რათა, დანიშნულ დროს, დაფარული ცოდნა კვლავ წამოეწია. დათქმულ დრომდე საიდუმლოს არგამჟღავნების ფორმულას ფლობდნენ უძველესი დროის ქართველი ქურუმები, სამეფო გვარის შთამომავლები და უხუცესნი ბრძენნი. რუსთაველის მიხედვით, „ვეფხისტყაოსანში“ შექმნილი მზიური გამირების საკრალური საიდუმლოს ნაადრევი გახსნა მათი მკვლელობის ტოლფასია: „უმისჟამისოდ ვინც გახსნას, არის მეფეთა მკვლელი“ (რუსთაველი 1970:244).

იმავე დებულებას გვიმეორებენ წმინდა წიგნებიც: „მათგან (ღმერთისა და ანგელოზებისგან, ა. მ.) გავიგე ყოველივე, და შევიმეცნე, რაც ვიხილე; ის, რასაც ეს თაობა ვერ მოესწრება, დიდად დაშორებული თაობის სიცოცხლეში მოხდება, რჩეულთათვის“ (ენ 1:2). თაობა, რომელიც იხილავს საიდუმლოს გამხელის უდიდეს მისტიერიას, ამირანის ერის შთამომავლობაა, რამეთუ ნართული ეპოსი გვამცნობს: „მონადირე შევიდა ერთს გამოქვაბულს ალაგას, სადაც იმყოფებოდა გამირი, მაგრად ჯაჭვით შეკრული. გამოქვაბულში იმყოფებოდა არნივი, რომელსაც ამოელო გამირის გული და ჰკენკავდა მას. გამბედავი

მონადირე მივიდა ახლო და ჰკითხა: შენი ვინაობის გაგების დრო ჯერ არ არისო, მხოლოდ მითხარი, რით შემიძლიან გიშველოო“ (ჩიქოვანი 1947:390; ხაზგასმა ჩემია – ა. მ.).

„ჯარი“ კოდი, „ჯარი“ შიფრი, „ჯარი“ გასაღები მოიცავდა და აკონტროლებდა უზარმაზარ სამეცნიერო და კულტუროლოგიურ ინფორმაციას, რომელიც განსაზღვრავდა სიმბოლოს მთლიან მნიშვნელობას. აი, რატომ არიან შუმერული  $\text{K}$  „ჯარ“ და ეგვიპტური  $\text{Y}$  „საყრდენი“ ქართული ასომთავრული  $\text{K}$ -ის სრულიად იდენტური გამოსახულებები თიხის ფირფიტებზე მათი პირველი ფიქსაციიდან დღემდე. ამიტომ, რაოდენ დაუჯერებლაც არ უნდა მოგვეჩვენოს, სტაბილურობის ჭეშმარიტი მიზეზი უძველესი მეცნიერების მიერ  $\text{K}$  სიმბოლოს შინაარსობრივ პლანში ჰარმონიული და მოხერხებულად სტრუქტურირებული უძველესი საკრალური ცოდნაა. სხვაგვარად, ასო-ნიშანი  $\text{K}$  უზარმაზარი მეცნიერული და რელიგიურ-მსოფლმხედველობრივი მნიშვნელობის მრავალპლანოვანი კოდია, რომელიც მთლიანი ანბანის მეშვეობით გადმოცემული ცოდნის მხოლოდ მცირე ნაწილს წარმოადგენს. ხოლო ის ფაქტი, რომ გრაფემას არავითარი გრაფიკული ცვლილება არ განუცდია 5000 წლის მანძილზე, გამორიცხავს მისი შინაარსობრივი ასპექტის ნებისმიერ ცვალებადობას.

ზემოთქმულის ფონზე, ასო-ნიშანი „ჯარი“ წარმოადგენს უძველესი ქართველური სამეცნიერო სკოლის ცოდნის ნაწილს, რომლის მიერ შექმნილი მთვარე-ჯარის შერწყმული მეცნიერული და მხატვრული ხედვა კაცობრიობის კულტურული განვითარების ერთ-ერთ განმსაზღვრელ და მამოძრავებელ ძალას შეადგენდა. იდენტურ გრაფიკულ, ფონეტიკურ და სემანტიკურ სიმბოლიზმში განსხეულებულმა ამ ცოდნამ, თავისი სამშობლოდან შორს, შეუდარებლად ფართო ქრონოლოგიურ და გეოგრაფიულ ჭრილში „იმოგზაურა“, შუმერისკენ, ეგვიპტისა და ფინიკიისკენ, რათა ათასწლეულების შემდეგ კვლავ დაბრუნებოდა თავის პირვანდელ ფორმას, – ქართულ ასომთავრულ „ჯარს“.

„ჯარის“ პირველ გამოსახულებებსა (ძვ. წ. 3300-3200 წწ.) და ქართულ ასომთავრულ „ჯარს“ შორის სულ ცოტა 5000-წლიანი ქრონოლოგიური „უფსკრულია“, რომელიც სადამწერლობო სისტემათა განვითარების მთლიან ციკლს მოიცავს – პიქტოგრაფიებიდან ანბანამდე. დღევანდელი გადასახედიდან თიხის ფირფიტებზე აღბეჭდილ ნიშნებს შორის პიქტოგრაფიულ-ანბანურ საოცრებად მოჩანს 5000-წლიანი, მაგრამ დღესაც ისეთივე დახვეწილი და ცოცხალი იეროგლიფ-ასო-ნიშნის არსებობა, როგორც ქართული ასომთავრული „ჯარია“; ეს არის ფაქტი, რომელიც ეწინააღმდეგება დღესდღეობით აღიარებულ შეხედულებას დამწერლობის განვითარებაზე.

ამიტომ დამწერლობის პირველი სურათხატოვანი ეტაპი ასო-

ნიშანთა შექმნის ისეთი პრიმიტიული პერიოდი არ გახლავთ, როგორც აქამდე მიაჩნდათ მეცნიერებს. პირიქით, ორივე ცივილიზაციის (შუმერული, ეგვიპტური) სურათხატოვანი დამწერლობა ყოველგვარ ეჭვს გარეშე აყენებს საკითხს, რომ დამწერლობის ნიშნები (ყოველ შემთხვევაში, მათი გარკვეული ნაწილი მაინც) ორი მიზნით იყო შექმნილი: პირველი, მიეცა კაცობრიობისთვის განათლების განვითარებისთვის თვისებრივად ახალი იმპულსი და მეორე, ათასწლეულების გავლით გადმოეცათ ის უზარმაზარი მნიშვნელობის საკრალური ცოდნა, რომელიც „ჰარის“ სადამწერლობო ისტორიით დასტურდება. ამიტომ, მიუხედავად უსაზღვროდ დიდი ქრონოლოგიური ჭრილისა, ხარის სიმბოლიზმში განივთებული და ათასწლეულებგამოვლილი მეცნიერული ცოდნა შუმერული, ეგვიპტური და ქართული ასომთავრული „ჰარ“ ასო-ნიშნების იდენტურ გრაფიკულ, ფონეტიკურ და სემანტიკურ ჩარჩოებში ზის. ნათქვამის ფონზე შეიძლება აღინიშნოს, რომ ასო-ნიშან „ჰარის“ დამწერლობის განზოგადებულ სიმბოლოდ მიჩნევა არა თუ შესაძლებელი, არამედ აუცილებელიცაა.

*რატომ ჰარი ? ალბათ იკითხავთ.*

პასუხი ზეცაშია, უფრო სწორად, ციური სხეულების მოძრაობაში. ძვ.წ. 3000 წლიდან, ე.ი. ფაქტობრივად იმ დროიდან, როდესაც დამწერლობის პირველი ნიშნები გაჩნდა შუმერში, ძვ.წ. მე-8 საუკუნემდე, დღელამსწორობისას, მზე ჰარის ზოდიაქოში ამოდიოდა. აღნიშნულ ასტრონომიულ მოვლენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ქართული ასომთავრული „დონის“ ცარგვალზე ბრუნვის შესაბამისი გრაფიკული ნიშანი (გაზაფხულის ბუნიობა), რამდენიმე ათასეული წლის მანძილზე, წარმოადგენდა მესოპოტამიის სამეფო და ღვთაებრივ ინსიგნიას (იხ. ნაწ. V). ეს ასტრონომიული ცოდნა, ქართული ასომთავრული „ჰარის“ მეშვეობით, დამწერლობაში იქნა შემოტანილი, რაც „ჰარის“ ყველა სიმბოლომ გაიზიარა, სადაც კი დამწერლობის თესლი დაითესა. მართლაც რომ გასაკვირია, თუ რა შესაშური სრულყოფილებით აღასრულეს ანბანის უძველესმა შემქმნელებმა (ნაიკითხე: ქართველმა მეცნიერებმა) ეს მართლაც ურთულესი ამოცანა.

კვლევა მრავალ, ძნელად საპასუხო, პასუხსაგებ და დამაბნეველ, თუ არა რევეოლუციურ, შეკითხვას ბადებს. მაგრამ დამწერლობისა და ანბანის განვითარების შესახებ არსებულმა ჩვენმა დღევანდელმა არასრულმა ცოდნამ არ უნდა გვაიძულოს შეკითხვების უგულებელყოფა. პირიქით, უნდა შეგვაგულიანოს დეტალური და ყოველმხრივი გამოკვლევებისთვის, რათა ამომწურავად ამოვიცნოთ ბაბილონელი ქურუმების მიერ ნახსენები „ჰარის“ საიდუმლოებები:



"შენ ხარ ჯარი დიდებული, დიად ღმერთთა შენამოქმედი.  
 შენ შეგქმნეს დიად ღმერთთა სადიდებლად...  
 ზეცად ხატება შენი... ღვთაებრივი რიტუალისთვის.  
 ოდეს ღმერთებმა ანუმ, ენლილმა, ეამ, და ნინმაჰმა (გიბოდეს)  
 დიად ღმერთთა ბედის (განკარგვა),  
 შენს ტყავ-ხორცს დიდებულ ღმერთთა საიდუმლო, ბედად ებოძა.  
 დარჩი მარადჟამს საიდუმლოში!"<sup>28</sup>

(„რიტუალს უძღვება კალუ-ქურუმი ტაძრის დოღზე საფარის გადაფარებისას“, ANET 1955:336; ხაზგასმა ჩვენია – ა. მ.).

შუმერული, ეგვიპტური და ფინიკიური სანერი ნიშნებიდან ამო-  
 ნეული, ქართულ ასომთავრულ „ჯართან“ დაკავშირებული მთლიანი  
 ინფორმაცია, არის სიტყვა „ჯარის“ მიერ 'აღეფის ქართველურ ზე-  
 ინფორმაციულ ჯგუფში შეტანილი წილი, ცოდნა, რომელიც უნდა  
 შეივსოს ჯგუფის სხვა წევრების მიერაც.

## 10. ხარებას ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზი

ვნახოთ, თუ რას გვთავაზობს მეორე, ასევე „ჯარ“ ძირის შემ-  
 ცველი ხარება – „სასიხარულოს თქმა“. ამისათვის მნიშვნელოვანია,  
 გავიხსენოთ „ჯარ“ და „ხარ“ ძირების ფონეტიკური იდენტურობა,  
 ვინაიდან, სწორედ ბგერითი მხარის სიახლოვე განაპირობებს მათ  
 თანაარსებობას და „ჯარის“ მნიშვნელობას შემოსაზღვრავს, რო-  
 გორც ჯგუფის სემანტიკურ ლერძს. შესაბამისად, „ხარება“ სიტყვის  
 მიერთება აღნიშნულ ჯგუფთან გამართლებული იქნება იმ შემთხ-  
 ვევაში, თუ მისი ლექსიკური მნიშვნელობა წინა არქეტიპების („ყა-  
 ლიბი“, „ჯარი“) მიერ აგებულ ინფორმაციულ სისტემას არ შეე-  
 წინააღმდეგება. ამ და მსგავსი გარემოებების შემთხვევებში დეკო-  
 დირებული ინფორმაცია, განსაკუთრებით კი „ჯარის“ მნიშვნელობა,  
 ის მეთოდოლოგიური პრიზმაა, რომელშიც სიტყვა „ხარების“ სემან-  
 ტიკური ნვლილი გაანალიზებულ უნდა იქნეს.

სტრუქტურულად, საკვლევი ლექსემა ორი ნაწილისგან შედგე-  
 ბა: ძირისაგან „ხარ“, რომელიც ფაქტობრივად „ჯარის“ ომონიმია და  
 ზმნის მანარმოებელი სუფიქსისგან -ებ. „ჯარ-ებ-ა“ სიტყვის მიერ  
 ქართველური ზეინფორმაციული ჯგუფის მთლიან სემანტიკაში შე-

<sup>28</sup> "You are the Exalted Bull, created by the great gods.

You were created for the service of the great gods....

In the heavens your image... for the rites of divinity.

When the gods Anu, Enlil, Ea, and Ninmah [decreed] the destinies of the great gods,

Your skin (and) your muscles were destined for the secrets of the great gods.

Remain for everlasting days in the secret! (ANET 1955:336).

მოტიანილი კულტუროლოგიური მნიშვნელობა ორ პლასტში გად-  
მოიცემა:

ა) უძველეს, ქართველურ – ნარმართულ ასტრონომიულ-კა-  
ლენდარულ ცოდნაში;

ბ) ქრისტიანულ მსოფლმხედველობაში.

პროფ. რამაზ პატარიძე წერს: „ხარება-დღე უძრავი ქრისტიანუ-  
ლი დღესასწაულია და 25 მარტს მოდის. ცხადია, ქართული დასა-  
ბამითგანი ისეთი კალენდარული წელთაღრიცხვაა, რომლის წლის და-  
საწყისად მიჩნეულია 25 მარტი. შესაბამისად, ქართული „ქორონიკო-  
ნი“ ისეთი კალენდარული წელთაღრიცხვაა, რომლის წლის დასაწყისი-  
სია 25 მარტი“ (პატარიძე 1980:271). ავტორი განაგრძობს: „საგულისხ-  
მოა, რომ 25 მარტი საქართველოში, როგორც ჩანს, მიჩნეული იყო  
გაზაფხულის ბუნიობად ანუ გაზაფხულის დღელამსწორობის დღედ“  
(იქვე, 272).

ლინგვისტურ-კულტუროლოგიური ანალიზისთვის, ციტატა ორ  
მნიშვნელოვან პუნქტს შეიცავს: ახალ წელსა და გაზაფხულის  
დღელამსწორობას. ნახსენები ასტრონომიული და კალენდარული  
ხდომილობების (ახალი წელი, საგაზაფხულო დღელამსწორობა) კავ-  
შირი „კართან“ ნათელი ხდება მეტაფორულ დონეზე მათი განხილ-  
ვისას; რაკი ახალი წელი მიუთითებს ახალ ასტრონომიულ წრეზე გა-  
დასვლას, იგი, მეტაფორულად, ნებისმიერი ახალი ფაზის დასაწყისია,  
იქნება ეს ერების, საზოგადოებებისა თუ ცალკეული პიროვნებების  
ცხოვრებაში; ახალი წლის მნიშვნელობით კი, სიტყვა „ხარება“ ორ  
ცნებას უკავშირდება: ა) ახალი პერიოდის საწყისს; ბ) მის დაწყე-  
ბასთან დაკავშირებული სასიხარულო ამბის შეტყობინებას. სხვა-  
გვარად, „კარ“ და „ხარ-ებ“ ფუძეებით გადმოცემული ზეინფორმა-  
ციული მნიშვნელობები უნდა მიუთითებდნენ „კარის“ ცნების შემ-  
ცველ სასიხარულო ამბავს და ამავდროულად, ამ ამბის გაცხადება-  
საც. თუ გავიხსენებთ, რომ ქართული ასომთავრული „კარი“ დამ-  
წერლობის განზოგადებული სიმბოლოა, ცხადი ხდება, რომ ეს სასი-  
ხარულო ამბავი დამწერლობას უკავშირდება.

არ იქნება ზედმეტი, გავიმეოროთ, რომ დამწერლობის შემოღე-  
ბით კაცობრიობის განვითარების ისტორიაში ახალი ერა იწყება. გა-  
ნათლებული კაცობრიობის ისტორია ორ ფაზას იცნობს: ა) დამწერ-  
ლობის დაბადებას, რომელიც შუმერული სურათხატოვანი დამწერ-  
ლობით იწყება; ბ) ანბანურ დამწერლობას, რომელიც სათავეს ფინი-  
კიური ანბანიდან იღებს. პირველი (დამწერლობის დაბადება)  
სრულდება განვითარებული ცივილიზაციისთვის საჭირო ყველა  
წინაპირობის ჩამოყალიბება, მაშინ, როდესაც მეორით, კაცობრიო-  
ბის განათლების გზაზე ჩნდება დამწერლობის უფრო იოლი, მოხერ-  
ხებული და დემოკრატიული სისტემა. აქედან გამომდინარე, რომელი  
ფაზა უნდა ვიგულისხმოთ ტოლობაში:

## ახალი ეპოქა=ხარება=ჯარ?

პასუხის მოსაძიებლად შორს წასვლა არ გვჭირდება. ნიგნის წინა ფურცლებზე აღნიშნული იყო, რომ შუმერული პიქტოგრამა 𒄀 (Har) და ქართული ასომთავრული „ჯარი“ (ჟ) იდენტური სიმბოლოებია. უფრო მეტიც, ვახსენეთ აგრეთვე, რომ ქართული ასომთავრული „ჯარი“ არა მხოლოდ ანბანურ ნიშანს წარმოადგენს, არამედ „ჯარის“ სურათიცაა, პიქტოგრამაა. ამის გამო, ასომთავრული ჟ და შუმერული 𒄀 განასახიერებენ დამწერლობის განვითარების ორივე ეტაპს: პიქტოგრაფიულსა და ანბანურსაც. „ჯარის“ აღნიშნული ორი სიმბოლოდან – ქართველური და შუმერული ჯარი–Har – შუმერული „დაიბადა და მოკვდა“ როგორც პიქტოგრამა, მაშინ, როდესაც ასომთავრული „ჯარი“ ჯერაც ცოცხალი ასო-ნიშანია. ამიტომ დღეს მხოლოდ ქართულ ასომთავრულ „ჯარშია“ წარმოდგენილი დამწერლობის განვითარების ორივე საფეხური: დამწერლობის საწყისი, რომელიც პიქტოგრაფიულ და იეროგლიფურ პერიოდებს მოიცავს და დამწერლობის ბოლო, ანუ ანბანური ეტაპი. შესაბამისად, ხარების დღესასწაული ერთმანეთს უტოლებს ორ ფაზას: ერთი მხრივ, კაცობრიობის განათლებული ცხოვრების დაწყება და მისი შემდგომი გადასვლა ანბანურ დამწერლობაზე უტოლდება ახალ ეპოქას, და, მეორე მხრივ, „ჯარის“ ჟ ნიშანი ხდება დამწერლობის ფენომენის სიმბოლო. ეს სწორედ ის სასიხარულო ამბავია, რომელიც ადამის მოდგმას დამწერლობის დასაწყისშივე მიეცა, ოღონდ დაფარული და შენიღბული სახით.

წარმოდგენილი ანალიზი ადასტურებს ცნობილი ფრანგი მეცნიერის მორის დიუნანის გამონათქვამს: „C'est la une invention qu'on ne peut faire deux fois“ – „ეს არის მიგნება, რაც არ შეიძლება ორჯერ მოხდეს“. ცივილიზაციის ისტორიის შესწავლამ დაადასტურა, რომ ანბანის შექმნა ერთჯერადი და განუმეორებელი აქტია, კაცობრიობის განვითარებაში ყველაზე მშენებლოვანი საფეხურია, ნიშანსვეტია უმაღლესი ცივილიზაციის მიღწევისა. ნახსენები კარდინალური მნიშვნელობის მქონე ეს ორი ამბავი (დამწერლობის დაწყება და ანბანურ დამწერლობაზე გადასვლა) კაცობრიობას რამდენჯერმე მიეცა: პირველად შუმერული და ეგვიპტური პიქტოგრამების საშუალებით, ხოლო შემდგომ კი ფინიკიური 'ალეფის მეშვეობით. მიუხედავად ამისა, თავის მთლიანობაში, სრულყოფილებასა და ინდივიდუალობაში, ეს ცოდნა ქართულ ასომთავრულ „ჯარშია“ (ჟ) კოდირებული, რომელიც ყოველთვის თავისი ორეულების უკან იდგა. თუ ეს ბაბილონელი ქურუმების „ჯარის“ საიდუმლოების ერთ-ერთი მონაკვეთია, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ღმერთ-ჯარმა შესანიშნავად შეასრულა თავისი ამოცანა.

„ხარებასა“ და „ჯართან“, როგორც დამწერლობის განზოგადებულ სიმბოლოსთან, მჭიდროდ არის დაკავშირებული 25 მარტი, ახა-

ლი წლის მომასწავებელი თარიღი. ასტრონომიულად, 25 მარტი გაზაფხულის დღელამსწორობის დღეა, ანუ პერიოდი, რომელიც ზრდასა და ნაყოფიერებასთან არის დაკავშირებული. ახალი წლის საგაზაფხულო დღელამსწორობით დაწყება მიუთითებდა გაფურჩქენისა და დოვლათის ანალოგიურ იმედებზე, რომლებსაც ხალხი მომავალ წელზე ამყარებდა. აქედან გამომდინარე, „ხარება“ დღე კაცობრიობის ისტორიაში ახლად დაწყებულ ეპოქას ანალოგიურ მახასიათებლებს (ზრდა, ნაყოფიერება, განვითარება, გაფურჩქენა) მიანერს. შეუძლებელია, უფრო ზუსტად გაეთვალათ მომავალი ძველ ქართველ ქურუმებს. ძნელია, არ დავეთანხმოთ წარმოდგენილი სემანტიკის დეკოდირებასაც, თუ გავიხსენებთ იმ წვლილს, რომელიც შუმერმა კაცობრიობის კულტურულ წინსვლაში შეიტანა და იმ გავლენას, რომელიც მან დანარჩენ მსოფლიოზე მოახდინა. აქედან გამომდინარე, ქართველური „ხარება“ გვატყობინებს დამწერლობის დასაწყისის სასიხარულო ამბავს, – კაცობრიობის ცხოვრების ახალი ნაყოფიერი პერიოდის დასაწყისს. დამწერლობის ისტორია გვიდასტურებს „ხარებას“ მნიშვნელობას. შუმერში შექმნილი დამწერლობა ჯერ პიქტოგრაფიული, ხოლო შემდეგ კი ლურსმულის სახით, მის საზღვრებს გარეთ ფართოდ გავრცელდა.<sup>29</sup>

მხედველობის არიდან არ უნდა გამოგვრჩეს დამწერლობის განვითარების მეორე კარდინალური მომენტიც – ანბანის შექმნა, რომელიც არანაკლები ნაყოფიერებითა და განვრცობით გამოირჩეოდა, თავის წინამორბედ ეპოქასთან შედარებით. ამა თუ იმ ფორმით ფინიკიურმა ანბანმა მრავალ ქვეყანაში და კულტურაში შეაღწია.

მეტაფორული გადააზრების შესაბამისად, ხარება დღე მხოლოდ გაზაფხულის დღელამსწორობის აღმნიშვნელი სიტყვა კი არ არის, არამედ ზამთრიდან გაზაფხულზე და მაშასადამე, სიბნელიდან სინათლეზე გადასვლის დროა. მიღებული ტოლობა სრულყოფილია, ვინაიდან დამწერლობა გაუნათლებლობის სიბნელიდან გაბრწყინებული განათლების მდგომარეობაში გადასვლის პირველი და აუცილებელი პირობაა.

იგივე ითქმის „ხარებას“ მეორე, რელიგიურ, განსაკუთრებით კი ქრისტიანულ-ტიერმინოლოგიურ მნიშვნელობაზე, რომელსაც ქართველური ზეინფორმაციული ჯგუფის მიერ გენერირებულ ინფორმაციულ სისტემაში ქრისტიანული ხარების ცნება შემოაქვს; კერძოდ, გაბრიელ მთავარანგელოზის მიერ მარიამისთვის სულიწმიდით ჩასახული მომავალი ღმერთკაცის დაბადების სასიხარულო ამბის შეტყობინება:

<sup>29</sup> საგაზაფხულო დღელამსწორობის ქართულ ასომთავრულ „დონსა“ და შუმერულ „ნკირსა და წრეს“ შორის არსებული კავშირების შესახებ იხ. ამავე ნაშრომის ნაწილი IV „მესოპოტამია და ქართული ასომთავრული დონი“.

„ხოლო მეექვსე თვეს მოვლინებულ იქნა გაბრიელ ანგელოზი ღმერთის მიერ გალილეის ქალაქში, რომელსაც ეწოდება ნაზარეთი.

ქალწულთან, რომელიც დანიშნული იყო კაცზე, და სახელი მისი – იოსები, დავითის მოდგმისა, ხოლო სახელი ქალწულისა – მარიამი.

შევიდა ანგელოზი მასთან და უთხრა: გიხაროდენ, მიმადლებულო, უფალი შენთანაა, კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის“ (ლუკა 1:26-28; ხაზგასმა ჩვენია – ა. მ.).

ახლა ისიც გავიხსენოთ, რომ ახალ აღთქმას ქართველები სახარ-ებ-ას ეწოდებოდა, რაც საბას განმარტებით „არს სიბრძნე, სიმართლე და ძლიერება, სამივე სწორე და ერთ“ (საბა 1993:74; ხაზგასმა ჩვენია – ა. მ.).

„ხარებას“ დეკოდირებული და რელიგიური მნიშვნელობანი – „დამწერლობის განვითარების ახალი ეპოქა“ და „ქრისტეს დაბადების ხარება“ ერთი მონეტის ორი სახეა. ერთი ქართველური სიტყვის მეშვეობით „ხარება“ ხდება ორი სხვადასხვა ინფორმაციული მონაკვეთის რეალიზაცია: ერთი მხრივ, იგი მიუთითებს კაცობრიობის კულტურულ განვითარებაში დაწყებულ ახალ წრებრუნვაზე და, მეორე მხრივ, – ქრისტიანობაზე, როგორც დამწერლობის ახალი, ანბანური სტადიის გამარჯვებაზე. ამგვარი ინფორმაციული შერწყმა ბიძგს აძლევს დამატებითი მტკიცებულებების ზენამონევას. ასე მაგალითად, კარგად ცნობილი ფაქტია, რომ ღმერთი და შესაბამისად ქრისტი, რომელიც წმინდა წიგნებში ღმერთის ძედ არის გამოცხადებული, სიტყვასთან არის გატოლებული. შეადარეთ: „ჯერ იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან, და სიტყვა იყო ღმერთი“ (იოანე 1:1).

ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ბიბლიის სიტყვა მხოლოდ წარმოთქმულ, ზეპირ სიტყვას არ ნიშნავს. დაწერილი სიტყვა ტოლფასი თუ არა, უფრო მეტი მნიშვნელობისაა. შუმერული და ეგვიპტური სარწმუნოებანი დამწერლობას ღვთაებრივ მოვლენად მიიჩნევენ. ქალდეური და ეგვიპტური ჩაკეტილი ოლიგარქიების სწავლების შესაბამისად, ღვთის სიტყვა ხალხს დაწერილი სიტყვის მეშვეობით გადაეცემოდა. ბიბლიის მსგავსად, უძველესი ეგვიპტური რელიგიის მიხედვით, სწორედ დაწერილი სიტყვა იყო ღმერთთან გაიგივებული, რამეთუ ჩაკეტილი ოლიგარქიის ქურუმთა აზრით, ღმერთის სიტყვა იყო იეროგლიფი (Forman, Quirke 1996:141). ფაქტობრივად, კაცობრიობის წარსულის მემკვიდრეობა – სხვადასხვა რელიგიების წმინდა წიგნები – იმავეს ადასტურებენ. არც ის შეიძლება ჩაითვალოს შემთხვევითობად, რომ თანამედროვე მეცნიერებას ცივილიზაციის უმაღლეს საფეხურად სწორედ დაწერილი სიტყვა მიაჩნია.

ხარების მიერ კატალიზებული ინფორმაცია აქ არ წყდება. დეკოდირებული მნიშვნელობა, „ახალი ეპოქის მაუწყებელი სასიხარულო ამბავი“ = „კაცობრიობის განათლებული განვითარება“ ქართულ

ასომთავრულ „ჯარს“ უერთებს მის შესაბამის შუმერულ, ეგვიპტურ, ფინიკიურ ნყვილებს, მათ რთულსა და კომპლექსურ სიმბოლიზმსა და მოდელებს. აღნერილი გამთლიანების საფუძველზე ნარმოიშობა კოდირებული ცოდნის ძლიერ რთული და მრავალშრიანი მექანიზმი, რომლის მოქმედება ენობრივ, რელიგიურ, სურათხატოვან, ანბანურ, ისტორიულ და მითოლოგიურ დონეებს მოიცავს (ცხრ. 59).

### ცხრილი 59

ქართული ასომთავრული ჯარი და მისი ინფორმაციული მექანიზმი

ასპექტი	ქართველური	შუმერული		ეგვიპტური	ფინიკიური
ენობრივი	ჯარი ბულა	𐎶ar	GUD	საყრდენი	'ალეფ
პალეოგრაფიული					
• სურათხატოვანი	ყ	𐎶	𐎠𐎥	Ⲣ Ⲛ	
• ანბანური					ⲠⲢ
რელიგიურ-მითოლოგიური	ამირანი	ნაბუ		თოთი	
				ოსირისი	
				რა	
				ჰორუსი	
				შუ	
				Buchis	
ისტორიული		დამწერლობის დაბადება			ანბანური დამწერლობა
ასტრონომიული	ახალი წელი	ძვ.წ.3000-800: დღელამსწრობა ხარის ზოდიაქოში			
	საგაზაფხულო დღელამსწრობა				

ნარმოქმნილი პოლივალენტური ინფორმაციული მექანიზმი ქართული ასომთავრული „ჯარის“, მისი გრაფიკული, სინონიმური და ომონიმური სიტყვების მეშვეობით იმართება, რომლებიც თითოეული წევრის სემანტიკას ერთ ზეინფორმაციულ სისტემაში აერთიანებენ. ასომთავრული „ჯარის“ აღნერილი მახასიათებლები ნათელს ჰფენენ „ჯარის“ წინამძღოლობით დაწყებული დამწერლობის დაბადებას. იგი გვაუწყებს, რომ იმთავითვე შუმერულ პიქტოგრამებს „ჯარის“ ორი გამოსახულება მიეცათ. პირველი სიმბოლოა ჯარი-𐎶ar

(ქ), რომელიც წარმოადგენდა „ხარის“ სახის გეომეტრიულ პიქტოგრამას და ზუსტად იმეორებდა ქართულ ასო-ნიშანს ყ. „ჭარის“ პიქტოგრამის სტილისტურად განსხვავებული გამოსახულებაა Ⴀ სახელად კვლავ ქართველურ სიტყვას გუდ(ა) ატარებს. ვინაიდან, შუმერული ქ ფიგურირებდა დამწერლობის პირველ ნიშნებს შორის, იგი არა მხოლოდ გარკვეულ პიქტოგრამას, არამედ დაფარული სახით დამწერლობის განვითარების მთლიან სურათს განაზოგადებდა.

მეორე პიქტოგრამის Ⴀ შექმნას თავისი საკუთარი მიზანი გააჩნდა და გარკვეულწილად „წინასწარმეტყველური ემბრიონის“ ფუნქციას ასრულებდა, რადგან, ოდნავ შეცვლილი ფორმით, ფინიკიური ანბანის მეთაურ ასოს 'ალეფ-ხარს (𐤀) დაედო საფუძვლად ათასი წლის შემდეგ. თუ Ⴀ პიქტოგრამის სახელი ღიად დააფიქსირეს, მეორე ნიშნის ქ სახელი დამალეს, რათა მისი გამოაშქარავებისთვის განკუთვნილ დროს გახსნილიყო. ქართველური მასალის საფუძველზე, ნიშანი ქ იბრუნებს თავის ძველ სახელს ჯარ > \*Har და ერწყმის თავის გამოსახულებას ხუთი ათასწლიანი განშორების შემდეგ.

შუმერული პიქტოგრამის გარდა, ქართული ასომთავრული „ჯარი“ (სულ ცოტა) კიდევ ერთ ეგვიპტურ ნიშანს – „საყრდენის“ იეროგლიფს მართავს. ასტრონომიული მოვლენის (ახალი წელი, საგაზაფხულო დღელამსწორობა) მსგავსად, ეგვიპტური სახელის თავდაპირველი მნიშვნელობაც („საყრდენი“) მეტაფორულ გადააზრებას ექვემდებარება. „საყრდენის“ საამშენებლო კონსტრუქციის მნიშვნელობის მეტაფორული გადააზრების შედეგად, იეროგლიფი დეშიფრირებული სემანტიკის ახალ, დამატებით და შემავსებელ ინფორმაციას გვთავაზობს, რომლის მიხედვით, დამწერლობა კაცობრიობის განათლებული არსებობის საყრდენად წარმოჩნდება. საყრდენის გამოცლა კი არა თუ შენობის, არამედ ზეცის ძირს ვარდნისა და კატასტროფის ტოლფასია.

ამგვარად, თუ შუმერული „ჯარისა“ და „გუდას“ მეშვეობით დამწერლობის შემქმნელებმა შეკრეს ჩარჩო, ანუ დამწერლობის განვითარების სამოქმედო გეგმა, ეგვიპტური „საყრდენის“ იეროგლიფის მეშვეობით მომავალ თაობებს დაუგდეს არაორაზროვანი გადმოცემა დამწერლობის ფუნდამენტურ როლზე კაცობრიობის განვითარებაში. ქართული ასომთავრული „ჯარი“ თავის თავში მოიცავს მთლიანი შუმერული, ეგვიპტური და ფინიკიური „ხარის“ სიმბოლიზმს, რომელსაც იგი თავისი მრავალჯერადი ენობრივი არქეტიპების მეშვეობით განაგებს: ქართველური „ჯართ“, „ყალიბით“ და „ხარებით“.

ეგვიპტური იეროგლიფისა და ქართული ასომთავრული „ჯარის“ კავშირები ნათელს ჰფენს ქართველური „ჯარის“ მიერ შესრულებულ „საყრდენის“ ფუნქციას ეგვიპტური რელიგიის შიგნით. შუმერული „გუდას“ მსგავსად, „ჯარი-საყრდენი“ მეორე ქართველურ სიტყვა

„ბულასთან“ არის დანყვილებული. ორივე სახელი ეგვიპტური რელიგიური ფილოსოფიის ულრმესი შრეებისკენ მიგვიძღვება, რათა უმალლესი რანგის ღვთაებების ნამდვილი მნიშვნელობა სააშკარაოზე გამოიტანოს: ḥr < ჯარი, hrw < ჯარი, Bkha < ბულა, Buchis < ბულა, და ა.შ. როგორც ვხედავთ, „ჯარის“ აღმნიშვნელ ქართველურ სინონიმთა ჯგუფს („ჯარი“, ასო-ნიშანი „ჯარი“ და „გუდა“) გააჩნია ძლიერ რთული ენობრივ-კულტუროლოგიური ქსელი მკვდარ და ცოცხალ ცივილიზაციებთან.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ „ჯარის“ აღმნიშვნელი პირველი შუმერული პიქტოგრამები და ეგვიპტური იეროგლიფები ფარდას ხდიან იმ ფაქტს, რომ დამწერლობის პირველი ნიშნები უკვე შეიცავენ მითითებას დამწერლობის განვითარების ორივე ძირითად ეტაპზე. „ჯარის“ პირველი ქართველური და შუმერული სიმბოლოები „ჯარ/ხარ“ (𐌶 – 𐌶) დამწერლობის არა მხოლოდ პირველი ნიშნებია, არამედ წარმოადგენენ დამწერლობის განზოგადებულ სიმბოლოებს, რომლებიც ცივილიზაციის განვითარების ახალ ერას მოასწავებენ. „ჯარის“ მეორე პიქტოგრამა „გუდ“, რომელიც ძვ. წ. 3200 წელს უკვე გამოიყენებოდა, მომავალი ანბანური „ჯარის“ გრაფიკასა და სახელზე მიანიშნებს. შუმერული „გუდას“ გრაფიკა მომავალი ფინიკიური „'ალეფ“-ისათვის ყალიბია, რომელმაც, თავის მხრივ, იმავე ყალიბის როლი ითამაშა თანამედროვე არაბული და დასავლური ანბანების მიმართ. ეს არის ფუნქცია, რომელიც შუმერულმა კულტურამ გაცილებით ადრე შეასრულა. შუმერული და ეგვიპტური საწერი ნიშნების მსგავსად, სემიტურმა ნიშანმაც თავისი ქართველური არქეტიპის „ჯარის“ ემბლემა ათასწლეულებში გამოატარა. 'ალეფის ოდნავ სახემეცვლილმა გამოთქმამ შესაძლებლობა მისცა მას, მთელ რიგ ქართველურ არქეტიპებთან კრიპტულ მიმართება-ურთიერთობაში ყოფილიყო. სწორედ ამ უხილავი ურთიერთობების მეშვეობით ხდება, „ჯარის“ ასო-ნიშნების შექმნისას, მათში კოდირებული ინფორმაციის გადმოცემა.

„ჯარის“ სიმბოლოს მატარებელი დამწერლობა ციური გეგმის მიხედვით შეიქმნა. მე-3 ათასწლეულში დანყვილებული, კაცობრიობის უმალლესი მიღწევა საოცარ შესაბამისობაშია ასტრონომიასთან, როდესაც მზე საგაზაფხულო დღელამსწორობისას „ჯარის“ ზოდიაქოში ამოდიოდა და წელიწადში ერთხელ კაცთა მოდგმას ღვთიური დამწერლობის ბოძებას ახარებდა. წარმოდგენილი კვლევა ააშკარავებს, თუ რატომ „ჩაეგია“ დამწერლობის განვითარების ორივე საფეხური დროის მონაკვეთში ძვ. წ. 3000 წ-დან ძვ. წ. 800 წ-მდე. ესაა დრო, რომლის შემდეგ მზემ ამოსვლა ვერძის ზოდიაქოში დაიწყო. როგორც ვხედავთ, ასტრონომიული, პალეოგრაფიული, რელიგიური და ენობრივი მასალა ადასტურებს, რომ ქართულ ასომთავრულში



მოცემული „წარის“ სიმბოლო, რომელიც შუმერულ ო-სა და ეგვიპტურ ო-ში უცვლელად მეორდება, დღესდღეობით არსებული მსოფლიოს მრავალი დამწერლობის სისტემის ქეშმარიტად განზოგადებული სიმბოლოა.

ამგვარად, წარისებრი დამწერლობა, რომელიც უძველესი კოსმიური ვითარების ანბანური ხატია, 5000 წლის განმავლობაში მიძინებულ მდგომარეობაში იყო, სანამ ქართველური ენობრივი და კულტუროლოგიური მასალა კვლევის სფეროში არ იქნა შეტანილი. გვსურს ეს ჩვენ თუ არა, მოგვწონს ეს ჩვენ თუ არა, მხოლოდ ქართველურ მასალას ხელენიფება, შუქი მოჰფინოს დამწერლობის უწყვეტ განვითარებას. ჯაჭვი არც სწორხაზობრივია და არც ევოლუციური. დამწერლობის განვითარება წრიულია, ხოლო ევოლუცია და განვითარება ციკლის შიგნით ხდება. მისი დასაწყისია „წარის“ ქართველური პიქტოგრამა-ასო-ნიშანი ო, მას უერთდებიან შუმერული და ეგვიპტური „ასოები“ და მთავრდება იმავე ქართველური ასო-ნიშნით ო, რომელიც კრავს ჯაჭვს. თუ ქართველ ხალხს მათი საყვარელი მზეჭაბუკ ამირანით აღვნიშნავთ, რომელმაც ცეცხლი (ცოდნა) მოუტანა ხალხს ზეციდან, დამწერლობის სისტემის განვითარება შესანიშნავ სიმეტრიას მიიღებს (ცხრ. 60, გვ. 251).

სქემა და მისი ინფორმაცია პრეისტორიული ლინგვისტური და კულტუროლოგიური კვლევის შედეგად აქამდე მიღებულ ნებისმიერ მოდელს სცილდება. ქართველური „ხარების“ ლინგვოკულტუროლოგიური გამოკვლევა და შემაჯამებელი ცხრილი (60) ნათელს ხდის, რომ სიტყვის სემანტიკური და კულტუროლოგიურ ინფორმაცია გაცილებით სჭარბობს მის სალექსიკონო მნიშვნელობას. სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა წარმოადგენს უზარმაზარი სისტემის საყრდენ თესლს, რომელიც აერთიანებს ისტორიულ, რელიგიურ, ასტრონომიულ, პალეოგრაფიულ, ეთნოლოგიურ და ლინგვისტურ მასალას. ცოდნის ეს განსხვავებული სფეროები ერთმანეთს ავსებენ, ეხამებიან და აგებენ მკვდარი შუმერული, ეგვიპტური, ფინიკიური და ცოცხალი ქართველური ცივილიზაციების უზარმაზარ, გასაიდუმლოებულ, ურთიერთშელეწეად ქსელს.

დამწერლობის ახალი ხანა, როგორც განვითარების ათვლის ახალი ეტაპი, კაცობრიობას „ხარების“ სახით მიეცა. უფრო მეტიც, სინონიმური ურთიერთობებით დაკავშირებული შუმერული „გუდ“ ო და „წარ“ ო გაცილებით უფრო ღრმა ეზოთერულ ინფორმაციას გვთავაზობენ; კერძოდ, კაცობრიობას მისი განათლებული განვითარების შესახებ თავიდანვე ახარეს. თუმცა ეს გაკეთდა არა ღიად, არამედ მალულად, შუმერული და ეგვიპტური სურათხატოვანი ნიშნების მეშვეობით, რომლებსაც ქართული ასომთავრული „წარი“ ო განაგებდა. ცოდ-



ნა დამწერლობის განვითარების ორი საფეხურის შესახებ, რომელიც კაცობრიობას უნდა მიეღო, იმთავითვე კოდირებული იყო შუმერულ პიქტოგრაფებში (ჰ და Ⴀ) და ეგვიპტურ იეროგლიფებში (Ⲁ და Ⲥ).

ქართულმა ასომთავრულმა „წარმა“ და „ხარება“ ახარეს კაცობრიობას მათი მნიგნობრული განვითარების მეორე, ანბანურ დამწერლობაზე გადასვლა. ამჯერად, ეს იყო ფინიკიური „ალფი“, ქართველური ზეინფორმაციული ჯგუფის ანბანური და ენობრივი დერივატი. ამბავი ისეთივე გასაიდუმლოებული სახით ეხარათ, როგორც ეს შუმერულმა „წარმა“ Ⴀ და ეგვიპტურმა „საყრდენმა“ Ⲁ შეასრულა ადრე.

ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ქართველური ენებისა და კულტურის ჩართვა დამწერლობის ისტორიის კვლევაში ადასტურებს, მინისეული ცივილიზაციის გარკვეული გეგმის მიხედვით შექმნის, შუმერული მითოლოგიის დებულებას. ამ გეგმას Giš-Har („გიშ-ხარ“) ეწოდებოდა (კიკნაძე 1979:175), რომლის შემადგენლობაშიც ქართველური „წარ-ხარ“ ძირის აღმოჩენა აღარ უნდა გაგვიკვირდეს.

მასალის ანალიზი და მიღებული შედეგები სრულიად ახალია ტრადიციული ენათმეცნიერებისთვის, ვინაიდან, ისინი უარყოფენ და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ მიღებულ თეორიებს მკვდარი და ცოცხალი ცივილიზაციების ენობრივი და კულტურული კონტაქტების შესახებ – ცოდნას, რომელიც მრავალი მკვლევრის ერთგული რუდუნებით იქნა მიღწეული. მიუხედავად ამისა, ანალიზი, რალაციის მხოლოდ ნგრევა არ გახლავთ; უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ იგი ჩვენი წარსულის სრულიად განსხვავებული ნაკითხვის საშუალებას გვთავაზობს.

ამიტომ, სანამ ქართველური ზეინფორმაციული ჯგუფის მესამე ნევრის ლინგვოკულტუროლოგიურ ანალიზს შევუდგებოდეთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართველური ხარება სიტყვით გადმოცემული ზეინფორმაციული სემანტიკა უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ფაქტია – დამწერლობის დასაწყისისა და ანბანურ დამწერლობაზე გადასვლის პირდაპირი მისამართი.

## 11. ქართველური ხალეპო

ახლა ქართველური ზეინფორმაციული ჯგუფის მესამე ნევრი, ხალეპო განვიხილოთ, რომელიც, ერთი შეხედვით, ყველაზე შეუფერებელი სემანტიკით გამოირჩევა. იმის გასარკვევად, თუ რა წილით შემოდის „ხალეპო“ კოდირებული ინფორმაციის გაშიფვრაში, იმ სემანტიკური და ასოციაციური კავშირების გარკვევაა საჭირო, რომ-

ლითაც მისი მნიშვნელობა მთლიანი ჯგუფის მიერ გენერირებულ ინფორმაციას უკავშირდება.

საბას *ლექსიკონი ქართული* შემდეგნაირად განმარტავს საძიებელ სიტყვას:

ხალეპო ავი

ნ. ივლისი (საბა 1993:40)

ივლისი თიბისა ZABC.

თიბისა. ივლისსა პირველ ავ და კვინტოლიონი ეწოდება

ნ. თთუე (საბა 1991:324).

მოცემულ სალექსიკონო სტატიებზე დაყრდნობით, „ავსა“ და „ივლისს“ შორის არანაირი სემანტიკური (ან სემური) კავშირი არ არსებობს, ვინაიდან საძიებელ სიტყვას („ხალეპო“) და მის მნიშვნელობებს („ავი“, „ივლისი“) შორის კავშირი ექსტრალინგვისტური ფაქტორით („თთუე“) არის განპირობებული. ყველას კარგად მოეხსენება, რომ ივლისი ზაფხულის ყველაზე ცხელი თვეა, პერიოდი, როდესაც მზის მცხუნვარების დამანგრეველი პოტენცია მაქსიმალური ძალით ვლინდება. ამიტომ, მაცოცხლებელი ენერჯის გარდა მზე, უფრო სწორად ივლისის მზე, შეიძლება იყოს სიავის და ბოროტების წყაროც.<sup>30</sup> შესაბამისად, სიტყვა „ხალეპოს“ წილი, ქართველურ ზეინფორმაციულ ჯგუფში „ავი, მცხუნვარე მზის სემანტიკის“ და „ავის“, როგორც ბოროტებისა და არაკეთილის, განყენებული ცნებების შემოტანაა.

მზის ღვთაებრივი ელემენტის გამოჩენა ფინიკიური ანბანის „მისტერიების“ დეკოდირებაში გასაკვირი არ არის, ვინაიდან, უძველეს ცივილიზაციებში, დამწერლობის შექმნა მხოლოდ ღვთაებრივ შემოქმედებას მიეწერებოდა. უჩვეულოდ ჩანს მხოლოდ ის, რომ ბოროტება და სიავე ზეინფორმაციული ჯგუფის მთლიანად დადებით მნიშვნელობაში შემოდის. მიუხედავად ამისა, ბოროტი ანუ განრისხებული ღვთაების სახე, რომელიც თავის ურჩ ქვეშევრდომებს სჯის, ფართოდ გავრცელებული ცნებაა. წარმართულ ქართველურ რელიგიურ სისტემაში, უმაღლეს ღვთაებას, მორიგე ღმერთს თავისი თანაშემწეები ჰყავს, რომლებიც მგელ-ძაღლის გაერთიანებული სახის მქონე, ერთგვარი დამსჯელი რაზმია. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მას განსხვავებული სახელები აქვს: მწვეარნი, იასაულნი, ლაშქარნი და ა.შ. მორიგე ღმერთი თვალყურს ადევნებს ქვეშევრდომების მიერ მისი ბრძანებების შესრულებას და ვაი მას, ვინც არ დაემორჩილება უზენაესის განკარგულებას. განრისხებული

<sup>30</sup> „ავი მზის“ შესახებ სხვა ლექსიკურ ერთეულებში საუბარია ნაშრომის მესამე ტომში, სადაც მოცემულია ქართველური და სპარსული ენობრივი მასალის შედარებითი ანალიზი.

ლმერთი, ერთგული მგელ-ძაღვლების მეშვეობით, დედამინაზე მწველ მზეს, დაავადებებსა და სხვადასხვა უბედურებას გამოუგზავნის ურჩ მრევლს (ბარდაველიძე 1957:42-53). ამიტომ, ივლისის ბოროტი მზის მეშვეობით ბოროტი ლმერთის შემოყვანა მთლიანი ზეინფორმაციული სემანტიკის სფეროში, ლოგიკური და გამართლებულია.

## 12. ძართველური ხარ, ხარხარ

ახლა, სემურ-ქართველურ ჯგუფში შემავალი ბოლო ორი სიტყვის ხარ (ყოფნა ზმნის მეორე პირის მხ. რიცხ.) და ხარხარ („მაღალი და უშვერი სიცილი“) შესახებაც ვთქვათ ორიოდ სიტყვა. აღნიშნული სიტყვების სწორ აღქმაში დიდად დაგვეხმარება ქართველურ-ფინიკიური ასო-ნიშნების ანალიზისას გამოყენებული ერთ-ერთი მეთოდი, კერძოდ, სიტყვების სინტაგმატური განლაგება. ზევით აღინიშნა, რომ ფინიკიური და ქართველური სიტყვების სინტაგმატური კავშირები გვაძლევს არაჩვეულ (მაგ. ნითელი ყვაელი = ნითელი + ყვაელი) ლექსიკურ მნიშვნელობებს, არამედ ისტორიული და კულტურული სახის ინფორმაციას. ანალოგიურად იქცევა სემური 'Āleph-ისა და ქართველური „ყოფნა“ ზმნის „ხარ“ ფორმების სინტაგმატური გაერთიანებაც. ქართველური ენობრივი ნორმების მიხედვით, 'Āleph+ხარ სრულ წინადადებას შეესაბამება: (შენ) ხარ ჯარი. მიღებული მნიშვნელობა, რომელსაც ტრადიციული ლინგვისტიკა იოლად უგულვებელყოფდა, სრულ შესაბამისობაშია ანალიზის შედეგად წამოწეულ ინფორმაციასთან, ვინაიდან მისი აშკარა რეფერენტი, ჯარის სახება, ლმერთ-კაცი ამირანი, ქართველი ერის ზოგად-ეროვნული, ანდრე-ზულ-მითოლოგიური და მაშასადამე, უძველესი არქეტიპული სახე გახლავთ.

მიუხედავად ამისა, 'Āleph+ხარ = ჯარი ხარ აღწერილი მნიშვნელობით არ შემოიფარგლება. „'ალეფ“ მრავალწევრა ქართველური არქეტიპული ჯგუფის დერივატია, რომლის სემანტიკური ერთიანობა ჯგუფის ყველა წევრის მიერ ზიარი კოდირებული ცოდნის მექანიზმს ეყრდნობა. ამიტომ, თუ მიღებულ დასკვნებს ოდნავ განვაზოგადებთ, ჯარ-კაც ამირანში განივთებული ქართველი ერი ამ საოცარი ცოდნის ტაძრის ხუროთმოძღვარზე მიუთითებს.

გენეტიკურად დაუკავშირებელი ორი ენის ფონეტიკურად იდენტური ერთეულების განმეორებითი ენობრივი, რელიგიური, მითოლოგიური და ასტრონომიული მნიშვნელობების ჰარმონიული ურთიერთკავშირი აშკარად მოწმობს ქართველი ერის ცივილიზაციის სათავეებთან დგომას. ამიტომ, სემურ-ქართველურ 'Āleph+ხარ = ჯარი ხარ (შენ) დაუფარავად გვახსენებს, თუ „ვისი გორისა ვართ“

და როგორი „საქმენი საგმირონი“ უკეთებია ერს, რომელიც ისტორიის კარიბჭემ, დიდი ხანია, მიჯაჭვული ამირანივით წარსულის სიბნელეში გამოკეტა და სინათლეს ელის. სინათლე კი აღდგომაა და მისი მოსვლა გარდაუვალი ფაქტია, რომელიც ღია ტექსტით არის გადმოცემული „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲს“ ხელნაწერსა და დავათის სტელაში (სურ. 2).

ჰომილია ამბობს:

„დამარხულ არს ენაჲ ქართული  
დღემდე მეორედ მოსვლისა მესიისა სანამებელად,  
რათა ყოველსა ენასა  
ღმერთმან ამხილოს ამით ენითა“

(ქართული პოეზია, 1979:72. ხაზგასმა ჩვენია – ა. მ.).<sup>31</sup>

ამ ღვთაებრივი და ბრწყინვალე აღდგომის მიზეზიც დასახელებულია:

„რამეთუ ყოველი საიდუმლო

ამას ენასა შინა დამარხულ არს“ (ხაზგასმა ჩვენია – ა. მ.).

ზედმეტია იმის მტკიცება, რომ წარმოდგენილი ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნები სრულ ჰარმონიაშია უძველეს წყაროებში დაფიქსირებულ ცნობასთან ქართველური ენის, ქათველური კულტურისა და ქართველი ხალხის წინასწარმეტყველური აღდგომის შესახებ. ყველაფერი ეს, შემთხვევითობას ვერ მიენერება. კვლევის საშუალებით წამოწეული მასალის მიღება-გათავისება იოლი არ არის; ბევრი ალბათ თავიდანვე უარყოფს მას, მაგრამ მსგავსი ძიებების საფუძველზე, ვფიქრობთ, ზოგს ღიმილს, ზოგს კი ხარხარს მოჰგვრის საკუთარი ურწმუნოება.

ამრიგად, ფინიკიური ანბანის პირველი ასო-ნიშნის სახელის მათემატიკურ-ასტრონომიული, ლინგვისტური და ეზოთერული ანალიზის დასასრულს, შეგვიძლია დავასკვნათ:

სემიტური 'Aleph-ი, თავისი ბგერითი აგებულებით, ექვსი ქართველური სიტყვისგან შემდგარ ჯგუფს მიემართება: ყალიბი, ჭარი, ხარება, ხალეპო, ხარ, ხარხარ. აღნიშნული სიტყვები ქართულისთვის ახლოს მდგომი ფონემებითა და სავსებით განსხვავებული სემანტიკით ხასიათდება, რაც მათ სემიტური სახელის გასაშიფრ ზეინფორმაციულ მექანიზმად გადააქცევს. ქართველური ჯგუფის სიტყვებს შორის დამყარებული შინაარსობრივი ურთიერთობების საფუძველზე წარმოებული დეშიფრირება ემსახურება არა მხოლოდ კარ-

<sup>31</sup> ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲს აღმოჩენილ იქნა სინას მთაზე აღ. ცაგარელის მიერ 1886 წელს. ჰომილის ავტორი უცნობია. იოანე ზოსიმეს, რომელიც IX საუკუნის მოღვაწეა, სპეციალისტთა უმრავლესობა მხოლოდ ტექსტის გადამწერად მიიჩნევს. ქებაჲს შექმნის თარიღად ზოგიერთი მკვლევარი 342 წელს თელის, რაც ხელნაწერს ჩვენამდე მოღწეულ უძველეს ტექსტად აქცევს.

გად ცნობილი ისტორიული ფაქტების ზენამონევას, არამედ გვატყობინებს პირველი ანბანური დამწერლობის შექმნის ისტორიასაც, მის ფუნქციას, მიზანს – ყოფილიყო კაცობრიობის ანბანური განათლების ყალიბი; ამგვარი კარდინალური ძვრა, უზარმაზარი წინგადადგმული ნაბიჯი კაცობრიობის განვითარებაში, ხალხებს „კარ“ ასონიშნის ჭმეთაურობით შექმნილმა ანბანმა ახარა. ეს ანბანი კი ქართველი ერის ჯიშმა და გენიამ შექმნა!


### 13. თაჰის დასკვნები

სანამ ბამიანის ხელნაწერს დავუბრუნდებით, მოკლედ ჩამოვყალიბოთ, ერთი მხრივ, ქართული ასომთავრული „ლანისა“ ო და სემიტური „'აინის“ ო, „ანისა“ ო და 'Aleph-ის და, მეორე მხრივ, უძველესი დამწერლობის სისტემებთან მათი კავშირის შედარებითი შესწავლის შედეგად მიღებული დასკვნები.

ქართული ასომთავრული და ჩრდილო-სემიტური, ანუ ფინიკიური ანბანების კომპლექსურმა (გრაფიკული, მათემატიკური, აკროფონიული, იდეოგრაფიული, ასტრონომიული, გეომეტრიული, ლინგვისტური) შედარებითმა ანალიზმა მზის სინათლეზე გამოიჩინა მათ შორის არსებული ისეთი რთული, ურთიერთგადაჭდობილი და ურთიერთშელწევადი კავშირები, რომლებიც აღნიშნულ ანბანთა წარმომავლობას ერთი და იმავე ცოდნისმიერი სისტემიდან გულისხმობენ და, გაბატონებული შეხედულებების სანინაალმდეგოდ, გენეტიკურად დაკავშირებულ წერით სისტემებად წარმოგვიდგენენ. ასეთი დასკვნის გაკეთების უფლებას გვაძლევს არამარტო ანბანთა სისტემური პრინციპების მსგავსება, როგორცაა გრაფიკული სახე (გარე მსგავსება), აკროფონია და იდეოგრაფია (შინაარსობრივი მსგავსება), არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ურთიერთშემავსებელი და ჰარმონიული რიცხობრივი, გეომეტრიული, რელიგიური და ასტრონომიული ინფორმაციის მრავალჯერადი კოდიფიცირება-განმეორება.

განხილული ასო-ნიშნების ('აინ, ლანი, ანი, 'ალეფ) ეზოთერული და ეგზოთერული თვისებების განმეორებით შეთანხმებას უნდა დავუმატოთ სემურსა და ქართველურ ენებს შორის არსებული ისეთი მრავალპლანოვანი და ურთიერთშელწევადი ენობრივი კონტაქტები, რომლებიც შედარებითი ისტორიული ენათმეცნიერების სფეროში არათუ გამოკვლეული, არამედ შემჩნეულიც კი არ არის. კვლევით გაცხადდა, რომ გრაფიკულად ოდნავ განსხვავებული სემიტური ასო-ნიშნები ქართული ასომთავრული „ლანისა“ და „კარის“ განსხვავებული ასპექტებია და, როგორც ასეთი, ქართული ასომთავრული

ანბანის განუყოფელ ნაწილებს წარმოადგენენ. ქართველურ-სემიტური ანბანური გაერთიანება სემიტურ ასოებს წმინდა ანბანური ჩარჩოდან „ათავისუფლებს“ და ღვთაებრივი სტატუსისკენ უბიძგებს. „'აინი“ წყვეტს უბრალო „თვალის“ მნიშვნელობის გადმოცემას და ქართველთა უჩინარი და უზენაესი ღმერთის, „ღანის თვალი ხდება. აქედან გამომდინარე, სემიტური „'აინი“ ქართულ ასომთავრულში დავანებული უზენაესი ღმერთის მხოლოდ ნაწილია, ხოლო Themurah-ის მეშვეობით აღდგენილი მისი გასაიდუმლოებული სახელი („ღანი“) „'აინის“ მიერ საკუთარ ანბანურ გარემოში „ღანის“ ფუნქციების შემსრულებლის უდავო დასტურია. ფინიკიური ასო-ნიშნების აღწერილ სემურ-ქართველურ მეტამორფოზას ქართული ასომთავრული ანბანის ღვთაება ნიშნები „დირიჟორობენ“. სემურ-ქართველური წყვილების ათასწლეულობით დაშორებული ერთობის გასაოცარ „აღდგომას“, რომელსაც „ანბანური სასწაული“ შეიძლება ვუნოდოთ, ღვთაებრივი ღანის ჭიშკარში ოქროს ტახტზე დაბრძანებული უხილავი დიდი ღმერთი თავისი გასაიდუმლოებული ფინიკიური ანბანურ-ღვთაებრივი თვალით უმზერს.

ყოველსმხილველი თვალის ფუნქციას სემიტური ასო მარტო არ ასრულებს. ქართულ ასომთავრულს თავისი საკუთარი ღვთაებრივი თვალიც გააჩნია; ეს არის ასო-ნიშანი „თანი“, რომელსაც, გრაფიკული მსგავსების საფუძველზე, ჯგუფში შუმერული თვალის პიქტოგრამა G, ხოლო შინაარსობრივი ასპექტით კი ეგვიპტური თვალის იეროგლიფი  შემოჰყავს. აღნიშნული შემოერთება-ზიარების აქტს მთლიანი შუმერულ-ეგვიპტურ-სემიტურ-ქართველური პიქტოგრაფიულ-ანბანური ოთხება ღვთაებრივ რანგში აჰყავს, სადაც ერთადერთი ღმერთი, ქართველთა უჩინარი და უხილავი ღვთაება, საკუთარი ღვთაებრივი თვალის გარდა, სამი ღვთაებრივი თვალით უმზერს საკუთარი შემოქმედების წარსულს, აწმყოსა და მომავალს(?).

„'ალეფი“ „'აინის“ კვდომისა და აღდგომის გზას გაცილებით უფრო რთულად იმეორებს, ვინაიდან „'ალეფის“ ქართველური ეტიმოლოგია ჩვეული ერთი ეტიმონისგან კი არ შედგება, არამედ ექვსი სიტყვისგან ჩამოქნილი არქეტიპული ჯგუფია, რომელიც ნათელს ჰფენს ფინიკიური სახელის ბგერით ფორმაში კოდირებულ და ჩაკეტილ ისტორიულ, ასტრონომიულ და რელიგიურ ცოდნა-ინფორმაციას. მრავალწევრა არქეტიპის ფენომენი სრულიად ახალი ენობრივი მოვლენაა, რომელიც ქართველური მასალით დამყარებულ უჩვეულო ურთიერთობების არსებობაზე მიგვითითებს. საინტერესოა, რომ მრავალწევრა ეტიმოლოგია მარტივ ენობრივ მოვლენას არ წარმოადგენს. მისი ფუნქცია გაცილებით უფრო დიდია – ჩამოაყალიბოს სპეციალური ენობრივი მექანიზმი, რომლის განსხვავებული ნაწილები ერთ „კალაპოტში“ აგროვებენ განსხვავებული სფეროებიდან მომდინარე ინ-



ფორმაციულ ნაკადს, რათა მათი შერწყმის საფუძველზე აღმენდეს ზეინფორმაციული ბუნების მქონე მრავალშრიანი სისტემა.

ქართველური და სემიტური სიტყვების ჰარმონიული „თანამშრომლობა“ თავს იჩენს სინტაგმატურ დონეზეც, სადაც, ერთი და იმავე ენის ერთეულების მსგავსად, ისინი ისტორიული და კულტუროლოგიური ინფორმაციით დატვირთულ განსხვავებული ტიპის სინტაგმებს ქმნიან. გენეტიკურად დაუკავშირებელი ენების სიტყვების მიერ ამგვარი ენობრივი „ქმედება“, შედარებით ენათმეცნიერებაში, ვარაუდის დონეზეც კი არ გამოთქმულა, რომ არაფერი ვთქვათ მათ გამოკვლევა-შესწავლაზე.

ფინიკიური დედა-ანბანის მრავალჯერადი გრაფიკულ-შინაარსობრივი დამოკიდებულება მის ქართველურ ორეულზე ზუსტი მეცნიერების მეშვეობითაც დასტურდება. მამხილებელი ფაქტების წრე წარმოდგენილია არა მხოლოდ ფუნდამენტური მათემატიკური და გეომეტრიული კანონებით, არამედ გაცილებით უფრო რთული, სამყაროსეული ორგანიზაციის სისტემაში არსებული ფენომენებით. გამოკვლევამ აჩვენა, რომ ქართულ ასომთავრულში ჩადებულია მთელი რიგი ასტრონომიული ფაქტებისა; კერძოდ, მზის ეკლიპტიკაზე მოძრაობა, რომელიც კალენდარული სისტემების გამოთვლის საფუძველთა საფუძველში დევს. აქვეა ორივე ანბანში კოდირებული მთვარის კალენდარიც; მხოლოდ, სემიტური მთვარის კალენდარი დეფექტურია, ნაკლულია. იგი სემიტური ანბანის მხოლოდ 21 ასოს მოიცავს, რომელიც მთვარის თვის არასრული ციკლია. ეს უკანასკნელი კი საკუთარი „დეფექტის“ აღდგენას მხოლოდ ქართულ ასომთავრულ ანბანში ინტეგრირების შედეგად აღწევს, რომელსაც ასო ნიშანი „ანი“ (ცისა და შემდგომ მთვარის ღმერთი) განაგებს.

აღნიშნული „დეფექტი“ სემიტური დედა-ანბანის ერთადერთი ნაკლი არ არის. აქვე უნდა აღინიშნოს სემიტურ ანბანში არასრულად მოცემული მართკუთხა სამკუთხედის თეორემაც, ასო-ნიშანთა სახელდების პრინციპები, და სხვა, რის გამოც, ფინიკიური ანბანი, რომელმაც კაცობრიობა ანბანური განათლების ცივილიზაციას აზიარა, სინამდვილეში, მხოლოდ ქართული ასომთავრული ანბანის ნაწილს წარმოადგენს. ამიტომ, თეორიები, რომელთა მიხედვით ქართული ასომთავრული სხვა ანბანებიდან იღებს სათავეს (ფინიკიური, ბერძნული, არამეული, სომხური და ასე შემდეგ), მოყვანილი ფაქტების პირისპირ ბათილდება. ჩვენი ანალიზი მხარს უმაგრებს ქართული ასომთავრულის არა მხოლოდ თავისთავად, ქართულ წიაღში აღმოცენებას, არამედ ააშკარავებს მის ქრონოლოგიურ უპირატესობას ყველა აქამდე არსებული ანბანისა და დამწერლობის წინაშე. ეს დებულება ბატონმა ზ. ქაფიანიძემ თავის ნაშრომებში შუემრული დამწერლობის მიმართ წამოაყენა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის მათემა-

ტიკური, ასტრონომიული, გეომეტრიული, მსოფლმხედველობრივი და ენობრივი სიზუსტე-ჰარმონია, გენია ქართული ასომთავრული ანბანისა, წარმოჩენილი სხვა ანბანების ასო-ნიშნებთან დაწყვილების შედეგად, ჩვეულ მეთოდოლოგიურ ლოგიკას არ ექვემდებარება. ეს არის მიზეზი, რომელმაც განაპირობა არა მხოლოდ მრავალი ჩვენი მეცნიერის „გულცივი“ დამოკიდებულება საკუთარი ანბანის მიმართ, არამედ მისი სიღიადე შემთხვევითობისა და მოჩვენებითობის სფეროს მიაწერინა. „ლანი“ კი, ჩვენი უხილავი ღმერთი და ამქვეყნიური მზე-დონის უხილავი ასპექტი, სამყაროს შემოქმედი და ღვთიური თვალი, ათასწლეულების მანძილზე ასაიდუმლოებდა შუმერული, ეგვიპტური, სემური, ბერძნული და ქართული ანბანების ერთებას; ასტრონომიული, მათემატიკური, გეომეტრიული და ენობრივი ჰარმონიის შერწყმის საფუძველზე ჰკრავდა და ამთლიანებდა ძველი და ახალი სამყაროების სადამწერლობო სისტემებს.

#### 14. ზამიანის ხელწერილი

...გული საგულეში ველარ მეტეოდა, სუნთქვა ამიჩქარდა, ველარ ვითმენდი დანარჩენი ფურცლების ნახვას; შეგნება იმისა, რომ უცნობისა და მუზეუმის თანამშრომლების შეხვედრა ნებისმიერ წუთს შეიძლებოდა დასრულებულიყო, სურვილს მიათქეცებდა. გავბედე და ვთხოვე, თუ შეიძლება გადავშლი ფურცელს-მეთქი. უცნობმა თანხმობა მითხრა, გადავშალე და, ჰოი, საოცრებაჰ! პერგამენტის პანანინა ფურცლის ზედა მარჯვენა კუთხეში სათუთად მიმაგრებული იდენტური ქვის ბეჭედი იჯდა. თუ სტილი და ნახატის ხელწერა შენარჩენებული იყო, უშუალოდ გამოსახულებაზე იმავეს თქმა არ შეიძლებოდა. ბეჭდის მთლიანი სივრცე ორი მამაკაცის გამოსახულებას ეკავა. მარჯვნივ ალბეჭდილი მამაკაცი გვირგვინს ატარებდა, მეორე კი თავლია იყო. მათ თავს ზემოდან უხილავი ღმერთის ხილული ხატის, ქართული ასომთავრული უყელო „დონის“ შებრუნებული გამოსახულება „ეშმაკურად“ მილიმოდა! (ფოტო 7, გვ. 521).

უკვე მესმის სკეპტიკოსთა ხმა: „ეს დამთხვევაა და მეტი არაფერი“, „გეჩვენებათ, ქალბატონო“, „კი მაგრამ, გეოგრაფიულ სიშორეს როგორ ხსნით?“ „ასომთავრულ „დონს“ ზღვრული ხაზი ზემოდან მოუდის, ამ გამოსახულებას კი ქვემოდან,“ „რის საფუძველზე საზღვრავთ „დონის“ ინვერსიულ ფორმას?“ „ეს „ლანს“ უფრო ნააგავს, ვიდრე „დონს“; პირი გახსნილი აქვს. „დონი“ კი შეკრული წრეა“, „ასომთავრულ „დონს“ ყელი აქვს, ამას კი არა,“ „თავი დაანებეთ ამ სისულელებს, არაფერს კარგს არ მოგიტანთ და დროსაც ტყუილად დაკარგავთ,“ ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

მართალი მოგახსენოთ, ერთი შეხედვით, ამგვარი შეკითხვები გამართლებული ჩანს, ვინაიდან გამოსახულებანი ისე ოსტატურად არის შესრულებული ბეჭდებზე, რომ არა თუ მათი, არამედ თვით ბეჭდების ზუსტი განლაგების განსაზღვრაც კი გვერდებზე არც თუ ისე იოლი საქმე აღმოჩნდა.<sup>32</sup> მიუხედავად ამისა, ნიგნაკს ქართულ ასომთავრულში მაინც შევყავართ, ვინაიდან მისი მობრუნებული ფორმით წარმოდგენის შემთხვევაში „ლანის“ ინვერსიული ფორმის შესწავლა ხდება საჭირო. ამიტომ, შესანიშნავად მესმის ჩემი მონინალმდეგეებისა, რომლებსაც მხოლოდ მეცნიერული ტრადიციონალიზმის მარნუხებიდან განთავისუფლების შემთხვევაში ეძლევათ ობიექტურად არსებული, თუნდაც მათთვის მიუღებელი, ინფორმაციის სრულიად განსხვავებული რაკურსით განსჯის შესაძლებლობა. მაგრამ ამაზე აქ საუბარი არ ღირს. სჯობს ფაქტები და მათი ანალიზი წარმოვადგინო, განსჯით კი ყველამ თვითონ განსაჯოს და დასკვნაც საკუთარი გამოიტანოს.

---

<sup>32</sup> მიზეზები, რომლებმაც ნიგნაკის ფურცლების ფოტოების წარმოდგენილი სახით შემოთავაზება გადამანყვეტინა, ხელნაწერის ანალიზისადმი მიძღვნილ მეორე ტომშია განხილული.

## ნანი III

ქართული ასომთავრული, ფინიკიური და  
ბერძნული ანბანების ურთიერთობების  
გადასინჯვა



# 1. ქართული ასომთავრული დონის ანალიზი

უპირველესად ქვის ბეჭედზე წარმოდგენილი ასო-ნიშნის გამოსახულება აღვწეროთ. მისმა დეტალურმა შესწავლამ შემდეგი თავისებურებები გამოავლინა:

ასო ნიშანი აერთიანებს ორი ქართული ასომთავრული ასოს, კერძოდ, „დონისა“ და „ლანის“ თვისებებს. „ლანისგან“ მას აღებული აქვს ნახევარწრის მონახაზი,<sup>1</sup> ხოლო „დონისგან“ ჰორიზონტალური ხაზი, რომელიც ქვევიდან საზღვრავს ნიშანს და მთლიან გამოსახულებას ინვერსიული „დონის“ სახეს აძლევს. აღნიშნული თვისებების სიმბიოზს ერთი ასო-ნიშნის, კერძოდ „დონის“ გრაფიკული მონახაზის შესწავლას, დამწერლობითი ცივილიზაციის სანყისებთან, კერძოდ, შუმერულ პიქტოგრაფიულ და ეგვიპტურ იროგლიფურ დამწერლობაში გადავყავართ (შდრ.: ქართული ასომთავრული „წარის“ ანალიზი) – თემაზე, რომელიც თავისი მოცულობის გამო, ნაშრომში ნაწილობრივ არის წარმოდგენილი, მაგრამ მუშავდება და მკითხველი მას მიიღებს სახელწოდებით – „რას გვიმალავს ქართული ასომთავრული დონი“.<sup>2</sup> აქ კი განვიხილოთ ქართული ასომთავრული „დონის“ ტრადიციული გრაფიკული მონახაზი და ვნახოთ, თუ რამდენად გამართლებულია ბამიანის ხელნაწერის ქვა-ბეჭედებზე გამოსახული ნიშნის („დონის“) ინვერსიულ ფორმად განხილვა.

უპირველესად, ასო-ნიშნის გრაფიკულ მოხაზულობაზე შევჩერდეთ. ქართული ასომთავრული „დონი“ სამი ძირითადი ნაწილისგან შედგება: ტანი, ყელი და მცირე ჰორიზონტალური ხაზი.

„ქართული ასომთავრული 'დონ'-ის ტანი ჩვეულებრივ წრეს წარმოადგენს, რომელსაც ზემოდან პატარა ასწვრივი ხაზიანი ყელი და გარდიგარდმო სწორე ხაზი სარქველივით ზედ დარჭმული აქვს... წრის სახის გარდა კუთხოვანი მოყვანილობის 'დონიც' მოგვეპოვება. მაგ., ასეთი 'დონი' ჩვენ გვხვდება XIV საუკ. შაჰმადინის ანისის ქართულ წარწერაში. ხოლო ს. ხოვლეს თევდორეს ეკლესიის კედლის წარწერაში ტანი ამ ასოს ოთხკუთხედისა ც კი აქვს“ (ჯავახიშვილი 1949:207-08):

○	⊖	⊕
1	2	3

ნახ. 11. ქართული ასომთავრული დონის გრაფიკული ფორმები:

1) წრიული, 2) რომბული, 3) კვადრატული (ჯავახიშვილი 1949:207-08).

<sup>1</sup> „დონსაც“ გააჩნია თაღოვანი ფორმა, მაგრამ მისი განხილვა აქ ძლიერ შორს წავიყვანს.

<sup>2</sup> ქართულ ასომთავრულ „დონთან“ დაკავშირებული შუმერული არქაული პიქტოგრამის განხილვა, სათაურით: „ქართველური – გზა პრეისტორიისკენ, ანუ შუმერული პუკუსა და მიკუს ლინგვისტურ-კულტუროლოგიური ანალიზი“, უახლოეს მომავალში გამოქვეყნდება.

რ. პატარიძის აზრით, „გრაფიკულად, ქართული 'დონი' ფინიკიური გრაფემისგან არის გამოყვანილი. რადგან ქართულ ანბანში დიაგონალური გრაფიკა არ არის და მრგვლოვანი გრაფიკული პრინციპია განხორციელებული, ამიტომ, ცხადია, 'დალეთ' ასო-ნიშნის დიაგონალური შეკრული გრაფემა ქართულ ასომთავრულში წრიულ გრაფემად უნდა ქცეულიყო... ქართული ასომთავრული 'დონ'-ი ფაქტიურად წრეზე დასმული ჯვარია და ზესკნელური მზის გრაფიკული ნიშანი“ (პატარიძე 1980:184-85).

„ყელი ამ ასოს, რაც უფრო ძველია ძველი, რომელშიაც იგი გვხვდება, უფრო და უფრო უმოკლდება, ისე რომ პალესტინის პაპირუსის IX საუკ. ზატიკში, ჰადიმის IX საუკ. სახარებაში და XI საუკ. ბოლნისის სიონის წარწერაში ყელი ძლივს ან სრულებით არ მოჩანს. თანდათან ეს ხაზი გრძელდებოდა... თავდაპირველად 'დონ'-ის ყელი მერმინდელივით გრძელი არ ყოფილა, პირიქით, ხაზი ძალიან მოკლე ჩანს. გარდიგარდმო ხაზიც 'დონისათვის' ქართულის განსაკუთრებული თვისება არ ყოფილა. საბაელთა ანბანში 'დონს' სწორედ სამკუთხედის ერთ-ერთი თხემის გასწვრივი ხაზი ჰქონდა გავლებული“ (ჯავახიშვილი 1949:207-08; ხაზგასმა ჩვენია - ა. მ.; სურ. 18).



სურ. 18

მეცნიერი დაასკვნის: „მაშასადამე, ქართული 'დონი' ბერძნულს მხოლოდ ტანის ასწერივი მდებარეობით მიაგავს, ფინიკიურს იმით, რომ ტანს ყელი აქვს, ხოლო საბაურს გარდიგარდმო ხაზით. ის არსებითი განსხვავება, რომელიც, მსგავსებასთან ერთად, ჩვენს 'დონს' ზემოდდასახელებულ ანბანებთან შედარებით ემჩნევა, ცხადყოფს, რომ ქართული 'დონი' არც ერთი მათგანის უშუალო განვითარება არ უნდა იყოს, არამედ მათთან ერთად [მას] საერთო წინაპარი უნდა ჰყავდეს“ (იქვე, 208-09).

არსებობს განსხვავებული აზრიც: „დალეთ' ასო-ნიშნის ირიბი წარზიდული ხაზი, ქართულ ასო-ნიშანში 'დონის' ვერტიკალურ ხაზად იქცა. ამ ხაზს 'დონის' ყელი ჰქვია“ (პატარიძე 1980:182):

	1	2	3	4	5	6
ა.ო.ს	◁	△	◁	⊖	△	4

ნახ. 12. ქართული ასომთავრული „დონის“ წარმოშობის ცხრილი რ. პატარიძის მიხედვით (პატარიძე 1980:182).

ქართული ასომთავრული ანბანის ერთ-ერთი მკვლევრის, ე. მაჭავარიანის აზრით, ქართული ასომთავრული ანბანის აგების სტრუქტურა უძველეს ქართულ სახუროთმოძღვრებო ტრადიციებთან არის დაკავშირებული და, მაშასადამე, „დონიც“ უშუალოდ ქართული კულტურული წიაღიდან არის აღმოცენებული (მაჭავარიანი 1982:98).

ზ. ქაფიანიძე ქართულ ასომთავრულს შუმერული ცივილიზაციის ანბანად მიიჩნევს (ქაფიანიძე, მიბჭუანი 2002) და მისი შექმნის თარიღად ასახელებს 5604 წელს – ქართული დასაბამითგანის საწყის თარიღს.

მაშასადამე:

1. ქართულ ასომთავრულ „დონს“ ორი ძირითადი მოხაზულობა აქვს: მრგვლოვანი და კუთხოვანი; ეს უკანასკნელი კვლავ ორ ქვეჯგუფად იყოფა: ოთხკუთხედურად და რომბულად;
2. „დონის“ ყელი მოგვიანო განვითარებაა და ამიტომ შეიძლება საუბარი მისი ორი სახის (ყელიანისა და უყელოს) მოდიფიკაციაზე;
3. „დონის“ წარმომავლობა, საბოლოოდ, ჯერ კიდევ გადანყვეტილად ვერ ჩაითვლება.

ვცადოთ, ანბანურ, მათემატიკურ, გეომეტრიულ, ასტრონომიულ, რელიგიურ მსოფლმხედველობათა, ენობრივ და კულტურის სხვა მონაცემთა გათვალისწინებით, „დონის“ გრაფიკული ნახაზის მრავალფეროვნების მიზეზების ახსნა, ვინაიდან, თუ ისინი არსებობდნენ კიდევ, დღესდღეობით, ჩვენს ხელთ არსებულ მასალაში არ ჩანს.

უპირველესად, განსხვავებული მრგვლოვანი და კუთხოვანი გამოსახულებების შესახებ: ამ საკითხის სწორად გადაჭრისთვის ერთ-ერთი მთავარი პირობა ანბანთა განვითარების ძირითადი ეტაპების გახსენებაა. გრაფიკული გამოსახვის თვალსაზრისით, მათმა ძირითადმა ნაწილმა ორი ეტაპი განვლო: კუთხოვანი და მრგვლოვანი. კუთხოვანი დამწერლობა გააჩნდათ, მაგალითად, ბერძნებს, ებრაელებს, არაბებს და ა. შ. კუთხოვანი დამწერლობა მრგვლოვანის წინამორბედი და, ძირითადად, საწერი მასალის ცვლასთან არის დაკავშირებული. აქედან გამომდინარე, ანბანების კუთხოვანი მოხაზულობიდან მრგვლოვანზე გადასვლა აუცილებლად გულისხმობს საკმაოდ ხანგრძლივ დროით ფაქტორს.

ქართველური დამწერლობის ტრადიცია ეწინააღმდეგება პალეოგრაფიის განვითარების ზოგად ტენდენციას, ვინაიდან მრგვლოვანი „დონის“ შემცველი ხელნაწერები კუთხოვანი „დონის“ გამოჩენას 1000 წელზე მეტით უსწრებს. ამიტომ, პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვებს:

*რატომ არ ჩანს დონის კუთხოვანი ან ოთხკუთხედოვანი ვარიანტები ქართველური ენის დამწერლობის გარეყრაჟზე, როგორც ეს სხვა ანბანებში მოხდა?*

*რით შეიძლება აიხსნას ამ ასო-ნიშნის განსხვავებული მოხაზულობის ვარიანტებს შორის არსებული ასეთი არალოგიკური ურთიერთობა?*

*რატომ მოხდა კუთხოვანი ფორმების შემოტანა? განა ერთი,*



„დონისა“ მრგვლოვანი სახება ვერ შეასრულებდა მასზე „დაკისრებულ მოვალეობას“?

მოვიყვანოთ რამდენიმე მკვლევრის აზრი ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ: „ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობის ნიშანთა გრაფიკა უფრო ხ ე ლ ო ვ ნ უ რ ა დ შ ე ქ მ ნ ი ლ ი გრაფემების შთაბეჭდილებას სტოვებს, რომლებიც იწარმოვა სხვადასხვა ტიპის სწორი ხაზებისა და წრეხაზის გრაფიკული კომბინაციით. ამ გზით იქმნება გრაფიკული თვალსაზრისით მეტად ეკონომიური სისტემა გრაფემებისა, რომლებიც ფორმალურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან (resp.: უპირისპირდებიან გრაფიკულ სისტემაში ერთმანეთს) მინიმალური რაოდენობის დამატებითი ხაზების საშუალებით“ (გამყრელიძე 1990:170).

კიდევ: „ქართული ასომთავრული დამწერლობის გრაფიკა არ არის ფინიკიური დამწერლობის ევოლუციის შედეგი, არამედ, იგი შექმნილია ერთ დროს და ერთდროულად“ (პატარიძე 1980:592; ხაზგასმა ჩვენია – ა. მ.).

ქართული ასომთავრული ანბანის გრაფიკული საფუძვლების შესწავლის შედეგად, ანალოგიური დასკვნა გამოაქვს ელენე მაჭავარიანსაც: „სტილისტურად ერთიანი გრაფიკული სისტემის დროს, სადაც ყოველი ასოს გამოყვანას ერთი საერთო წესი აქვს (ყველა ასოს რომ თავისი ადგილი ეძებნება საერთო გრაფიკულ სისტემაში), ნიშნავს იმას, რომ ეს სისტემა დამოუკიდებლად შექმნილი. აქ თავისთავად გამორიცხულია სხვა ანბანთა ასო-ნიშნების საფუძველზე როგორც თანდათანობითი გარდაქმნის, ასევე ერთდროულად შექმნის პროცესიც. ასო-მოხაზულობათა რთული ვარიაციული სისტემა სწორედ ამ გარემოებას გვიდასტურებს. რაც უფრო ერთიანია გრაფიკული სისტემა, მხატვრული სტილისა და ასოთა წარმოების მხრივ, მით უფრო შეუძლებელია, რომელიმე ასოს გრაფიკული საწყისის ძიება სხვა ანბანის მიხედვით. ეს ორი, ურთიერთგამომრიცხავი მომენტია. აღნიშნული გარემოება კიდევ უფრო ცხადი ხდება ქართული ასომთავრულის სხვა ანბანებთან (როგორც გრაფიკულ სისტემათა, ასევე ცალკეულ ასო-მოხაზულობათა) ურთიერთშეჯერების დროს“ (მაჭავარიანი 1982:28; ხაზგასმა ჩვენია – ა. მ.).

დასკვნა, რომელიც ზემოთ მოყვანილი მასალიდან გამომდინარეობს, ერთია – ქართული ასომთავრული „დონის“ გრაფიკული გამოსახულებანი განვითარების შედეგად ვერ ჩაითვლება. ესაა ფაქტი, რომელსაც ადასტურებს მეცნიერთა გამოკვლევების შედეგად მიღებული დასკვნები და დამწერლობის განვითარების ზოგადი ტენდენციები. იმასვე აჩვენებს ანბანური შემოქმედების საფუძველში არსებული ვითარებაც: ქართული ასომთავრული ანბანი ერთდროული და მიზანმიმართული (ხელოვნური) შემოქმედების ნაყოფია და

რასაკვირველია, ეს ეხება „დონსაც“. მეტიც, ნათელი ხდება, რომ ქართული ასომთავრული ანბანის შემქმნელებმა „დონის“ სამივე ვარიანტი ერთდროულად, ანბანის შექმნისას ჩამოაყალიბეს. ასეთი ვითარება იმთავითვე გამორიცხავს არსებული ფორმების უფუნქციობას, მაგრამ ფუნქციასაც რომ ვერ ვხედავთ? როგორ მოვიქცეთ? უგულებელვყოთ არსებული ფაქტები, თუ ვცადოთ მათი ახსნა? ქართული ასომთავრული ხომ წარმართული ეპოქის ძეგლია (ი. ჯავახიშვილი, რ. პატარიძე, ე. მაჭავარიანი, ზ. ქაფიანიძე) და, წარსულის მრავალი აუხსნელი ფაქტის მსგავსად, იქნებ „დონის“ ფორმათა მრავალგვარობაც ახსნას ელოდება? მოდით, არსებული ფაქტები შემთხვევითობას და უაზრობას კი არ მივანეროთ, არამედ ვცადოთ მათი გამოკვლევა და მათ უკან მდგომი მიზეზების მოძიება.

ვინაიდან, „დონის“ ამომწურავ შესწავლას სქელტანიანი მონოგრაფიის ჩარჩოებიც კი ვერ დაიტევს, ქვემოთ მხოლოდ მის რამდენიმე ასპექტს შევხებით.

*რატომ შექმნეს ქართული ასომთავრული ანბანის ავტორებმა დონის რამდენიმე გრაფიკული მონახაზი?*

*რის გადმოცემას ლამობდნენ ასო-ნიშნის გრაფიკული მოხაზულობის მრავალფეროვნებით?*

პროფ. რ. პატარიძეს უდიდესი წვლილი მიუძღვის ქართული ასომთავრულის, და, კერძოდ, „დონის“, საიდუმლოების ამოხსნაში: „რიცხვში ცხადდება არსის საიდუმლო“ (პატარიძე 1980:242). „დონი“, როგორც ცნობილია, ანბანში მეოთხე ადგილზე დგას. „რიცხვი 4 პითაგორულ მოძღვრებაში ერთ-ერთი წმინდა რიცხვია. მასში სრულყოფილი პითაგორული რიცხვის – 10-ის (დეკადის) საიდუმლოა დამარხული, რადგან  $1+2+3+4=10$ . პითაგორელთა გაგებით, ოთხი პირველი კვადრატული რიცხვია და მეტაფიზიკური კვადრატია რიცხვისა, საერთოდ. ამიტომ ოთხი არის პირველი დადებითი მდედრი რიცხვი. ოთხკუთხედს, როგორც ოთხის გამობატულებას, პითაგორელები დიდ დედა ღმერთებს აკუთვნებდნენ. კერძოდ, – ქალღმერთ რეას, დემეტრას, აფროდიტეს, ჰერას, ჰესტიას... ასტროლოგიურად ანბანის მე-4 ასო-ნიშანი მე-4 ცას, მზის ცას განეკუთვნებოდა. ქართული „დონი“ მზის ზესკნელური ნიშანია და მე-4 ცაზე ზის. მისი რიცხვი არის ოთხი, ამიტომ ქართული ანბანის მზის ღვთაება მდედრი ღვთაება უნდა იყოს. ქართულ ანბანში მთვარე მამრი ღვთაებაა, ხოლო მზე მდედრი ღვთაება“ (იქვე, 184).<sup>3</sup>

<sup>3</sup> მზისა და მთვარის ანალოგიური გაგება ქართულ ხალხურ შემოქმედებაშიც აისახა. შდრ.: „მზე დედაა ჩემი, მთვარე – მამა ჩემი...“, „მზე დანვა და მთვარე შობა, იავ, ნანინაო“ და სხვა.

ზემოთ მოყვანილი ქართული ასომთავრულის მახასიათებლებიდან ერთადერთი ლოგიკური დასკვნა გამომდინარეობს: რამაზ პატარაძის მიერ დეკოდირებული ინფორმაცია ეზოთერული ცოდნაა, ცოდნა, რომელიც ქართული ასომთავრული ანბანის ერთდროული და მიზანმიმართული შექმნის დროს ჩაიდო მის სისტემაში და რომლის გადმოცემასაც ლამობდნენ მისი შემქმნელები, თუმცა გვაქვს ერთი პატარა ნინაალმდევგობა: მოცემული ეზოთერული ცოდნა ამოხსნილია „დონის“ მრგვლოვანი მონახაზის საფუძველზე, რომელიც ავტორის რწმენით, ფინიკურ სამკუთხედ „დალეთ“ ასო-ნიშანზე დაყრდნობით შეიქმნა. ამიტომ დეკოდირებული ინფორმაცია წარმოადგენს „დონის“ გრაფიკაში ჩადებული მთლიანი ცოდნის ერთ მხარეს, კუთხოვანი და ოთხკუთხედი დონის მონახაზის ამოხსნა კი კვლავ საიდუმლოებად რჩება.

„პითაგორულ მოძღვრებაში რიცხვი გაიგივებული იყო გეომეტრიულ სხეულთან. ამიტომ რიცხვს შეესაბამება გეომეტრიული სხეული და, პირიქით, გეომეტრიულ სხეულს – რიცხვი. რიცხვი 'ერთი' პითაგორული გაგებით არის სანყისი საერთოდ რიცხვისა, მაგრამ მასში ჯერ კიდევ გამოვლენილი არ არის ერთება. პითაგორული თვალსაზრისით, წერტილი არის სივრცული 'ერთი' და ამიტომ მას ჯერ განზომილება არა აქვს; გეომეტრიული სწორი ხაზი სივრცული 'ორია', იგი უსასრულოა, არც სანყისი აქვს და არც დასასრული, ამიტომ ორი უარყოფითი რიცხვია. რაც შეეხება 'სამს', იგი პირველი გეომეტრიული სხეულია, პირველი გეომეტრიული სიბრტყეა; 'სამი,' 'სამება' – სამკუთხედი" (იქვე, 242).

ციტირებული პითაგორული აზრის გაგრძელება არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს: რიცხვის 4 გეომეტრიული სიბრტყე კვადრატია, ოთხკუთხედი. შესაბამისად, დონის კვადრატული და რომბული ფორმები მის მრგვლოვან გეომეტრიულ ფორმასა და მის რიცხვით მნიშვნელობას შორის გადებული ხიდია, კოდია, რომელიც მრგვლოვან „დონში“ დამალული ცოდნის მთლიანი სისტემის გაშიფრას ემსახურება. კიდევ მეტი, „დონში“ ჩამალული კვადრატული ფორმა მისი და, საერთოდ, ქართული ასომთავრული ანბანის გრაფიკული მონახაზის საფუძველთა საფუძველია, რადგანაც ანბანის მთლიანი სისტემის გრაფიკული სტრუქტურა 9 ძირითადი ელემენტის პროპორციული ურთიერთდამოკიდებულების შედეგად შექმნილი „კვადრატის პრინციპს ექვემდებარება“ (მაჭავარიანი 1982:14).<sup>4</sup>

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, რ. პატარაძის აზრით, ქართული ასომთავრული ანბანის აგების გრაფიკულ-გეომეტრიული რაობა

<sup>4</sup> ქართული ასომთავრულის გრაფიკულ საფუძველად კვადრატის პრინციპს სხვა მეცნიერებაც მიიჩნევენ: ჩხენკელი 1977:67-81; 1981:67-75; გამყრელიძე 1990:159.

წრეა,<sup>5</sup> რაც არანაირად არ ეწინააღმდეგება პალეოგრაფიულ სისტემაში მოცემული გეომეტრიული პრინციპების ერთიანობას! პირიქით, ნათელს ჰფენს და ადასტურებს „დონის“ კვადრატული და წრიული ფორმების თანაარსებობის ფაქტს.

ამგვარად, ქართული ასომთავრული „დონის“ რიცხვითი მნიშვნელობა მხოლოდ ასტრალური (მეოთხე ცა), მათემატიკური (დეკადის საიდუმლო) და რელიგიური (მდებრი ღვთაებანი) მოსაზრებებით კი არ არის ნაკარნახევი, არამედ მასში დაფარულადაა გადმოცემული ინფორმაცია თვით ანბანის აგების ერთ-ერთ კარდინალურ პრინციპზე – კვადრატზე, რომლის მათემატიკური ხორცშესხმის პირველ, ანუ უძირითადეს ნიშანში („დონი“), – ჰარმონიულად არის შერწყმული მისი შესატყვისი გეომეტრიული ფორმაც: დონის ოთხკუთხედი მოხაზულობა. შესაბამისად, „დონი“ განასახიერებს არა მხოლოდ წრის ჰარმონიულ ფუნდამენტურ გეომეტრიულ პრინციპს, არამედ ტოლფასი ღირებულების მქონე კვადრატის ჰარმონიულ, გეომეტრიულ პრინციპსაც. ორი შეუთავსებადი გეომეტრიული სიბრტყის – „დონის“ მრგვლოვანი და კვადრატული ფორმების გასაოცარი ჰარმონია ეწინააღმდეგება ტრადიციულ ცოდნას, მაგრამ სრულ შესაბამისობაშია უძველეს ცოდნასთან. კერძოდ, ამკარა ხდება, რომ ანბანის შემქმნელები ფლობდნენ კოლოსალური მასშტაბების განათლებას. მათთვის ცნობილი იყო პითაგორული 10 სფეროს თეორიის მოდელიც, რომელიც, წრის გარდა, ზოგჯერ კვადრატით, ანუ ოთხკუთხედითაც იყო წარმოდგენილი.


დავასკვნით: ქართული ასომთავრული „დონის“ წრისა და კვადრატის – ამ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო გეომეტრიული სიბრტყის ერთობა ხსნის არა მარტო „დონის“ ანბანური რიგის გეომეტრიულ არსს, არამედ აამკარავებს მთლიანი ანბანის ასო-ნიშანთა აგების ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპსაც.

წარმოდგენილი ანალიზი ქართული ასომთავრული „დონის“ კიდევ ერთ საიდუმლოს ხდის ფარდას; კერძოდ, განსხვავებულ გრაფიკულ მონახაზთა ერთდროულობა ადასტურებს პითაგორული მოძღვრების პოსტულატებისა და მთელი კულტურული სამყაროს მიერ დაგროვილი ცოდნის სისტემის ისეთ სინთეზურ-სრულყოფილ ფლობას, რომელიც ქართული ანბანის შემქმნელებს ამ სისტემის ნებისმიერი კომპონენტის კოდური ფუნქციით (მათემატიკური, ასტრონომიული, გეომეტრიული, რელიგიური) კომბინირების შესაძლებლობას აძლევდა. აღნიშნული ცოდნის კოდოფიკაცია „დონის“ ღიად დაფიქსირებული გრაფიკის მრავალფეროვნებაში არაორაზროვნად მიუთით-

<sup>5</sup> სპეციალურ ლიტერატურაში ქართული ასომთავრული ანბანის კიდევ ერთ პრინციპზეა მსჯელობა; კერძოდ, ნესიერი ხუთკუთხედის, ანუ პენტაგრამის შესახებ (პატარიძე 1980:490-91), რომელსაც წინამდებარე ნაშრომში არ ვეხებით.


თებს „დონის“ უნარზე, იოლად მიიერთოს არა მხოლოდ ნებისმიერი სახის გეომეტრიული ფორმა – მრგვლოვანი, ელიფსური („ლანთან“ იგივეობა) და კუთხოვანი, არამედ მათი კომბინაციებიც.

ნათქვამის გადამონმება ძალიან იოლია, რადგან, „ლანის“ არქიტექტურული გამოსახულებების მსგავსად, ქართული ხუროთმოძღვრების ყოველი დეკორატიული ელემენტი „დონის“ ქვაში ჩანერილი ეზოთერული ცოდნაა. უკვე წარმოდგენილი ილუსტრაციების გვერდით, დამატებითი დამადასტურებელი მასალის სახით, წარმოგიდგინთ საფარის მონასტრის ჩრდილოეთ პორტალსა (სურ. 19) და ბანას ეკლესიის ფრაგმენტს (სურ. 20); პირველში სწორკუთხად შემოვლებულ საპირესა და ლილვებში „ლანისა“ და „დონის“ აღნიშნული ეზოთერული ცოდნის სისტემა საოცარი სიმარტივით იკითხება: „ლანის“ ნახევაროვანი და „დონის“ ოთხკუთხედი, ერთმანეთის ტოლფასი გე-



სურ. 19. საფარის ტაძრის ჩრდილოეთის პორტალი „ლანისა“ და „დონის“ ანბანური გრაფიკისა და არქიტექტურული ფორმების ტოლობით (ზაქარაია 1981, ილ. 21).

სურ. 20. ბანა, საერთო ხედი (Беридзе 1981, ილ. 16).



ომეტრიული ფორმები და ერთი და იმავე ასტრონომიული მოვლენის განსხვავებული გრაფიკული წარმოდგენაა. ეს ის ასტრონომიული მოვლენაა, რომლის ზუსტი ხატი ბანას ეკლესიის ნანგრევებმა დღემდე შემოგვინახეს მოკლედ რომ ვთქვათ, ეკლიპტიკის ანბანური ინკარნაცია წრიულიც არის და კუთხოვანიც.

არც ის უნდა დაგვაინწყდეს, რომ უჩინარი ერთი დიდი ღმერთის („ლანის“), ანუ ეკლიპტიკის ხატოვანი ასახვა არქიტექტურაში, ღვთის სახლში „ლან-თალიანი“ შესასვლელით (მისი როგორც პირდაპირი, ისევე გადატანითი მნიშვნელობით) არის წარმოდგენილი, მაგრამ, ვინაიდან „ლანი“ და „დონი“ ერთი და იგივეა, „ღვთის კარის“ არქიტექტურული სახე, ანუ ნახევარწრე/ნახევაროვალი, „დონის“ ანბანური გრაფიკის მრავალფეროვნების განუყოფელი ნაწილია. მაშასადამე, „დონის“ ეგზოთერულად და ეზოთერულად გამოხატული ფორმები მოიცავს: ა) წრეს, ბ) კუთხოვან ფორმას, გ) კვადრატს, დ) სამკუთხედს, ე) ნახევარწრე/ნახევაროვალს, ვ) წერტილს და აგრეთვე, მათ ყველა შესაძლო კომბინაციას.

როგორც ვხედავთ, ქართული ასომთავრული „დონი“ წარმოადგენს მრავალპლანიან სისტემას, რომლის სრული ინფორმაციული სურათი ყალიბდება მისი გრაფიკული მონახაზის, სახელის, ანბანური რიგისა და მათემატიკური მნიშვნელობის როგორც ღია, ისე დაფარული კოდირებული ცოდნის ჯამისგან. მისი ფარგლების დაახლოებითი შემოსაზღვრაც კი უდიდეს სირთულეებთან არის დაკავშირებული, ვინაიდან, როგორც კვლევამ აჩვენა, რაკი იგი ეყრდნობა ქართველურ ენობრივ და კულტუროლოგიურ (ეთნოლოგიურ, ზეპირსიტყვიერ და ა.შ.) მონაცემებს, მიიერთებს უძველესი ცივილიზაციების მათემატიკურ, ასტრონომიულ-ასტროლოგიურ, რელიგიურ-მსოფლმხედველობრივ და სადამწერლობო სისტემებს.

ამ კუთხით, განსაკუთრებით საინტერესოა ქართულ ასომთავრულ „დონში“ დაუნჯებული საიდუმლო ცოდნის – ანბანური კავშირების – კვლევა დამწერლობის განსხვავებულ სისტემებთან და, უპირველეს ყოვლისა, დედა-ფინიკიურ და ბერძნულ ანბანებთან მიმართებაში. ამგვარი მიდგომა მით უფრო გამართლებულია, რომ სხვადასხვა დროს, მეცნიერთა უდიდესი ნაწილი ქართული ანბანის წარმოშობის ყველაზე რეალურ წყაროდ სწორედ ამ ორ ანბანს თვლიდა. ერთხელ კიდევ განვიხილოთ ქართული „დონი“, ფინიკიური „დალეთ“ და ბერძნული „დელტა“ მათი რიცხობრივი მახასიათებლების გათვალისწინებით. გავიხსენოთ პროცედურა, რომელიც „დონის“ მიმართ წინმსწრებ ანალიზში იქნა გამოყენებული.

## 2. ფინიკიური დალეითისა და ბერძნული დელტას რიცხობრივი ანბანი

„დონი“, „დალეთ“ და „დელტა“ ანბანთრიგში მე-4 ადგილზე დგანან და ერთი და იგივე რიცხობრივი მნიშვნელობა გააჩნიათ. მათი განმასხვავებელი ნიშანი – გეომეტრიული მონახაზია. „დალეთსა“ და „დელტას“ იდენტური, სამკუთხა მონახაზი აქვთ. აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ ფინიკიური და ბერძნული ასო-ნიშნები მეოთხე ადგილზე სხედან და პითაგორული მოძღვრების თანახმად, კვადრატს უნდა წარმოადგენდნენ, მათი გრაფიკული გამოსახულება სამკუთხედია და რიცხობრივი მნიშვნელობა უნდა შეესაბამებოდეს სამს. თუ ქართული „დონის“ გრაფიკული მრავალფეროვნების ერთ-ერთი სახე – კვადრატი აწესრიგებს მისი რიცხობრივი და გრაფიკული გამოსახვის პარამონიას, ფინიკიურსა და ბერძნულ ანბანებში ასო-ნიშნის ერთადერთი გრაფიკული გამოსახულებისა და მისი ანბანური რიგის შეუსაბამობა სახეზეა – 3 (სამკუთხედი) არ უდრის 4-ს (ანბანური რიგი). შესაბამისად, რაოდენ საოცრადაც არ უნდა ჟღერდეს, გრაფიკული თვალსაზრისით, სემიტური და ბერძნული „დალეთისა“ და „დელტას“ ანბანთრიგს (4) საკუთარი ანბანის ასოები კი არა, არამედ ქართული ასომთავრული „დონი“ ესადაგება. უფრო მეტიც, ქართულ, სემიტურ და ბერძნულ ასო-ნიშნებს შორის არსებული მსგავსებანი ქართულ „დონს“ საშუალებას აძლევს, იოლად „ჩაჯდეს“ სემიტური და ბერძნული „დალეთისა“ და „დელტას“ გრაფიკულ მონახაზსა და ანბანთრიგს შორის, როგორც მათი გეომეტრიული ფორმისა და მათემატიკური გამოსახულების შემაკავშირებელი რგოლი; ესაა ფუნქცია, რომელიც კუთხოვანმა „დონმა“ უპირველესად საკუთარი ანბანის ფარგლებში შეასრულა და მრგლოვან „დონსა“ და მის მათემატიკურ მნიშვნელობას შორის არსებული გაფერმკრთალებული კავშირი აღადგინა.

ქართული „დონის“ ასეთი „უპრეტენზიო საქციელი“ ფინიკიური, ანუ დედაანბანური, დამწერლობისა და დასავლური სამყაროს ქვაკუთხედის – ბერძნული ანბანის მიმართ ააშკარავებს არა მარტო „დალეთისა“ და „დელტას“ სამკუთხოვანი ფორმების, ანუ მათი გეომეტრიულ-სივრცული მონახაზის შეუსაბამობას მათსავე ანბანურ რიგთან, არამედ ნათელს ჰფენს აღნიშნულ ასო-ნიშანთა ანბანური რიგის (4) მიღმა დავანებული მზე-ღვთაების ეზოთერულ სახეს – კვადრატს, რომელიც ქართული ასომთავრულის საშუალებით „იჭრება“ შესასწავლ ასო-ნიშანთა ჯგუფში.

აღწერილი პროცესი ორმხრივია მიმართული, ვინაიდან ხდება არა მხოლოდ სემიტურ-ბერძნული დალეთ-დელტას გეომეტრიულ ფორმათა გამდიდრება, არამედ ქართული ასომთავრული „დონი-

საც“, რადგანაც მისი გამოხატვის ისედაც დიდ მრავალფეროვნებას (წრე, კვადრატი, რომბი) ამჯერად სამკუთხედის გეომეტრიული სახეც ემატება.

შესაბამისად, ირკვევა, რომ, ტრადიციული პალეოგრაფიული ძიებების შედეგად გამოვლენილი მსგავსებების გარდა, ქართული, სემიტური და ბერძნული ანბანები ერთმანეთთან ეზოთერული, ანუ ფარული ცოდნის საფუძველზეც არიან გაერთიანებულნი, ცოდნისა, რომლის ზენამონევა განხილულ ასოებს შორის არსებული გეომეტრიულ-მათემატიკური შესაბამისობა-შეუსაბამობის ამოხსნის ტოლფასია. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის ფაქტი, რომ ამ კავშირების დანახვა ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, სემიტურ და ბერძნულ ანბანებში არსებული შეუსაბამობის კორექცია, მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ისინი ქართული ასომთავრული „დონის“ გასაიდუმლოებული ინფორმაციის პრიზმაში განიხილება. ეს არის ფაქტი, რომელიც ქართული ასომთავრული ანბანის მაორგანიზებელ ფუნქციას კიდევ ერთხელ ადასტურებს.

გავიხსენოთ, რომ ჩრდილო სემიტური ანბანი 22 ნიშნისგან შედგება. პითაგორული თეორიის თანახმად, 22 იგივე 4-ია, ვინაიდან  $2+2=4$ . შესაბამისად, „დალეითის“ დაფარული ფორმა-კვადრატი, რომელსაც იგი ქართული ასომთავრული „დონის“ მეშვეობით იძენს, ჰარმონიაშია ანბანის ასო-ნიშანთა მთლიანი სისტემის სიმბოლურ ციფრობრივ გამოხატულებასთან, ანუ  $4=4$ . უფრო მეტიც, სემიტური ანბანის გრაფიკა მხოლოდ 5 მრგლოვანი ასო-ნიშნით დაუფარავად მეტყველებს კუთხოვანი (ნაიკითხე: კვადრატული) მონახაზის პრინციპზე, რომელიც ანბანის შექმნისას იყო გამოყენებული. 4 კი, პითაგორიანელთა საკრალური ციფრი, საკრალური ტეტრაქსისი, ყოვლის შემოქმედი და შემძლე რიცხვია; იგია მზელმერთის ციფრი, დიდი დედალვთაებების ციფრი, მე ვიტყვოდი მშობიარე რიცხვი, რადგან  $4:2=2$ . ფინიკიურმა ანბანმა მართლაც „დედობა გაუნია“ უამრავ თანამედროვე ანბანს.

გამოდის, რომ „დონის“ კვადრატული სახე თავის თავში ატარებს არა მხოლოდ ქართული ასომთავრულის, არამედ ფინიკიური „დალეითისა“ და მთლიანი სემიტური ანბანის შექმნის კუთხოვანი, ანუ კვადრატული საფუძვლის (4) საიდუმლოს. აღნიშნული დასკვნა მყის ახალ შეკითხვას წამოჭრის:

*ფინიკიური დალეითი ატარებს ქართული დონის რამე საიდუმლოს?*

ზიარება ორმხრივი პროცესია და თუ ეს ასეა, მაშინ შეცდომა იქნება ვიფიქროთ, რომ მხოლოდ ქართული ასომთავრული „დონი“ ახდენს სემიტურ „დალეითზე“ ზემოქმედებას. „დონის“ ეგზოთერუ-



ლად დაფიქსირებული გრაფიკული მრავალფეროვნება (მრგლოვანი, კვადრატული, კუთხოვანი), რომელიც განსხვავებული გეომეტრიული ფორმების მიერთების პრეცედენტს ქმნის, გზას უხსნის ახალი, „დონის“ ლიად დაფიქსირებული გრაფიკული ფორმებისგან განსხვავებული ნიშნების ატრაქცია-შემოკრებას. ამიტომ, რაოდენ უცნაურადაც უნდა მოგვეჩვენოს, „დონი“ სემიტური ასოსგან იძენს არა მხოლოდ სამკუთხედის განსხვავებულ მონახაზს, არამედ მასთან ერთად, შესაბამის მათემატიკურ რიცხვსაც – 3. სხვაგვარად, დაახლოებით 1000 წლით ერთმანეთისგან დაშორებული ქართული ასომთავრული „დონი“ და სემიტური „დალეთი“ კი არ უპირისპირდებიან, არამედ ავსებენ და სრულყოფენ ერთმანეთის გეომეტრიულ და მათემატიკურ მნიშვნელობებს. ზიარების ეს პროცესი ნათელს ჰყენს ეზოთერული ინფორმაციის განაწილებას ქართულ ასომთავრულ „დონსა“ და ფინიკიურ „დალეთს“ შორის. ქართული ასო-ნიშანი ფინიკიური ნიშნის კვადრატულ მონახაზს ასაიდუმლოებს, მაშინ, როდესაც ფინიკიური ასო „დონის“ სამკუთხოვან ფორმასა და სამის რიცხობრივ მნიშვნელობას მალავს.

წარმოდგენილი ანალიზის საფუძველზე საეჭვო ხდება, რომ ქართულ და სემიტურ ანბანებს შორის არსებული კავშირები გამოვლენილი მათემატიკური და გეომეტრიული ინფორმაციით შემოიფარგლებოდა. შემდგომმა ანალიზმა დაადასტურა ჩვენი ეჭვები და გამოავლინა, რომ დალეთის ხანგრძლივი საიდუმლო, მისი ქართველური წარმოშობის კლიტე და გასაღები, ასო-ნიშნის აკროფონიულ პრინციპში დევს. გთავაზობთ ფინიკიური ასო-ნიშნის სახელის საწყისებისკენ მიმავალ მომაჯადოებელ მოგზაურობას!

### 3. სემიტური დალეთის ლინგვისტური ანალიზი

მეცნიერება აღიარებს, რომ ჩრდილო სემიტური ანბანი დასავლურ (ბერძნულის გზით) და აღმოსავლურ (არამეულის გზით) სამყაროთა ანბანური დამწერლობის მშობელია. წარმოდგენილი ანალიზის ფონზე საეჭვოდ მოჩანს „დალეთის“ მნიშვნელობის (კარი) პირობითი ხასიათი, რადგანაც სემიტურმა ანბანმა წიგნიერების კარი გაუხსნა კაცობრიობას (მდრ.: 'ალეფ < ყალიბი). მართალია, ასო-ნიშნის სახელდებასა და ანბანის მიერ შესრულებულ ისტორიულ მისიას შორის არსებულ ჰარმონიულობას უზარმაზარი ქრონოლოგიური უფესკრული არღვევს, მაგრამ მისი „ამოვსება“ ლინგვისტური ანალიზის საქმეა.

ჩრდილო-სემიტური ანბანის მეოთხე ასო-ნიშნის დასახელების („დალეთ“) ქართულ ენობრივ მასალასთან შედარება ააშკარავებს

მის წარმომავლობას ქართველური ზეპირსიტყვიერების, კერძოდ კი, ამირანის თქმულების ერთ-ერთი ღვთაებრივი პერსონაჟის, ამირანის დედის სახელიდან – დალი.<sup>6</sup> თეთრი კლდის გამოქვაბულში მცხოვრები ოქროსნაწნავებიანი ქალღმერთის სახელი მოქმედებითი ბრუნვის უმნიშვნელო ფონეტიკური დამახინჯებით წარმოგვიდგება, სადაც სახელის ძირის შემადგენლობაში მყოფმა ბრუნვის ნიშნის ბოლოკიდური ი-მ, პირველი ხმოვნის (ა) ზემოქმედების შედეგად, ასიმილაცია განიცადა; ამრიგად, ი > ე (დალ-ით > დალ-ეთ).<sup>7</sup> სახელის მოქმედებითი ბრუნვის ფორმამაც არ უნდა გავგავკვიროს, ვინაიდან, ქართველური საკუთარი სახელი ფინიკიურში საზოგადო სახელად არის გარდაქმნილი. აღნიშნულმა მეტამორფოზამ ქართველური დალის გრამატიკული ბუნება შეცვალა და მოქმედებითი ბრუნვის შინაარსზე გამიზნული სემანტიკა შესძინა. ეს უკანასკნელი კი (მოქ. ბრუნვა), როგორც ცნობილია, გამოსვლითობას, ანუ დასაწყისის გამოსატავს (შანიძე 1953:74) – მნიშვნელობას, რომელიც შესანიშნავად ეხმიანება არა მხოლოდ ფინიკიური ანბანის მიერ შესრულებულ ისტორიულ ფუნქციას, არამედ, რაც უფრო საინტერესოდ მოჩანს, მის წარმომავლობასაც. უფრო მეტიც, ქართველთა ქალღვთაების სახელის აღნიშნული ფორმით დაფიქსირება ააშკარავებს სემიტური ასო-ნიშნის სახელის არქეტიპულ სტრუქტურას Dāleth = Dāl+eth, სადაც Dāl ძირია, ხოლო -eth ქართველური მოქმედებითი ბრუნვის ნიშნის (-ით) მაქსიმალურად მიახლოებული ფორმა. ამიტომ, ფინიკიური ანბანის ასო-ნიშნების, და ამ შემთხვევაში, მეოთხე ასო-ნიშნის („დალეთ“) დასახელების ქართველურ მასალასთან შეპირისპირება არაორაზროვნად მიუთითებს არა მხოლოდ აღნიშნული კონკრეტული სახელის („დალეთ“), არამედ მთლიანი ანბანის ქართველურ წარმომავლობაზე (შდრ.: 'Āleph-ის ანალიზს).

Dāleth-ის მიღებულ სტრუქტურულ ფორმულას (Dāl+eth) დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან, იგი ჩვენ მიერ 'Āl-eph-ჭარ-ებ-ის ანალიზის შედეგად გამოკვეთილი სემიტური სახელის შემადგენელი ელემენტების ('Āl+eph > ჭარ-ებ) იდენტურ ნყობას იმეორებს. თავის მხრივ, ფინიკიური ანბანის ასო-ნიშნითა დასახელებებში ქართველური გრამატიკული მოდელების აღმოჩენა მიუთითებს სიტყვების სესხების თანმდევ ვითარებაზე; კერძოდ, ნათელი ხდება, რომ სე-

<sup>6</sup> ნიგინ უკვე დასაბუთდად იყო გამზადებული, როდესაც „დალის“ სვანური ფორმა დალე შემატყობინეს. ვთავაზობთ ფილ. დოქტორის ქ. მარგინი-სუბარის კომენტარს: „სვანურ სასიმღერო პოეზიაში სწორედ დალე გვაქვს; მაგ.: 'დალე კოჯას ხელღვაჟაღე...' = 'დალი კლდეში მშობიარობს' (სიტყვასიტყვით: 'კლდეში მშობიარება') და -ე სვანური მონაცემებით (ხალხურ სასიმღეროებზე ძველი არაფერი გვაქვს) სახელობითის ნიშნად გაიაზრება: ღვაჟ-არ-ე = კაც-ებ-ი“.

<sup>7</sup> ამირანის დედის სხვა სახელებზე, როგორცაა აფსათ, აბსად და დარეჯანი აქ, არ შევიჩრდებით; იხ. ჩიქოვანი 1947:92-93).

მიტების ცოდნა ქართველური სიტყვების სტრუქტურის შესახებ საერთოდ არ არსებობდა, რადგანაც გრამატიკულად გაფორმებული ერთეულები განუყოფელ მთლიანობებად იქნა მიჩნეული (შედარე ბერძნულ Chalybes).

ამრიგად, ფინიკიური Däleth-ის ლინგვისტურ ანალიზს სინათლეზე გამოაქვს არა მხოლოდ მისი ქართველური წარმომავლობა, არამედ მისი სტრუქტურაც, რომელიც არქეტიპში წარმოდგენილი იყო Däliθ' ანუ ძირი + მოქმედებითი ბრუნვის დაბოლოება.

თუ ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა ისტორიული ჭეშმარიტების ამსახველია და სემიტური Däliθ მართლაც ქართული ზეპირსიტყვიერების ნიალიდან მომდინარეობს, მაშინ ისმის სამართლიანი კითხვა, არსებობს თუ არა გამოვლენილი სემიტურ-ქართველური კავშირების დამატებითი მამხილებელი მასალა? სხვაგვარად:

*მოიძებნება თუ არა ფინიკიურ დედაანბანსა და ქართველურ ამირანის თქმულებას შორის სხვა, დამატებითი კავშირები, რომლებიც მიღებულ დასკვნებს გაუმაგრებდა მხარს?*

დიახ, მოიძებნება! ამ მხრივ, საინტერესო სურათს გვთავაზობს Däleth-'Aleph-ის ანბანური ორგანიზაციისა და ბაბილონურ-ქართველური მითოლოგიური თუ ზეპირსიტყვიერი გადმოცემების შედარებითი ანალიზი.

უპირველეს ყოვლისა, დავადგინოთ ყველა მნიშვნელოვანი „მოქმედი პირი“ და ზეპირსიტყვიერებასა თუ ანბანში დაფიქსირებული მათი მოდელები. დავიწყოთ „ამირანის“ თქმულებით. გავიხსენოთ: ამირანი ქალღმერთ დალის ვაჟია; იგი მამით ჩვეულებრივი მოკვდავია, დედით კი ღვთაებაა. ამრიგად, ამირანი ღმერთკაცია. აღნიშნული ღვთაებრივი და ადამიანური სახეების გარდა, ამირანს მესამე, ზოომორფული სახეც აქვს; ეს სახე „ჭარია“, ვინაიდან დაბადებამდე რამდენიმე თვით ადრე ამირანს დედის ნიალი „ჭარის“ ტყავმა შეუცვალა. შესაბამისად, ამირანის სახეში სამი იპოსტასია გაერთიანებული: ღვთაება+ადამიანი+ჭარი.

ნათელია, რომ დალისთან მიმართებაში სამსახა ამირანი დედა-შვილის მოდელს წარმოქმნის (დალი → ამირანი = დედა-შვილი).

ცხადია, ამირანის თქმულებები და კერძოდ, ჩვენ მიერ ზევით მოყვანილი ფორმულები ფინიკიურ ანბანურ სამყაროს ქალღვთაება დალის მეშვეობით უკავშირდება, ვინაიდან, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ამირანის დედა, ღვთაება დალი, ფინიკიური ანბანის მე-4 ასოს, „დალეთის“ არქეტიპი და მისი ეტიმოლოგიური ძირია. არაერთხელ გაესვა ხაზი იმ გარემოებასაც, რომ ზიარება ორმხრივი პროცესია და მისი ყველა თანამონაწილე ერთმანეთს ავსებს, ამთლიანებს. ასევეა

დალით > Däleth-ის შემთხვევაშიც. იგი წარმოადგენს ფინიკიური ანბანის ასო-ნიშნის დასახელებას, ასე რომ, სემიტურ Däleth-ს ქართველთა ქალღვთაება ანბანურ სამყაროში შემოჰყავს, რის შედეგადაც სვანური დალი იძენს არა მხოლოდ საკუთარი სახელის სემურ ვარიანტს, არამედ მის სამკუთხედის ფორმას და 3-ის რიცხვით მნიშვნელობასაც. ამრიგად, იხსნება ქალღმერთ დალის მრავალჯერადი კრიპტული სახე: ღვთაებრივი, ანბანური, მათემატიკური და გეომეტრიული.

აღნიშნული პროცედურა უზომოდ დიდი მნიშვნელობის ფაქტია, ვინაიდან, სემიტური ანბანური სამყაროს გავლით, დალი იძენს არა მხოლოდ ზევით ჩამოთვლილ თვისებებს, არამედ სამის და ოთხის მათემატიკურ გამოსახულებას, რადგან „დალეთი“ ანბანში მეოთხე ადგილზე დგას. ეს უკანასკნელი (4), ქართული ასომთავრული „დონის“ პირდაპირი მისამართია, ხოლო „დონი“, როგორც ცნობილია, მზის ქალღმერთია. შედეგად, ოქროსნაწნავებიანი ქალღმერთი დალი მშობლიურ ქართულ ასომთავრულ ანბანს უბრუნდება, სადაც მისი ღვთაებრივი სტატუსის (ოქროს თმები; ოქრო მზის მეტალია) ანბანური ხატება ქართულ ასომთავრულ დონშია განივთებული. ამრიგად, ამირანის ეპოსის ერთ-ერთი გმირი, ქალღმერთი დალი, იკავებს თავის სამართლიან ადგილს, მზეღვთაება დონის ანბანურ „ტახტს“.

სხვაგვარად, ამირანის დედის, დალის გასაიდუმლოებული ანბანური სახე, ერთი მხრივ, ფინიკიური „დალეთი“, და, მაშასადამე, ბერძნული „დელტაცაა“, ხოლო მეორე მხრივ კი, საკუთარი ანბანური სისტემის ნიაღში მზეღვთაების ნიშანი „დონია“. წარმოდგენილი გაიგივება სრულ უნისონშია „დონის“, როგორც უდიდესი ქალღვთაებების (დემეტრა, ჰესტია და ა. შ.) განზოგადებულ სახესთან და როგორც „მშობიარე“ რიცხვთან – 4.

„დალის“ ანბანურ სისტემაში ჩართვა იწვევს ზემოთ გამოყოფილი მოდელების ანბანურ პრიზმაში განხილვის აუცილებლობას: ა) ამირანი=ღვთაება+ადამიანი+ჯარი; ბ) დალი → ამირანი=დედა-შვილი. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ქართულ ასომთავრულ ანბანში, დალი-დონის გარდა, უნდა გვექონდეს მისი ვაჟის, ღვთიური ამირანის ანბანური სახეც. კვლევამ აჩვენა, რომ ქართული ასომთავრული ანბანი მართლაც შეიცავს ღმერთკაც ამირანის ანბანურ ხატებას. აღნიშნული კავშირი (ამირანი=ანბანის ასო-ნიშანი) ამირანის სამსახა ფორმულით ხორციელდება, სადაც მისი მესამე იპოსტასი „ჯარი“ ქართული ასომთავრული „ჯარია“ (ჟ). მაშასადამე, ქართველთა უსაყვარლესი თქმულების უპირველესი გმირის ანბანური ხატება (მეოთხე სახე) ქართული ასომთავრული ჯარი გახლავთ.

მივიღეთ, რომ ასომთავრულ ანბანში მოცემულია ქართული ეროვნების განმაზოგადებელი თქმულების მთავარი გმირების – ღვთაება დალისა და მისი ვაჟის, ამირანის სახეები „დონისა“ და „ჯარის“ ასო-ნიშ-

ნების ფორმით, რომელთაც ანბანში მე-4 და 34-ე ადგილები უკავიათ, ანუ ჯერ მოდის დალი-დედა, შემდეგ კი ამირანი-შვილი. სხვანაირად, თქმულებაში დაფიქსირებული დალი-ამირანი = დედა-შვილის ფორმულა ანბანში შენარჩუნებულია, რაც, თავის მხრივ, დალისა და ამირანის ანბანური კოდირების დამამტკიცებელი საბუთიცაა.

ახლა ფინიკიურ ანბანს მივმართოთ. აქ, როგორც უკვე ითქვა, ქართული ქალღვთაება დალი ასო-ნიშან Dāleth-ის მეშვეობით არის გადმოცემული, მაგრამ ყველაზე საინტერესო და საოცარი ის არის, რომ იქვე, დაფარული სახით, ამირანიც გვყავს, კერძოდ, მისი ზომორფული ხაზით ჯარი-'Āleph. სხვაგვარად, სემიტური ანბანი ჩვენი თქმულების უძირითადეს მოდელს (დალი-ამირანი) Dāleth-'Āleph-ის ასო-ნიშანთა დასახელებებში ასაიდუმლოებს. თუმცა, გვაქვს ერთი „მაგრამ“: დალი-ამირანი=დედა-შვილ-ის მოდელი აქ მთლიანად თავდაყირა დგას; Dāleth ანბანთრიგში მე-4, 'Āleph კი პირველ ასო-ნიშნად დგას. მშობლისა და შვილის მიღებული შებრუნებული ფორმულის შემთხვევითობას უარყოფს ორი ფაქტი: ერთი, თვით სემიტურ ანბანშია მოცემული, მეორე კი-ქართულ ასომთავრულში. განვიხილოთ ორივე.

ფინიკიურ ანბანზე მსჯელობისას რ. პატარიძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ანბანის მთლიანობა სამი ასო-ნიშნის ურთიერთობაზეა დამყარებული. ეს ასოებია 'Āleph, Sin (Shin) და Tāw, რომელთა მნიშვნელობებია „ჯარი“, „კბილი“ და „ჯვარი“. მიუხედავად ფინიკიური „კბილის“ მნიშვნელობისა, მკვლევარი სავსებით სამართლიანად მიიჩნევს ლექსემას სინ ბაბილონური მთვარის ღვთაების დასახელებად. „ფინიკიური ასო-ნიშნის სახელი 'სინ' ასეთი ღვთაებრივი მნიშვნელობით არის გაგებული. მაგრამ ამ სიტყვის მნიშვნელობა ფინიკიური ენით ვერ აიხსნება. სიტყვა 'სინ' რელიგიურ-საკრალური მნიშვნელობით არის გაგებული. იგი აღმოსავლურ-სემურ სამყაროში მთვარის ღვთაების სახელი იყო, რომელიც ამავე ღვთაების შუმერული სახელწოდებისაგანაა მიღებული“ (პატარიძე 1980:95).<sup>8</sup> ბაბილონური მითოლოგიის მიხედვით, მთვარის შვილი „ჯარია“. თუ ბაბილონური მოდელის (მთვარე → ჯარი=ჯარი-შვილი) შესაბამისი ასო-ნიშნების ('Āleph, Sin) განლაგებას შევადარებთ სემიტურ ანბანში განლაგებას, მივიღებთ, რომ ანბანის შემქმნელებმა „ჯარის“ მამა, დროის, კალენდრისა და სიბრძნე-მეცნიერების ღვთაება მთვარე, ბოლოში მოათავსეს, ანუ კვლავ შებრუნებული ურთიერთობების მოდელში ჩასვეს – შვილი 'Āleph იწყებს ანბანს, ხოლო მამა, ღვთაება მთვარე, ამთავრებს მთლიან ანბანურ სისტემას.

<sup>8</sup> რ. პატარიძესთან სინ სახელის შუმერულ-აქადური დერივაცია შემდეგნაირად არის მოცემული: „EN.ZU > \*su'en > \*sin > si-in > sin“ (პატარიძე 1980:96). ჩვენი კვლევის მიხედვით, იმავე დერივაციულ ხაზს განსხვავებული ქართველური ეტიმოლოგიისკენ მივყევართ.

ამრიგად, 'ალეფ → დალეთ მოდელის მსგავსად, მთვარე (მამა) → ჭარი (შვილი) ურთიერთობა ფინიკიურ ანბანში კვლავ „ამოყირავებულია“, მაშინ, როდესაც დალი → ამირანის ფორმულის მსგავსად, მთვარე-ჭარი=მამა-შვილის მოდელი ქართული ასომთავრული ანბანის სისტემაში კვლავ სწორად არის წარმოდგენილი, ვინაიდან, „ან“ მთვარისა (1) და „ჭარ“ შვილის (34) ასო-ნიშნების შესაბამისი ურთიერთმიმართებით არის გადმოცემული.

გამოდის, რომ ფინიკიური დედაანბანი, მართალია, ინარჩუნებს უძველესი ბაბილონური მითოლოგიისა და ქართველური თქმულების მთავარ პერსონაჟებს, მაგრამ მათ შორის მიმართებებს სისტემატურად „ამახინჯებს“, უფრო სწორად, შებრუნებული სახით გადმოსცემს.

რელიგიურ-მსოფლმხედველობრივი სისტემების შემადგენელი ელემენტების განმეორებადი დამახინჯება გამორიცხავს მათ შემთხვევით ხასიათს და გამიზნულ ფუნქციაზე მიუთითებს, რომელიც, წარმოდგენილი კვლევის ფონზე, ფინიკიური 'Aleph-ის პირველად ღვთაებრივ მშობლებად შუმერულ-ქართველურ ანა/ანუსა და ქართველურ დალს წარმოგვიდგენს, ხოლო მეორად დედ-მამად – დალეთსა და სინს. ანბანური, კულტუროლოგიური და ენობრივი მასალის ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნების გასამაგრებლად ასო-ნიშნების მათემატიკური ინდექსებიც ბევრს გვატყობინებენ. ქართველური ღვთაებრივი ასოების „ოჯახური“ თავშეყრა მათი შესაბამისი რიცხობრივი მნიშვნელობებითაც დასტურდება. მამა „ანი“ და დედა დონი-დალეთ სამი გრაფემით არიან დაშორებულნი ერთმანეთს, მაშინ, როდესაც მათი ღვთაებრივი ძე-„ჭარი“, რომელიც წარმოადგენს ქართული ასომთავრულის 34-ე ნიშანს, მოიცავს მშობლების რიცხობრივ მაჩვენებლებს: 1-ს როგორც ნაგულისხმევ სანყისს, 4-ს, როგორც „დონის“ ანბანურ რიგს, და 3-ს, როგორც დედ-მამას შორის მოქცეულ ანბანურ მანძილს.

ოჯახური კავშირების დამადასტურებელი რიცხობრივი მაჩვენებლები ფინიკიურ ანბანშიაც არსებობს, თუმცა, – კვლავ გასაიდუმლოებული და უკუმოქცეული სახით. ფინიკიურ ანბანში 'Aleph-ის „დაჟინებით“ შემოთავაზებული პირველი ადგილი<sup>9</sup> მტკიცედ ამკვიდრებს ძისტვის 1-ის რიცხობრივ სტატუსს. ასევე, მამა „სინისა“ და დედის („დალეთ“) ფიქსირებული ადგილები, შესაბამისად ანბანის ბოლოში (21) და მეოთხე ადგილზე, გამორიცხავს მათი თანმიმდევრობის შემთხვევით ხასიათს. ასოთა რიცხვითი მნიშვნელობები გვატყობინებენ, რომ ძე 'Aleph-ი დაშორებულია დედისგან 3 ერთეულით. იგივე რიცხვი წარმოადგენს Sin-ის მეტაფიზიკურ რიცხვს, რადგანაც  $21=2+1=3$ . აქ უპირიანია გავიხსენოთ, რომ, რიცხვი 3, რაკი

<sup>9</sup> ფინიკიური ანბანის ასოთა თანმიმდევრობა და სახელები ანბანის მთელი არსებობის მანძილზე უცვლელი დარჩა.

დაკავშირებულია ანბანის ღვთაებრივ ასო-ნიშნებთან, წმინდა ოჯახზე მიუთითებს (მამა+დედა+ძე), რომელიც ქრისტიანული მრწამსის ერთ-ერთი ძირითადი კონცეპტის ანბანურ კოდირებას წარმოადგენს. ამავ დროს, უნდა გვახსოვდეს, რომ წმინდა სამება ქრისტიანობის პრეროგატივა არ არის. იგი გაცილებით შორს მიდის პრეისტორიაში, ვიდრე ახალ რელიგიას პოლივალენტური კოდის სახით გადაეცემოდა და დღეისთვის ყველაზე გავრცელებული რელიგიის კარდინალურ ცნებად იქცეოდა.

ახლა, თუ გავიხსენებთ, რომ 'Āleph-ი და „ჰარი“ ასტრალური ღვთაების მინიერ სახეს წარმოადგენენ, ფინიკიურ და ქართულ ასომთავრულში მოცემული მშობლისა და შვილის ურთიერთობა შემდეგი სქემით შეიძლება გამოვსახოთ:

### ცხრილი 61

ფინიკიური და ქართული ღვთაება-სამებათა ურთიერთმიმართება

ფინიკიური სამება		
'ალეფ-ჰარი	მინიერი სახე	ძე
დალეთ-მზე ლმერთი	ასტრალური ღვთაება	დედა
სინ-მთვარის ლმერთი	ასტრალური ღვთაება	მამა
ქართველური სამება		
ანი-ცა-მთვარე	ასტრალური ღვთაება	მამა
დონი-მზელმერთი	ასტრალური ღვთაება	დედა
ჰარი	მინიერი სახე	ძე

ღვთაებრივ სამებათა მიმართებანი ააშკარავებენ როგორც ფინიკიურ, ისე ქართულ ასომთავრულ ანბანთა უდიდეს საიდუმლოებას; კერძოდ, ფინიკიურმა 'Āleph-მა, რომელიც წარმოადგენს მთვარის მინიერ შვილსა და მის ზოომორფულ სახეს, უნდა გაიაროს მთლიანი ანბანური ციკლი, რათა მამის ღვთაებრივ სტატუსთან მივიდეს. აღმასვლის (რაც ფაქტობრივად დაღმასვლაა) ამ გზაზე, 'Āleph-ს ჯერ დედა-Dāleth/დალისთან მოუწევს შეხვედრა, რაც მას შესაძლებლობას მისცემს გააგრძელოს წინსვლა თავის სემიტურ მამასთან შესახვედრად, ხოლო შემდეგ - თავის მშობელ მამასთან, ქრონოლოგიურად უფრო ძველ ღვთაებრივ მშობელთან (ანი).

ფინიკიურთან შედარებით, ქართულ ასომთავრულში აღწერილი ფორმულა უკუღმა, უფრო სწორად, წაღმა წარმოდგენილი. მამა-ლმერთი ზეცა-ანი-ანუ ჯერ თავის სწორს, მზეღვთაებას ხვდება,

რაც ლოგიკური და ბუნებრივი პროცესის ამსახველია, შემდეგ კი შვილთან, „ჯარის“ მინიერ სახესთან ერთიანდება, რომელთაგან ძე-ჯარი ღვთაებრივ სტატუსს ავტომატურად მიიღებს—„მემკვიდრეობით“.

ფინიკიურ ანბანში დაფიქსირებული ოჯახური შეერთების არალოგიკური პროცესის საინააღმდეგოდ, ქართველური ასო-ნიშნების სახელები, მათი რიცხვითი მნიშვნელობა და ანბანური რიგი, მალავენ ოჯახის შექმნის ლოგიკურსა და ჩვეულებრივ პროცესს. უფრო მეტიც, ქართველური შეერთება ოჯახის უბრალო თავშეყრა არ არის; ეს ასტრალურ და მინიერ ღვთაებათა თავშეყრაა, რომელიც წინ ნამოსწევს ზეცისა და დედამიწის ურთიერთმიმართების უძველეს ფორმულას.

„მონანილეთა“ რთული მოზაიკა, ალმა და დალმა მიმართული ურთიერთობანი, მრავალწევრა ფორმულები და მათი კავშირები, პოლივალენტური სახეები და მათი სიმბოლიზმი, ყველა ეს, ქართული ასომთავრული ანბანით იმართება და ენერგიას იძენს. ქართული ასომთავრული ზეციური საწყისია, მამა ანბანია, მაშინ, როდესაც ფინიკიური ანბანი მისი მინიერი შვილის განსხეულებაა და „ანიდან“ „ჯარისკენ“ მიმართულ დაღმასვლას ხსნის.

ფინიკიური 'Aleph-ი რომ ზეცად ამაღლდეს და ღვთაებრივ მშობელს შეუერთდეს, მან უნდა გაიაროს მთვარის 21-დღიანი ნაკლული ანბანური ციკლი, რომელიც მამასთან მიახლოებულს, მხოლოდ ერთი კვირით დააშორებს მას. მიზანი რომ განახორციელოს, 'Aleph-მა მთვარის სრული ციკლი უნდა გაიაროს, რასაც იგი ნაკლული პერიოდის მხოლოდ ქართული ასომთავრულის მინიერი „ჯარის“ ანბანური ფაზის შევსებით მოახერხებს. ქართველური „ჯარის“ ფაზის გავლა 'Aleph-ისთვის ერთადერთი საშუალებაა, რომ „მისწვდეს“ თავის სემიტურ მამას და შემდეგ უკვე შეერწყას ჭეშმარიტ მშობელს – ქართველური მთვარის ღვთაება „ანის“ (შუმერული „ანუ“).

ზევით წარმოდგენილი შუმერული, ეგვიპტური, ფინიკიური და ქართველური ურთიერთობების ფონზე, ფინიკიური 'Aleph-ის მიერ გასავლელი გზა საოცარი სიზუსტით იმეორებს ეგვიპტური ცივილიზაციის უდიდესი ქთონური ღვთაების – ოსირისის მკვდრეთით აღდგომის მისტერიას. „ძლიერ ძველი ლეგენდის თანახმად, ოსირისი მკვდრეთით აღდგებოდა, ანუ კვლავ დაიბადებოდა მაშინ, როდესაც მისი სხეული ხარის ტყავში გაივლიდა“ (Budge 1914:29).<sup>10</sup> სხვაგვარად, ფინიკიურმა 'Aleph-მა, ისევე, როგორც ეგვიპტურმა ოსირისმა, ამირანივით ხარის ტყავში, უფრო სწორად კი, ანბანური „ჯარის“ ტყავში უნდა გაიაროს, რათა ხელმეორედ დაიბადოს, აღდგეს ღვთაებრივ სტატუსში. თუ ცოტას კიდევ განვაზოგადებთ, ქართველი გმირი –

<sup>10</sup> „According to a very early legend, Osiris was restored to life by making his body to pass through a bull's skin, in other words, he was supposed to be reborn“ (Budge 1914:29).



ლმერთკაცი ამირანი, ორივე, ეგვიპტური და ფინიკიური, მოდელის არქეტიპია, ვინაიდან მან მუცლად ყოფნის პერიოდი „ჭარის“ ტყავში დაასრულა და დაიბადა (არ აღსდგა!).

„ჭარის“ ტყავი, რომელშიც ამირანი დაიბადა, იგივე ტყავის გუდაა, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აკლდამების ფრესკებზე ოსირისის გვერდით დარჭობილ სარზეა მიმაგრებული (Budge 1934:27). მის ახსნა-განმარტებას გვთავაზობს არა ოსირისის საკუთარი რელიგია, არამედ ქართველური ფოლკლორი (ილ. 2, გვ. 526).

საინტერესოა, რომ 'ალეფ+სინ = მამა+შვილი ფორმულის შერწყმა-აღდგომა კვლავ ქართველური ენების ნიაღში გავლა-ინიციაციის პროცესია, რადგანაც ბაბილონური მთვარის ღმერთის სახელი Sin ქართველური (ზანურ-სევანური) „სინ“-იდან“ (ქართული „შენ“) მომდინარეობს.<sup>11</sup> ესაა ფაქტი, რომელიც „სინის“ შემოქმედზე შემოქმედის ენითვე მიუთითებს და, რომლის გაგება მხოლოდ მასვე ძალუძს.

გამოდის, რომ აქამდე გაანალიზებული სემიტური ანბანის ყველა ასო-ნიშნის დასახელება, 'Āleph, Dāleth და Sin თავისი წარმომავლობის გამოაშკარავებით მთლიანი ფინიკიური ანბანის შემოქმედის ვინაობას გვიჩვენებს: სინ-შენ ანუ:

სინ-შენ ხარ ჭარის ერი;

სინ-შენ ხარ ამირანის ერი და მზე-ქალღმერთ დალის ერი;

სინ-შენ ხარ ქართული და ფინიკიური ანბანური დამწერლობის შემქმნელი ერი.

ისევე, როგორც წინა შემთხვევებში, ანალიზის ამ საფეხურზე მიღებულ დასკვნას ფინიკიური ანბანის მონაცემები კვლავ გვიდასტურებენ. ნაიკითხეთ ფინიკიური დედა-ანბანის უკანასკნელი, დამამთავრებელი ასო-ნიშნის სახელდება – Tāw („ჯვარი“), ანუ, როგორც რ. პატარიძეს აქვს ქართულად მოცემული, „თავ“. სემიტური სახელის ქართველური წარმომავლობა გაცილებით უფრო ცხადი ხდება მისი სამხრეთ სემიტური (ეთიოპური) ვარიანტით Thāwī („თავი“), სადაც ბრუნვის ნიშნის აღმნიშვნელი უკანასკნელი ხმოვანიც კი შენარჩუნებულია, რაც საკმაოდ ხშირად გვხვდებოდა წარმოდგენილი ანალიზის პროცესში. ძველ და ახალ ქართულშიც „თავის“ ერთ-ერთი მნიშვნელობაა „დასაწყისი“ (აბულაძე 1973:172), რითიც ფინიკიური ანბანი თავისი წარმომავლობის ნამდვილ მისამართს – ქართულ დამწერლობას ამხელს. შესაბამისად, ფინიკიური ანბანის დასასრული, სინამდვილეში, მისი ჭეშმარიტი საწყისია, ასო-ნიშან „სინის“ ჭეშმარიტი ინიციაციაა, რითიც არა მხოლოდ „სინის“, არამედ მისი არქეტიპული სისტემის – ქართული ასომთავრული ანბანის – არსებობის სრულიად განსხვავებული ეპოქა იწყება. ანბანის ბოლო-

<sup>11</sup> იხილე „სინ“-ის ანალიზი გვ. 362-363.

ში ადგილის დამკვიდრებით ქართველური „თავ“ ააშკარავენ სემიტური პალეოგრაფიის შექმნის ძირითად პრინციპს – ნარმოადგენდეს მშობელი ანბანის შებრუნებულ ფორმას. მასში კოდირებული პრინციპების მიხედვით, სემიტური ანბანის ასოთა მიმდევრობას მთვარის ღმერთის სიმბოლო უნდა იწყებდეს, როგორც ეს ქართულ ასომთავრულშია:

### ცხრილი 62

#### შებრუნებული სემიტური ანბანი

	თავ		
1	სინ	ნუნ	პეთ
2	რეშ	მემ	ვაე
3	კოფ	ლამედ	პე
4	სადე	კაფ	დალეთ
5	პე	იოდ	გიმელ
6	ლაინ	ხეთ	ბეთ
7	სამეხ	ზაინ	'ალეფ

შებრუნებული განლაგების გარდა, „თაუს“ ქართველური მნიშვნელობა მიუთითებს იმ ანბანზე, სადაც სემიტური ფორმულების სწორი სტრუქტურაა მოცემული. როგორც კვლევა აჩვენებს, ეს ანბანი ქართული ასომთავრულია. სემიტური ანბანის წყობის შებრუნება ასწორებს მშობელი-შვილის (დალეთ-ალეფ და სინ-ალეფ) „თავდაყირა“ ფორმულებს და ისინი უნისონში მოჰყავს არა მხოლოდ ქართული ასომთავრული ანბანის იდენტურ ფორმულებთან, არამედ უძველეს ბაბილონურ რელიგიასთანაც. ამრიგად, ფინიკიური ანბანი საკმარისზე მეტად მიუთითებს თავის ქართველურ წარმომავლობაზე, რომლის სტრუქტურა განვითარების შედეგს არ წარმოადგენს; პირიქით, ასო-ნიშანთა განლაგება, მათი სახელები, გრაფიკა და რიცხობრივი მნიშვნელობა ნათელს ჰფენს იმ ფაქტს, რომ ქართული ასომთავრული და ფინიკიური ანბანების მსგავსებანი წინასწარ ჩაფიქრებული გეგმის მიხედვით ყალიბდებოდა (შდრ.: შუმერულ ზეციურ გეგმას „გიშ-ხარ“), რაც კვლავ ქართული ანბანის ქრონოლოგიურ წინსწრებაზე მიუთითებს.

ორ ანბანს შორის გამოვლენილ მრავალ ურთიერთმეთანხმებულ თვისებას შორის განსაკუთრებულ ინტერესს მათი სტრუქტურული მახასიათებლები იწვევს. აქ უპრიანია, გავიხსენოთ სამებათა ორგანიზაცია ქართულ და ფინიკიურ ანბანებში:

### ცხრილი 63

ასომთავრული და ფინიკიური ანბანების სამების სტრუქტურები

#	ქართული			სემიტური	
1	ანი	ცა-მთვარე-მამა	1	'ალეფ	ჭარი-ძე
4	დონი	მზე-დედა	4	დალეთ	მზე-დედა
34	ჭარი	ჭარი-ძე	21	სინ	მთვარე-მამა
35	ჯვარი	ჯვარი	22	თავ	ჯვარი (თავი)

თუ მოცემულ ანბანთა სტრუქტურას ერთ უწყვეტ სისტემად წარმოვადგენთ, მივიღებთ ფრიად შთამბეჭქდავ ინფორმაციულ წყობას:

### ცხრილი 64

ასომთავრულისა და სემიტური ანბანების უწყვეტობა

#	ქართული			სემიტური	
1	ანი	ცა-მთვარე-მამა			
4	დონი	მზე-დედა			
34	ჭარი	ჭარი-შვილი	1	'ალეფ	ჭარი-შვილი
35	ჯვარი	ჯვარი	4	დალეთ	მზე-დედა
			21	სინ	მთვარე-მამა
			22	თავ	ჯვარი (თავი)

ცხრილი გვიჩვენებს, რომ ქართული ანბანის ასტრალური ღმერთების (ანი-ცა-მთვარე და დონი-მზე) წარმომადგენელი დედამიწაზე არის ჭარი, მათი ღმერთ-ვაჟიშვილი, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჭარის ტყავიდან დაბადებული ამირანის ზოომორფული სახეა. პალეოგრაფიული თვალსაზრისით, ამირან-ჭარის დაბადების შემდგომი ცხოვრება ქართულ ანბანში მოცემული არ არის, რადგანაც ჯვრის ასო-ნიშანი ამ სისტემას ასრულებს. მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ ჯვარი მხოლოდ მამა-მთვარის ანბანის სრულ ციკლს (ასომთავრულს) ამთავრებს, რომლის ბოლოშიც თავისი ძის დაბადებას გვამცნობს. ახალშობილი ვაჟიშვილის ცხოვრება 'ალეფ-ჭარისა და მთლიანად ფინიკიური ანბანის მეშვეობით გრძელდება (წაიკითხე: ანბანური დამწერლობის შემოღების შემდგომი ხანა). სემიტური ანბანის ქართველური საწყისი რომ დავინწყებას არ მისცემოდა, ანბანის ბოლოს მისმა შემქმნელებმა ასო-ნიშანი თავი დასვეს.

ფინიკიური „ალეფის“ ქართველური ეტიმოლოგია (ყალიბი, ჭარი, ხარება, ხარ, ხარხარი, ხალეპო) მის ქართველურ საწყისთან დაბრუნე-

ბის აღმნიშვნელია. ეს ფაქტი ორჯერ გამოიხატება: „'ალეფის“ სემიტიზებულ ქართველურ მზელმერთ „დალეთთან“ და ასევე სემიტიზებულ ქართველურ მამასთან „სინ-შენთან“ შეხვედრით. პირველი ააშკარავებს „'ალეფის“ წარმომავლობას ქართველური არქეტიპის მოქმედებითი ბრუნვიდან, ხოლო მეორე მთლიანად მიემართება ქართველ ერს.

სემიტური ანბანის დასასრული სისტემის უბრალო დამთავრება არ გახლავთ. იგი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვინაიდან წარმოადგენს „'ალეფის“ ზეციური აღმასვლის მწვერვალს. ეს სწორედ ის დაფარული უნივერსალური ცოდნაა, რომელიც მოჩქეფს ასომთავრული და სემიტური ანბანების იმ თვისებიდან, თავის ჭეშმარიტ წყაროდ ქართველურ ნიაღს რომ წარმოადგენს.

საკმარისია, გავიხსენოთ ქალის მრავალპლანიანი სიმბოლიკის ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტი, რომელიც შეიძლება გადმოცემული იყოს ღრმულით, მღვიმით და ნებისმიერი ჩაღრმავებული საგნით. სემიტური „დალეთის“ დასახელებული „კარიც“ ღრმულის სიმბოლიკის ერთ-ერთი კონკრეტული სახეა და ამიტომ მის ქალურ საწყისს ააშკარავებს. აქედან გამომდინარე, ფინიკიური „დალეთი“ ადასტურებს თავის ქართველურ წარმომავლობას არა მხოლოდ მზის ღმერთისაგან მემკვიდრეობით მიღებული მზიური ბუნებით, არამედ ქალღმერთის საკრალური სამყოფელის, თეთრი კლდის მღვიმის კარზე მითითებითაც.

„დალეთის“ სახელებების („კარი“) გამოვლენილი ფუნქცია, რაც ამავე დროს, მისი რელიგიურ-კულტურული მისიაცაა, უფრო მეტის დამტკიცია. „დალეთის“ წვლილი ქართველურ-ფინიკიური კავშირების დეკოდირებისთვის განუზომლად დიდია, თუმცა, ამ „მისიის“ ძიება თვით ფინიკიური ანბანის ნიაღში შედეგს ვერ მოიტანს. პასუხი ორი ანბანის, ქართული ასომთავრულისა და სემიტურის შერწყმის ზღვარზე ძვეს. ქართული „დონის“ მზელვთაებისა და ფინიკიური „დალეთის“ მნიშვნელობის („კარი“) შერწყმა არაორაზროვნად ქმნის ქართული წარმართული სარწმუნოების ერთ-ერთი ძირითადი კონცეპტის – ღვთის კარის სახეს, რის შედეგადაც, უბრალო „კარიდან“ დალეთი მზის კარად, ანუ ღვთაება-მზის კარიბჭედ, ღან-ად გადაიქცევა.

დალეთის უბრალო ანბანური სახელის („კარი“) ნგრევა და ღვთაებრივ რანგში ასვლა ზედმინვენით იმეორებს ფინიკიური ასო-ნიშნების „'აინისა“ და „'ალეფის“ ნგრევა-აღშენების გზას. ამ გზაზე, დალეთ-კარი ჯერ უნდა „მოკვდეს“ საკუთარ სემიტურ სამყაროში მისი ქართველური საწყისის გამოვლენით და შემდეგ ქართველურ ღვთაება ასო-ნიშან „დონთან“ ერთად ზეცად ამაღლდეს. გამოცხადების ამგვარი პროცესი, *ენობის წიგნში*, მის რეალურ ხდომილებამდე გა-

ცილებით უფრო ადრე აღინერა: „ამას გიცხადებ და გიჩვენებ, რომ ვინც შეეკმნა, ის მოგკლავს. როდესაც დაეცემი, იგი არ გიჩვენებს შეწყალებას; არამედ შენი დამანგრეველი იხარებს შენს სიკვდილში“ (ენ, თავი xciv:9, 10; ხაზგასმა ჩვენია - ა. მ.). იდენტური ინფორმაცია ჩატიეს ეგვიპტელმა ქურუმებმა ქართველური ხარხარის კიდევ ორ ფონეტიკურ ფორმაში: ḫerḫer (Budge 1978:499) და kherkher (ნაიკითხე ორივე, როგორც ხარხარ; იქვე, 560) მნიშვნელობით „განადგურება, დანგრევა“ და „ამოძიკვა, განადგურება“. საკუთარი ქმნილების ნგრევითა და განადგურებით გამოწვეული სიხარული ის პარადოქსია, რომელიც ერთმანეთს უტოლებს ენობის წიგნიდან ციტირებულ ტექსტსა და ეგვიპტური ლექსემის ნომინაციურ პრინციპს; ეს გარდაცვლილის ღვთაებრივ რანგში ამაღლების ფორმულაა.

ფრიად მნიშვნელოვანია ისიც, რომ წინა შემთხვევების მსგავსად ('აინ, 'ალეფ), „დალეთის“ ამგვარი გზა მის გეომეტრიულ და რიცხობრივ მნიშვნელობაშიც არის კოდირებულ-გასაიდუმლოებული. ეზოთერული სწავლების მიხედვით, „დალეთი“ სამკუთხედია და ციფრი სამი. „Тройца есть первое явление единого... Она есть первое раскрытие абсолютности единого... Тройца являет в себе начало средины и конец всякой вещи и всякого действия“ (Трубецкой 1890:185).

ამიტომ „დალეთის“ (და ბერძნული „დელტას“) სამკუთხედობას, რომელმაც მოასწავა დასაწყისი ანბანური ცივილიზაციისა და განავრცო იგი მთელ მსოფლიოში, აქვს დასასრულიც. თუმცა ეს დასასრული, ბნელი სიკვდილი და სამგლოვიარო მოვლენა არ არის; იგი მბრწყინავი და ღვთაებრივი სასრულია, რადგანაც დალეთ-დონის მიერ „აღშენებული“ ქართველურ-სემიტური კარიბჭე ის ზეციური თაღია, რომელიც ასომთავრულში ასო-ნიშან ლანით არის წარმოდგენილი და, სადაც ქართველური წარმართული წარმოდგენების მიხედვით, ყველა ღვთაება იყრის თავს (იხ. გვ. 8).

უფრო მეტიც, „ღვთის კარის“ რელიგიურ-მსოფლმხედველობრივი ხატის გარდა, ქართული „დონისა“ და სემიტური „დალეთის“ შერწყმა ქართულ ლექსიკაშიც იჭრება. „დალეთის“ სამკუთხედისა და „დონის“ ოთხკუთხედის გეომეტრიული ცნებების რიცხობრივი შესაბამისობების ჯგამი 3+4 გვაძლევს სამოთხეს (სამ+ოთხე).

*რამდენად შესაძლებელია ეს?*

ქართულ ლექსიკოგრაფიაში „სამოთხის“ მნიშვნელობა განმარტებულია როგორც „ნალკოტი შვენიერი, გინა ფუფუნება, გინა ყვა-ვილთა მტილი, რომელ და(ა)სხა უფალმან აღმოსავალისა მჭარესა ქვეყანასა ზედა“ (საბა 1993:40). სიტყვა ნაწარმოებია სა-ე რთული აფიქსის მეშვეობით. აქედან: სა-მოთხ-ე.

სიტყვა „სამოთხის“ ფრიად გამჭვირვალე სემანტიკისა და

სტრუქტურის მიუხედავად, არსებობს ფაქტები, რომლებიც ჩვენ მიერ შემოთავაზებულ მნიშვნელობასაც ადასტურებენ. მოვიყვანოთ „მოთხვა“ ძირით დაკავშირებული ერთეულები:

სამოთხველი	სასეირნო;
მოთხვა	ნ. ვიმოთხვე, იმოთხვიდა, მმოთხველი, სამოთხველი, სიარული, სლვა;
მოთხვითი	ოთხკუთხი;
მოთხვილი	(მოთხილი E) ბოხჩა ZAa. ბოლჩა Ab. განუმარტავია B. ოთხკუთხი(ა) CDE)" (საბა 1991:498).

ციტირებული მასალა ნათელს ჰყენს იმ გარემოებას, რომ „სამოთხეს“, მიღებული მნიშვნელობის გარდა, რიცხვით სახელებთან (სამი, ოთხი) დაკავშირებული სემანტიკაც გააჩნია. აღნიშნული მნიშვნელობა მხოლოდ მაშინ ხდება საცნაური, როდესაც „სამოთხე“ აღიქმება არა როგორც ნაწარმოები ლექსემა (სა-მოთხ-ე), არამედ როგორც რიცხვითი სახელებისგან სამოთხ-ი შემდგარი თხზული სიტყვა. შესაბამისად, „სამოთხის“ კარგად ცნობილი მნიშვნელობის გარდა, დასტურდება ჩვენ მიერ დეშიფრირებული მნიშვნელობაც, რაც საძიებელ სიტყვას ორი – ეგზოთერულ-ეზოთერული სემანტიკის მქონე ლექსემად აქცევს. უფრო მეტიც, „მოთხვილის“ მნიშვნელობა („ბოლჩა“) მიუთითებს ჩვენ მიერ შემოთავაზებული მნიშვნელობის ბუნებაზე: „სამოთხე“, როგორც სამისა და ოთხის ჯამი, სიტყვის უჩინარი, დამალული მნიშვნელობაა და ამდენად, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი და მრავლისმთქმელია, ვიდრე მისი ჩვეული სემანტიკა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, „სამოთხე“ რთული, ორშრიანი ელემენტია, რომლის პირველ, ანუ ხილულ შრეზე „სამოთხე“ ჩვეული ნაწარმოები სიტყვაა (სა-მოთხ-ე) და ლექსიკური სემანტიკის კარგად ნაცნობი სფეროა, ხოლო მეორე, ანუ ეზოთერულ შრეზე იგი თხზული ერთეულია (სამოთხ) და დაფარული სემანტიკური შრის, ანუ გასაიდუმლოებული ინფორმაციული სფეროს საკუთრებაა. სწორედ ამ გასაიდუმლოებული სფეროს სემანტიკის საფუძველზე იძენს ფინიკიური დაღეთ-ღვთაებრივი კარიბჭე სამოთხის ცნებას, მაშინ როდესაც ქართველურში, იმავე ცნების („სამოთხე“) მთლიანი სისტემა საკუთარი მასალის საშუალებით შენდება, ვინაიდან „დონი“, ერთდროულად სამიც არის და ოთხიც.

მიუხედავად ამისა, ქართველური „სამოთხე“ მხოლოდ ქართველური ენობრივი და კულტურული სამყაროს სიტყვა არ გახლავთ; იგი ქართველური და ფინიკიური ენობრივ-ანბანური ურთიერთობის კიდევ უფრო სიღრმისეულ შრეებზე ძევს და ქართული „დონისა“ და ფინიკიური „დაღეთის“ ზიარება-გამთლიანებას მათი გეომეტრიული და რიცხობრივი მახასიათებლების საფუძველზე ახორციელებს.

წარმოდგენილი ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნების ურ-

თიერთშეთანხმება იმდენად ჰარმონიულია, რომ შეკითხვების რიცხვი კი არ კლებულობს, არამედ იზრდება:

*რატომ უნდა იყოს ქართული ასომთავრული დონი უფრო მეტ ჰარმონიაში ფინიკიური (და ბერძნული) დაღეთის (დეღტას) ანბანურ რიგთან, ვიდრე უშუალოდ ფინიკიური და ბერძნული ასოები საკუთარ ანბანში?*

*რატომ უნდა ენოდებოდეს სემიტურ ასო-ნიშანს კარი და რატომ უნდა მიუთითებდეს „ღეთის კარზე“ ქართულ მხელვთაება დონთან შერწყმის შედეგად?*

*რატომ უნდა მოქმედებდეს ქართული დონის ანბანური რიგი, როგორც გადამრთველი, ჯერ დონის დაფარულ კვადრატულ ხატზე, შემდეგ კი ქართულიდან ფინიკიური (და ბერძნული) ასოების შენიღბულ სახეზე?*

*რატომ უნდა ესადაგებოდეს ერთმანეთს ფინიკიური და ქართველური ასო-ნიშნების სახელწოდებები, როდესაც ისინი სრულიად განსხვავებული ენობრივი ჯგუფების წევრებად მიაჩნიათ?*

რა ვქნათ? უგულუბელვცოთ სამართლიანად დასმული შეკითხვები დამწერლობისა და ანბანის განვითარების დღემდე არსებული ნაკლული ცოდნის გამო, თუ გამოვიძიოთ და შევისწავლოთ ჩვენს ხელთ არსებული მასალა და შევეცადოთ პასუხების გაცემას? ჩრდილო სემიტური ანბანი ხომ ფაქტობრივად, უცვლელი სახით, თითქმის 20 საუკუნის მანძილზე არსებობდა: ძვ. წ. 13 ს-ის აბდოსის, შაფატბაალის და ასდრუბალის წარწერები, ორი ასოს გარდა, არავითარ ცვლილებას არ შეიცავენ (Diringer 1968:155-63). ეს კი იმას ნიშნავს, რომ ანბანში ფიქსირებულ ასო-ნიშანთა რიგი, მოხაზულობა, დასახელებები, რიცხობრივი მნიშვნელობები და გრაფემათა საერთო რაოდენობა (22) ძლიერი სტაბილურობით ხასიათდება, რადგანაც საუკუნეების მანძილზე ცვლილება არ განუცდია. ეს ფაქტი, შემთხვევითობას ვერ მიენერება! ამიტომ ჩვენ მეორე გზას ვირჩევთ და, უპირველეს ყოვლისა, ქართულ ასომთავრულ „დონში“ არსებული მრგლოვანი და კვადრატული ერთების ამსახველი სხვა დამადასტურებელი საბუთების ძიება-შესწავლაზე გადავდივართ – ერთებისა, რომელმაც „დონის“ ეზოთერიის კარიბჭე შეაღო.

#### **4. დონი, როგორც ქართული ასომთავრული ანბანის მათემატიკური და გეომეტრიული პრინციპების ერთევა**

„დონის“ მრგლოვანი და კუთხოვანი ფორმების ერთების დამადასტურებელი მასალებისთვის შორს წასვლა საჭირო არ არის, ვინა-

იდან, „დონის“ ამგვარ გაგებას თვით ანბანის, როგორც ერთიანი სისტემის, აგების მათემატიკური და გეომეტრიული პრინციპები გვთავაზობენ. ცნობილია, რომ მოხაზულობის მიხედვით, ასომთავრული ანბანის ასო-ნიშნები რამდენიმე ჯგუფად განიყოფება. პირველი შვიდეული ხაზოვან-კუთხოვანი გრაფემებია, ხოლო მეორე (14), – წრიულ-რკალური, მესამე (21) – ხაზოვან-რგოლური; შესაბამისად:

- 1) „დონის“ ხაზობრივ-კუთხოვან ფორმას ადასტურებს 1 შვიდეული;
- 2) „დონის“ წრიულ ფორმას ადასტურებს 1 შვიდეული;
- 3) „დონის“ წრისა და კვადრატის (წრიულ-ხაზობრივი) ერთებას ადასტურებს 3 შვიდეული;
- 4) „დონი“ როგორც წრიულ-ხაზობრივი ერთება, წარმოდგენილია  $3 \times 7 = 21$  გრაფემით;
- 5) „დონი“, როგორც 21, იგივე 3-ია ( $2+1=3$ );
- 6) „დონის“ თითოეული ფორმის (I, II ჯგუფები) ერთება წრიულ-ხაზობრივის ერთებასთან (ჯგუფი 3) კვლავ 4-ის ტოლია: „დონი“ =  $1+3=4$ .

მოცემული ტოლობებიდან აშკარაა, რომ რიცხობრივი მაჩვენებლით „დონი“ არის არა მარტო 4, არამედ – ერთიც, სამიც და შვიდიც. როგორც ერთი (1 მრგლოვანი ასო-ნიშნების შვიდეული და 1 ხაზობრივ-კუთხოვანი), „დონი“ გაუფორმებელი სიბრტყისა და სიცოცხლის ჩანასახოვანი ფორმაა; როგორც სამი (წრიულ-ხაზობრივი სამება, აგრეთვე:  $21=2+1=3$ ), დონი სიცოცხლის სიმბოლო და გეომეტრიული სამკუთხედი, რაც ფინიკიური „დალეთისგან“ შექმნილი სამკუთხედის ფაქტს ადასტურებს. მაშასადამე, „დონი“ სამკუთხედის გეომეტრიული სიბრტყის დამტვევიც ყოფილა – ფაქტი, რამელსაც არაერთგზის გვიდასტურებენ ფინიკიური და ქართული ანბანები. როგორც თითოეული ფორმის (ერთი ხაზობრივ-კუთხოვანი, ერთი წრიული) შერწყმა წრიულ-ხაზობრივ ფორმებთან (მე-3 ჯგუფი), „დონი“ ოთხია და, მაშასადამე, გეომეტრიულად კვადრატული სიბრტყეა. გამოდის, რომ „დონი“ არის 1, 3 და 4-ც.

უფრო მეტიც, ვინაიდან „დონი“ დეკადის, ანუ 10-ის საიდუმლოა, იგი ათია და, მაშასადამე, იგივე ერთია: „Десятка“ есть единица в высшем порядке и знаменует собою полноту чисел... Десять объемлет собою всю силу числа... Она есть начало человеческой небесной и божественной жизни, ея предводительница и строительница“ (Трубецкой 1910:184-88). სხვაგვარად, ათი იგივე ერთია, მხოლოდ თვისებრივად უფრო მაღალი საფეხურის ერთი. თუ ერთი გეომეტრიული ნერტილია, მაშინ ათი ნერტილის სივრცული განვრცობაა, მისი თვისებრივად მაღალი ფორმა, ანუ წრე. როგორც პოტენციური და რეალიზებული სიცოცხლის შერწყმული ფორმა, „დონი“ წარმოადგენს  $1+3$ .



ეს ფორმულა „დონის“ ანბანური რიგის ტოლია, რომელიც კიდევ ერთი კულტუროლოგიური შრის ინფორმაციით მდიდრდება: „დონი“ და მისი რიცხობრივი მნიშვნელობა წარმოადგენენ პოტენციური და რეალიზებული სიცოცხლის კონდენსირებულ ერთადერთ და განუმეორებელ ხატს. გეომეტრიულად ეს ინფორმაცია გადმოიცემა წრეში ჩახაზული წერტილით – ①. შესაბამისად, „დონი“ ერთდროულად წარმოადგენს მარტივ და გაუვრცობელ სიცოცხლეს (1=წერტილს), სიცოცხლის პირველ გაფორმებას (სამკუთხედი) და ახალი საფეხურის რანგში აყვანილ სიცოცხლესაც (10=წრეს). ამიტომ, „დონი“ ერთდროულად არის 10 (დეკადის საიდუმლო), 1, ანუ წერტილი და წრეც, – წერტილის განვრცობილი სახე. ამიტომ, ქართული ასომთავრული „დონი“ ერთდროულად არის 1, 3, 4 და 10, ანუ გეომეტრიულად წერტილი, სამკუთხედი, კვადრატი და წრე. აღმოჩენილი ფაქტები მოითხოვს ყველა განსახილველი ასო-ნიშნის (სემიტიური, ბერძნული) ქართულ ასომთავრულ ანბანთან არსებული კავშირების ხელახალ გადასინჯვა-გადამოწმებას.

## **5. ფინიკიური და ბერძნული ასო-ნიშნების ახლებური წაკითხვა**

ქართული ასომთავრული „დონის“ ჩამოყალიბებული მრავალშრიანი მათემატიკურ-გეომეტრიული სიმბოლიკა საშუალებას გვაძლევს, მისი განსხვავებული ანბანური სახეების, კერძოდ, ქართული ასომთავრული „ლანის“, ფინიკიური „'ანისა“ და ბერძნული „ომიკრონ-ომეგას“ გრაფიკული გამოსახულებები და მათ შორის არსებული კავშირები სრულიად განსხვავებული კუთხით წავიკითხოთ.

უპირველეს ყოვლისა, გავიხსენოთ, რომ ანბანური სისტემების შექმნისას, მეცნიერთა აზრით, ხდებოდა ფინიკიური ასო-ნიშნების მრავალჯერადი გამოყენება. პროფ. პატარიძეს მიაჩნია, რომ ფინიკიური „'ან“ ორჯერ, ანუ ორი ასო-ნიშნის შესაქმნელად გამოიყენეს, როგორც ქართულ ასომთავრულში, ისე ბერძნულ ანბანში. „მე-16 ასო-ნიშანი „'ან“ ფინიკიურ ანბანში წრიული გრაფემაა. ამ ასო-ნიშანს ფინიკიურის არსებობის მანძილზე გრაფიკული ცვლილება არ განუცდია. ოღონდ საშუალო ფინიკიურში და, კერძოდ, კვიპრულ ფინიკიურში ძვ. წ. V საუკუნეში ასო-ნიშანს ზემოთ თავი გაეხსნა. ძვ. წ. V საუკუნეში იგივე გრაფიკული ცვლილება მოხდა არამეულ დამწერლობაში“ (პატარიძე 1980:202).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის გარემოება, რომ არქაული ფინიკიურიდან (ძვ. წ. c. 2000 წ.) მოყოლებული, ნახსენები ფორმების გარდა, „'ან“ ანბანის გავრცელების სხვადასხვა არეალში სხვადასხვა-

გვარად იყო წარმოდგენილი. ვხვდებით რომბისმაგვარ, სამკუთხედ და წრიულ „აინ-ს“ წერტილით ცენტრში:

ცხრილი 65

ფინიკიური 'აინის უადრესი ფორმები<sup>12</sup>

1.	„აინ“-ის ყველაზე ფართოდ გავრცელებული ფორმა (ძვ. წ. 2000-1200 წწ.)	◊
2.	ისრის თავები ლიბანიდან (ძვ. წ. 2000-1200 წწ.)	◊
3.	წარწერები პალესტინიდან (ძვ. წ. 2000-1200 წწ.)	◊
4.	ამონიტური ანბანი (ძვ. წ. 1200 წ.)	◻
5.	სიდონი, ძვ. წ. 5 ს., ფინიკიური	.
6.	მალტა, 3-2 სს., ოსტრახა, გვიანი ფინიკიური	∪
7.	მალტა, ძვ. წ. 3-2 სს., ოსტრახა, გვიანი ფინიკიური	∪ √
8.	მონეტები ჰასმონეადან, ძვ. წ. 2-1 სს., „პალეოებრაული“ ანბანი.	▷

„კლასიკური ბერძნული „ომიკრონ“ აგრეთვე წრიული გრაფე-  
მა და არაფრით განსხვავდება ფინიკიური პროტოტიპისგან... ქარ-  
თული „ონ“ გრაფემა შექმნილია ფინიკიური პროტოტიპისა და არა  
ბერძნული გრაფემის საფუძველზე. ამ მოსაზრების ცხადყოფელია  
ქართული ასომთავრული „ლან“ გრაფემა... კლასიკური ბერძნული  
„ომეგა“ თავგახსნილი ფინიკიური „აინ“ გრაფემის ინვერსიული  
ფორმაა... ბერძნული „ომეგა“ ასო-ნიშანი ბერძნულ დამწერლობაში  
ყველაზე გვიან შემოდებული ასო-ნიშანია. სწორედ ამის გამო ბერძ-  
ნულ ანბანში იგი უკანასკნელ ასო-ნიშნად ზის. უფრო ადრე, არქაულ  
ბერძნულში, „ომეგა“ სხვაგვარად იწერებოდა. მისი გრაფიკული  
ფორმა იყო წრე და წრეში დასმული წერტილი... მსგავსად კლასი-  
კური ხანის ბერძნული „ომეგასი“, ქართული ასომთავრული „ლან“  
მე-16 ფინიკიური „აინ“ გრაფემის ინვერსიული ფორმაა. ე.ი. ქარ-  
თულ ასომთავრულში გათვალისწინებულია კლასიკური ბერძნული  
გრაფიკული მეთოდი. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ V-IV საუ-  
კუნეთა მიჯნაზე ბერძნული „ომეგა“ არა წრიული, არამედ „თაღოვა-  
ნი“ გრაფემა იყო (პატარიძე 1980:228-29; ხაზგასმა ჩვენია – ა. მ.).

როგორც ვხედავთ, ფინიკიური „აინ“ ორჯერ იქნა გამოყენებუ-  
ლი ქართულ ასომთავრულსა და ბერძნულ ანბანებში: ბერძნულში  
„ომიკრონისა“ და „ომეგას“ სანარმოებლად, ხოლო ქართულში „ონი-  
სა“ და „ლანის“ სანარმოებლად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფინიკი-

<sup>12</sup> ასო-ნიშნები აღებულია წიგნიდან *The World's Writing System* (1966:91-95).

ური თანხმობანი „აინ“, რომელიც ორგზის იქნა გამოყენებული ბერძნულ ანბანში, ორჯერვე ო ხმოვანს აღნიშნავდა, მაშინ, როდესაც ქართულ ასომთავრულში ო-ს გადმოსაცემად „აინ“ გამოყენებულ იქნა ერთგზის („ონი“), ხოლო მეორედ – ველარული სპირანტის („ლანი“) გამოსახატავად. ფინიკიურში „აინს“ მხოლოდ თანხმოვნის ღირებულება ჰქონდა – ერთ შემთხვევაში ხორხისმიერი მჟღერისა, ხოლო მეორე შემთხვევაში – უკანაენისმიერი მჟღერი სპირანტისა.

შესაბამისად, ფონეტიკური კუთხით, ბერძნულმა ასო-ნიშნებმა („ომეგა“ და „ომიკრონ“) არც ერთ შემთხვევაში არ შეინარჩუნეს ფინიკიური პროტოტიპის ბგერითი სახე, მაშინ, როდესაც ქართულმა ასომთავრულმა თავის სისტემაში მოაქცია როგორც ფინიკიური „აინის“, ისე ბერძნული „ომეგა-ომიკრონის“ ფონეტიკური სახეები. სხვაგვარად, ქართულმა ასომთავრულმა ორი ასო-ნიშნის მეშვეობით („ონი“, „ლანი“) თავის სისტემაში შეაერთა ფინიკიური და ბერძნული ანბანები, – ანბანური წერის განვითარების ეს ორი უმნიშვნელოვანესი საფეხური. ისმის კითხვა:

### *შემთხვევითია თუ არა ეს?*

პასუხს ამ შეკითხვაზე ფინიკიური და ბერძნული ასოების გრაფიკული ვარიანტების შედარებითი შესწავლა იძლევა. ცნობილია, რომ არქაული ფინიკიური „აინი“ და ბერძნული „ომეგა“ წრეს წარმოადგენდნენ; ბერძნული ანბანის აღმოსავლურ და დასავლურ განშტოებებში „ომიკრონისა“ და „ომეგას“ განსხვავებული ფორმებია დაფიქსირებული; კერძოდ, არქაულ ბერძნულში ფიგურირებს „ომიკრონის“ წრიული და მარჯვნივ გახსნილი ნახევარწრის ფორმა, „ომეგას“ გრაფიკა კი წარმოადგენს წრეში ჩახაზულ წერტილს (დასავლურ ბერძნულს „ომეგა“ არ ჰქონდა).

ქართული ასომთავრული „დონის“ ეგზოთერულად დაფიქსირებული გრაფემებია წრე, კვადრატი და რომბი (ცხრ. 66, გვ. 293), მაშინ, როდესაც ეზოთერულად მას გააჩნია „ლანის“ თაღური ფორმა ი, „დალეთის“ სამკუთხედი და ქართულ ასომთავრულში კოდირებული პოტენციური თუ რეალიზებული სიცოცხლის აღმნიშვნელი გეომეტრიული ფორმები – წერტილი და წრეში მოთავსებული წერტილი. სამივე ანბანის გასაანალიზებელ ასო-ნიშანთა გრაფიკის შედარებითი შესწავლისას ორი თვისება იკვეთება: 1) ბერძნულმა „ომიკრონმა“ და „ომეგამ“ ხუთი ფინიკიური ფორმა ზუსტად გადმოიღეს; 2) ქართული ასომთავრული „დონის“ ეგზოთერულ და ეზოთერულ ფორმებს აქვს „ყველა“ ის გრაფიკული ვარიანტი, რომელიც ფინიკიურსა და ბერძნულ ასო-ნიშნებს ახასიათებთ:

ფინიკიური, ბერძნული და ქართული ასო-ნიშნების  
შედარებითი ცხრილი

ფინიკიური		ბერძნული			ქართული			
არქ.	საშ.	არქ.	აღმ.	დას.	დონი		ლანი	ონი
					ეგზოთ.	ეზოთ.		
○	⊃	○	○	○	⊃	⊃	⊃	⊃
⊙	□	⊃		□	⊃	⊃		
∨				◇	⊃	•		
◇		⊙	∩		⊃	⊙		
1	2	3	4	5	6	7	8	9

ჩატარებული კვლევის ფონზე, მოყვანილი ასო-ნიშნების შეპირისპირებითი ანალიზი ახლებურად აშუქებს ქართულ-ბერძნულ ანბანურ ურთიერთობებს, ერთი მხრივ, და ქართულ-ფინიკურს, მეორე მხრივ.

## 6. ქართულ-ფინიკიური ანბანური მიმართებისთვის

ფინიკიური „აინისა“ და ქართული ასომთავრული „დონის“ გამოსახულებების შედარებისას ირკვევა, რომ ფინიკიური „აინის“ ფორმები იმეორებენ ქართული ასომთავრული „დონის“, როგორც ეგზოთერულ, ისე ეზოთერულ ფორმებს (ცხრ. 67, გვ. 294).

წყვილში ႁ-⊃ ფინიკიური „აინი“ ქართველური უჩინარი ღმერთის სიმბოლოს 180°-ით შებრუნებული გრაფემაა. აღნიშნული გრაფიკული გამოსახულებების ურთიერთმიმართება ტრადიციული პალეოგრაფიისთვის ყოველგვარ აზრს მოკლებული მოვლენაა, თუ არ ჩავთვლით მათთვის განმასხვავებელი ფუნქციის მინერას, მაშინ, როდესაც რელიგიური კუთხით განხილვისას შეუძლებელია, მხედველობიდან გამოგვრჩეს ის ფაქტი, რომ „აინი“ ქართველური უხილავი ღმერთის ცნებას ისეთივე ინვერსიული ფორმით ასაიდუმლოებს, როგორც მამა-შვილისა და დედა-შვილის შებრუნებული მოდელები. ამიტომ შეუძლებელია, რომ „აინის“ მონახაზი ႁ შინაარსობრივ დატვირთვას იყოს მოკლებული. ეს ვარაუდი უაღრესად მნიშვნელოვანია და საცნაური ხდება იმ შემთხვევაში, თუ ႁ-ს „დონის“ ვარიანტად და ღანის შებრუნებულ გამოსახულებად მივიჩნევთ. ასომთავრულის ეზოთერიიდან ცნობილია, რომ „ღანი“ „დონის“ დაფარული სახეა. მეტიც, „აინის“ წრიული მოხაზულობა გვატყო-

ბინებს, რომ მისმა შემქმნელებმა შესანიშნავად იცოდნენ „ლანის“ თავდაპირველი წრიული ფორმა, რომელიც ცვლილებების შემდეგ „დონის“ დაფარულ სახედ იქცა (აქციეს).

### ცხრილი 67

ფინიკიური და ქართველური ასო-ნიშნების შედარებითი გრაფიკული ცხრილი

ურთიერთობის სახე	ქართველური	ფინიკიური
ეგზოთერული	⊖	⊙
	⊗	⊠
	⊕	⊡
	⊘	
ეზოთერული	⊙	⊙
	⊠	⊡
	⊖	⊕

თუ არქაული და საშუალო ფინიკიური „აინის“ ფორმების ქართული ანბანის ასო-ნიშანთა („დონი“, „ლანი“) ეზოთერიის პრიზმაში ნაკითხვას შევეცდებით, აშკარა გახდება, რომ არქაული „აინის“ სიმბოლო ⊙ უხილავი „ლანის“ შესახებ გარკვეულ ინფორმაციას მოიცავს; კერძოდ, ფინიკიური „აინის“ წრიული გრაფემა აშკარა მინიშნებაა „ლანის“ საწყისი წრიული, ანუ მზის ფორმის არსებობაზე, როდესაც მსოფლიოს პირველი ანბანის ასო-ნიშნების მოხაზულობა იქმნებოდა.

საშუალო პერიოდის ფინიკიური ფორმა ⊖, რომელიც „ლანის“ ინვერსიული გრაფემაა, აგრეთვე დიდი მნიშვნელობის მატარებელია. ამ პერიოდში მზელმერთი თავისი ხილული ფაზიდან (წრე) უხილავი ღმერთის სტატუსის ფაზაში გადადის. „აინის“ გრაფემა იმასაც გვატყობინებს, რომ ეს პროცესი დიდი ხნის დაწყებული არ არის, რადგანაც წრეს მხოლოდ „ახლახან“ გაეხსნა თავი.

გრაფიკულ მხარეზე დამყარებული ქართველური „ლანის“, „დონისა“ და ფინიკიური „აინის“ შემოთავაზებული ნაკითხვა დასტურდება სხვა გრაფიკულად იდენტური ასო-ნიშნებითა და, უპირველეს ყოვლისა, ბერძნული ასოებით. ფინიკიურ „აინსა“ და ქართველურ „ლანს“ შორის აღმოჩენილი კავშირები ნათელს ჰფენს სემიტური ნიშნების ვარიანტულობას და ქართული ასომთავრული ასო-ნიშნების ეზოთერულ თუ ეგზოთერულ სისტემათა ერთობას. ამიტომ ახლა საჭიროა განვიხილოთ ანბანური დამოკიდებულებანი ბერძნულ „ომიკრონს“, „ომეგასა“ და ქართულ გრაფემებს შორის.

## 7. ქართულ-ბერძნული ანბანური მიმართებისთვის

ქართულ-ბერძნულ სადამწერლობო ნიშანთა მიმართებებში თავიდანვე თვალშისაცემია ის გარემოება, რომ დასავლეთბერძნული „ომიკრონი“ გრაფემის სამივე ვარიანტი (O, □, ◊) ქართული ასომთავრული „დონის“ ეპიგრაფიკულ ძეგლებსა და უძველეს ხელნაწერებში დაფიქსირებულ ფორმებს იმეორებს (იხ. ცხრ. 66). აღმოჩენილი გრაფიკული იგივეობა გამორიცხავს მის შემთხვევით ხასიათს. პირიქით, იგი არაორაზროვნად გვატყობინებს, რომ ის, ვინც ბერძნულ ანბანს ქმნიდა, შესანიშნავად ფლობდა არა მხოლოდ ფინიკიური ანბანის ფორმებს, არამედ ქართული ასომთავრული ნიშნების ხილულ და დაფარულ გრაფიკულ მონაცემებსაც.

ასე მაგალითად, ცხრილი 66 (გვ. 293) გვიჩვენებს, რომ არქაულ ბერძნულ „ომიკრონს“ ორი გრაფიკული სახესხვაობა ჰქონდა. პირველი წრით (O) იყო წარმოდგენილი, მეორე კი – მარჯვნიდან გახსნილი ნახევარწრით (C). პირველი გრაფემა ფინიკიური „აინისა“ და ქართული ასომთავრული „დონის“ იდენტურია, რაც პალეოგრაფებმა ქრონოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით, სავსებით სამართლიანად, ფინიკიური საწყისიდან გამოიყვანეს.

ბერძნული ასო-ნიშნები ქართულ ასომთავრულში არსებულ მხოლოდ ეგზოთერულ მსგავსებებზე არ არის აგებული, რასაც „ომიკრონის“ ნახევარწრითი გრაფემა გვიმხელს. ზევით აღვნიშნეთ, რომ ფინიკიური ასო-ნიშნები მკითხველისთვის განკუთვნილ განსაკუთრებულ ინფორმაციას შეიცავს. ანალოგიური დანიშნულება აქვს ბერძნულ „ომიკრონსაც“, რომელიც ცალკე მდგომ ვარიანტს კი არ წარმოადგენს, არამედ მთლიანი ქართველურ-ფინიკიური და ბერძნული ასო-ნიშნების მწკრივში უნდა ნავიკითხოთ. ითქვას ისიც, რომ ფინიკიური „აინის“ საშუალო პერიოდის გრაფემა ქართული ასომთავრული „დონის“ უჩინარ ღვთაებად გარდაქმნის საწყის ეტაპს ასაიდუმლოებს; ფინიკიური „აინის“ გვერდით რომ დავსვათ, ბერძნული „ომიკრონი“ „აინის“ შემდგომ ფაზას წარმოადგენს: O → C. ცხადია, რომ მზელმერთის „დამალვის“ აქტი საკმაოდ შორს წასული პროცესია. უფრო ზუსტად, ნახევარი გზაა განვლილი, ვინაიდან „ომიკრონის“ გრაფემა 90°-ით არის დაშორებული ფინიკიური „აინის, ანუ მზელმერთის („დონი“) ხილულ სახეს, რომელიც „ლანისკენ“, ანუ უხილავი შემოქმედისკენ მოძრაობს.


ბერძნული, ფინიკიური და ქართული ასო-ნიშნების გრაფიკული მოხაზულობის შეპირისპირება ფარდას ხდის ასომთავრულ ანბანში კოდირებული უზარმაზარი ცოდნის ერთი სეგმენტის, „ლანისა“ და „დონის“ ტოლობის მიზანმიმართული მოდიფიკაციის სემანტიკურ მოტივაციას. ამ მოტივაციის წყაროსთვალს წარმოადგენს ქართული

ასომთავრული ანბანის ასო-ნიშნებში გასაიდუმლოებული ცოდნა. სწორედ ამ ნიადაგიდან აღმოცენდნენ ფინიკიური და ბერძნული გრაფემები. ამიტომ, თუ ვიცით მზელვთაებისა და უხილავი შემოქმედის ხილული სახის ტოლობა, არქაული ბერძნული „ომიკრონის“ ნახევარნიული გრაფემის გასაიდუმლოებული ინფორმაციის ამოკითხვაც ძალზე მარტივი ხდება.

იგივე ითქმის აღმოსავლურ ბერძნულ „ომეგაზეც“ (Ω). „ომიკრონის“ მსგავსად, „ომეგა“ სემიტურ-ბერძნულ-ქართველურ ანბანურ მწკრივში უნდა იქნას განხილული (O-U-C-Ω). აღმოსავლეთ ბერძნული „ომეგას“ უპირველესი მახიათებელი ნიშანია ის, რომ მისი გრაფიკა დაფარვის პროცესის დამთავრებას გვატყობინებს. ოდესღაც ხილული ღმერთი (წრე), რაც სამივე ანბანისთვის ცნობილი ფაქტი იყო (არქაული „აინი“, ბერძნული „ომეგა“), მთლიანად გაუჩინარდა. გაუჩინარების აღწერილი პროცესი ქართულ ასომთავრულ „ლანში“ იმთავითვე, ანუ ანბანის შექმნისთანავე მოცემული ფაქტია, მაშინ, როდესაც ფინიკიური და ბერძნული ასო-ნიშნები ქრონოლოგიის შესაფერის ფაზებს გამოხატავენ:

### ცხრილი 68

#### მზელმერთის ანბანური გზა




ბერძნული „ომეგა“, რომელიც წარმოადგენს ქართული ასომთავრული „ლანის“ (ლ) შებრუნებულ ვარიანტს, მისგან მხოლოდ მცირე დეტალით განსხვავდება. ესაა გვერდებზე წარზიდული ორი ჰორიზონტალური მონაკვეთი. აღნიშნული გრაფიკული დეტალი, პალეოგრაფიული თვალსაზრისით, მხოლოდ იდენტურ ნიშანთა განმასხვავებელი ატრიბუტია, მაშინ, როდესაც წარმოდგენილი კვლევის ფონზე, იგი უზარმაზარი ინფორმაციის დამტვევია. იმის გამო, რომ ბერძნული „ომეგა“ ფინიკიური U ნიშნისა და ქართველური N-ის მენყვილეა, ორი ჰორიზონტალური ხაზი ვერც ერთი ასოდან ვერ გადაეცემოდა „მემკვიდრეობით“, რადგან იგი არც ერთი მათგანის გრაფიკაში არ ფიგურირებს. ერთადერთი არქეტიპი, რომლისგანაც „ომეგას“ ჰორიზონტალური ხაზების „სესხება“ შეეძლო, არის

ქართული ასომთავრული „დონი“ (ⴓ), მაგრამ არა მისი ზაფხულის ნაბუნობის ფაზაში, არამედ მისი ქვედა კულმინაციის სტადიაში Ω, როდესაც ეკლიპტიკის აღმნიშვნელი ჰორიზონტალური ხაზი მზედონს ქვევიდან საზღვრავს. შესაბამისად, „ომეგას“ ორი მოკლე ჰორიზონტალური ხაზი „დონის“ მთლიანი ჰორიზონტალური ნრფის ფრაგმენტია, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ფინიკიური, ბერძნული და ქართული ასო-ნიშნების შექმნას მზის მოძრაობის ასტრონომიულ ცოდნაზე დაყრდნობით. თუ ქრონოლოგიური მოსაზრებების გამო ქართულ ასომთავრულ „დონს“ აღნიშნული პროცესებიდან გამოვითიშავთ, იკარგება „ომეგას“ გრაფიკის ამხსნელი ერთადერთი გრაფემა და ის ასტრონომიული საფუძველი, რომელზეც ასო-ნიშნთა ცვლილებების მთელი ჯაჭვია აგებული. ქედან გამომდინარე, მხოლოდ „დონის“ ზედა ჰორიზონტალურ ხაზს შეეძლო შეექმნა „ომეგას“ იმგვარი მოხაზულობა, რომელიც დონ-ლანის ხილულიდან უხილავ მდგომარეობაში გადასვლას აღნიშნავდა:

### ცხრილი 69

დონ-ლანის ხილულიდან უხილავ ფაზაში მოძრაობა



ცხრილი მკაფიოდ აჩვენებს, რომ ქართული ასომთავრული „ლანი“ (ⴖ) და მისი ბერძნული „პროტოტიპი“ გრაფიკულად ოდნავ განსხვავდებიან. „დონის“ გარდასახვას, თავისი წარმომავლობის კვალის დასაფარავად, კიდევ ერთი ნაბიჯი აქვს გასაველელი – ესაა „დონის“ ზედა ჰორიზონტალური ხაზის „ნარჩენები“. ეს ნაბიჯი ქართულ ასომთავრულ „ლანში“ უკვე გადადგმულია და „დონის“ ჰორიზონტალური ხაზის კვალი მთლიანად გამქრალია – ღმერთის მზიური სახე გაუჩინარებულია; იგი ოდნავ შესამჩნევიც კი არ არის. სამყაროს ხილული შემოქმედი უხილავ ღვთაებად გადაიქცა.<sup>13</sup> ამიტომ, აღმოსავლურ-ბერძნული „ომეგა“ არა მხოლოდ ხილულიდან უხილავ ფაზაზე გადასვლას აღნიშნავს, არამედ, აგრეთვე, გარდამავალი საფეხურია „დონიდან“ „ლანისკენ“, – ცოდნა, რომელსაც ბერძნული ანბანი საიდუმლოდ ინახავდა დღემდე.

ვინაიდან ქართული ასო-ნიშნები ასტრონომიულ ფენომენებზეც მიუთითებენ, ტრანსფორმაციის წარმოდგენილი ჯაჭვი ასტრონომიულადაც იკითხება. „დონი“, როგორც მრავალჯერ იქნა ხაზგას-

<sup>13</sup> „ომეგასა“ და არქაული ბერძნული ტ ასო-ნიშნის (ფინიკიური „ტიტ“ – „ბურთი“) იგივეობაზე არ შეეჩერდებით, რადგან ძლიერ შორს ნაკვიყვანს.



მული, ზაფხულის მზებუდობის ხატია; ზედა ჰორიზონტალური ხაზი მისი მოძრაობის ზედა მიჯნას აღნიშნავს. ბერძნული „ომიკრონის“ სიმბოლოში მზემ ეკლიპტიკის  $\frac{1}{4}$  მანძილი დაფარა, ანუ დღელამსწორობის ფაზაში შევიდა. მისი ტიპის დასადგენად გვჭირდება ასტრონომიული, რელიგიური და ისტორიულ-კულტუროლოგიური მონაცემების ინტეგრირებული განხილვა. გავიხსენოთ, რომ „აინ“ (U) ქართული ასომთავრული „ლანის“ ინვერსიული ფორმაა. რელიგიური კუთხით, „ლანი“ ქართველთა ზეციური უჩინარი ღმერთია, ანუ მზეღმერთია თავისი კულმინაციის უმაღლეს ფაზაში. „აინ“ (U) კი – პირიქით, წარმოადგენს მზის ქვედა, ანუ ზამთრის კულმინაციას ეკლიპტიკის ნიშნის გარეშე და უჩინარი შემოქმედის ქვესკნელური ხატია. ახლა, თუ ზამთრის ნაბუნობიდან, როგორც საწყისი წერტილიდან, მზის მოძრაობას განვიხილავთ მის შემდგომ ფაზამდე  $U \rightarrow C$ , აღმოჩნდება, რომ მზე სწორედ  $1/4$  მანძილს ფარავს. მაშასადამე, ბერძნული „ომიკრონი“ გაზაფხულის დღელამსწორობის ასტრონომიული ხატია. ამ ფაზის გამოჩენა ფრიად მნიშვნელოვანი და ინფორმაციული ფაქტია, ვინაიდან ორივე ასო – სემიტური „აინ“ (U) და ბერძნული „ომიკრონი“ (C) – კაცობრიობის კულტურული განვითარების ისტორიაში ანბანური განათლების პირველსა და ამავე დროს, ნაყოფიერ პერიოდებზე მიუთითებენ. „ომიკრონის“ (C) მიერ შემდგომი გადადგმული ნაბიჯი არის „ომეგა“, სადაც უჩინარმა „ლანმა“ თითქმის მთლიანად ჩამოიფარა საბურველი.

ფინიკურ-ბერძნული ასტრონომიული და კულტუროლოგიური ცოდნის საპირისპიროდ, ქართულში, ორსახა მზის ეკლიპტიკაზე მოძრაობის მხოლოდ ერთი ფაზაა მოცემული: მზის ხილული სახე მის უმაღლეს კულმინაციაშია და, ამდენად, მზე თავისი ბრწყინვალეების ზენიტშია. მთლიანობაში კვლევა შუქს ჰფენს ფრიად საინტერესო სურათს, რომელიც ანბანური დამწერლობის დაბადებასა და განვითარებას სრულიად მოულოდნელი კუთხით წარმოგვიდგენს. ამკარა ხდება, რომ ქართულში „დონსა“ და „ლანს“, როგორც მზის ზაფხულის ნაბუნობის ასტრონომიული ცოდნის კოდირებულ ფორმებს, მოდიფიკაცია არასდროს განუცდიათ; ყველა ფორმა მათი შექმნისას განისაზღვრა და დაფიქსირდა, – ფაქტი, რომელიც წარმოდგენილი ანალიზის მიხედვით, მნიშვნელოვნად უსწრებდა წინ ფინიკური ანბანის შექმნას. გრაფიკული, აკროფონიული, ასტრონომიული და ეზოთერული კავშირების მიხედვით, ჩრდილო სემიტური ანბანი ქართული ასომთავრულის უჩინარ გაგრძელებას და ხილული დამწერლობის სისტემის ხელახალ დასაწყისს წარმოადგენს. ნებისმიერი ცვლილების ამკრძალავი მიზანმიმართულად შექმნილი მკაცრი კანონების წყალობით, სემიტურმა მკვდარმა ანბანმა შეძლო, შეენარჩუნებინა თავისი კონტაქტები ქართულ ასომთავრულთან. აი,

რატომ იწყებენ და ამთავრებენ ქართული ასომთავრული „დონი“ და „ლანი“ ანბანური განვითარების ასტრონომიული ასპექტის ხანგრძლივი ისტორიის ჯაჭვს!

კულტურულ და რელიგიურ დონეზე ჩვენ მოწმენი ვართ, თუ როგორ გადადის ხილული დიდი ღმერთი, მბრწყინავი ღვთაება, ქვესკნელურ სამყაროში და ხდება ქვესკნელის მზეღმერთი, რომელიც „აინისა“ და „ომეგას“ სიმბოლოებით არის გამოხატული. ქართველური წარმართული მრწამსის მიხედვით, ეს ღმერთი „მკვდრის მზეა“, რომელიც თავის აღდგენას ელოდება. ამგვარი ფაქტი მარტივად და ნათლად არის გადმოცემული ასო-ნიშანთა გრაფიკაშიც.

ახლა კვლევის სფეროში შემოვიტანოთ არქაული ფინიკიური „აინი“ (⊙) და ბერძნული „ომეგა“ (⊙). ორივე ასოს გრაფიკა და მასში ჩაქსოვილი კოდირებული ინფორმაცია ქართული ასომთავრული დონის მათემატიკური, გეომეტრიული და ეზოთერული სისტემის ფარგლებში ძვეს. ამიტომ, წერტილისა და წრის ტოლობა-განსხვავების შესახებ არსებული ცოდნის წამოწევა სწორედ „დონსა“ და „ლანზე“ დაყრდნობით არის შესაძლებელი. როგორც ვიცით, „დონი“ არის ერთი, ანუ წერტილი და ყოველივეს, ანუ უფორმო სიცოცხლის (⊙) საწყისი, მაგრამ „დონი“ წრეც არის, ვინაიდან წრე წერტილის რადიალურად განვრცობილი სახეა; წერტილი კი რეალიზებული სიცოცხლის ახალი საფეხურის მაჩვენებელია. უდავოა, რომ არქაული „ლანი“ და „ომეგა“ უხვ ინფორმაციას გვანვდიან, თუკი მის ნაკითხვას შევძლებთ!

წარმოდგენილ შედარებით ანალიზზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ფინიკიური და ბერძნული ასო-ნიშნები თავისი ქართველური წარმომავლობის იმავე ამბავს მოგვითხრობენ, რასაც აქამდე გაანალიზებული ყველა ენობრივი ერთეული. სემიტური და ბერძნული გრაფემები მათ შორის არსებულ გრაფიკულ მსგავსებებს (წრე, წერტილითა და მის გარეშე, ნახევარწრე, კვადრატი, რომბი) უბრალო გეომეტრიული მსგავსებებიდან არაჩვეულებრივად რთულ შინაარსობრივ სიმბოლოებში გარდასახავენ. ეს სიმბოლოები ქართულ ასომთავრულ ანბანში კოდირებული უძველესი ცოდნიდან მომდინარეობენ. აღნიშნული ცოდნა არის ჭეშმარიტი მიზეზი იმისა, რომ განხილული ასო-ნიშნები დეკოდირებას მხოლოდ ამ უძველესი სიბრძნის ფონზე ექვემდებარებიან.

ბერძნული „ომიკრონისა“ და „ომეგას“ ქართველურ წარმომავლობასთან კავშირზე დამატებით ორიოდ სიტყვა მათი ფონეტიკური ღირებულების შესახებაც უნდა ითქვას. საჭიროა გავიმეოროთ, რომ ფინიკიური „აინი“ მხოლოდ თანხმოვანი იყო, მაშინ, როდესაც მისგან წარმოიშობებოდა ბერძნული „ომიკრონი“ და „ომეგა“ ხმოვნებს წარმოადგენენ. ამის საწინააღმდეგოდ, ქართული ასომთავრული „ლანი“



რებლები დიდებულად ფლობდნენ ასომთავრული ანბანის ეგზოთერულ და ეზოთერულ ასპექტებს. მათ შესანიშნავად უნყოდნენ დიდი ღმერთის არსებობა, რომელმაც დასაბამი მისცა სამყაროს, განათლება უბოძა ხალხს და ხელენიფებოდა ყოველივე შექმნილის განადგურებაც. სწორედ ეს გზა განვლეს ფინიკიურმა ასო-ნიშნებმა („ალეფ“, „დალეთ“, „აინ“) და იმავე ბედის მოზიარენი არიან ბერძნული წარმონაქმნებიც. ბერძნული „ომიკრონისა“ და „ომეგას“ გაიგივება ქართულ „დონსა“ და „ლანთან“ ააშკარავებს ბერძნული ასოების წარმომავლობას ქართველური ასო-ნიშნების ვარიანტებიდან; ბერძნული ასოები მემკვიდრეობით ლებულობდნენ მათ არქეტიპებში კოდირებული სიბრძნის ნაწილს. „ომეგამ“, ქართულ ნიშნებთან თავისი კავშირები რომ ეჩვენებინა, შეინარჩუნა ორი მცირე ჰორიზონტალური ხაზი „დონის“ დაფარული, გასაიდუმლოებული სახიდან, ხოლო ნახევარწრის მონახაზი კი „ლანისგან“. ამიტომ, ბერძნული „ომიკრონი“ და „ომეგა“ შექმნილია არა ფინიკიური „აინის“ საფუძველზე, არამედ ქართული ასომთავრული „დონისა“ და „ლანის“ გრაფიკული თუ ფონეტიკური ასპექტების გამოყენებითა და მათში დამალულ საიდუმლო ცოდნაზე დაყრდნობით. „ომეგა“ იმიტომ კი არ ზის უკანასკნელ ადგილზე, რომ ქრონოლოგიურად გვიან იყო შემოღებული, არამედ, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ დაესრულებინა გრაფიკული მრავალფეროვნების გადმოღება და მათი მეშვეობით გაესაიდუმლოებინა ბერძნული, სემიტური და ქართული ანბანების ნათესაობა. აქედან გამომდინარე, ფინიკიურის მსგავსად, ქართული წყვილები, რომლებმაც შექმნეს ბერძნული ასოები, კლავენ თავიანთ ორეულებს. მიუხედავად ამისა, ამ შემთხვევაშიც, ბერძნული „ომეგასა“ და „ომიკრონის“ სიკვდილი (ისე, როგორც „ალეფისა“ და „დალეთის“ კვდომა) სამგლოვიარო ამბავი კი არ არის, არამედ ხარებაა, რადგანაც ამ სიკვდილს მათი ქართველური წარმომავლობით განპირობებული ღვთაებრივი აღდგომა მოსდევს. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ასო-ნიშანათა გარეგნული მსგავსებების მიერ დაგებულ მახეს მთელი პალეოგრაფიული მეცნიერება „წამოეგო“.

ჩატარებული კვლევა კიდევ უფრო შორს მიმავალ დასკვნებს გვთავაზობს როგორც ბერძნულ, ისე ფინიკიურ ანბანთან მიმართებაში. კერძოდ, ფინიკიურ ანბანთან დაკავშირებით ფარდა ეხდება ერთ-ერთი კარდინალური საკითხის საიდუმლოს – ასო-ნიშანთა დალაგებისა და სახელდების პრინციპების მისტერიას. „სემური ანბანის მწკრივი არსებულ რიგზე, რასაკვირველია, შემთხვევით არ არის დალაგებული, მაგრამ ახლა დანამდვილებით ძნელი სათქმელია, თუ რა მოსაზრებით, ან გარემოებით ხელმძღვანელობდნენ ამ მწკრივის შემდგენლები“ (პატარიძე 1980:262).

წარმოდგენილი კვლევის საფუძველზე შეიძლება დაბეჯითებით

ითქვას, რომ ფინიკიური ანბანის ასო-ნიშანთა დალაგებისა და სახელდების პრინციპები, ყოველ შემთხვევაში, გაანალიზებული გრაფემებისა მაინც ('Aleph, 'Ain, Daleth), მთლიანად ქართული ასომთავრული ანბანის სისტემაში კოდირებულ ეგზოთერულ და ეზოთერულ სისტემებზეა დამყარებული და დამოკიდებული. ამიტომ, გასაგებია, რომ ფინიკიურ ანბანში არც ერთი ასოს გამოტოვება ან ადგილის შეცვლა არ შეიძლებოდა. უმცირესი ცვლილებაც კი დამანგრეველი აღმოჩნდებოდა ანბანებს შორის არსებული კავშირებისთვის, ვინაიდან ნაიშლებოდა ხილვადი ჯაჭვი და მასთან ერთად გაქრებოდა მომავალი თაობებისთვის გამიზნული კოდირებული ინფორმაცია. ეს არის მიზეზი იმისა, რომ, თალმუდის მსგავსად<sup>14</sup>, ასო-ნიშნების დამატება ან ამოღება მკაცრად იყო აკრძალული. ცვლილებების აკრძალვა ანბანში წარმოშობის წყაროსთან არსებული მსგავსებების შენარჩუნებისთვის იყო გამიზნული. განასხეულეს რა წმინდა პალეოგრაფიული (ხილული) და დაფარული სემანტიკური ურთიერთობები საწყისსა და მისგან წანარმოებ ანბანებს შორის, სამივე ანბანის (სემიტური, ბერძნული, ქართული ასომთავრული) შემქმნელებს საშუალება მიეცათ, თავიანთი უდიდესი საიდუმლო 4000 წლის მანძილზე შეენახათ.

ალბათ დამწერლობათა სისტემების სწორედ აღწერილ ურთიერთობას გულისხმობდა „ქებაჲს...“ ავტორი, როდესაც წერდა: „ყოველი საიდუმლოჲ ამას ენასა შინა დამარხულ არს“ (იოანე ზოსიმე).

საინტერესოა, რომ ამგვარ ინტერპრეტაციას მხარს აძლევს „ქებაჲს...“ სხვა სტროფებიც, რომლებიც ანალიზში გამოყენებულ საკრალურ რიცხვებს იმეორებენ. შდრ.: „წილი ზის, რომელი ასოჲ არს, და იტყვს ყოვლად ოთხ ათასსა... და ესე არს ოთხი დღეჲ... რამეთუ: წელი ათასი - ვითარცა ერთი დღეჲ“.

მართალია, „ქებაჲს...“ ოთხის ტოლფას 4000 წელზე საუბრობს, რომელიც წილის რიცხვითი მნიშვნელობაა, მაგრამ შეუძლებელია ეს ინფორმაცია ქართულ ასომთავრულ „დონს“, სემიტურ „აინსა“ და ბერძნულ „დელტას“ არ დავუკავშიროთ, რადგან მათი ანბანური რიგიც 4-ის ტოლია. ასევე, „ქებაჲს“ ყოვლის მომცველი ოთხი მოიცავს 22-საც, რამეთუ იგი არის მთლიანი ფინიკიური ანბანის ასო-ნიშანთა რიცხვი ( $22=2+2=4$ ), რომ არაფერი ვთქვათ ყველა იმ შემთხვევაზე, რომელიც კვლევის სფეროში იქნა შემოტანილი.

წარმოდგენილ კვლევასა და „ქებაჲს“ შორის არსებული კავშირი ოთხისა (4) და ერთის (1) ტოლობითაც მყარდება, ვინაიდან იგი „დონის“ ანბანური რიგისა (4) და მისი ერთ-ერთი ეზოთერული მნიშვნელობის (1) ერთებას აცხადებს. გავიხსენოთ, რომ 1 (წერტილი) „დო-

<sup>14</sup> თალმუდში „თუნდაც ერთი ასო-ნიშნის გამოკლება ან დამატება ქვეყნის აღსასრულის მომასწავებელია“ (პატარიძე 1980:132).

ნის" გრაფიკაში გასაიდუმლოებული გაუფორმებელი სიცოცხლეა, წრე კი – ნერტილის სივრცული განფენაა, მათემატიკური ერთი (1). არც ის დაგვაინწყდეს, რომ 4 პირველი „მშობიარე“ რიცხვია (4:2=2) და იმავე ინფორმაციას გვაწვდის.


ნაჩვენები მსგავსებები, კავშირები და ურთიერთმიმართებები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ უძველესი ქართველური აკადემიის რიგებში იყვნენ ხელდასხმული ქურუმები, რომლებიც ფლობდნენ და განაგებდნენ მრავალისთვის მიუწვდომელ ძველ-თაძველ ცოდნას. ცხოვრების სხვადასხვა სფეროს გარდა (გავიხსენოთ ქართველური სამგლოვიარო სამოსი და არქიტექტურა), ეს ცოდნა კოდირებულ იქნა ანბანში და გამიზნული იყო მომავალი დეშიფრირებისთვის. „ქება და დიდება ქართულისა ენისაჲს“ შემქმნელები, რომლებიც აღნიშნული კასტის წევრებს წარმოადგენდნენ, ღია ტექსტით გვატყობინებენ, რომ ქართველურ ფენომენში დამარხული საიდუმლო აუცილებლად უნდა გამოვიდეს სამზეოზე, ვინაიდან

„ნუუკუე გეშინინ მათგან,  
რამეთუ არა არს დაფარული,  
რომელი არა გამოჩნდეს, და  
არცა საიდუმლოჲ,  
რომელი არა გამოცხადნეს“

(მათე 10:26, ქართული ოთხთავის ბოლო ორი რედაქცია, თბ., 1979; ხაზგასმა ჩვენია – ა. მ.).

## 8. ქართული ასომთავრული დონი და სხვა ანბანები

ქართულ ასომთავრულ ანბანში ეზოთერული სისტემების კოდირების სხვა დამატებითი ფაქტებიც არსებობს. ფრიად საინტერესოა აღინიშნოს, რომ ევროპისა და ჩრდილოეთ აფრიკის ვრცელ ტერიტორიაზე მიმოფანტულ წარწერებში ვხვდებით ასო-ნიშნებს, რომლებიც ქართული ასომთავრული „დონის“ გრაფიკული ფორმების მთელ რეპერტუარს იმეორებენ: წრე, კვადრატი, რომბი, ნერტილი, წრეში ჩახაზული ნერტილი და ასე შემდეგ. მსგავსი ასო-ნიშნები არაორაზროვნად გადმოსცემენ „დონში“ გასაიდუმლოებული უძველესი ეზოთერული ცოდნის გარკვეულ მონაკვეთებს, მით უმეტეს, რომ, ძირითადად, ისინი ერთი და იმავე, ხშირად დაუდგენელი წარმომავლობის ანბანის, ფარგლებში გვხვდებიან. მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ ნერტილის, წრის, კვადრატის, რომბისა და მათი კომბინაციების გამოყენება ადრეულ ანბანებში. სურ. 21 (გვ. 304) წარმოგვიდგენს ძვ. წ. 14 ს. დათარიღებულ ქანაანურ წარწერებს, სადაც ასო-ნიშნების გრაფიკულ მოხაზულობაში, განსაკუთ-



სურ. 21. ადრეული ქანაანური წარწერები. 6: ბეთ შემეშ ოსტრაქონის წარწერა, ძვ. წ. 1500-1250 წწ. (Diringer II 1968:150).

რებით ბეთ შემეშ ოსტრაქონის წარწერის „აინის“ მოხაზულობაში, გამოსჭვივის ცოდნა ნერტილისა თუ წრის გეომეტრიული იგივეობისა და მათი რელიგიური სიმბოლიკის შესახებ.

წამოყენებულ დებულებას მხარს უმაგრებს ისიც, რომ ქანაანური დამწერლობის ნიმუშები ერთადერთ მაგალითს არ წარმოადგენენ. მათ გვერდს უმშვენიებენ არაბული, ბერბერული, იბერიული, ლიბიური და იტალიური დამწერლობები. თამუდურში (ჩრდილო არაბული) რამდენიმე ასო-ნიშანს ვხვდებით „დონის“ გამოსახულებით:

### ცხრილი 71

#### დონის გრაფიკის მქონე არაბული ასო-ნიშნები<sup>15</sup>

ანბანი	ფონეტიკური ლირებულება	ნიშანი
პეჯარ (თამუდური)	g	○ ◻
თაბუკ (თამუდური)	g	⊙
დედანური	f	▷
ვიანი ლიპიანური	f	⊂
თეიმა (თამუდური)	f	○ ◻
პეჯარ (თამუდური)	f	ღ

<sup>15</sup> ცხრილში გამოყენებულია მასალა ნიგნიდან *World's Writing Systems* (1996:99).

ნათელია, რომ „დონის“ შემქმნელებს მისი მთლიანი გრაფიკული სისტემა გამოუყენებიათ. სანიხაალმდეგოს დაშვება შეუძლებელია, ვინაიდან „დონის“ ვარიანტები ქართულში ერთ მთლიან სისტემას ქმნიან, ხოლო სხვადასხვა ანბანში გაბნეული იდენტური ნიშნები ნანილის სახით მიემართებიან მას. მეტიც, ყოველგვარ ლოგიკას ენინაალმდეგება ის ფაქტი, რომ კოსმიური ცოდნის ისეთი ჰარმონიულად აგებული სტრუქტურა, როგორც ეს ქართულ ასომთავრულშია, სხვადასხვა სისტემებიდან ნახესხები ელემენტების ერთობლიობას წარმოადგენდეს.

ახლა ლიბიურ (რომაული პერიოდი) და იბერიულ ანბანებს (ძვ. წ. IV-V სს.) მივმართოთ. ამ უკანასკნელის წარმომავლობა ჯერაც უცნობია და მხოლოდ პირობითად არის მიჩნეული ფინიკიურის განშტოებად (Diringer I 1968:192). ვფიქრობთ, ფრიად მთამბეჭდავი და დამაფიქრებელია ქართულ ასომთავრულ „დონში“ დაუნჯებული ეზოთერული ცოდნის ისეთი ამკარა და დამამტკიცებელი საბუთი, როგორც უძველეს პუნურ, ანუ კართაგენურ „აინში“ ( 𐤀 𐤁 𐤂 ), ძველ ლიბიურ b-სა ( 𐤁 𐤂 ) და r-ში ( 𐤁 𐤂 ), ტიფინაგურ b-ს ( 𐤁 𐤂 ), s-სა ( 𐤁 𐤂 𐤁 ) და r-ში ( 𐤁 𐤂 ), აგრეთვე ჩრდილო იბერიულ „აინშია“ ( 𐤁 𐤂 𐤁 ) მოცემული.

### ცხრილი 72

#### დონის ეზოთერული ფორმები სხვა ანბანებში


პუნური კართაგენური	ძველი ლიბიური		ტიფინაგური			ჩრდილო იბერიული
'აინ	ბ	რ	ბ	ს	რ	'აინ
𐤀	⊙	○	○	⊙	○	○
𐤁		◻	◻	◻	◻	⊙
○				◻		◻

გამოყენებული გრაფიკული ფორმები – ნერტილი, წრე, ნახევარწრე, კვადრატი, რომბი, ნერტილიანი წრე – ქართული ასომთავრული „დონის“ ეგზოთერული და ეზოთერული ფორმებია.

ქართული „დონის“ გრაფიკული მრავალფეროვნება პრეისტორიის კიდევ უფრო სიღრმისეული შრეებისკენ მიგვიძღვება, – შუა ქვის ხანის დაუჯერებლად შორი პერიოდისკენ. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, დამწერლობის ელემენტები პრეისტორიულ გეომეტრიულ ნიშნებში უნდა ვეძებოთ. ასე მაგალითად, ვ. მ. ფლინდერსის თეორიის შესაბამისად, პრეისტორიული გეომეტრიული ნიშნები ანბანის წარმოშობის წყაროა (სურ. 22, გვ. 306). შმანდტ-ბესერატის მიხედვით, დამწერლობის სათავეები ახლო აღმოსავლეთში აღმოჩე-



ნილი ბულალტრული აღ-  
რიცხვის სანარმოებელ პა-  
ტარა სათვალავ კენჭებში  
უნდა ვეძიოთ, რომლებიც  
ძვ. წ. 8000-7500 წწ. თარ-  
ილდება (Schmandt-Besserat  
1977; 1978; 1981).



სურ. 22. გეომეტრიული ნიშნები პრეისტო-  
რიული ხანის შეფერილ კენჭებზე მას დაზილი-  
დან, სამხრეთი საფრანგეთი (Diringer II 1968:1).

როგორც იტყვიან,  
კომენტარი ზედმეტია! ად-  
ვილად შეიმჩნევა საფრან-  
გეთსა და პორტუგალიაში  
ნაპოვნ შეფერილ კენჭებ-  
ზე „დონის“ გრაფიკა: წრე  
ჩახაზული ნერტილით (ხა-  
ზი 1), „ლანის“ იდენტური  
მოხაზულობა (ბოლო ხა-  
ზი), სამკუთხედი და ისეთი

რთული ასო-ნიშანიც კი, როგორც „კარია“ (ხაზი 5). კიდევ მრავლად  
შეიძლება მსგავსი ნიმუშების მოყვანა, მაგრამ, ვფიქრობთ,  
ილუსტრირებული მასალა სავსებით საკმარისია წამოყენებული დე-  
ბულების ნათელსაყოფად: ქართული ასომთავრული ასო-ნიშნები  
წარმოადგენს უძველესი ცოდნის კოდირებულ სიმბოლოებს.

შეკითხვების რაოდენობა კვლავ მატულობს:

*რატომ უნდა ყოფილიყო დასახელებულ ანბანებში ნერტილის,  
წრის და კვადრატის ისეთი შერწყმა, რომელიც მხოლოდ ქართულ  
ასომთავრულ დონშია კოდირებული?*

*ვის ეკუთვნოდა ცოდნა, რომელიც პრეისტორიული გეომეტ-  
რიული ნიშნებიდან მოყოლებული ეგვიპტური იეროგლიფების, ხე-  
თური, კრეტული პიქტოგრამებისა და პროტოსემიტური, სემიტური,  
არაბული, ლიბიური, იბერიული და სხვა დამწერლობების გავლით  
ბერძნულამდე იქნა მოტანილი, რომელმაც საბოლოოდ დაკარგა  
იგი?*<sup>16</sup>

აღნიშნული ცოდნა არქაულ ბერძნულს ერთ კი არა, არამედ ორი  
ასოს გრაფიკაში ჰქონდა კოდირებული, მაგრამ სახელდების აკრო-

<sup>16</sup> იდენტური ნიშნები მოიძებნება სხვა ხალხების ანბანებშიც; მაგალითად, ეტ-  
რუსკულში; ჩინელებსაც გააჩნდათ მზის აღმნიშვნელი წრითა და კვადრატით  
წარმოდგენილი სიმბოლო, რომელმაც ამ ერთიანობის ცნება დღემდე შეინარ-  
ჩუნა (Diringer II 1968:93). იხ. აგრეთვე ა. მესხი, *სეანური გუდრას ლინგვისტური  
ანალიზი და ქართველურ-ეგვიპტური იგივეობანი, საენათმეცნიერო ძიებანი*, X,  
თბილისი, 2000.

ფონიული პრინციპიდან, პირობით, ანუ ფონეტიკურ პრინციპზე გადასვლით, აღნიშნული ინფორმაცია დაკარგა. სწორედ ასეთმა ინფორმაციულად და ცოდნისმიერად დაშრეტილმა ბერძნულმა ანბანმა ასაზრდოვა მთელი რიგი თანამედროვე ანბანები.

ცოდნა წრის, კვადრატისა და წერტილის გეომეტრიულ ერთეობაზე, ერთი მხრივ, და მათ ჰარმონიულ რიცხობრივ შესაბამისობაზე, მეორე მხრივ, დაფარული სახით მხოლოდ ქართულ ასომთავრულ „დონშია“ შემორჩენილი. ამიტომ, თუ ვინმემ იცის „დონის“ ეზოთერია, ის შეძლებს, ყველა მოცემული გამოსახულებიდან, ამოიკითხოს ცოდნა წერტილიანი, წრიული და კვადრატული ერთების შესახებ, მიუხედავად მათი დიდი გეოგრაფიული მასშტაბებისა და დროში განსხვავებისა. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ანბანის შემქმნელები ფლობდნენ ეზოთერულ მეცნიერულს და კულტუროლოგიურ ცოდნას, რომელიც განსხვავებული დამწერლობის სისტემებს შორის გეომეტრიული ნიშნების სახით იყო დანაწილებული. ამ ანბანური და ინფორმაციული მრავალგვარობის სათავე ქართული ასომთავრული „დონის“ პოლივალენტური გრაფიკა გახლავთ.

მკითხველი ადვილად მიხვდება, რა უკიდევანო მასალის კვლევა-ძიებასთან გვაქვს საქმე, სანამ ქართული ასომთავრული ანბანის გრაფიკული, მათემატიკური, ასტრონომიული, ასტროლოგიური და რელიგიური ასპექტების შესახებ ამომწურავი ინფორმაციის საფუძველზე მიღებული უძველესი ცოდნის მთლიანი სისტემა ნაშრომის სახით ჩამოყალიბდება და მეცნიერების, დროისა და მის სამსჯავროზე დაიდება. ამიტომ ამაზე მეტს აღარ შევჩერდებით და მხოლოდ ზოგიერთ დასკვნას შემოგთავაზებთ:

ქართული ასომთავრული „დონი“ ერთგზის ერთია და მისი შესაბამისი გეომეტრიული სიბრტყე წერტილია. ორგზის „დონი“ 10-ია, წრეა და წერტილის სივრცული განვითარების თვისებრივად ახალი ფაზაა; სხვაგვარად, დონი განვითარებაში მყოფი წერტილია. „დონის“ გრაფიკაში სიცოცხლის გაუფორმებელი სტადია განვლილი ეტაპია, რითაც ღია სახით არის მოწოდებული ინფორმაცია ქართველური ფენომენის თვისებრივად ახალი სიცოცხლის შესახებ, მაშინ, როდესაც, დამალული სახით, მასში საწყისის, გაუფორმებელი სიცოცხლის ცოდნა და სიმბოლიზმიც დევს.

სამგზის ქართული ასომთავრული „დონი“ არის სამი და მისი შესაბამისი სივრცული ფორმაც სამკუთხედიანია. აღნიშნული რიცხობრივ-გეომეტრიული მახასიათებლები დაფარულია. თუ რიცხვი სამი უშუალოდ „დონის“ გრაფიკულ მახასიათებლებთან არის დაკავშირებული (წრიულ-ხაზობრივი გრაფემების 3 შვიდეული), იგივე 3-ის შესაბამისი გეომეტრიული სიბრტყე პითაგორულ თეორიას ორი საშუალებით უკავშირდება: საკუთარი ანბანური სისტემით და ფინიკი-

ურ „დალეთ-თან“ ზიარებით. ამ აქტით ქართულ ანბანურ სამყაროში შემოდის ფინიკიური ანბანის პრიზმაში გატარებული ქართულ ასომთავრულ ანბანშივე კოდირებული უძველესი მათემატიკურ-გეომეტრიული და კულტუროლოგიური ცოდნის გარკვეული ნაწილი.

ამიტომ ფინიკიური ასო-ნიშნის ქართულ ასომთავრულთან შერწყმა ჩრდილო-სემიტურ „დალეთს“ სრულიად განსხვავებულ შინაარსობრივ დატვირთვას აძლევს. იგი უბრალო „კარიდან“ ღვთაებრივ კარიბჭედ გადაიქცევა; ახლად შთაბერილი სიცოცხლე ახლებურად ამეტყველებს სემიტურ ასოს, ვინაიდან პირობითად მიჩნეული სახელდება – „კარი“ ისტორიული სინამდვილის გადმოცემას იწყებს: ფინიკიურმა ანბანმა კაცობრიობა ანბანურ სიბრძნეს აზიარა, მისცა ანბანური დამწერლობა – უმაღლესი საფეხურის ცივილიზაციის არსებობის უპირველესი წინაპირობა (Diringer I 1968:160).

იკვებება საოცარი პარალელიზმი ქართულ „დონსა“ და ფინიკიურ „დალეთს“ შორის: „დონი“, როგორც დაფარული ღმერთის მიერ შექმნილი დაუსაბამო სიცოცხლის სიმბოლო, მასში მოცემული საწყისისა და განვითარების ფაზებით (ნერტილი და ნრე), და ფინიკიური „დალეთი“, როგორც ანბანური სიცოცხლის, კაცობრიობის წიგნიერების დასაბამის სიმბოლო (3 = სიცოცხლის პირველი კონკრეტული გამოვლენა).

ჩამოყალიბებულ ჰარმონიაში გარკვეული წვლილი მიუძღვის ბერძნულ „ომიკრონსა“ და „ომეგასაც“, რომლებმაც, მართალია, უარყვეს ის შინაარსობრივი პლანი, რომლითაც ქართული ასომთავრული და ფინიკიური ანბანი მზის ღმერთის კარის ცნებას აშენებენ, მაგრამ თავის მონახაზში გაასაიდუმლოეს ასომთავრული „დონის“ ანბანური განვითარების გზა ფინიკიურიდან მსოფლიოს ანბანებამდე ბერძნულის გავლით და უკან – ქართული ასომთავრულისკენ.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ფინიკიური „დალეთისა“ და ქართული ასომთავრული „დონის“ ურთიერთკავშირი, ანბანურის გარდა, ქართველურ ზეპირსიტყვიერებასა და ბაბილონურ მითოლოგიაშიც არის ფესვგადგმული. აქ, „დალეთი“ „ალეფთან“ ერთად მოქმედებს და ქართველური დალისა და ამირანის, ქართველურ-ბაბილონური ანა/ანუ-ჭარის მშობელი-შვილის მოდელს სარკისებურად, ე.ი. უკუშებრუნებულად აირეკლავს.

ოთხგზის ქართული ასომთავრული „დონი“ არის ოთხი (ანბანთრიგში), შესაბამისი გეომეტრიული სიბრტყით კვადრატი, რომელიც პითაგორელთა მსოფლმხედველობის მიხედვით, მარადიულობისა და უკვდავების სიმბოლოა (პატარიძე 1980:245; ხაზგასმა ჩვენია – ა.მ.). მეტად საყურადღებოა, რომ აღნიშნული მახასიათებლები კვლავ „დონის“ გრაფიკულ მონახაზში ძვეს, მაგრამ არა ღიად, არამედ აქაც მალვითა და მინიშნებით. „დონის“ მარადიულობისა და უკვდავების

ფორმულის ამოსახსნელად კვლავ პითაგორული ფილოსოფია და „ხუთის ფარგლებში მოძრავი არითმეტიკა“ გვჭირდება. დავინყოთ ამ უკანასკნელით.

## 9. დონი, როგორც მარადიულობის სიმბოლო, ანუ დონის პორიზონტალური ხაზი

„2-ჯერ 2 რომ 4“-ია, ეს ყველასთვის ცხადია, მაგრამ, თუ გავიხსენებთ, რომ 2 ამავე დროს „განუსაზღვრელი, უსასრულობაში მიმავალი“ რიცხვია, მაშინ ქართული ასომთავრული „დონის“ რიგობითი ნიშანი, როგორც თვისებრივად ახალი სოცოცხლის (წრე), ასევე, უსასრულობის ერთ სხეულად გამოხატული სიმბოლოც ( $2 \times 2 = 4$ ) არის. „შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ქართულ ასომთავრულ ანბანში განხორციელებულია ყოვლადი, კოსმოსური ერთებისა და მარადიულობისა და უკვდავების პითაგორული იდეა“ (პატარიძე 1980:245). ჩვენი აზრით, ამ ფრაზის დასაწყისი სამ ზედმეტ სიტყვასა და ერთ პუნქტუაციურ ნიშანს მოიცავს; უნდა იყოს: „ქართულ ასომთავრულ ანბანში განხორციელებულია ყოვლადი, კოსმოსური ერთებისა და მარადიულობისა თუ უკვდავების პითაგორული იდეა“ – ფაქტი, რომლის დამატებითი მხარდამჭერი მასალა კვლავ „დონის“ გრაფიკაში, კერძოდ, მის პორიზონტალურ ხაზშია კოდირებული.

პორიზონტალური ხაზის ფუნქცია ცნობილია. „ეს ხაზი ასონიშნის ზედა ზღვარია და ორი პნკარის გამყოფი ხაზია. ამგვარად, ეს ხაზი ქართული ასონიშნის დამატებითი გრაფიკული ელემენტია“ (იქვე, 184).

ანალიზის შედეგად გახსნილი ინფორმაცია გამორიცხავს ასონიშან „დონის“ ნებისმიერი ნაწილის უფუნქციობას და შესაბამისად, საეჭვოს ხდის „დონის“ ზედა პორიზონტალური ხაზის დამატებით ელემენტად გამოცხადებას ისევე, როგორც მის მიერ მხოლოდ ანბანური ფუნქციის შესრულებას – ზღვარი ასოებს შორის. „დონის“ პორიზონტალური ხაზის დანიშნულება გაცილებით უფრო რთული და ღრმაა, ვიდრე ამას მისი გრაფიკული მონახაზი გვთავაზობს. საინტერესოა, რომ ამ პრობლემის პასუხი თვით რ. პატარიძეს აქვს მოცემული, თუმცა კი სხვა საკითხებთან კონტექსტში. ამიტომ, კვლავ მის „ქართულ ასომთავრულს“ მივმართოთ.

უპირველესად გავიხსენოთ, რომ ქართული ასომთავრული მოიცავს მთელ რიგ ასტრონომიულ მოვლენებს, რომლებიც საფუძვლად დაედო კალენდარულ აღრიცხვას. გავიხსენოთ ისიც, რომ „უძველეს დროიდანვე მზის წლიური მოძრაობა ცაზე გააზრებული იყო როგორც წრე“ (იქვე, 345) და ამიტომ „დონის“ წრიული ფორმა არა

მხოლოდ მზის ფიზიკური ფორმის ხატია, არამედ მისი ცაზე მოძრაობის გზაცაა – სხვაგვარად ეკლიპტიკაა. ეს არის დასკვნა, რომელიც ლანის ანალიზის შედეგადაც იქნა გამოტანილი. ცნობილია, რომ კალენდარული აღრიცხვის ორი გზა არსებობს: ვარსკვლავური დღე-ღამე და მზიური დღე-ღამე. კალენდარული აღრიცხვის ერთეულად მიჩნეულია მზიური დღე-ღამე. „კალენდარული ანუ მზიური დღე-ღამის დროის შუალედია მზის ქვედა (ან ზედა) კულმინაციის მომენტიდან მომდევნო ქვედა (ან ზედა) კულმინაციის მომენტამდე“ (იქვე, 344). მარტივად რომ ვთქვათ, ღამის 12 საათზე მზე თავისი მოძრაობის ქვედა კულმინაციაშია, მის მაქსიმალურ მიჯნაზეა, ხოლო დღის 12 საათზე – ზედა კულმინაციაში, ანუ ხილული პორიზონტის ზედა ზღვარზეა მისული.

ანალოგიურად, გარდა დღეღამური კულმინაციისა, წლიური მოძრაობის განმავლობაშიც, ანუ ერთი ეკლიპტიკური წრის გზაზე, მზე ორ მიჯნას აღწევს: ა) მაქსიმალურ ზედა კულმინაციას, რომელიც ზაფხულის მზებუდობით არის ცნობილი (21-22 ივნისი); ბ) მაქსიმალურ ქვედა კულმინაციას, რომელიც ზამთრის მზებუდობით არის ცნობილი და 22-24 დეკემბერზე მოდის. ქართული ასომთავრული „დონის“ გრაფიკულ მონახაზში ზედა კულმინაცია მცირე პორიზონტალური ხაზით არის წარმოდგენილი. ეს პანანინა ხაზი, რომელიც ანბანის შიგნით ასოთა დაშორიშორება-დაკავშირებას უწყობს ხელს, უზარმაზარი ასტრონომიული მოვლენის ამსახველია, იგი მზის ეკლიპტიკაზე წლიური მოძრაობის ზედა კულმინაციური ზღვარია.

გვაქვს თუ არა რაიმე დამამტკიცებელი საბუთი? გვაქვს, და ისიც „ქართულ ასომთავრულშია“ მოცემული. ანბანის პირველი ასოს, „ანის“ ზედა პორიზონტალური ხაზის შესახებ ავტორი წერს: „ვფიქრობ, ქართულ ასომთავრულ „ანში“ ეს ასტრონომიული ვითარებაა ასახული. ქართული ასომთავრული ან-ასო-ნიშნის ზემო პორიზონტალური ხაზი მთვარის ცაზე მოძრაობის ზედა ზღვარია, ზედა მიჯნაა. ამიტომ ასტრონომიულად ქართული 'ან'-ასო-ნიშნის მნიშვნელობა ასეთია:

მთვარემ ცაზე მოძრაობის ზედა ზღვარს, ზედა მიჯნას მიაღწია – სავსე, ბადრი მთვარე ზედა კულმინაციაშია. ქართული ასომთავრული ან ასტრონომიულად სავსე, ბადრი მთვარის სამუდამო კულმინაციაა“ (იქვე, 173; ხაზგასმა ჩვენია – ა. მ.). ეჭვს გარეშეა, რომ, თუ ასომთავრულის შემქმნელმა თავისი ასტრონომიული ცოდნა „ანში“ გამოხატა, იგი „დონის“ შემთხვევაშიც ანალოგიურად მოიქცეოდა. ეს იმდენად მარტივი ანალოგიაა, რომ მასზე შეჩერება არცკი ღირს, ამიტომ, დავასკვნით:

ქართულ ასომთავრულ ანბანში მოცემულია არა მხოლოდ მთვარის ცაზე მოძრაობის გზა და მოდელი, არამედ მზისაც. ორივე შემ-

თხვევაში წარმოდგენილია აღნიშნულ მნათობთა მხოლოდ ზედა კულმინაციური ხატი, რაც, რა თქმა უნდა, მოიცავს ამ ხატის საპირისპირო ასტრონომიული მოვლენისა და თვით ხატის ცოდნას ქართული ასომთავრულის ანბანშემოქმედთა მხრიდან, მით უმეტეს, რომ ორივე მნათობის ქვედა კულმინაციური ხატის მისაღებად მხოლოდ შესაბამისი ნახაზების ამოტრიალებაა საჭირო.

ანალიზი ცხადყოფს, რომ უძველესი შეხედულება მზისა და მისი ეკლიპტიკური მოძრაობის წრით წარმოდგენის შესახებ ჭეშმარიტებაა. მიუხედავად ამისა, ცნობილია, რომ გრაფიკაციული ძალების მოქმედების გამო, მზის ხილული მოძრაობა „დონის“ გრაფიკით გადმოცემული წრე კი არაა, არამედ ოვალია. აქ გვმართებს გავიხსენოთ, რომ „დონი“ უხილავი ღმერთის ხილული ხატია; მისი ანბანური შესატყვისია ასო-ნიშანი „ლანი“, რომლის მოხაზულობაც ელიფსია, უფრო ზუსტად კი „ლანი“ წარმოადგენს ეკლიპტიკის ანბანურად დაფიქსირებულ ნაწილს, როდესაც მზე ზაფხულის კულმინაციაშია. ამიტომ, თუ „ლანის“ გამოსახულებას ამოვატრიალებთ, მიღებული შედეგი ეკლიპტიკის ქვედა ნაწილის ტოლფასი იქნება ზამთრის მზებუდობისას. თუკი „ლანის“ ორივე ნაწილს შევაერთებთ, მივიღებთ სრულ ეკლიპტიკას, რომლის ოვალური ფორმაც მზის სისტემაში სხვა პლანეტების მიზიდულობის ძალების მოქმედების შედეგია. აქედან გამომდინარე, „დონისა“ და „ლანის“ გრაფიკით გადმოცემულია მზის მოძრაობის ხილული ტრაექტორია პლანეტაზე მიზიდულობის ძალების მოქმედებისა („ლანი“) და ამ ძალების მოქმედების გარეშე („დონი“), ანუ, იდეალურ ვითარებაში. ასტრონომიული საფუძველი ადასტურებს „დონისა“ და „ლანის“ ეზოთერულ ურთიერთობებს; კერძოდ, რაკი მზელევთაება „დონი“ წარმოადგენს საკუთარი გზის ხილულ გამოხატულებას, იმავდროულად, იგი უხილავი ანბანური ღმერთის – „ლანის“ ხილული სახეც ხდება. შესაბამისად, „დონის“ ადრე განხილული გრაფიკული მრავალფეროვნება (წრე, კვადრატი, რომბი, სამკუთხედი) მდიდრდება დამატებითი მონახაზებით: ა) ნახევარწრით, ანუ „თალით“; ბ) ოვალით, ანუ ეკლიპტიკით. ერთი და იმავე პრინციპების მრავალჯერადი განმეორება გვთავაზობს უტყუარ დამადასტურებელ მასალას იმისა, რომ ქართული ასომთავრული ანბანი კოდური სახით ასაიდუმლოებს ისეთ ღრმა ცოდნას ჩვენი სამყაროს შესახებ, რომლის მსგავსი არც ერთ ცნობილ ანბანში არ მოიპოვება.

ნათქვამი უეჭველს ხდის, რომ ქართული ასომთავრული „დონის“ გრაფიკული სიმდიდრე აუცილებლად შეიცავდა მზის ეკლიპტიკური მოძრაობის ქვედა კულმინაციური ზღვრის მოდელსაც. გვაქვს თუ არა ამ ინფორმაციის გადამონმების საშუალება?

დიახ, გვაქვს! თუმცა აქაც ყოველივე ანალოგიისა და მსგავსე-

ბის საშუალებით არის გადმოცემული. დავაკვირდეთ ქართული ასომთავრული ასოების მოხაზულობას. ანბანში გვაქვს ოთხი ასო, – ორი წყვილი ასო-ნიშნებისა (კვლავ  $2 \times 2 = 4$ ), რომლებიც ერთმანეთის შებრუნებულ გამოსახულებებს წარმოადგენენ. ესენია: ბანი (Բ - 2) და ზენი (ზ - 7), ასევე მანი (Մ - 14) და ტარი (Թ - 21). გარდა ამისა, გვაქვს ოთხი (კვლავ ოთხება) ასო, რომელთა გრაფიკული გამოსახულება მათ ნაღმა-უკულმა ტრიალზე არ არის დამოკიდებული. ესენია: კანი (Կ - 11), ფარი - ზ. ქაფიანიძის აღდგენით (Փ - 23), ქანი (Ի - 24), და ჭარი (Տ - 32). ანალოგიურ პრინციპებზეა შექმნილი დონიც, რომლის გრაფიკული გამოსახულება ორივე კულმინაციური წერტილის აღნიშვნით ღებულობს მზის ეკლიპტიკაზე მოძრაობის ხატს (ՄԶ).

არავინ მისაყვედუროს, ახალ ასოებს იგონებსო! ნახაზის აღდგენა „დონში“ კოდირებული ეზოთერული ცოდნის ამსახველია; კერძოდ, მზის ეკლიპტიკური მოძრაობა თავისი ოთხი ფაზით – დღელამსწორობებითა და ზედა თუ ქვედა კულმინაციური წერტილებით, რომლებიც მრავლადაა დაფიქსირებული არქიტექტურასა და დეკორში. ეს ცოდნა გადმოცემულია არა მხოლოდ გრაფიკულად, არამედ მათემატიკურ სიმბოლიკაში ჩადებული მარადიულობისა ( $2 \times 2 = 4$ ) და დაუსაბამობის გეომეტრიული გამოსახულებითაც; უსასრულობაში მიმავალი ორი პორიზონტალური ხაზი არის ხატი ეკლიპტიკის მონაკვეთებისა მზის ქვედა და ზედა კულმინაციურ ფაზაში ყოფნისას (ნახ. 8გ, გვ. 111).

ამ მასალაზე დაყრდნობით, სრულიად სამართლიანად მიმაჩნია ზ. ქაფიანიძისეული „ცანის“ აღდგენა ქვედა პორიზონტალური (Ը) და არა დახრილი ხაზით (Կ), რომელიც უმაღლესი ასომთავრული „ანის“ ინვერსიულ ფორმას და მთვარის ქვედა კულმინაციური ზღვრის სახეს ღებულობს (Շ - Ը). ქაფიანიძისეულ აღდგენას მხარს უჭერს რამაზ პატარიძის შეხედულებაც „ცანის“ შესახებ. ავტორის აზრით: „'ცანის' ქვემო ხაზი თავდაპირველად მოკლე ვერტიკალური ხაზი უნდა ყოფილიყო“ (პატარიძე 1980:251). ცხადია, თუ ვერტიკალური მიმართულების დაშვებაა შესაძლებელი, ისეთივე წარმატებით ხაზის პორიზონტალური მდებარეობაც სრულიად მისაღებია.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ასომთავრულ ანბანში მზის ქვედა კულმინაციური სახე (ანდა დღელამსწორობის ფაზები) მოცემული არ არის, ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ქართული ასომთავრულის შემქმნელს შესაბამისი ცოდნა არ გააჩნდა, რომ მან არ ჩადო იგი განსხვავებული ციური სხეულის ხატში, ანდა არ დაგვიტოვა დონში კოდირებული საკრალური ინფორმაციის სახით გეოგრაფიულად ჩვენგან შორს, როგორც ეს გაკეთდა არაბულ, იბერიულ, ლიბიურ და ა.შ. ანბანებში, რაც ჩვენი ანბანის უჩინარი ბუნების დასტურია (მდრ.: უჩინარი ღმერთის ცნებას). ამ შესაძლებლობის დაშვებას უმაღლესი პრეისტორიულ ცივილიზაციებში გადავყავართ

(უკვე მერამდენედ), რომ არაფერი ვთქვათ ბამიანის ბეჭედზე აღნიშნულ ასო-ნიშნებზე, რომლებიც გაცილებით ახალგაზრდაა. სწორედ ეგვიპტისა და შუმერის უძველესი კულტურები მრავლად გვთავაზობენ ქართული ასომთავრული „დონის“ გავრცელების გასაოცარ მასშტაბებს პიქტოგრამების, ორნამენტიკის, არქიტექტურისა თუ რელიგიურ-მსოფლმხედველობრივი სიმბოლიკის სფეროში.

დავინყოთ ეგვიპტური ცივილიზაციით.<sup>17</sup>

---

<sup>17</sup> ცნობებმა ეგვიპტის უძველესი ცივილიზაციის შესახებ ჩვენამდე ქურუმ მანეთოს ნაწერების საშუალებით მოაღწია. იგი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ძვ. წ. 300 წ. აღნიშნული მასალის მიხედვით, ეგვიპტის ისტორია ორ ძირითად ეტაპად იყოფა:

ა) პრედინასტიური (ძვ. წ. 4500-3100 წწ.);

ბ) დინასტიური.

პირველი პერიოდის მანძილზე ეგვიპტე ძალაუფლების ადგილობრივ მცირე გაერთიანებებს წარმოადგენდა, რომლებსაც ლეგენდარული ფარაონები ხელმძღვანელობდნენ. ამ პერიოდს თანამედროვე ეგვიპტოლოგები პირველ ორ დინასტიას აკუთვნებენ (ძვ. წ. 3000-2675 წწ.).

დინასტიური პერიოდი კვლავ ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს. ესენია სამეფოთა ხანა და გარდამავალი პერიოდები. ისტორიულად ცნობილი ფარაონების დინასტიები სამ ჯგუფშია გაერთიანებული:

1. ძველი სამეფო (დინასტიები 3-8: ძვ. წ. c. 2675-2130 წწ.);

2. საშუალო სამეფო (დინასტიები 11-14: ძვ. წ. c. 1980-1630 წწ.);

3. ახალი სამეფო (დინასტიები 18-20: ძვ. წ. c. 1539-1292 წწ.)

აღნიშნულ პერიოდებში ეგვიპტეს ძლიერი ფარაონები განაგებდნენ. ქვეყანა ყვაოდა. დინასტიების ცვლა ფარაონის ძალაუფლების შესუსტებით და მთელი ქვეყნის დაქვეითებით ხასიათდებოდა, რაც გარდამავალ პერიოდებს ქმნიდა:

I გარდამავალი პერიოდი (დინასტიები 9-10: ძვ. წ. c. 2130-1980 წწ.);

II გარდამავალი პერიოდი (დინასტიები 15-17: ძვ. წ. c. 1630-1539/23 წწ.);

III გარდამავალი პერიოდი (ძვ. წ. c. 1075-656.), რის შემდეგაც ახ. წ. 1952 წლამდე, დამოუკიდებლობის მოპოვებამდე, ეგვიპტე ყოველთვის დამოკიდებული ქვეყნის სტატუსით ხასიათდებოდა.





## ნაწილი IV

ეგვიპტური ცივილიზაციის ქართველური  
ფესვები



# 1. ეგვიპტური KHEM-ŠNW/ŠEN სიმბოლო და ქართული ასომთავრული დონი

ეგვიპტური სამყაროს არქაული პერიოდი ძვ. წ. 3000-2650 წწ. ქვეყნის კულტურული განვითარების ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი ეტაპია. ამ დროს ყალიბდება ეგვიპტის, როგორც თვითმყოფადი ცივილიზაციის, ყველა ძირითადი მახასიათებელი: ხელისუფლება, რელიგია, ხელოვნება და დამწერლობა. პირველი და მეორე დინასტიების პერიოდში, როდესაც იეროგლიფური დამწერლობის პირველი ნიშნები ჩნდება, სამეფო ბეჭდებისა და ინსიგნიის იეროგლიფურ გამოსახულებათა გვერდით ვხვდებით ქართული ასომთავრული „დონის“ იდენტურ ნიშანს. სურათი 23, რომელიც ჰ. პეტრიეს ნაშრომიდან („პირველი და მეორე დინასტიების ეგვიპტური იეროგლიფები“) არის აღებული, 721-ე ნომრად ქართული ასომთავრული „დონის“ ქვედა კულმინაციური ხატის გამოსახულებას გვთავაზობს. იგი სამეფო აკლდამებში II, vii.12 არის ნაპოვნი (Petrie 1927:10).



სურ. 23

ეგვიპტური ბეჭდებისა და ინსიგნიის ინვენტარში აღნიშნული იეროგლიფი ოთხი სხვა დასახელების პიქტოგრამასთან ერთად არის წარმოდგენილი (SAHU, SETH, SEKHEM, UAS). ჩვენთვის საინტერესო სიმბოლოს ორი სახელი აქვს, რომელიც სხვადასხვა მკვლევრის შეხედულებიდან გამომდინარე განსხვავებულად არის ხოლმე წარმოდგენილი. ასე მაგალითად, ჰ. პეტრიესთან იგი მოცემულია როგორც Khetm, უ. ბაჯის ნაშრომებში ვხვდებით ვარიანტებს šen (გახმოვანებით „შენ“; Budge 1966:83), shenu (1978:743) და xetem (1966:83), ხოლო ჯ. ალენთან გვაქვს šnw (Allen 2002:444). სიმბოლო წარმოდგენს ჩარჩოს, რომელშიც ეგვიპტის ფარაონები საკუთარ სახელსა და ტიტულატურას ათავსებდნენ.

უ. ბაჯთან იგივე სიმბოლო 39-ე ნომრადაა გაერთიანებული ქვეჯგუფში „სამოსი და სხვა“.

იეროგლიფი შემდეგნაირად არის განმარტებული: „šen, xetem – ნრე, რკალი“ (circle, ring; Budge 1966:83). ხშირად მას მრგვალი კარტუშის<sup>1</sup> სახელითაც მოიხსენიებენ. იეროგლიფი šnw/šen „ნრის“ (მზის) დეტერმინატი და ამავე მნიშვნელობის იდეოგრამაა. ჯ. ალენის ნაშრომში Khetm-šnw/šen მოთავსებულია იეროგლიფების V განყოფილებაში სათაურით „თოკი, კალათები და სამოსი“ (Allen 2002:444).

თოკად მიჩნეული ეკლიპტიკის აღმნიშვნელი სწორი ხაზი სიმბოლურად მიუთითებს იმაზე, „რაც მზეს გარს არტყია“, ანუ სა-

<sup>1</sup> ტერმინი „კარტუში“ შემოტანილია შამპოლიონის მიერ 1830 წელს.

მყარობე. კარტუში ფარაონის მსოფლიო ბატონობის სიმბოლოც იყო (Lurker 1986:38).

ა. გ. დე ბელერის *Egyptian Mythology*-ში ჩვენთვის საინტერესო სიმბოლოზე იმავე ინფორმაციას ვლებულობთ: „chen sign – სიმბოლო იმისა, „რაც მზეს გარს არტყია; სამყარო“ (Gros de Beler 2004:116).

ნათელია, რომ ეგვიპტური Khetm–Nw/Sen იეროგლიფის აღწერილი მნიშვნელობა – ასომთავრული დონის ეკლიპტიკურ გაგებაზეა (მზეს გარს არტყია) დამყარებული. „დონის“ ტანი ეკლიპტიკის წრიული ვარიანტია, ეკლიპტიკა კი, როგორც ცნობილია, მზის სისტემის კოსმიურ სივრცეს შემოწერს, გარს შემოერთყვება მას. შესაბამისად, ეგვიპტურ Khetm–Nw/Sen იეროგლიფსა და ქართულ ასომთავრულ „დონს“ იდენტური ფუნქციური დატვირთვა აქვთ – ორივე სადამწერლობო ნიშნებით გამოხატული ეკლიპტიკის წრიული გამოსახულებაა. განსხვავება მხოლოდ მნიშვნელობის ფორმულირებაში მდგომარეობს; ქართულ ანბანში დამალული ცოდნა გაცილებით უფრო ზუსტ და მკაფიო განსაზღვრებას გვთავაზობს, ვიდრე მისი ეგვიპტური „ტყუპის ცალი“.<sup>2</sup>

ამიტომ, წმინდა სემანტიკური თვალსაზრისით, ეგვიპტური Khetm–Nw/Sen იეროგლიფი და ქართული ასომთავრული „დონი“ იდენტური ერთეულებია; ისინი მზის ასტრონომიის გარკვეული მონაკვეთების გამოხატულებაა – მზე, ეკლიპტიკა და მზის მოძრაობა.

წარმოდგენილი მასალა ააშკარავებს ინსიგნია-იეროგლიფის ფონეტიკურსა და ფუნქციურ ფლაქტუაციას, რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ არ დაუყენებიათ ეგვიპტოლოგიის ჩამოყალიბების პირველივე წლებიდან. ფონეტიკური თვალსაზრისით, გვაქვს ერთი და იმავე იეროგლიფის ორი სრულიად განსხვავებული გამოთქმის მქონე დასახელება Khetm და Nw/Sen<sup>3</sup>. უფრო მეტიც, სახელთა გახმოვანება შესაძლოა, სრულიად არ შეესაბამებოდეს მათ არქეტიპულ ფორმებს, ვინაიდან ეგვიპტელები სიტყვებს, სემიტების მსგავსად, მხოლოდ თანხმოვნებით გადმოსცემდნენ.

ფუნქციური ფლაქტუაციის თვალსაზრისით, საყურადღებოა იეროგლიფის მოთავსება, ერთი მხრივ, სამეფო ბექდისა და ინსიგნიის სტატუსის მქონე საგნებთან და, მეორე მხრივ, მისი გაერთიანება ისეთ ქვეჯგუფში, როგორიცაა: *თოკი, კალათები და სამოსი*. ეს აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ სიმბოლოს ზუსტი მნიშვნელობა და მისი თავდაპირველი გამოთქმა ჯერ საბოლოოდ დადგენილი არ არის.

<sup>2</sup> საინტერესოა, რომ ქართველურ სემანტიკასთან ახლოს მდგომი მნიშვნელობა ეგვიპტოლოგიის უფრო ადრეულ შრომებშია მოცემული; მაგ. სერ ა. უ. ბაჯი განსაზღვრავს მას, როგორც „მზის ორბიტას“ (Budge 1971:61).

<sup>3</sup> მსგავსი მოვლენა პოლიფონიის სახელით არის ცნობილი (Budge 1966:32).

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ეგვიპტური ენა ქვეყნის ცივილიზაციასთან ერთად მოკვდა და დაგვრჩა უამრავი გადაუნყვეტელი პრობლემა, *წივ/სენ* სიმბოლო დეტალურად უნდა იქნეს შესწავლილი იმ ელემენტებთან ერთად (სიმბოლო, ნიშანი, იეროგლიფი, გრაფიკული გამოსახულება და ა. შ.), რომლებიც თუნდაც მცირე ფონეტიკურ ან გრაფიკულ მსგავსებას ამჟღავნებენ ეგვიპტურ იეროგლიფთან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეგვიპტური *Khetm-წივ/სენ* და ქართული ასომთავრული „დონი“ შედარებით ლინგვოკულტუროლოგიურ ანალიზს უნდა დაუქვემდებაროთ, ვინაიდან ქართული ანბანური და ენობრივი მასალა ეგვიპტურ მონაცემებთან ფრიად ახლო კავშირების არსებობაზე მეტყველებს.

რაკი შესასწავლი ნიშნების წყვილიდან ეგვიპტური სიმბოლოს ბგერითი და სემანტიკური მხარეები მხოლოდ მიახლოებით არის დადგენილი, ხოლო ქართული ასომთავრული „დონი“ უზარმაზარი ეგზოთერული და ეზოთერული ინფორმაციის მატარებელია, ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ასომთავრული „დონის“ ინფორმაციულმა სისტემებმა (გრაფიკულმა, მათემატიკურმა, ასტრონომიულმა და ა.შ.) შესაძლოა, შუქი მოჰფინონ ეგვიპტური *Khetm-წივ/სენ* ინსიგნიის ბინდით მოცულ ზოგიერთ მხარეს მაინც.

## 2. *KHETM-წივ/სენ*-ის ბრაზიკული ფორმა

გრაფიკულად, ეგვიპტური *Khetm-წივ/სენ* იეროგლიფი ქართული ასომთავრული „დონის“ შებრუნებული სიმბოლოა. ესაა გრაფემა, რომელიც ეგზოთერულად ქართულ ანბანში არ დევს, მაგრამ ანბანის შემქმნელები ფლობდნენ ამ ცოდნას. როგორც არაერთხელ აღინიშნა, რელიგიური თვალსაზრისით, „დონის“ ინვერსიული სიმბოლო ქვესკნელური მზეა. ამიტომ, თუ ეგვიპტური *Khetm-წივ/სენ* იეროგლიფი ქართულ ასომთავრულ „დონთან“ არის წილნაყარი, მაშინ ისიც ქვესკნელური მზის ხატი უნდა იყოს.

ეგვიპტური *Khetm-წივ/სენ* მართლაც ქვესკნელური მზეა. წარმოდგენილი დებულების ჭეშმარიტებას თვით ეგვიპტური ცივილიზაციის კარდინალური მახასიათებელი ადასტურებს. კერძოდ, ცნობილია, რომ ეგვიპტური სამყაროს განმსაზღვრელი და მამოძრავებელი ძალა იყო ქთონური სამყარო, უდიდესი ქთონური ღვთაება, გარდაცვლილთა თაყვანისცემა და სიკვდილის შემდგომ სიცოცხლეზე ზრუნვა. „სულეთის“ კულტი „ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში შეიჭრა“ (Clark 1991:31). გარდაცვლილთა ღვთაება ოსირისი იმდენად დიდი იყო, რომ „იგი სოციალურ სისტემად გადაიქცა და ეგვიპტის რელიგიაში გადაიზარდა“ (Budge 1934:288). ამიტომაც სი-

ცოცხლის განმავლობაში ეგვიპტელების ძირითად საზრუნავს სწორედ იმქვეყნიური ყოფისთვის სამზადისი განსაზღვრავდა – ფაქტი, რომელიც უხვად არის დადასტურებული ფარაონთა საბოლოო განსასვენებელი აკლდამებით.

პირამიდებს, როგორც წესი, ნილოსის დასავლეთ სანაპიროზე აგებდნენ, რადგან, ძველეგვიპტური მრწამსის მიხედვით, სწორედ მდინარის დასავლეთი ნაპირი წარმოადგენდა მზის ქვესკნელში ჩასვლისა და იმქვეყნიური ცხოვრების საწყის წერტილს. ამიტომ პირამიდების მშენებლობის გეოგრაფია ფარაონთა ამქვეყნიურ საბოლოო მგზავრობას ქვესკნელს ჩამავალ მზის მგზავრობას „ღია ტექსტით“ უტოლებდა. ძლიერნი ამა ქვეყნისანი, რომლებიც თავიანთ წარმომავლობას მზელვთაება „რასგან“ იღებდნენ, „რას“ მსგავსადვე უნდა წასულიყვნენ სააქაოდან. არც არის გასაკვირი, ვინაიდან მზის პირმშოს თავისი ღვთაებრივი მშობლის, ერთადერთი და უჩინარი დიდი ღმერთის საჩინო ხატის მიერ ყოველწლიურად გავლილი ასტრალური გზა უნდა გაემეორებინა.

ამრიგად, ირკვევა, რომ იეროგლიფის Khetm-Ḥw/Sen გრაფიკული გამოსახულება ზამთრის მზებუდობის ასტრონომიული ხატია. ნაბუნობის გრაფიკული გამოსახულება გულისხმობს უზარმაზრი ასტრონომიული ცოდნის კონდენსირებას, სადაც მზის განხილული ფაზა მხოლოდ მის ერთ-ერთ ასპექტს წარმოადგენს. უძველესი ეგვიპტური მრწამსი იეროგლიფებში დამალულ ამ უძირო ცოდნაზე მიანიშნებს. თვითონ განსაჯეთ: „თითოეული ნიშანი შეიძლება მიჩნეულ იქნეს მინიატურულ ხატად და თითოეული დიდი მასშტაბის სურათი ფუნქციონირებდეს, როგორც დიდად დანერგილი იეროგლიფური ნიშანი“ (Forman, Quirk 1996:20). აღნიშნულ ფუნქციას იეროგლიფები მათში კოდირებული მასშტაბური ცოდნის საშუალებით ასრულებენ.

Khetm-Ḥw/Sen-ის იეროგლიფის გრაფიკული მონახაზი, რომელიც ქართული ასომთავრული „დონის“ ზუსტ ინვერსიულ ფორმასა და ქვესკნელურ სახეს წარმოადგენს, ზუსტად ასახავს ეგვიპტური ცივილიზაციის რელიგიური მრწამსის ფუძემდებლურ პრინციპს, რაც ქართული ასომთავრული „ღანისა“ და „დონის“ ურთიერთკავშირში ჩამალულ უძველეს ქართველურ რელიგიურ-სარწმუნოებრივ ცოდნას ზედმიწევნით იმეორებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქართული ასომთავრულის ანბანური სისტემა Khetm-Ḥw/Sen იეროგლიფის შექმნის საფუძველია. თუ ეს ჭეშმარიტებაა, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ იგივე ცოდნა ეგვიპტის სამეფო დინასტიების, ეგვიპტელ ქურუმთა დაფარული კასტისა და მცირერიცხოვანი, განათლებული მმართველი ელიტის ხელში არსებული ცოდნის ნაწილიცაა, ვინაიდან „ეგვიპტეს მართავდნენ წერა-კითხვის მცოდნენი“ (იქვე, 17). ეგვიპ-

ტელ ქურუმებს შეეძლოთ არა მხოლოდ ნერა-კითხვა, არამედ ფლობდნენ დაფარულ საკრალურ სიბრძნესაც, რომლის გამხელა თავზარს დასცემდა როგორც „არაჯელდასხმულ“ სამღვდელოებას, ისე ჩვეულებრივ მოკვდავს.

ქურუმთა სიბრძნე გამძაფრებული სახით XVIII დინასტიის ფარაონის ეხნატონის (ამენ-ხეტეფ IV, ძვ. წ. 15 ს.) ზეობისას გამოაშუქებს. დედიოთ<sup>4</sup> და ბებიით<sup>5</sup> მცირეაზიელმა ფარაონმა ეგვიპტელებისთვის უცხო და გაუგებარი ახალი რელიგია შემოიტანა, რომლის მთავარი ღმერთი იყო Aten (Budge 1978:98; განსხვავებული დანერილობით Aton); მას ამენ-ხეტეპმა ძნელად აღსაწერი თვისებები მიაწერა: „ატენ იყო უხილავი, უძლიერესი და მუდმივი ძალაუფლება, რომელიც წარმოადგენდა სიცოცხლის წყაროს ზეცაში, დედამიწასა და ქვესკნელში და იყო განსხვავებული მანათობელი მზის დისკოში. ეხნატონი ატენს მონოთეისტურ ბუნებას, ანუ ერთღმერთიანობას მიაწერდა, რაკი უარყოფდა იმავე თვისებას ყოველი სხვა ღმერთის მიმართ. მიუხედავად ამისა, როდესაც მეფის მიერ ატენისადმი მიძღვნილ ნებადართულ საგალობლებს ვკითხულობთ, Aten-ის ერთების განსხვავება ამენ-რას, რას, ან ნებისმიერი სხვა ეგვიპტური ღმერთის ერთების ბუნებისგან ძლიერ ძნელია“ (Budge 1914:93, ხაზგასმა ჩვენი - ა. მ.).

ატენის თვისებებიდან უჩინარობა ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელია ჩვენი კვლევისთვის. მიუხედავად ამისა, ეს თვისება მხოლოდ ატენის პრეროგატივა არ არის. „ყველა დიად ქურუმთა სკოლას სჯეროდა ერთი, დიდი, უძლიერესი, უკვდავი, მიუწვდომელი, შეუცნობადი და დამოუკიდებლად არსებული ღმერთის რეალურობისა, რომელიც არსებობდა სადღაც, მანამ, სანამ გაჩნდებოდა ზეცა და დედამიწა, ღმერთები, ადამიანები, ცხოველები და სიკვდილი“ (იქვე, 169)<sup>6</sup>. ერთადერთი ღმერთის თაყვანისცემის დამადასტურებელი საბუთები მრავლად შემოგვინახა ეგვიპტურმა მკვდართა ნიგნმა (მწ). აი, რამდენიმე ციტატა ანის პაპირუსიდან: „იგი დამალულია ღმერთისა და კაცისგან, და იგი არის მისივე შემოქმედების საიდუმლოება. ვერავინ მიაგნო მისი ამოცნობის გზას – მისი სახელი დაფარულია; მას ურიცხვი მრავალფენიანი სახელი აქვს. როგორც

<sup>4</sup> ეხნატონი იყო ამენ-ხეტეფ III-ისა და მისი ერთ-ერთი მეუღლის, წარმოშობით მცირეაზიელი ტის ვაჟი. ტის მამა, სახელად იუაა, ერთ-ერთი ტომის ბელადი იყო. მისი მეუღლე იყო თუაა.

<sup>5</sup> ეხნატონის ბებია, მამის (თუთმოს IV) მხრიდან, წარმოშობით იყო მითანელი პრინცესა მუტემუა.

<sup>6</sup> „All the great priesthoods believed in the existence of one great, almighty, eternal, inscrutable, incomprehensible, and self-existent god, who existed somewhere when there was neither heaven nor earth, and before gods, men, animals, and death had come into being“ (Budge 1914:169).



სახელები, ისე მათი რაოდენობა, არავისთვის არა არის ცნობილი" (Budge 1967:xcii).<sup>7</sup> აგრეთვე: „ის არის არსება, რომლის გაგებაც შეუძლებელია და იგი ყველა ღმერთზე უფრო დაფარულია. მან შექმნა დისკო, როგორც თავისი წარმომადგენელი, მაგრამ მისი ცნობა შეუძლებელია; იგი ემალება იმასაც, რაც თვითონვე შექმნა“ (იქვე, xcvi; ხაზგასმა ჩვენია – ა. მ.).<sup>8</sup>

ამ და მსგავსი ტექსტების არსებობამ დოქტორი ბრუგში, დერუჟი და სხვა გამოჩენილი ეგვიპტოლოგები იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ „უხსოვარი დროიდან ნილოსის აუზის მცხოვრებნი იცნობდნენ და აღმერთებდნენ მხოლოდ ერთ ღმერთს, უსახელოს, ჩაუნდომელსა და უკვდავს“ (იქვე, xcvi).<sup>9</sup>

ამჟამად, რომ უჩინარობა და, მაშასადამე, უცნობობა, რაც ყველაზე დამახასიათებელი თვისებაა ქართველური უხილავი შემოქმედისა, წარმომადგენს ატენისა და ეგვიპტელთა უდიდესი ღმერთის უმნიშვნელოვანეს თვისებას.

ზოგიერთ მეცნიერს მიაჩნია, რომ ეხნატონის მიერ შემოტანილი რელიგია, რომელსაც ჰელიოპოლისის ქურუმთა სკოლა ქადაგებდა, აახ-ენ-ატენის მამისა და პაპისთვისაც (ამენოფის III და თუთმოს IV) კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი და ალბათ, გაზიარებულიც (Budge 1914:93). მიუხედავად ამისა, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, მათ საკუთარი შეხედულებები არც გამოუმულავნებიათ და არც თავს მოუხვევიათ ეგვიპტელებისთვის.

*მაშ, რატომ გადაუხვია მამა-პაპის არჩეულ გზას ეხნატონმა?*

*წამდვილად ასეთი დიდი იყო მისი სიძულვილი მამისეული სამშობლოს ღმერთებისადმი, რომ უცხოელ ღვთაებას მიანიჭა უპირატესობა?*

ზოგიერთი ფაქტის განხილვა მოულოდნელ პასუხს იძლევა ამ რთულ კითხვებზე. მომდევნო გვერდებზე მოცემული ლინგვისტური ანალიზი გაგვიძლევს წარსულის ლაბირინთებში, სადაც ეგვიპტური და ქართველური ენობრივი მონაცემები და მათი ასტრონომიული ცოდნა ერთ, მთლიან სისტემად წარმოგვიდგება.

<sup>7</sup> „He is hidden to gods and men, and He is a mystery unto His creatures. No man knoweth how to know Him – His name remaineth hidden; His name is a mystery unto His children. His names are innumerable, they are manifold and none knoweth their number...“ (BD 1967:xcii).

<sup>8</sup> „He is the Being who cannot be known, and he is more hidden than all the gods. He maketh the Disk to be his vicar, and he himself cannot be known, and he hideth himself from that which cometh forth from him“ (ibid. xcvi).

<sup>9</sup> „From the attributes of God set forth in Egyptian texts of all periods, Dr. Dr. Brugsch, de Rouge, and other eminent Egyptologists have come to the opinion that the dwellers in the Nile valley, from the earliest times, knew and worshipped one God, nameless, incomprehensible, and eternal“ (ibid. xci).

### 3. ატენის ლინგვისტური ანალიზი

ამენ-ჰეტეპ IV-ის ერთადერთი ლმერთის სახელი ატენ ქართველებისთვის კარგად არის ცნობილი. აღმოსავლეთ საქართველოში, ქართლის რეგიონში, დგას მე-7 საუკუნის მშვენიერი გუმბათიანი ეკლესია ატენის სიონი (ილ 5, გვ. 527)

ტაძარი განლაგებულია იმავე სახელწოდების სოფელში, რომელიც მდინარე ტანას ნაპირებზეა გაშენებული. ეს უკანასკნელი საქართველოს მთავარი სამდინარო არტერიის – მტკვრის ერთ-ერთი შენაკადია. ქართველური „ატენი“ და ეგვიპტური „ატენ“ ონომასტიკური ერთეულებია. ცნობილია, რომ საკუთარი სახელები საზოგადო ლექსემებისგან წარმოდგებიან, რის გამოც ატენის შინაარსის გასაგებად მისი წარმომშობი წყარო უნდა ვიპოვოთ. სხვაგვარად, უნდა მოვიძიოთ ის ეგვიპტური ან ქართველური საზოგადო სახელები, რომლებიც აღნიშნული ონომასტიკური ერთეულების ნომინაციის სანყისში ძევს. იმის გამო, რომ ეგვიპტური ენის ფონოლოგიური სისტემა ჯერჯერობით ზუსტად დადგენილი არ არის, ეგვიპტური ენობრივი მონაცემები ნაკლებად საიმედოა ამგვარი ანალიზისთვის. ეგვიპტურისგან განსხვავებით, ქართველური ენების გასაოცარი სტაბილურობა მასალას საიმედო დასაყრდენად აქცევს. ფონეტიკურად და სემანტიკურად ახლოს მდგომი ერთეულის ძიებამ არქეტიპად ზმნა თენ დაადგინა:

ქართ. თენ- თენ-ებ-ა; ძვ. ქ. გან-თენ-ებ-ა, გან-თენ-ა „გათენდა“...

მეგრ. თან- თან-აფ-ა „თენება; განთიადი; აღდგომა“; გო-თან-დ-უ „გათენდა“; გო-თან-ელ-ი „გათენებული“...

ლაზ. თან- თან-აფ-ა „ნათება; თენება“; თან-უ-ნ „ნათებს“ ქო-დო-ლო-თან-უ „გაანათა“; მ-თან-ურ-ა „ციცინათელა“; დო-ლო-თან-ერ-ი „განათებული“...

სვან. თენ-/თნ- ლი-თნ-ე „დაბადება; გაჩენა“; ა-ხ-თენ-ან „გაუჩნდა, დაებადა“; ლგ-თნ-ე „გაჩენილი; დაბადებული“...

გვხვდება უძველეს ქართულ წერილობით ძეგლებში...

მეგრული თან- და ლაზური თან- ზუსტად შეესატყვისება ქართულ თენ- ძირს. ასევე კანონზომიერად შეესატყვისება ქართულ თენ-ს სვანური თენ-. ქართული და სვანური ფუძეების მნიშვნელობა ძალიან დაშორებული არ არის.

ქართული და მეგრული ენების მასალა დააკავშირა ი. ყიფშიძემ (1914:240); ლაზური ეკვივალენტი გამოავლინა არნ. ჩიქობავამ (1938:277); სვანური – გ. კლიმოვმა (1964:92), რომელმაც საერთო-ქართველური ფუძე-ენის დონეზე აღადგინა \*თენ-, ხოლო ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის - \*თენ-ებ-ა (1964, 92; ფენრიხი, სარჯველაძე 1990:147).

ახლა ერთმანეთს შევეუდაროთ ქართველური „ატენი“ და ეგვიპტური „ატენ“:

### ცხრილი 73

ქართველური თენ-ატენისა და ეგვიპტური Aten-ის შედარებითი ცხრილი

ქართველური		ეგვიპტური
თენ	ატენ-ი	ატენ (Aten)

გასაანალიზებელ სიტყვებს შორის შემდეგი ფონეტიკური კორელაციების გამოყოფაა შესაძლებელი:

ქართველური  
თენ

ქართველურ-ეგვიპტური  
ატენი      Aten

ქართველური  
ატენი

ეგვიპტური  
Aten

განსხვავებათა პირველი ჯგუფი ორ პუნქტს მოიცავს: სანყის თ-ტ თანახმოვნებს, რომლებიც ერთმანეთს უპირისპირებენ ქართველურ თენს და ქართველურსა თუ ეგვიპტურ სახელებს; ონომასტიკურ ერთეულებში არსებულ სანყის ა- ხმოვნის არარსებობას შესაძლო ქართველურ არქეტიპში თენ.

მეორე ჯგუფის განსხვავება მოიცავს ქართველურში ბოლოკიდური ხმოვნის (-ი) დაპირისპირებას ეგვიპტურ უხმოვნო ფორმასთან. შესაბამისად ვღებულობთ:

### ცხრილი 74

ქართველური თენ-ატენისა და ეგვიპტური Aten-ის ბგერითი განსხვავების ცხრილი

	ქართველური	ქართველურ- ეგვიპტური	ეგვიპტური
თანხმოვნები	თ	ტ-ტ	
სანყისი ხმოვანი	∅	ა-ა	
ბოლოკიდური	ი		∅

პირველი თ-ტ შესაბამისობა (დენტალური ყრუ, ასპირაციული მსკდომი; დენტალური გლოტალიზებული მსკდომი) განასხვავებს ქართველურ სიტყვას თენ ქართველური და ეგვიპტური სახელებისგან.

დ > თ > ტ ფონეტიკური გადასვლები უცხო არაა ქართველური ენებისთვის (შდრ.: მეგრ. ქო-რ-დ-უ, ლაზ. ქო-რ-დ-უ, ქო-რ-თ-უ, ქო-რ-ტ-უ „იყო“). ისტორიული ენათმეცნიერებისთვის აღნიშნული ბგერათშესატყვისობის ფორმულა ტიპური მაგალითია სიტყვებს შორის ნათესაობის დასადგენად<sup>10</sup>. ამიტომ, ქართველურ და ეგვიპტურ საკუთარ სახელთა („ატენი“ და „ატენ“) ძირებში შესაძლოა, თენ ძირიც მოვიაზროთ!

ფონეტიკურ თანხვედრას „თენ“ სიტყვის მნიშვნელობაც აძლიერებს, რადგანაც ეგვიპტური „ატენ“ მზის დისკოს, ანუ მანათობელ საგანს აღნიშნავს. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციული ენათმეცნიერება, ქართველურსა და ეგვიპტურს შორის ბგერით და სემანტიკურ მსგავსებებს გამორიცხავს, ისინი მაინც არსებობენ და მკვედარ ეგვიპტურ ენობრივ მასალას ცოცხალ ქართველურთან აკავშირებენ.

მეორე განსხვავება შეეხება შესაძლო ქართველურ არქეტიპში „თენ“ ანლაუტის ა- ხმოვნის არსებობას და მის არყოფნას სხვა მხრივ იდენტურ ქართველურ და ეგვიპტურ საკუთარ სახელებში. ა- ხმოვნის ფუნქციის დადგენას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მან უნდა დაადასტუროს ან ეჭვქვეშ დააყენოს განსახილველი ერთეულების იგივობა.

ქართველურ და ეგვიპტურ „ატენში“ ხმოვნის წინაკიდური მდებარეობა მის აფიქსალურ სტატუსზე მიუთითებს. მართლაც, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი გვთავაზობს შემდეგ ინფორმაციას პრეფიქსზე:

ა<sup>2</sup> - უძველესი პრეფიქსი, რომლის მქონებლობა ივარაუდება „ა-ჩრდილი“ (შდრ.: ჩრდილი), „ა-დგილი“ (შდრ.: დგა-ს) ტიპის არსებით სახელებში ... ;

ა<sup>3</sup> - ზმნისწინი (აღ-ზმნისწინის ფონეტიკური ნაირსახეობა; ახალ ქართულში ძირითადი ვარიანტია ა-). იგი აღნიშნავს მიმართულებას ქვევიდან ზევით. აჩვენებს, რომ მოქმედება მიმართულია სივრცის ქვედა წერტილიდან ზედა წერტილისაკენ: ა-ჰყავს, ა-ცოცდა, ა-ხტა, ა-ძვრა...“ (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე 1988:8-9).

პრეფიქსის მოცემული ენობრივი მახასიათებლები ნათელს ჰყვენენ ქართველური „ატენისა“ და ეგვიპტური „ატენის“ დერივაციულ სტრუქტურას: პრეფიქსი+ძირი (ა+ტენ).

გამოვლენილი სტრუქტურული შედგენილობა ხსნის სახელთა

<sup>10</sup> შდრ.: ძვ. ინგლ. dæg - ძვ. ზემო გერმ. tag („დღე“) სამ. ინგლ. disch, dish - გერმ. tish („თეფში“); ძვ. ინგლ. tūn - ძვ. კელტ. dūnum, ძვ. ირლ. dūn („ქალაქი“); ძვ. ინგლ. twāa - ლათ. duo - სლავ. duva, dva („ორი“); ძვ. ინგლ. þrēo - ძვ. ზემო გერმ. drī - ლათ. trēs, tria („სამი“); ძვ. ინგლ. þynne - ძვ. ზემო გერმ. dunni - ლათ. tenuis - ბერძ. Tanúein („სუსტი, გამხდარი“) და ა.შ.

მნიშვნელობასაც. თუ ძირი „თენ-ტენ“ შუქის არსებობაზე მიუთითებს, მისი კომბინაცია პრეფიქსთან იძენს „სინათლის, ანუ მზის აღმა მოძრაობის“ მნიშვნელობას.

ეგვიპტური და ქართველური „ათენ“ სახელის წარმოდგენილი ეტიმოლოგიის სისწორე ეგვიპტური ონომასტიკის სხვა მაგალითებითაც მტკიცდება. ტექსტი სათაურით „რას 75 ხოტბის შესხმა“, რომელიც თებეს სამეფო სამარხების ჩრდილოეთით იქნა აღმოჩენილი, 54-ე ქებაში ახსენებს ღმერთს Then-Aru: „ქება-დიდება შენ, ო რავ, ძალა-უფლებავ აღზევებულო, მრავალსახება მრავალწლიანო ერთო, დუატით მომავალო, რომელსაც დუატის წრეთა სულნი ქება-დიდებას შემოგწირავენ. ჭებმარიტად შენია თენ-არუს (Then-Aru) სხეულე-ბი“ (Budge 1934:398). ნათელია, რომ ღმერთის სახელი Then-Aru მოიცავს ქართველური „თენის“ ზუსტ ბგერით კორელატს. უფრო მეტიც, „მკედართა ნიგნის“ მე-18 თავში მწერალი ანი შესთხოვს ღმერთს „მუდმივად უმზერდეს მზე athen-ის სახესა და მთვარე აh-ს; უოლის ბაჯის მიხედვით „ათენ“ (Athen) ადრეული განთიადის მზელმერთია (იქვე, 422). ესაა მნიშვნელობა, რომელიც ზუსტად იმეორებს ქართველური თენ-ების სემანტიკას. ქართველური ა+თენის ზუსტი ფონეტიკური ვარიანტების გამოყენება იდენტური ქართველური მნიშვნელობებით სრულად ადასტურებს ეგვიპტური სიტყვების Aten, Athen და „თენის“ ქართველურ წარმომავლობას.

აქედან გამომდინარე, მზის აღმნიშვნელი სახელი ეგვიპტელებს ორი მოდიფიკაციით მიეცათ: როგორც შიშველი ქართველური ძირი „თენ“, ეგვიპტური Then-Aru და მისი დერივაციული ფორმა ა+თენ, როგორც ეგვიპტური Aten. ეს შესანიშნავად ესადაგება არსებულ აზრს, რომ ეგვიპტოლოგებმა „არ იციან სიტყვები, რომლებითაც ძველი ეგვიპტელები აღნიშნავდნენ მზესა და მთვარეს“ (Budge 1934:6), ვინაიდან მზის სახელი ისეთი ფორმითაა მოცემული, რომ მისი გახსნა მხოლოდ ქართველური მასალით არის შესაძლებელი.

გასაოცარია, რომ ეგვიპტური ონომასტიკა გვთავაზობს ეგვიპტური Aten-ის ქართველური გენეზისის დამატებით ფაქტებს. „ოსირისის აღდგომის მისტერიებიდან“ ცნობილია, რომ იგი „კუნძულზე მდებარე აკლდამაში დაკრძალეს, ალბათ ნუბიური ჩვეულების მიხედვით, ვინაიდან ეთიოპიის ბევრი მეფე კუნძულ Ḥânâ-ზე (სანა) თუ Tânâ-ზე (ტანა), როგორც ეს ზოგიერთ დიალექტურ ფორმაშია წარმოდგენილი, იქნა დაკრძალული“ (Budge 1934:516; ხაზგასმა ჩვენია - ა. მ.). ტბა ტანას (Tânâ) სახელის ლინგვისტური ანალიზი ადასტურებს განხილული ტოპონიმის ქართველურ წარმომავლობას.

კუნძულ ტანას (Tânâ) ქართველური ეტიმოლოგია ორ ტოლფას შესაძლებლობას უშვებს: უპირველეს ყოვლისა, მისი წარმომავლობა სავარაუდებელია ზანური თანიდან, სადაც უკანასკნელი კბილისმიე-

რი ყრუ მსკდომი თ განვითარებულია კბილისმიერ გლოტალიზებულ მსკდომში ტ, რაც ენების დიაქრონიულ განვითარებაში ფრიად ხშირი ფონეტიკური მოვლენაა.

მეორე შესაძლებლობა ეგვიპტურ Tâhâ-ს უტოლებს მდინარე ტანას სახელს, რომლის ნაპირებზეც სოფელი ატენია გაშენებული. გურამ ბედოშვილის ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი შემდეგნაირად ხსნის „ტანას“ ეტიმოლოგიას:

„ტანა მდინარეა ცენტრალურ ქართლში (გორის რ.). ამ სახელწოდების წარმოშობის თაობაზე ხალხში არაერთი გადმოცემა არის შემონახული. გადმოცემათა შორის ყველაზე გავრცელებულია ვარაუდი, რომლის მიხედვითაც სახელწოდება ტანა თურმე სიტყვა ტინს ('კლდე') უკავშირდება. უნდა შევნიშნოთ, რომ ეს აშკარად ხალხური ვერსია ზოგიერთ სპეციალისტს სარწმუნოდაც კი არ მიუჩნევია. უფრო მეტიც: თურმე იმავე 'ტინი' სიტყვისაგან ყოფილა წარმომდგარი ცნობილი ტოპონიმი ატენი. ამგვარი ვარაუდი, როგორც ჩანს, ტანა და ტინ სიტყვების მსგავსი ფონეტიკური უღერადობით არის შეპირობებული.

ფაქტიურად ტანა (ტან-ა) ქართული დიალექტური ერთეულია. იგი ნიშნავს: მდინარის ერთიანი ტანი; 'მდინარე, შენაკადებს არ შეირევს'; 'თავი წყალი'. ამ თვალსაზრისით უთუოდ მნიშვნელოვანია გურული ტანწყალი, რაც ნიშნავს "მდინარის მთავარი ნაწილი შენაკადებს გარეშე. ქართლურშივე სიტყვა ტანს მნიშვნელობა გაფართოვებია და მდორედ, თხლად მიმავალი წყლის აღნიშვნა უკისრია: 'სადაც თხელია წყალი, ტანს ვეძახით'. 'ტანზედაც დაგერიყება ტივი...' ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით სიტყვა ტანი ეწოდება ხის ლეროს, რომელსაც გაცლილი აქვს ფესვები და ტოტები (ქეგლ 1960:1242). 'სწორი, ლიტაო ხე' (ქიზიყ.)

ტანა გაფორმებულია ა სუფიქსით, რაც ობიექტის რაღაცასთან მსგავსებაზე მიგვანიშნებს. მაშასადამე, ჰიდრონიმი ტანა<sup>11</sup> შეიძლება გავიაზროთ როგორც ერთიანი, უშენაკადო მდინარე" (ბედოშვილი 2000:393-94).

მოყვანილი ციტატა ააშკარავებს ეგვიპტურ Tâhâ-სა და ქართველურ ტანას შორის არსებულ განსაცვიფრებელ მსგავსებებს. უპირველეს ყოვლისა, უნდა ვახსენოთ იდენტური ბგერითი შედგენილობა, რომელსაც 5000 წლიანმა პერიოდმა ვერაფერი დააკლო; ესაა სტაბილურობა, რომელსაც არ მოეპოვება ანალოგი არც ერთ გენეტიკურად დაკავშირებულ ორ ენას შორის, რომ არაფერი ვთქვათ იმ ენების შესახებ, რომლებიც თანამედროვე ენათმეცნიერებისთვის სრულიად დაუკავშირებელი სისტემებია.

შემდეგი გასაოცარი მსგავსება მდგომარეობს იმაში, რომ სახე-

<sup>11</sup> -ა-ს გააჩნია აგრეთვე კნინობითობის ან ქონების მნიშვნელობებიც.

ლი „ტანა“ ეგვიპტურში, ისევე, როგორც ქართულში, წყლის დასახელებათა, ანუ ორივე ჰიდრონიმია (ტბა და მდინარე), რის გამოც, ეგვიპტური სახელი თავის ეტიმოლოგიურ მნიშვნელობას აღიდგენს, როგორც „წყალი შენაკადების გარეშე“. მართლაც, ტბა შენაკადების გარეშე არსებული წყლის სხეულია. კიდევ უფრო საინტერესოა „ტანას“ მნიშვნელობა „თავი წყალი“, რომელიც ეგვიპტური სახელების ქართველურ ეტიმოლოგიაზე დამატებით მიანიშნებს.

ეგვიპტური ჰიდრონიმის (Tânâ) წარმოდგენილი ქართველური ეტიმოლოგიური შესაძლებლობები ცხადყოფს, რომ Tânâ-ას არქეტიპი წარმოადგენს არა რომელიმე ერთ სიტყვას, არამედ ორივე ქართველურ სიტყვას ერთად: თენ/თან+ტან-ა. ორმაგი დერივაციის შესაძლებლობა ქართველურ არქეტიპს გადააქცევს რთულ ეტიმოლოგიურ წყაროდ (შდრ.: 'ალეფის ქართველურ არქეტიპულ ჯგუფს), რომელიც წარმოქმნის სინათლის, აღმავალი მზის და აღდგომის რთულ სემანტიკურ სისტემას. ამრიგად, კომპლექსური ქართველური არქეტიპის საშუალებით ვიგებთ, რომ ამენ-ჰეტეპ IV-ის (ახენ-ატენ) უცნაური ღმერთი ატენ არის ამომავალი, აისის მზე (რაც ეგვიპტური მნიშვნელობაცაა), რომელიც მკვდრეთით აღდგომის ფუნდამენტურ ცნებას გადმოსცემს. კომპლექსური ქართველური არქეტიპის მეშვეობით ნათელი ეფინება ნუბიელი მეფეების ტრადიციას - დაკრძალულიყვნენ ტანას ტბაში განლაგებულ კუნძულზე. მათი ეს სურვილი განპირობებული იყო თვით სახელის („ტანა“) არქეტიპული მნიშვნელობით, რომელიც მათი მკვდრეთით აღდგომის უდიდეს რწმენას ასაზრდოებდა. „თენებასთან“ ერთად უნდა მომხდარიყო მათი ხელმეორე დაბადება; ესაა მნიშვნელობა, რომელიც სვანურ თენ ფორმაშია მოცემული („შობა“, „დაბადება“).

აქედან გამომდინარე, ფონეტიკურად იდენტური ან მსგავსი ქართველური ლექსემები ეგვიპტურ ფუნდამენტურ რელიგიურ ცნებებს არა მხოლოდ ჰარმონიულად უთანხმდებიან, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, კოდის სახით ასაიდუმლოებენ. კოდად და შიფრად გამოყენებულია არა მხოლოდ ენობრივი ელემენტები, არამედ გეოგრაფიაც, რადგანაც ძნელი ასახსნელია რამდენიმე ეგვიპტური სახელის ქართლის ერთი სოფლის ფარგლებში თავმოყრა: Aten და ატენის სიონი, რომელიც მდინარე ტანას ნაპირებზე სოფელ ატენშია განლაგებული.

შესასწავლი ეგვიპტური და ქართველური სიტყვების შემდეგი განმასხვავებელი თვისებაა, ქართველურ სიტყვებში „ატენი“ და „ატენის“ ბოლოკიდური -ი და -ის ელემენტების არსებობა და მათი არარსებობა ეგვიპტურ Aten-ში. ამის ახსნა ძლიერ მარტივია, ვინაიდან ორივე ელემენტი განსხვავებულ ბრუნვის ფორმებზე მიუთითებს: -ი სახელობითზე, ხოლო -ის ნათესაობითზე. ამგვარად, შეგ-

ვიძლია დავასკვნათ, რომ რევოლუციური ღვთაება ატენის სახელი წარმოდგება რთული ქართველური არქეტიპიდან თენ-ტან („სინათლე-დაბადება“) და აღდგომად მზეზე მიუთითებს.<sup>12</sup>

დიაქრონიულ კვლევებში კომპლექსური არქეტიპის ფენომენი სრულიად ახალი მოვლენაა. მისი არსებობა მხოლოდ ერთ შემთხვევაშია გამართლებული – თუკი წმინდა ლინგვისტურ ფაქტორთან ერთად არქეტიპს გარკვეული ინფორმაციული დატვირთვა აქვს. სხვაგვარად, კომპლექსური არქეტიპი კოდიან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თენ-ტანა შემთხვევაში საქმე გვაქვს კოდთან და მისი მნიშვნელობების ერთობლიობა (სინათლე, ამომავალი მზე, აღდგომა, თავიწყალი) დაფარული (ამ შემთხვევაში რელიგიური) ინფორმაციის მატარებელია.

ანალიზიდან გამომდინარე, ყალიბდება აზრი იმის შესახებ, რომ აახ-ენ-ატენმა თავისი უცნაური, ჩაუნვდომელი ერთადერთი ღმერთის, ატენის რელიგია იმისთვის შემოიტანა, რათა ფარაონთა დინასტიების დაფარული სარწმუნოების და, რაც მთავარია, მათი ქართველური წარმომავლობის მზის შუქზე გამოტანის პრეცედენტი შეექმნა. აახ-ენ-ატენის („ატენის სული“), ეგვიპტელებისთვის მიუღებელი ერთადერთი შემოქმედის, რელიგია ქართველური წარმართული მსოფლმხედველობის ტყუპის ცალია არა მხოლოდ გრაფიკულად და სემანტიკურად, არამედ ლინგვისტურადაც. ამიტომ, ეგვიპტური Aten ქართველურის ორეულია. ქრონოლოგიურადაც, ორივე (ქართველური „ატენი“ და ეგვიპტური „ატენ“), გვიანდელი წარმონაქმნებია, ვინაიდან ისინი ქართველური თენიდან იღებენ სათავეს. ქართველური და ეგვიპტური ღვთაებრივი სახელების საზოგადო ლექსიკიდან წარმომავლობა შეესაბამება ენათმეცნიერულ მოთხოვნებს,

<sup>12</sup> ვფიქრობ, მკითხველმა შეამჩნია მსგავსება ქართველურ ა-თენს, ბერძნული მითოლოგიის ერთ-ერთ ნამყვან ღვთაება ათენასა (ბერძ. Ἀθηνᾶ; ქართული ათინა) და მისთვის ჯილდოდ მიცემულ ქალაქ ათენს შორის. ბერძნული ღვთაების სახელი მარტივი სტრუქტურისაა, მაშინ, როდესაც ქართველური მასალა მას შედგენილ a-then-a-ად წარმოაჩენს. ბერძნული ქალღვთაების სახელის ბგერითმა მხარემ შემოგვინახა ყრუ დენტალური მსკდომი თ-ს უახლოესი ბგერითი ანალოგი th, რომელიც აირეკლავს ქართველურსა და ეგვიპტურ თენ-ს და განსხვავდება ქართული „ატენისა“ და ეგვიპტური Aten-ისგან მხოლოდ ერთი დიფერენციალური თვისებით (წარმოთქმის ადგილი, სიყრუე-ფშინვიერება). იმის გამო, რომ ქართველური თენ/თან შეიძლება იყოს როგორც სახელის, ისე ზმნის ძირი, ბოლოკიდური -ს ფორმაში Athens, შეიძლება მიუთითებდეს ან მესამე პირის მხოლოდით რიცხვზე (ა-თენ-ებ-ს), ან სახელის მიცემით ბრუნვაზე (ა-თენ-ს, ანუ ღვთაება „ამომავალ მზეს“). ილუსტრირებული ლინგვიტური მასალა მხარს უჭერს არა მხოლოდ ზევით გაანალიზებული ღვინის ღმერთის ბახუსის წარმომავლობას ქართველური „ბულადან“, არამედ „ათინასა“ და მისი ქალაქის „ათენი“ ერთი და იმავე ქართველური წყაროდან დაბადებას. ისლა დაგვრჩენია დავამატოთ, რომ ათენა და ეგვიპტური იზიდა ერთი და იმავე ღვთაებებად არიან მიჩნეულნი (Cooke 1931: 139).



კერძოდ, საკუთარი სახელების საზოგადო ლექსემებიდან წარმომავლობის კანონს.

აახ-ენ-ატენის უცნაური და გაუგებარი რელიგიის ქართველური მასალის ამხსნელი და მამოძრავებელი ძალა, რომელიც წარმოდგენილი ლინგვისტური ანალიზის მეშვეობით იქნა წამოწეული, მყარდება და ძლიერდება ეგვიპტური იეროგლიფის Khetm-Ḥw/Ḥen-ისა და მისი ქართველური წყვილის, დონის კულტუროლოგიური გამოკვლევით. გავიხსენოთ, აახ-ენ-ატენის მიერ ეგვიპტურ რელიგიაში მოწყობილი „რევოლუცია“ მზელმერთს ხილულ მზის დისკოსთან ათანაბრებდა. სხვაგვარად, მეფე-ქურუმმა მზელმერთის რელიგიური ცნება მისი ასტრონომიული ცოდნით შეცვალა (მზის დისკო, ანუ პლანეტა). სწორედ აქ ამხელს და ხსნის ქართულ ასომთავრულ „დონში“ გასაიდუმლოებული მეცნიერული ცოდნა ათასწლეულების მანძილზე დაფარულ ურთიერთობებს არა მხოლოდ Khetm-Ḥw/Ḥen-სა და „დონს“ შორის, არამედ ეგვიპტურ რელიგიასა და ქართველურ ასო-ნიშნებში კოდირებულ ასტრონომიულ ცოდნას შორისაც.

დღეს, მზის სისტემის არსებობის ძირითადი პრინციპები ყველასთვის ნაცნობია. ყველა პლანეტა საკუთარი ღერძისა და მზის გარშემო ბრუნავს. ასევე იქცევა დედამიწაც, რომლის ბრუნვა საკუთარი ღერძის გარშემო დღე-ღამის მონაცვლეობას წარმოქმნის, ხოლო მისი მოძრაობა მზის გარშემო, წლის დროთა ცვალებადობის საფუძველია. რეალური დაკვირვების დროს, ეს კოსმიური მოვლენები წარმოჩნდება, როგორც გამთენიისას ამომავალი მოელვარე დისკო და უზარმაზარი ცეცხლოვანი ბურთი ზედა (შუადღის) კულმინაციისას, ხოლო საწინააღმდეგო სურათით – შუალამისას.

მზის აღწერილ დღელამურ ფაზებს ემატება პლანეტის ყოველწლიური კულმინაციური ნერტილებიც ზაფხულისა და ზამთრის ნაბუნობით. პირველი, რომელიც ზაფხულის ნაბუნობით არის ცნობილი, მოდის 21-22 ივნისზე, მეორე კი – ზამთრის ნაბუნობა – 21-24 დეკემბერზე. ქართულ ასომთავრულში დაშიფრული ასტრონომიული ცოდნის მიხედვით, ასო-ნიშანი „დონი“ (⊙) არის შუადღისა და ზაფხულის კულმინაციის ხატი, ხოლო ეგვიპტური იეროგლიფი Khetm-Ḥw/Ḥen (⊙) ღამისა და ზამთრის კულმინაციას განასახიერებს. ასო-ნიშნების წრიული ნაწილი მზეც არის და მისი მოძრაობის ტრანექტორიაც – პლანეტის უჩინარი გზის აბსტრაქცია, ანუ ეკლიპტიკა. შედეგად, ერთი შეხედვით დაუკავშირებელი ქართული და ეგვიპტური სიმბოლოები წარმოაჩენენ ერთი და იმავე სამყაროსეულ მოვლენას – მზის სისტემის სტრუქტურასა და ფუნქციონირებას.

ყოველივე თქმულის გამო, აახ-ენ-ატენის „უცნაური“ და „გაუგებარი“ რელიგია არა მხოლოდ გარკვეული ხდება, არამედ მეცნიერულად დასაბუთებულიც. „ატენი“, უხილავი და გაუგებარი ღვთაება,

რომლის გრაფიკული წარმოსახვა მზე ან დისკოა, გამოხატავს ამომავალ მზეს, ე.ი. პორიზონტის გასწვრივ მისი მოძრაობის ერთ-ერთ ასპექტს; ესაა ერთადერთი ღმერთი, რომელიც ეგვიპტელების მუღმივი თაყვანისცემის საგანი გახლდათ.

აღწერილი ასტრონომიული საფუძვლები უმარტივესი ფორმით არის გადმოცემული ქართულ „დონსა“ და ეგვიპტურ Khetm-წივ/Sen სიმბოლოებში. ქართული და ეგვიპტური ასოები არა მხოლოდ სანერი ნიშნებია, არამედ აღწერილი ასტრონომიული მოვლენების რელიგიური ორეულელებიც. თავისი გრაფიკის გამო, ქართული ასომთავრული „დონი“ ზეციური ღვთაებაა, სიცოცხლის წყარო და სამყაროს მეუფე, დედამიწის, ქვესკნელის, ზესკნელის, სიცოცხლის საწყისია, მაშინ, როდესაც ეგვიპტური სიმბოლოს საიდუმლო მჟღავნდება და იკითხება, როგორც ქართული ასო-ნიშნის ქვესკნელური ფორმა, როდესაც მზე ღამისა და ზამთრის კულმინაციების ფაზაშია. კულმინაციების ცვლა ღვთაებრივი სტატუსის ცვლაზე მიუთითებს: ქართველური ზეციური ღვთაება ეგვიპტური ქთონური ღმერთი ხდება.

ეგვიპტური Khetm-წივ/Sen ო-იც ანალოგიურად იქცევა. წარმოადგენს რა ღამისა და ზამთრის კულმინაციებს და ხმგვარად, ქვესკნელურ ღვთაებას, ო იმავდროულად ზეციური ღმერთიცაა, ცოცხლებისა და მკვდრების პატრონი, სიცოცხლის წყარო ზეცაში, დედამიწისა და ქვესკნელში. საერთო ქართველურ-ეგვიპტური ასტრონომიული და რელიგიური საფუძვლიდან მომდინარე, სანიანალმდეგო და საპირისპირო მოვლენები ჰარმონიულ ერთიანობას ქმნიან.

შეუთანხმებელთა შეთანხმებული თანაარსებობის ცნება ეგვიპტური რელიგიისთვის უცხო არ იყო. თვით სიკვდილ-სიცოცხლესაც კი, სანიანალმდეგოთა უკიდურესი გამოვლინება, შეიძლებოდა ერთ მთლიანობაში გაერთიანებულყო ნილოსის ხეობის ქვეყანაში. შეადარეთ: „ოსირისი, მაგალითად, იმავდროულად მიაჩნდათ როგორც ქვესკნელის, ისე ზესკნელის ღვთაებად; იგი იყო ჩამავალი და ამომავალი მზე, რომელიც შეიძლებოდა მოეკლა თავის ძმას – სეთს და მაინც ყოფილიყო უკვდავი“ (Lurker 1986:9). ეს სწორედ ის ინფორმაციაა, რომელსაც ქართველურ-ეგვიპტური სიმბოლოების ერთიანობაც გვატყობინებს.

„დონისა“ და Khetm-წივ/Sen ნიშნებისგან წამოწეული ასტრონომიული ცოდნა დაფარული და გასაიდუმლოებულია. საიდუმლო სიბრძნე ეგვიპტელი „ველდასხმული“ ქურუმების საკრალური სფერო გახლდათ; ისინი განაგებდნენ მის გამოცხადებასა და განვრცობას. არ იქნება ურიგო მ. ლურკერის სიტყვების გახსენება: „კოსმოსური წყობის ცოდნა წარმოადგენდა უცოდინრებისგან დაფარულ ერთ-ერთ საიდუმლოებას. ძველ სამეფოში გავრცელებული წოდება 'საი-

დუმლოების ოსტატი' ასე უნდა გავიგოთ: სიმბოლო ინიციატს<sup>13</sup> უნდა მიუძღოდეს უფრო დიდი სიმბოლოების და უხსნიდეს მის მნიშვნელობას, მაშინ, როდესაც იმავე ინფორმაციას უნდა ასაიდუმლოებდეს უცოდინროსთვის. სიმბოლოთა მნიშვნელობების ცოდნა ყველასთვის ხელმისაწვდომი არ იყო" (იქვე, 9). მოყვანილი ციტატა ფარდას ხდის ეგვიპტური სიმბოლოების მეტად საყურადღებო თვისებას; კერძოდ, მათ შეეძლოთ კოდირებული ინფორმაციის ერთდროული გახსნაც და დამალვაც. ინიციატიაგავლილებს ხელუნიფებოდათ სიმბოლოების ნაკითხვა მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი ფლობდნენ მათში კოდირებულ ინფორმაციას, მაშინ, როდესაც სხვებისთვის ამ ცოდნასთან ზიარება შეუძლებელი იყო. ეს უკანასკნელნი ვერ სწვდებოდნენ სიმბოლოს მნიშვნელობას არა იმიტომ, რომ იგი ნყვეტდა კოდურ ფუნქციონირებას, არამედ იმის გამო, რომ მათთვის ამ ცოდნის მიცემა აკრძალული იყო.

ამ შუქზე აახ-ენ-ატენის მცდელობა, შეეცვალა ქვეყნის ოფიციალური რელიგია, განსხვავებულ დატვირთვას იძენს. ფარაონმა, რომელიც თვითონ განეკუთვნებოდა ქურუმთა კლასს, გაბედა ტაბუირებული რელიგიური ცნების ასტრონომიული ასპექტის სამზოზე გამოტანა. ერთ-ერთი მკაცრად დაცული საიდუმლოს უდროოდ გამოქვეყნებას არ შეიძლებოდა, ქურუმთა რისხვა არ გამოენვია. ამდენად, აახ-ენ-ატენის მცდელობა მოუმნიფებელი იყო და ჩვენთვის კარგად ცნობილი დასასრულით დამთავრდა. შედეგად, ეგვიპტური ასტრონომიული ცოდნა და Aten-ის ქართველური წარმომავლობა კვლავ გასაიდუმლოებული ცოდნის სფეროს დაუბრუნდა, ვიდრე გამხვლის დრო მოუნევდა.

ეგვიპტური ენობრივი და კულტუროლოგიური ანალიზის ქართველურ პრიზმაში განხილვა საფუძველს გვძლევს ვამტკიცოთ, რომ ამ უძველესი ცივილიზაციის საიდუმლოებანი, სინამდვილეში, არასდროს ყოფილან დაფარულნი. ისინი ყოველთვის გახსნილნი იყვენენ, რათა დაგვენახა, ნაგვეკითხა და გაგვეშიფრა; რაც შეეხება საუკუნეების მანძილზე ნაკითხვის შეუძლებლობას, ეს გამონვეული იყო ჩვენი უძღურებით, შეგვეცნო ქართველური ენები და ქართული კულტურა, როგორც ამ პროცესის მთავარი გასაღები.

ეგვიპტურ Khetm-Snw/Sen-სა და ქართულ ასომთავრულ „დონს“ შორის არსებულ მჭიდრო კავშირზე დამატებით მიუთითებს „ატენისა“ და ეგვიპტური რელიგიის სხვა დიდი ღმერთების განუყოფელი ერთობაც, განსაკუთრებით ღვთაება რასთან, რომელიც იყო მზელმერთი *per se*, წრეში ჩანერილი ნერთილით წარმოდგენილი. აღნიშნული გეომეტრიული გამოსახულება ქართული ასომთავრული „დონის“ მიერ

<sup>13</sup> პიროვნება, რომელიც ინიციატის გავლის შემდეგ „კელდასხმული“ ხდება.

გასაიდუმლოებული ეზოთერული მათემატიკურ-გეომეტრიული ცოდნაა. გავიხსენოთ, რომ სხვა ნიშნებთან ერთად, „დონის“ მათემატიკური სიმბოლოებია 1 და 10. გეომეტრიულად ეს რიცხვები ნერთილსა და წრეს შეესაბამებიან, მაშინ, როდესაც რელიგიური კუთხით ისინი გაუფორმებელ, ამორფულ ცხოვრებასა (1) და ცხოვრების ახალი სტადიის გამოსახულებას (10) წარმოადგენენ. ეგვიპტური მზელმერთის (რა) ხილული გეომეტრიული სახე  $\odot$  დამუხტულია იმავე მათემატიკური, გეომეტრიული და რელიგიური ინფორმაციით, რაც ქართულ ასომთავრულ „დონშია“ კოდირებული. უფრო მეტიც, რა – რელიგიურად შუადღის მზეა და ასტრონომიულად – მზის დღიური კულმინაციის ხატი – მნიშვნელობა, რომელიც, გრაფიკულად, ქართული ასომთავრული „დონია“ და არა ეგვიპტური გამოსახულება –  $\Omega$ . ამიტომ სამივე ღმერთი, ქართული ასომთავრული მზელმერთი „დონი“ ( $\odot$ ), ეგვიპტური მზის დისკო „ატენი“, მზელმერთი რა ( $\odot$ ), და Khetm- $\dot{N}$ w/ $\dot{S}$ en ( $\Omega$ ), არის ერთი, ისინი წარმოადგენენ ერთსა და იმავე ღმერთს და ამიტომ განახორციელებენ ერთების ცნებას, თუმცა სხვადასხვა კუთხიდან.

აღმოჩენილი ქართველური და ეგვიპტური კულტურული ურთიერთობანი, რომლებიც ერთმანეთს უზარმაზარი დროითი და სივრცითი უფსკრულით არიან დაშორებულნი, ენინაალმდეგებიან არსებულ მეცნიერულ ცოდნას. მიუხედავად ამისა, ჰარმონია, ურთიერთშეთანხმება, ფონეტიკური, სემანტიკური, ინფორმაციული და გრაფიკული შესაბამისობა მათ შორის, წარმოადგენს ურყევ სამხილებელ ფაქტებს წარმოადგენილი კვლევის სასარგებლოდ.

საკუთარი სახელების Khetm- $\dot{N}$ w/ $\dot{S}$ en სიმბოლოში მოთავსებით, ფარაონები ხაზს უსვამდნენ თავიანთ მზიურ წარმომავლობას, რადგანაც, ეგვიპტელთა რწმენით, „წრის აპოტროპეულ ძალას მეფის დაცვა შეეძლო“. მზის გრაფიკულმა გამოსახულებამ ეგვიპტელი მეფენი მართლაც დაიცვა ათასწლეულების მანძილზე, მაგრამ მათი ძირითადი დამცავი ღვთაება არა ზეციური და ამქვეყნიური მზეა, არამედ ქვესკნელის მანათობელი ღვთაება. Khetm- $\dot{N}$ w/ $\dot{S}$ en, რომლის ასტრონომიული ცოდნა ქართველურ გრაფიკულ ნყვილშია მოცემული, აღდგომის მომლოდინე ქვესკნელის ღმერთია ( $\Omega$ ), რომელიც მის სანინაალმედგო გრაფიკულ გამოსახულებაში ( $\odot$ ) თავისთავად არის მოცემული; ეს გამოსახულება ციური მზელღვთაება დონია.

ეგვიპტელი ფარაონებისა და ღმერთებისა აღდგენა რთული და მრავალშრიანი გრაფიკული, ასტრონომიული, ლინგვისტური და ეთნიკური აქტია, ვინაიდან ღმერთებიცა და ფარაონებიც კვდებიან საკუთარ კულტურულ გარემოცვაში და ქართულ ასომთავრულ „დონთან“ ერთად ხელახლა იბადებიან, როგორც მოელვარე ზეციური მზის დისკო, იმეორებენ რაკი დღიური და ზაფხულის კულმინაციების უეჭველ

მოსვლას ღამისა და ზამთრის კულმინაციის შემდეგ. ამრიგად, მზე-  
ღმერთ რას პირმშონი საკუთარ სახელებს იეროგლიფურ-ინსიგნიურ  
გამოსახულებაში არა მხოლოდ საკუთარი წარმომავლობის წასაკითხად  
ათავსებდნენ, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, საკუთარი ეთნი-  
კურობის აღდგენისთვის, რასაც ისეთსავე გარდაუვალ მოვლენად  
მიიჩნევდნენ, როგორც მზის მოძრაობას ქვესკნელური ფაზიდან  
(Khetm-Źnw/Šen) „ღონის“ ზეციურ ბრწყინვალეობამდე.


აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ეგვიპტელი  
ფარაონების უხილავი ღმერთი, რომელსაც ისინი თაყვანს სცემდნენ  
მათი ცივილიზაციის პირველივე დღეებიდან, ასახავს იეროგლიფებ-  
სა და ქვეყნის რელიგიურ რწმენებში ოსტატურად ჩაქსოვილ ასტრო-  
ნომიული ცოდნის ნაწილს. ე. წ. Khetm-Źnw/Šen იეროგლიფი, მზის  
ქვედა კულმინაციური ხატი, ანუ ქვესკნელური მზე, სახეა, რომელ-  
საც ამ უძველესი ცივილიზაციის მთლიანი რელიგიურ-მსოფლ-  
მხედველობრივი სისტემა დაეყრდნო.

წარმოდგენილი კვლევა მხარს უჭერს ძველეგვიპტელთა შეხე-  
დულებას მათ დამწერლობაზე. „იეროგლიფის აღმნიშვნელი ეგვიპ-  
ტური ტერმინი, რომელიც ‘ღმერთის სიტყვებს’ ნიშნავს, წარმოად-  
გენს სინტაგმას, რომელიც აიგივებს არა მხოლოდ მეტყველებასა და  
დამწერლობას, არამედ იმ საგნებსაც, რომლებზეც ეს ლექსემები მი-  
უთითებენ. ეგვიპტელთა აზრით, სიტყვები გაცილებით უფრო მეტს  
აკეთებენ, ვიდრე ეს საზოგადოების მიერ შეთანხმებული მნიშვნე-  
ლობის გადმოცემაა. ისინი მათ მიერ გამოსახული საგნების არსს  
წარმოადგენენ. ...ყოველი სიტყვა ატარებს მის მიერ აღნიშნული საგ-  
ნის შესახებ ღრმა ცოდნას და ძალაუფლების გარკვეულ წილს“ (For-  
man, Quirke 1996: 10). ჩვენს მიერ წარმოდგენილი კვლევა ეგვიპტელ-  
თა ამ დებულებასაც ადასტურებს.

ქართული ასომთავრული „ღონის“ გრაფიკულად და შინაარსო-  
ბრივად ინვერსიული ფორმა, Khetm-Źnw/Šen იეროგლიფი, თავისი  
ჭეშმარიტი სამშობლოდან შორს დაფიქსირებული მზის ეკლიპტიკუ-  
რი მოძრაობის ქვედა კულმინაციური ფაზისა და ზედა კულმინაცი-  
ური გამოსახულების განუყოფელი ნაწილია, რადგან მზის წლიური  
მოძრაობის სრულყოფილი კოსმიური სურათის ასაგებად ორი ფაზა  
– ზაფხულისა და ზამთრის ნაბუნობაა საჭირო. ამიტომ, მსგავსად  
ქართველური და ფინიკიური ანბანების ურთიერთობებისა, ეგვიპ-  
ტური Khetm-Źnw/Šen იეროგლიფი და ქართული ასომთავრული  
„ღონი“ იმყოფება ურთიერთდამატებით და შემავსებელ კავშირში,  
რაც მათ საერთო წარმომავლობაზე მიანიშნებს.

#### 4. ოვალური კარტუში

Khetm-Ñw/Sen იეროგლიფის შემდეგ, რომელსაც მრგვალ კარტუშსაც უწოდებენ, აუცილებლად უნდა მოვიხსენიოთ მისი განვრცობის შედეგად მიღებული ოვალური ფორმაც. იგი ძალაუფლების აღმნიშვნელად არის გამოყენებული. პირველად, ოვალურ წრეში მესამე დინასტიის უკანასკნელი მეფის(?) – ჰუნის (უნას) სახელია მოთავსებული. სიმბოლო დაფიქსირებულია საფეხურიან პირამიდაში, რომელიც ჰუნის კულტისთვის სამეფოს სამხრეთით განლაგებულ ელეფანტინის კუნძულზე აიგო (Forman, Quirke 1996:39). თავდაპირველად, Khetm-Ñw/Sen იეროგლიფში ფარაონის ორი ყველაზე მნიშვნელოვანი სახელი იწერებოდა. პირველი, ანუ სამეფო სახელი („prenomen“) ფარაონს ზემო და ქვემო ეგვიპტის მეფედ აცხადებდა. მეორე, ფარაონის დაბადების სახელი, აღინიშნებოდა წოდებით რას ძე და დასტურს აძლევდა მეფის მზიურ წარმომავლობას. ფიქრობენ, რომ სახელის დაგრძელებამ Khetm-Ñw/Sen იეროგლიფის დაგრძელება გამოიწვია (Lurker 1986:38).

არანრიული კარტუში ელიფსოიდური გამოსახულებაა, რომელიც, ტექსტის მიმართულებიდან გამომდინარე, ჰორიზონტალურ ან ვერტიკალურ პოზიციაშია ხოლმე წარმოდგენილი. თუ ეგვიპტურ კარტუშს (მაგ. ვერტიკალურს ) შუაზე გავყოფთ, მივიღებთ ქართული ასომთავრული „ღანის“ ორ ვარიანტს, ასწვრივს, ანუ ამქვეყნიურს (ღ), და ინვერსიულს, ანუ ქვესკნელურს (U). სხვაგვარად, წრიული და ელიფსური კარტუშების იგივეობა ქართულ ასომთავრულ „ღონსა“ თუ „ღანს“ შორის არსებული გრაფიკული, მათემატიკური, გეომეტრიული და ასტრონომიული ცოდნის საფუძველზე აშენებულ კავშირებს იმეორებს. ამ ცოდნის ღერძი მზის ეკლიპტიკაზე მოძრაობის ასტრონომიული ფენომენია. შესაბამისად, ეგვიპტური ელიფსოიდური კარტუში, ისევე, როგორც ქართული ასომთავრული „ღანი“, ეკლიპტიკის მზის სისტემაში მოქმედი მიზიდულობის ძალების გათვალისწინებით აგებული ხატია, ხოლო წრიული კარტუში, ქართული „ღონის“ მსგავსად, მზის მიერ იდეალური, ანუ მიზიდულობის ძალების არარსებობის ვითარებაში განვლილი წლიური მოძრაობის გზა.

ირკვევა, რომ ასომთავრული ასო-ნიშნები და ეგვიპტური იეროგლიფები ერთმანეთთან დაფარული გრაფიკული და შინაარსობრივი ასპექტებით არიან დაკავშირებულნი, რომელთა სქემატური გამოსახვა უფრო მკაფიოდ გამოკვეთს მათ შორის არსებულ მსგავსებებს:

ცხრილი 75

ქართული ასომთავრული ასო-ნიშნები და ეგვიპტური კარტუში

ქართული  
 ასომთავრული „დონი“  
 ♂  
 ასომთავრული „ლანი“  
 ♀

ეგვიპტური  
 წრიული კარტუში  
 Ⓚ  
 ოვალური კარტუში  
 Ⓛ

თუ გავიხსენებთ „დონისა“ და „ლანის“ კავშირებს ფინიკიურ და ბერძნულ ანბანებთან, აღნიშნული ცივილიზაციების სადამწერლო-ბო სისტემებს შორის არსებული ჯაჭვისებრი კავშირები ფრიად შთამბეჭდავ სურათს წარმოგვიდგენენ:

ცხრილი 76

პიქტოგრაფიიდან ანბანამდე

დონი ლანი ↔ წრ. კარტ. ოვალ. კარტ. ↔ 'აინ ↔ ომიკრონ/ომეგა ↔ ლანი დონი  
 ♂ ♀ ↔ Ⓚ Ⓛ ↔ ⓐ ⓑ ↔ ⓐ ⓑ ↔ ⓐ ⓑ ↔ ⓐ ⓑ

იეროგლიფურ-ანბანური ჯაჭვი საშუალებას გვაძლევს, თვალი გავადევნოთ ასტრონომიული და რელიგიური ცოდნის უწყვეტობას. წრე: „დონი“, წრიული Khetm-Šnw/Šen, 'აინ, ომიკრონ ასახავენ ორ ასტრონომიულ ფენომენს: ა) მზის ხატს და ბ) მზის უხილავ ეკლიპტიკურ გზას, მაშინ, როდესაც ოვალური ფორმები: „ლანი“, „ოვალური კარტუში“, „ომეგა“ აზუსტებენ ეკლიპტიკის ელიფსურ ბუნებას, რომელიც მიზიდულობის ძალების ზემოქმედების შედეგად მიიღება.

მზის სისტემის ძირითადი სტრუქტურის გარდა, ოვალური კარტუშის გრაფიკა, ბოლოში მოთავსებული ჰორიზონტალური ხაზით, ადასტურებს, რომ იგი „ლანის“ ინვერსიული ფორმაა და მაშასადამე, თვით ქვესკნელის უხილავი შემოქმედი.

რელიგიურად, წრის სიმბოლო გვეუბნება, რომ ერთადერთი ღმერთი, სამყაროს ერთადერთი შემოქმედი და სიცოცხლის მიმცემი არის მზეღმერთი. მიუხედავად ამისა, მზეს ერთგვაროვანი ასპექტები არა აქვს; მისი ნაბუნობის ფაზები ღმერთის ზესკნელურ და ქვესკნელურ სახეებს შეესაბამება („დონი“ vs წრიული და ოვალური Khetm-Šnw/Šen) და იმავე ღვთაების სანინააღმდეგო ფორმებს განასახიერებს. უფრო მეტიც, ჯაჭვი მზეღმერთის დაფარულ თავგადასავალს გვთავაზობს, რომელიც ეგვიპტური ცივილიზაციის დროს ქვესკნელის ღვთაებას წარმოადგენდა. წარსულის ამ უშორეს დროს

მზელმერთი დაფარული არ არის. იგი ხალხთა შორის ცხოვრობს დედამიწაზე, როგორც ეს მრავალ მითსა და რელიგიურ სისტემაშია დაფიქსირებული, ეგვიპტური სისტემის ჩათვლით, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ღმერთი მხოლოდ თითო-ოროლა „ველდასხმული-სა“ და სამეფო კარის უგანათლებულესი პირებისთვის არის ღია და გახსნილი, მაშინ, როდესაც ჩვეულებრივი მოკვდავისა თუ გაუნათლებელი მასისთვის იგი დაფარული და უჩინარია.

სამყაროს ორგანიზაციის გასაიდუმლოებული ცოდნა და მისი რელიგიურად გარდატეხილი ფილოსოფია კოდირებულ იქნა იეროგლიფებში და ანბანურ თაობას გადაეცა. ანბანის გამოყენება გაცილებით იოლი იყო მისი მოხერხებულობისა და დემოკრატიულობის გამო, თუმცა, იმავდროულად, იგი გაცილებით უფრო იოლად ექვემდებარებოდა ცვლილებებს, რომლებსაც სემანტიკური გაუგებრობა შექჰქონდათ ასო-ნიშნების დეშიფრირებული ცოდნის მწყობრ სისტემაში.

როგორც ფინიკიური „აინ“ გადმოგვცემს, ანბანური დამწერლობის პირველი ნიშნების გამოჩენისას მზელმერთი კვლავ ხილვადია. მეორე ათასწლეულის მეორე ნახევარში, როდესაც ანბანურმა დამწერლობამ პრივილეგიური სახე მიიღო, ხილულმა ღმერთმა უკან დაიხია და დაიმალა; ეს ცვლილება მზელმერთის ხილული წრიული სახიდან (O) უხილავი ფაზისკენ (N) მოძრაობით აღინიშნა, რაც ანბანურად „აინის“ ფორმაში თავზე გახსნილი წრით გამოიხატა (U). ამ პროცესს თან სდევდა არა მხოლოდ ცალკეული ასო-ნიშნების ინფორმაციული დატვირთვის გაფერმკრთალება, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, მთლიანი სისტემის გაბუნდოვანება. მოგვიანებით, ბერძნული „ომეგა“ და „ომიკრონი“ მხარს უბამენ ამ პროცესს და უფრო აღრმავებენ მას, რამეთუ გრაფიკული მოდიფიკაციისა და დესემანტიზაციით გამოწვეული ცვლილებები ერთი ნაბიჯით უფრო შორს მიჰყავთ. დესაკრალიზაციის ათასწლეუნი პროცესის დამასრულებელი რგოლი, გრაფიკულად და შინაარსობრივად უცვლელი ქართული ასო-ნიშნებია (ღანი, დონი), რომლებიც მათში დავანებული ერთი შემოქმედი ღმერთის ხილულ და უხილავ ხატებათა გარდაუვალ აღდგენას გვინინასწარმეტყველებენ.

## 5. მზის ეპლიკატიკაზე მოძრაობის სხვა ფაზებზე

ქართველური და ეგვიპტური ცივილიზაციების დაფარული კავშირები ნათქვამით არ შემოიფარგლება. ეგვიპტური ცივილიზაციის ნაშთები უამრავ დამატებით მასალას გვთავაზობს მათ წამოსანევად. ამაში იოლად დავრწმუნდებით, თუ სამეცნიერო ლიტერატურა-



ში უხვად მონოდებულ სხვადასხვა ილუსტრაციას გავაანალიზებთ. ილ. 6 (გვ. 528) წარმოადგენს ფრესკას დედოფალ ჰატშეფსუტის დასაკრძალავი ტაძრის სამრეკლოდან, რომელიც შემდეგნაირად არის განმარტებული: „ნეხბეტ – ზემო ეგვიპტის მცველი ღვთაება, წარმოდგენილი ფართოდ ფრთაგაშლილი ქორის სახით, რომელიც სამხრეთის თეთრ გვირგვინს ატარებს. ზოგჯერ სამხრეთის თეთრი გვირგვინი ორი მაღალი ბუმბულით არის მორთული; მას (ნეხბეტს) თავის კლანჭებში უპყრია ნიშანი შენ. ეს მრგვალი კარტუშის ფორმით მოცემული ნიშანი არის სიმბოლო იმისა, „რასაც მზე გარს შემოწერს თავისი მსვლელობის განმავლობაში, ე.ი. სამყაროსი“. ზოგიერთ გამოსახულებაში იგი ვადჯიტ კობრას გვერდით ზის, ზოგჯერ კი კობრა მას გარს შემოერთყმის. კობრას სახელი ძალაუფლების აღმნიშვნელია. ორივე მათგანი გამოსახულია ყელსაბამებზე ან ორნამენტებზე, აქა-იქ მზის ღვთაებასთან ერთად, სამეფო კარტუშთან, ვედჯიტ თვალთან, დჯედის სვეტთან“ (Gros de Beler 2004:66).<sup>14</sup>

დაკვირვებული მკითხველი უმალ ამოიცნობს, რომ კობრა ვადჯიტის მკერდზე მიყრდნობილი Khetm-Ṣnw/Sen-ის ინსიგნია სიმბოლოს განსხვავებულ პოზიციას წარმოგვიდგენს. „დონის“ ასტრონომია მას შემოდგომის დღელამსწორობის ხატთან აიგივებს; ეს ინფორმაცია საშუალებას გვაძლევს კომპოზიცია უფრო ზუსტად ნავიკითხოთ: ზემო ეგვიპტის მფარველ ღვთაებას, ფრთაგაშლილ ნეხბეტს (ქორი) კლანჭებში ჩაბლუჯული აქვს ქართული ასომთავრული მზე-„დონის“ ქვედა კულმინაციური ხატი, ხოლო ქვემო ეგვიპტის დამცველ ღმერთს ვადჯიტს (კობრა) ქართული ასომთავრული „დონის“ იგივე გამოსახულება (Khetm-Ṣnw/Sen) მკერდზე აქვს მიკრული, მაგრამ ისე, რომ ამჯერად იგი მზის ეკლიპტიკური მოძრაობის საშემოდგომო დღელამსწორობის ფაზაშია. ერთი და იმავე სიმბოლოს განსხვავებული პოზიციების მეშვეობით გადმოცემული სამყაროსეული ცოდნა წარმოადგენდა მეცნიერულად შექმნილ მეთოდს, რათა ეს ნმიდათანმიდა ცოდნა ეგვიპტური ჩაკეტილი ოლიგარქიის მცირერიცხოვანი „ველდასხმულებისთვის“ ყოფილიყო ხილული, მაგრამ ათასობითა და მილიონობით სხვისთვის – უხილავი.

ილ. 7-ის (გვ. 528) ანოტაცია გვატყობინებს: „დედოფალ ჰეტეფერეს სამარხში ნაპოვნი საფარდე ყუთი. მასზე წარმოდგენილია მისი

<sup>14</sup> „Nekhbet – goddess protector of the Upper Egypt is represented by a vulture often with widely spread wings wearing the white crown of the South. She wears the white crown of the south, sometimes with two high feathers, and holds in her claws the chen sign. This sign in the form of a round cartouche is a symbol for “what the sun encircles during its course, i.e. the universe. Sometimes she appears as a vulture at rest sitting next to the cobra Wadjet, or encircling with Wadjet, a name or a symbol charged with power. Both of them are depicted on pectorals or ornaments, here and there, with the solar god, a royal cartouche, an wedjat eye, a djed pillar...” (Gros de Beler 2004:66).

მეუღლის, სნეფერუს მეფობისას დამკვიდრებული სამეფო გამოხატულების ახალი ფორმა. ოქროს ფონზე მზის მიერ გარშემოწერილ სახელწრეში მეფის სახელი თეთრი ფერით არის ხაზგასმული, რაც ამ პერიოდისთვის დამახასიათებელ ახალ ელემენტს წარმოადგენს. მის მარცხნივ და მარჯვნივ სამხრეთის ქალღვთაება-ქორი ნებხეტი და ჩრდილოეთის ქალღვთაება-კობრა ვადჯიტი მეფეს, მისი სუვერენიტეტის სიმბოლოს, shen რგოლს სთავაზობენ“ (Forman, Quirke 1996:43).<sup>15</sup>

დააკვირდით კარტუშების განლაგებას; ვინც ფლობს „დონისა“ და „ლანის“ საიდუმლოს, უშეცდომოდ ამოიკითხავს მოცემულ ილუსტრაციაში მზის წლიური მოძრაობის კიდევ ერთ, საგაზაფხულო დღელამსწორობის ფაზას (მარცხენა კარტუში). სხვაგვარად, აქაც, ისევე, როგორც წინა შემთხვევაში, იდენტური ასტრონომიულ-რელიგიური ინფორმაციაა გადმოცემული.

მასალის შესწავლა გვკარნახობს, რომ ეგვიპტურ Khetm-Ḥnw/Ḥen სიმბოლოში ქართველური ლანისა და დონის დაფარული ურთიერთობის სამივე სახე საკმაოდ ხშირად ფიგურირებს ეგვიპტური პირამიდებისა და უძველესი ტაძრების მდიდრულად მოხატულ კედლებზე. მოვიყვანთ ცის თაღზე მზის წლიური მოძრაობის სხვადასხვა ფაზის ამსახველ კიდევ ორ ილუსტრაციას.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს *მკედართა ნიგნში* ნანის გასამართლების ამსახველი კომპოზიციები *ნეჯმეტის პაპირუსში* (ძვ. წ. 11 ს. ილ. 8,9; გვ. 529). აი, როგორ არის აღწერილი პირველ სურათზე ასახული კომპოზიცია: „ნანის ოსირისის წინაშე გასამართლებენ; ტურისთავიანი ანუბისის სასწორს ამონმებს; სასწორის მარჯვნივ, გულის იეროგლიფის გასწვრივ ქალღმერთის ფიგურაა. ქალღმერთსა და ანუბისის შორის პატარა, გულხელდაკრეფილი შავი ფიგურა მოკუნტულა, იგი გარდაცვლილის აჩრდილს იძახებს, რომელიც გარდაცვლილის იმქვეყნიურ ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობს. უშუალოდ ოსირისის წინ უჩვეულოდ გაშლილი შესანიერი ტაბლა დგას; მასზე მხოლოდ ერთი საგანია, საქონლის (სიტყვასიტყვით 'ხორცის') ბარკალი. პაპირუსის ზედა რეგისტრში განლაგებული ვინეტი მის 94-ე თავში მოცემულ ფორმულას ასახავს, რომლის მიხედვითაც, გარდაცვლილი საწერ დაფას ითხოვს, რათა ღმერთებს მწერლად ემსახუროს; იბისისთავიან თოთს მინიჭებული აქვს იეროგლიფური ნოდება— „ღმერთის სიტყვების უფალი“ (Forman, Quirke 1996:141).

<sup>15</sup> „The curtain box from burial of queen Hetepheres illustrates the new expression of kingship in the reign of her husband king Sneferu. Against the gold background the name of the king is highlighted in white within a new feature of the period, the name-ring expressing rule over all that the sun encircles. To the left and right the vulture-goddess Nekhbet, for the south, and the cobra-goddess Wadjet, for the north, offer the shen-ring to the king, symbolising the gift of sovereignty“ (Forman, Quirke 1996:43).


მე-9 ილუსტრაციის (გვ. 529) ტექსტი გვატყობინებს: "ნანის მეორე პაპირუსი ეკუთვნის *მკედართა ნიგნის* ახალ, 11 საუკუნის დამატებას. მისი სახელწოდებაა *ამდუატი*, ანუ *რაც ქვესკნელშია*. ძვ. წ. მეთერთმეტე და ადრეული, მეათე საუკუნის ხელნაწერები, ძირითადად, მუმიფიცირებული ღვთაებების სერიას წარმოგვიდგენენ, როგორც ეს ახალი სამეფოს მეფეთა სამარხებში აღბეჭდილ რას ლიტანიასია მოცემული. ამ პაპირუსზე ყოველი მათგანი ნანის იეროგლიფით არის იდენტიფიცირებული, რაც, ღმერთთან შეერთებით, სამუდამო სიცოცხლეს უზრუნველყოფს".

ილუსტრაციათა მოცემული დეტალური აღწერები არაფერს ამბობენ ე.წ. Khetm-*Ḥw/Sen* სიმბოლოს შესახებ, მაშინ, როდესაც მიმდინარე ანალიზის ფონზე სიმბოლოს კონკრეტული ვარიანტები მრავლისმთქმელია. მაგალითად, მე-8 ილუსტრაციაში (გვ. 528) Khetm-*Ḥw/Sen* სიმბოლო წარმოდგენილია, როგორც შემოდგომის დღელამსწორობა, რაც მეტაფორულ ენაზე აცხადებს ამქვეყნიური სიცოცხლის დასასრულს და გარდაცვლილის დგომას ახალი, იმქვეყნიური სოცოცხლის ზღურბლზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დღელამტოლობის, ანუ ნულოვანი წერტილის მზის ასტრონომიული ხატი და პაპირუსში აღწერილი კომპოზიცია ერთსა და იმავე ინფორმაციას გადმოსცემენ.

მოცემული ილუსტრაციების (8, 9) შედარება საგრძნობლად ზრდის გამოტანილი დასკვნის დამაჯერებლობას. მე-9 ილუსტრაციის სათაურია „*რაც ქვესკნელშია*“; მასში მოცემულია Khetm-*Ḥw/Sen* სიმბოლო, ანუ ქართული ასომთავრული „დონის“ ქვესკნელური ხატი, ე.ი. ზამთრის მზებუდობის ფაზა. ასე რომ, Khetm-*Ḥw/Sen* სიმბოლოს მოცემული კონკრეტული ვარიანტი „სიტყვასიტყვით“ შეესაბამება ფრესკით აღწერილ კომპოზიციასა და მის სათაურს. შესაბამისად, Khetm-*Ḥw/Sen* სიმბოლოს განსხვავებული გამოსახულებების ილუსტრაციებში ჩართვა უბრალო შემთხვევითობით არ არის გამოწვეული. პირიქით, ისინი მზის ეკლიპტიკური მოძრაობის ფაზების მიზანმიმართული შერჩევის შედეგია, რათა მკაფიოდ გადმოსცენ მთლიანი კოსმიური ფენომენის და ეგვიპტური რელიგიური სისტემის ძირითადი პოსტულატი-ქვესკნელური მზელმერთის უზენაესობისა და გარდაცვლილი ფარაონის მზიურ-ღვთაებრივი წარმომავლობის შესახებ. ბუნებრივია, რომ ისინი, ვინც ამ უსაზღვრო მეცნიერულ ცოდნას ფლობდნენ, ერთმანეთს ადვილად უკავშირებდნენ Khetm-*Ḥw/Sen* იეროგლიფის სხვადასხვა ვარიანტს, სემანტიკასა და კომპოზიციების სათაურებს.

წარმოდგენილ ანალიზზე დაყრდნობით, ეგვიპტური Khetm-*Ḥw/Sen* სიმბოლო მზის ეკლიპტიკური მოძრაობის მხოლოდ სამ ნიშანს (ოთხიდან) გადმოსცემს: ა) ზამთრის ნაბუნობა, ბ) საშემოდგომო

ბუნიობა და გ) საგაზაფხულო ბუნიობა. ნარმოდგენილი დეშიფრირების სისწორე და მისი შესაბამისობა ეგვიპტელი ასტრონომ-ქურუმების განკარგვაში მყოფ ასტრონომიულ ცოდნასთან სხვა მითოლოგიური და რელიგიური ფაქტებითაც დასტურდება. მაგალითად, ოსირისის დაბადება (ჰამილია)<sup>16</sup> და სიკედილი (ათორ 17) საგაზაფხულო და საშემოდგომო დღელამსწორობას ემთხვეოდა; ჰარპოკრატეს დაბადება „ემთხვეოდა“ ზამთრის ნაბუნიობას და ეგვიპტელები ნილოსის ადიდებას სირიუსის ჰელიაკალური ამოსვლით იწყებდნენ. სხვაგვარად, აშკარაა, რომ უძველეს ეგვიპტელ ასტრონომ-ქურუმებს შქონდათ ცოდნა მზის სამყაროს, მისი ეკლიპტიკური მოძრაობის, ძირითადი ფაზების შესახებ და ნებისმიერი ასტრონომიული მოვლენის გამოთვლა ხელენიფებოდათ.



სურ. 24. „თებეს მკედართა ნიგნის xxxv თავიდან აღებული შელოცვის ტექსტი (მიმართვა გარდაცვლილის დედის გულისა და მკერდისადმი). გავრცელებული იყო ეგვიპტეში IV დინასტიიდან რომაულ პერიოდამდე“ (Budge 1934:302).

აღნიშნული ცოდნა და მისი შიფრი, რომელიც მზის სამ გამოსახულებაშია ჩადებული (Q D C), გვთავაზობს მეოთხე ფაზის (T) არსებობასაც. მართლაც, ასეთი ფორმა არსებობს. იგი ფიგურირებს ტატამის ეგვიპტურ ანბანში, რომელიც უ. ბაჯს HED-ის შესავალში, ეგვიპტური ანბანის მიმოხილვაში, ნიმუშის სახით აქვს მოცემული. მისი ფონეტიკური ღირებულებაა n, იეროგლიფის სახელია (pot) „ქოთანი“. მის მიღებულ ვარიანტულ დანერობაში ეკლიპტიკის ვერტიკალური წრფე შემოკლებულია C (Allen 2002:446). როგორც ირკვევა, შუმერების მსგავსად, ეგვიპტელებსაც გააჩნდათ მზის მოძრაობის ოთხივე ძირითადი ფაზის გრაფიკული გამოსახულება „დონის“ აბსოლუტურად იდენტური ხაზით, რომელიც ყოველგვარი „ხმამალალი სიტყვების“ გარეშე გადმოსცემდა ეგვიპტელთა ფუნდამენტურ დოგმას – მკედრეთით აღდგომას. მეტიც, სურ. 24 ნარმოადგენს თებეს მკედარ-

<sup>16</sup> პლუტარქეს მიხედვით, ჰამილია დიონისესადმი, ანუ ბახუსისადმი მიძღვნილ ფალოფორიის დღესასწაულს ჰგავდა.

თა წიგნის xxxB თავიდან აღებულ შელოცვის ტექსტს – მიმართვას გარდაცვლილის დედის გულისა და მკერდისადმი (Budge 1934:302) სა-  
დაც 1, 3 და 8 ხაზებში რამდენჯერმე არის დაფიქსირებული ყელიანი  
ქართული ასომთავრული „დონი“ ო.

კოლოსალური მასშტაბების ცოდნა საოცრად ზუსტი და, ერთი  
შეხედვით, უმარტივესი გრაფიკული მონახაზით არის გადმოცემუ-  
ლი. ეგვიპტური საკრალური ცოდნის მონაკვეთების ნაკითხვა არა-  
ვითარ სირთულეს არ წარმოადგენს, თუ ვიცით ქართველური და ეგ-  
ვიპტური ასო-ნიშნების ეზოთერია, მაგრამ, ვისაც არა აქვს ნება  
ეზიაროს უძველესი სწავლული-ქურუმების საკრალურ ცოდნას,  
იძულებულია, დაეყრდნოს მეცნიერულ ინტერპრეტაციებს, რომლე-  
ბიც, საუკეთესო შემთხვევაშიც კი, მოკლებულნი არიან სიზუსტეს.  
ამას მივყავართ დასკვნამდე, რომ იეროგლიფები საგნებისა და ცნე-  
ბების უბრალო სურათებს არ წარმოადგენენ. ისინი ძლიერ რთული  
ელემენტებია (ზოგიერთი მაინც), ვინაიდან ქართული ასომთავრუ-  
ლი ანბანის, ქართველური ენებისა და კულტურის გასაიდუმლოების  
საფუძველზე შეიქმნა. ამიტომ, იეროგლიფების მიღებულ ფუნქციებ-  
თან ერთად, ისინი უფრო მნიშვნელოვან მიზანს ემსახურებოდნენ:  
ფაქტების ერთობლივი ეზოთერულ-ეგზოთერული კოდიფიკაციის  
მეშვეობით გადმოეცათ მზის სისტემის სტრუქტურის, ორგანიზა-  
ციისა და ფუნქციონირების შემცველი დაფარული მეცნიერული  
ცოდნა თუ საკუთარი წარმომავლობა.

ქართველური და ეგვიპტური ლინგვისტური და კულტუროლო-  
გიური კონტაქტების უარყოფის შემთხვევაში, ან აღნიშნული ანბან-  
ური საიდუმლო ცოდნის უქონლობისას, გაანალიზებული ნიშნები  
შორდება იმ ასტრონომიულ საფუძველს, რომელმაც მათი ღვთიური  
ბუნება განაპირობა და უბრუნდება „პრობლემებით აღსავსე“ დღე-  
ვანდელ მეცნიერულ სტატუსს.

წარმოდგენილი დებულების სისწორე შესაძლებელია შემონმ-  
დეს ორი ეგვიპტური რიცხვითი სახელის ლინგვისტური ანალიზით,  
რომელთა იეროგლიფებთან და ქართველურ ასო-ნიშნებთან არსე-  
ბულ დაფარულ კავშირებსა და საკრალურ ინფორმაციაში ჩანვდომა  
მხოლოდ ქართველური ენებისა და მათში კოდირებული ანბანური  
ცოდნის მეშვეობით ხდება.

## 6. ეგვიპტური სიტყვების *SENNU, MET* ლინგვოკულტუროლოგიური და ეზოთერული ანალიზი

Khetm-Šnw/Sen სიმბოლოს ანალოგიური გამოსახულება **Ω**  
რიცხვით ნიშნსაც წარმოადგენდა. მისი მათემატიკური ღირებულე-

ბაიყო 10 000 000. მას კითხულობენ როგორც *šennu-s* (Budge 1966: 129; შდრ.: *šnw/šen*) და წარმოდგენს „დონის“ ინვერსიულ და *Khetm-šnw/šen* იეროგლიფის იდენტურ გამოსახულებას. აღნიშნული რიცხვისა და ქართული ასომთავრული „დონის“ მსგავსება, წარმოდგენილი ანალიზის ფონზე, საშუალებას გვაძლევს, განსხვავებულ ქრილში განვიხილოთ არა მხოლოდ აღნიშნული ეგვიპტური რიცხვითი გამოსახულება, არამედ გამოვავლინოთ მასთან მჭიდროდ დაკავშირებული მეორე რიცხვიც, ქართული ასომთავრული „ლანის“ იდენტური გამოსახულება *l*, რომლის სახელიც იყო *met*<sup>17</sup> და უდრიდა 10.<sup>18</sup>

მიუხედავად იმისა, რომ *šennu* და *met* რიცხვებს განსხვავებული გრაფიკული მონახაზი და სახელები აქვთ, ეზოთერულად ისინი ერთი და იგივეა. მათი იდენტურობა ეტიმოლოგიური და მათემატიკური ურთიერთობებით მტკიცდება. ეტიმოლოგიურად ორივე სახელი *met* და *šennu* ქართველური წარმომავლობისაა. დავინყოთ ეგვიპტური *met*-ით, რომლის *e*-თი გახმოვანებული ფორმა ასო-ასო და ბგერა-ბგერა შეესაბამება „მეტობის“ აღმნიშვნელ ქართველურ განუსაზღვრელ რიცხვით სახელს მეტი. გამოვლენილი ბგერითი იგივეობა იმდენად აშკარაა, რომ არავითარ დამატებით ენობრივ ანალიზს არ მოითხოვს (თუმცა, ზოგიერთი სწორედ ასეთ იგივეობას დააყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ). სრულყოფილ გრაფიკულ *l* და ფონეტიკურ (*met*) მსგავსებას ქართულ ასომთავრულ „ლანთან“ და სიტყვასთან „მეტი“, ემატება მათი კატეგორიული სემანტიკაც, რადგან ორივე ერთეული რაოდენობრიობის აღმნიშვნელი სიტყვაა.

კიდევ უფრო საოცარი ჩანს ის ფაქტი, რომ *met*-ის რიცხობრივი მნიშვნელობა ქართული ასომთავრული ანბანის ეზოთერულ მათემატიკას ექვემდებარება. რიცხვ 10-ის აღმნიშვნელი სიტყვა *met* პითაგორული მეტაფიზიკური რიცხვის სწავლების მიხედვით, სიცოცხლის ახალ ეტაპს გამოხატავს.

ეგვიპტური *met* (*l*) ამ საკრალურ ცოდნას სამწვერა ქართველურ-ეგვიპტური მოდელიდან იძენს:  $l = l = \bigcirc$ , სადაც პირველი ნიშანი *l* არის 10-ის აღმნიშვნელი ეგვიპტური „მეტი“, მეორე – ქართული ასომთავრული ასო-ნიშანი „ლანი“, მესამე კი – „დონი“. პირველი და მეორე წევრი ერთმანეთს ღიად დაფიქსირებული გრაფიკული, ანუ გარე მსგავსებებით უტოლდება, მაშინ, როდესაც პირველი (*l*) და მესამე ( $\bigcirc$ ) წევრების ტოლობა „ლანისა“ და მზელმერთ „დონის“ უხილავი სახით არის გაშუალებული. ფორმულაში ეგვიპტური *met*-ის

<sup>17</sup> შეადარეთ ძველქართული ლექსემა „ბევრი“, მნიშვნელობით 10 000 (შანიძე 1976:45).


<sup>18</sup> ეგვიპტური *met*-ის (ქართული „ლანი“) გამოსახულებათა რაოდენობა გამოხატავდა ყველა ათეულს 90-ის ჩათვლით. ასე მაგალითად, ორი „ლანი“ (*met*) უდრიდა 20-ს, სამი – 30-ს და ა. შ.

ჩართვით, ეს უკანასკნელი მთლიანად მიიერთებს ქართველური ნევრების მონახაზში კოდირებულ საკრალურ ცოდნას, რის შედეგადაც იზრდება იმ ეგვიპტური სიმბოლოების რაოდენობა, რომლებსაც უძველესი ქართველი მეცნიერების ეზოთერული ცოდნის ნაწილი გადაეცათ. შესაბამისად, met ეგვიპტურ-ქართველური Khetm-Šw/Šen-დონ-დან ჯგუფის კანონიერი ნევრი ხდება და კიდევ უფრო აფართოებს ლინგვისტურ და გრაფიკულ საზღვრებს.

ქართველური „ლანისა“ და ეგვიპტური „მეტის“ ურთიერთობა უფრო სიღრმისეულია. ევიპტურში მეფისა და უფლისწულის აღმნიშვნელი სიტყვა იყო *ati* (Budge 1978:xcix). ეგვიპტოლოგების აზრით, უ. ბაჯის მიერ *ḫ*-ით აღნიშნულ ბგერას ან საერთოდ არ გააჩნია ფონემური ღირებულება და მიუთითებს მარცვლის ხმოვნით დანყება-დასასრულს, ანდა გამოითქმოდა, როგორც *y* ინგლისურ სიტყვაში *yet* (დაახლოვებით ქართული *მ*). მიუხედავად ამ აღიარებული შეხედულებისა, ქართველური მასალა გვეკარნახობს აღნიშნული ნიშნის ნაკითხვას ჩვეულებრივი *ა* (მდრ.: მეტ-ი) სახით, რომლის აღდგენა ეგვიპტური სიტყვის მნიშვნელობას—მეფე, უფლისწული, ამდიდრებს ქართველური მნიშვნელობით *ათი* (10) და, რაც მთავარია, ადასტურებს ათის, როგორც მეტაფიზიკური რიცხვის მნიშვნელობას: ახალი სიცოცხლე, სიცოცხლის ახალი ეტაპი ეგვიპტურ-ქართველურ სტრუქტურულ ჯაჭვში:

### ცხრილი 77

#### ეგვიპტურ-ქართველური met-ის ეზოთერია



10-ის მეტაფიზიკური მნიშვნელობისა და ეგვიპტური და ქართველური სიტყვების ფონეტიკურ-სემანტიკური ჰარმონია მთლიანი ჯაჭვის ეზოთერულ მნიშვნელობას ხსნის, როგორც ყოველი ეგვიპტული მეფისა თუ უფლისწულის ზეობას, როგორც ქართველური უხილავი ღმერთის კონკრეტულ გამოვლინებას სოციალურ (მეფე, უფლისწული), მათემატიკურ (რიცხვი 10), ანბანურ-დამწერლობით (ასო-ნიშანი „ლანი“) და, რაც მთავარია, რელიგიურ (უხილავი ღმერთი) დონეებზე.

მეორე ეგვიპტური სიტყვაც *ḫnui* (იხ. აგრეთვე გვ. 347-360) ქართველური წარმომავლობისაა. იგი წარმოადგენს ქართულ კუთვნილებით ნაცვალსახელს შენი, და ფონეტიკურად, ფაქტობრივად

მისგან არ განსხვავდება. განმასხვავებელი ბგერათშესაბამისობა შ-ს ჩვეულებრივი ფონეტიკური მოვლენაა, ხოლო ი-უ კორელაცია კი, უკვე მრავალჯერ დაფიქსირებული ფენომენი.

მეტაფიზიკური მათემატიკის ურთიერთობების თვალსაზრისით, ეგვიპტური met და śennu იდენტური სიდიდეებია. პითაგორული რიცხვის მიხედვით, ორივე, 10 000 000 (śennu) და 10 (met), ერთია:  $10\,000\,000 = 1+0+0+0\dots = 1$  ისევე როგორც  $10 = 1+0 = 1$ . აგრეთვე,  $(10 = 10) = (10\,000\,000 = 10+0+0\dots)$ , ანუ  $10 = 10$ . სხვაგვარად, ორივე რიცხვი მათემატიკურად არის 1 და 10, ანუ გეომეტრიულად ორივე ნერტილიცაა და წრეც. ამიტომ, ორივე ნიშანი სრულ შესაბამისობაშია „დონისა“ და „ლანის“ ეზოთერულ სემანტიკასთან, რომელიც პოტენციურ, გაუფორმებელ სიცოცხლეს ნერტილის, ანუ 1-ის სახით ( $\Pi=1$ ,  $\Omega=1$ ) წარმოადგენს, ხოლო სიცოცხლის თვისებრივად ახალ ეტაპს – წრისა და 10-ის სახით ( $\Pi=10$ ,  $\Omega=10$ ).

მიუხედავად არსებული ტოლობებისა, მონახაზის მხედველობაში მიღებისას, რიცხობრივი, გეომეტრიული და ინფორმაციული ფენების სრული შეთანხმება śennu ( $\Omega$ ) წრის ნიშნით გადმოიცემა (1, 10 გაუფორმებელი და რეალიზებული სიცოცხლე), მაშინ, როდესაც met ( $\Pi$ ) იმავე ინფორმაციას სამი არხის მეშვეობით მოიკრებს: ა) „დონისა“ და „ლანის“ ტოლობით śennu და met რიცხობრივ გამოსახულებებთან; ბ) „დონისა“ და „ლანის“ ტოლობით Khetm-Ńw/Sen სიმბოლოსთან; გ) ეგვიპტური Khetm-Ńw/Sen-ის ტოლობით śennu და met-თან:

### ცხრილი 78

ქართველური და ეგვიპტური სიმბოლოების ტოლობა

$$\begin{array}{ccccc} \text{დონი-ლანი} & & \text{Khetm-Ńw/Sen} & & \text{met-śennu} \\ \overline{\cup} = \Pi & = & \Omega = \Pi & = & \Pi = \Omega \end{array}$$


დავასკვნით: 10-ისა ( $\Pi$ ) და 10 000 000-ის ( $\Omega$ ) აღმნიშვნელი ნიშნები წარმოადგენენ არა მხოლოდ უბრალო რიცხვით სახელებს, არამედ სიმბოლურ კოდებს, რომლებიც დაფარულად შეიცავენ მათ კავშირებს, ერთი მხრივ, ეგვიპტურ (Khetm-Ńw/Sen) და, მეორე მხრივ, ქართულ ასომთავრულ ასო-ნიშნებთან („დონი“, „ლანი“), რის საფუძველზეც, ეს უკანასკნელნი, დაშიფრული საკრალული ინფორმაციის გადმოცემის არხად იქცევიან.

ურიგო არ იქნება, თუ გავიმეორებთ, რომ გარეგნულად განსხვავებული śennu და met ნიშნების აღწერილი მსგავსებების ზედაპირზე ამონევა მხოლოდ ქართულ ასომთავრულ „დონსა“ და „ლანში“ ჩაშენებული მათემატიკური, გეომეტრიული და ასტრონომიული ცოდნის საფუძველზე ხორციელდება. ამ ცოდნის მიხედვით, „დონ-



ში" და „ლანში“ დავანებული მზის სისტემის აგებულების უძირითადესი ნიშანი – მზის ეკლიპტიკაზე მოძრაობა – და მისი თანმდევი კულტუროლოგიური მნიშვნელობა, ანბანურ და რიცხობრივ ნიშნებსა დანანილებული. ეს საშუალებას აძლევს მზე-დონს, სხვასხვა დონეზე წარმოადგენდეს უხილავი ღმერთის ხილულ ასტრონომიულ სახეს: კოსმიურზე, ენობრივზე, ანბანურსა და რელიგიურზე. ქართული ასომთავრული „დონი“ და „ლანი“ ამ მთლიან ცოდნას სამეფო ინსიგნიის აღმნიშვნელ Khetm-წივ/წენ იეროგლიფს გადასცემენ, რითიც ხსნიან, აზუსტებენ და საძირკველს უშენებენ ინსიგნიის ეგვიპტურ მნიშვნელობას.

ჩამოყალიბებული ქართველურ-ეგვიპტური სადამწერლობო ნიშნების ჯგუფი („დონი“, „ლანი“, Khetm-წივ/წენ) ფარდას ხდის მის კრიპტულ ერთობას met (10) და šennu (10 000 000) რიცხვებთან მათი გარეგნული (გრაფიკა) თვისებებისა და რიცხობრივი მნიშვნელობების მეშვეობით. აღნიშნული ერთობა ქართველური ასო-ნიშნებით არის გაშუალებული. ნათქვამის საფუძველზე, ეგვიპტური šennu და met ჩამოყალიბებული ქართველურ-ეგვიპტური ჯგუფის სრულუფლებიანი წევრები ხდებიან, რითაც იზრდება ჯგუფის როგორც რაოდენობრივი მაჩვენებელი (4-დან 6-მდე), ისე თვისებრივი, ვინაიდან შემოდის ახალი, რიცხვითი სახელის კატეგორია. აქაც, გაფართოების მიზეზი ქართველური ენობრივი, კულტუროლოგიური და მეცნიერული ფაქტებია, რომელთა ჩამოშორება მთლიანი სისტემის ნგრევას იწვევს; met და šennu წყვეტენ ეგვიპტური და ქართველური სანერი ნიშნების შემადგენელ წევრებად ყოფნას და უბრუნდებიან თავის ძველ რიცხობრივ სტატუსს.

ამრიგად, ფინიკიურ-ქართული ანბანების ასო-ნიშნებისა არ იყოს, ქართული ასომთავრული „დონი“ და მკვდარი ეგვიპტური Khetm-წივ/წენ ღვთაებრივი იეროგლიფი ერთმანეთთან ურთიერთდამატებით და ურთიერთშემავსებელ დამოკიდებულებაში იმყოფებიან. ის ფაქტი, რომ ეგვიპტური რიცხვითი სახელის ენობრივი (ბგერითი ფორმა, სემანტიკა) და გრაფიკული სიმბოლიკა მხოლოდ ქართველურ ენობრივ მასალასა და ქართულ ასომთავრულ ანბანში კოდირებული ცოდნის საფუძველზე იკითხება, ამკარა მინიშნებაა ეგვიპტის უძველეს წარსულში ქართველური ეტაპის არსებობისა. ეს არის დასკვნა, რომელიც ჰარმონიაშია met-ის პითაგორულ რიცხვით მნიშვნელობასთან ( $10 = 10$ ), რადგანაც იგი თვისებრივად ახალი ეტაპია, ახალი სიცოცხლეა და, ალბათ, მართებულია დაფუძნატოთ, ახალი ცივილიზაციაცაა. ქართველური ფაზის არსებობაზე განაცხადი არის ეგვიპტურ კულტურაში უპრეცედენტო შემთხვევა და ასევე, უპრეცედენტო შედეგების მომტანი. ამიტომ დამატებითი დამადასტურებელი მასალის მოძიება აუცილებელია.  იეროგლიფის ლინგვისტური ანალიზი სწორედ ამგვარი სახის ფაქტია.

## 7. *šNW/šEN*-ის უმარაგებითი ლინგვისტური ანალიზი

ეგვიპტური დამწერლობა კონსონანტურია, ანუ სიტყვების წერილობითი ფიქსაცია მხოლოდ თანხმოვნების მეშვეობით ხორციელდება. ეგვიპტელებს არასდროს მიუმართავთ ხმოვნებისთვის; „არასოდეს გამოუგონიათ ვოკალიზაციის სისტემა და არასოდეს შეუნუხებიან თავი ხმოვანი ბგერების აღნიშვნით, როგორც ეს სირიელებმა და არაბებმა გააკეთეს“ (Budge 1966:146). ამიტომ, მეცნიერთა აზრით, მათი „ზუსტი გამოთქმა სამუდამოდ ამოუცნობი დარჩება“ (იქვე, 146).<sup>19</sup> ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეგვიპტური დამწერლობა ათასწლეულების წინ არსებული გახმოვანების აღდგენას შეუძლებელს ხდის. ვნახოთ, რამდენად „შეგვიწყობს ხელს“ ეგვიპტური დამწერლობის იგივე თვისება ჩვენთვის საინტერესო დასახელებათა ფონეტიკური ასპექტის დადგენაში.

სახელის *šw/šen* ვარიანტები ერთმანეთისგან ძირითადად ბოლოკიდური *w* (*u*) ბგერით განსხვავდებიან, ვინაიდან ეს უკანასკნელი, სახელის მეორე ვარიანტში (*š*) არ ფიგურირებს. ეს კი მიუთითებს *u* ხმოვნის არასტაბილურ მდგომარეობაზე და, მაშასადამე, სახელის არაძირისეულ სტატუსზე. აღნიშნულ მოვლენაზე მიგვანიშნებს იდენტური ძირის, მაგრამ განსხვავებული ბოლოკიდური ბგერის შემცველი სხვა ეგვიპტური სიტყვებიც. მაგალითისთვის დავასახელებთ *shenu* (ზმნა), *shen*, *shenuu*-ს ანალოგიური მნიშვნელობის მქონე ლექსემებს: *nr*, *nrniri*, გარშემოწერილობა, ორბიტა, ბრუნვა (Budge 1978:743).

*šen* და *š(w)* ფორმები იდენტურია და ეგვიპტოლოგიაში მიღებული წესის მიხედვით (დაუდგენელი ხმოვნის *e* ბგერით აღნიშვნა), იდენტურ ვოკალიზაციას გვთავაზობენ. *šen/šen* ფორმები ვერ ჩაითვლება საიმედოდ, რადგანაც აღნიშნულ ხერხს მხოლოდ ეგვიპტური გამოთქმის გასაადვილებლად მიმართავენ (Budge 1966:31, 35). მიუხედავად ამისა, *šen/šen* გახმოვანება ქართველურ ენათა მეორე პირის მხოლოდითი რიცხვის ნაცვალსახელის ორეულია. თუ შემოთავაზებული ეტიმოლოგია სწორია, მაშინ ჩვენ ამოვხსენით სახელის წარმომავლობისა და გახმოვანების პრობლემები, თუმცა, იმავდროულად, დღის წესრიგში ხელახლა დავაყენეთ ეგვიპტური ენის ფონოლოგიური შედგენილობის საკითხი; კერძოდ, შეიცავდა თუ არა ეგვიპტური ენა *e* (*e*) ხმოვანს.

<sup>19</sup> „The exact pronunciation of great many verbs must always remain unknown, because the Egyptians never invented a system of vocalisation, and never took the trouble to indicate the various vowel-sounds like the Syrians and Arabs“ (Budge 1966:146). ავტორი მსჯელობს ზმნაზე, მაგრამ დებულება, ბუნებრივია, მთლიანად ენას ეხება.

ანალოგიური ქართველური ეტიმოლოგია გამოსჭვივის ეგვიპტელი ექიმის სახელში სენ (Sen), რომელიც მის კუბოზეა წარწერილი და ბრიტანეთის მუზეუმში ინახება (N30842; Budge 1934:352). ს-შ ბგერების ურთიერთმონაცვლეობა ხშირი მოვლენაა როგორც ერთი ენის, ისე მონათესავე ენების სიტყვებს შორის და ხსნის ფონეტიკურ წინააღმდეგობას ეგვიპტური „სენისა“ და ქართველური „შენის“ გაიგივებისას. მეტიც, სავსებით შესაძლებელია, რომ ეგვიპტური სახელის თავდაპირველი ფორმა ყოფილიყო ქანური მეორე პირის ნაცვალსახელი სინ.

ეგვიპტური *Šnw/Sen*-ის წარმომავლობას ქართველური *შენ/სინ* ნაცვალსახელებიდან, მონიშნავს რამდენიმე იდენტური ბგერითი შედგენილობის სიტყვა, რომლებსაც დეიქსური სემანტიკა აქვთ; ესენია *sen* მნიშვნელობით „მესამე პირის სახელადი სუფიქსი ისინი, მათ, მათი“ (Budge 1978:673) და *sen-nu*, რომელიც მიუთითებს მდებარეობით სქესის მეორე პირზე (იქვე).

*Šnw/Sen* სახელის ქართველურ წარმომავლობას დამაჯერებლობას მატებს ქართველურ და ეგვიპტურ *შენ/სინ* შორის დამყარებული სინტაგმატური კავშირებიც. *Šnw/Sen*-ისა და ქართველური „შენის“ სინტაგმური განლაგება გვაძლევს *შენ+Šnw/Sen* და, მაშასადამე, არაბუნდოვან ქართველურ პრედიკატულ სინტაგმას: „შენ ხარ შენ/სენ“, ანუ „შენ ხარ სამეფო ინსიგნია  $\Omega$ “, ანუ „შენ ხარ  $\Omega$ “, სადაც *შენ/სენ* მიუთითებს არა მხოლოდ მზის ეკლიპტიკაზე და უფრო ზოგადად, მთელ მზიურ სისტემაზე, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, *შენის* იდენტიფიკაციაზე ქართველურ ენთან. დემიფირიებული მნიშვნელობა, რომელიც ეგვიპტელი ქურუმების გასაიდუმლოებული ცოდნის ნაწილს წარმოადგენს, სხვა ფრაზების მეშვეობითაც დასტურდება. EHD-ის 743-ე გვერდზე მოცემულია შესიტყვება „*shen áten*“ მნიშვნელობით „მზის დისკოს წრე“ (Budge 1978:743), რომელიც აკავშირებს და ხიდს სდებს *Šnw/Sen*-ის დეკოდირებულ სინტაგმატურ მნიშვნელობასა და ზევით განხილული ქართველური თენ ძირიდან მომდინარე ეხნატონის მიერ შემოტანილ ატენის რელიგიას შორის, რადგანაც ფრაზა მთლიანად იკითხება როგორც „შენ ხარ *Áten*, შენ ხარ მზის მანათობელი დისკო, შენ ხარ ამომავალი (ნაიკითხე აღდგომადი) მზე“.

იგივე ეზოთერული მნიშვნელობაა ჩადებული ფრაზაში *Shen ur*, სემანტიკით – „ღიადი წრე, ღიადი წრენი“ (გარშემოწერილობა; იქვე) და მოითხოვს „გამოტოვებულ“ -ებ- აფიქსის ჩამატებას (*shen-eb-ur*), რათა მოხდეს მისი ქართველური „გენეტიკის“ დადასტურება და *Šnw/Sen*-ის ეზოთერიასთან მიერთება.

წარმოდგენილი დემიფირირების საილუსტრაციოდ მოვიყვანთ უკანასკნელ ფრაზას, რომლის გაერთიანებული ქართველური

(თავდაპირველი) და ეგვიპტური მნიშვნელობები არაორაზროვნად გვატყობინებენ ეგვიპტელთა მიერ ქართველი ერისთვის მინიჭებულ სტატუსს: Shenher = შენ ხარ ღმერთი (იქვე, 748).

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ძველ ეგვიპტელებს ქართველები მიაჩნდათ მათი სამეფო *Šnw/Sen* ინსიგნიის შემქმნელებად, რომელიც ქვესკნელის ღმერთთან იყო გატოლებული. ეს კი სრულ შესაბამისობაშია ისტორიულ ფაქტებთან, რომლებიც იეროგლიფების შექმნას ლეგენდარული დინასტიების მბრძანებლებს მიაწერენ.

ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ, რომ *Khetm-Šnw/Sen* ასომთავრული „დონის“, ანუ ზეციური მზის ინვერსიული სიმბოლოა. ეგვიპტური *Q*-ისა და ქართველური *Q*-ის კომბინაცია გადმოგვცემს ეგვიპტური რწმენის ფუნდამენტურ ცნებას – მკვდრეთით აღდგომას – აქტს, რომელიც მზის ეკლიპტიკური მოძრაობის ასტრონომიულ მოდელს მიჰყვება. მეტიც, ქართველურ-ეგვიპტური ფრაზა *Šnw+Šnw/Sen* და მისი შესიტყვებები ფარდას ხდის ქართველურის ღვთაებრივ ქთონურ არსებობას და მის გარდაუვალ აღდგომას. გაცეხებას იწვევს ის ფაქტი, რომ ქართველთა დღევანდელი „დამარხული“ (გასაიდუმლოებული) მდგომარეობა ასე ზუსტად იყო ნანინასწარმეტყველები ეგვიპტელების მიერ 4000 წლის წინ, ხოლო „ქებაჟს...“ უცნობი ქართველი ქურუმი-სწავლულისა და „დავათის სტელას“ უცნობი მოქანდაკის მიერ კი გაცილებით გვიან.

ჩვენთვის უდიდესი სასწაულია, რომ სამივე წყარო ასეთი ერთსულოვანია წინასწარმეტყველების მეორე ნაწილის გადმოცემაშიც; კერძოდ, ქართველი ხალხისა და მათი ენის სასწაულმოქმედ აღდგენაში. ანბანურად, იგივე რწმენა ჩადულაბებუღია ქართულ ასომთავრულ „დონში“, ასო-ნიშანში, რომელიც ქართველთათვის მისი შექმნიდან იყო ცნობილი, და ეჭვიც კი არ შეუტანით იმაში, რომ სწორედ ეს ასო აღუთქვამდა ერს შორეულ მომავალში აღდგომას.

მიღებული დასკვნების მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ მათი გადამონმების მიზნით, დამატებითი დამადასტურებელი მასალის მოძიება კვლავ აუცილებელი ხდება. გავიხსენოთ, რომ იდენტურ ლექსიკურ კონტაქტებს და, მაშასადამე, ეტიმოლოგიასაც ამჟღავნებს ეგვიპტური რიცხვითი სახელი 10 000 000 *šennu*, რომელზეც უკვე იყო მსჯელობა. სახელის ქართველური ენების პრიზმაში განხილვა ნათელს ხდის, რომ *šennu* მეორე პირის მხოლოდითი რიცხვის ნაცვალსახელის „შენის“ ოდნავ განსხვავებული ბგერითი ფორმაა, სადაც ბოლოკიდური ბგერა *u* (უ) ხმოვნით არის წარმოდგენილი.<sup>20</sup>

<sup>20</sup> მკითხველს შეეახსენებთ, რომ უ ბგერის ფუნქცია სხვაგვარი იდენტურ ქართველურ, ეგვიპტურ და შუმერულ სიტყვებში კოდური დატვირთვის მატარებელი ჩანს (შდრ.: ნება-ნაბუ).

თუ მას (უ) თანამედროვე ბრუნვის ნიშნით შევცვლით, მივიღებთ მეორე პირის კუთვნილებით ნაცვალსახელს შენი.

წიw/წen-წen წყვილის მსგავსად, რიცხვით სახელსაც გააჩნია თავისი მენწყილე, რომელიც ს (s) თანხმონით იწყება. კარიბჭეთა წიგნი დუატის მეშვიდე კარიბჭის მიდამოში ახსენებს სენუ ღმერთებს. ესენი ხეთ-ბენბენის ტაძრის მცველები არიან, ტაძრისა, სადაც საკრალური ბენბენის ქვა ინახება. სენუ ღმერთები „აღჭურვილნი არიან ლითონის იარაღით“ (შდრ.: ხალიბებს) და მათ მოვალეობას შეადგენს „ებრძოლონ დიდ ბოროტ მატლს, რომელსაც მამუ ეწოდება“ (Budge 1934:372). ნათელია, რომ წen/წen-წen და წennu-წennu ტოლფასი ფონეტიკური კავშირებით არიან დანწყილებულნი და პრაქტიკულად, იდენტური სიტყვებია. უფრო მეტიც, წყვილებიც იდენტურ მოდელებზეა აგებული, სადაც პირველ წევრებს (წen/წen, წennu) საკუთარი ლექსიკური მნიშვნელობა გააჩნიათ: წen/წen = ეკლიპტიკა, ხოლო წennu = 10 000 000, სხვა წევრები (წen, წennu) კი, წარმოადგენენ და თეოფორულ სახელებს, ლექსიკურ მნიშვნელობას მოკლებულნი არიან.

ეგვიპტურ სენ ძირს ვხვდებით განსხვავებული დანერილობის ლექსიკურ ერთეულებშიც, რომლებიც წიw/წen-ის ქართველური წარმომავლობის საილუსტრაციოდ მოყვანილ მასალას (Shen ur, Shenher, shen áten) არა მხოლოდ ფონეტიკურად და სემანტიკურად ეთანხმებიან, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანი და მოულოდნელია, სრულყოფენ მათ საფუძველზე დეკოდირებულ ეზოთერულ ინფორმაციას საკუთარი ეტიმოლოგიის ანუ „წარმომავლობის შესახებ“. პირველი ორი მაგალითია sen და senà/senà, მნიშვნელობით „ძმა“ (Budge 1978:674). ლექსემა sen ქართველური შენ-ის ტოლია, ხოლო senà, ქართული გრამატიკის ნორმების მიხედვით, მისი გავრცობილი ვარიანტია. აღნიშნული ერთეულები იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც მათს მნიშვნელობაში გამოსჭვივის ქართველური მიმართვითი ფრაზის (შენ, დედაჩემო; შენ, ძმაო...) მთლიანი სემანტიკის მეტონიმური გადატანა ნაწილზე ელიპსისის საშუალებით (შენ, ძმაო > ძმა).

შემდეგი ნიმუშია Senà, მნიშვნელობით „ღმერთი“ (იქვე, 674), რომელიც ფონეტიკური და სემანტიკური ასპექტებით სავსებით ადასტურებს Shenher-ის („შენ ხარ“) ქართველური პრედიკატული სინტაგმიდან („შენ ხარ“) წარმომავლობასა და ეგვიპტელების მიერ ქართველთა ღმერთად მიჩნევის ეზოთერიას. სინტაგმატურ ღერძზე მინიმალური პრედიკაციის („ყოფნა“ ზმნა) გამოყენებით, ქართველური და ეგვიპტური ლექსემები უპრეცედენტო წინადადებას აყალიბებენ: senà + ღმერთი = შენა (ხარ) ღმერთი.

ქართველთა ღვთაებრივი სტატუსის გამოვლენა სრულ ჰარმონიაშია წიw/წen-თან დაკავშირებულ კიდევ ორ ეგვიპტურ ლექსიკურ

ერთეულთან: *senni*, მნიშვნელობით „მსგავსის შექმნა“, „ასლის გაკეთება“ (იქვე, 675) და *senni*, მნიშვნელობით „ასლი“, „დუპლიკატი“ (იქვე), რომელთა სინტაგმატურ დონეზე ნაკითხვა, გვაძლევს არაორაზროვან – *შენ შექმენი შენი ასლი*, რაც ეგვიპტელთა მიერ ქართველთა ღვთაებრივი სტატუსის გათვალისწინებით (*Shenher* – ღმერთი = *შენ ხარ ღმერთი*), შემდეგნაირად იკითხება: *ღვთაებრივი ქართველური მოდგმა არის საკუთარი ასლის შემქმნელი*. შესაბამისად, *senni* (არს. სახ.: ასლი, დუპლიკატი) ნარმოგვიდგენს კაცობრიობას, როგორც ქართველთა მოდგმის ანალოგსა და ასლს.

ნარმოდგენილი დეშიფრირებული მნიშვნელობის უგულებელყოფა ძალზე ძნელია, ვინაიდან იგი სრულად ეთანხმება აქამდე ჩატარებული ანალიზის შედეგად ქართველთა შესახებ გამოვლენილ გასაიდუმლოებულ ინფორმაციასა და ღმერთის მიერ ადამიანის მოდგმის თავისი ნებით შექმნის უძველეს რელიგიურ ტრადიციას – საკითხი, რომელსაც შუმერული „ნაბუსა“ და ეგვიპტური „ნების“ განხილვისას მოკლედ შევეხეთ (გვ. 58-78).

სემანტიკური შეუთანხმებლობის გამო, ტრადიციული ისტორიული ენათმეცნიერება უარყოფდა მათ იდენტურობას და უგულებელყოფდა ისეთ მნიშვნელოვან ფაქტებს, როგორცაა: ა) ს-შ შესატყვისობა გენეტიკურად დაუკავშირებელ ენობრივ მასალაში; ბ) იდენტური დერივაციული მოდელები და გ) იდენტური არქეტიპი. მიუხედავად ამისა, სწორედ ამ თვისებების კომბინაცია და რეგულარული ფონეტიკურ-ეტიმოლოგიური მახასიათებლები მიაკუთვნებენ გასაანალიზებელ სიტყვებს ერთსა და იმავე ეტიმონს – ქართველურ ნაცვალსახელოვან წყვილს *შენ-შენი*.

სახელთა ქართველური ეტიმოლოგია და, აქედან გამომდინარე, მათი სწორი გახმოვანება, დასტურდება ეგვიპტური სიტყვითაც *shenyt* („შენიტ“), რომელიც „ანტურაუს“, „მხლებლებს“ ნიშნავს (*Forman, Quirke 1996:91*). ძნელი არ არის იმის შემჩნევა, რომ „შენიტ“ ნარმოადგენს „შენის“ ბრუნვის ფორმას „შენით“. როგორც ცნობილია, პირის ნაცვალსახელებისგან განსხვავებით (მე, შენ, ის), კუთვნილებითი ნაცვალსახელები იბრუნვიან. ნაცვალსახელის *შენი* მოქმედებითი ბრუნვაა *შენით* და აქვს შემდეგი მნიშვნელობები: ა) რაიმეს დამოუკიდებლად გაკეთება, მაგ., *შენით გააკეთე*; ბ) რამის კეთება ვინმეს ან რაიმეს დახმარებით, მაგ., *შენით ვამაყოფ*, და ა.შ.

ეგვიპტურ *shenyt*-ს აქვს ქართველურ ენებში დაფიქსირებული ზუსტი ფორმა და მნიშვნელობა, ვინაიდან ეგვიპტური სიტყვა „მხლებლების“ მნიშვნელობით მოქმედებითი ბრუნვის შინაარსს გადმოსცემს: *გააკეთო რამ ვინმეს ან რაიმეს დახმარებით*. ამრიგად, ეგვიპტური სიტყვიდან *shenyt* ამონეული ბგერითი და ლექსიკური მასალა საშუალებას გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ *Šen/Šen-Sen* და *šennu-Sen-*

nu-ს მსგავსად, shenyt-იც ქართველური წარმომავლობისაა და მომდინარეობს კუთვნილებითი ნაცვალსახელის („შენი“) მოქმედებითი ბრუნვის ფორმისგან **შენით**.

ქართველური წარმომავლობა ეგვიპტურ ლექსემას shenyt აკავშირებს *šnw/šen* იეროგლიფთან, როგორც ფონეტიკურად, ისე სემანტიკურად, რასაც დღის შუქზე გამოაქვს shenyt-ის არა მხოლოდ „მხლებლების“ მნიშვნელობა, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, „მხლებლებისა“, რომლებიც *šnw/šen* სიმბოლოს, ანუ მზეს ეახლებიან. თანხლების სემანტიკა წინ სწევს shenyt-ის ახალ მნიშვნელობას; კერძოდ, ქვესკნელის მზის თანმდევ წრიულ ალს. ეს უკანასკნელი სრულ შესაბამისობაშია ფორმენისა და კერკის მიერ შემოთავაზებულ მნიშვნელობასთან, რომლის მიხედვით, shenyt „ერთდროულად მიემართება მზელმერთის გარშემო მოელვარე ალს და მის ამაღლაში მყოფ ღმერთებსა და ქალღმერთებს, რომლებიც ქმნიან ალის მაგვარ ერთგვარ დამცავ ზღუდეს“ (Forman, Quirke 1996:91). ამგვარად, ძირი **შენ** ქვესკნელის ღმერთს აღნიშნავს, ხოლო კუთვნილებითი ნაცვალსახელის მოქმედებითი ბრუნვა **შენით** (shenyt) **შენ** ღმერთის თანმხლებ ღვთაებებზე მიუთითებს. შესაბამისად, წარმოადგენს რა მზესა და ცეცხლს, **შენის** მხლებლებიც, რა თქმა უნდა, მეტაფორული გადააზრების შედეგად, მის თანმდევ ალად (ანტურაჟი) არიან აღქმულნი.

„დღით გამოსვლის“ 30-ე თავში ღმერთის(?) სახელად გვხვდება ოდნავ განსხვავებული დანერილობის მქონე Shenit (შდრ.: shenyt), რომელიც გულს მიემართება. აღნიშნული ტექსტი იკითხებოდა მაშინ, როდესაც გარდაცვლილის მკერდზე მყარი მწვანე ქვისგან დამზადებული ხოჭო იყო მოთავსებული. გარდაცვლილი მიმართავს თავის გულს: „დაე **შენით**მა, რომელიც კაცთა სიცოცხლის პირობებს საზღვრავს, არ აამყრალოს ჩემი სახელი“ (Budge 1971:34). როგორც ვხედავთ, ქართველური მოქმედებითი ბრუნვის ფორმა სრულად არის შემორჩენილი მცირედი ცვლილებით, რომელიც თ-ტ მონაცვლეობით შემოიფარგლება.

ფრიად მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პეპი I-ის (VI დინასტია) ლოცვაში მოიძებნება კიდევ ერთი სახელი, რომელიც ქართველური მეორე პირის ნაცვალსახელის საფუძველზეა წარმოქმნილი. თვითონ განსაჯეთ: „თუ ნუტ-ის სახელი ანუში განლაგებულ **შენთის** სახლში იხარებს, პეპის სახელიც იხარებს, და მისი ეს **შენობაც** იხარებს“ *პეპი I ლოცვა*, (ციტირებულია: იქვე, 159). ამ შემთხვევაში, **შენთის** ერთადერთი განმასხვავებელი თვისება ზევით განხილული შემთხვევებიდან ბრუნვის ნიშანში ბოლოკიდური ი ხმოვნის ამოვარდნაა: **ით > თ**.

ქართველური არქეტიპის „შენით“ მნიშვნელობის მხედველობაში მიღებით, მთლიანი ციტატის მნიშვნელობა ოდნავ განსხვავებულ

სემანტიკას იღებს და იკითხება შემდეგნაირად: „თუ ანუში განლაგებულ სახლში ნუტის სახელი *შენით* იხარებს, პეპის სახელიც იხარებს, და მისი ეს შენობაც იხარებს.“

ქართველური მოქმედებითი ბრუნვის მნიშვნელობა გამოსჭვივის ჭადრაკის მსგავსი თამაშის დასახელებიდანაც Senet (სენეტ). სწორედ Senet-ს თამაშობენ მწერალი ანუ და მისი მეუღლე ანუს პაპირუსიდან აღებულ კომპოზიციაში (ილ. 10, გვ. 530).

Senet არის ოდნავ შეცვლილი ქართველური *შენით*, რომელიც ეგვიპტური სახელის წყაროა და ამიტომ მის ეტიმოლოგიასაც ხსნის: სენეტი არ არის თამაშის სახელი ამ სიტყვის ტრადიციული გაგებით, არამედ მიანიშნებს იმაზე, რომ ეს თამაში სხვა პიროვნებასთან ერთად ხორციელდება.

ყველა განხილული სიტყვის შ–ს მოდელის მიხედვით ორგანიზების შედეგად ვიღებთ ქართველური და ეგვიპტური ენობრივი კავშირების ძლიერ შთამბეჭდავ სურათს (ცხრილი 79).

### ცხრილი 79

#### ქართველური და ეგვიპტური სიტყვების შ–ს მოდელი

ქართველური	ეგვიპტური
შენ/სინ	Šen/Šen – Sen
	shen àten – sen
	Shenher – Senn
	Shen ur – senn
	– senà
	– Senà
შენი	šennu – Sennu
შენით	Shenyt – Senet
	Shenit
	Shenth

საინტერესოა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი ქართველური და ეგვიპტური მოდელები იმეორებენ შ–ს შესატყვისობას, რომელიც ქართველური ნაცვალსახელოვანი სისტემის შიგნით არსებობს. ქართველური შენ შეესატყვისება ჭანურ სინს (შდრ.: სვანური სი), რაც ორივე ნაცვალსახელს (შენ და სინ) ეგვიპტური შ და ს ფორმების ერთდროულ, ანუ პარალელურ არქეტიპებად აცხადებს.

წარმოდგენილი ანალიზის სისწორეს დამატებით ადასტურებს ეგვიპტური რიცხვითი სახელი ორი – sen („სენ“) (Budge 1966:127). ეგვიპტური რიცხვითი სახელის ბგერითი შედგენილობა და მნიშვნელობა ერთდროულად ორი მიმართულებით მოქმედებს: ა) ამყარებს



გამჭვირვალე ფონეტიკურ და სემანტიკურ (მეორე პირის მხოლობითი რიცხვი) კავშირებს ქართველურ არქეტიპთან *შენ/სინ*; ბ) ჯდება ქართველურ-ეგვიპტურ *შ-ს* ბგერითი შესაბამისობის ფორმულაში.

ყალიბდება სურათი, რომლის მიხედვით, ქართველური *შენ-სინ*-ის ფონეტიკური და სემანტიკური ერთობა ორად არის გახლეჩილი. ორის ცნება სახელით „სენ“, მიცემული აქვს რიცხვით სახელს 2 (*sen*), მაშინ, როდესაც საკრალური საგნები (*Šnw/Sen, shen āten, Shen ur*), ცნებები (*Shenher, Senā, shenyth*) და სახელები (*Shenit, Shenth, Senet*) ნაცვალსახელის სხვადასხვა ბრუნვის (სახელობითი, მოქმედებითი) ფორმის ბგერით ვარიაციებს იყენებენ. იდენტური მოდელების განმეორებითობა მათ მიერ გადმოცემული ფენომენის ობიექტურად არსებობის უძლიერესი მამტიციცებელი საბუთია. ამიტომ ნარმოადგენენ რა რეგულარულ შესატყვისობებს გენეტიკურად დაკავშირებულ ენებში, *შ-ს* (ან *ს-შ*) მონაცვლეობის მოდელი ადასტურებს განსახილველ ეგვიპტურ და ქართველურ მასალას შორის არსებულ არა განსხვავებას, არამედ, პირიქით, მათ იგივეობასა და ერთი წყაროდან – ქართველური მეორე პირის მხოლობითი რიცხვის ნაცვალსახელიდან ნარმომავლობას. ეგვიპტური რიცხვითი სახელი 2 „ბეჭედს ასვამს“ ეგვიპტური სიტყვებისა და ქართველური ნაცვალსახელის მიერ აღშენებულ გენეტიკურ ურთიერთობებს, სადაც ქართველური ეგვიპტურის წყაროა.

ქართველური *შენ-სინ* ნაცვალსახელების სესხების პროცესი ფარაონთა სახელებში შემოკლებული სახით (*სნ*) შეიჭრა. ეს ბგერათკომპლექსი, ხშირად, ე ხმოვნით (*სენ*) არის ნარმოდგენილი. ასე მაგალითად, პირველი დინასტიის 22-ე მეფის ჰორუს-სახელი (ნაიკითხე: „სამეფო ტიტული“) იყო *Sen* (*სენ*; Budge 1978:917), მე-5 დინასტიის ფარაონის სახელი იყო *Sen* (*სენ*; Maspero 1922:389), ამენ-ჰეტეპ IV-ის ერთერთი ქალიშვილის სახელი იყო *Ānkhsepaaten* (ანკჰსენპაატენ), *Senusret I* (*სენუსრეტ I*; ძვ.წ. 1965-1920 წწ.), *Senusret II* (ძვ.წ. 1880-1874 წწ.), *Senusret III* (ძვ.წ. 1874-1855 წწ.; XII დინასტია), *Sen-enmut* (*სენ-ენმუტ*; ჰატშეფსუტის პირველი მინისტრი) და სხვა (იხ. „სინ“-ის შემდგომი ანალიზი გვ. 362-363).

ჩამოთვლილი სახელებიდან განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ სახელზე „სენუსრეტ“ არა მხოლოდ გამოყენების სიხშირის გამო, არამედ, რაც უფრო საინტერესოა, სახელის თავდაპირველი ქართველური ფორმის ამოცნობასთან დაკავშირებული სირთულეების გამო. პირველი წინააღმდეგობა სახელის თანხმოვნინი ჩანერაა, სადაც იეროგლიფების მცდარი იდენტიფიკაციის გამო იგი არასწორად იქნა წაკითხული. „სენუსრეტის“ შემადგენელი იეროგლიფების თანმიმდევრობის (*z-n-wsrt*) შებრუნებულმა (*wsrt-z-n*) წაკითხვამ მოგვცა ფორმა *Usertesēn* (Allen 2002:19), ბერძნულზე დაყრდნობით გვაქვს *Sesostris*, კოპტურზე დაყრ-

დნობით – Senwosret, ხოლო თანხმომვიანი ჩანანერის გახმოვანებით Senusret. ერთი და იმავე სახელის ვარიანტების არსებობა წარმოქმნის გარკვეულ ბუნდოვანებასა და გაურკვეველობას, რომელშიც ერთადერთი სწორი ვარიანტის ამოცნობა და ანალიზი ძნელდება.

ბუნდოვანებისა და გაურკვეველობის ხარისხი უფრო იზრდება, როდესაც თვით გახმოვანების სისწორეც ეჭვქვეშ დგას. ეგვიპტურ ენაში სამი გრძელი და სამი მოკლე ხმოვნის არსებობა ივარაუდება: ა, ი და უ. როცა ხმოვნის აღდგენა შეუძლებელია, ნაკითხვის გაადვილების მიზნით, e (ე) ხმოვანი გამოიყენება (იქვე, 17). თუ აღნიშნულ სირთულეებთან ერთად თანხმომვანთა სავარაუდო ნაკითხვისა და ხმოვანთა გრაფიკული გამოსახვის პრობლემებსაც გავითვალისწინებთ, ნათელი ხდება, რა წინააღმდეგობების გადალახვა უნევთ მეცნიერებს საბოლოო, თუნდაც სავარაუდო, ვარიანტის დადგენაში.

აღნიშნული სირთულეები იხსნება ანალიზში ქართველური ენების მონაცემთა შემოტანით. სენუსრეტის ჩამოთვლილ ვარიანტებში ქართველური ნაცვალსახელის გამოყენება მეორე კომპონენტის ქართველურ წარმომავლობას გვაგვარაუდებინებს; უფრო მეტიც, ჩამოთვლილ ვარიანტებს (usert, ostris, wosret, usret) შორის ქართველური მასალა უმალ გამოჰყოფს ბოლო (usret) ფორმას, როგორც სწორს. ქართველურში გვაქვს სიტყვა შრეტა, რომლის მნიშვნელობაა „ცეცხლის დავსება“ (საბა 1993:307). მისი უ- პრეფიქსით წარმოებული ზედსართავი გვაძლევს ფორმას უ-შრეტი, მნიშვნელობით – „მუდმივი, უღვევი, ამოუნურავი“. ქართული ენის მეორე პირის ნაცვალსახელის შენ და შრეტა ზმნიდან წანარმოები დერივაციული ზედსართავი სახელის – უშრეტი, შეერთებით ვლებულობთ შენ+უშრეტ, რომლის მნიშვნელობაც ქართველურში სავსებით ნათელია და უდრის: „შენ ხარ უშრეტი“, „შენ ხარ მუდმივი“, „შენ ხარ უკვდავი“.

ქართველური მნიშვნელობა საოცარი სიზუსტით ეხმიანება user-t-ის ეგვიპტურ მნიშვნელობას ცეცხლი, ალი (flame, fire, Budge 1978:182), რომელიც ქართული „ცეცხლის დავსების“ მხოლოდ ერთი კომპონენტით (ნანილით) არის წარმოდგენილი. ქართველური და ეგვიპტური მნიშვნელობების ურთიერთდამატებით, ფარაონთა სახელის მნიშვნელობა იშიფრება, როგორც მუდმივი ცეცხლი, სიცოცხლის უშრეტი ცეცხლი და მზე, რაც არაჩვეულებრივად ესადაგება ფარაონთა განცხადებას მათი მზიური წარმოშობის შესახებ.

მრავალმონიმური „სენის“ კიდევ ერთი ეგვიპტური მნიშვნელობა, კერძოდ, მესამე პირის აღმნიშვნელი სახელის სუფიქსი მნიშვნელობით „ისინი“, „მათ“, „მათი“ (Budge 1978:673), გვიდასტურებს usret-ის ეგვიპტურისგან განსხვავებულ, ანუ ქართველურ წარმომავლობას, რადგანაც გამორიცხავს „ეგვიპტელთა უშრეტობას“, რო-

გორც ისტორიულ სინამდვილეს და ამ თვისებას მისგან განსხვავებულ მესამე პირს მიაწერს. მეტიც, „სენის“ პირის კატეგორიის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ეგვიპტური „სენ“ (მესამე პირი) „უშრეტობის“ თვისებას („სენუსრეტ“) მისგან განსხვავებულ ღმერთსა თუ ფარაონს, უფრო სწორედ, ქართველსა და ქართველურს მიაწერს, მაშინ, როდესაც ქართველური „შენ“ იგივე სიტყვის მეშვეობით („სენუსრეტ“) თავის თავს მეორე პირში მიმართავს.

ფონეტიკური მოდიფიკაციის თვალსაზრისით, ქართულ სიტყვაში „უშრეტი“ მომხდარი ცვლილებები უმნიშვნელოა: ა) ყრუ შიშინა თანხმოვანი (შ) ჩანაცვლებულია ალვეოლარული სპირანტი (ს) სახელის ორივე კომპონენტში (sen, usret; შდრ.: Shenyth-Senet); ბ) ბოლოკიდური ხმოვანი ი ქართულ სიტყვაში უშრეტი ამოვარდნილია. ამრიგად, ქართულიდან ეგვიპტურში განვითარების გზის აღდგენა შემდეგ ჯაჭვს გვაძლევს:

### ცხრილი 80

#### ქართული და ეგვიპტური შენ > სენ

ქართული		ეგვიპტური
შენ	>	სენ
შრეტა > უშრეტი	>	უსრეტ

„სენუსრეტის“ ქართველური წარმომავლობა, განსაკუთრებით კი სახელის სტრუქტურული ფორმულა, ხსნის იეროგლიფების არასწორი თანმიმდევრობის შედეგად მიღებული ვარიანტის (Usertesén, ზოგიერთი დანერილობით Usertsen, Úsirta-sen) სისწორესაც, სადაც სახელის შემადგენელი კომპონენტები („შენ“, „უშრეტ“) გადანაცვლებულია: უშრეტ+სენ. მეტიც, ქართველური არქეტიპი ეგვიპტელი ფარაონის სახელს ნაწარმოებ სიტყვად წარმოადგენს, რომელიც შედგება უქონლობის აღმნიშვნელი პრეფიქსისგან უ- და ძირისგან შრეტა. ქართველური „შრეტას“ მონანილეობა ეგვიპტელი ფარაონების სახელთა წარმოებაში ერთადერთი შემთხვევა არ არის და მტკიცდება კიდევ ერთი ფარაონის სახელით ტაუსრეტ (Tausret, XIX დინასტია; მეფობდა ძვ. წ. 1196-1188 წწ.). „სენუსრეტის“ მსგავსად, აღნიშნული სახელი ორი ნაწილისგან შედგება: Tau+sret, სადაც მეორე ელემენტი იგივე ქართველური „შრეტადან“ მომდინარეობს, პირველს კი (tw=tau), რომლის მნიშვნელობაა „ცეცხლოვანი კაცი, გულთბილი, ენთუზიაზმით აღსავსე პიროვნება“ (Budge 1978:817), ეტიმოლოგიურად, ქართველური თავის არქეტიპთან მიეყვარათ. ფონეტიკური ცვლილებები აქაც ფრიად უმნიშვნელოა: ტ < თ და w/u < ვ. ამრიგად, მიღებული თხზული სახელი აგებულია სტრუქტურაზე თაუ +

უშრეტი, სადაც ერთი უ სიტყვათა ზღვარზე ამოვარდნილია. შესაბამისად, XIX დინასტიის ფარაონის სახელი, Tau+sret იმიფრება როგორც ცეცხლოვანი ანუ მზის კაცის უშრეტი მაცოცხლებელი ენერგია, მაშინ, როდესაც მისი ბგერითი ცვლილებები შემდეგნაირად შეიძლება წარმოვადგინოთ:

ქართველური		ეგვიპტური
თაუ + უ + შრეტ	>	Tau + u + sret > Ta-u-sret

დავალაგოთ ეგვიპტური და არქეტიპული ქართველური მნიშვნელობები:

### ცხრილი №1

#### ეგვიპტურ Senusret-ისა და Tausret-ის სემანტიკა

ეგვიპტური	ქართველური
სენ = მესამე პირი, მრ. რიცხ.	შენ = მეორე პირი, მხ. რიცხ.
უსრეტ = ცეცხლი, ალი	უშრეტ = უსასრულო, ამოუნურავი
ტაუ = ცეცხლოვანი კაცი	თაუ = თავი, სანყისი

ეგვიპტური მნიშვნელობები არაორაზროვნად მიუთითებენ რომელიღაც მესამე, არაეგვიპტური წარმოშობის ცეცხლოვან კაცზე, რომლის ამოუნურავი ენერგიაც ეგვიპტის მაცოცხლებელი წყაროა. ამის სანინაალმდეგოდ, ქართველური არქეტიპული მნიშვნელობები სრულიად სხვაგვარ ინფორმაციას გვანვდიან; კერძოდ, ამოუნურავი და უშრეტი ცეცხლის სანყისი, მეორე პირში ნაგულისხმევი ცეცხლოვანი მზის ღმერთია. შესაბამისად, თუ ეგვიპტურსა და ქართველურ მნიშვნელობებს შევაერთებთ, აღმოჩნდება, რომ ეგვიპტელებს საკუთარი ცივილიზაციის სანყისად და მამოძრავებელ ძალად მიაჩნდათ მზიური წარმომავლობის ცეცხლოვანი კაცი, რომლის ქართველური ეტიმოლოგია მას ქართველ ერთან აიგივებს.

ანალიზიდან გამომდინარე, ეგვიპტელი ფარაონების, სენუსრეტისა და ტაუსრეტის სახელები იკითხება სამ ფენაზე – ეგვიპტურზე, ქართველურზე და ორივეზე ერთდროულად. აღნიშნული მრავალფენიანი კავშირების გამო, ქართველური და ეგვიპტური მნიშვნელობები კი არ ეწინააღმდეგებიან, არამედ, კიდევ ერთხელ, ავსებენ და აკონკრეტებენ ერთმანეთს (უკვე მერამდენედ!). თუ ქართველური მნიშვნელობები ეგვიპტური სახელების არქეტიპულ სემანტიკას ხსნიან, ეგვიპტური მნიშვნელობები სახელების ქართველურ წარმომავლობას ადასტურებენ, ქართველური და ეგვიპტური მნიშვნელობების ერთობლივი წაკითხვა კი შუქს ჰფენს ეგვიპტურ ენასა და მის დამწერლობით მეთოდში გასაიდუმლოებულ ცოდნას ეგვიპტური

ცივილიზაციის აღმშენებელში ქართველთა მიერ შეტანილი წვლილის შესახებ. ამიტომ, შენ უშრეტი (Senusret) მრავალმხრივი დატვირთვის სახელია: ა) ახდენს ფარაონის პიროვნების იდენტიფიკაციას, რაც საკუთარი სახელის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს; ბ) უტოლებს მას (ფარაონს) უშრეტი ცეცხლოვანი სიცოცხლის მატარებელ ღვთაება-მზეს, რაც იყო ეგვიპტური ცივილიზაციის უძირითადესი რელიგიური, პოლიტიკური და სოციალური მრწამსი; გ) მიუთითებს უშრეტი ცეცხლოვანი ენერჯის წარმომშობ ქართველურ წყაროზე.

ურიგო არ იქნება აღვნიშნოთ ისიც, რომ ეგვიპტური tau (tw) Tausret-ში ფინიკიურ Tāw-ს (ჯვარი) იდენტურია და, მაშასადამე, ამ ენებს შორის სრულიად მოულოდნელ, ქართული ენით გაშუალებულ კავშირებს ააშკარავენ, რასაც შემდგომი კვლევა-ძიება ესაჭიროება.

მომდევნო მაგალითი კიდევ უფრო აძლიერებს ეგვიპტური სახელების ქართველური წარმომავლობის შეაძლებლობას. *მკედართა ნიგნის* ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის სახელწოდებაა *ნებსენის პაპირუსი (The Papyrus of Nebesen)*. სახელი ნებსენი ორი ქართველური სიტყვისგან ნება+შენი შედგება. პირველი კომპონენტი „ნებ“ გაანალიზებული იყო შუმერული დამწერლობის ღმერთთან („ნაბუ“) კავშირში. ანალიზმა ცხადყო, რომ შუმერულ „ნაბუს“ ჰყავს თავისი ეგვიპტური ორეული, ზოგადად ღვთაების აღმნიშვნელი ნებ. დადგინდა ისიც, რომ ორივე სიტყვა წარმოდგება ქართველური არქეტიპიდან ნება „სურვილისა“ და „უფლების“ მნიშვნელობით. „ნებსენის“ მეორე კომპონენტი („სენი“) მეორე პირის მხოლოდითი რიცხვის კუთვნილებითი ნაცვალსახელია, რაზეც უკვე იყო მსჯელობა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ სახელი არა მხოლოდ ქართველური სიტყვებისგან შედგება, არამედ იმეორებს ქართველური ენების სინტაგმატურ წყობასაც. ქართველები ვამბობთ: „ნება შენი“, „იყავნ ნება შენი“. ვფიქრობთ, მკითხველს ახსოვს Shenher-სა და Senā-სთან დაკავშირებით დემიფირიებული, ეგვიპტელთა შორის დამკვიდრებული რწმენა ქართველთა ღვთაებრივი სტატუსის შესახებ და ფინიკიური და ქართული ასომთავრული ანბანების ასო-ნიშნების დასახელებების ანალოგიური განლაგების უკვე კარგად ნაცნობი ხერხიც.

ჩატარებული ანალიზიდან გამომდინარეობს ერთადერთი დასკვნა, რომელიც ეგვიპტური ოw/šen-ის არქეტიპად აცხადებს ქართველურ ნაცვალსახელურ ფორმებს შენ-სინ. მიღებული შედეგი დიდი მნიშვნელობის ფაქტია, რადგანაც სიტყვათა გარკვეული კატეგორიები, მათ შორის ნაცვალსახელიც, როგორც წესი, სესხებას არ ექვემდებარება. ისინი ენის მკვიდრ ლექსიკას განეკუთვნება.

ამის საწინააღმდეგოდ, მკვლევართა აზრით, ნაცვალსახელები ეგვიპტურში ნასესხებ სიტყვებს წარმოადგენენ. მათი სესხება სემიტური ენებიდან ივარაუდება. შდრ.: „ეგვიპტური ენის ფუნდამენ-

ტური სიტყვები აფრიკული წარმოშობისაა, მაგრამ ძალიან ადრე, ქრისტემობამდე რამდენიმე ათასწლეულის წინ, ეგვიპტელებმა პირის ნაცვალსახელები სემიტი ხალხისგან ისესხეს ისევე, როგორც მათგან შეთვისებული გარკვეული საგნების სახელები“ (Budge 1914:245).<sup>21</sup> ეგვიპტელების მიერ გამოყენებულმა დანერილობის სისტემამ კიდევ უფრო გააფემკრთალა ნასესხები ნაცვალსახელების გამოთქმა. თვითონ განსაჯეთ: „დინასტიურმა ეგვიპტელებმა თვითონ არ იცოდნენ თავიანთი ცივილიზაციის ასაკი და XIX საუკუნეში, როდესაც ახალი სამეფოს მწერლებმა აბიდოსის მეფეთა სია შეადგინეს, დაზუსტებით არ იცოდნენ უძველესი მეფეების სახელთა დამწერლობა!“<sup>22</sup> (იქვე, ხაზგასმა ჩვენია – ა. მ.). მიუხედავად ამისა, დამწერლობის უზუსტობამ და თანხმოვანთა ორთოგრაფიამ ვერ მოახერხებ იმ ფონეტიკური კავშირების ნაშლად, რომლებიც ეგვიპტურ სიტყვებს მათსავე ქართველურ წყაროსთან აკავშირებდა.

გრაფიკული, სემანტიკური და ფონეტიკური ანალიზი გვიჩვენებს, რომ გაურკვეველი სემიტური წარმოშობის ხალხის (some Semitic people) ნაცვლად, სავსებით დასაშვებია, ნაცვალსახელები, ეგვიპტურს სემიტურისგან განსხვავებული ეთნოსის წარმომადგენლებისგან ესესხა; უფრო მეტიც, ეს განსხვავებული ეთნოსი ქართველური ტომები იყვნენ. აღნიშნული დასკვნის უგულებელყოფის შემთხვევაში, ძნელი ასახსნელია ეგვიპტური იეროგლიფისა და ქართული ასო-ნიშნის („დონი“) გრაფიკული და სემანტიკური იდენტურობა. ტრადიციული მეცნიერული მეთოდებისა და პრინციპების გამოყენებით ახსნას არ ექვემდებარება არც ათასწლეულებით დაშორებული ქართველური მეორე პირის ნაცვალსახელისა და 2-ის როგორც რიცხვითი სახელის კორელაცია, ქართველური ფონეტიკური და სინტაგმატური მოდელების ეგვიპტურში ყოფნა, მრავალი ლექსიკური ერთეულის ბგერითი და სემანტიკური იგივეობა, და, რაც განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, ქართველთა შესახებ ეგვიპტურ ენაში გასაიდუმლოებული და დეკოდირებული ცოდნის სრული შესაბამისობა იმ უძველეს რელიგიურ ინფორმაციასთან, წმინდა წიგნებმა დღემდე რომ შემოგვინახეს.

დამატებით აღვნიშნავთ ერთ მნიშვნელოვან ენობრივ ფაქტს, რომელსაც მეტი სინათლე შეაქვს ეგვიპტური ენის ფონოლოგიური

<sup>21</sup> „The fundamental words of the Egyptian language are African in origin, but at a very early period, several thousands of years before Christ, the Egyptians borrowed the words of the personal pronouns from some Semitic people, and the names of certain objects which they imported from them“ (Budge, 1914:218).

<sup>22</sup> შდრ. აგრეთვე, „The Dynastic Egyptians themselves did not know how old their civilization was, and in the nineteenth dynasty the scribes who drew up the draft of the King-List of Abydos were even uncertain about the spelling of the names of the earliest kings!“ (Budge 1914:245). ბაჯი მათ „წინარე სემიტურ ხალხსაც“ უწოდებს (Budge 1978:lvii).

სისტემის განსაზღვრა-დაკონკრეტებაში. ირკვევა; რომ ეგვიპტური ენის ბგერითი სისტემა შეიცავდა ხმოვან ე-ს. ამგვარი დასკვნის გაკეთების უფლებას გვაძლევს ეგვიპტური *ḥw/ḥen* სახელის ქართველურ მასალასთან შედარება, სადაც აღნიშნული ხმოვანი არქეტიპთა ლინგვისტურ გარემოში მრავალჯერადი განმეორებით ხასიათდება.

## 8. შუმერული *ḥen*, მისი ლინგვისტური და კულტუროლოგიური ანალიზი

ანალიზი აჩვენებს, რომ თავისი ღვთიური და საკრალური ცნებების სახელდებისთვის, მხოლოდ ეგვიპტელები არ „სესხულობდნენ“ ქართველურ ნაცვალსახელებს. შუმერულშიც ვნახულობთ ქართველურ მეორე პირის ნაცვალსახელიდან ფონეტიკურად და სემანტიკურად დაკავშირებულ რამდენიმე სიტყვას:

I *ḥen* ჯოჯოხეთი (*glänzend*)

II *ḥen<sub>2</sub>* შენვა (*Grünspan*)

*Ḥennu* ეას ქურუმი (*Priester des "Ea; Deimel 1950:197*).

სალექსიკონო განმარტებების მიხედვით, სამივე სიტყვა ომონიმად არის მიჩნეული. მიუხედავად ამისა, სემანტიკური კავშირები გამჭვირვალე ხდება, როდესაც მათ ქართულ ასომთავრულ „დონში“ კოდირებული ეზოთერული ასტრონომიული და რელიგიური ცოდნის პრიზმაში განვიხილავთ. ქართული ასომთავრული „დონი“ ზეციური ღვთაებაა ბნელი ქვესკნელური ასპექტით – სახე, რომელსაც იგი იზიარებს არა მხოლოდ ეგვიპტურ *ḥen/ḥen* სიმბოლოსთან, არამედ შუმერულ სიტყვასთან *ḥen*, მნიშვნელობით „ჯოჯოხეთი“. შუმერული *ḥen*-ისთვის დამახასიათებელი ახალი ელემენტი მხოლოდ ქვესკნელთან და მის ღვთაებებთან დაკავშირებული უარყოფითი ტონების გაძლიერებული გადმოცემაა.

ქართველური „შენისა“ და შუმერული *ḥen*-ის სინტაგმატური განლაგება იძლევა *ḥen+ḥen*, ანუ „შენ ხარ ჯოჯოხეთი“. მიღებულ მნიშვნელობაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია, ვინაიდან იგი მთლიანად შეესაბამება ქართველურ-ეგვიპტური შესიტყვების მნიშვნელობას *ḥen+ ḥen/ḥen* (შენ ხარ ქვესკნელის მზე ღვთაება) და ექვემდებარება იმ ზოგად პრინციპებს, რომლებზეც სხვა „ნარევი“ სინტაგმებია აგებული. (მდრ.: ფინიკიურ 'ალეფს).

მეორე შუმერული სიტყვის *ḥen* მნიშვნელობა – „შენვა“, გამიზნულია მზის ორგვარ გაგებასთან. „ცეცხლისა“ და „სიცხის“ სემების მეშვეობით, II *ḥen*, ერთი მხრივ, ზეციურ მზეს, ხოლო, მეორე მხრივ, ქვესკნელურ მზესა და ჯოჯოხეთის მწველ ცეცხლს უტოლდება. აღწერილი პროცესი *ḥen* და II *ḥen*-ს „ჯოჯოხეთის ცეცხლის“ კარგად

ცნობილ რელიგიურ ცნებაში აერთიანებს (შდრ.: ადრე განხილული ყოვლისმხილველი თვალის რელიგიური ცნება).

სინტაგმატური კომბინირების გამოყენებით, ქართული **შენ+II ჰენ** გვაძლევს წინა ტოლობის მსგავს პრედიკატულ წინადადებას – **შენ+წავ = შენ მწველი ხარ**, ანუ **შენ (ე.ი. ქართველი ერი) ხარ როგორც ზეციური, ისე ჯოჯოხეთის მწველი ცეცხლი**. წარმოდგენილი ინტერპრეტაცია დასტურს ორგზის ლებულობს: ამირანის ეპოსისა და „ქებაჲს...“ მეშვეობით.

ფინიკიური „'ალეფის“ ქართველური არქეტიპების ანალიზისას აღმოჩნდა, რომ სახელის არქეტიპი, ფაქტობრივად, ექვსი ქართველური სიტყვისგან შედგება. ერთ-ერთი ეტიმონის („წარი“) მიერ წარმოებული მოდელის თანახმად, ქართველი ერი „წართან“ არის გატოლებული, ხოლო მრავალპლანიანი არქეტიპული კომპლექსის მეორე ერთეული – „ხალეპო“, რომელიც „ავსა“ და „მწველ მზეს“ ნიშნავს, დაფარულად გადმოგვცემს ქართველი ერისა და ჯოჯოხეთის ცეცხლის, ანუ ქვესკნელის ცეცხლის ტოლობას; ესაა მნიშვნელობა, რომელიც შუმერულ და ქართველურ სიტყვებშია კოდირებული. ანალოგიურ ინფორმაციას შეიცავს „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“, სადაც არა კოდირებულად, არამედ, ღია ტექსტით არის გაცხადებული ყველა ენის ქართველურით „მხილება“, ანუ გახსნა:

„დამარხულ არს ენაჲ ქართული

დღემდე მეორედ მოსვლისა მესიისა სანამებულად,

რათა ყოველსა ენასა

ღმერთმან ამხილოს ამით ენითა“ (იოანე ზოსიმე)

მესამე შუმერული სიტყვის ჰენიუ სემანიტკა („ღვთაება ეას ქურუმნი“) მჭიდროდ არის დაკავშირებული ორივე წინა მნიშვნელობასთან, ვინაიდან ქურუმთა ცოდნა არა მხოლოდ ზესკნელურ, არამედ ქვესკნელურ სამყაროსაც მოიცავდა. ამიტომ, სამივე შუმერულ სიტყვას შორის კავშირი არა მხოლოდ ლინგვისტურია – ფონეტიკური (ჰენ vs. ჰენიუ) და სემანტიკური (I ჰენ, II ჰენ = ლსე), არამედ აგრეთვე რელიგიურ-ასოციაციურიც.

შუმერული ჰენიუ-ს კავშირი ქართველურ არქეტიპთან – კუთვნილებით ნაცვალსახელთან შენი – ბოლოკიდური ი-ს უ-თი ჩანაცვლებით ხორციელდება. თუ ქართველურ „შენსა“ და შუმერულ ჰენიუ-ს შევასიტყვებთ, მივიღებთ შენ+შენუ სინტაგმას, რაც დაუფარავად გვამცნობს ღმერთ ეას ქურუმთა ვინაობას: „შენ (ქართველი ერი) ხარ ეას ქურუმი“. შესიტყვების მნიშვნელობა პოლივალენტურია, ვინაიდან ერთდროულად მიუთითებს როგორც ეაზე, ისე ქვესკნელის ქურუმებზე, მიუხედავად მათი ბოროტი თუ კეთილი ბუნებისა.

დეკოდირებული მნიშვნელობა მიანიშნებს, რომ ქართველი მეცნიერ-ქურუმები ქალდეურ-ეგვიპტური დახურული ოლიგარქიის



„ველდასხმულთა“ იმ კასტას განეკუთვნებოდნენ, რომელიც ძველი მსოფლიოს საკრალურ ცოდნას განაგებდა. ეს ზიარი ცოდნა საძირკველია იმ გასაოცარი სინტაქსური კავშირებისა, რომლებსაც ქართველურ-შუმერული (თუ ეგვიპტურ-ფინიკიური) ენობრივი მასალა აამკარავებს. უფრო მეტიც, ქართველური კუთვნილებითი ნაცვალსახელის მნიშვნელობის „ამოქმედებით“, დეკოდირების პროცესი კიდევ უფრო სიღრმისეული ხდება, ვინაიდან იგი ნათელს ჰფენს ეას შუმერი ქურუმების ქართველურ წარმომავლობას, ქალდეური ცოდნის ჭეშმარიტ მფლობელს – შენ, ანუ ქართველ ხალხს.

ნათელია, რომ შუმერული I šen, II šen და šennu ჯგუფს აკონტროლებს ქართველური, მეორე პირისა და კუთვნილებითი, ნაცვალსახელები შენ და შენი, რომელთა ანალიზში ჩართვამ შუმერულ წყვილებში დავანებული დაფარული ინფორმაციის გამომჟღავნება გამოიწვია. შედეგად, šen-šennu ჯგუფი მთლიან ეგვიპტურ-ქართველურ სისტემასთან ბუნებრივი წევრების სახით ინტეგრირდება და ინფორმაციულ მხარეს სრულყოფს.

## 9. აქადური და ასურული სინის ლინგვისტური და კულტუროლოგიური ანალიზი

ქართველურ მეორე პირის ნაცვალსახელს, როგორც ჩანს, შეუღწევლად არც ერთი უძველესი ცივილიზაციის გეოგრაფიული ნიშა არ დაუტოვებია. შენ და სინ<sup>23</sup> მოიძებნება აქადურშიც და მოგვიანო ასურულშიც. ნილოსის ხეობის მეფეთა მსგავსად, საკუთარ მთვარის ღმერთს აქადელებიც ქართული მეორე პირის ნაცვალსახელით (შენ) მიმართავდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მისი არც მნიშვნელობა იცოდნენ და არც ეტიმოლოგია: „რაც შეეხება ღმერთის სახელს, შეიძლება შევნიშნოთ, რომ 'სინ', ასურული ან სემიტური ტერმინი, რომელიც, რატომღაც მრავალ სემიტურ ენაში მთვარის აღსანიშნავად გამოიყენება, ფრიად უცნობი ეტიმოლოგიისაა“ (Rawlinson 2002:80; ხაზგასმა ჩვენია – ა. მ.). მთვარის ღმერთი, როგორც ცნობილია, სიბრძნის, მეცნიერებისა და ბედისწერის ღმერთი იყო.

ღმერთის სახელის ბგერითი შედგენილობაც ისე სრულად არის შენარჩუნებული, რომ არავითარ ლინგვისტურ ანალიზს არ საჭი-

<sup>23</sup> როგორც ამას ენობრივი მასალა გვიჩვენებს, თურქულშიც, პირის და კუთვნილებითი ნაცვალსახელები სენ – სენი ქართველური წარმოშობისაა. შეადარეთ:

ქართველური	შენ – სინ – შენი	
შუმერული	šen	šennu/ šeni
ეგვიპტური	šn	šennu/ šeni
თურქული	sen	seni

როებს. ეს ფაქტი აიხსნება დიდი თაყვანისცემითა და შიშით, რომელიც სახელის დამახინჯებისთვის იმ ღმერთის რისხვას გამოიწვევდა, მათ სიცოცხლესა და ბედისწერას რომ განაგებდა.

სემიტებისგან განსხვავებით, ქართველი ღმერთსაც და მეფესაც ყოველთვის **შენობით** მიმართავდა, რითაც ხაზს უსვამდა მათ შორის არსებულ მცირე ზღვარს. ის არასდროს მიმართავდა ღვთაებებსა და მეფეთ „ზრდილობიანი“ მრავლობითის ფორმით; ეს, მიმართვაში შედარებით უფრო ახალი მოვლენაა საქართველოში. სწორედ ქართველური პრინციპია განხორციელებული აქადელთა და ასურელთა მიმართვის მოდელშიც. იმავეს ადასტურებს ეგვიპტელთა, აქადელთა და ასურელთა მიერ პირველი პირის, ანუ საკუთარი მე-ს გამორიცხვა ღვთაებრიობის რანგიდან, ანუ საკუთარი არაღვთაებრივი სტატუსის „ნებაყოფლობით“ აღიარება (შდრ.: ეგვიპტურს: Senḫer, Senä).

ქართველური მეორე პირის ნაცვალსახელების **შენ-სინ** ენობრივი მოგზაურობა ამით არ ამოიწურება. იგი ფინიკიურ ანბანსაც მისწვდა სემიტური მთვარის სახელის ფორმით. როგორც ცნობილია, ასო-ნიშან სინის (**𐤑**) ფონეტიკური ღირებულება ორ ბგერას გადმოსცემდა: მულერსა და ყრუ სპირანტს **ს-შ** (სინ, შინ). ეს იგივე ბგერებია, რომლებიც ფიგურირებენ ქართველურ **შენ-სინსა**<sup>24</sup> და ქართველურ-ეგვიპტურ **შ-ს** მოდელში. როგორც ვხედავთ, ძველი ცივილიზაციის სამყარო – შუმერი, ეგვიპტე, ფინიკია, ასურეთი – ერთხმად აღიარებს ქართველურის ღვთაებრივ სტატუსს მათსავე ენებში კოდირებული უძველესი სიბრძნით.

## 10. ქართული **შენ** და ზოგიერთი ტოპონიმი

ქართული მეორე პირის ნაცვალსახელის განხილვა სრული ვერ იქნება, თუ არ ვახსენებთ მისი გამოყენების შემთხვევებს წარსულის მნიშვნელოვან მოვლენებთან წილნაყარ რამდენიმე ტოპონიმში მაინც. პირველი მათგანი ეგვიპტის სამფლობელოს ერთ-ერთი არეალის, „სინაის ნახევარკუნძულის“ დასახელებაა. მისი სახელის წარმომავლობას სპეციალური ლიტერატურა მთვარის ღმერთ სინს მიაწერს, რაც კვლავ ქართველური **შენ** და სინისგან წარმოდგება.

<sup>24</sup> აღნიშნული **შ-ს** წყვილი ქართველურ მასალაში არ ემორჩილება თანხმოვანშესატყვისობათა წესს, რომლის მიხედვით, „საერთოქართველური უკანა სიბილანტები ქართულში მოცემულია უკანა სიბილანტების სახით, ხოლო მეგრულში, ლაზურსა და სვანურში თანხმოვანკომპლექსების (უკანასიბილანტი+ველარული ხშული) სახით“ (ფენრიხი, სარჯველაძე 1990: 13). უნდა გვქონოდა: \*შ – შ (ქართ.) – შქ – შქ (მეგრულ-ლაზური) – შგ > სგ (სვან.).

იმავე არქეტიპს ვხედავთ ბიბლიური ტრადიციით მდიდარ „სინაის მთის“ დასახელებაში. სწორედ აქ გამოეცხადა მოსეს ღმერთი ცეცხლოვანი ბუჩქის სახით და ასწავლა, თუ როგორ უნდა გასძლოლოდა ერს. სწორედ „სინაის მთაზე“ გაიგონეს ებრაელებმა „ათი სიტყვა“, ანუ ათი მცნება.

რელიგიური ასპექტის გარდა, „სინაის მთას“ ქართველთათვის განსხვავებული მნიშვნელობაც აქვს. ეს გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ უკვე ნახსენები „ქებად და დიდებად ქართულისა ენისაჲ“ სწორედ აქ აგებულ ქართველთა მონასტერში იქნა ნაპოვნი. არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ „სინაის მთის“ მეორე სახელი იყო Horeb, ანუ ქართველური „ხარება“, სადაც უმნიშვნელო ხ-ჰ ბგერათშესიტყვებას დღის შუქზე გამოაქვს მთის სახელდების საიდუმლოება: „სინას, ანუ შენმა მთამ (ქართველთა) ებრაელებს ღეთის სიტყვა ახარა, ქართველებს კი – ქართველური ენებისა და ქართველი ხალხის მომავალი აღდგომა.

ქართველური ლექსიკა გამოყენებული იყო მთვარის სათაყვანო მეორე ადგილის სახელდებისთვისაც, ქალაქისა, რომელიც სინასგან შორს, ჩრდილოეთით მდებარეობდა. ეს ქალაქია ცნობილი ჰარანი, სადაც აბრაამი დროებით ცხოვრობდა, ქანაანში გამგზავრებამდე. სახელი შედგება ორი ქართველური სიტყვისგან: ადრე გაანალიზებული სიტყვისგან ჯარი ან ხარი-ს და ანი-სა, ქართული ასომთავრული ანბანის პირველი ასოსგან. უპრიანია გავიმეოროთ, რომ „ჯარი“ მთვარის ღმერთის შვილი და ასომთავრული ანბანის 34-ე ნიშანია, მაშინ, როდესაც ანი მეთაურობს ანბანსაც, მთვარის კალენდარსაც და ცა/მთვარის ღმერთს აღნიშნავს. ბგერითი ცვლილებები გამჭვირვალეა: რთულად წარმოსათქმელი ქართველური გუტურალური ჯ გამარტივდა ჰ-დ,<sup>25</sup> ხოლო ბოლოკიდური ი თხზული სიტყვის ორივე წევრის შემადგენლობიდან ამოვარდა: ჯარი+ანი = ჯარ+ან > Hartan. წარმოდგენილი ეტიმოლოგია ლოგიკურად ხსნის ამ სახელის ფონეტიკურ და სემანტიკურ წარმომავლობა-განვითარებას.

მეორე პირის ქართველური პირის ნაცვალსახელების შენ-სინ ან კუთვნილებითი ნაცვალსახელის სახელობითი და მოქმედებითი ბრუნვის ფორმების შენი-შენით შესწავლა, ეგვიპტურ (Šen/Sen, Sen, šennu, Sennu, Shenyt, Senet, Shenit, Shenth, Senet), შუმერულ (Šen, šennu) და აქადურ-ასურულ (Sin) სიტყვებთან ერთად, გვაძლევს უცილობელ ფაქტებს მათი ქართველური წარმომავლობისთვის. ეს უკანასკნელი, სრულიად ახლებურად აშუქებს დიდი ხნის წინ ჩაფერფლილი ცივილიზაციების კულტურულ საიდუმლოებებს. ქართველური წყარო ანესრიგებს და აერთიანებს შუმერული, ეგვიპტური, ფინიკიური

<sup>25</sup> ჯ > ჰ > ■ ფონეტიკური პროცესი ჩვეულებრივი მოვლენაა ქართველურ ენებში, განსაკუთრებით სვანურში.

კულტურის შიგნით მიმოხილულ მთელ რიგ სამეფო, რელიგიურ და სადამწერლობო ნიშნებს ერთ ჰარმონიულ, საკრალურ ერთობაში. ამ ენების უამრავი ენობრივი ფაქტი, სანერი ნიშნები და კულტურული თვისებები ხიდს სდებს 5000-წლიან ღრმულზე, რომელიც ქართველურს თავის უძველეს სისხლთან და ხორცთან აკავშირებს.

აღწერილი სურათი განსაკუთრებულ ინტერესს, სილამაზესა და გარკვეულ შიშსაც კი იძენს იმ ჰარმონიის მეშვეობით, რომლითაც უძველესმა ცივილიზაციებმა ქართველური ნაცვალსახელოვანი სისტემა ისესხეს. მთლიანი სესხების პროცესი იმდენად ზუსტია, რომ იგი, აღნიშნული ენების მიმართ, გარკვეული ლექსიკური ერთეულების გამიზნულ ჩამორიგებას უფრო ჰგავს, ვიდრე შემთხვევით სესხებას, რაც ასე ნაცნობია ისტორიული ენათმეცნიერებიდან.

## 11. ამონის ლინგვისტური და კულტუროლოგიური ანალიზი

ღვთაებრივი სახელების შესწავლამ გამოარკვია ქართველური ნაცვალსახელების სესხების გასაოცარი რეგულარობა. ამ თვალსაზრისით, ყველაზე მნიშვნელოვანია მზელმერთის სახელი Amon (Amen, Ammon, Amoun, Amun, Imen) ამონ (ამუნ, ამონ, ამენ, ამონ, ამონ, იმენ). სახელის პირველი ძირისეული ხმოვნის ი თუ ა გახმოვანება გამონვეულია „ლერნის ფოთლის“ იეროგლიფისთვის განსხვავებული ფონეტიკური ღირებულებების (იხ. ცხრ. 49, გვ. 197) მიწერით, მაშინ, როდესაც მეორე ხმოვნის (უ, ო, ე) თვისებები უცნობია.

ამონი თებეს მთავარი ღვთაებაა; მისი აღზევების ხანა V დინასტიის ზეობა, რადგანაც „პირველად მისი სახელი V დინასტიის ცნობილი მეფის (ჰ)უნასის პირამიდაშია მოხსენიებული. აქ, ამონი და მისი თანამეცხედრე უპირველესი ღმერთების გვერდით იხსენიებიან. თავის მხრივ, ეს უკანასკნელნი, ნუს 'მამებსა და დედებთან' არიან დაკავშირებულნი, რომლებიც იმთავითვე 'ნიაღვი' იყვნენ" (Mackenzie 1913:196). ზოგის აზრით, ამონი მკაცრად ლოკალური ღმერთია, რომლის განვითარების მრავალსაფეხურიანი ისტორია ართულებს მის სავარაუდო, ფრიად დაუზვენელი და ბუნდოვანი თავდაპირველი ტომობრივი წარმოდგენების ბუნებაში ჩანვდომას.

ამონი მრავალსახიერი ღვთაებაა. მას წარმოსახვდნენ როგორც მაიმუნს, მოსვენების მდგომარეობაში მყოფ თავანუელ ლომს, ბაყაყისთავიან კაცს გველთავიან მდედრ თანამეცხედრე ამენტთან ერთად, აგრეთვე, როგორც გველისთავიან კაცს, კატისთავიანი თანამეცხედრითურთ. ანთროპომორფულად, ამონს მამაკაცის ფორმით გამოსახავდნენ; მას ერთ ხელში სკიპტრა/კვერთხი ეჭირა, მეორეში კი – სიცოცხლის სიმბოლო – ანკჰ; ზოგჯერ ღმერთს ვერძისთავიანი

მამაკაცის სახით წარმოადგენდნენ (იქვე, 197). თავდაპირველად „ამონი მთვარის ღმერთი იყო, მაგრამ შემდეგ იგი ჰელიოპოლისის მზის ღმერთს შეერწყა და გახდა ამონ-რა, რომელსაც ხშირად უკან ჩამოკონწილებული ცხოველის კუდითა და მხრებზე დამაგრებულ უსახელო ტუნიკში გამოწყობილი დიდებული წვერიანი მამაკაცის ფორმით გამოსახავდნენ“ (იქვე, 282). სახელი „ამონ“ ნიშნავს დაფარულს. გადმოცემის მიხედვით, იგი თვით საკუთარი შვილებისგანაც კი დაფარული იყო, სხვებზე რომ არაფერი ეთქვათ.

ამონ-რას გარდა იმავე სახელს ატარებს მზის წარმოშობამდე გაჩენილი დასაბამიერი გველი ამუნ = უჩინარი (Clark 1991:241). იმავე ენობრივ წყაროს უნდა მივაკუთვნოთ ლიბიის ღმერთის სახელი ამენ (ამმონ), „რომელსაც ეგვიპტის ტახტზე ასული ყველა იმ მეფის მამად მიიჩნევდნენ, რომელიც ქვეყნის სამეფო შთამომავლობას არ განეკუთვნებოდა“ (Budge 1971:95) და რომელიც, ფსევდო კალისტრატეს მიხედვით, ალექსანდრე დიდის მამა იყო.

იკვებება ორი მნიშვნელოვანი თვისება. ერთი მხრივ, სახეზეა ღმერთის უხვი ინტერ-ეგვიპტური და ინტრა-ეგვიპტური ვარიაცია (სხვადასხვა იპოსტასები) და, მეორე მხრივ, მათი ონომასტიკური იგივეობა-ბუნდოვანება „ამონის“ ვარიანტული ფორმებით (ამნ, იმნ), რაც ართულებს თავდაპირველი ბგერითი შედგენილობის დადგენას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ერთი და იმავე სახელის განსხვავებული ფორმებით მრავალი ღვთაებაა სახელდებული. აღსანიშნისა და აღმნიშვნელის ასეთი ურთიერთობა, აღწერილი ფენომენის უკან მოქმედი მიზეზების გამოკვლევის აუცილებლობას მოითხოვს. პასუხის გაცემის საუკეთესო საშუალება სახელების ეტიმოლოგიური კვლევაა, რაც, სამწუხაროდ, ეგვიპტური ენის ზუსტი ფონეტიკური სისტემის არცოდნის გამო, კიდევ რომ ჩატარდეს, სწორ შედეგებს ვერ მოგვცემს.


ის, რაც ეგვიპტურ ენას არ ძალუძს, შედარებით ადვილ საქმედ მოსჩანს ქართველური ენობრივი მასალისთვის, რომელიც ხსნის სახელთა ვარიანტების ეტიმოლოგიას და საერთო არქეტიპული ფორმის გამოაშკარავების საფუძველზე ადასტურებს მათ იგივეობას. ნინა შემთხვევების მსგავსად, სახელის წყარო ქართველური ნაცვალსახელებია, თუმცა ამჯერად, საქმე გვაქვს პირის ან ჩვენებით ნაცვალსახელთან ეს/ის (ძველი ქართული ესე, ისი). ქართველურ ენებში ჩვენებითი ნაცვალსახელები იბრუნვის. ეს/ე-სა და ისი-ს მოთხრობითი ბრუნვაა ამან-იმან. ისინი გარდამავალი ზმნით წარმოდგენილი წარსული მოქმედების შემსრულებლის, ანუ აგენტის გამოსახატავად გამოიყენება. სწორედ ქართველური ჩვენებითი ნაცვალსახელების ერგატიული (მოთხრობითი) ბრუნვა წარმოადგენს ეგვიპტურ-

რი სახელების ამნ/იმნის<sup>26</sup> არქეტიპს, რომელთა ერთხმოვნინამა განსხვავებამ, სხვა მხრივ პრაქტიკულად იდენტურ ლექსიკურ ერთეულებში, გამოიწვია აღნიშნული სახელის გახმოვანებასთან დაკავშირებული აზრთა სხვადასხვაობა.

სტრუქტურულად „ამან“ და „იმან“ შედგება ა-მა-ნ და ი-მა-ნ, სადაც ა- პირველ პირთან სიახლოვის, ხოლო ი- მოშორების მაჩვენებელი პრეფიქსია (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე 1988:8), მა – ნაცვალსახელის ძირია, -ნ კი – ერგატიული ბრუნვის ნიშანი. თუ სტრუქტურული ფორმულით ნაკარნახევ სემანტიკას ჩავნერთ და ქართულსა და ეგვიპტურ მნიშვნელობებს გავითვალისწინებთ, აღმოჩნდება, რომ სიტყვა ამან ინფორმაციული სისტემაა. პირველ პირთან სიახლოვე, (პრეფიქსი ა-) ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ეგვიპტურ უხილავ მზის ღმერთთან სიახლოვეა; ძირი მა, რომელიც ფონეტიკური იდენტურობის საფუძველზე მეგრულ-ჭანური პირველი პირის ნაცვალსახელ მასაც მიიერთებს, ფაქტობრივად ეგვიპტურ მზელღმერთსა და ქართველ ერს ერთმანეთს უტოლებს: მა = მა > მან = მე. უფრო მეტიც, დამოუკიდებელი აგენტის მნიშვნელობის მქონე ერგატიული ბრუნვის ნიშანი -ნ ეგვიპტური ამონის შემქმნელად ქართველ ერს აცხადებს:

### ცხრილი 82


ეგვიპტურ-ქართველური ამნ-ამანის ეზოთერული მექანიზმი



თუ ა- პრეფიქსიანი ა-მა-ნ ღმერთთან სიახლოვისა და იდენტურობის ფორმულაა, ი- პრეფიქსიანი ფორმა (ი-მა-ნ) მასთან დაშორების მაჩვენებელია. შესაბამისად, ქართველური ენობრივი მასალის შემოტანა ეგვიპტური უხილავი მზელღმერთის ამონ/იმანის ანალიზში ააშკარავებს ღმერთთან ყოფნის ორივე შესაძლო მდგომარეობას – სიახლოვეს და სიშორეს:

<sup>26</sup> ისი ნაცვალსახელის არსებობა ეგვიპტურში ნამოჭრის საინტერესო საკითხს მისი ქართულ ხელნაწერებში X ს-დან (სარჯველაძე 1997: 64) გამოჩენის შესახებ.

ეგვიპტურ-ქართველური იმნ-იმანის ეზოთერული მექანიზმი



განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ „ამონის“ ქართველური წარმომავლობა და დეკოდირებული ინფორმაცია ღმერთის სახელის სხვა შესაძლო ვარიანტებითაც (ამენ, ამუნ, ამონ) მტკიცდება. ასე მაგალითად, „ამენ“ და „ამუნ“, რომლებიც ფონეტიკურად სრულ შესაბამისობაშია ქართულ პირის ნაცვალსახელ მენთან (მე || მე-ნა, „მე“) და ჭანურ კითხვით ნაცვალსახელთან მუნთან (მუ || მუ-მა, „რა“; ჩიქობავა 1938:222, 224), იმავე სტრუქტურულ და სემანტიკურ ქარგაზე არიან აგებულნი: ამენ = ა-მე-ნ<sup>27</sup> და ამუნ = ა-მუ-ნ.

არანაკლებ საინტერესოა ქართველური ნაცვალსახელების ძირების საშუალებით გადმოცემული მნიშვნელობა: მა+მე+მუ, სადაც განმეორების (მე=მა) საფუძველზე გაძლიერებულია პირველი პირის ნაცვალსახელი, რომლის რეფერენტს მესამე კომპონენტი გვატყობინებს (მუ). მუს სვანური მნიშვნელობაა „მამა“ (თოფურია, ქალღანი, 2000:573), რაც ქართველ ერს ეგვიპტელთა მზელვთაება რას მამის სტატუსით უტოლებს (იხ. აგრეთვე, მესხი 2000). შესაბამისად, ხდება ეგვიპტური ამონ-რას ქართველური წარმომავლობის მრავალჯერადი მტკიცება – მე, მე ვარ რა და მე ვარ ეგვიპტელთა უდიდესი ღვთაების მამა.

„ამონის“ ნაცვალსახელურ წარმომავლობას თვით მანეთო, ეგვიპტის პირველი ისტორიის ავტორი გვამცნობს. სებონიტელი მანეთოს აზრით, გასაიდუმლოებული საგანი და გასაიდუმლოების აქტი – ამონ სიტყვით არის გადმოცემული. ჰეკატეს მიხედვით, ეგვიპტელები ამონს ურთიერთმიმართვისას იყენებენ, ვინაიდან იგი მიმართვის სიტყვააო. ამონ-რას აღწერილი თვისებები მათემატიკური სიზუსტით იმეორებენ ქართველური არქეტიპების სტრუქტურით გადმოცემულ სემანტიკას, ვინაიდან სახელწოდების შემადგენელი ელემენტების თანმიმდევრობა (ა-მა-ნ, ი-მა-ნ) არის გასაიდუმ-

<sup>27</sup> შეადარეთ მიმართვას ამონ დიდი მამა ღმერთისადმი, რაც ქრისტიანულ სამყაროში უძველესი ეგვიპტური რელიგიის გავლით ქართველურიდან შესული ჩანს, თუმცა ამ საკითხს დეტალური კვლევა სჭირდება.

ლოების აქტი, ანუ პროცესი, ხოლო ამ აქტით გასაიდუმლოებული საგანი კი თვით მზის ღვთაება ამონ-რაა. უფრო მეტიც, ეგვიპტური ღმერთის ნაცვალსახელური წარმომავლობა ხსნის ეგვიპტელების რწმენას იმის შესახებ, თუ რატომ თელიდნენ თავის პირველ ღმერთს ყოველივეს აღმნიშვნელ სახელად და რატომ მიმართავდნენ სახელით ამონ, რითაც „თითქოს უხმობენ ვილაც უჩინარსა და დამალულს და დაუინებით სთხოვენ გახდეს ხილული და გამოეცხადოს მათ“ (Berossos and Manetho 2003:168).

ნაცვალსახელის ბუნებიდან გამომდინარე, ამან-იმან ყოველგვარი სემანტიკისგან დაშრეტილი ერთეულებია. მათ შეუძლიათ სინტაგმატურ დონეზე მათთან შესიტყვებაში შესული უამრავი არსებითი სახელის „ჩანაცვლება“<sup>28</sup>. აღწერილი თვისება ნაცვალსახელებს ანიჭებს ფრიად უჩვეულო უნარს, ერთდროულად წარმოადგენდნენ სემანტიკურად ცარიელ სიტყვებს (როგორც ვირტუალური ნიშანი) და შესიტყვებადი არსებითი სახელების მეშვეობით შეიცავდნენ მრავალფეროვან, მასშტაბურ სემანტიკას (როგორც აქტუალური ნიშანი). ნაცვალსახელის ამ თვისებამ საშუალება მისცა საკუთარ სახელად ქცეულ „ამონს“, რომ თავის მრავალსახოვან, სქესობრივად ნეიტრალიზებულ ღვთაებრივ ხატში თავი მოეყარა ანთროპომორფული, კოსმიური და ზოომორფული არსებებისთვის, რის გამოც, მან შესძლო, „ღმერთებისა და ადამიანების დიდებული დედა ყოფილიყო“ (Budge 1934:10). საპირისპირო თვისებების ერთობა – სემანტიკური სიცარიელე და სემანტიკური სიჭარბე – ნათელს ჰფენს სახელსა და მის მრავალფეროვან ღვთაებრივ ხატს შორის არსებულ ურთიერთობას და ადასტურებს სახელდების სისწორეს. ამონ-ამან-იმან ნამდვილად დაფარული ღვთაება გამოდის, ვინაიდან მისი თავდაპირველი მნიშვნელობა მხოლოდ დეიქსურია (მიმართებითი) და არა ლექსიკური, რომელსაც იგი არსებითი სახელებისგან იძენს სინტაგმატურ დონეზე.

მეორე მხრივ, მრავალსახოვნობის შემწეობით, ამან-იმან ხილული ღვთაებაცაა, ამიტომაც იგი მრავალნაირი ფორმით არის წარმოდგენილი. უფრო მეტიც, ღვთაებრივი იპოსტასების გადაჭარბებულმა სიმრავლემ გააფერმკრთალა მისი ამოსავალი მნიშვნელობა, რომელმაც ღვთაების თავდაპირველ ტომობრივ არსში ჩანვდომა შეუძლებელი გახადა.

ამრიგად, ნაცვალსახელურმა წარმომავლობამ ამონ-ამუნ-ამენ-იმენს (< ამან, იმან) მიანიჭა უნარი, ჩანაცვლებოდა მრავალ არსებით სახელს, იქნებოდა ეს სულდგმული, კოსმიური სხეული თუ ჩვეულებრივი საგანი. სწორედ ამგვარი ნაცვალსახელოვანი არქე-

<sup>28</sup> შეადარეთ: ამ კაცმა ეს სახლი ააშენა=ამან ეს სახლი ააშენა.



ტიპული მნიშვნელობით არის გამონკვეული ის ინტრა- და ინტერვა-რიაციულობა, რომელიც „ამონ-რას“ ახასიათებს. ამიტომ დიდი ღმერთის ამონ-რას, დასაბამიერი გველის ამუნისა და ლიბიური ამუნის სახელები, ყველა, ქართველური ენის ნაცვალსახელოვანი სიღრმიდან მომდინარეობს.

## 12. ამ-მიტას ლინგვისტური და კულტუროლოგიური ანალიზი


ჩვენებითი ნაცვალსახელის (ეს/ე) განსხვავებული ბრუნვის ფორმა გამოყენებულია ქვესენელის ურჩხულის სახელად Am-Mit („ამ-მიტ“). მას ნიანგის თავით, ლომის ტანითა და ჰიპოპოტამის უკანა კიდურებით გამოსახავდნენ. ამ-მიტას „მკედართა მშთანთქმელსაც“ უწოდებდნენ, ვინაიდან განკითხვის კომპოზიციებში, მოსამართლეთა განაჩენის მოლოდინში, იგი სასწორის გვერდით არის ხოლმე მოკალათებული, რათა ცოდვილნი უმალ გადასანსლოს.

მნიშვნელობისა და დეფისიანი ორთოგრაფიის მიხედვით Am-Mit თხზულ სტრუქტურას გეკარნახობს: ძირი+ძირი, მაგრამ ქართველური მასალა სახელს ჩვენებითი ნაცვალსახელის (ეს/ე) მოქმედებითი ბრუნვის ფორმასთან (ამ-ით) აიგივებს. ეგვიპტური ფორმა შეიცავს პირველ პირთან სიახლოვის პრეფიქსს ა-, მა ძირის შეკვეცილ ფორმას მ, რასაც ემატება გრამატიკული -ით სუფიქსის ოდნავ შეცვლილი ვარიანტი -იტ.

სემანტიკური თვალსაზრისით, ეგვიპტური Am-Mit და ქართული „ამით“ აგებენ ისეთივე ეზოთერულ ენობრივ მექანიზმს, რომელიც გამოვლენილ იქნა მზელმერთ ამონის შემთხვევაში:

### ცხრილი 84

ეგვიპტურ-ქართველური Am-Mit-ამითას ეზოთერული მექანიზმი



ამგვარად, მიუხედავად ეგვიპტური Am-Mit-ის დეფისიანი და მ თანხმობის გაორმაგებული დანეროობისა, მისი არქეტიპული ფონეტიკური შედგენილობა და სწორი სტრუქტურაა ა+მ+ით. თუ სახელწოდების შემადგენელი ელემენტების სემანტიკას შევაჯამებთ (ა – პირველ პირთან სიახლოვის პრეფიქსი, მ(ა) – მეგრულ-ლაზური პირველი პირის ნაცვალსახელი, ით – მოქმედებითი ბრუნვის ნიშანი), აღმოჩნდება, რომ სახელწოდება ამით (Am-Mit) ქართულ ენასა და ქართველ ერს ქვესკნელის ურჩხულს უტოლებს, რომელსაც ცოდვილების მიმართ გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი სისრულეში მოჰყავს (შდრ.: „ამონის“ შემთხვევაში ქართული ენისა და ქართველი ერის მზელმერთთან გატოლებას). აღნიშნულ ტოლობას ქართველური ენები და ქართველი ერი ეგვიპტური განკითხვის სცენაში შემოჰყავს, რითაც კიდევ ერთხელ გვახსენებს „ქებაი“-ს სტროფებს ჩვენი ენის მისიის შესახებ:

„რათა ყოველსა ენასა

ღმერთმან ამხილოს ამიჲ ენითა“.

წარმოდგენილი დემიფირირების გაბათილება არ ძალუძს არც ტრადიციულად მიღებულ შეხედულებას ქართველური და ეგვიპტური ენების დაუკავშირებლობის შესახებ და არც მოქმედებითი ბრუნვის ნიშნის (-ით) აღდგენის შეუძლებლობას საერთო ქართველურში, რომელიც ჰიპოთეტური სისტემაა და არა რეალურად არსებული ენა. მეტიც, უძველეს ენებთან მიმართებაში (შუმერული, ეგვიპტური), ქართველური ენები ამჟღავნებენ როგორც ჩვეულ, ისე კოდურ ურთიერთობებსა და ფორმულებს, რომლებშიც მათ შორის არსებული დაფარული კავშირებია შიფრირებული. ენის აღნერილი კოდური მექანიზმი ეყრდნობა ორ ძირითად პრინციპს. ერთი მხრივ, გვაქვს მიზანმიმართულად შექმნილი ენობრივი (ბგერითი, გრამატიკული, ლექსიკური, სინტაქსური) კავშირები, რომელთა უცვლელობა და სტაბილურობა შემუშავებიდან გამჟღავნებამდე უზრუნველყოფენ რეალურად არსებული გენეტიკური ურთიერთობების შენახვას და, მეორე მხრივ, კოდური ინფორმაციის კრიპტული ბუნების გამო, ხდება ამ კავშირების კარგვა და ჩანაცვლება ენებს შორის ემპირიულად დადგენილი ურთიერთობებით. პირველი რომ მეორეს მოიცავს და არა პირიქით, უბრალო ლოგიკურია და განმარტებას არ საჭიროებს.

შესაბამისად, თუ ქართველური და ეგვიპტური ენები კოდური ფორმულებით არიან დაკავშირებულნი (რაც ანალიზის საშუალებით არაერთხელ იქნა გამოვლენილი), მაშინ მათი ურთიერთობები მოიცავენ გაცილებით უფრო ხანგრძლივ ქრონოლოგიურ და გეოგრაფიულ სივრცეს, ვიდრე მეცნიერული კვლევის შედეგად დადგენილი ჩარჩოებია. შეუსაბამობა დროში, წინააღმდეგობა კოდური და ექსპერიმენტულ-აღნერილობითი კვლევის შედეგად მიღებულ დასკვნებს შორის, სრული ნდობის გამოცხადება ამ უკანასკნელისადმი და უნ-

დობლობა პირველისადმი, ართულებს ტრადიციონალისტ მეცნიერთა მიერ განსხვავებული (კოდური) სისტემის არსებობის აღიარებას. „მიულებლობის“ ფენომენი იარსებებს მანამ, სანამ მთლიანი კოდური სისტემის ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილის გახსნა-დემიფორირება არ მოხდება. ამიტომ ქართველურ და ეგვიპტურ ენებს შორის გამოვლენილი კავშირები და ეგვიპტურში მოქმედებითი ბრუნვის -ით გამოჩენა, ემორჩილება კოდურ და არა ჩვეულ მეცნიერულ პოსტულატებს.

ეგვიპტელთა ქვესკენელის ღვთაების Ām-Mit-ას ანალიზის შედეგად მიღებულ დასკვნებს მხარს აძლევს ღვთაებრივი სახელიც Amit („ამიტ“; Budge 1934:251). იგი უცხო წარმოშობის ქალღვთაების სახელად არის მიჩნეული. მართალია, მისი გარეგნობისა და თვისებების შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი, მაგრამ ამ ლექსემის ფონეტიკური შედგენილობა ნათელს ჰფენს მის წარმომავლობას, რადგანაც ეგვიპტური Amit („ამიტ“) იგივე ქართველური ჩვენებითი ნაცვალსახელის ეს/ეს მოქმედებითი ბრუნვიდან (ამ-ით) წარმოდგება. აღსანიშნავია, რომ ბოლოკიდური მარცვალი -it, სახელწოდებაში Amit, ენობრივი სტატუსის მიხედვით, ქართული -ით ბრუნვის ნიშნის ტოლია, რითიც Ām-Mit-ას არქეტიპული სტრუქტურული მოდელი ხელახალ მტკიცებულებას იძენს.

საინტერესო სურათს გვთავაზობს ერთი მხრივ, ეგვიპტური და, მეორე მხრივ, ქართველური ენების თვალსაზრისით გასაანალიზებელი სახელების (Ām-Mit, Amit) შედარებაც. ეგვიპტურში ორივე სიტყვა დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულია, რადგანაც ისინი განსხვავდებიან ორთოგრაფიულად („მკლავის“ და „ლერწმის ფოთლის“ იეროგლიფები) და, მაშასადამე, ბგერობრივადაც; Ām-Mit-ა დეფისით არის წარმოდგენილი, Amit კი – უდეფისოდ; პირველში გრძელი ხმოვანია, მეორეში კი – მოკლე, პირველში ორი მ ფიგურირებს, მეორეში კი – ერთი.

აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, ორივე სახელწოდების ქართველური ენების საფუძველზე ნაკითხვა გვთავაზობს ერთ გახმოვანებას (ამით), ერთ დანერილობას (ამით), ერთ სტრუქტურულ მოდელს (ა-მ(ა)-ით) და, რაც დიდად მნიშვნელოვანია, ქართველური არქეტიპისა და ეგვიპტური სახელწოდებების ნათესაობის დასადგენად, ეგვიპტურ-ქართველური გაერთიანებული მნიშვნელობების ჰარმონიულ სემანტიკას:

ცხრილი 85

ეგვიპტურ-ქართველური Amit-ამითას ეზოთერული მექანიზმი

ეგვიპტური ამიტ = ა + მ + იტ = ქალღვთაება

ქართული ამით = ა + მ(ა) + ით = ქალღვთაებით

სიახლოვე + ჩვ. ნაცვ. + მოქმედების ინსტრუმენტი

ეგვიპტურ ღვთაებრივ სახელთა შორის გვხვდება ქართველური ჩვენებითი ნაცვალსახელის ეს-ეს მოქმედებითი ბრუნვის გავრცობილი ფორმაც. ეს გახლავთ მზელმერთ რას ერთ-ერთი სახე *Ami-ta*, რომელიც 75-ე *ქებაშია* ნახსენები: „დიდება შენდა, ო, რავ, ამაღლებულო ძალავ, ტემტ-ჰატუ, ამი-ტას დამფუძნებლო. ჭეშმარიტად, შენ ტემტ-ჰატუს სხეულები ხარ“ (Budge 1934:397). სახელის ქართველური ეტიმოლოგიის გამოყენებით, ციტირებულ ნაწყევტში, *Ami-ta* მიუთითებს ინსტრუმენტზე, ძალაზე ან მსგავს ფენომენზე („ამით, ამის საშუალებით“), რომელსაც რა დედამინაზე სიცოცხლის დასაარსებლად იყენებს. აქედან გამომდინარე, „ამონის“ მსგავსად, *Am-Mit*, *Amit* და *Ami-ta* – ყველა, ერთი ქართველური წყაროდან მოედინება: ჩვენებითი ნაცვალსახელის (ეს/ე) მოქმედებითი ბრუნვიდან *ამ-ით(ა)*.

მიუხედავად დეფისური დანერილობისა (რაც ერთხელ უკვე შეგვხვდა), სახელი მოქმედებითი ბრუნვის ემფატიკურხმოვნიაანი „ამითა“ ფორმიდან არის ნაწარმოები. არქეტიპი გვეკარნახობს ეგვიპტური სახელის როგორც ორთოგრაფიას (*Amita*), ისე მის სტრუქტურასაც (*Am-it-a*). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედებითი ბრუნვის ემფატიკურხმოვნიაანი ვარიანტი, რომელიც ფართოდ გამოიყენება როგორც სალიტერატურო, ისე დიალექტურ ფორმებში, ქართულში გვიანდელია (შდრ.: მოქმედებითი ბრუნვის ნიშანს -ით), ზანურ-სვანურში კი საერთოდ არ გვაქვს. ეს გარემოება თითქოს ეჭვქვეშ აყენებს ჩატარებული კვლევის სისწორეს, მაგრამ ეგვიპტური ფორმები (*Am-Mit*, *Amit*, *Ami-ta*), ქართველურ წევრებთან (ამით, ამითა) ისეთ ზუსტ ანალოგიას გვიჩვენებენ, რომ ეგვიპტური *Ami-ta*-ს ემფატიკურხმოვნიაანი *ამითა*-დან წარმომავლობის უარყოფა არ იქნება გამართლებული.

წარმოდგენილი ანალიზის სისწორე ეგვიპტური სახელების (*Am-Mit*, *Amit*, *Ami-ta*) ვარიანტულობითაც დასტურდება. ერთ შემთხვევაში სანყისი ბგერა, წარმოდგენილია გრძელი ხმოვნით (*Am-Mit*; „მიმინოს“ იეროგლიფი), მეორე შემთხვევაში, სახელი ერთი ხმოვნით არის დაგრძელებული (*Ami-ta*), ხოლო მესამე შემთხვევაში – დეფისის ადგილია შეცვლილი (*Am-Mit*, *Ami-ta*). ძნელია არ მიხვიდე იმ დასკვნამდე, რომ ყოველივე ეს ერთი ქართველური არქეტიპიდან წარმომდგარი რამდენიმე სახელის განსხვავების ილუზიას არ ემსახურებოდეს, რადგანაც სამივე სახელი ერთი და იმავე ბგერითი შედგენილობისაა (*amit/ამით*) და, რატომღაც, ზუსტად შეესატყვისება ქართული ნაცვალსახელის ორ – ნეიტრალურ და ემფატიკურხმოვნიაანი მოქმედებითი ბრუნვის დაბოლოებას (*ამით/ა*). სწორედ ძირითადი ბგერითი შედგენილობა და არა მეორადი ორთოგრაფიული ელემენტებია კოდის არსი და ხერხემალი, რომლის შენარჩუნებამ განსაზღვრა და ასაიდუმლოა ეგვიპტური სახელების გენეტიკური კავშირები მათ ქართველურ არქეტიპთან.

ქართველური არქეტიპის გამოვლენილი ბგერითი შედგენილობის მანიპულირება და ნაცვალსახელის დეიქსური ბუნება, რომლის საფუძველზეც ქართველურ არქეტიპს უნარი შესწევს, დაიკავოს ნებისმიერი შეთანხმებადი არსებითი სახელის ადგილი, ხსნის ეგვიპტურ ენაში მისგან ნაწარმოები კიდევ რამდენიმე ლექსიკური ერთეულის მრავალფეროვან სემანტიკას.

ესენია:

1. amit – ინტერიერი, ბუნება; კეთილგანწყობა (Budge 1978:6);
2. āmi-t – შორის, შუაში (?) (იქვე, 44);
3. āmi-tā – შორის (იქვე);
4. āmi-t – ის (ქალი ან საგანი), რაც შიგნით არის (იქვე, 44);
5. āmi-ta – ლეტოპოლისის მთავარი ქურუმის ტიტული (იქვე 46).

მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილ ერთეულებში პირველი ბგერა განსხვავებული იეროგლიფით არის წარმოდგენილი („მკლავი“, „ლერწმის ფოთოლი“), მათი ბგერითი შედგენილობა ააშკარავებს ქართველური არქეტიპისადმი (ამით/ა) ისეთსავე კავშირებს, როგორიც ზევით იყო აღწერილი. მეტიც, ერთ-ერთი მათგანი არქეტიპის კატეგორიალური სემანტიკის მატარებელია – ნაცვალსახელია (āmi-t).

ირკვევა, რომ ეგვიპტურ ლექსებში გამოყენებული ორთოგრაფიული საშუალებები მათი ერთი ქართველური არქეტიპიდან წარმომავლობის გაფერმკრთალების საშუალებაა. სხვაგვარად, ისინი (ორთოგრაფიული საშუალებები) გამოყენებულია კოდური ფუნქციით, რომლის არსი სიტყვის ძირითადი ბგერითი შედგენილობის ისეთი დანაწევრებაა, რომელიც ინარჩუნებს სიტყვის ხერხემალს, ანუ ფონეტიკურ მხარეს. ერთდროული დანაწევრება-გამთლიანება არის მეთოდი, რამაც შეინარჩუნა და ასაიდუმლოა ეგვიპტური სახელების გენეტიკური კავშირები მათ ქართველურ ორიგინალთან.

### 13. მინის ლინგვისტური და კულტუროლოგიური ანალიზი

ქართველურთან დაკავშირებულ მრავალ სხვა სახელს შორის აუცილებლად უნდა მოვიხსენიოთ კიდევ ორი: Min („მინ“), ნაყოფიერების ითიფალური ღმერთი, და მენა (მენეს), ეგვიპტის პირველი ლეგენდარული ფარაონი. Min „მინ“ ნილოსის ხეობის ერთ-ერთი უძველესი ღვთაებაა, რომელსაც თავდაპირველად ფეტიშურად აღმერთებდნენ; მისი სიმბოლო კაუჭით დაბოლოებული ისარია. მინს ყოველთვის ნაყოფიერების, შვილოსნობის და გენერაციის პრინციპებთან აიგივებდნენ, რის გამოც მის დღესასწაულს მოსავლის აღების თვეში ზეიმობდნენ. დღესასწაულის დროს, რომელსაც Chemnu („ჩემუ“) ერქვა, მინის ქანდაკებას ბიტუმთან შერეული ნახშირით ფარავდნენ.

მინს ხშირად, ადამიანური, ითიფალური სახითაც გამოსახავდნენ. მას ხელთ ეპყრა ერთგვარი საცეხველი (flail), რომელიც ღვთაებრივ და სამეფო ინსიგნიას წარმოადგენდა, ხოლო თავს ორი ბუმბულისგან შემდგარი გვირგვინი უმშვენებდა. მის (გვირგვინის) საფუძველში ზოგჯერ მზის დისკოს ათავსებდნენ.

მინი, აქამდე განხილული სხვა ეგვიპტური ღვთაებების მსგავსად, აგრეთვე ქართველური ნაცვალსახელოვანი სისტემიდან მომდინარეობს.<sup>29</sup> ქართველურში (მეგრულ-ჭანური) სულიერი არსებითი სახელებისთვის გამოიყენება კითხვითი ნაცვალსახელი მინ, სვანურში კი იგივე ფორმა მინ (მინეშ) მესამე პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელია. ეგვიპტური და ქართველური მინ ფონეტიკურად სავსებით იდენტურია, რის გამოც არავითარ ფონეტიკურ ანალიზს არ მოითხოვს. მიუხედავად ამისა, თუ ქართველური მინის სტრუქტურულ ანალიზს მივმართავთ, ფრიად საინტერესო სურათის მონმენი გავხდებით. ცნობილია, რომ ქართულში, ძველისძველად, მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი ნ ბგერით იყო წარმოდგენილი. ვიცით აგრეთვე, რომ სვანურში პირველი პირის მხ. რიცხვის ნაცვალსახელი არის მი. გამოდის, რომ მეგრულ-ჭანური კითხვითი ნაცვალსახელი მინ (ვინ), სინამდვილეში, სვანურის პირველი პირის ნაცვალსახელის მოთხრობითი ბრუნვის ფორმაა: სახ. მი, მოთხრ. მინ.

აღნიშნულ ურთიერთობებს ადასტურებს სვანური მინიც, რომელიც მეგრულ-ჭანურ მინსა და სვანურ მი-მინს ერთ მიკრო სისტემაში აერთიანებს:

მინ – მეგრულ-ჭანური ვინ;

მინ/მინეშ – სვანური თვითონ, (ისინი);

მი – სვანური მე.

სემანტიკურადაც ეს ნაცვალსახელები ფრიად საინტერესო ფორმულით არიან დაკავშირებულნი; კერძოდ, მეგრულ-ჭანური კითხვითი ნაცვალსახელით „მინ“ დასმულ შეკითხვაზე ვინ?, პასუხს თვით კითხვითი ნაცვალსახელის სტრუქტურა სვანურის საშუალებით იძლევა: მი+ნ, ანუ მე (მოთხრობითი). უფრო მეტიც, სვანური მინ (თვითონ, ისინი) ქართველთა დამოუკიდებელ შემოქმედებაზე მიუთითებს: მინ? – მი მინ/მინეშ, ანუ ვინ? – მე თვითონ. აღნიშნული ფორმულის არსებობას ქართველურ ნაცვალსახელოვან სისტემაში განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელიც ვინმეც ადასტურებს, რომლის სტრუქტურაშიც შემავალი „მე“ კარგავს ტრადიციული გრამატიკით განსაზღვრული ნაწილაკის ფუნქციას და მი-მინის

<sup>29</sup> უსულო საგნებისთვის გამოყენებული კითხვითი ნაცვალსახელისა (რა) და ეგვიპტური მზის ღმერთის სახელის (რა/რე) კავშირისთვის იხ. ა. მესხი, *სვანური გუდრას ლინგვისტური ანალიზი და ქართველურ-ეგვიპტური ენობრივი იგივეობანი. საენათმეცნიერო ძიებანი*, თბილისი, 2000.

ჯგუფის სტრუქტურული და სემანტიკური დადასტურების კოდურ დანიშნულებას იძენს. მართლაც, მი-ნის სტრუქტურა და სემანტიკა ვინმეში ზუსტად მეორდება. ვინმე=ვინ? – მე.

*დავასკენით:* ეგვიპტური სახელი მინ მეგრულ-ჭანური კითხვითი ნაცვალსახელიდან მომდინარეობს, რომლის სიღრმისეული სტრუქტურა სვანურ ნაცვალსახელოვან სისტემაში იმალება და ეგვიპტურისთვის უცნობია. აღნიშნული ნასესხობა (სახელი მინ) ამდიდრებს არა მხოლოდ ქართველური ნაცვალსახელების რაოდენობას, რომლებიც ეგვიპტური ღმერთებისა და სამეფო დიდებულების თეოფორული სახელების წრეს აფართოებენ, არამედ ზრდიან არქეტიპად გამოყენებული ქართველური ნაცვალსახელების მრავალგვარობას.

მინის დღესასწაულის სახელიც Chemmu („ჩემუ“) ქართველური წარმოშობისაა. იგი მომდინარეობს პირველი პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელიდან ჩემი ბოლოკიდური ხმოვნის უ-თი ჩანაცვლებით. ეგვიპტურმა ენამ „ჩემუ“ სახელის განსხვავებული ფორმებიც შემოგვინახა; კერძოდ, მინის პატივსაცემად აშენებულ ქალაქს ეწოდებოდა Chemmis ან Chemmo („ჩემის“, „ჩემო“; Cooke 1931:28, სქ. 3). მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის სახელის ბოლოკიდური მარცვლის წაკითხვა ზუსტად განსაზღვრული არ არის, გაცვებას იწვევს ის ფაქტი, რომ პირველი ვარიანტი (Chemmis) ნათესაობითი, ხოლო მეორე ფორმა (Chemmo) კი ნოდებითი ბრუნვის ფორმას ემთხვევა, რომლის არსებობაც იმ უშორესი დროისთვის ტრადიციული გრამატიკული კუთხით საეჭვოა, კოდურით კი – დასაშვები და იოლად შესაძლებელი.

კუთვნილებითი ნაცვალსახელის ბუნება – მიუთითოს მფლობელზე – კარგად ჩანს სხვა ეგვიპტურ ერთეულებშიც. ერთ-ერთი მათგანია კუნძულის იდენტური სახელწოდება chemmis (Budge 1934:493, 499), მეორე, სამეფო რეგალიის, კერძოდ, კვერთხის აღმნიშვნელი სიტყვა tchem (Budge 1978:907), რომელიც ბრუნვის დაბოლოების გარეშეა წარმოდგენილი, ხოლო მესამე, წყლის კლების აღმნიშვნელი პერიოდის სახელწოდება, რომელიც Shemu-ს სახით არის მოცემული (Budge 1934:488), რაც პირველი თანხმოვნის არასწორი გახმოვანების შედეგია: Shemu < Chemu.

ასეა თუ ისე, ძირი Chem ზუსტად იმეორებს ქართული პირველი პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფორმას „ჩემი“, რომლის ეგვიპტური სახელის ეტიმონად იდენტიფიკაციას ორმაგი მ ხელს ვერ უშლის (შდრ.: „ამ-მიტ“). ცხადია, რომ ქართველური ლექსიკური და გრამატიკული მასალა ააშკარავებს არა მხოლოდ სახელის „ჩემუ“ ეტიმოლოგიას, არამედ, აგრეთვე მასთან ფონეტიკურად დაკავშირებული ვარიანტებისაც (ჩემის/ჩემო), რომელთა ერთობლიობა ქართველური არქეტიპის ეგვიპტურ მიკროსისტემას აყალიბებს.

სემანტიკური თვალსაზრისით, ეგვიპტური სახელების „მინ“, „ჩემუ“ და „ჩემის/ჩემო“ ქართველური ნაცვალსახელური მნიშვნელობები კითხვა-პასუხის დიქოტომიას აყალიბებს. ეგვიპტური ნაყოფიერების ღმერთის სახელი („მინ“) და მისი ქართველური მნიშვნელობა („ვინ?“) მიემართება არა მხოლოდ ამ კონკრეტული ღვთაების ვინაობას ან მის წარმომავლობას, არამედ ეგვიპტური ცივილიზაციის ფუძემდებელ სხვა ღმერთებსაც. პასუხი რამდენჯერმეა მოცემული: თვით სახელ „მინის“ ქართველურ ნაკითხვაში, ღმერთისადმი მიძღვნილი სეზონური ფესტივალის სახელში „ჩემუ/ჩემი“ და მისივე ქალაქის სახელწოდებაში „ჩემის/ჩემო“. უფრო მეტიც, სვანური მინ („თვითონ“, „ისინი“) არაორაზროვნად გვამცნობს ეგვიპტური ცივილიზაციის ნაყოფიერების წყაროს – ქართველთა დამოუკიდებელ შემოქმედებას, რაც ეგვიპტის პირველი ლეგენდარული მეფის მენას სახელითა და მისი დიდი ღვანლითაც დასტურდება.

#### 14. მენას ლინგვისტური და კულტუროლოგიური ანალიზი

Mena („მენა“), ვარიანტული დანერილობით Menes („მენეს“, მანეთო) და Mini („მინი“, ჰეროდოტე), ეგვიპტის პირველი მოკვდავი მეფეა და მონარქი, რომელმაც ზემო და ქვემო ეგვიპტე, ე.ი. „ორი მინა“ ერთ სამეფოდ გააერთიანა. სავარაუდოდ, აღნიშნული დაპყრობითი ოპერაცია უნდა მომხდარიყო მეოთხე ათასწლეულის მინურულს. „ნამდვილად წარმოადგენდა თუ არა იგი გაერთიანებული ეგვიპტის პირველ მეფეს, ან უსწრებდა თუ არა მას სხვა სუზერენი, ფაქტებით არ არის გამაგრებული. დანამდვილებით არც ის ვიცით, განაგებდნენ თუ არა ეგვიპტის სხვადასხვა ტერიტორიას მეფისწულები, მაგრამ ის, რომ ისტორიკოსები მათ არ იცნობდნენ, უნდა ადასტურებდეს ფაქტს, რომ თავიანთი სახელების შესახებ მათ არავითარი ცნობა არ დაუტოვებიათ“ (Maspero 1922:232). ჩვენი ცოდნა იფარგლება იმით, რომ „მენა“ ძლიერ უნარიანი პიროვნება და კარგი ორგანიზატორი იყო. მან ააგო წყლის საშრეტი არხები, წყლისგან დამცავი კედლები და დაარსა ქალაქი მემფისი, რომლის სახელი Minnofiru ალბათ „კარგ თავშესაფარს“ ნიშნავს და მის დამაარსებელს ააშკარავებს. მენას მეფობისას, ეგვიპტეს ცივილიზაციის ყველა ინგრედიენტი გააჩნდა. „ჰქონდა საკუთარი მრეწველობა და ხელოვნება... მინას თოხითა და სახნისით ამუშავებდნენ; აშენებდნენ აკლდამებს, რითაც სახლებისა და სასახლეების მშენებლობაზე შეგვიძლია მსჯელობა; ქვეყანას ჰყავდა ჯარი, ადმინისტრაცია, სამღვდელოება, თავადობა, ჰქონდა დამწერლობა და ეპიგრაფიკული სისტე-



მა, რომლისგან უმნიშვნელოდ განსხვავებული, ჩვენთვის კარგად ცნობილი მოგვიანო სისტემა ჩამოყალიბდა მის დეშიფრირებაში არავითარ სირთულეებს არ გვიქმნის. გულახდილად რომ ვთქვათ, პირველი მონარქის შესახებ ჩვენი მთლიანი ცოდნა, გარდა მისი არსებობისა, ნულის ტოლია და კლასიკური ხანის ავტორების მიერ წერილობით წყაროებში დაფიქსირებული გადმოცემები სხვა არა არის რა, თუ არა მთხზველის ფანტაზიის ნაყოფი“ (იქვე, ავტორის ხაზგასმა).

„მენა/მენეს“ შესაძლოა, არ დაუტოვებია თავისი სახელი ისტორიულ წყაროებში, სავარაუდოა, რომ თითქმის არაფერი ვიცოდეთ მის შესახებ, მაგრამ მან ნამდვილად დატოვა საკმარისი ინფორმაცია იმისთვის, რომ თავისი ეთნიკური წარმომავლობა გაემხილა. „მენა“ ქართველური ნაცვალსახელია, უფრო ზუსტად, პირველი პირის ნაცვალსახელის მხოლოდითი რიცხვის ემფატიკური ფორმაა. ნაცვალსახელს სამი ფორმა გააჩნია: მე, მენ, მენა (ჩიქობავა 1938:222).

„მენა“ დღესაც ფართოდ არის გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოში (ფშავი, გუდამაყარი, მთიულეთი, ქსნის ხეობა, საინგილო; ლლონტი 1984:357). საკუთარ სახელად ფუნქციონირებამ, ნაცვალსახელი „მენა“ სახელთა ბრუნების სისტემას დაუქვემდებარა. მეტყველების ნაწილის შეცვლამ – ნაცვალსახელი > საკუთარი სახელი – გამოიწვია ისეთი ბრუნვის ფორმების გაჩენა, როგორც საკუთარი სახელებისთვის არის დამახასიათებელი, ე.ი. სახ. მენა, მოთხ. მენამ, მიცემითი მენას და ა.შ.

მენა-მენას-მენეს პარალელური ფორმები ხშირად უნდა ყოფილიყო გამოყენებული სასახლეშიც და მენას ქვეშევრდომების მიერ მეფისადმი მიმართვისას. ამავე დროს, მეფე ალბათ თავის თავსაც ხშირად ახსენებდა ნაცვალსახელოვანი ფორმით „მენა“, რამეთუ მან გასცა არხის მშენებლობის ბრძანება, ან შეკრიბა ჯარი და ა.შ. სწორედ ამგვარ მნიშვნელობას გულისხმობს ეგვიპტურში, ნასესხები ქართველური ნაცვალსახელების შინაარსობრივი ლოგიკის მიხედვით დალაგება. ახლა გავიხსენოთ, რომ მოთხრობითი ბრუნვის ძველისძველი ნიშანი იყო –ნ და ამის გათვალისწინებით „მენ“ და „მენას“ (გავრცობილი ფორმა) სტრუქტურული აგებულება წარმოვადგინოთ: მე-ნ, მე-ნა-ა. ესაა სტრუქტურა, რომელიც ეგვიპტური „მინის“ მეგრულ-ჭანურ არქეტიპში გამოვლიდა: მინ = მი-ნ. ახლა, აღნიშნული ნაცვალსახელები კითხვა-პასუხის თანმიმდევრობით წარმოვადგინოთ:

მინ, ანუ ვინ? (ეგვიპტური ნაყოფიერების ღმერთი);

მი+ნ, ანუ მე+ნ/მე-ნა (გაერთიანებული ეგვიპტის პირველი ფარაონი).

ვფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია! ამიტომ, მიუხედევად იმისა,

რომ საკუთარი სახელის ნაცვალსახელურმა წარმომავლობამ ერთგვარად გააფერმკრთალა მეფის ნამდვილი სახელი, იმავე ნაცვალსახელურმა ბუნებამ გამოააშკარავა ხალხის ეროვნება, რომელთა შვილი თავისი სამშობლოდან შორს, სხვა ქვეყანაში მეფობდა და ნილოსის ხეობის კულტურას უყრიდა საფუძველს. შესაბამისად, თუ საიდუმლოებებით მოცული პირველი დინასტიის მეფე ქართველი იყო, რომლის შემდეგაც მეორე დინასტიის დაფუძნებამდე, მისი შთამომავლობის შვიდმა თაობამ იმეფა (Berossos and Manetho 2003:131), ამ დინასტიის ყველა მეფე ქართველური წარმომავლობისა იქნებოდა.

## 15. მათის ლინგვისტური და კულტუროლოგიური ანალიზი

თებეს სამეფო აკლდამებში აღმოჩენილი ტექსტი, რა-ს 75-ე ქებათშესხმა, მოიხსენიებს ღმერთს Mati („მატი“): „დიდება შენ, ო, რავ, განდიდებულო ძალავ! შენ შენს მტრებს მტკიცე ბორკილებს ადებ. ჭეშმარიტად, შენ მატის სხეულები ხარ“ (Budge 1934:396). თუ მონათესავე ენებში ფართოდ გავრცელებულ ტ-თ ბგერათმიმართებას მხედველობაში არ მივიღებთ, ეგვიპტური Mati ქართველური მესამე პირის მრავლობითი რიცხვის კუთვნილებითი ნაცვალსახელის „მათი“ ზუსტი ასლია. ქართველური სიტყვის მნიშვნელობა განსხვავებულ ელფერს აძლევს ციტატას. კერძოდ, ნათელი ხდება, რომ „ჭეშმარიტად, შენ მატის სხეულები ხარ“ უნდა იკითხებოდეს, როგორც „ჭეშმარიტად, შენ მათი სხეული ხარ“, ე.ი. „შენ მათ სხეულს წარმოადგენ“ ან „შენ მათი განსხვავება ხარ“, „შენ ერთ-ერთი მათგანი ხარ“.

წარმოდგენილი მაგალითი ერთადერთი არ არის! EHD-ში მოცემულია ა ბგერით გახმოვანებული („ლერწმის ფოთლის“ იეროგლიფი) რამდენიმე ლექსემა, რომლებშიც არქეტიპის ნაცვალსახელური მნიშვნელობა შენარჩუნებულია. ესენია:

- māti – მსგავსება, იდენტურობა, ასლი, ქანდაკება, სახე, ღვთიური სახე, მისი ღვთაებრივი მეგობრები;
- mātu – ფორმით ან ბუნებით მსგავსი, მსგავსება, იგივეობა;
- mätt – მსგავსი, მსგავსება, ასლი, იდენტურობა  
(Budge 1978:277).

მოყვანილი მაგალითები ავლენენ ბოლოკიდური ბგერის უმნიშვნელო ვარირებას. პირველი და მეორე ლექსემა წარმოდგენილია ი და უ ხმოვნებით, რომელთაგან ერთ-ერთი (ი) სახელობითი ბრუნვის ნიშანია, ხოლო მეორე (უ) კი – მის ნაცვლად ხშირად გამოყენებული ბგერა (შდრ.: ჩემი/ჩემუ, წესი/წესუ, სახე/სახუ, შენი/შენუ და ა. შ.), მაშინ როდესაც მესამე სიტყვა წინმსწრებ თანხმოვანს (t) იმეორებს (tt) და

ფაქტობრივად, სიტყვის ფუძეს წარმოადგენს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სამივე მოყვანილი მაგალითი ქართველური მესამე პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელის ფორმის ნიმუშია: მათი—*māti*, *mātu* (კუთვნილებითი) და მათ—*mātt* (პირის).

ეგვიპტური სახელწოდებების ქართველურ წარმომავლობას, ფონეტიკური იგივობის გარდა, იდენტური მნიშვნელობებიც („მსგავსება, იდენტურობა, ასლი“...) ადასტურებენ. მეტიც, თუ უკვე ნაცად სინტაგმატური კავშირების ხერხს მივმართავთ, აღმოჩნდება, რომ ეგვიპტური სემანტიკა სრულ ჰარმონიაშია თავის არქექტიპულ მნიშვნელობასთან, ვინაიდან, მათი ლოგიკური თანმიმდევრობით (ქართველური არქექტიპი + ეგვიპტური მნიშვნელობა) ნაკითხვის შემთხვევაში, მივიღებთ ასეთ გამონათქვამებს: „მათი, ანუ ქართველთა მსგავსი“, „მათი, ანუ ქართველთა ასლი“, „მათი, ანუ ქართველთა ღვთაებრივი სახე“, „მათი, ანუ ქართველთა მსგავსი ბუნება“ და ა.შ.

წარმოდგენილი ანალიზის სისწორე სხვა ეგვიპტური სიტყვების მეშვეობითაც ძლიერდება. EHD-ში კიდევ სულ მცირე ცხრა, თითქმის იდენტური გახმოვანების ლექსემას („მკლავის“ იეროგლიფის ორთოგრაფიით) ვხვდებით. ერთი მათგანია *Maāti* – „ჭეშმარიტების ორი ქალღმერთი (ისიდა და ნეფთის), რომლებიც განკითხვის აქტში იღებენ მონაწილეობას“ (Budge 1978:272). *Maāti*<sub>2</sub> – ნილოსის ღმერთისა და წყალდიდობის სახელი (იქვე, 272). ოთხი მათგანი ადგილის დასახელებაა, რომელთაგან ერთი (*Maāti*<sub>3</sub>) დუატის (ქვესკნელის) პირველი მინდვრის სახელწოდებაა (იქვე, 271), მეორე (*Maāti*<sub>4</sub>) „ადგილია, საიდანაც *Maāti*-ქალღვთაებები ზეციურ საქმეებს განაგებენ და ადამიანთა სულებს განიკითხავენ“ (იქვე, 272). *Maāti*<sub>5</sub> მიუთითებს ადგილზე, სადაც გარდაცვლილი ცეცხლის ალსა და სკიპტრას მიწაში ფლავს (იქვე, 272), ხოლო მეოთხის (*Maāti*<sub>6</sub>) მნიშვნელობა ნილოსისა და ზოგადად, ჭაობის დასახელებას წარმოადგენს (იქვე, 272).

ბგერობრივად გასაანალიზებელი ლექსემები უკვე განხილული მაგალითებისგან მცირედ განსხვავდებიან; კერძოდ, ისინი გრძელ ხმოვანს (*ā*) შეიცავენ. ვინაიდან ქართველურ ენებში (სვანურის ბალს-ზემოური და ლაშხური დიალექტების გარდა) ხმოვნის სიგრძე-სიმოკლე ფონოლოგიურად არარელევანტურია, ციტირებული ეგვიპტური სიტყვების იმავე არქექტიპიდან („მათი“) წარმომავლობას არავითარი წინააღმდეგობა არ ხვდება. სემანტიკური თვალსაზრისითაც, ექვსივე ეგვიპტური ლექსემა (*Maāti*<sub>1-6</sub>) თავისუფლად შედის სინტაგმატურ ურთიერთობებში თავიანთ ქართველურ არქექტიპთან, რის შედეგადაც ყოველი მათგანი ქართველი ხალხისადმი კუთვნილების მნიშვნელობით მდიდრდება. ასე მაგალითად, *Maāti*<sub>1</sub> იძენს მნიშვნელობას ქართველთა მონაწილეობის შესახებ უკანასკნელ განკითხვაში, რაც „ქებას“ უკვე ნახსენებ სტროფებს იმეორებს;

Maāti, რომელიც ნილოსის ღმერთისა და წყალდიდობის სახელია, ორივეს – ღმერთსაც და მისი წყალობით მოცემულ წყალუხვობასაც მათ, ანუ ქართველთა კუთვნილებად აცხადებს. იგივე ითქმის ადგილის სახელწოდებებზე, რომელთა მიხედვით, ქვესკნელის პირველი მინდორი (შდრ.: ქართული ენისა და ქართველი ერის ქვესკნელის ურჩხულთან გაიგივებას), საიდანაც Maāti-ქალღვთაებები ზეციურ საქმეებს განაგებენ და ადამიანთა სულებს განიკითხავენ და სადაც გარდაცვლილნი ცეცხლის ალსა (ცოდნასა) და სკიპტრას მიწაში ფლავენ – ყველა, ქართველთა საკუთრებად არის გაცხადებული ეგვიპტური მნიშვნელობების მიერ.

ცალკე უნდა აღინიშნოს Maāti-ის ჯგუფის რამდენიმე ერთეულის ფონეტიკური და სემანტიკური იდენტურობა māti-ის ჯგუფთან. ესენია, იგივე ბგერითი შედგენილობის ზედსართავი სახელი maāti მნიშვნელობით ნარმართი (იქვე, 271) და არსებითი სახელი სიმართლის მთქმელი პიროვნება, მართალი კაცი (იქვე, 271). წინა შემთხვევების მსგავსად, არქეტიპული მნიშვნელობა და აღწერილი თვისებების სინტაგმატური ერთობა, ამ უკანასკნელთ, კვლავ და კვლავ ქართველთა მოდგმას ანიჭებს. აღნიშნული ჯგუფის მნიშვნელობა გაცილებით უფრო ფართოა, ვინაიდან იდენტური სემანტიკის მეშვეობით, ქართველური მესამე პირის მრ. რიცხვის ნაცვალსახელიდან ნარმოებული ეგვიპტური სიტყვების ჯგუფში განსხვავებული დანეროლობის კიდევ რამდენიმე ეგვიპტური სიტყვა შემოჰყავს.

ერთ-ერთი მათგანია სამართლიანობისა და კოსმიური სიმწყობრის ღმერთქალის სახელი Maā-t (Ma'āt; Budge 1978:271). ქალღმერთის შესახებ თითქმის არაფერია ნათქვამი მითებში. იგი ეგვიპტური კანონიერების ანთროპომორფული განსხვავებაა, რომელიც განასახიერებდა „კანონის ცნებას, სიმართლესა და მსოფლიო ორგანიზაციას“... ამავე დროს, „იგი მზეღმერთის საკვებ-სასმელსაც ნარმოადგენდა“ (Lurker 1986:78). ქალღმერთი ხშირად ფიგურირებს განკითხვის დღის სცენებში, სადაც მისი გვირგვინ-ბუმბული გარდაცვლილის უცოდველობას განსაზღვრავს.

ქალღმერთის სახელი („მაატ“) ქართველური მესამე პირის მრ. რიცხვის ნაცვალსახელიდან მომდინარეობს. აღნიშნული ნაცვალსახელის სამი (მოთხრობითი, მიცემითი და ნათესაობითი) ბრუნვა ერთნაირია, რაც არქეტიპად მოქმედი კონკრეტული გრამატიკული ფორმის დადგენას ართულებს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „მაატის“ ადრეული დანეროლობა იყო Maāti (Budge 1971:108), ანუ ქართველური „მათის“ აბსოლუტური ფონეტიკური ანალოგი. სხვაგვარად, ეგვიპტური ქალღმერთის სახელის გრაფიკული ფორმები ქართველურ ნაცვალსახელებს (პირის „მათ“ და კუთვნილებით „მათი“) შორის არსებულ უმცირეს ბგერით განსხვავებასაც კი აფიქსირებენ, რაც, სა-

ბოლოო ანგარიშში, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე რომელიმე კონკრეტული ფორმის არქეტიპული ფუნქციის დადგენა.

Maäti-ის მსგავსად, ეგვიპტურ Maä-t-საც რამდენიმე „ომონიმი“ გააჩნდა. შერწყმული დანერილობის Maät ერქვა ქალღმერთს, რომელიც გარდაცვლილის პირის გახსნის რიტუალს ასრულებდა (Budge 1978:271). ქალღმერთის ფუნქცია და მისი ქართველური წარმომავლობა არაორაზროვნად მიგვანიშნებს ქართველთა მიერ მკვდარი ეგვიპტური ცივილიზაციის ამეტყველების (დეშიფრირების) გასაიდუმლოებულ ფუნქციაზე. დანარჩენი ორი maä-t-ი, რომელთა მნიშვნელობებია „სიმართლე, პატიოსნება, წარმართობა, სამართლიანობა, ჭეშმარიტება, კანონი“ (იქვე, 271) და „ჭეშმარიტი მეგობარი, სამართლიანი მოსამართლე, მართალი კაცი“ და ა.შ. (იქვე, 271) საზოგადო სახელებია, რომლებიც აღნიშნულ თვისებებს კვლავ ქართველთა ბუნებად აცხადებს (შდრ.: maäti-ის ფონო-სემანტიკურ იდენტურობას).

ცოტა რამ უნდა ითქვას ეგვიპტური სიტყვების ორთგრაფიაზეც. ორი მათგანი (Maäti, maäti) შერწყმული დანერილობისაა, დანარჩენი ორი (Maä-t, maä-t) კი – დეფისიანი, რაც, გარეგნულად, თხზული სიტყვების შთაბეჭდილებას ტოვებს (შდრ.: ადრე განხილულ Am-Mit-Ami-ta, Bu-gem-Bugem). ჩატარებული ანალიზი ნებას გვრთავს, ეგვიპტური ლექსემების დანერილობა უგულებელვყოთ და ქართველური მასალის მიხედვით დავაზუსტოთ. ძველი ქართული ენის გრამატიკაში „მათ“ და „მათი“ წარმოდგენილია, როგორც **მა-თ**, სუპლეტურ ძირს პლუს გრამატიკული სუფიქსი: **მა-თ** და **მა-თი**, რის გამოც, ოთხივე Maäti, maäti, Maä-t, და maä-t ერთნაირ სტრუქტურულ მოდელში ჯდება: ma(ä)-ti, ma(ä)-t.

უინტერესო არ იქნება აღინიშნოს, რომ ქართული ნაცვალსახელების სტრუქტურა (**მა-თ**, **მა-თი**) იმავე დაფარულ სემანტიკას გვთავაზობს, რასაც მეგრულ-ჭანური და სვანური „მინ“, ქართული „ვინმე“ და „მენ(ა)“. ასე მაგალითად, ორივე, კუთვნილებითი „მა-თი“ და პირის ნაცვალსახელის მოთხრობითი ბრუნვა „მათ“, შეიცავს ძირს **მა**, რომელიც მეგრულ-ჭანური პირველი პირის მხოლოდითი ნაცვალსახელია (**მა**, **მა-ნ**, ჩიქობავა 1938:223). სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეგვიპტური ქალღმერთის სახელის გრაფიკული ფორმა ქართველური ნაცვალსახელის გრამატიკულ სტრუქტურას ასახავს. მეტიც, „მაატი“ ადრეული დანერილობა იყო Maäti (Budge 1971:108), ანუ ქართველური მათის სრული ანალოგი, რის გამოც სახელის ორივე ვარიანტი „მაატი“ და „მაატი“ ასახავენ ქართველურ ნაცვალსახელებს შორის არსებულ განსხვავებას – **მათი** კუთვნილებითია, ხოლო **მათ** პირის ნაცვალსახელის ირიბი ბრუნვაა.

ნათქვამზე დაყრდნობით, ქართველური მონაცემები საშუალებას გვაძლევს, განვსაზღვროთ ზოგიერთი ეგვიპტური ფრაზის მნიშვნე-

ცხრილი 86  
ქართველური მესამე პირის ნაცვალსახელი და მისი ეგვიპტური დერივტები

ქართველური ეგვიპტური	მათი (საზოგადო)	მათი (საკუთარი)	მათი (საზოგადო)	მათი (საზოგადო)	მათი (საკუთარი)	მათი (საკუთარი)
მსგავსება, იდენტურობა, ასლი, ქანდაკება, სახე, ღვთიური სახე, მისი ღვთაებრივი მეგობრები	maat	Maati ღმერთი	maat ფორმით ან მუ-ნებით მსგავსი, მსგავსება, იგივეობა	maat მსგავსი, მსგავსება, ასლი, იდენტურობა	Maat-t ქალღმერთი, რომელიც განასახიერებდა კანონის ცნებას, სიმართლესა და მსოფლიო ორგანიზაციას	Maat-t ქალღმერთი, რომელიც განასახიერებდა კანონის ცნებას, სიმართლესა და მსოფლიო ორგანიზაციას
ნილოსისა და ზოგადად ჭაობის დასახელება	maat	Maati ორი ქალღმერთი (ისიდა და ნეფთის), რომლებიც განკითხვის აქტში იღებენ მონაწილეობას		maat ქალღმერთი, რომელიც გარდაცვლილის პირის გახსნის რიტუალს ასრულებდა		
ნარმართი	maat	Maati ნილოსის ღმერთისა და წყალდიდობის სახელი		maat ქეშმარიტი მეგობარი, სამართლიანი მოსამართლე, მართალი კაცი		
სიმართლის მოქმელი პირი, როგორც, მართალი კაცი	maat	Maati დუატის (ქესნელის) პირველი მინდვრის სახელწოდება		maat სიმართლე, პატიოსნება, წარმართობა, სამართლიანობა, ქეშმარიტება, კანონი		
		Maati ადგილი, საიდანაც Maati-ქალღმერთები ზეციურ საქმებს გაგზავნიან და ადამიანთა სულს გასწავნიან				

ნელობა. *ნუს პაპირუსის* „უარყოფითი აღსარების“ მე-18 პუნქტში ვკითხულობთ: „სალამი. Neb-Maät, რომელიც Maäti-ს ქალაქიდან მოემართები, მე არ დამიბეზღებია არავინ“ (Budge 1934:299). ეგვიპტური ღვთაების სახელის „ნებ-მაათის“ მსგავსად, ქართველებს გვაქვს ფრაზა – „ნება მათი“. პირველ კომპონენტად გამოყენებულია უკვე გაანალიზებული ლექსემა neb-neba მნიშვნელობით ღმერთი და ქართველური არქეტიპით „ნება“, ხოლო მეორე ელემენტად ფიგურირებს განსახილველი ერთეული Maä-t, რომელიც ქართველური II პირის მრ. რიცხვის კუთვნილებითი ნაცვალსახელიდან („მათი“) მომდინარეობს. არქეტიპული და ეგვიპტური მნიშვნელობების სინტაგმატური განლაგება გვთავაზობს არა ლექსიკური მნიშვნელობების ჯამს, არამედ ინფორმაცია-პასუხს კაცობრიობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კითხვაზე – ვინ შექმნა ეგვიპტური ცივილიზაცია:

ქართველური ნება	ეგვიპტური ღმერთი	ქართველური მათი	ეგვიპტური ღმერთი
--------------------	---------------------	--------------------	---------------------

თუ აღნიშნულ სიტყვებს, როგორც გასაღებს, უმარტივესი პრედიკაციით („ყოფნა“) დავაკავშირებთ, გვექნება: ქართველური ნება არის ეგვიპტური ღმერთი და ეგვიპტელთა ერთ-ერთი მსაჯული ღმერთის (Neb-Maät) არსებობაც „მათი“, ანუ ქართველთა ნების გამოვლენაა. შესაბამისად, ქართველური ფრაზის „ნება მათის“ მნიშვნელობა ეგვიპტური სამართლიანობის, კანონიერებისა და წესრიგის ღმერთის ეტიმონია. ეგვიპტური ღვთაება, რომელიც სამართალს საკუთარი სურვილის მიხედვით ახორციელებს, ქართველური წარმოდგომისაა, როგორც ფონეტიკურად და ლექსიკურად, ისე სინტაგმატურად. ნათქვამის ფონზე, მოყვანილი ციტატა შემდეგნაირად იკითხება: „სალამი. მათო (ქართველთა) ნებავ, რომელიც მათი (ქართველთა) ქალაქიდან მოემართები, მე არ დამიბეზღებია არავინ“.

კუთვნილებითი ნაცვალსახელის ქართველური მნიშვნელობა განსაკუთრებული სიმძაფრით იჩენს თავს შესიტყვებაში Hall of Maäti, ანუ „მაათის დარბაზი“, რომელიც ოსირისის განკითხვის დარბაზია. ეგვიპტური და ქართველური ფრაზების მნიშვნელობათა შერწყმა შემდეგ ინფორმაციას გვაძლევს: მათი+სამართლიანობა, ანუ მათი სამართლის დარბაზი, სადაც „მათის“ ქართველური სემანტიკა ფრიად მნიშვნელოვანი დეტალით ამდიდრებს ეგვიპტურ ფრაზას; კერძოდ, ირკვევა, რომ სამართლიანობა, კანონი და წესრიგი ღვთაებრივი ქართველური სურვილის მიხედვით მათივე სამართლის დარბაზში ხორციელდება (შდრ.: „ქებაჲს“ ინფორმაციას):

გაანალიზებული მასალის ფონეტიკური და სემანტიკური იგივეობა და მათი ქართველური წარმომავლობა, ისევე, როგორც მათ შორის ქართველური არქეტიპის მეშვეობით გამოვლენილი კავშირე-

ბი, ნათლად მიუთითებენ იმ ფაქტზე, რომ ნყოფაში ეგვიპტური ლექსემები ერთი ქართველური წყაროდან მოედინებიან. მეტიც, აშკარაა, რომ ნაცვალსახელი (მათ, მათი) + არსებითი სახელი, ანუ ატრიბუტული სინტაგმის მოდელის მქონე უამრავ შესიტყვებაში, ეგვიპტელებისთვის ფრაზის პირველ კომპონენტს (ნაცვალსახელს) უფრო დიდი ფუნქციური დატვირთვა გააჩნდა, ვიდრე მის ცენტრალურ ელემენტს, რადგანაც არსებითი სახელით გამოხატული ნებისმიერი ადამიანის, ღვთაების, საგნისა თუ ცნების წარმომავლობაზე მიუთითებდა. შესაბამისად, მოხდა ატრიბუტული სინტაგმის გახლეჩა, რომლის სახელითი ელემენტის მნიშვნელობა ეგვიპტურში მსაზღვრელს, ანუ ნაცვალსახელს (ატრიბუტული სინტაგმის პირველი წევრი) მიაწერეს. ამგვარმა დამოკიდებულებამ სახელადი ფრაზების მიმართ ჩამოაყალიბა ომონიმიის წარმომშობი მექანიზმი. მისმა მოქმედებამ ეგვიპტური ენის მთლიანი ლექსიკური სისტემა მოიცვა.

წივ/სენ-ის ლინგვისტური და კულტუროლოგიური ანალიზის ბოლოს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეგვიპტურმა ენამ შემოგვინახა თეოფორული და საზოგადო სახელების გრძელი რიგი, რომლებიც არ წარმოადგენენ სახელებს, ამ სიტყვის ტრადიციული გაგებით. ისინი ქართველური ენების ნაცვალსახელოვან სისტემას ეფუძნებიან, რომლის დეიქტურმა ფუნქციამ საშუალება მისცა ეგვიპტური ცივილიზაციის დამაარებლებს, რომ ნამდვილი სახელების უგულვებელყოფის ხარჯზე, საკუთარი ეთნიკური წარმომავლობის მომავალი გამომჟღავნება უზრუნველყოს. წარმომავლობის გასაიდუმლოებით, ამ უძველესი კულტურის საფუძვლის ჩამყრელებს იოლად შეეძლოთ ეწინასწარმეტყველათ ის შეკითხვები, რომლებსაც მომავალი მეცნიერები ათასწლეულების შემდეგ დასვამდნენ. ქართველური ეტიმოლოგიიდან გამომდინარე, ნაყოფიერების ღმერთი „მინ“ თვით წარმოადგენს შეკითხვასაც და პასუხსაც იმის შესახებ, თუ ვინ იყო ეგვიპტური კულტურის მამოძრავებელი ძალა. მინის მიერ გაცემულ პასუხს ეგვიპტურ საკუთარ სახელებად გამოყენებული ქართველური ნაცვალსახელების მთელი მიკროსისტემა ადასტურებს (ცხრ. 87, გვ. 386).

ეგვიპტური საკუთარი სახელებისა და ქართველური ნაცვალსახელოვანი მასალის წარმოდგენილი შედარებითი ლინგვისტური ანალიზი ფარდას ხდის ფრიად საინტერესო ენობრივ ფენომენს – ნაცვალსახელების განმეორებად სესხებას. ერთი ენის მიერ მეორე ენის ლექსიკური მიკროსისტემიდან სესხების ფაქტს ენათა დიაქრონიულ შტუდიებში ანალოგი არ მოეძებნება. მეტიც, ნასესხები ელემენტების მიერ სესხების წყაროს ენისთვის დამახასიათებელი მოდელების წარმოქმნის ფაქტი ტრადიციული მეცნიერებისთვის ამოუხსნელი და გაუგებარი ფენომენია.



ქართველური ნაცვალსახელების სისტემა ეგვიპტურში

კითხვა:	ეგვიპტური	ქართველური	არქეტიპული მნიშვნელობა
	Min	მინ	ვინ?
პასუხი:	Neb-maat	ნება მათი	ეს მათი ნებაა
	Mena	მენა	მე (I პ., მხ., სახ.)
	Šnw/Sen	შენ, სინ	შენ (II პ., მხ., სახ.)
	Senet	შენად	ვითარებითი ბრ. (II პირი, მხ.)
	Shenyth	შენით	მოქმედებითი ბრ. (II პ., მხ., მოქმ.)
	Amon, Amun, Amen, Aman	ამან	ის, ეს (III პ., მხ., მოთხრ.)
	Amit, Amita	ამით, ამითა	ეს, ის (III პ., მხ., მოქმ.)
	šennu	შენი	შენი (II პ., კუთვნ. მხ., სახ.)
	Chemmu	ჩემი	ჩემი (I პ., კუთვნ. მხ., სახ.)
	Chemmis	ჩემის	ჩემის (I პ., კუთვნ. მხ., ნათ.)
	Chemmo	ჩემო	ჩემო (I პ., კუთვნ. მხ., ნოდ.)
	Maā-t	მათ	მათ (III პ., მრ. მოთხრ.)
	Maāti	მათი	მათი (II პ., კუთვნ. მრ. სახ.)

კიდევ უფრო უჩვეულო და გაუგებარია ის, რომ ეგვიპტური თანხმონური დამწერლობა ფუნქციონირებს არა მხოლოდ როგორც აქამდე დაუკავშირებლად მიჩნეული სიტყვების გამაერთიანებელი და დამაჯგუფებელი მექანიზმი, არამედ როგორც ორივე – სესხების წყაროსა და მსესხებელ ენაში სხვადასხვა დონისა და კატეგორიის ლექსიკური ერთეულების (ნაცვალსახელები, რიცხვითი სახელები) გამაერთიანებელი.

განსხვავებული ბგერითი შედგენილობის, სემანტიკისა და კატეგორიული კლასის (მეტყველების ნაწილები) სიტყვათა გაერთიანება, რომელიც უცხოა ენათმეცნიერებისთვის, ნაცნობია ლინგვისტური კვლევის კაბალისტური მეთოდებისთვის, რომლის ერთ-ერთი ხერხის (Themurah – იგივეობრივობის მეთოდი) მეშვეობით ხდება იდენტური ბგერითი კომპლექსების შესაბამისი ქართველური ლექსიკის მაქსიმალურად ფართო სპექტრით წარმოჩინება. ეგვიპტური იეროგლიფებისა და რიცხვითი სახელების სახელდება (Khetm, Šnw/Sen, šennu, Shenyth, Shenit, Senet, Ma’at, Amon, Mena, Min, Maāti, Maāt და ა. შ.) ქართველური სიტყვების ვრცელ სპექტრს შეესატყვისება: შენ, შენი, სინ, მათ, მათი, ამან, მეტი და ა.შ. გამოაშკარავებული ქართველური ლინგვისტური და კულტუროლოგიური ფაქტები წარმოადგენენ იმ საძირკველს, რომელზეც განსახილველი ეგვიპტური

სიმბოლოები მათი დასახელებების ენობრივ-ეტიმოლოგიურ, გრაფიკულ, მათემატიკურ, გეომეტრიულ, ასტრონომიულ და რელიგიურ ჰარმონიას აშენებენ.

იოკევა, რომ გაბატონებული აზრი ეგვიპტური ენის მიერ პირის ნაცვალსახელთა სესხების შესახებ, რეალური ლინგვისტურ-ისტორიული ფაქტია, რომელშიც მცირე შესწორების შეტანაა საჭირო; კერძოდ, როგორც ჩანს, ეგვიპტელებმა ისინი არა რომელიღაც სემიტური ენიდან, არამედ ქართველურიდან შეისისხლბორცეს. აღნიშნული ნაცვალსახელები სესხების წყაროდან, ე.ი. ქართველურიდან იმპორტირებული, ღმერთების, ფარაონებისა და გარკვეული საგნებისა თუ ცნებების დასახელებათა სანარმოებლად გამოიყენეს. გაანალიზებულ მასალაში, ისინი სამეფო ინსიგნიით, იეროგლიფებითა და რიცხვითი სახელებით, ანუ ქვეყნის კულტურული განვითარებისთვის აუცილებელი ზოგიერთი საგნითა და ცნებით არიან წარმოდგენილნი.

ქართველურ და ფარაონთა ენას შორის არსებული გენეტიკური ურთიერთობანი ისტორიულ და ლინგვისტურ ფაქტებად ყალიბდება, რაც ნათელს ჰფენს ქართველური ცივილიზაციის მიერ ეგვიპტური სამყაროს შექმნაში შეტანილ წვლილს. ქართველური „მინის“ (ვინ?) მიერ დიდი ხნის წინათ დასმულ და უპასუხოდ დარჩენილ შეკითხვას პასუხი მუდამ თან ახლდა<sup>30</sup>. ეგვიპტური სიტყვების შიგნით მომუშავე ქართველური ეტიმოლოგიური კოდი არის მექანიზმი, რომლის საშუალებითაც კითხვა-პასუხისა თუ სიტყვათა ეტიმოლოგიის ერთდროული დაფარვა-გამჟღავნებაა შესაძლებელი; ესაა მექანიზმი, რომელიც ცივილიზაციის სანყისისკენ მიმავალ გზას კიდევ გვირვენებს და კიდევ გვიღობავს კიდევ. იდენტური ლინგვისტური მექანიზმის აღწერა მოცემულია *ენოხის წიგნში*, სადაც ღმერთი ეუბნება ენოხს: „ახლა მიგითითებ საიდუმლოებაზე: მრავალი ცოდვილი გახდება წარმართობის მონინაალმდევე და გატეხს მის სიტყვას. არც ბოროტ სიტყვას დაიშურებენ, ტყუილს იტყვიან, დიდ საქმეებს ჩაიდენენ და შექმნიან წიგნებს *საკუთარი სიტყვებით*; მაგრამ, როდესაც ისინი ჩემს სიტყვებს თავიანთ ენაზე სწორად დანერენ, ვერც შეცვლიან და ვერც დაამცრობენ მათ, არამედ დანერენ ყოველივეს სწორად; ყოველივეს, რაც მე დასაბამიდან მათ შესახებ წარმოვთქვი“ (ენ, civ:7,8,9; ხაზგასმა ჩვენია – ა. მ.).

იოკევა, რომ ღვთაებრივი დამწერლობის სისტემები უმაღლესი ღმერთის სიტყვის ჩასაწერი კოდია, რომელიც მხოლოდ მისი ენის საშუალებით იკითხება. ამიტომაც, რომ ეგვიპტური დამწერლობა,

<sup>30</sup> შეადარე ოსკარ უაილდის გამონათქვამს: „მსოფლიოს ჭეშმარიტი საიდუმლოება ხილულია და არა უხილავი“ („The true mystery of the world is the visible, not the invisible“ Oscar Wilde 1854-1900).

რომელიც აგრეთვე ღვთაებრივი წარმომავლობისაა, კოდური ენით არის ჩანერილი. მიუხედავად იმისა, რომ ეგვიპტოლოგებს პასუხები მთელ რიგ შეკითხვებზე იმთავითვე წინ ედოთ, კოდის გასაღების უქონლობის გამო, წაკითხვა ვერ მოახერხეს. უძველესი გადამწერების გამონათქვამში ყველაფერი ღია და ამავე დროს დახურული ტექსტით გამოთქმული: „ღიაა, რაც ღია უნდა იყოს, დახურულია, რაც დახურული უნდა იყოს“ (Zabkar 1968:135-36, სქ. 64).

შესანიშნავად გვესმის, რომ წარმოდგენილი ფაქტების ასეთი პარმონიული შერწყმა, ენობრივი კონტაქტების, ნათესაური ურთიერთობისა და სესხების ტრადიციული გაგების აბსოლუტური ანტიპოდაა. ქართველური და ეგვიპტური მასალის შედარებითი ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზი მრავალათასწლიანი განშორების შემდეგ შემდგარ პარმონიულ შეხვედრას ემსგავსება. ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ მიღებული შედეგები ჩვენთვის ცნობილი ენობრივი განვითარების ლოგიკას ეწინააღმდეგება და დიაქრონიულ სურათს ამსხვრევს, ანადგურებს; თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ აღწერილი „განადგურება“ მხოლოდ განადგურება არ არის; იგი შენებაცაა, რადგანაც, მის ნაცვლად, პირამიდების გულის გულიდან ქართველურ-ეგვიპტური იგივეობა გრაფიკულ, სემანტიკურ, ფონეტიკურ, რელიგიურ და ასტრონომიულ ჩუქურთმად ჩამოიქნება.

## 16. KHEM-ის ქართველური წარმომავლობა

Ω სიმბოლოს მეორე დასახელების Khetm პირველი ძირისეული თანხმოვანი ველარული ყრუ სპირანტი (ხ) არის წარმოდგენილი („პლაცენტის“ იეროგლიფი). EHD-ში საძიებელი სიტყვა შემდეგნაირად გვხვდება: „khetem – ბეჭედი, რგოლში მოთავსებული ბეჭედი; ღმერთების ბეჭედი“ (Budge 1978:568). თუ სახელს გახმოვანების გარეშე წარმოვადგენთ (khtm) და ქართველურ ენობრივ მასალას შევუდარებთ, აღმოჩნდება, რომ საკვლევი სიტყვა ქართველური „ხატის“ ერთ-ერთ გრამატიკულ ფორმად – ხატმა – აღდგება. თანხმოვანკომპლექსი kh, რომელიც ეგვიპტური ენის ძნელად გამოსათქმელი ბგერის (ყრუ ველარული ფრიკატივი) გამოსახატავად არის შექმნილი (გაიხსენეთ ფინიკიური „აღეფისა“ და ბერძნული „ხალიბების“ ანალიზი), ქართველური ყრუ ველარული სპირანტის (ხ) ტოლია. სხვაგვარად, ეგვიპტური და ქართველური იდენტური ფონემები kh კომპლექსით არის გაშუალებული. ბოლოკიდური თანხმოვანი მ სიტყვის „ხატი“ ერგატიული ბრუნვის (ხატ-მა) მაჩვენებელია, რომლის შემდეგაც აღდგება ხმოვანი ა. ქართული მნიშვნელობა – მსგავსი, სახე (საბა 1993:418) ხსნის მზიური წარმოშობის ფარაონების მიერ საკუთარი სახელის ღვთა-

ებრივ ბეჭედში მოთავსების ფაქტს – მზის შვილს მხოლოდ მზის ბეჭედი შეეფერება. ირკვევა, რომ ეგვიპტური Khtm (khetm/khetem) არის ქართველური „ხატ-მას“ კონსონანტური ფორმა, ანუ უფრო ზუსტად, ნერის გასაიდუმლოებული, კოდური სისტემით ჩანერილი სიტყვა.

დამატებითი ენობრივი მტკიცებულების ძიებას ქართველურ-ეგვიპტური ურთიერთობების უფრო ღრმა შრეებზე განლაგებული იგივეობების აღმოჩენამდე მივყავართ. მაგალითად, ქართველურში სიტყვა „ხატი“ ზოგადი ლექსიკური ერთეულიცაა და ონომასტიკურიც. ძირს „ხატ“ ვხვდებით სიტყვებში „ხატ-ვა“, „ნა-ხატი“, „ხატი“, და ა. შ. რაც შეეხება საკუთარ სახელებს, „ხატი“ მთელი რიგი ანთროპონიმების წარმოებაში იღებს მონაწილეობას: „ხატია“, „ხატ-უნა (> ხათ-უნა)“, „ხატ-ია-შვილ-ი“ და ა.შ.

იგივეს ვხვდებით ეგვიპტურ ენაშიც, სადაც ცხოველის მუცლით ან ჯიქნის იეროგლიფით (რბილი ხ) გადმოცემული იდენტური ფონეტიკური შედგენილობა ადამიანის აღმნიშვნელი სიტყვაა. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ სიტყვა khat-ს, რომლის მნიშვნელობაა ადამიანის სხეული, მატერიალური სხეული (body) (Budge 1966:214): „ტექსტები გვატყობინებენ, რომ ადამიანს ამ ქვეყნად დაბადებისას გააჩნდა 'ხატ', ანუ მატერიალური სხეული“ (Budge 1914:225).<sup>31</sup> ანალოგიური სიტყვა kha-t აღნიშნავს სხეულის ნაწილს ანუ ბავშვებს (Budge 1978:570), კიდევ ერთი kha-t მიუთითებს ადამიანთა პირველ თაობაზე, ხოლო შემდეგი kha-t ხალხისა და კაცობრიობის აღმნიშვნელია (იქვე). უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილ მნიშვნელობებს კაცობრიობის გაჩენის ბიბლიურ ვერსიასთან მივყავართ: „თქვა ღმერთმა: გავაჩინოთ კაცი ჩვენს ხატად, ჩვენს მსგავსებად“ (დაბ. 1:26; ხაზგასმა ჩენია – ა. მ.). ნათელია, რომ ეგვიპტური khat (მისი ქართველური ეტიმოლოგიით) და ბიბლიური ტექსტი გადმოსცემენ ერთ ინფორმაციას ადამიანის ღვთაებრივი სახით, ანუ ხატად (khat/khati) გაჩენის შესახებ. სხვაგვარად, ეგვიპტელები სიტყვას khat („ხატ“) იმავე მნიშვნელობით იყენებდნენ, როგორც ჩვენ, ქართველები.

შემდეგი ქართველურ-ეგვიპტური მსგავსება რელიგიურ ტერმინოლოგიაში ძვეს. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში „ხატი“ სალოცავ შენობას აღნიშნავს; მაგალითად, კოპალას ხატი, ლაშარის ჯვრის ხატი და ა.შ. სალოცავის მსახურთ „ხატიონი“ ეწოდება. ყოველ ხატს ჰყავს თავისი ღვთაება, რომელსაც „ღვთისშვილი“ ეწოდება. მრევლის წევრები აღინიშნებიან ფრაზით „ხატის ყმა“. ხატის ინსტიტუტს უძველეს წარმართულ ხანაში აქვს ფესვები გადგმული და, მიუხედავად იმისა, რომ „ღვთისშვილთა“ თაყვანისცემა „გაქრისტიანებულია“, მას ჯერ კიდევ შემორჩენილი აქვს თავისი ძველი თვი-

<sup>31</sup> „The texts state that when a man was born in the world he possessed a khat, or material body“ (Budge 1966: 225).

სებები. ხალხი კვლავ მკაცრად იცავს და ასრულებს ყველა იმ მოვალეობასა და დავალებას, რასაც მათ ხატის წევრობა ავალებს.

ვფიქრობთ, ძნელი არ არის ქართველური „ლჯ“თისშვილის“, ანუ „ხატის ყმის“ („ხატის შვილის“) ეგვიპტურ „ხატისშვილებთან“ ან „ხალხთან გაიგივება“, რასაც მხარს უმაგრებს კიდევ ერთი ეგვიპტური kha-t-ის მნიშვნელობაც „სახლი, ტაძარი, ტაძრის ტანი“ (იქვე, 570). ამ უკანასკნელიდან უნდა განვითარებულიყო მნიშვნელობა „ვარსკვლავთა სახლიც“ (იქვე 570), რომელსაც უკავშირდება არა მხოლოდ ზევით განხილული ერთ-ერთი kha-t-ის მნიშვნელობა („ზეცის მშუცელი“, „ვარსკვლავებით მოჭედილი ზეცის ნაწილი“), არამედ, აგრეთვე, ოდნავ განსხვავებული khata, მნიშვნელობით „ზეცის ორივე განაყოფი ნაწილი“ (იქვე, 534).

ქართველური „ხატის“ იდენტური დასახელება Khati, „ბოროტი ადამიანების მოწინააღმდეგე ღმერთის“ სახელიცაა (Budge 1978:534).

განსხვავებული დანერჩილობით, ქართველური ძირი ხატ მოიძიება, აგრეთვე, განსაკუთრებული ნელსაცხებლის სახელწოდებაში hāti, სადაც ძირისეული პირველი თანხმოვანი, ყრუ გლოტალური ფრიკატივი (ხ) „ჩაკეტილი სივრცის“ იეროგლიფით არის გადმოცემული. მაღამოს მიცვალებული ქვესკნელში მოგზაურობისას იყენებდა. ერთ შემთხვევაში მაინც, ელისეს მინდვრების კარიბჭეში გასვლისას, გარდაცვლილს ღვთის პირველი კარიბჭისთვის უნდა მოეხსენებინა: „მე ვიცხე კედარისგან დამზადებული ნელსაცხებელი hāti...“ (Budge 1971:167). ქვესკნელის ეგვიპტურ გაგებაში ყოველი გარდაცვლილი ხდებოდა ოსირისი, ანუ იღებდა ოსირისის სახეს. სიტყვის ქართველური მნიშვნელობა „ხატი“ შუქს ჰფენს ნელსაცხებლის დაფარული ნომინაციის პრინციპს. კერძოდ, იმას, რომ მაღამო hāti გარდაცვლილს აძლევდა უნარს, საკუთარი სახე ოსირისის ხატად შეეცვალა.

ეგვიპტური ენა გვთავაზობს დიდ მასალას გასაანალიზებელი სიტყვის ქართველური წარმომავლობის სასარგებლოდ. მაგალითად, მეცხრე-მეათე დინასტიების (ძველი სამეფო) ჰენსუს (Hensu, ბერძ. Herakliopolis) ერთ-ერთი მეფის სახელი გახლდათ Xati ქართული „ხატი“ ასო-ასო და ბგერა-ბგერა გახლავთ ფიქსირებული ამ უძველესი ფარაონის სახელში, ფარაონისა, რომლის სათავეში მოსვლის შემდეგ ეგვიპტეში მშვიდობა დამყარდა (Budge 1914:50).

მოვიყვანოთ კიდევ ერთი მაგალითი ეგვიპტურში „ხატ“ სიტყვის არათუ არსებობის, არამედ მისი დიდი მნიშვნელობისა და ფართო გამოყენებისაც. იდენტური სახელი Xati (ან Tefaba) სიუტის<sup>32</sup> მეფეებისთვის ე.წ. სატახტო (სამეფო) სახელს წარმოადგენდა. ამიტომ, ქართველური სიტყვა ხატი ეგვიპტური სამეფო ტიტულია! არც

<sup>32</sup> Siut — კაიროდან სამხრეთით 250 მილის დაშორებით მდებარეობს.

მეტი, არც ნაკლები! ამიტომაც გვხვდება ქართველური ხატი სხვადასხვა დინასტიების ფარაონთა სახელებში: დინასტია III, Neter khat; დინასტია IX-X, Khati I, Khati II, Khati III (Budge 1978:918-921).

ქართველური ხატი კიდევ ერთი იეროგლიფის („დაგრეხილი თოკი“) საშუალებით გადმოიცემა, რომლის ფონეტიკური ღირებულება ყრუ ფარინგალური ფრიკატივია, ანუ იგივეა, რაც ქართველური ბგერა ჳ/ხ (ცხრ. 51, გვ. 209). მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი:

1. Ĥati – ისიდას თვალის ცრემლი, რომელიც ნილოსში ჩავარდა და წყალდიდობა გამოიწვია (Budge 1978:459);
2. Ĥa-t – ღმერთი (იქვე, 460);
3. ĥa-ti ā – პირველშობილი ან პირველქმნილი საგანი (იქვე);
4. ĥatt ā – ხელმძღვანელი ქალი, პრინცესა (იქვე);
5. ĥatu – ცხოველის მკერდი (იქვე, 461);
6. ĥa-ti – ის, რაც წინ არის, საუკეთესო, ყველაზე დახვეწილი, უწინარესი (იქვე).

მოყვანილ მაგალითებში, ქართველური „ხატის“ ამოკითხვა დეფისიან თუ უდეფისო ვარიანტებში ძლიერ მარტივია. ეგვიპტელთა ეს ხერხი უკვე იყო განხილული ქართველური ნაცვალსახელებიდან მომდინარე ღვთაებათა სახელებში (Ām-Mit-Ami-t, maāti-maā-t, Khati-kha-t და სხვ.). ჳ-ხ ბგერათა მონაცვლეობაა უცხო არაა ქართველურ დიალექტებში (ქართ. „ჭარი“ – მეგრ. „ხოჯი“) და არც განხილული იეროგლიფებით („ცხოველის მუცელი ან ჯიქანი“, „პლაცენტა“) გადმოცემული ერთეულები არიან სემანტიკურად დაშორებული ქართველური „ხატის“ მნიშვნელობებისგან. ამ მხრივ, განსაკუთრებით საყურადღებოა „ხატის“ მე-2, 3, 4 და მე-6 ლექსემები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდებიან სიტყვებს kha-t მნიშვნელობით: „ღმერთის ხატად შექმნილი კაცობრიობა“, Khati – „ბოროტი ადამიანების მონინალმდევე ღმერთი“, ĥāti – „ოსირისის სახის მისაღებად საჭირო მალამო“ და სხვა. ყოველივე ეს იძლევა მყარ საფუძველს, ვამტკიცოთ განხილულ მაგალითებში სამი იეროგლიფით – „ცხოველის მუცელი ან ჯიქანი“, „პლაცენტა“, „დაგრეხილი თოკი“ – გადმოცემული ლექსემების როგორც იგივეობა, ისე მათი ქართველური წარმომავლობაც.

ქართველური „ხატის“ განსხვავებული ეგვიპტური იეროგლიფებით გადმოცემის ანალიზი არ იქნება სრულყოფილი, თუ კვლევის სფეროში არ შემოვიტანთ კიდევ ერთ იეროგლიფს – „ჩაკეტილ სივრცეს“ და სიტყვას ĥatu, მნიშვნელობით თავის ნაწილი (?; Budge 1978:443). როგორც ვხედავთ, ავტორს ეეჭვება მისი ეს („თავის ნაწილი“) მნიშვნელობა, მაშინ, როდესაც ქართველური „ხატის“ სემანტიკა არა თუ ადასტურებს აღნიშნულ საეჭვო მნიშვნელობას, არამედ აკონკრეტებს კიდევ მას, როგორც სახე. ამრიგად, ზემოთ ჩამოყა-

ლიბებულ დასკვნას, ერთი ქართველური არქეტიპის („ხატი“) სამი იეროგლიფით გადმოცემის შესახებ, უნდა დავუმატოთ მეოთხეც, კერძოდ, „ჩაკეტილი სივრცის“ ნიშანი.

ქართველურ ენობრივ პრიზმაში განხილული ეგვიპტური ენობრივი მასალა ააშკარავებს თვით ეგვიპტური ენის შიგნით არსებულ ფონეტიკურ და სემანტიკურ ურთიერთობებს. ეს ლინგვისტური პროცესები ეფუძნებიან ერთადერთ პრინციპს, კერძოდ, სპეციფიკური ქართველური თანხმოვნების (ამ შემთხვევაში ყრუ ველარული სპირანტი ხ და ფარინგალური ფრიკატივი ჳ) განსხვავებულ ორთოგრაფიულ ჩანერას, რაც ქართველურ-ეგვიპტური ენების გენეტიკური ურთიერთობების კოდირების ერთ-ერთი კონკრეტული ხერხია.

## 17. ტუტანხამონის ლინგვისტური და კულტუროლოგიური ანალიზი

სახელი „ხატი“ ფიგურირებს ფარაონ ტუტანხამონის სახელშიც. ეს ფარაონი ცნობილია არა თავისი ღვანლის, არამედ იმ განძის გამო, რომელიც მძარცველებს გადაურჩა და მის აკლდამაში ხელშეუხებლად აღმოაჩინეს. რეფორმატორი ფარაონის ახენატონის (ამენჰეტეპ IV=„ატონი კმაყოფილი“) სიძე (ან ვაჟი) ტახტზე ავიდა როგორც Tutankhat-on, (ტუტან-ხატ-ონ; Mackenzie 1913:xvi). ფარაონის ეს სახელი ზღვა ინფორმაციას გვანდის, თუკი მას ქართველური ენებისა და კულტურის კუთხით შევისწავლით. გავიხსენოთ, რომ ეგვიპტელთა დამწერლობის ღმერთი სათავეს იღებს ქართველური სიტყვიდან „თუთა, თუთუე, თუთე“, რომელიც „მთვარეს, თვეს“ ნიშნავს. ქართულ ასომთავრულ ანბანში მთვარის ღმერთი არის ანი. ჩვენებური სიტყვების „თუთისა“ და „ანის“ გაერთიანება თუთ+ან წარმოქმნის შედგენილი სახელის (Tutankhat-on) პირველ კომპონენტს Tutan. აღნიშნული სახელები – თუთ+ან/Tutan – მხოლოდ ერთი ბგერით განსხვავდებიან; ქართველური ყრუ, დენტალური ხშული თ შეცვლილია გლოტალიზებული კბილისმიერი თანხმოვნით ტ; ეს არის ბგერათმომართება, რომელიც უფრო ადასტურებს, ვიდრე უარყოფს მათ იგივობას. უფრო მეტიც, სავსებით შესაძლებელია, რომ ეგვიპტური ტ ქართული თ-ს ბგერწერაა, მოვლენა, რომელიც ხშირად გვხვდება თანამედროვე ინდოევროპულ ენებში იბერიულ-კავკასიური ფშვინვიერი ბგერების მკვეთრებით გადმოცემისას (მდრ.: ჰ-ფ, კ-ქ, ნ-ც, ჭ-ჩ), რაც ზევით უკვე იყო გაანალიზებული „ამითთან“ დაკავშირებით. სტრუქტურული კუთხითაც, ორივე სახელი ერთსა და იმავე ფორმულაზეა აგებული: ქართველური: თუთ+ან და ეგვიპტური Tut+an.

სემანტიკურად, ქართველური „თუთან“ და ეგვიპტური „ტუტან“ იდენტურია. „თუთ+ანის“ პირველი შემადგენელი კომპონენტი, როგორც ეს არაერთხელ იყო უკვე მითითებული, აღნიშნავს „მთვარეს“ და „თვეს“, მაშინ, როდესაც მეორე კომპონენტი „ანი“ ქართული ასომთავრული ანბანის პირველი ასო, მთვარის კალენდრის პირველი დღე და თვით მთვარის ღმერთია (წინარე „ცის ღმერთი“).

ეგვიპტურ სახელში Tután პირველი ელემენტი Tut ფონეტიკურად ოდნავ სახეცვლილი „თოთია“ (Thoth), დამწერლობის ღმერთის სახელი; Tután-ის მეორე კომპონენტი კი სრულიად მსგავსია შესაბამისი ქართველური წევრისა „ან“. მიუხედავად ამისა, ეგვიპტური „ანის“ ეზოთერულ მნიშვნელობაში ჩასანვდომად და აგრეთვე იმისთვის, რომ მის წარმომავლობაში დაერწმუნდეთ ქართული ასომთავრული „ანიდან“, საჭიროა სახელის სიღრმისეული ანალიზის ჩატარება მისივე საკუთარ, ანუ ეგვიპტურ გარემოცვაში. ამაში დიდად დაგვეხმარება ცნობილი ეგვიპტური ანის *ჰაპირუსის* დასახელება.

## 18. ანის ლინგვისტური და კულტუროლოგიური ანალიზი

მეცნიერთა თანხმობის საფუძველზე, *ანის ჰაპირუსი* დანერილი იყო ვინმე ანისთვის, რომელსაც სასახლის მწერლისა და ხარჯთაღმრიცხველის თანამდებობა ეკავა. *ჰაპირუსის* დანერის დროდ მე-17 დინასტიის მეფობა ითვლება (ძვ. წ. 1500-1400 წწ). მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დასკვნები *ჰაპირუსის* ყოველმხრივი ანალიზის შედეგად არის გამოტანილი, არსებობს ფაქტები, რომლებიც განსხვავებულ აზრს გვთავაზობენ. უპირველეს ყოვლისა, *ანის ჰაპირუსი დაუთარილებელია*, რისი მიზეზებიც შეიძლება სამუდამოდ შეუცნობელი დარჩეს, თუმცა *ჰაპირუსის* გარკვეული თვისებები, ანუ, უფრო ზუსტად, მასში განხილული ფილოსოფიური სისტემა, მისი ზუსტი თარიღის მნიშვნელობას აქარწყლებს. გავიხსენოთ, რომ მიუხედავად *მკედართა ნიგნის* ოთხი გამოცემისა,<sup>33</sup> დაწყებული V დინასტიით და დამთავრებული პტოლომეუსის ხანით (ძვ. წ. 30 წ.), ტექსტი პრაქტიკულად უცვლელია და მოიცავს ეგვიპტელთა შეხედულებებს სიკვდილის შემდგომ არსებულ სიცოცხლეზე. სხვაგვარად, მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაციის მიღების ჩვენი სურვილი რომ არა, შინაარსობრივად, *ანის ჰაპირუსი* ეგვიპტის ძველი სამეფოდან ქრისტეს შობამდე განვლილი პერიოდის ნებისმიერი დროითი მონაკვეთის კუთვნილებაა. შესაბამისად, ფილოსოფიურ-რელიგიური თვალსაზრისით, *მკედართა ნიგნი* რამდენიმე ათასწლოვან პერიოდში ნებისმიერი თარიღით შეიძ-

<sup>33</sup> *მკედართა ნიგნის* ოთხი გამოცემა არსებობს: პელიოპოლური (ანუ), თებეს, XX დინასტიისა და საიტის ვარიანტები.



ლება დათარიღდეს, რის გამოც ანის პაპირუსი, ისევე, როგორც მკედართა ნიგინი ზოგადად, მეტადროული (ზედროული) ნაშრომია.

მეორე ფაქტი, რომელიც მხარს უჭერს ანის პაპირუსის ჩვენეულ (მეტადროულ) „დათარიღებას“, ანის ბიოგრაფიის არარსებობაა. ერთადერთი ცნობა, რომელიც პაპირუსიდან დასკვნის სახით შეიძლება გაკეთდეს, ანის თანამდებობას შეეხება. ანი ეკლესიის მაღალი რანგის დიდებული უნდა ყოფილიყო, ვინაიდან მწერლის კარიერაში მას ყველაზე მაღალი თანამდებობა ეკავა. ანი „ჩრდილოეთისა და სამხრეთის ღმერთის“ რჩეული, „აბიდოს ღმერთების ბელის გამგებელი, თებეს ღვთაებებისადმი საკრალური შეწირულობების აღმწერი“.<sup>34</sup> ანის ტიტულატურა იმ მეფის სახელსაც კი არ შეიცავს, ვისაც იგი ემსახურებოდა. უფრო მეტიც, პაპირუსის მთელი რიგი ნაწყვეტები ანისთვის არ იყო განკუთვნილი და მისი სახელი მოგვიანო ჩანართია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის მწირი ცნობები, რომლებსაც პაპირუსი გვანვდის, ანის ისეთივე განზოგადებული სახით წარმოგვიდგენს, როგორი სახითაც პაპირუსის თარიღია წარმოდგენილი.

შემოთავაზებული აზრი შემდგომ მტკიცებულებას ანის მეუღლის სახელში Tutu ნახულობს. Tutu („თუთუ“), იგივე „თოთი“ და ქართველური „თუთა, თუე, თუთე“ („თვე, მთვარე“) დამწერლობის ღმერთის სახელია. ანუსა და თუთუს ცოლქმრულ ურთიერთობას ანალიზის სფეროში ქართული ასომთავრული ანბანი, ასო-ნიშნები და მათი ეზოთერული მნიშვნელობა შემოჰყავს. ქართული ასომთავრული „ანი“, რომელიც წარმოადგენს ანბანის პირველ ასოს, თავის თავში მოიცავს ეგვიპტური „ანისა“ და „თუთუს“ წყვილს. უფრო მეტიც, ასომთავრული „ანის“ ანბანური ბუნება არა მხოლოდ ემთხვევა მწერალი ანის პროფესიას, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, შესანიშნავად ესადაგება ანის უმაღლეს სადამწერლობო ტიტულ-თანაფუნქციას – ემსახუროს ღმერთებს და აღნუსხოს მათადმი სამსახური. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ანი და მისი მეუღლე რეალური პიროვნებები იყვნენ, მათი სახელები ააშკარავებს ისეთ ერთიანობას, რომელიც ასომთავრული „ანის“ რთულ სიმბოლიზმსა და ქართველურ ენობრივ მონაცემებს ემყარება.

წარმოდგენილი ანალიზისა და მისი დასკვნების ღირებულება სხვა ფაქტებითაც დასტურდება. ჩვენ ვთხოვთ მკითხველს, გაიხსენოს ანალიზი „ნებსენისა“ (ნებსენის პაპირუსი), რომლის ეტიმოლოგია ქართველური ფრაზაა – „(იყოს) ნება შენი!“ და არა სახელი, მისი დღევანდელი გაგებით.

ახლა ერთმანეთს შევადართო კომპონენტი „ტუტან“ („თუთ-ან“) სახელში Tutan-khat-on და ანი-თუთუ-ს წყვილი. ერთადერთი სხვაობა

<sup>34</sup> [www.sacred-texts.com/egy/ebod/ebod12.html](http://www.sacred-texts.com/egy/ebod/ebod12.html)

სახელის იდენტური კომპონენტების განსხვავებულ განლაგებაშია (Tut-an=an(i)-Tut(u)). ამიტომ, ფარაონ ტუტან-ხატ-ონის სახელი შედგება სამი ქართველური ძირისგან: თუთ+ან+ხატ. პირველი სიტყვა ნიშნავს „თვესა“ და „მთვარეს“, მეორე კომპონენტი სამ ცნებას მოიცავს: „მთვარის ღმერთს“, „თვესა“ და „სანერ ასო-ნიშანს“, ხოლო მესამე კომპონენტია „ხატი“, ანუ „სახე“. ყველა სიტყვის ეტიმოლოგიური მნიშვნელობის გაერთიანებით ფარაონ Tutan-khat-ონის სახელი იშიფრება, როგორც „მთვარის ღმერთი, დამწერლობის ღმერთი და სამყაროს კოსმიური ცოდნის ხატი“.

მეცნიერთა აზრით, ფარაონთა სახელებში, სიტყვის – „ხატი“, ფართო გამოყენება მომდინარეობს „ნეოლითის ხანის პრეისტორიული ბელადების რწმენა-ტრადიციებიდან“ (Clark 1991:30). ფარაონებს სწამდათ, რომ ისინი დედამიწაზე ღმერთების განსხეულებას წარმოადგენდნენ და ღვთაებრივი ჩარევით მოვლენილი ღმერთების შვილები იყვნენ. ამიტომ, მზიურ წარმომავლობაზე დაყრდნობით, ფარაონები თავიანთ თავს მზის ხატად აცხადებდნენ. გამოდის, რომ ქართველური ხატი არის არა მარტო ეგვიპტელი ფარაონების სამეფო ტიტული, არამედ მათი სტატუსისა და მდგომარეობის საყრდენიც.

## 19. ნილოსის ღმერთის ლინგვისტური და კულტუროლოგიური ანალიზი

ქართველური „ხატი“ ფიგურირებს ტოპონიმში Hāthāpi. ქალაქი აშენებული იყო ნილოსის ღმერთის Hāpi-ს პატივსაცემად (Maspero 1922:38).<sup>35</sup> ტოპონიმი წარმოადგენს ორი ძირისგან შემდგარ რთულ სიტყვას Hāt+hāpi. პირველი კომპონენტი ნაცნობი ქართველური სიტყვაა „ხატი“, მეორე კი ანალოგიური თანხმოვნით (ველარული ყრუ ფრიკატივი) გაფორმებული ქართველური ლექსემა „ხაპი“. Hāthāpi თხზული საკუთარი სახელია, რომლის სემანტიკა კომპონენტების მნიშვნელობების ჯამია: ხატი+ხაპი, ანუ ნილოსის ღმერთის ხატი.

წარწერები „ხაპს“ უწოდებენ „ღმერთების მამას, საჭმელ-სასმელის პატრონს, რომელსაც მოჰყავს მოსავალი, ბოლოს უღებს გასაჭირს და ბელღებს პირთამდე ავსებს“ (იქვე, 37). „ღმერთის ან მისი სახელის წარმომავლობა არცერთხელ არ გაუშუღავნებიათ“ (იქვე, 40, სქ. 2; ხაზგასმა ჩვენია – ა. მ.). მიუხედავად ამისა, როდესაც ნილოსის მეუფის სახელი ქართველურ პერსპექტივაში განიხილება, ერთ-ერთ ყველაზე ხანდაზმულ ეგვიპტურ გამოცანას პასუხი ეძებ-

<sup>35</sup> ტოპონიმთა დასახელებები წარმოდგენილია უ. ბაჯის EHD მიხედვით. მასპეროს მიხედვით: Hāthāpi და Hāpi.

ნება. ქართველურ ენებში გვაქვს სიტყვა „ხაპი“, რომელიც ბგერითი კუთხით ნილოსის ღმერთის სახელის იდენტურია. სხვადასხვა აფიქსებთან შერწყმის შედეგად „ხაპი“ შემდეგ სახეს იღებს:

„ა-მო-ხაპ-ავ-ს – (თურმ. ამოუხაპავს; ანშ. ხაპავს) გრდმ. მთლიანად ამოღვრის, ამოიღებს (სითხეს). ...ამოიხაპება, ამოხაპავა, ამოხაპული“ (ქეგლ 1990:64).<sup>36</sup> უნდა აღინიშნოს, რომ „ხაპ“ ძირის შემცველი ზმნები, როგორც წესი, წყლის დიდ რაოდენობაზე მიუთითებენ. სხვაგვარად, ნილოსის ღმერთის სემანტიკა „წყლის სიუხვეს“ გვიჩვენებს და ამიტომ „ამოხაპავა დიდი რაოდენობით“ ის ეტიმოლოგიაა, რომელიც ეგვიპტელთა ღმერთის ოსირის ჰჰაპი-ს ბუნებასა და ფუნქციას ხსნის. დავასკვნით, ეგვიპტური ნილოსის ღმერთის სახელი არის ხატი, სახე წყალუხვი მდინარისა, რომელზეც წლის მოსავალი იყო დამოკიდებული.

ეგვიპტურმა ენამ შემოგვინახა ოსირის გამოააშკარავებული ქართველური მნიშვნელობაც. მკვდართა ნივთის ოსირისის ტექსტებში ბას ცნების განხილვისა და გარდაცვლილის ბაზე დამოკიდებულების საილუსტრაციოდ ლ. ვ. ჟაბკარი (L. V. Žabkar) ახსენებს 61-ე თავს, რომელშიც ვკითხულობთ: „მე ჭეშმარიტად ის ვარ, ვინც გებისგან მოდის, ვისაც მიეცა სიმრავლე, რათა იქ „ხაპის“ მსგავსად მოიპოვოს ძალაუფლება მასზე“ (ხაზგასმა ჩვენია – ა. მ.). სქოლიო ოსირის ჰჰაპი-ზე გვატყობინებს გამონათქვამის ვარიანტს: „მოიპოვოს ძალაუფლება მდინარეზე.“ ავტორი აგრძელებს: „არავითარი კავშირი არ ჩანს ამ თავის სათაურსა და ტექსტს შორის. არ არის არცერთი მინიშნება იმაზე, რომ ბა გარდაცვლილს უნდა მოაცილონ. ამას კარგად გრძნობდნენ თვით გადამწერნიც, რომლებმაც მე-60, 61-ე და 62-ე თავები ერთ თავში გააერთიანეს სახელწოდებით „წარმოსათქმელი დასალევი წყლისთვის მკვდართა საუფლოში“. გაერთიანებულ ტექსტს ერთვის ვინეტი (ნახატი), რომლის კომპოზიციაში მიცვალებული ნაკადულიდან მუჭით ხაპავს მოჩუხჩუხე წყალს (Naville, Tottenbuch I, Pl. LXXII P. b.; Žabkar 1968:133; ხაზგასმა ჩვენია – ა. მ.). მდინარის აღმნიშვნელი ლექსემა ოსირი და ნილოსის ღმერთის სახელწოდება (ოსირი) რომ ერთი და იგივე ქართველური „ხაპია“, ბგერითი ასპექტის გარდა დასტურდება მათი იდენტური წყალუხვობის სემანტიკითაც.<sup>37</sup>

ეგვიპტური ტექსტის ვინეტი და „ხაპის“ ქართველური მნიშვნე-

<sup>36</sup> „ხაპს“ გააჩნია სხვა მნიშვნელობებიც, მაგრამ მათ აქ არ ვეხები (იხ. ლლონტი 1984:739; საბა 1993:416).

<sup>37</sup> სიტყვის ხაპ-ავს ქართველური მნიშვნელობა ფიგურირებს, აგრეთვე, ფინიკიური ასო-ნიშნის სახელში ოსპ („ხელის გული“). ეს უკანასკნელი წარმოადგენს ქართველური არქეტიპიდან მეტონიმური ტრანსპოზიციის შედეგად („ხელი და ხელით შესრულებული მოქმედება“) მიღებულ მნიშვნელობას. ამრიგად, ფინიკიური ოსპ, ქართველური წარმოშობის წყალობით, ნილოსის ღმერთსაც ოსირი უკავშირდება.

ლობა ერთი და იგივეა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ძველმა მხატვარმა ეგვიპტურ კომპოზიციაში ქართველური „ხაპის“ მნიშვნელობა აღბეჭდა. ამრიგად, ჩატარებული ანალიზის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ნილოსის ღვთაების სახელი Hāpi და მდინარის სახელი Hāpi ქართველური ხაპ-ი/ხაპ-ვ-ა-დან არის წარმომდგარი<sup>38</sup>.

## 20. აპისის ლინგვისტური და კულტუროლოგიური ანალიზი

ბულასთან (Buchis) ერთად ეგვიპტელების სათაყვანო ხარი გახლდათ „აპისი“. იგი განასახიერებდა მემფისის შემოქმედ ღმერთს პტაჰ დედამინაზე და ითვლებოდა მის მიერ განაყოფიერებული ფურის შვილად. აპისი აგრეთვე ასოცირდებოდა მზის ღმერთ რასა და ქვესკნელის ღმერთ ოსირისთან. აპისი იყო ნაყოფიერებისა და შეილოსნობის სიმბოლო. ჯარ-აპისს განსაკუთრებულად არჩევდნენ და მიჰყავდათ ტაძარში. იქ მას ისე ეპყრობოდნენ, როგორც ღმერთის წარმომადგენელს დედამინაზე. სიკვდილის დროს ჯარს დიდებულად კრძალავდნენ ე.წ. სერაპიუმში. ჰ. პ. ჟუკი იმეორებს ჯ. გ. ფრეზერის სიტყვებს და ამბობს, რომ იეროგლიფურ ლეგენდებში აპისი იწერება როგორც Hāpi (Hāpi). შესაბამისად, ქართველური „ხაპი“ წარმოდგენილია ველარული ყრუ ფრიკატივით (ხ), რაც საშუალებას აძლევდა ჯარ-აპისის იეროგლიფურად დანერჩილ (ქართველურ) სახელს, ნათელი მოეფინა მისი წყლისმიერი იპოსტასის მნიშვნელობისთვის. ქართველური არქეტიპის მიერ სახელში Hāpi (Apis) შემოტანილი წყლის ასპექტი ეხმიანება ოსირისის ორ იპოსტასს: ღმერთის თერიოფორულ (ზოომორფულ) სახეს და მის იდენტიფიკაციას ნილოსთან. შედეგად, აპისისა და ოსირისის რთული სახე ეყრდნობა იდენტურ ზოომორფულ და წყლის (ჯარ-წყალი) მოდელს, რომელიც მათივე სახელებით (Apis-Hāpi და Asar-Hāpi, ანუ Osiris-Hāpi) არის გამოხატული. ირკვევა, რომ ეგვიპტური ღვთაებრივი ხარის ჯარ-წყლის ფორმულა ეგვიპტური და ქართველური არქეტიპული სემანტიკის ჯამია: ხაპი+ხარი.

ამის შემდეგ არ არის გასაკვირი წყლის აღმნიშვნელი Hāpi-ს აღმოჩენა თვით აპისის საცხოვრებლის სახელწოდებაში He-t Hāp (Budge 1978:1016), ანუ „ხატი“ მნიშვნელობით სახლი/ტაძარი+ხაპი, ანუ Hāp.

არანაკლებ საინტერესოა პტაჰის საკრალური ჯარის აპისის ვარიანტი დანერჩილობით Hāpis, სადაც ქართველური „ხაპი“ ნათესაობით ბრუნვაშია მოცემული: სახელობითი – ხაპი, ნათესაობითი – ხაპის (მდრ.: Hāpis). ქართველური ეტიმოლოგიით გამომჟღავნებული

<sup>38</sup> შეადარეთ რუსულ სიტყვას ханитъ, რომელიც, როგორც წინა ერთეულები, ქართულიდან მომდინარეობს.

წყლის ასოციაციები, რომლებიც ღმერთ „ხაპსა“ და „პტაჰ-ხაპის“ აკავშირებენ, ნათელს ჰფენს წყლის ნიაღვრად, ანუ ღვთაებრივი შობის თავდაპირველ გარემოსადმი მათ კუთვნილებას.

Hāpi-ს ქართველური წარმომავლობის დამადასტურებელი შემდგომი მასალა მომდინარეობს ამენჰოტეპის მამის სახელიდან Hapi, რომელიც ფარაონ ამენჰოტეპ III-ის კარზე არქიტექტორად მსახურობდა. ეს ის არქიტექტორია, რომელმაც აღმართა მეფის ორი კოლოსალური ქანდაკება თებეს დასავლეთით მდებარე ველზე და რომელსაც „ხმიანი მემნონი“ ეწოდებოდა (Mackenzie 1913:323).

Hāpi, Hāpis და Hapi-ის გვერდით არის კიდევ ერთი ეგვიპტური ონომასტიკური ერთეული, რომლის შემადგენლობაშიც შემავალი არქეტიპული ქართული ბგერა თანხმოვანკომპლექსით არის გადმოცემული. მხედველობაში გვაქვს სიტყვა Khāf, რომელიც გიზეს მუზეუმში დაცულ კუბოზეა წარწერილი (Maspero 1922:90): ხაპი > Khāf.

## 21. ჰათორის ლინგვისტური და კულტუროლოგიური ანალიზი

თავისი მნიშვნელობის გათვალისწინებით, ეგვიპტური პანთეონის სხვა ძლიერი ღვთაებებიც იმსახურებენ ჩვენს ყურადღებას. ერთ-ერთი მათგანია ჰათორი, ძველი ფურღვთაება. ქალღმერთის სახელი იყო Ḥt-Ḥt (Budge 1978:455; აგრეთვე Ḥt-Ḥor, Ḥt-Ḥor), რაც შავარდენი-ღმერთის ჰორუსის სახლს ნიშნავდა. საანალიზო ლექსემა შედგენილი იეროგლიფია, რომელიც გამოხატავს სახლის ან ტაძრის გამოსახულებაში მოთავსებულ შავარდენს. ხშირად სახელი იწერებოდა როგორც Ḥt-Ḥt მნიშვნელობით „სახის სახლი“ (House of the Face), რომელიც გაცილებით უფრო ძველი იყო, ვიდრე „ჰორუსის სახლის“ მნიშვნელობა (Budge 1934:228).

თუ ღვთაების სახელის იეროგლიფურ ჩანერასა და მის მნიშვნელობებს ქართველური ენების პრიზმაში განვიხილავთ, შესაძლებელი გახდება, როგორც მისი არქეტიპული დანერილობის, ისე მისი სემანტიკის ზუსტი დადგენა. დავინწყით ჰათორის ძველი მნიშვნელობით „სახის სახლი“, რომელშიც ქართველური ენების ლექსიკა „სახის“ ნაცვლად მის სინონიმურ „ხატს“ გვთავაზობს, ხოლო მეორე ელემენტად – „ყოფნა“ ზმნის მეორე პირის ანმეოს ფორმას – „ხართ“. შესაბამისად, Ḥt-Ḥt-ის არქეტიპი აღდგება არა როგორც მარტივი სიტყვა, არამედ როგორც ქართველური ფრაზა ხატი ხართ. ფრაზული არქეტიპის გამოვლენა, რაც ისტორიული ენათმეცნიერების სფეროში უჩვეულო მოვლენაა, წინამდებარე ნაშრომის ფურცლებზე უკვე არაერთხელ წარმოვადგინეთ. გავისხენოთ თუნდაც „ყოფნა“

ზმნის მეორე პირის მრავლობითი რიცხვის ფორმა, რომელიც ფინიკიური „'ალეფის“ ქართველური არქეტიპების ექვს-ნევრა ზეინფორმაციული ჯგუფის შემადგენელი ერთეულია და წარმოქმნის პრედიკატულ სინტაგმას ხართ 'ალეფ, ანუ ხართ ჯარი. პათორის (Hat-Hert) სახელის მნიშვნელობა ნათქვამით არ ამოიწურება. გავიხსენოთ, რომ ხატის (khat-t) ერთ-ერთი მნიშვნელობაა „სახლი, ტაძარი, ტაძრის ტანი“, რომლის ჩართვით ხდება სამი ლექსემის ერთ მიკროსისტემაში გაერთიანება:

Ḥat	ხატი
khat	სახლი
Hert	ხართ

წარმოქმნილი მიკროსისტემის სემანტიკა მხოლოდ ერთი ხაზით იკითხება: ხართ ხატის სახლი, რითაც ნათელი ეფინება ეგვიპტური Ḥat-Hert-ის „სახის სახლის“, ანუ უფრო ზუსტად, „ხატის საკრალური ადგილსამყოფლის“ უძველეს მნიშვნელობას.

ნათქვამიდან გამომდინარეობს, რომ პათორის სახელის პირველი ელემენტის (Ḥat) დეკოდირებული მნიშვნელობა სრულ შესაბამისობაშია მთელ რიგ უკვე განხილულ ეგვიპტურ სიტყვებთან (Khati, Ḥa-t, Maā-t...) და ამ ჯგუფის (khatm, hāti, Xati, khat, Tutan-khat-on) სრულუფლებიანი ნევრია. პარალელურად, ირკვევა, რომ ე ხმოვნით ჩანაცვლებული უცნობი არქეტიპული ხმოვანი სახელის ორივე ნევრში ა ხმოვნით აღდგება Ḥat-Hert < Ḥat-Hat < ხატი ხართ.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პათორის უძველესი სახელი „სახის სახლი“, რომელიც უსწრებს მის მერმინდელ მნიშვნელობას („ჰორუსის სახლი“), მომდინარეობს ქართველური ფრაზიდან „ხატი ხართ“, რომლის ნეიტრალურმა მნიშვნელობამ, როგორც ამას შემდგომი ანალიზის შედეგად დავინახავთ, საგრძნობლად განსაზღვრა მდებარეობითი სქესის ღვთაებიდან მამრობით ღვთაებაზე გადასვლა (პათორ > ჰორუს).

*მაგრამ როგორ გაჩნდა იეროგლიფის მნიშვნელობაში (ჰორუსის სახლი) მეორე კომპონენტი („სახლი“)?*

ნაშრომის სხვადასხვა მონაკვეთში ნაჩვენები იყო, რომ ქართველური ენობრივი მასალა გვთავაზობს უხვ მასალას ეგვიპტური თეოფორული სახელების სწორი დეკოდირებისთვის. ასევე იქცევა იგი ქალღმერთ პათორის სახელის („ჰორუსის სახლი“) შემთხვევაშიც. საქმე იმაშია, რომ იეროგლიფის „სახის სახლი“, რომელიც სინამდვილეში წარმოადგენს ქართველურ „ხატის სახლს“, „ხატის“ მნიშვნელობა მხოლოდ „სახის“ სემანტიკით არ შემოიფარგლება. „ხატი“ პოლისემანტიური სიტყვაა, რომლის შემადგენლობაშიც შედის „ღვთის სახლის“, „სავანის“ და თვით „ღმერთის“ მნიშვნელობებიც (აღნიშნუ-

ლი მნიშვნელობებით „ხატი“ დღესაც ფართოდ გამოიყენება აღმოსავლეთ საქართველოს მთაში).

ეგვიპტურში არსებობს ქართველური „ხატის“ იდენტური ფონეტიკური შედგენილობის სიტყვა khat (პირველი თანხმოვნის განსხვავებული იეროგლიფური დანერილობით „ცხოველის მუცელი ან ჯიქანი“), რომელიც აღნიშნავს „სახლს ან ტაძარს“. თუ ტოლფას ქართველურ და ეგვიპტურ მნიშვნელობებს სქემის სახით წარმოვადგენთ, მივიღებთ ფრიად საინტერესო ცხრილს (ცხრ. 88), რომელშიც ჰათორის ორივე მნიშვნელობა („სახის სახლი“ + „ჰორუსის სახლი“), ისევე, როგორც მდედრი და მამრი ღვთაებების (ჰათორი, ჰორუსი) ერთობა, ერთი ქართველური არქეტიპით („ხატი“) გადმოიცემა:

### ცხრილი 88

ხატ-ჰათორის სემანტიკური ინტეგრაციის სქემა

Hat-Hert, Hat-Hor, Het-Hor

ქართველური

ხატი, როგორც სახე

ხატი, როგორც ღვთაება

ხატი, როგორც ღვთის სახლი

ეგვიპტური

სახე

ქალღვთაება ჰათორი

ღვთაება ჰორუსი

სახლი, ტაძარი

ნათელია, რომ ეგვიპტურში მოხდა ქართველური პოლისემანტიკური არქეტიპის შემადგენელი მნიშვნელობების დანაწევრებული ენობრივი და გრაფიკული (იეროგლიფური) გამოხატვა, პოლისემანტიკური ლექსემის დამოუკიდებელ ლექსემებად „დაჩეხვა“. წარმოდგენილი ანალიზის დამაჯერებლობას აძლიერებს ის ფაქტიც, რომ იდენტურობის იგივე მოდელი – სახელი=სახლს სხვა ქართველურ ენობრივ მასალაშიც მოიპოვება: „სახლ“-ის ძველის-ძველი ფორმა იყო 'სახელი', რომელიც აირია 'ზახელ'-თან, რაიც იცვალა და ესეც 'სახელი' გახდა (შდრ. სვ. ჟახე 'სახელი', მეგ. ვჯოხო 'მქვია', 'მეძახიან'). პირველი 'სახელი' („дом“) შეიკუმშა და 'სახლი' გახდა, რითაც განსხვავება დამყარდა ამ ორ სიტყვას შორის" (შანიძე 1976:33-34). ცხადია, რომ სამივე ლექსემა (ეგვიპტური ჰათორის პირველი კომპონენტი Hat-Hert, ქართველური „ხატის“ მნიშვნელობანი და ძველი ქართული „სახელი“, „სახლი“) ერთსა და იმავე ფორმულას ემორჩილება; კერძოდ, „სახლისა“ და „სახელის“ ერთობას, რის ფონზეც, ქართველური „სახელისა“ („ზახელ“) და „სახლის“ („სახელი“) შემთხვევითი „არევა“, ცოტა არ იყოს, გამიზნულ ფონეტიკურ პროცესს უფრო ემსგავსება, ვიდრე შემთხვევითი ცვლილებებით გამოწვეულ შედეგს. ასეა თუ ისე, ქართველური მასალა („სახელი-სახლის“ ერთობა და არ-

ქეტიპი „ხატი“) ხსნის და აზუსტებს ეგვიპტური ღმერთის სახელის მნიშვნელობას და ააშკარავებს სახელდების ყალიბს, რომლის მიხედვითაც, ჰათორი, ანუ ჰათორის ხატი თვით არის ღმერთ ჰორუსის სახლიც, საკრალური შენობაც და ღვთაებრივი საეანეც.

*დაეასკენით:* ჰათორის სახელების იეროგლიფური დანერილობა ქართული „ხატის“ ორეულია, როგორც ფონეტიკურად, ისე სემანტიკურად, რის გამოც, არქეტიპული და ეგვიპტური მნიშვნელობების ინტეგრაცია ალაშენებს ჰათორის რთულ, ორპლანოვან ინფორმაციულ სისტემას. ამ სისტემის ერთი მხარე ხილულია. იგი ეგვიპტური ქალღვთაებისა და ვაჟღვთაების საკრალური სახლია, რომლის დაფარული მხარე მათ არქეტიპულ ინკარნაციას ჰფენს ნათელს. ამ უძველეს ნარსულში ეგვიპტური ღმერთების ადგილსამყოფელი ქართველური ხატია!

ახლა ვნახოთ, თუ რამდენად დაგვეხმარება ქართველური ენობრივი მასალა, ავხსნათ ჰათორიდან ჰორუსზე, ანუ მდედრიდან მამრ ღვთაებაზე გადასვლის პროცესი. ამ თვალსაზრისით საინტერესოა სახელის მეორე ნევრის (Hor) ანალიზი, რომლის პირველი თანხმოვანი („დაგრეხილი თოკის“ იეროგლიფი), შეიძლება შეესაბამებოდეს ორ ქართველურ ბგერას: ველარულ (ხ) და ყრუ ფარინგალურ ფრიკატივს (ჰ). მათი აღდგენა ძირეულ არქეტიპულ ხმოვნად ო-ს ნაცვლად ა-ს გვთავაზობს, რის შედეგადაც იკვეთება Hor-ის ნარმომავლობა ქართველური „ვარიდან“ (ვარ > Hor). ირკვევა, რომ Hat-Hor-ის ქართველური ეტიმოლოგიაა ხატ-ვარ („ვარის ხატი“), რაც ღია ტექსტით გვატყობინებს ჰათორის მდედრულ („ძროხა“) ზომორფულ იპოსტასს ამოფარებულ ვარს. შესაბამისად, ქართველური ეტიმონი „ვარი“ ქალღვთაების სახელის ცენტრალური ცნებაა და „ჰორუსის სახლის“ მნიშვნელობის ნომინაციური საყრდენი. ახალმა სემანტიკამ დაჩრდილა იეროგლიფის პირველი („სახის სახლი“) და ჰათორის გარეგნული (მდედრი) სახე, რამაც შესასწავლი პიქტოგრამა ჰ ვარის ხატის ონომასტიკურ ნილბად გადააქცია. აღწერილი სემანტიკური პროცესების შედეგად, ქალღვთაება ჰათორი მხოლოდ მდედრი ღმერთი აღარ გახლავთ; მას ვარის სახეც აქვს, ანუ ის ვარის ხატიცაა, რითაც სააშკარაოზე გამოდის მისი მდედრულ-მამრული ორბუნებოვნება. ამიტომ, ჰათორის ღია, ხილული სახე ფურია, ქალია, ხოლო მისი დაფარული, გასაიდუმლოებული და, მაშასადამე, ჭეშმარიტი ხატი კი – ვარი.

ქართველური ხატის პოლისემანტიზმიდან ამოზრდილი მრავალმრიანი ინფორმაცია ქალღმერთ ფურისა და ვარის ღვთაების ორსქესოვან ხატს, რომელიც, როგორც მეცნიერისთვის, ისე არამეცნიერისთვის, ეგვიპტური ცივილიზაციის, კულტურისა და რელიგიის განუყოფელი ნაწილია, ფესვებით ქართველური კულტურისა



და ენების განუყოფელ ნაწილად წარმოადგენს. ამის შემდეგ, გასაკვირი აღარც ისაა, რომ ღმერთის სახელიცა და მისი საცხოვრებელიც ენობრივი კოდით იყოს გასაიდუმლოებული.

უფრო მეტიც, ის ფაქტი, რომ ფინიკიური და ეგვიპტური ენობრივი მასალა ერთნაირ სემანტიკურ მოდელზეა აგებული და იმავე დამალულ ინფორმაციაზე მიუთითებს, პრეისტორიულ და ლინგვისტურ ძიებებში უპრეცედენტო შემთხვევაა. ეს ახალი მოვლენა ააშკარავებს არა მხოლოდ ჰათორის განხილული სახელების ქართველურ გენეზისს, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ენათა კონტაქტების სრულიად ახლებურ გენეტიკურ კავშირებს და ენობრივი ელემენტების ურთიერთმიმართების განსხვავებულ ხერხებს.

## 22. ზოგიერთი რელიგიური ტერმინის ლინგვისტური და კულტუროლოგიური ანალიზი

ეგვიპტურ ღვთაებრივ ტერმინოლოგიაში ქართველური სიტყვები მრავლად ფიგურირებენ. განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს ორი ტრიადა, რომელიც თითოეული პიროვნების ჩამოყალიბებაში იღებს მონაწილეობას. „ერთი ტრიადა წარმოადგენდა კას (Ka), ანუ ორეულის, ხუს (Khu), ანუ სულის და კჰატ (Khat), ანუ სხეულის ერთობას. მეორე აერთიანებდა ხაიბეტს (Khaybet), ანუ ჩრდილს ბასთან (Ba), ანუ სულთან და საჰუსათან (Sahu), ანუ მუმიასთან. ფიზიკურ გულს ერქვა ჰატი (Hati); იგი გონიერების სათავსოდ ითვლებოდა, რომლის სულის (spirit) სახელი იყო აბ (Ab) და რომელიც ნებასურვილს გამოხატავდა. „სიცოცხლის ნაპერწკალი“, ანუ ხელმძღვანელი ძალა, აღინიშნებოდა სიტყვით სეკჰემ (Sekhem), ხოლო რანი (Ran) მისი საკუთარი სახელი იყო“ (Mackenzie 1913:87).<sup>39</sup>

ტრიადების შემადგენელი სახელების ქართველური ენობრივი კუთხით ანალიზს დღის შუქზე გამოაქვს რამდენიმე ნახსენები რელიგიური ტერმინის (Khat, Hati, Sāh) ქართველურ სიტყვებთან გასაოცარი მსგავსება, მიუხედავად იმისა, რომ თანხმოვნები kh, და ონი განსხვავებული იეროგლიფებით არიან გადმოცემულნი („ცხოველის მუცელი ან ჯიქანი“, ანუ კ/ხ, „დაგრეხილი თოკი“, ანუ ხ/ჭ). ბოლო ორი ტერმინი (Sāh, Sekhem) მოგვიანებით იქნება განხილული (გვ. 407-414), ამჟამად კი ყურადღებას პირველ ნყვილზე (Khat, Hati) გაავამახვილებთ.

Khat და Hati რომ ქართველური „ხატიდან“ მომდინარეობენ, მკითხველისთვის უკვე ცხადი უნდა იყოს ყოველგვარი ლინგვისტუ-

<sup>39</sup> Hati და sāh მოცემულია უ. ბაჯის მიხედვით (Budge 1978:460).

რი ანალიზის გარეშეც. მიუხედავად ამისა, ყურადღება გავამახვილოთ სპეციფიკური ქართული ბგერების გადმოცემის ხერხებზე. ერთ შემთხვევაში (Khat), ქართველური ყრუ ველარული თანხმოვანი ხ გადმოცემულია იეროგლიფით „ცხოველის მუცელი ან ჯიქანი“ და თანხმოვანთა კომპლექსის ტრანსლიტერაციით (kh), ხოლო მეორე შემთხვევაში – („დაგრეხილი თოკი“) ო-ის ერთნიშნა ტრანსლიტერაციით.

გასაანალიზებელი ორივე ეგვიპტური სიტყვის ქართველურ წარმომობას აძლიერებს უკანასკნელი ხმოვნის გამოყენება – არგამოყენების ფაქტი. პირველი ვარიანტი (Khat) ქართველური არქექტიპის ფორმას („ხატი“) ბრუნვის ნიშნის გარეშე გადმოსცემს (როგორც შიშველი ძირი), მაშინ, როდესაც მეორე (Ḥati), ქართველური სახელობითი ბრუნვის ნიშნის -ი დაწერილობას მთლიანად ინარჩუნებს. აღნიშნული ბრუნვის ნიშნის გამოყენება ეგვიპტურში, რომელიც რამდენიმე ათასწლეულით უსწრებს ქართველოლოგიაში მიღებული ბრუნვის ნიშნების გენეზისის სტადიალურ თეორიას, გეთავაზობს სრულიად ახალ და მოულოდნელ მასალას ამ პრობლემის შესასწავლად. ეს და ადრე განალიზებული მასალა ცხადყოფს, რომ ეგვიპტელ „ქელდასხმულ“ ქურუმებს, რომლებიც ძველთაძველ მეცნიერებას განაგებდნენ, ქართული ენის სისტემის შესანიშნავი ცოდნა ჰქონდათ.

ეგვიპტური და ქართველური Khat – ხატის ფონეტიკურ მსგავსებას მათი სემანტიკური იგივეობაც აძლიერებს. ეგვიპტური Khat ნიშნავს „სხეულს“, მაშინ, როდესაც ქართველური ხატი „სახის, გარეგნობის“ აღმნიშვნელია. ეს სიტყვები ნათელს ჰფენენ ადამიანის ღვთაებრივი წარმოშობის ბიბლიურ დოგმაში არსებულ ღრმად მიმავალ ფესვებს (შესაქმე 1:260), რომელსაც ზევით უკვე შევეხეთ. ეგვიპტური Khat („სხეული“) და Ḥati („ფიზიკური გული“), ქართველური „ხატი“ და კაცობრიობის ღვთაებრივი წარმოშობის ტრადიცია, ერთ ინფორმაციულ წრეშია შეკრული, რათა ყოველი ჩვენგანის გულისა და ღვთაებრივი გულის გასაოცარი ტოლობა გაგვიმხილოს.

## 23. ტოპონიმების ლინგვისტური და კულტუროლოგიური ანალიზი

ქართველური სიტყვა „ხატი“ ტოპონიმებშიც გამოიყენება: მეფისის შესაძლო სახელია Hat-kau (Maspero 1922:237), თაბაშირით მდიდარი იყო Hâtnîn (იქვე, 384),<sup>40</sup> ხოლო ღვთაება „ატენის“ დედა-

<sup>40</sup> H შეესაბამება უ. ბაჯის ო-ს, ანუ „დაგრეხილი თოკის“ იეროგლიფს (ქართველური ვ).

ქალაქს ეწოდებოდა Khut-en-Aten. თუ აღნიშნულ სახელებში „დაგრეხილი თოკის“ შესაბამის ქართველურ თანხმოვნებს (ხ ან ჳ) მიეუსადაგებთ, მივიღებთ უკვე ცნობილ ქართველურ არქეტიპს „ხატი“. შესაბამისად, გვექნება ხატ-კაუ, ხატ-ნუბუ და ხატ-ენ-ატენ. უფრო მეტიც, „წატ-ნუბუს“ მეორე შემადგენელი ელემენტი „ნუბუ“ უკვე კარგად ცნობილი ქართველური „ნებაა, სურვილია“, სადაც ბოლოკიდური -ა უ ხმოვნით არის ჩანაცვლებული. შედეგად, Hâtnûbû-ს მნიშვნელობა იმიფრება როგორც ხატის, ანუ ღმერთის ნება.

Khut-en-Aten-ის („ატენის ჰორიზონტი“) ტოპონიმის ლინგვისტური ანალიზი ოდნავ ვრცელ მიმოხილვას მოითხოვს.

ქალაქი ხუტ-ენ-ატენ (Khut-en-Aten) ამენ-ხეტებ IV-მ მზელვთაება ატენის პატივსაცემად დააარსა. „ატენ“ ქართველური წარმოშობის სიტყვაა (ატენ < ა+თენ) და „ამომავალ, ანუ აღდგენად მზეზე“ მიუთითებს. ქალაქი მდინარე ნილოსის აღმოსავლეთ სანაპიროზე იყო გაშენებული, რაც ეგვიპტური რელიგიის ფუნდამენტურ დოგმებს აირეკლავს. კერძოდ, თუ დასავლეთი ნაპირი წარმოადგენდა ქვესკნელს, სადაც მზიური ფარაონები, მათი ღვთაებრივი მშობლის, რას მსგავსად მიემგზავრებოდნენ, აღმოსავლეთი სანაპირო ცოცხალთა ქვეყნის გეოგრაფიულ ინკარნაციას წარმოადგენდა; უკეთესად რომ ვთქვათ, აღმოსავლეთი სანაპირო იყო მკვდრეთით აღდგომის, ამომავალი მზის ადგილი. გეოგრაფიული და რელიგიური თანხვედრა ქალაქის ფუნქციაშიც მეორდებოდა, რადგანაც იგი ამენ-ხეტებ IV-ის მიერ დამკვიდრებული ახალი რელიგიური აღმსარებლობის ცენტრს წარმოადგენდა. ამიტომ ფარაონის სურვილი, ახლად დაარსებული ქალაქი ყოფილიყო მისი რელიგიის მთავარი ღვთაების – ატენის ხატი, გასაგები და უეჭველი ფაქტია.

წამოყენებულ დებულებას აძლიერებს ეგვიპტელ ქვის მთელეთა არქიტექტურული პრინციპებიც. ეგვიპტური ქალაქი ქვაში გამოკვეთილი ქალაქია, რომლის ქუჩებში, შენობებში და არქიტექტურის თუ დეკორის ყოველ დეტალში მითიური სცენები მეტყველებდნენ (Clark 1991:29). ამიტომ, Khut-en-Aten-ის ჩვენ მიერ შემოთავაზებული დეშიფრირება სწორია, ვინაიდან იგი მთლიანად ემთხვევა ამენხოტებ IV-ის სურვილს – დაერქმია ახალი რელიგიური ცენტრისთვის თავისი საყვარელი ღვთაების სახელი. ნათქვამის გათვალისწინებით, ქალაქის სახელი Khut-en-Aten წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ხატ-ენ-ათენ, რაც ატენის, ანუ ამომავალი მზის ხატს ნიშნავს. შედეგად, უ ხმოვანი ტოპონიმის პირველი კომპონენტის ძირში არასწორი გახმოვანების შედეგია. ქართველური მასალა დაჟინებით გვთავაზობს გახმოვანებას ა-ს მეშვეობით, რომელიც Khut-ს ქართველურ „ხატად“ აღადგენს. ამიტომ Khut-en-Aten < ხატ-

ენ-ათენ და ნიშნავს ჰორიზონტზე ახლად ამობრწყინებულ მზის ხატ-ქალაქს.<sup>41</sup>

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ქართველური სინტაგმატიკის წესების გამოყენება ღვთაებრივი ტოპონიმების წარმოებაში. მხედველობაში გვაქვს Hat-Shenat, ხატი, რომელიც ნუტ ღვთაების პატივსაცემად იყო აგებული და რომლის ადგილმდებარეობაც უცნობია (Budge 1934: 150). ეს ტოპონიმი კომპოზიტია. მისი პირველი კომპონენტი ქართველური „ხატიდან“ მომდინარე Hat-ია, ხოლო მეორე – Shenat, აგრეთვე ფრიად ნაცნობი ქართველური კუთვნილებითი ნაცვალსახელის („შენი“) ვითარებითი ბრუნვა შენად, რომელშიც დასუსტებული ბრუნვის დაბოლოება (-ად > -ატ)<sup>42</sup> არქეტიპულ ფუნქციას ინარჩუნებს. ამიტომ ეგვიპტური ტოპონიმი Hat-Shenat შედგება ქართველური სიტყვებისგან „ხატი“ და „შენად“ კომპონენტებისგან, რომლებიც იშვიათი, ძველი ქართულისთვის დამახასიათებელი სინტაგმატური ნესით არიან შეერთებულნი (სარჯველაძე 1997, 63):<sup>43</sup> სახელი+განსაზღვრება = ხატ(ად)+შენად.

ამრიგად, ჩვენ გავაანალიზეთ ეგვიპტური სიმბოლოს ორივე სახელი Khetm და ონო/ენ. იგი წარმოადგენს ქართული ასომთავრული „დონის“ (⊖) ინვერსიულ ფორმას (⊙), რაც ხსნის მის ეგვიპტურ მნიშვნელობას: „ის, რაც გარს შემოწერს სამყაროს“. შედარებითი ლინგვისტური, კულტუროლოგიური და ეზოთერული კვლევის ყოველმა ნაბიჯმა გამოავლინა ამ ფრიად მნიშვნელოვანი სახელების ქართველური ძირები: „ხატი“ და „შენ“.

ფრაზა „შენ ხარ მზის ხატი“ ხშირად უნდა სმენოდათ მორწმუნე ფარაონებისგან ღმერთისადმი აღვლენილი ლოცვების წარმოთქმისას – ფაქტი, რომელიც ერთი ინსიგნია-ნიშნის ფონეტიკურად სრულიად განსხვავებული სახელებით (Khetm და ონო/ენ) გამონვეულ გაუგებრობას ხსნის. გავიხსენოთ ისიც, რომ ონო/ენ ქართული პირის ნაცვალსახელია. თუ ორივე სიტყვის (Khetm–ონო/ენ) ქართველურ მნიშვნელობას შევაერთებთ, მივიღებთ მიმართვის შემცველ ფრაზას: „შენ, ხატმან (შექმენ სამყარო)“, რაც აგრეთვე, ხშირად ისმოდა ღვთისმოსავი ფარაონებისგან საკუთარი მზემშობლისადმი აღვლენილი ლოცვების დროს. Khetm და ონო/ენ-ის წინადადებაში როგორც ერთობლივი, ისე დამოუკიდებელი გამოყენება (ანუ ქართ-

<sup>41</sup> ერთ-ერთი თანამედროვე სოფელი, რომელიც Khut-en-Aten-ის ადგილზეა დღეს გაშენებული, არის ტელ ალ-ამარნა, სადაც ბიბლიური ტექსტების ხელნაწერები იქნა აღმოჩენილი.

<sup>42</sup> აღნიშნული დასუსტება სიტყვის ბოლოს მოსალოდნელი ფონეტიკური მოვლენაა.

<sup>43</sup> შეადარეთ რუსთაველს: „რომე ვეფხი შვენიერი სახედ მისად დამისახავს, ამად მიყვარს ტყავი მისი, კაბად ჩემად მომინახავს“ (ვეფხისტყაოსანი, თბილისი, 1966: 122).

ველური ენების მორფოლოგიურ-სინტაქსური თავისებურებანი), ხსნის ეგვიპტური, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული, სახელების ერთი ინსიგნია-სიმბოლოსადმი მიმართების „წინააღმდეგობასაც“.

მიღებულ მნიშვნელობას უნდა დავუმატოთ მზის ორივე გამოსახულება – ეგვიპტური Khetm-ის ზამთრის ნაბუნობის, ანუ ქვესკნელური მზე (☉) და ქართული ასომთავრული „დონის“ ზაფხულის კულმინაცია, ანუ ზესკნელური მზე ☼. სახელთა შერწყმა მათ გრაფიკულ გამოსახულებებთან ქართველი ხალხის პირდაპირი მისამართია, რომელსაც ასე ხშირად გვიდასტურებს ქართველური, ეგვიპტური და ფინიკიური მასალის ენობრივი კვლევა. კიდევ მრავალი შემთხვევის გაანალიზება და დემონსტრირება შეიძლება (როცა ქართველური „ხატი“ გამოყენებულია სხვადასხვა ეგვიპტურ სიტყვასთან), მაგრამ წარმოდგენილი მასალაც საკმარისია იმისთვის, რომ თვით ყველაზე კონსერვატორი მეცნიერიც კი დაარწმუნოს: ქართველური ენები და კულტურა გვთავაზობს უზარმაზარ შესაძლებლობებს, რომ შევალწიოთ ეგვიპტური ცივილიზაციის მიერ დატოვებულ საიდუმლოებებში. ამიტომ, ეგვიპტური Khetm-ის ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზის დასასრულს შეგვიძლია ვთქვათ, რომ დასკვნები ადასტურებენ ზივ/სენ სახელის კვლევისას მიღებულ შედეგებს. ამ უკანასკნელის მსგავსად, სადაც ს–შ კორელაცია ერთი და იმავე წყაროდან ნაწარმოებ სახელებში განსხვავებული იეროგლიფებით არის გადმოცემული, ქართველური „ხატის“ შემთხვევაშიც, სპეციფიკური ქართველური ბგერების, განსაკუთრებით ველარული და ფარინგალური ფრიკატივების (ჭ–ხ) გადმოსაცემადაც სხვადასხვა იეროგლიფი გამოიყენება. მიუხედავად განსხვავებული ორთოგრაფიისა, შესადარებელი სიტყვები ფონეტიკური იდენტიფიკაციისთვის საჭირო საზღვრებს არასდროს სცილდებიან, – ესაა მექანიზმი, რომელმაც ეგვიპტელ ბრძენთ ერთი ქართველური არქეტიპიდან რამდენიმე სიტყვის წარმოების, ქართველებს კი ამ სიტყვების არქეტიპთან ხელახალი გაიგივება-დაკავშირების საშუალება მისცა.

დეშიფრირებული ინფორმაცია მხოლოდ ნათქვამით არ შემოიფარგლება. ნაშრომში განხილული ღვთაებრივი თუ სამეფო სახელების ქართველური წარმომავლობა და ეგვიპტური რელიგიური სისტემა გვთავაზობს სხვა მასალასაც, რომ თვალი შევავლოთ იმ მომჯადოებელ ლინგვოკულტუროლოგიურ სამყაროს და მათ შემქმნელებს, რომლებიც ატენის, ამონ-რას, მინის, მათისა და ეგვიპტის ლეგენდარულ მეფეთა წინაპრების სახეებს ააშკარავებენ.

## 24. ეგვიპტური SAHU-ს ლინგვისტური და კულტუროლოგიური ანალიზი

ნარმოდგენილი ანალიზის დამაჯერებლობა საგრძნობლად იზრდება, როდესაც გავიხსენებთ, რომ პეტრიეს ზემოთ დასახელებულ ნაშრომში ქართული ასომთავრული „ღონის“ ინვერსიული სიმბოლო მოთავსებულია განყოფილებაში *Seals, Insignia. Khetm, Sahu, Sekhem, Uas* (ბეჭდები და ინსიგნია. კჰეტმ, საჰუ, სეკჰემ, უას). ბეჭდინსიგნიების დასახელებებში ჩვენთვის საინტერესოა სიტყვა *Sahu*, რომელიც ქართული „სახის“ ოდნავ განსხვავებული ფონეტიკური ვარიანტია და სინონიმური „სახის“ (*Khetm*) გვერდით ზის.

ოდნავ განსხვავებული დანერილობით გადმოცემული ქართველური „სახე“ მრავალი ეგვიპტური სიტყვის ეტიმოლოგიურ წყაროდ იქცა. ერთ-ერთი მათგანია *Sāhu* (საჰუ), რომელიც კურთხეულ გარდაცვლილთა აღსანიშნავად გამოიყენებოდა (*Budge 1934:310*). შემდეგი ლექსემაა *Sāhu* („სახუ“; „გიგანტები“?), რომლებიც ჰორიზონტზე ბინადრობდნენ (იქვე, 325). *Sāhu*-ს სავარაუდო მნიშვნელობა („გიგანტები“) ჭეშმარიტებას უნდა შეეფერებოდეს, ვინაიდან „ანტიკური მითოლოგიისა და წყაროების მიხედვით, ტიტან პრომეთეს (წინასწარმეტყველი) სამშობლო ძველი ეგვიპტეა“ (*ყაუხჩიშვილი 1957:47*), ხოლო კავკასიის მთაზე მიჯაჭვული პრომეთე იგივე ამირანია. გამოვლენილი ამირან-პრომეთე-სახუს ქართველური, ეგვიპტური და ბერძნული ლექსიკური კონტაქტები ცალკე დამუშავებას მოითხოვს და ამიტომ აქ ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

„სახის“ ქართული მნიშვნელობა განსაკუთრებით მკვეთრად ზოგიერთ ფრაზაში იკვეთება. შეადარეთ: „უნასის (სახეს) ვერ მოსწყვეტთ უნასს“ (ტიქესტი *უნასის პირამიდიდან*; იქვე, 326). ქართველური ეტიმოლოგიის გათვალისწინებით, რომლის მიხედვითაც „სახე“ შეიძლება მიუთითებდეს ადამიანის არა მხოლოდ ფიზიკურ, არამედ ზნეობრივ ასპექტზეც, უნასის სახე შესაძლოა აღნიშნავდეს მეფის ფიზიკურ, მორალურ ან ორივე სახეს, რისი განცალკევებაც მისი მფლობელისგან მართლაც შეუძლებელია.

ეგვიპტურ სიტყვებს შორის, რომლებიც ქართული „სახიდან“ მომდინარეობენ, არის სიტყვა *Sāh*, რომელიც ეგვიპტურში მუმიის მნიშვნელობითაა დაფიქსირებული (*Budge 1978:591*). ბერათფარდობა ქართველურ „სახესა“ და ეგვიპტურ *Sāh*-ს შორის ფრიად გამჭვირვალეა: სახე > *Sāh* ამას ემატება სემანტიკური მსგავსებაც, ვინაიდან სახე-*sah* მუმის, ანუ გარდაცვლილის სახეზე მიუთითებს.

ეგვიპტური *Sah*-ის სწორ ეტიმოლოგიზებაზე მიუთითებს „სახესა“ და „ხატს“ შორის ეგვიპტურ მასალაშივე არსებული სინონიმური ურთიერთობების განმეორება. ქართველური „ხატის“ მთელ რიგ ეგ-

ვიპტურ ლექსემებს გააჩნიათ სინონიმები ქართველური „სახიდან“ ნაწარმოებ ერთეულებში. მაგალითად, Khati = „ღმერთი“ და Sāh = „ღმერთი“ (Budge 1978:591), kha-t = „კაცობრიობა შექმნილი ღმერთის ხატად“, kha-t = „კაცობრიობის პირველი თაობა“, Ḥa-t = „პირველშობილი ან პირველქმნილი საგანი“; „დაიბადო თავისუფალ ადამიანად, იყო მაღალი ნოდების, კეთილშობილთა ნოდებაში აყვანა“, ḥatt ā = „ხელმძღვანელი (ქალი), პრინცესა“, ḥa-ti = „ის, რაც წინ არის, საუკეთესო, ყველაზე დახვეწილი, უწინარესი“ (იქვე).

განსაკუთრებულად უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ქართველურ-ეგვიპტურ სახე-sāh („მუშია“) სიტყვათა მნიშვნელობების უბრალო ჯამი აირეკლავს და გადმოსცემს ეგვიპტური რელიგიის უზარმაზარ სეგმენტს – სიცოცხლეს სიკვდილის შემდეგ. ამ რთულ ამოცანას სახე-sāh იმავე არქეტიპიდან ნაწარმოები sakhu-ს დახმარებით ასრულებს, სადაც სპეციფიკურ ქართველურ ბგერას (b) kh კომბინაცია გადმოსცემს.

ტერმინით sakhu აღინიშნებოდა „ლოცვები, რომლებიც ადამიანს სიკვდილის შემდეგ sakh-ედ, ე.ი. გარდასახულ სულად (Forman, Quirke 1996:7), ანუ განსხვავებულ სახედ აქცევდა. ქართულში ძირი „სახე“ ზმნურ ფორმაში გარდა-სახ-ვა იდენტურ მოქმედებაზე მიუთითებს: „გარდასახვა, სახის, ფორმის შეცვლა“. ნათელია, რომ ეგვიპტური ენა sakhu-ს ისევე იყენებს, როგორც ქართული ენა ზმნას „გარდა-სახ-ვა“. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ქართველური არქეტიპიდან მომდინარე h-ḥ-kh ბგერათმეხიტიყვების რეგულარობა არის მიზანმიმართულად გამოყენებული ხერხი, რათა ეგვიპტურ სიტყვებს შორის არსებული მსგავსების შემთხვევითობა-გაუგებრობა გამოირიცხოს.

ქართველურ „სახეს“, ეგვიპტურ Sāh-სა („მუშია“) და sakhu-ს („გარდასახვა“) შორის არსებული ღრმა სემანტიკური კავშირები შემდეგი ენობრივი ჯაჭვის მეშვეობით იოლად აღდგება:

hāti = ნელსაცხებელი → Sakhu = გარდასახვა → Sāh=მუშია

გამოვლენილი ტოლობის თანმიმდევრობა ეგვიპტური რელიგიის ერთ-ერთი დოგმის მოდელია, რომელიც ააშკარავებს გარდაცვლილის მიერ მუშიის სახის მისაღებად გასავლელ საფეხურებს. მუშიად გარდაქცევა ოსირისად გარდაქმნაა, ოსირისის სახის ან მისი ხატის მიღებაა. წარმოდგენილი მოდელისა და მისი ნაკითხვის სისწორე ოსირისის სახელებითაც დასტურდება: Osiris Saḥ (Asār-Saḥ; Budge 1978:88) და Saḥu-Orion, რომლებიც ერთი და იმავე თანავარსკვლავედს აღნიშნავენ.<sup>44</sup>

<sup>44</sup> სახე-ოსირისი, ანუ სახე ორიონი მონადირის თანავარსკვლავედია, რომელიც „ატყვევებს, კლავს და გამოშინავს ღმერთებს, თავის ქაფქაფა ქვაბებში ხარშავს მათ სახსრებს, ბარკლებს, ფეხებს და მათი სულებითა და სხეულებით იკვებება“ (უნას, სტროფები 509-514; Budge 1922:108).

ოსირისის სახის მისაღებად გარდაცვლილს რთული გამოცდა უნდა გაეწოდებოდა. ამ პროცედურის შესრულება ნელსაცხებლის (hāti) წასმასაც მოიცავდა. ოსირისის სახედ გარდაქმნის პროცესში ეს აქტი გადამწყვეტია, ვინაიდან ამ დროს იწყებოდა გარდაცვლილის გარდა-სახ-ვის პროცესი. Hāti-ის ნელსაცხებლით ცხება გარდაცვლილის „ცხოვრებაში“ გარდატეხის მომენტიცაა, რადგან იგი ტოვებს სიცოცხლისეულ ხატს და ლოცვების წარმოთქმის შემდეგ მუმიის, ე.ი. ოსირისის სახეს ღებულობს. ამ გადამწყვეტ, ანუ ხატიდან სახეში გარდამავალ ეტაპზე, რომელთა ლინგვისტური ტერმინოლოგია (ხატი, სახე) მათი სემანტიკური სიახლოვის (ნაიკითხე: ქართველური წარმომავლობის) გამო ხშირად ერეოდათ (მნ 1967:lxii), გარდაცვლილს „ფორმალურად“ ცოცხალი ადამიანის სახე აქვს, რაც hāti სიტყვით არის აღნიშნული. სხვაგვარად რომ ვთქვათ, Hāti-Sakhu-ს ერთობა სიცოცხლიდან სიკვდილში გარდამავალი საფეხურია. გავიხსენოთ, რომ ეგვიპტური Khat ნიშნავს „ფიზიკურ სხეულს“, ე.ი. უფლის მიერ მის ხატად შექმნილ ადამიანს, რაც განხილულ რელიგიურ ცნებებს ლოგიკურ თანამიმდევრობად აკინძავს:

### ცხრილი 89

სიცოცხლისა და სიკვდილის წრე ეგვიპტური რელიგიის მიხედვით

ქართველური	ხატი	ხატი	სახე	სახე
ეგვიპტური	KHAT	HĀTI →	SAKHU →	SĀH
	ფიზიკური სხეული	→ ნელ- საცხებელი	→ გარდასახვა	→ მუშია

ცხრილი ნათლად აჩვენებს, რომ ქართველური სიტყვები „ხატი“ და „სახე“ ეგვიპტური რელიგიის სამ პარალელურ პლასტს ასაიდუმლოებენ: ფიზიკურ არსებობას, რელიგიურ ასპექტსა და მათი ენობრივი გამოხატვის ციკლებს. ამ სინონიმური წყვილის პირველი წევრი – „ხატი“ სიკვდილ-სიცოცხლის ციკლის სიცოცხლის ნაწილს ორი ეგვიპტური სიტყვის მეშვეობით Khat და Hāti ხელმძღვანელობს, მაშინ, როდესაც მეორე წევრი – „სახე“ ეგვიპტური წევრებით Sakhu, Sāh – „მკვდართა“ ნაწილს განაგებს. როგორც ეს ზევით იყო აღნიშნული, წარმოდგენილი ჯაჭვის მე-2 და მე-3 წევრების Hāti-Sakhu ურთიერთიმართება ციკლის ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპია, ვინაიდან გარდაცვლილი სრულიად ტოვებს ცოცხალთა სამყოფელს და მკვდრის, ანუ მუმიის სახეს იღებს. პიროვნება აღარ არის ღმერთის მიერ შექმნილი არსება; იგი აღარ არის ღვთაებრივი ხატი, რადგანაც იმქვეყნიური ღმერთის (ოსირისის) სახით იმქვეყნიური სამყაროს მცხოვრებია.

წარმოდგენილ ცხრილსა და ეგვიპტური რელიგიის დებულებებს



შორის არსებული სრული თანხმობის მიუხედავად, სქემას ეგვიპტური რწმენის ძლიერ მნიშვნელოვანი ნაწილი – ალდგომის ცნება აკლია. ეს უკანასკნელი ორგანულად არის დაკავშირებული ჯაჭვის ბოლო რგოლთან, ანუ ოსირისის სახედ გარდაქმნასთან. აქვე გავიხსენოთ, რომ ქვესკნელის მეუფე ოსირისი მუშიაა; იგი წარმოადგენს ქვესკნელის მზეს და მზის ქვედა კულმინაციას და ამიტომ აუცილებლად უნდა ამობრწყინდეს, უნდა აღდგეს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ოსირისმაც უნდა გაიაროს გარდასახვა. პირველად იგი გამოჩნდება როგორც ატენ > ათენი, აისის მზე, შემდეგ კი როგორც კამკამა მზე ზედა კულმინაციაში. ეგვიპტური კულტურა გვანდის ოსირისის ქვესკნელურ ემბლემას (Q), სახელსა (Khetm-Snw/Sen) და დოგმას მისი ხარის ტყავით აღდგენის შესახებ, რომელიც ლოგიკურად Q-ის საწინააღმდეგო გამოსახულება უნდა იყოს. არის კიდევ, მაგრამ იგი „ქოთნის“ მნიშვნელობით არის დაფიქსირებული, რომლის ზედა მოკლე ჰორიზონტალურმა ხაზმა სიმბოლოებს შორის (Q O) კავშირი წაშალა. სრული ფორმით იგი (Q) მხოლოდ ქართული ასომთავრული „დონის“ გრაფიკაშია ჩაკირული, რომელიც ეგვიპტურ ციკლს ბუნებრივი ნევრივით ჩაერთვის. ამიტომ, ეგვიპტური სიკვდილ-სიცოცხლის ნრე-ბრუნვის დასამთავრებლად, უკანასკნელი ეტაპი წარმოდგენილი უნდა იყოს მზის ალდგომის ხატი, სწორედ ისე, როგორც ეს 70-ე ცხრილშია მოცემული (ცხრ. 90, გვ. 411).

წარმოდგენილი ციკლი და ალდგომის მოდელი განსაცვიფრებელი ანალოგიაა მისტერიისა, რომელსაც (ჰ)უნას პირამიდაში წარმოდგენდნენ ხოლმე. შპიგელის ინტერპრეტაციის მიხედვით, „ეს 'მისტერიული წარმოდგენა', ანუ 'რიტუალური დრამაა', რომელსაც სავსე მთვარის კლების პირველ ღამეს სამეფო დაკრძალვისას ატარებდნენ; იგი მზის ჩასვლისას იწყებოდა და მის ამოსვლამდე გრძელდებოდა. შპიგელის მიხედვით, ამ რიტუალის მითიური მნიშვნელობა ასეთია. დასაკრძალავ დარბაზში წარმოდგენილი ცერემონიის განმავლობაში ბა ტოვებდა კუბოს და გადაკვეთდა საიქიოს (რომელიც წარმოდგენილი იყო დასაკრძალავი დარბაზით), ერწყმოდა სამყაროს ღმერთს, ზეცის ღმერთს, რე-ატუმს, რომელიც უჩინრად იყო დაბრძანებულია სერდაბის შუა ნიშაში (Zabkar 1968:76-77).

რიტუალის სპიგელისეული ინტერპრეტაცია იმეორებს სიმბოლოებითა და ეგვიპტური დოგმებით გადმოცემულ ინფორმაციას, რომელიც ეგვიპტურ და ქართველურ საწერ ნიშნებში კოდირებულ სიცოცხლე-სიკვდილი-ალდგომის ციკლზე დაყრდნობით ერთ, თუმცა მნიშვნელოვან შესწორებას მოითხოვს; კერძოდ, სამყაროს ღმერთთან შერწყმა, ზეცის ღმერთთან შერწყმა, იგივე ალდგომაა, რაც სიმბოლურად, ქართული ასომთავრული „დონით“ არის გამოხატული. „დონი“, როგორც მკითხველს ახსოვს, უხილავი ღმერთის „ღანის“ ხილული სახეა.

ცხრილი 90

სიკვილი-სიციცხლისა და აღდგომის ციკლი  
 ეპეიპტური რელიგიის მიხედვით

KHAT → HĀTI → SAKHU → SAHU → KHETIM-ĪNW/ĪEN < ხატი-ჰენ

ფიზიკური სხეული → ნელსაცხებელი → გარდასახვა → მუშია → ◻ < ◻ - აღდგომა

შესაბამისად, (ჰ)უნას პირამიდაში წარმოდგენილი მისტერია ეგვიპტელი მზე-ფარაონების ლეთაებრივი აღდგომისა და ქართველურ ლან-დონთან შერწყმის ათასწლეულების წიაღში წარმოდგენილი დრამაა. აღწერილი მკვდრეთით აღდგომა მხოლოდ მზე-ფარაონების ხვედრი როდია. იმის გამო, რომ ყველა გარდაცვლილს ერთი და იგივე სიკვდილ-სიცოცხლისა და აღდგომის ციკლი უნდა გაეელო, გამართლებულია ანალოგიური მსჯელობა თვით მკვდარი ეგვიპტური ცივილიზაციის შესახებაც. წარმოდგენილი კვლევა გვიჩვენებს, რომ მკვდარი ეგვიპტური ცივილიზაციის აღდგომა მხოლოდ ქართველური ენებისა და კულტურის მეშვეობით არის შესაძლებელი, ვინაიდან სწორედ იგი მართავს და განაგებს სიცოცხლის, სიკვდილისა და აღდგომის მთლიან ეგვიპტურ რწმენას. უფრო მეტიც, კვლევის შედეგები არაორაზროვნად მიუთითებენ მასზე, რომ ეგვიპტელებთან ერთად აღდგება იმ ხალხის სახელიც, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა მათი სიცოცხლის ციკლს.

როგორც ვხედავთ, გასაანალიზებელი სიტყვების ლინგვისტურმა და კულტუროლოგიურმა გამოკვლევამ ისეთი ზეინფორმაციული სისტემა აღაშენა, რომლის მიხედვით, აღდგენის ერთნაირი წინასწარმეტყველური ცოდნის ფლობა (შდრ.: *ქებაძს...*) უძველეს ქართველ და ეგვიპტელ ქურუმებს ერთი და იმავე კულტურისა და ეთნოსის შვილებად წარმოადგენს.

## 25. SEKHEM-ის ლინგვისტური და კულტუროლოგიური ანალიზი

განვიხილოთ სახელი Sekhem („სეკჰემ“), რომელშიც სპეციფიკური ქართული ხ ბგერა kh კომპლექსით არის გადმოცემული. როგორც ცნობილია, ე (e) გახმოვანება უცნობი ბგერის ჩასანაცვლებლად არის გამოყენებული. ქართველური „სახე“ და გაანალიზებული ეგვიპტური მასალა გვეკარნახობს, რომ ე ხმოვნის ნაცვლად ა უნდა იყოს. ა ბგერის ჩასმით Sekhem გადაიქცევა Sakhem-ად (Sekhem < Sakhem). მიღებული ფორმა შეესაბამება სიტყვა „სახის“ ერგატიული ბრუნვის ფორმას – „სახემ“.

სემანტიკური კავშირები ქართველურ „სახესა“ და ეგვიპტურ Sekhem/Sakhem-ს, ანუ „სიცოცხლის ნაპერწკალს“ შორის რთული რელიგიური რწმენის ლაბირინთებშია ჩაფლული, სადაც შემოქმედმა ღმერთმა საკუთარი ცეცხლოვანი ენერჯითა და სიცოცხლის ნაპერწკლით საკუთარი ხატი შვა. შემოქმედის უშუალო კავშირი თავის ხატთან, ანუ სახესთან გადმოცემულია სახელის ქართველური ბრუნვის ფორმითაც – ერგატიული Sekhem/Sakhem. თუ ეგვიპტუ-

რი Sekhem/Sakhem-ის მნიშვნელობას („სიცოცხლის ნაპერწკალი“) არქეტიპულ მნიშვნელობასთან ერთად სინტაგმატურ დონეზე განვიხილავთ, აღმოჩნდება, რომ იგი არაორაზროვნად მიუთითებს მზე-ლმერთისგან გადმოსულ იმ ცეცხლოვან, სიცოცხლის მოძვემ ნაპერწკალზე, რომელიც ღვთიური შემოქმედების დასაწყისში საკუთარი ხატის შესაქმნელად გადმოვიდა.

ნარმოდგენილი რეკონსტრუქციის (Sekhem < Sakhem) ქეშმარიტება მთელი რიგი სხვა ეგვიპტური სახელებითაც დასტურდება. ერთერთი მათგანი არის ქალღმერთ Sekhet-ის სახელი (Budge 1971:30), რომელიც ისეთსავე სტრუქტურას ააშკარავებს, როგორც „სიცოცხლის ნაპერწკალი“. ორივე სახელის შემადგენლობაში შედის ძირი Sekh(e)+განსხვავებული თანხმოვნები -მ ან -ტ (Sekhe+m-Sekhe+t). განსხვავებული ბოლოკიდური თანხმოვნების მოთავსება იდენტურ ფონეტიკურ გარემოში მიუთითებს ტ ელემენტის სუფიქსურ სტატუსზე სიტყვაში Sekhet. მართლაც, ეგვიპტური -ტ ქართველური ვითარებითი ბრუნვის დაბოლოებას -დ (-ად) შეესაბამება და სახელის სტრუქტურას იმავე ბრუნვის ფორმით ნარმოადგენს: Sekh-ed > sakhe-d. მეტიც, ქართველური ფორმა ეგვიპტურის სტრუქტურასაც კი გვთავაზობს, რის შედეგად Sekhet-ის მორფემული შედგენილობაა Sakhe-d („სახე-დ“). მიუხედავად განსხვავებული ბოლოკიდური თანხმოვნებისა, რომლებიც Sekhem და Sekhet-ს განსხვავებული სახელების იერს აძლევს, ისინი არსებითად ერთი და იმავე სახელს ნარმოადგენენ და ერთი ქართველური არქეტიპის („სახე“) სხვადასხვა ბრუნვის ფორმებიდან მომდინარეობენ. შესაბამისად, ორივე სახელის სტრუქტურული მოდელი აიგება როგორც Sekhem = სახე+მ და Sekhet = სახე+დ.

არსებობს მეორე შესაძლებლობაც, კერძოდ, სუფიქსური -ტ ეგვიპტურში შესაძლოა, მოქმედებითი ბრუნვის -თ-საც შეესაბამებოდეს. ამ შემთხვევაში ბოლოკიდურა -et სიტყვაში Sekhet ქართველური მოქმედებითი ბრუნვის ნიშნის -ით შესუსტებული ვარიანტი იქნება.<sup>45</sup> ასეა თუ ისე, ეგვიპტური სახელის არქეტიპი ორივე შემთხვევაში ერთი და იმავე ქართველური ეტიმონია. განსხვავება მხოლოდ არქეტიპის სხვადასხვა ბრუნვის დაბოლოებაში მდგომარეობს (დ-ტ, თ-ტ), რომელთა შორის არსებული შესაბამისობა იმდენად ხშირია, როგორც გენეტიკურად დაკავშირებული ენების, ისე ერთი ენის დია-

<sup>45</sup> საინტერესოა, რომ ქართველური სახელის ბრუნვის სისტემაში, ერთი მხრივ, მიცემითი (-ს) და მიმართებითი (ვითარებითი) (-დ) და, მეორე მხრივ, ნათესაობითი (-ის) და მოქმედებითი (-ით) (დანყებითი), ერთმანეთის მონაცვლე ბრუნვებია, სადაც ნათ. -ის=მოქმ.-ით, რომელიც -იდ სუფიქსიდან მომდინარეობს. (მარი 1925:17-29; ჩიქობავა 1939:173-176); თოფურია 2002:46). მოქმ. ბრუნვის განვითარების ეტაპი, ანუ იდ>ით, არ ეწინააღმდეგება ნარმოდგენილ ანალიზს, ვინაიდან ეგვიპტური t შესაძლოა ნარმოადგენდეს, როგორც მჟღერ (დ), ისე ყრუ (თ) ფონემას..

ქრონიული განვითარების მანძილზე, რომ აღნიშნული შესაბამისობანი ეგვიპტური და ქართველური სიტყვების იგივობას უფრო დამაჯერებელსა და სარწმუნოს ხდის.

როგორც აქამდე განხილული ლექსემების შემთხვევაში, ქართველური „სახე“ სხვა სახელებშიც ფიგურირებს. ასე მაგალითად, „სიკვიდლისა და ჭირის მომტანი ქალღმერთის“ სახელია Sakhmet (Clark 1991:183). სახელი ორი კომპონენტისგან შედგება: Sakh+met და ორივე ქართველური არქეტიპებიდან მომდინარეობს: პირველი „სახიდან“ ძირისეული ა ხმოვნის შენარჩუნებით, ხოლო მეორე ნევრი კი განუსაზღვრელობითი რიცხვითი სახელიდან „მეტი“. ეს უკანასკნელი ქართული ასომთავრული „ღანის“ გამოსახულების (ⴌ) მქონე ეგვიპტური რიცხვითი სახელია (რიცხვი 10), რომელიც არქეტიპული გრაფიკის მეშვეობით სამყაროს უხილავი შემოქმედის ხატის კოდია. ეგვიპტური და ქართველური მნიშვნელობების სინთეზი არაორაზროვნად მიანიშნებს „სამყაროს შემოქმედი უხილავი ღმერთის სახის მრისხანე იპოსტასზე“.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ სახელის (Sakhmet) მეორე კომპონენტს (met) კიდევ ერთი შესაძლო არქეტიპი გააჩნია. ესაა ქართული მესამე პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელის მრავლობითი რიცხვის ფორმა („მათი“). ამ შემთხვევაში Sakhmet-ის მნიშვნელობა იშიფრება როგორც მათი სახე. თუ წინა შემთხვევების მსგავსად, ქართველურ „მეტსა“ და „მათს“ პოლივალენტურ (ორნევრა) არქეტიპად ჩავთვლით, მათი მნიშვნელობების ჯამი (სახე+მათი+მრავალი) ღმერთის მიერ საკუთარი მსგავსებით შექმნილი ხალხის მრავალფეროვნებაზე მიუთითებს. ამიტომ დავასკვნით, რომ ეგვიპტური „ლექსემების“ თანხმოვანოტაცია არის პოლივალენტური, ანუ მრავალნევრა არქეტიპების გენერირების საშუალება, რომელსაც ეგვიპტური დამწერლობა მხოლოდ ქართველურ ენობრივ სისტემასთან ურთიერთობისას ამჟღავნებს.

## 26. თხზული სახელების ლინგვისტური და კულტუროლოგიური ანალიზი

საინტერესო შემთხვევას წარმოადგენს ხეფრენის ვაჟის სახელი Sakhemkari (მიაქციეთ ყურადღება ქართველური „სახეს“ ზუსტ გახმოვანებას), რომელიც კომპოზიტია და შედგება ორი ქართველური სიტყვისგან: „სახე“ და „მყარი“. სახელში სპეციფიკური ქართველური თანხმოვანი, პოსტველარული ხშული ყ ველარული გლოტალიზებული კ თანხმოვნით არის წარმოდგენილი – ერთადერთი უმნიშვნელო ფონეტიკური ცვლილება, რომელიც ეგვიპტურმა სიტყვამ განიცადა. ქართულში „მყარი“ ზედსართავი სახელია და ნიშნავს „მტკი-

ცეს, მაგარს, მკვიდრს, ურყევს (ხასიათი)". თუ ქართველურ მნიშვნელობებს ეგვიპტურ Sakhemkari-ს მივუსადაგებთ, მივიღებთ ხეპრენის ვაჟის, როგორც მტკიცე ხასიათის მქონე პიროვნების, ან მტკიცე გამომეტყველების მქონე ადამიანის დახასიათებას. საინტერესოა, რომ ხეფრენის ვაჟის სახელი ქართველურისთვის დამახასიათებელი პოსტ-პოზიციური ნიშნის ატრიბუტულ სინტაგმაზეა აგებული (არსებითი+ზედსართავი) ისევე, როგორც „სვეტი ნათელი, ზღვა მღელვარე", და ა.შ. ამით ნათელი ეფინება იმ გარემოებას, რომ გადამნერებს ქართული ლექსიკის, ფონოლოგიისა და გრამატიკის არა მხოლოდ მშობლიური ენის მსგავსი ცოდნა ჰქონდათ, არამედ ერთი და იმავე ქართველური სიტყვის სხვადასხვა ფორმების მოხერხებულად და ეშმაკურად დამალვაც ხელეწიფებოდათ.

მსგავსი მოვლენის მონმენი ვხდებით რთულ (ფრაზული) რელიგიურ ტემინში ānkhet of maāt (მაატის ანკჰეტი), რომელიც თავზე ჰორუსის გამოსახულებით იწერება და პაპირუსის 815-ე პარაგრაფშია ნახსენები (Budge 1934:281). ეს ეგვიპტური რთული სახელი უკვე გაანალიზებულ სამ ქართველურ არქეტიკას იყენებს: ანი, ხატი და მათი, რომელთა შეერთების საფუძველზე ვღებულობთ: „მათი (ნაიკითხე: ქართველის) ანის (მთვარის ღმერთის) ხატი". მართლაც, ქართული ასომთავრული „ანი" ქართველთა ანბანის მთვარის ღმერთის ჭეშმარიტი ხატია!

## 27. ტოპონიმების ლინგვისტური და კულტუროლოგიური ანალიზი

ღვთაებრივი სახელების გარდა, ქართველური „სახის" სემანტიკა სულ მცირე რამდენიმე ტოპონიმს უდევს საფუძველად, რომელთა ამგვარი გამოყენება უეჭველად მათ არქეტიკულ მნიშვნელობას უნდა უმადლოდეს. სხვაგვარად, კომპოზიტ ტოპონიმში ქართველური „სახე" აღნიშნავს ადგილს, რომელიც მეორე კომპონენტის მნიშვნელობის ხატია.

ჩატარებული გამოკვლევისა და ეგვიპტური ღვთაებრივი თუ სამეფო სახელებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სახელს Sekhet-Hetep (hetep, Budge 9178:518). მისი მნიშვნელობაა ელისეს მინდვრები – ადგილი, სადაც ყველა მიცვალებული ცდილობდა მოხვედრას მას შემდეგ, რაც წარმატებით გაივლიდა ოსირისის სახლის 21 დაფარულ კარიბჭეს (Budge 1971:54). საანალიზო კომპოზიტის პირველი კომპონენტი Sekhet ქალღმერთ Sekhet-ის ზევით განხილული სახელის ანალოგიურია და მომდინარეობს ქართველური „სახის" ვითარებითი ან მოქმედებითი ბრუნვის ფორმიდან (სახედ/სახით).

ეგვიპტური სახელების შედარებითი გამოკვლევის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ტოპონიმის მეორე შემადგენელი სიტყვა *hetep* ორი ელემენტის ერთობლიობაა: *het+ep*. პირველი კომპონენტი წარმოდგენილია ქართველური ძირით „ხატი“, სადაც უცნობი ხმოვნის (e) ნაცვლად ა ხმოვანი აღდგება: ხატი > *hat*. მეორე ელემენტი *-ep* აბსტრაქტული სახელების მანარმოებელი ქართველური *-ებ-* ა სუფიქსია. მივიღეთ ქართველური „ხატიდან“ ნანარმოები აბსტრაქტული სახელი ხატ-ებ-ა, რომელიც ეგვიპტური *hetep*-ის ეტიმონია. ეგვიპტური *Sekhet-Hetep*-ის ორივე კომპონენტის სემანტიკის შეერთებით მივიღებთ ქართველურ არქეტიპულ ფორმას სახით/სახედ ხატება, რაც ღმერთის სახის ქონას, ანუ ღვთაებრივი ხატის ფლობას ნიშნავს.<sup>46</sup>

*Sekhet-Aaru*, (ვარიანტული დაწერილობა *Aanru*, Budge 1934:352), ანუ ლერწმის მინდორი, გაანალიზებული *Sekhet-Hetep*-ის, „ელისეს მინდვრების“ მეორე სახელია. „ერთი ძლიერ ადრეული რწმენის მიხედვით, გარდაცვლილი მიემართება *Sekhet-Aaru*-ს რეგიონისკენ, სადაც იგი ცხოვრობდა ისე, როგორც სიცოცხლის დროს. XI დინასტიის კუბოს ნახატზე არხებით დასერილ ადგილს გარს წყლის ნაკადულები არტყია და ფრიად წააგავს დელტაში გავრცელებულ კარგად მოვლილ მიწის ნაკვეთებს. აქ მაცხოვრებლებსაც ისეთივე სურვილები და მოთხოვნილებები ჰქონდათ, სჭირდებოდათ ისეთივე საჭმელ-სასმელი, ანუ კვერები და ლუდი, როგორც სიცოცხლის დროს“ (Budge 1971:70).

სახელის ლინგვისტური გამოკვლევის დაწყებამდე უნდა აღინიშნოს ქვესკნელთან დაკავშირებული ეგვიპტური რწმენის მსგავსება ქართველურთან:

„სვანთა რწმენის მიხედვით, სიცოცხლე და სიკვდილი მინიერი სიცოცხლის იდეალიზებული ხატი იყო და გარდაცვლილის სული, რომელიც სიცოცხლეს ქვესკნელში განაგრძობდა, მის ორეულს წარმოადგენდა... ცოცხალი ადამიანის მსგავსად, ორეულს სჭირდება საკვები, ჩასაცმელი, მონადირეობა და საშინაო ცხოველები, ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რაც მას ამქვეყნად სჭირდება“ (ბარდაველიძე 1957:162).

ქვესკნელის იდენტურ გაგებას *Sekhet-Aaru*-ს ლინგვისტური ანა-

<sup>46</sup> შეადარეთ აგრეთვე ეგვიპტელი ფარაონების *Amenhotep I, II, III, IV*-ის სახელს, რომელიც კვლავ ორი ქართველური სიტყვისგან შედგება: *amen*, რომელიც მომდინარეობს ქართველური ნაცვალსახელიდან *ამან+hotep*, სადაც მეორე წევრი ქართველური „ხატება“. სიტყვების შეერთებით ვიღებთ სახელის *Amenhotep* მნიშვნელობას, როგორც *ამან+ხატება*, ანუ ეგვიპტურ-ქართული ზიარი სემანტიკით ამ (მზელმერთის) ღმერთის ხატება, რაც სრულად აირეკლავს ეგვიპტელი ფარაონების მრწამსს მათი მზიური წარმომავლობის შესახებ.

ლიზიც აძლიერებს. ქართველურ და ეგვიპტურ რწმენებზე დაყრდნობით, ქვესკნელის გეოგრაფია, Sekhet-Hetep და ზევით განხილული მისი ქართველური მნიშვნელობები Sekhet-Aaru-ს პირველი კომპონენტის არქეტიპის ძიებას უბრალო იდენტიფიკაციის აქტად გადააქცევს. Sekhet-Aaru-ში სიტყვა Sekhet წარმოადგება ქართველური სიტყვიდან სახით/სახედ. Sekhet-Hetep-ის მნიშვნელობა: „ღვთაებრივი ხატის სახით“, ანუ „ღმერთი და ღმერთის სახით (ან ხატი)“, ტოპონიმის მნიშვნელობას ღვთაებრივი სახის მქონე კურთხეული ველ-ის სახით ჩამოქნის.

ამგვარი ანალიზის შემდეგ ტოპონიმები Sekhet-Hetep და Sekhet-Aaru უკვე განხილული ეგვიპტური სიცოცხლის, სიკვდილისა და აღდგომის ციკლთან ერთიანდებიან და ააშკარავენ, რომ Sekhet-Hetep და Sekhet-Aaru, სინამდვილეში, ცოცხალთა სამყაროა, უფრო ზუსტად კი აღმდგარი სიცოცხლის ღვთაებრივი ველია. შესაბამისად, Sekhet-Hetep და Sekhet-Aaru, რომელსაც, XI ან XII დინასტიებიდან მოყოლებული, ხატავდნენ როგორც დელტის ტიპიურ მამულს, წარმოადგენს მკვდრეთით აღდგომის კონკრეტულ ფორმას, საკუთარ მამულში, სახლ-კარში დაბრუნებას. ესაა მიზეზი, რომლის გამოც მიცვალებული ასე ძლიერ ილტვოდა მისკენ.

ქართველური სიტყვიდან („სახე“) მომდინარე მრავალ ტოპონიმთაგან აღსანიშნავია აბსტრაქტული სახელი Sakhîm (აგრეთვე Sakhabu, Budge 1914:44), რომელიც Hetep-ის (ხატი-ხატი-ებ-ა) სტრუქტურულ მოდელს ეყრდნობა. Sakhîm-ს არქეტიპია „სახება“ (სახ+ებ-ა). შესაბამისად, ეგვიპტური სახელის სტრუქტურა მოიცავს ორ ელემენტს Sakh+ib+m. ფორმულის პირველი ელემენტია ძირი Sakh < სახე პლუს აბსტრაქტული სახელების მანარმოებელი სუფიქსი -îb- < ებ-ა.

Sakhîm წარმოადგენს ქალაქს, რომელიც მზელმერთ რას პატივსაცემად აიგო. ტოპონიმის ეტიმოლოგიური მნიშვნელობა ააშკარავენს ქალაქის ბუნებას; კერძოდ, იმას, რომ იგი მზე-ღმერთის სახის მსგავსად იყო აგებული. ამ ფაქტს ეგვიპტური არქიტექტურა სრულად ადასტურებს. „უკანასკნელ ხანებში გასაგები გახდა, რომ ეგვიპტური ხელოვნება თითქმის მთლიანად სიმბოლურია. არქიტექტურული ორგანიზაცია და დეკორი ერთგვარ მითურ პანორამას წარმოადგენს. ეს პრინციპი უმცირეს დეტალამდე იყო დაცული; ყველაფერს მნიშვნელობა ჰქონდა ან შესაძლებელი იყო მათთვის მნიშვნელობის მიცემა. სვეტებს, კაპიტოლებს, კედლებს, ფანჯრის ჩუქურთმას, ნყალგაყვანილობას, კარიბჭეებს, საჩრდილობლებსა და ნმინდა ადგილებს – ყველაფერს გააჩნდა მნიშვნელობის მქონე ტრადიციული ფორმა, რომელთა დეკორაცია მითურ ან თეოლოგიურ სქემებს ასახავდა“ (Clark 1991:29). ეგვიპტური არქიტექტურული პრინციპებისა და ლინგვისტური კვლევის შედეგების გათვალის-



წინებით, სახელი Sakhībმ წარმოადგენდა მზელმერთ რას სახეს, ღმერთის იკონოგრამას, ანუ მზელმერთის ხატს, რაც ასე შესანიშნავად არის ჩამალული ქართულ სიტყვაში სახება > Sakhībმ.

წარმოდგენილი ანალიზი ნათლად უჩვენებს, რომ ოთხი ეგვიპტური რელიგიური ტერმინი (Khat, Ḥati, Sāḥu, Sekhem) ქართველური სინონიმური წყვილიდან („ხატი, სახე“) იღებს სათავეს. უფრო მეტიც, ისინი ქართველური სიტყვებისა და მათი მნიშვნელობების კრიპტოგრაფიული ჩანერის ისეთ მეთოდს გვაგონებენ, რომლის დროსაც ფონეტიკურად ნაკლები უცხოური წერის სისტემა (ამ შემთხვევაში ეგვიპტური იეროგლიფები) იქნა გამოყენებული.

ხ-kh, ხ-ḥ, ჯ-ḥ და ა.შ. რეგულარული ფონეტიკური შესაბამისობებისა და მათთვის დამახასიათებელი არქეტიპულ-სემანტიკური ურთიერთობების აღმოჩენა, ტრადიციულად დაუკავშირებელ ქართველურ და ეგვიპტურ ენებს შორის, მიუთითებს არა მხოლოდ მათ შორის არსებულ გენეტიკურ ურთიერთობებზე, არამედ, რაც უფრო საინტერესოა, ისტორიული ენათმეცნიერებისთვის ცნობილი გენეტიკური ურთიერთობებისგან განსხვავებული მოდელების არსებობაზე.

წამოყენებულ დებულებას რეგულარული ხმოვანთმესატყვი-სობებიც (ა-ე) ამყარებენ, რადგანაც ისინი გვანვდიან უტყუარ ფაქტებს იმის შესახებ, რომ ეგვიპტური ენის ბგერათა სისტემა ე (e) ხმოვანს შეიცავდა. ეს შესწორება ძლიერ დაგვეხმარება ეგვიპტური ფონეტიკის უკეთ გაგებასა და ლექსემების გამოთქმის გასწორება-მოდულიკაციაში, რომ არაფერი ვთქვათ ეტიმოლოგიური ძირების აღმოჩენაზე.

სემანტიკური თვალსაზრისითაც, ქართველური და ეგვიპტური ენები შესასწავლი ერთეულების მნიშვნელობების ურთიერთშეთანხმება-შეესების ჰარმონიას ააშკარავენ, რომელიც ფართოდ სცილდება სემანტიკური კონტაქტებისა და სესხების ტრადიციულ გაგებას. ურთიერთდამატებითი, ურთიერთშემავსებელი და ინფორმაციული ურთიერთობები იმდენად ღრმად განლაგებულ შრეებამდე აღწევს, რომ მათ ფონზე გენეტიკური დამოკიდებულებები ძლიერ ახალბედად ჩანს.

ორი ენის მიერ გამომჟღავნებული უჩვეულო კავშირები მათ დამწერლობით სისტემებსაც მოიცავენ. გავიხსენოთ, რომ Khetm-Ḥw/Sen-ის ინსიგნია, სიმბოლო, რომელმაც წინამდებარე თავში წარმოდგენილი ენობრივი მასალის ანალიზი გამოიწვია, იეროგლიფია და, ამდენად, დამწერლობის პირველი პიქტოგრაფიული ეტაპის საკუთრებაა - ეტაპისა, რომელსაც ეგვიპტელები ღვთიურ, ანუ საკრალურ წარმოშობას მიაწერდნენ. ო იეროგლიფი უბრალო საწერი ნიშანი არ არის; იგი ზამთრის ნაბუნობის ასტრონომიული ხატია. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ქართული ასომთავრული „ღონი“ არა

მხოლოდ ანბანური განვითარების ფონეტიკური პრინციპის მატარებელია, არამედ მზის ეკლიპტიკაზე მოძრაობის „ხატიცაა“, მისი „სახეა“, მაშინ დონი პიქტოგრამაც ყოფილა. ეგვიპტური „ხატის“ სანინალმდეგოდ, ასომთავრული „დონი“ ზეციური მზეა, – მზე თავისი მოძრაობის უმაღლეს ნერტილში ზაფხულის კულმინაციისას.

წარმოდგენილი ანალიზი უფლებას გვაძლევს განვაცხადოთ, რომ ქართული ასომთავრული ანბანის, ქართველური ენებისა და უძველესი ქართველური სამეცნიერო სკოლის მიღწევების საშუალებით, ფარდა ეხდება ეგვიპტური Sāḥu-Khetm-ის ათასწლეულების მანძილზე დაფარულ და გასაიდუმლოებულ წარმომავლობას. ცხადი ხდება ისიც, რომ ეგვიპტური „შენ“, „ხატი“ და „სახე“, ყველა ქართველური ასომთავრული დონის განსხვავებული ქართული სახელებია, რომლებიც ქართული ღვთაებრივი ასომთავრული ანბანისა და ასევე, ეგვიპტური ღვთაებრივი იეროგლიფიკის შემქმნელებმა ეგვიპტურსავე ცივილიზაციას მიაბარეს შესანახავად.

აღფრთოვანებას იწვევს ის ფაქტი, რომ ეგვიპტელებმა, ოდითგანვე მიღებული კულტურული (რელიგიური, სადამწერლობო და სხვა) სისტემა ეგვიპტელებმა თითქმის ხელშეუხებლად შეინახეს ათასწლეულების მანძილზე. ქართული „დონი“, ანუ Khetm-წივ/სენ = შენ ხატი მთელი ეგვიპტური ცივილიზაციის არსებობის ხანაში გვხვდება: არქაული პერიოდიდან რომაული პერიოდის დასასრულამდე (ძვ. წ. 4 ს.) და ყველგან ფიგურირებს, პირამიდების ფრესკებსა თუ საოქრომჭედლო ხელოვნებაში. დონ-ხატს ვხედავთ მრავალი ღვთაებისა და ზოომორფული ღმერთის ხელში, რომელთა ილუსტრაციებიც ზევით უკვე იყო წარმოდგენილი. აქ მხოლოდ ორ დამატებით ილუსტრაციას გთავაზობთ (ილ. 11, 12; გვ. 530).

ქართული ასომთავრული „დონის“ მსგავსად, ეგვიპტური Khetm („ხატი“), წივ/სენ („შენ“), და Sāḥu („სახე“) მრავალპრიანი სიმბოლოებია, რომელთა ერთობა (დონი+ეგვიპტური ხატი) მოიცავს უზარმაზარ ასტრონომიულ ინფორმაციას – მზის სისტემის ცოდნის, მზის ნლიურ მოძრაობის და მისი ძირითადი ფაზების შესახებ. თუ „დონი“ არის პლანეტა მზე ზაფხულის ნაბუნობისას, „ხატი“ (Khetm) პლანეტა მზეა ზამთრის ნაბუნობის ფაზაში. თუ „დონი“ საშუადლეო კულმინაციაა, „ხატი“ (Khetm) საშუალო კულმინაციის ფაზაა.

რელიგიურადაც, თუ „დონი“ ზეციური მზე და მიწიერი სიცოცხლის წყაროა, მაშინ „ხატი“ (Khetm) ქვესკნელური მზეა და იქაური სიცოცხლის წყაროსთვალთა. ეს ასტრონომიული, რელიგიური და ლინგვისტური მახასიათებლები აშენებენ ეგვიპტური გეოგრაფიის ფერთა საფუძველს და მის სიმბოლიკასაც ხსნიან. ქვედა ეგვიპტეს, დაბლობებისა და დელტის ტერიტორიას, შავ მიწას უწოდებდნენ, მაშინ, როდესაც ზედა ეგვიპტე წითელ მიწას წარმოადგენდა. პირ-

ველს ეკუთვნის ქვესკნელური სიმბოლო  $khetm$  (Ω), ხოლო მეორეს – ქართული ასომთავრული „დონი“ (ⴓ). ორივე ქვეყნის გაერთიანება, რასაც ეგვიპტელი ფარაონები მუდამ ელტვოდნენ, გამოწვეული იყო არა მხოლოდ პოლიტიკური და ეკონომიკური მიზეზებით, არამედ რელიგიური მიზნებითაც, რის საფუძველზეც, მზის მთლიანი ორბიტა აღდგებოდა და მოქმედებაში მოიყვანდა მათი რელიგიის უძირითადეს კონცეფციას აღდგომის შესახებ. ამის შემდეგ გასაოცარი არ არის, რომ ამ ორი სიმბოლოსა და მათი შესაბამისი მინების ერთიანობამ შექმნა ცივილიზაცია, რომელსაც დღესაც აღფრთოვანებაში მოვყავართ.

ქართული ასომთავრულის მკაცრ ლოგიკასა და ჰარმონიაზე დაყრდნობილმა უკიდევანო თუ უსაზღვრო მეცნიერულმა და კულტუროლოგიურმა ცოდნამ შვა ეგვიპტური  $Khetm$ - $\xi nw/Sen$  სიმბოლო, უბოძა მას ღვთაებრივი სტატუსი და დაანესა როგორც ეგვიპტური ფილოსოფიისა თუ სანერი სისტემის ერთ-ერთი ცენტრალური ნიშანი. სამყაროსეული ფენომენების შესახებ არსებული ცოდნის პყრობამ  $Khetm$ - $s\dot{a}h\dot{u}$ -ს გამოსახულება უაღრესად დიდი მნიშვნელობის სიმბოლოდ გადააქცია, რამაც, თავის მხრივ, იეროგლიფის მრავალათასწლიანი მდგრადობა განაპირობა.

ცხადია, რომ ეგვიპტელი ფარაონები მზის ეკლიპტიკაზე მოძრაობის ქვედა კულმინაციური ფაზის გრაფიკულ ხატს – ქართული ასომთავრული „დონის“ ინვერსიულ გრაფემას – „ხატს“ უწოდებდნენ და ამავე გრაფემა-იეროგლიფის შიგნით თავიანთ სახელს წერდნენ, საკუთარი ეთნოსისა და წარმომავლობის უკვდავსაყოფად?!

ეგვიპტური ცივილიზაციის აღშენებაში შეტანილი საკუთარი გასაოცარი ღვანლის გაცხადების უზრუნველსაყოფად, ეგვიპტელმა ღმერთებმა და ფარაონებმა მკაცრ რელიგიურ რწმენად დაუტოვეს მომავალ ერებსა თუ თაობებს თავისი მკვდრეთით აღდგენის მისტერია, რომელიც მათთვის ისეთივე ცხადი იყო, როგორც ატენის (ათენის) აღმოსვლა მისი საშუალამო ან ზამთრის კულმინაციიდან ჯერ აისის მზედ, შემდეგ კი დონის ზეციურ ბრწყინვალეობად; მაგრამ ეს აღდგომა არ მოხდება მანამ, სანამ დღევანდელი ცივილიზაცია ეგვიპტური სამყაროს შემქმნელთა სახელებს სწორად არ ამოიკითხავს, რაც ჯერ-ჯერობით მიუღწეველ ამოცანად რჩება ტრადიციული ეგვიპტოლოგიისთვის.

რაც 250 წლიანმა მეცნიერებამ ვერ შეძლო, ქართველურმა მასალამ გადაჭრა. ყოველ ეჭვს გარეშე იქნა დემონსტრირებული, რომ სახელთა სწორი გახმოვანებისა და მთელი რიგი ეგვიპტური ტერმინების შინაარსობრივი გაშიფვრის კოდი ქართველური ენებისა და კულტურის სიღრმისეულ შრეებშია მიძინებული. ზედაპირზე წამოწევისას, ქართველურ-ეგვიპტურ მსგავსებათა უჩინარი და ხილული

მონაკვეთები უწყვეტ ნაკადად მოედინება და ერთადერთ აზრად ყალიბდება:

უძველესი ეგვიპტური ცივილიზაციის მზიური წარმომავლობის ფარაონ-კულტურტრეგერებმა ისესხეს(?) და გამოიყენეს მთელი რიგი ქართველური სიტყვები არა მხოლოდ იმისთვის, რომ დასაბამი მიეცათ ახალი კულტურის განვითარებისთვის, არამედ იმისთვისაც, რომ თავისი მზიური წარმომავლობის შესახებ მიენიშნებინათ ის, რაც წარსულის ფაქტია, ანმყოს საიდუმლოებაა და მომავლის გაცხადებაა. ამ საიდუმლოების გასაღები ეგვიპტური ენობრივი მასალის სწორი წაკითხვაა. მხოლოდ ასე ალაპარაკდებიან გარდასულ დღეთა „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“ და შეძლებენ მკვდრეთით აღდგომას, საკუთარი ბრწყინვალე ცხოვრების მართალი ამბის მოსაყოლად.

**დავასკენით:** ეგვიპტურ იეროგლიფიკაში არსებული სამეფო ბეჭდის და/ან ინსიგნიის გამოსახულება Khetm-Šiw/Sen წარმოადგენს ქართული ასომთავრული „დონის“ მზის ეკლიპტიკაზე მოძრაობის ქვედა კულმინაციურ ხატს; ეგვიპტური Khetm-Šiw/Sen ქართველური კულტურიდან არა მხოლოდ გრაფიკულ სათავეებს იღებს, არამედ ამოდის იმავე ქართველური ენობრივი წიაღიდან; „დონის“ ეგვიპტური დასახელება, სინამდვილეში, ქართველური ხატია, სახეა, რომელიც არაორაზროვნად მიუთითებს მის ასტრონომიულ ბუნებასა და ეგვიპტურში დამკვიდრებულ მნიშვნელობაზე – „ის, რაც გარს შემოიწერება“.

სწორედ ასეთი უსაზღვრო, სამყაროსეული კავშირი განსაზღვრავდა ქართველურ-ეგვიპტური ხატ-დონის არა მხოლოდ ქრონოლოგიურ, არამედ სივრცულ და კულტურულ განფენასაც; ესაა მასშტაბები, რომელთა დანახვა არც თუ ისე იოლი საქმეა, მეცნიერებაში დღესდღეობით გაბატონებული აღწერითი მეთოდების გამოყენებისას.

წარმოდგენილი დასკვნა, რბილად რომ ვთქვათ, ტრადიციული ეგვიპტოლოგიისა და პრეისტორიული ცივილიზაციის კვლევის ყველა აღიარებულ დებულებას ეწინააღმდეგება, რაც მისი (გამოტანილი დასკვნის) სისწორის კულტუროლოგიური და ენობრივი მონაცემების მრავალჯერად გადამოწმებას მოითხოვს. ქართული ასომთავრული „დონის“ ყოველმხრივ შესწავლას ცალკე მონოგრაფია დაეთმობა. აქ კი მისი გავრცელების კიდევ ერთ დამატებით ფაქტს შემოგთავაზებთ: ეს, შუამდინარული სამყარო გახლავთ.



## ნაწილი V

მესოპოტამია და ქართული  
ასომთავრული ღონი



## 1. შესავლის ნაცვლად

შუამდინარული ცივილიზაცია, რომელიც ეგვიპტურთან შედარებით რამდენიმე საუკუნით უფრო ძველია, მრავლად გვთავაზობს ქართული ასომთავრული „დონის“ სიმბოლურ ხატებას. ილუსტრაციებისა და მათი ანალიზის წარმოდგენამდე, პატარა ექსპერიმენტი მსურს შემოგთავაზოთ: მკითხველს ვთხოვთ, წარმოიდგინოს ჩვენი ასომთავრული „დონის“, მზელვთაების ზესკნელური გამოსახულება (⊙), როგორც საგანი, გაკეთებული, მაგალითად, ოქროსგან ან რომელიმე სხვა ძვირფასი მეტალისგან და სცადოს, ხელში (არა თითებით) მოხერხებულად დაიჭიროს; ახლა, წრე შემოხაზოს ამ ხელით.


ალბათ მიხვდით, თქვენ ახლახან მზის ხატი, ქართული ასომთავრული „დონის“ მეშვეობით, მზის მოძრაობის ერთნაირი ხილული ციკლი, მთლიანი ეკლიპტიკა თვალის დახამხამებაში დაფარეთ, ესაა ცოდნა, რომელიც „დონისა“ და „ღანის“, როგორც მზის უჩინარ ეკლიპტიკაზე მოძრაობის, გასაიდუმლოებულ ურთიერთობებშია კოდირებული და, რომელიც უკვე ნახსენები ქართული ტაძრების აგებისა და შემკობის პრინციპებს იმეორებს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მისი დღევანდელი პოლიტიკური საზღვრებიდან შორს, ერაყში ინანას ტაძრის ფასადის არქიტექტურაში, (ილ. 13, გვ. 532).

კვლავ შეასრულეთ წრიული მოძრაობა „დონით“, მხოლოდ ისე, რომ ნიშნის ჰორიზონტალური ხაზი გარე კიდეს წარმოადგენდეს; მოძრაობა მაშინ შეაჩერეთ, როდესაც მკლავი ჰორიზონტალურ მდგომარეობას მიიღებს, რადგანაც თქვენ გაზაფხულის ბუნიობის ფაზას მიაღწიეთ; გააგრძელეთ წრიული მოძრაობა და შეჩერდით მაშინ, როდესაც ხელი ვერტიკალურ მდგომარეობას მიაღწევს; ახლა მზე-დონმა წლის ნახევარი გზა დაფარა და ზაფხულის ნაბუნიობაშია; კვლავ განაგრძეთ წრიული მოძრაობა, სანამ მკლავი გაზაფხულის ბუნიობის სანინალმდეგო ჰორიზონტალურ მდგომარეობაში არ მივა; ახლა შემოდგომაა და მზე შემოდგომის დღელამსწორობის ფაზაშია; განაგრძეთ წრიული მოძრაობა ქვევით მანამ, სანამ ხელი კვლავ ვერტიკალურ მდგომარეობას არ დაუბრუნდება. ვფიქრობთ, მიხვდით, რომ თქვენ ახლახან მზის ეკლიპტიკაზე მოძრაობის ოთხივე ფაზა აამოქმედეთ. საოცარია, რა მარტივი ყოფილა ხელის ოდნავი მოძრაობით მზის მთლიანი ეკლიპტიკური ბრუნვის ამოქმედება! ცოცხლდება ქართული ხალხური ზღაპრის სტრიქონები: აატრიალებ – ცაში აფრინდება, ჩაატრიალებ და – ქვესკნელში ჩახვალ.

ახლა შეხედეთ აქადელთა უდიდესი ღმერთის, შამაშის, გამოსახულებას და დააკვირდით, თუ როგორ უკავია მას ეგრეთწოდებული „ჯოხი და რგოლი“, ინგლისურად: „the rod and ring“ (სურ. 25, გვ. 426). იგივეა, ხომ?!



სურ. 25 ბაბილონის მეფე ნაბუ-აპლა-იდინა მზის ღმერთის შამაშის წინაშე. ძვ. წ. 860-850 წწ., სიპარი, ლონდონის მუზეუმი.



სურათზე აღბეჭდილი ქვის ფირფიტა ბრიტანეთის მუზეუმში ინახება. იგი დათარიღებულია ძვ. წ. 860-850 წლებით და აღმოჩენილია ქალაქ სიპარში, ასურული მზეღმერთის შამაშის ტაძარში. სიპარი უდიდესი მნიშვნელობის რელიგიური ცენტრი გახლდათ. ბეროსუსის მიხედვით, ეს იყო ქალაქი, სადაც ქალდეველთა ნოე, სისითრუსი (იგივე ზიუსუდრა, ანუ ბიბლიური ნოე) ცხოვრობდა. იგი კრონოსმა მოსალოდნელი წარღვნის შესახებ გააფრთხილა და უბრძანა, დაენერა ყოველი არსებულის დასაწყისი, განვითარება, დასასრული და დაეფლა მზის ქალაქ სიპარში. აი, აქ იქნა აღმოჩენილი სურათზე გამოხატული ქვის ფირფიტა.

ექსპონატისთვის განკუთვნილი ანოტაცია გვატყობინებს: „ქვის ფირფიტაზე აღბეჭდილია საჩრდილობლის ქვეშ მჯდომარე შამაში, მზე-ღმერთი, რომელსაც ხელთ „ჯოხი და რგოლი“ უპყრია. ეს სიმბოლო მესოპოტამიაში ღვთაებრივ ავტორიტეტს განასახიერებდა. მისი სკამი ხარ-კაცებს უკავიათ, რომლებიც აისის კარიბჭეს აღებენ. შამაშის თავზე მზის, მთვარისა და ვენერას სიმბოლოებია გამოსახული. მზის დისკო სამსხვერპლოზე ღმერთის ორ ღვთაებრივ მსახურს უჭირავს.

ბაბილონის მეფე ნაბუ-აპლა-იდინა, რომელსაც წინ ღმერთი და ღმერთქალი მიუძღვებიან, მარცხნიდან მოემართება. წყალი და ვარსკვლავები ზეციური ოკეანის ანუ აფსუსს გამოხატველია“.

## 2. ჯოხი და რგოლი და ძარბოვანი ასომთავრული დონი

მესოპოტამიურ ცივილიზაციაში „ჯოხი და რგოლი“ ერთ-ერთი ყველაზე ხშირად ხმარებადი და ყველაზე ძნელად გასაშიფრი ინსიგნიაა. იგი გვხვდება ძვ. წ. 2500 წლიდან პირველი ათასწლეულის ნეო-ასურულ იმპერიამდე. სიმბოლო აღნიშნავს ღვთაებრივ ავტორიტეტს, ძალაუფლებასა და მეუფებას.

ტერმინი „ჯოხი და რგოლი“, როგორც ამას მკითხველიც ადვილად მიხვდება, აღწერითი ხასიათისაა. ეს გამონვეულია იმით, რომ მესოპოტამიური ღვთაებრივი ავტორიტეტის სიმბოლოს სახელი შუმერულ და აქადურ ტექსტებში ღიად დაფიქსირებული არ არის. აი, რას წერს ერთ-ერთი ცნობილი შუმეროლოგი ე. დუგლას ვან ბურენი: „ამ საგნებს ხსნიან, როგორც საზომ ჯოხსა და ზონარს, აქედან, მეტაფორული გადატანის გზით, – როგორც სამართლიანობის სიმბოლოს,¹ თუმცა რგოლს ზონრისთვის დამახასიათებელი დრეკადობა საერთოდ არ გააჩნია. ის მეტალისგან უნდა ყოფილიყო დამზადებული, ვინაიდან, სიმტიკიცის გამო, ნებისმიერ მდგომარეობაში სრულყოფილი რგოლის ფორმას ინარჩუნებდა... მასალის ანალიზი გვაგვარაუდებინებს, რომ სიმბოლო აღნიშნავდა ღვთაებრივ ძალაუფლებას ან მეფობას და ამიტომ ნებისმიერ დიდ ღვთაებას შეიძლება, სჭეროდა ხელში“ (Van Buren 1945:155-158).

სამწუხაროდ, დაახლოებით 50 წლის შემდეგ, ასირიოლოგია კვლავ უძღურია, შუქი მოჰფინოს „ჯოხისა და რგოლის“ სიმბოლოს საიდუმლოებას. თვითონ განსაჯეთ: „ადრეინასტიური ხანის საეჭვო გამოსახულებების გამოკლებით, 'ჯოხისა და რგოლის' ღვთაებრივი ატრიბუტი გვხვდება შუმერული რენესანსიდან ნეოასირიულ პერიოდამდე. ფიქრობენ, რომ იგი საზომი ინსტრუმენტის წყვილია, საზომი წკირი და ბაბთაა, რომელიც ღვთაებრივი სამართლიანობის აღმნიშვნელია. აქედან გამომდინარე ვარაუდობენ მის განსაკუთრებულ მიმართებას ღმერთ შამაშთან (უთუ). თუმცა, ზოგჯერ 'ჯოხი და რგოლი' გამოიყენება, როგორც ბუნი და მძივის აცმა. ცხადია, რომ ისინი მალაღი რანგის ღვთაების ზოგადი მაჩვენებლებია, ვინაიდან ყველა ძირითად ღმერთსა და ქალღმერთს შეიძლება, ეპყრას ხელთ. ნეოასურულ რელიეფებზე მალტაიში, ღმერთებს 'ჯოხი და რგოლი' უკავიათ, ხოლო ქალღმერთებს – რგოლი ჯოხის გარეშე, შესაძლოა მძივის აცმაც“ (Black, Green 1992:156; ხაზგასმა ჩვენია – ა. მ.).

როგრც ვხედავთ, ასირიოლოგიას „ჯოხისა და რგოლის“ პრობლემის გადაწყვეტაში შესამჩნევი პროგრესი არ განუცდია. უფრო მეტიც, მკვლევრებმა მისი დასახელების დადგენაც ვერ შეძლეს. სახელი კი მას, რა თქმა უნდა ჰქონდა, რადგან წარმოუდგენელია, ღვთაებრივი ინსიგნიის უსახელობა.

„ჯოხი და რგოლი“ ქართველთათვის საკმაოდ ნაცნობი სიმბოლოა, არა მისი შუმერული მნიშვნელობის გამო, არამედ იმიტომ, რომ იდენტური სიმბოლო პირველი ქართული ანბანის მეოთხე ასო-ნიშანს წარმოადგენს. მკითხველს შევახსენებთ, რომ ქართული ასო-ნიშანი „დონი“ ზაფხულის ნაბუნიაობის, მისი უმაღლესი კულმინაციური

¹ სიტყვას *rod* ინგლისურში „შოლტის, წკეპლის“ მნიშვნელობაც აქვს. აქედანაა სამართლიანობის ცნება, ჩადებული „დონის“ პორიზონტალურ ხაზში.

მდგომარეობის სახეა, პიქტოგრამაა, უფრო ზუსტად კი ასტრო-გრაფა და მოიცავს მზის მოძრაობის მთლიან ასტრონომიულ ცოდნას ყველა ძირითადი ფაზის ჩათვლით.

ქართულ ასომთავრულ ანბანში კოდირებული საკრალური ცოდნით აღჭურვილი ადამიანისთვის, „ჯოხისა და რგოლის“ ღვთაება მზე-დონთან, კერძოდ, მის საგაზაფხულო დღელამსწორობის ხატთან გაიგივება, ინსიგნიის ხელთპყრობის შესაბამისად, ცხადზე ცხადია. შემოთავაზებულ ექსპერიმენტშიც, როდესაც, მარჯვნივ მიმართული წრიული მოძრაობისას, „დონი“ ჰორიზონტალურ ფაზამდე აღწევს, იგი შუმერული „ჯოხისა და რგოლის“, ანუ საგაზაფხულო დღელამსწორობის ფაზის ანალოგიაა. ამიტომ, სიმბოლო, რომელიც მზე-ღმერთ შამაშს უპყრია, უბრალო „ჯოხი და რგოლი“ კი არ არის, არამედ საგაზაფხულო დღელამსწორობის ასტრონომიული ხატია.

„დონის“ ღვთაებრიობის ინსიგნია მხოლოდ ასურეთის ხანას არ განეკუთვნება. გთავაზობთ ბაზალტის ქვაზე ამოკვეთილ გამოსახულებას, სადაც ღმერთი შამაში, რომელსაც კვლავ ქართული ასომთავრული „დონი“ უპყრია ხელთ, კანონების კოდექსს გადასცემს ჰამურაბის, ძველი ბაბილონური სამყაროს ერთ-ერთ უდიდეს მონარქს (სურ. 26, გვ. 429). ჰამურაბი ცხოვრობდა XVIII საუკუნეში ძვ. წ. (1792-1750 წწ.), ე.ი. ასომთავრული „დონის“ ეს გამოსახულება ზემოთ განხილულ ქვის ფირფიტას სულ ცოტა 1000 წლით წინ უსწრებს.

ქალდის ურის III დინასტიის მეფის ურ-ნამუს სტელაში, მზე-დონი სულ ცოტა 400 წლით უფრო ხანდაზმულია, ჰამურაბის სტელასთან<sup>2</sup> შედარებით (სურ. 27, იქვე).

შემდეგი ილუსტრაცია წარმოგვიდგენს აქადელთა უძლიერეს ღმერთს – მარდუქს, თავის განუყრელ გველეშაპთან ერთად. ღმერთს გაზაფხულის ბუნიობის იგივე ასტრონომიული ხატი უპყრია ხელთ (სურ. 28, გვ. 430): „წარწერის მიხედვით, ბეჭედი ოქროს ჩარჩოში უნდა ჩაესვათ და ღვთისთვის კისერზე ჩამოეკიდათ, ე.ი. უნდა მიემაგრებინათ ღმერთის ქანდაკებისთვის მარდუქის ტაძარ ესაგილაში, რომელიც ბაბილონში მდებარეობდა“ (Black, Green 1992:129).

უაღრესად საინტერესოა ღვთაებათა საკრალურ პროცესიაში მონაწილეობის კომპოზიცია, რომელიც „ასურეთიდან ზემო ზებისკენ მიმავალ გზაზე, დეპოკის ხეობის სამხრეთით, მალტაის კლდის რელიეფებზეა გამოსახული და ოთხი ერთნაირი პანელიდან ყველა-


<sup>2</sup> ურ ნამუს ცხოვრებისა და მოღვაწეობის ზუსტი თარიღი უცნობია. ზოგი მეცნიერის ნაშრომში ვხვდებით ძვ. წ. 2113-2096 წწ. (*Cambridge Ancient History*, V. 1, Part 2, 1971:998), ზოგში – ძვ. წ. 2168-2151 წწ. (Stephanie Dalley, *Myths from Mesopotamia*, 1991:41), ხოლო სერ ეოლის ბაჯს ეს სტელა ძვ. წ. 2300 წლით აქვს დათარიღებული (Sir E.A. Wallis Budge, *Babylonian Life and History*. ილუსტრაცია გარეკანის შიდა გვერდზე).

ზე კარგად არის შემონახული. ასურელი მეფე, სავარაუდოთ სენაპერიბი (მეფობდა ძვ. წ. 704-681 წწ.), აგვირგვინებს ცხოველებზე შემდგარი შვიდი ღვთაების პროცესიას, რომელშიც, ალბათ (მარცხნიდან მარჯვნივ) გველეშაპსა და ლომდრაკონზე აშურია ამხედრებული, მისი თანამეცხედრე მულისუ ლომზე ზის, ენლილი, ანუ სინი ლომდრაკონზე დგას, ნაბუ – გველეშაპზე, შამაში – ცხენზე, ადადი – ლომდრაკონსა და ხარზე, ხოლო იშტარი – ლომზე“ (Black, Green 1992:108). პროცესიის მონაწილე ზოგ ღვთაებას ჯოხი და რგოლი უკავია, ზოგს კი მხოლოდ რგოლი (სურ. 29, იქვე):

მიუხედავად იმისა, რომ ილუსტრირებულ მასალაში აღბეჭდილი „ჯოხი და რგოლი“ გაზაფხულის ბუნიობის ხატია, ის მაინც არ წარმოადგენს ერთადერთ სიმბოლოს, სადაც ქალდეველმა ქურუმ-ასტონომებმა მზის ეკლიპტიკური მოძრაობის საკუთარი ცოდნის კოდიფიკაცია მოახდინეს. აქვე, შემოდგომის ბუნიობის გამოსახულებაც ხშირად გვხვდება. ნიმრუდში (ძველი კალპუ) ნაპოვნი ბეჭედი წარმოგვიდგენს ღმერთ აშურის წინ მუხლმოყრილ მლოცველს; ღმერთს ხელთ უპყრია „ჯოხი და რგოლი“, რომელიც შემოდგომის დღელამსწორობის ფაზას გამოსახავს (სურ. 30, იქვე).



სურ. 26. ბაბილონის მეფე შამურაბი იღებს კანონთა კოდექსს მზე-ღმერთ შამაშისგან. ძვ. წ. XVIII ს., ლონდონის მუზეუმი.



სურ. 27. ურ ნამუს სტელა ქალდეისურიდან, ძვ. წ. 2200 წ., აღმოაჩინა სერ ლეონარდ ვულიმ 1922 წელს ქალდეისურის გათხრებისას, პენსილვანიის უნივერსიტეტის მუზეუმი, № 141417.



სურ. 28. „ღმერთი მარდუქი და მისი გველეშაპი (მა-  
შუშუ). ლილაქვის დიდი ბეჭდის ნაწილი, რომელიც  
მარდუქს მეფე მარდუქ-ზაკი-შუმი I-მა (მეფობდა ძვ.  
წ. 854-819 წწ.) მიუძღვნა. აღმოჩენილ იქნა ბაბილონ-  
ში, პართული პერიოდის პურის მცხოვლის სახლში“  
(Black, Green 1992:129).



სურ. 29. რელიეფი მალტაიდან (Black, Green 1992:40).



სურ. 30. „მუხლმოყრილი მლოცველი ღმერთ აშურის წინაშე (უკან დგას ამინდის  
ღმერთი ადადი; Black, Green 1992:161).

### 3. რგოლ-სვეტები და ძარბოული ასომთავრული დონი

უამრავმა ბეჭედმა შემოგვინახა ე. წ. „რგოლ-სვეტების“ გამოსახულებები, რომლებიც მზის ეკლიპტიკური ბრუნვის არაძირითად ფაზებს ირეკლავს. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ „რგოლ-სვეტები“ „ჯოხისა და რგოლის“ წინამორბედი სიმბოლოა. მოგვიანო ვარიანტის მსგავ-



სურ. 31. რგოლ-სვეტი, ანუ მზის სწრაფვა ზაფხულის ნაბუნობისკენ (Van Buren 1933, ილ. V, სურ. 19).

სად, „რგოლ-სვეტები“ ღვთაებრივ ძალაუფლებასა და მეუფებას განასახიერებენ. „რგოლ-სვეტები“, „ჯოხისა და რგოლის მსგავსად“, აღწერილი სახელწოდებაა, ვინაიდან ნამდვილმა დასახელებამ ჩვენამდე ან არ მოაღწია, ან არც იყო დაფიქსირებული წერილობით წყაროებში. ალბათ ზედმეტია იმის გამეორება, რომ უმაღლესი შემოქმედებითი ძალის განმასახიერებელი უსახელო ღვთაებრივი ინსიგნია არ არსებობს. სურათი 31 გვიჩვენებს ე. წ. „რგოლ-სვეტს“, რომელიც საკრალური სცენის მარჯვნივაა გამოსახული. რგოლის განლაგება სვეტის თავთან ასტრონომიულ ინფორმაციას შეიცავს; კერძოდ, მზემ უკვე გაიარა საგაზაფხულო დღელამსწორობის ფაზა და ზაფხულის კულმინაციისკენ მიისწრაფვის.

ზოგჯერ ერთი და იგივე კომპოზიციაში ასტრონომიული ცოდნის განსხვავებული მონაკვეთებია გადმოცემული. სურათი 32 (გვ. 433) წარმოადგენს ბეჭდის ასლს ბრიტანეთის მუზეუმიდან. „გამოსახულების გარშემო განლაგებული სამფენა მდინარე მკაფიოდ იკითხება. კომპოზიციაში მაღალ პოსტამენტზე დგას მარცხნივ მზირალი ღმერთი... ხატის ორივე მხარეს ორი შიშველი მცველია; ორივეს სიმეტრიულად განლაგებული კულულები და სამმაგი სარტყელი არტყია, ორივეს გრძელი სვეტი უჭირავს მათი დამახასიათებელი რგოლითა და ნახევარწრიანი კვანძით თავზე. ისინი ერთმანეთის ორეულები არიან და შეიძლება მუდმივ მეგობრებთან – თამუზსა და ნინგიზიდასთან გავაიგივოთ“ (Van Buren 1933:38). „რგოლ-სვეტებთან“ იდენტიფიცირებული ეს ორი სვეტი ოთხკუთხედი წყლის ნიაღში მდგომ ღმერთ ეას ორივე გვერდს უმშვენებს. მათ მიერ გადმოცემული ასტრონომიული ინფორმაციის წაკითხვა დამოკიდებულია იმაზე, თუ ეკლიპტიკის რომელ უკიდურეს ზღვრად (შიდა თუ გარეთა) მივიჩნევთ სვეტებს. თუ სვეტები ეკლიპტიკური გზის შიდა კიდედ მივიჩნევთ (რაც უფრო ესდაგება მოცემულ კომპოზიციას), მაშინ

მარჯვენა სვეტის რგოლის პოზიცია გვაუწყებს, რომ გაზაფხულის ბუნიობა დიდი ხნის განვლილი ფაზაა და მზე ზაფხულის კულმინაციას უახლოვდება. შესაბამისად, მარცხენა რგოლ-სვეტის მიერ გადმოცემული ცოდნა გვატყობინებს, რომ მზემ დატოვა ზაფხულის ნაბუნობის ფაზა და საშემოდგომო დღელამსწორობისკენ მოძრაობს.

ცილინდრული ფორმის ბეჭდის შემდეგი ილუსტრაცია ნარმოგვიდგენს ღვთაებათა ორ ჯგუფს და არნივ ანზუს. ეს ორი ჯგუფი ერთმანეთისგან გაყოფილია სვეტით, რომლის ბოლოში ნახევარწრეები ისეა განლაგებული, რომ მათმა ერთობლიობამ წრე შექმნას. ეს ეშმაკურად შესრულებული გამოსახულება ფაქტობრივად ორივე დღელამსწორობის ფაზას აერთიანებს და გრაფიკული თვალსაზრისით რამდენიმე დონეზე იკითხება, რადგანაც თითოეული დონე შესაბამისი ეზოთერული და ასტრონომიული ინფორმაციით შემოდის. გრაფიკული თვალსაზრისით, ერთდროულად, საქმე გვაქვს ნახევარწრეებთან და წრესთან, რაც ასტრონომიული კუთხით შეესაბამება მზის მდებარეობას ზამთრის კულმინაციის დროს. სვეტის, ანუ ვერტიკალური სწორის მეშვეობით გადმოცემული ეკლიპტიკის მარცხენა მხარეს მოთავსებული ნახევარწრე აღნიშნავს მზის ქვედა კულმინაციასთან სიახლოვეს, მაშინ, როდესაც, სვეტის მარჯვნივ განლაგებული ნახევარწრისთვის ზამთრის ნაბუნობა განვლილია და მზე საგაზაფხულო დღელამსწორობისკენ მოძრაობს.


სურათის ჩვენეული ნაკითხვა იმითაც დასტურდება, რომ ნახევარწრეები სვეტის მარცხნივ და მარჯვნივ არიან მიმაგრებულნი და არა სვეტის თავსა და ბოლოზე, რითაც გამოსახულება კულმინაციის ფაზების შესაბამის სახეს მიიღებდა. როგორც ვხედავთ, არქაული პერიოდისა და კიშში ნაპოვნ ცილინდრულ ბეჭდებზე აღბეჭდილი გამოსახულებები ერთმანეთის საპირისპირო ასტრონომიულ ცოდნას ასახავენ (სურ. 33, გვ. 433):

გაანალიზებული ცილინდრული ბეჭდები არ წარმოადგენენ ერთადერთ მაგალითს, როდესაც შუმერელი ხელოვანი მსგავს და უფრო რთულ კოსმიურ ცოდნას საკუთარი ნამუშევრის მეშვეობით გადმოგვცემენ. კირქვაზე გამოსახული რელიეფი ურიდან აღწერს კურთხევის სცენას (სურ. 34, იქვე; Van Buren 1933, ილ. 1, სურ. 2). საკურთხევის გვერდით განლაგებული კარის ორივე მხარეს აღმართულია რგოლ-სვეტები. წარმოდგენილი კვლევის შუქზე მარცხენა რგოლ-სვეტის იდენტიფიკაცია ზაფხულის ნაბუნობის შემდგომ ფაზასთან (სვეტი, ისევე როგორც წინა შემთხვევებში, ეკლიპტიკის შიდა კიდედ არის მიჩნეული) არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს, მაშინ, როდესაც მარჯვენა სვეტის მოხაზულობა ოდნავ განსხვავებულია. რგოლი განლაგებულია ორ ჰორიზონტალურ სვეტს შორის, რომელთაგან მარჯვენა, კარის უკიდურესი ელემენტია. ორ



სურ. 32. თამუზსა და ნინგი-  
ზიდას(?) უპყრიათ მზის ას-  
ტრონომიის გამომხატველი  
რგოლ-სევეტები. არქაული პე-  
რიოდი (Van Buren 1933, ილ. III,  
სურ. 10).

სურ. 33. ცილინდრუ-  
ლი ბეჭედი კიშიდან.  
ამშოლენის მუზეუმი  
(Van Buren 1933, ილ. II,  
სურ. 5).



სურ. 34. ცარცის რელიეფი ურიდან  
(Van Buren 1933, ილ. I, სურ. 2).

სურ. 35. „ღმერთი ეა აბუს ნყლის  
ნიაღში იღებს მეორე ღმერთს, ალბათ  
შამაშს. აქადური პერიოდის ცილინ-  
დრული ბეჭედი ურიდან“ (Black, Green  
1992:27).





სწორს შუა განლაგებული რგოლი ეკლიპტიკის აბსტრაქტული გზის ორ კიდეს შორის მოთავსებულ მზეს განასახიერებს. შედეგად, კარის უბრალო სვეტებიანი ნახაზი გარდაიქმნება მზის სისტემის სტრუქტურის ნაწილად, გასაიდუმლოებული ასტრონომიული ცოდნით. რგოლ-სვეტი, რომელიც მზის სისტემის ქრონოლოგიურად ადრეული გამოსახულებაა, მოგვიანებით „ჯოხისა და რგოლის“ უფრო მცირე, მარტივი და გაცილებით მოსახერხებელი ვარიანტით იცვლება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სვეტების სიგრძისა და რგოლის დიზაინის მიხედვით (წრე, ნახევარწრე), „რგოლ-სვეტები“ და მათი განსხვავებული გამოსახულებანი ერთი და იმავე ასტრონომიული ცოდნის განსხვავებულ ასპექტებს განსხვავებული სისრულით გადმოსცემენ. ასე მაგალითად, სვეტისა („რგოლი და სვეტი“) და ჯოხის („ჯოხი და რგოლი“) განსხვავება სიგრძეში ეკლიპტიკის განსხვავებული მონაკვეთების სიგრძეა, რაც მათ გაიგივებას ვერ ეწინააღმდეგება.

შუმერული ინსიგნიისა და ქართული ასომთავრული „დონის“ შემოთავაზებული იდენტიფიკაცია დამატებით მტკიცდება საჩრდილობლის ფორმით, რომლის კუთხეები რგოლებით არის დამშვენებული. „დონის“ ანბანური გრაფიკის მიხედვით, წრე და ოთხკუთხედი ერთი და იმავე კოსმიური ფენომენის (ეკლიპტიკის) განსხვავებული ფორმებია, რის გამოც, „დონის“ ეზოთერული გეომეტრია ცილინდრის კომპოზიციას კითხულობს, როგორც „საკუთარი კოსმიური გზით გარშემორტყმულ წყლის ნიაღში მჯდომარე ღვთაებას (სურ. 35, გვ. 433).

მზის განსხვავებული ფაზების აღმნიშვნელი ბეჭდების ასლის ერთ-ერთი ყველაზე მომაჯადოებელი თვისება მათი დამზადების წესშია ჩადებული. სასურველი გამოსახულების მისაღებად, თიხაზე ბეჭდის საწინააღმდეგო სახე უნდა იყოს ამოტვიფრული. სხვაგვარად, გაზაფხულის დღელამსწორობის ხატის მისაღებად ამოტვიფრული უნდა იყოს საშემოდგომო დღელამსწორობის გამოსახულება და პირიქით, საშემოდგომო ბუნიობა მისი საწინააღმდეგო ფაზით გამოიხატება. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ მზის მოძრაობის სხვადასხვა ფაზა, ეკლიპტიკა და მთლიანი სავალი გზა განსხვავებულად შეიძლება იქნას გადმოცემული, ისინი



სურ. 36. ნაყოფიერების ღმერთ ინანას მზის ქვედა კულმინაციური ხატი უპყრია ხელთ, ბრიტანეთის მუზეუმი.

მაინც ერთი და იმავე ასტრონომიული სისტემის შემადგენელი ნაწილებია.

გაანალიზებული შემთხვევების გარდა, მზის მოძრაობის კულმინაციური, ანუ ზაფხულისა და ზამთრის ნაბუნობის ფაზებიც მრავლად არის შუმერულ ხელოვნებაში წარმოდგენილი. დააკვირდით 36-ე სურათს (გვ. 434), სადაც ქალმერთ ინანას „ჯოხი და რგოლი“ ისე უჭირავს, რომ იგი მზის ქვედა კულმინაციურ ხატს, ანუ ზამთრის ნაბუნობას წარმოადგენს.

განხილული მასალა არ ტოვებს არავითარ ეჭვს, რომ ხელოვნება შუმერელი „ველდასხმული“ ქურუმებისთვის იყო გზა, არხი თუ საშუალება, დაეფიქსირებინათ და თაობებისთვის გადაეცათ თავიანთი სამყაროსეული ცოდნა.

*მაგრამ, რატომ ვერ ვხედავთ მეოთხე, ანუ ზაფხულის ნაბუნობის ფაზას?*

#### **4. ნაყოფიერების ლარნაკი და ქართული ასომთავრული დონი**

ზაფხულის ნაბუნობის ხატითაა გამსჭვალული შუმერული და აქადური ხელოვნება. სპეციალური ნიგნებია მიძღვნილი ამ ასტრონომიული ფენომენის განსხვავებული სიმბოლოებისადმი, მაგრამ მკვლევრებს ერთხელაც არ შეჰპარვიათ ეჭვი, რომ თურმე, ფაქტობრივად, ერთი და იმავე გამოსახულების ორეულებს სწავლობდნენ. არქიტექტურული ორნამენტი „მჩქეფარე ლარნაკი“ ათასწლეულების მანძილზე მშვიდად მალავდა მზის უმაღლესი კულმინაციის ხატს. ვან ბურენი ლარნაკს ასე აღწერს: „ლარნაკი, რომლიდანაც წყალი მოსჩქეფს და ყოველმხრივ გადმოდინდება, ისე მჭიდროდ არის დაკავშირებული ღმერთთან, რომლის სხეულიდანაც წყლის ნაკადები მოთქრიალებს, რომ სინამდვილეში, ისინი კეთილი ღვთაების ერთ განუყოფელ მთლიანობას, ერთ კონცეფციას ქმნიან, ნაყოფიერების წყალს მიმოაფრქვევენ ადამიანებსა და ბუნებაზე. „მჩქეფარე ლარნაკი“ უფრო რთული კომპოზიციის – ღვთაებრივი სიკეთის გარეგნული და ხილვადი კურთხევის საოცარი ნიშნის შეკვეცილ სიმბოლოდ შეიძლება იქნეს მიჩნეული... განასხვავებენ კომპოზიციის სამ სქემას, ანუ ტიპს: (1) ქანდაკებები და მცირე ზომის სტატუეტები, რომლებსაც ხელში ლარნაკი უპყრიათ, მაგრამ წყალი არ მოსჩქეფს; (2) ცალკეული ფიგურები, რომლებსაც მჩქეფარე წყლიანი ლარნაკი უჭირავთ ხელთ; (3) იგივე ლარნაკი ნაკადთან მოთამაშე თევზებით, რითაც ხაზგასმულია წყლის მაცოცხლებელი ძალა. პრინზი განას-

ხვავეს დამატებით სამ ტიპს: (1) წყლის ნაკადები ღვთაების მხრებიდან და მკერდიდან მოსჩქეფს; (2) ხშირად ღმერთის მიერ ხელთპყრობილი 'მჩქეფარე ლარნაკიდან' მცენარე ამოიზრდება; (3) ღმერთს უპყრია მლოცველისკენ განვდილი ლარნაკი ან მცირე ზომის თასი(?) ... უნდა გვახსოვდეს, რომ მჩქეფარე ლარნაკი ყოველთვის ღვთაებას ან ნახევრად ღვთაებას უკავია, მაგრამ არასდროს – მოკვდავს; და აგრეთვე ის, რომ წყალმჩქეფარე ლარნაკი ყოველთვის ერთი და იმავე სახისაა; იგი არასოდეს ხდება ფინჯანი, სასმელი ჭიქა ან პირგახსნილი ვაზა, ყოველთვის წარმოადგენს პირგაშლილ არიბალოსის მსგავს ჭურჭელს, რომელსაც ზოგჯერ მსხვილი, ხელის მოსაკიდად საკმარისი სიმაღლის მოხდენილი ყელით ან მრგვალი, მოკლე და ხელის გულზე მოხერხებულად მოსათავსებელი მსხვილი ტანით გამოსახავდნენ" (Van Buren 1933, 1-2; ხაზგასმა ჩვენია – ა. მ.).

„ჯოხისა და რგოლის“ და „რგოლ-სვეტების“ სიმბოლოთა მსგავსად, ასირიოლოგია, „მჩქეფარე ლარნაკის“ სახელწოდების პირველი დეშიფრირებიდან, სამწუხაროდ, შორს ვერ წავიდა, რაც, სხვათა შორის, აგრეთვე აღწერილი ხასიათისაა. ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ, 1992 წელს გამოცემულ *An Illustrated Dictionary. Gods, Demons and Symbols of Ancient Mesopotamia*-ის ავტორები ჯ. ბლეკი და ა. გრინი სიმბოლოს შესახებ ფაქტობრივად იმავე ინფორმაციას იმეორებენ: „საგანი, რომელსაც „მჩქეფარე ლარნაკის“, ანუ „ნაყოფიერების ლარნაკის“ სახელით ვიცნობთ, მრგვალი ტანის, მოკლე ყელის, გაფართოებული პირის დოქია, რომლიდანაც ნაკადულები მოედინება. ზოგჯერ წყლის ნაკადის გასწვრივ მცურავი თევზებია გამოხატული, ზოგჯერ მხოლოდ თევზები, თუმცა წყლის თანხლებაც იგულისხმება. ხელოვნებაში იგი ('მჩქეფარე ლარნაკი' – ა. მ.) ფართოდ არის გავრცელებული ადრეული ისტორიული ხანიდან აქამენიდურ პერიოდამდე. ჭურჭლის აქადური სახელი ალბათ, „ჰეგალუ“ („სიმრავლე“) იყო.

აქადურსა და ნეოასურულ ხანაში ლარნაკი ზოგჯერ წყლის ღმერთ ენქის (ეას) უპყრია. აღნიშნულ პერიოდში, ისევე, როგორც მოგვიანებით, იგი ყველაზე ხშირად ლაჰმუს ფიგურებს უკავიათ. როგორც ჩანს, ეს მოტივი ეასა და აბზუს არსებებთან ასოცირდება, რომელთა შორის ზოგჯერ ლაჰმუს უნდა ჩაითვალოს. ლარნაკი არ წარმოადგენდა რომელიმე კერძო ღვთაების სიმბოლოს, არამედ ღვთაებრივი და ნახევრად ღვთაებრივი არსებების ზოგადი ატრიბუტი გახლდათ, რომელიც ალბათ სიმრავლესა და ნაყოფიერებაზე მიუთითებდა“ (Black, Green 1992:184; ხაზგასმა ჩვენია – ა. მ.).

## 5. ქართული ასომთავრული დონის ლარნაკისეული ბრაზიკა

სანამ შუმერულ-აქადური ხელოვნების ილუსტრაციებს განვიხილავდეთ, რომლებშიც ადვილად ამოვიცნობთ ქართულ ასომთავრულ „დონს“, საჭიროა, ქართველური ასო-ნიშნის გრაფიკული ფორმები გავიხსენოთ. „დონი“ ორი ძირითადი მოდიფიკაციისაა: მრგვალი და კუთხოვანი. მრგვალი „დონი“ შეიძლება წარმოდგენილი იყოს ყელით ან უყელოდ. უყელო „დონი“ გამოყენებული აქვთ შუმერულსა და ეგვიპტურ ცივილიზაციებს როგორც დამწერლობაში, ისე ხელოვნებაში. სიმბოლოს გასაოცრად ზუსტი და მარტივი გრაფიკა მზის სისტემის უზარმაზარი, კონდენსირებული ასტრონომიული ცოდნის სამალავად გამოიყენებოდა. იგივე კოდური ფუნქცია ყელიან „დონზეც“ ვრცელდებოდა. მკითხველს ალბათ ახსოვს, რომ ეგვიპტურში ყელიანი „დონი“ სანერი ნიშანია. შუმერულში, ქართველურ ასო-ნიშანს განსხვავებული კულტუროლოგიური დატვირთვა გააჩნია; კერძოდ, – ლარნაკის მეშვეობით ნაყოფიერებისა და სიცოცხლის წყაროს განსახიერება. ამ ორი ელემენტის („დონი“ და „ლარნაკი“) იდენტიფიცირება ადვილი არ არის, მაგრამ არც შეუძლებელია. მათი იგივობა საკმაოდ გამჭვირვალე ხდება, როდესაც „დონის“ კალიგრაფიული დანერილობის სხვადასხვა ნიმუშებს ვუყრით თავს. ცხრილი 91 წარმოგვიდგენს საპაკდუხტის წარწერიდან ამოღებულ „დონსა“ და მის კონტურულ გამოსახულებას (პნკარები 2,3, და განსაკუთრებით 5):

### ცხრილი 91

#### დონი საპაკდუხტის წარწერიდან

დონი წარწერიდან	დონი კონტურით
ⴁ	ⴁ

სანერი ნიშნისთვის დამახიათებელი წმინდა გეომეტრიული მონახაზის გარდა, ქართული ხელნაწერები „დონის“ მხატვრული გადმოცემის უამრავ მასალას გვთავაზობენ. შემდეგი ილუსტრაცია ალებულია ერთ-ერთი ძველი ქართული ხელნაწერიდან, სადაც დონის სანერი ნიშნის სტატუსის არცოდნის შემთხვევაში, მისი ⴁ ლარნაკად მიჩნევა ადვილი შესაძლებელია (მაჭავარიანი 1982:67).

გვაქვს „დონის“ მხატვრული გრაფიკის



სურ. 37. „დონის“ მხატვრული გრაფიკა (მაჭავარიანი 1982:38, 101).

სხვა ნიმუშებიც, მაგრამ წარმოდგენილი მასალა, ვფიქრობთ, საკმარისია იმის დასადასტურებლად, რომ „დონის“ გრაფიკა წმინდა გეომეტრიული დიზაინიდან ძლიერ რთულ არტისტულ გამოსახულებებამდე ვარიირებს. „დონის“ გრაფიკის ზოგიერთი ნიმუში, განსაკუთრებით მისი საზედაო ფორმები (მაჭავარიანი 1982:99-101), შეგვიძლია უყოყმანოდ მივაკუთვნოთ ანბანური ხელნერის შედეგებს (სურ. 37, გვ. 437).

ახლა „დონის“ გამოსახულებები ერთმანეთის გვერდით დავალაგოთ:

### ცხრილი 92

#### ქართული ასომთავრული დონის გრაფიკა

უყელო	ყელიანი	საპაკდუხტის ნარწერა	დონი-ლარნაკი
ო	ბ	გ    ვ	ტ

შევაერთოთ შუმერული „მჩქეფარე ლარნაკისა“ და ქართველური „დონის“ ფორმები:

### ცხრილი 93

#### ქართული ასომთავრული დონი და მჩქეფარე ლარნაკი

ქართული ასომთავრული დონი				შუმერული
უყელო	ყელიანი	საპაკდუხტის ნარწერა	დონი- ლარნაკი	მჩქეფარე ლარნაკი
ო	ბ	გ    ვ	ტ	ჭ

93-ე ცხრილი ნათელყოფს, რომ „მჩქეფარე ლარნაკი“ უფრო მეტ მსგავსებას ამჟღავნებს „დონის“ ჩვეულებრივ გეომეტრიულ ფორმასთან, ვიდრე ლარნაკის არტისტულ დიზაინთან. მართლაც, ამ ორი შუმერული და ქართველური ვაზიდან ქართულ „დონს“ უფრო შეეფერება სახელი „ლარნაკი“, ვიდრე მის შუმერულ მენყვილეს. ამ უკანასკნელის ლარნაკთან გაიგივება, ფორმისა და მხატვრული კონტექსტის საფუძველზე, სავსებით ბუნებრივია, ვინაიდან, არქაული ხანის გამოსახულებებში ანბანურ-გეომეტრიული ნიშნების არსებობა (თანაც მათი შენიღბული ფორმით) დაუფერებელი ფენომენია. მაგრამ ფაქტი ჯიუტია და მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა: „რგოლ-სვეტისა“ და მისი შემდგომი განვი-

თარების სიმბოლოს („ჯოხი და რგოლი“) მსგავსად, „მჩქეფარე ლარნაკი“ ქართველური „დონის“ გადმოცემის განსხვავებულ სტილსა და „უანრს“ წარმოადგენს. შუმერული ღვთაებრივი გამოსახულებები და ინსიგნია სხვა არა არის რა, თუ არა ყელიანი და უყელო „დონის“ ვარიანტული განმეორება.

მიუხედავად ამისა, მათი გრაფიკული და სემანტიკური ურთიერთობის აღმოჩენა და შეცნობა ქართული ასომთავრული ანბანისა და მისი ეზოთერული ცოდნის გარეშე შეუძლებელია. ეს ის ცოდნაა, რომელიც კოდირებულია არა მხოლოდ ინდივიდუალურ გრაფემებში, არამედ მთლიანად ანბანშიც.

„დონის“ და „მჩქეფარე ლარნაკის“ იგივობა უფრო მკაფიო და დამაჯერებელი ხდება, როდესაც ქართველურ და შუმერულ ნიშნებს მეორე ათასწლეულის გვიანი ხანის კასიტების „მჩქეფარე ლარნაკის“ გამოსახულებას შევუდარებთ  $\overline{\text{𐎠}}$  (სურ. 36, გვ. 434). შუმერული „მჩქეფარე ლარნაკისგან“ განსხვავებით, კასიტური კომპოზიციის ლარნაკი უფრო გეომეტრიულია, რამაც მათ შორის არსებული კავშირები გააფერმკრთალა. ქართული ასომთავრული დონის გრაფიკული მრავალფეროვნება იგივეობრიობის დარღვეულ ბალანსს აღადგენს. იგი თავის ორბიტაში იზიდავს ორივე მესოპოტამიურ გამოსახულებას და შემაკავშირებელ რგოლად ჯდება მათ შორის (ცხრ. 94):

#### ცხრილი 94

#### ქართული ასომთავრული დონი და მჩქეფარე ლარნაკი

ქართული ასომთავრული დონი					შუმერული
უყელო	ყელიანი	საპაკდუხტის წარწერა	კასიტური დონი	დონი- ლარნაკი	მჩქეფარე ლარნაკი
ⵀ	ⵁ	ⵂ ⵃ	𐎠	𐎡	𐎢

„მჩქეფარე ლარნაკის“, მისი კასიტური ბეჭდისა და ქართული ასომთავრული „დონის“ ერთმანეთის გვერდით განლაგება ყოველგვარ ეჭვს აქარწყლებს მათი იდენტურობის თვალსაზრისით. ნიშნების გრაფიკული იგივობა ბიძგს აძლევს მათ შორის ინფორმაციულ ზიარებასაც. იმის გამო, რომ ქართული ასომთავრული „დონი“ არის პლანეტა მზე და თვით მზედმერთი, შუმერული და კასიტური ნიშნები იმავე ასტრონომიულ მნიშვნელობას იძენენ. შედეგად, სამივე სიმბოლო განასახიერებს სიცოცხლის ჭეშმარიტ წყაროს, ნაყოფიერების წყაროსთვალს, რომელიც კასიტურ ბეჭედზე მაცოცხლებელი



სურ. 38. ანზუ, როგორც წყლის სათავე. კასიტური ცილინდრული ბეჭედი (Annus 2002:125.)

მზის წყაროდან ამოსული სიცოცხლის ხის, ხოლო შუმერულ ბარელიეფებზე ლარნაკიდან მომდინარე მჩქეფარე წყაროს წყლის სახით არის გამოსახული. ა. ანუსის აზრით, კასიტურ ბეჭედზე აღბეჭდილი წყლის მიზეზი ფრინველი ანზუა. თუ ეს ასეა, შუმერულ-აკადური მითოლოგიის ერთ-ერთი უდიდესი და უძველესი ღმერთი ანზუ „დონის“ მეშვეობით ქართველურ სამყაროს უკავშირდება. მეტიც, მიუხედავად განსხვავებული სისტემებისა (პალეოგრაფია და მითოლოგია), ქრონოლოგიისა და ცივილიზაციისადმი (მკვდარი შუმერულისა და ცოცხალი ქართველურის) კუთვნილებისა, დონისა და ანზუს ზიარი ფუნქცია – სიცოცხლისა და ნაყოფიერების უზრუნველყოფა – მხოლოდ ბეჭედზე ნაჩვენები კომპოზიციით არ ამოიწურება.<sup>3</sup> მათი იდენტიფიკაცია გაცილებით რთული და ხლართიანი კავშირების სისტემას ეყრდნობა, რის გამოც, ამ საკითხზე შეჩერება აქ მიზანშეწონილად არ ვცანით. ჩვენთვის მთავარი ის არის, რომ მოტანილი მასალის ანალიზს დღის შუქზე გამოაქვს ის ძირითადი მიზეზები, რომლებიც „ჯოხსა და რგოლს“ და ეას ტახტის გარშემო მიმდინარე წყლის ნაკადებს აკავშირებენ.

ქართველური „დონის“ და შუმერული „მჩქეფარე ლარნაკის“ შედარებითი გრაფიკული და სემანტიკური ანალიზის შემდეგ, ჩვენ შეგვიძლია, „მჩქეფარე ლარნაკის“ მოტივის შემცველი განსხვავებული კომპოზიციების განხილვაზე გადავიდეთ. 39-ე სურათზე (გვ. 441) ნაჩვენებია ცალკე მდგარი ლარნაკი, ანუ, როდესაც იგი არც ღვთაებას და არც გმირს არ უჭირავს. კომპოზიცია წარმოადგენს მინაზე განლაგებულ ლარნაკთა მწკრივს, რომელსაც ოდნავ ზევით მეორე იდენტუ-


<sup>3</sup> ანზუსადმი მიძღვნილი ჩვენი გამოკვლევა ააშკარავებს მის ქართველურ წარმომავლობასა და „დონთან“ იგივობას მრავალი შუალედური რგოლის გავლით. აღნიშნულ საკითხზე ნაკითხულ იქნა მოხსენება საერთაშორისო კონფერენციაზე „Deutscher Orientalistentag, Institut für Orientalistik“, Martin Luther University, პალე-ვიტენბერგი, გერმანია, სექტემბერი, 2004.

რი მწკრივი მიუყვება. ყოველი ზედა ლარნაკი ქვედა ორ ლარნაკს შორის დატოვებულ სივრცეშია განლაგებული. „ზედა ლარნაკებიდან ორი ნაკადი ქვემოთ განლაგებულ ლარნაკებში მოედინება, რომლებიდანაც წყალი მიწაზე ანალოგიურად გადმოდინდება“ (Van Buren 1933:69).

შემდგომ ილუსტრაციაზე, სტეატიტის ლარნაკის ფრაგმენტზე ურიდან (სურ. 40), გამოსახულია შიშველი გმირი, რომელსაც სხვა გმირებთან ერთად ლარნაკი უპყრია ხელთ. მის ვინაობასთან დაკავშირებით აზრთა დიდი სხვადასხვაობა სუფევს; გმირს ლარნაკი ხელის გულებზე უსვენია, მაშინ, როდესაც მის ორივე მხარეს მყოფ დანარჩენ გმირებს ლარნაკები ყელით უჭირავთ. მეცნიერები ერთსულოვნად აღიარებენ, რომ ლარნაკი ნაყოფიერებისა და მჩქეფარე სიცოცხლის მომცემი წყლით სავსე ჭურჭელია.

იდენტური მოტივი, ე.ი. შიშველი გმირი ხელთპყრობილი მჩქეფარე ლარნაკით, აღბეჭდილია თიხის ფირფიტების მთელ სერიაზე. ანალოგიური გამოსახულებები ცნობილია ურიდან, ტელოდან და ერთი მაგალითი სუზადანაც გვაქვს. გმირს ხშირად აიგივებენ გილგამეშთან, მაგრამ, სამწუხაროდ, მის გილგამეშობაზე არანაირი მინიშნება არ არსებობს. მიუხედავად გმირის გაურკვეველი ვინაობისა, მისი კავშირი „დონ-ლარნაკთან“, მის ქართველურ წარმომავლობასა და მზიურ წინაპართან, წილნაყარ შთამომავლობაზე მიუთითებს.

„ნაყოფიერების ლარნაკი“ შეიძლება ქალღვთაებებსაც ეკავოთ. 442-ე გვერდზე მოცემულ ილუსტრაციაზე ნაჩვენებია ქალღვთაება, რომელსაც „დონი-ლარნაკისთვის“ ერთი ხელი „ყელში“ ნაუვლია, მეორის ხელისგულით კი იყრდნობს მას. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ლარნაკი გამანაყოფიერებელი სითხით არის სავსე (სურ. 41, იქვე).



სურ. 39. ფრაგმენტი ტელოდან. გუდეას მეფობის ხანა (Van Buren 1933, ილ. X, სურ. 34).



სურ. 40. სტეატიტის ლარნაკი ურიდან. აქადის პერიოდის დასასრული (Van Buren 1933, ილ. VIII, სურ. 30).





სურ. 41. მჯდომარე ქალღმერთის თაბაშირის ქანდაკი, რომელსაც უპყრია ხელთ ქართული ასომთავრული „დონი-ლარნაკი“. ისინისა ან ლარსას პერიოდი? (Van Buren 1933, ილ. XIII, სურ. 45).

ფრიად აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ლარნაკი შეიძლება ღვთაებათა ჯგუფსაც ეჭიროს, როგორც ეს გირსუში აღმოჩენილი ნინგირსუს ტაძრის აუზის რელიეფზეა ნაჩვენები, ან, როგორც ურუკის ინანას ტაძრის უზარმაზარი კედლის რელიეფურ ფასადზეა ამოკვეთილი.

გაანალიზებული მასალა სრულიად ნათლად გვიდასტურებს, რომ არქაული ხანიდან მოყოლებული, ასურულ პერიოდად, მესოპოტამიური ცივილიზაცია მზის ეკლიპტიკური მოძრაობის სისტემის შესახებ ზუსტ ასტრონომიულ ცოდნას ფლობდა; ეს ცოდნა მოხერხებულად შესრულებულმა კომპოზიციებმა შემოგვინახეს, რომლებითაც მთელი მესოპოტამიური ხელოვნებაა გაჟღერებული. მიუხედავად ამისა, უძველეს მეცნიერულ დაკვირვებათა შენახვა მზიური გამოსახულებების ერთადერთ ფუნქციას როდი წარმოადგენდა! უფრო მნიშვნელოვანი იყო ამ ცოდნის ავტორთა ეთნოსისა და წარმომავლობის გარკვეულ დრომდე გასაიდუმლოება და მათი უზარმაზარი საიდუმლოს გასაღების შენიღბვა ზაფხულის ნაბუნიაობის ხატში, რომელიც ქართულ ასომთავრულ „დონში“ არის დავანებული.

## 6. ქართველური წინასწარმეტყველება ასურულ ხელოვნებაში


ახლა ამ ილუსტრაციასაც მივაქციოთ ყურადღება (ილ. 14, გვ. 532)! მართალია, ჩარჩოს მიწამ სურათის ხარისხი ოდნავ გააუარესა, მაგრამ მაინც კარგად მოსჩანს ასურული ღმერთი, რომელიც საკუთარი დაუსაბამო მზიური წარმომავლობის მათემატიკურ, გეომეტრიულ და იეროგლიფურ-ანბანურ განსხეულებას თავად წარმოადგენს.

შუმერული მსოფლმხედველობრივი და ქართული ასომთავრული ანბანის ეზოთერული სისტემების სიცოცხლის დამბადებელი წყლისა და მზე ღმერთის ერთიანობა ასურული ღვთაების სხეული-

დან ოთხ სხივ-ნაკადად მოედინება (დონი=ოთხს). ზეაპყრობილი ორი „ხელით“ ქართული ასომთავრული „დონის“ ინვერსიული გამოსახულება და ეგვიპტური სამეფო ინსიგნია-იეროგლიფის „ხატი“ უპყრია ნიშნად ქვესკნელური მზის ზეობისა და ბრწყინვალეებისა, მაშინ, როდესაც ქვესკნელისკენ მიმართული დანარჩენი ორი ნაკადით, ქართული ასომთავრული „დონის“ ზეციური ღვთაებისა და ზედა კულმინაციური ხატის „დონის“ შემქმნელი ერის დღევანდელ დაფარულ, დაცემულ, „დამარხულ“ მდგომარეობას და მის აუცილებელ აღდგომას წინასწარმეტყველებს. საოცარია, რომ ეგვიპტური ოსირისი<sup>4</sup> და ასურულ დაფაზე გამოსახული მზე-დონის უკუშებრუნებული კულმინაციური ფაზების მდებარეობა მხოლოდ ერთადერთ ფენომენს ასახავს და ადასტურებს, – ეს გახლავთ იოანე ზოსიმეს *ქება* და *დიდება ქართულისა ენისა*, რომელიც დამარხული ქართული მზე-ენის (იხ. ქვევით) დღევანდლობისა და მომავლის წინასწარმეტყველური ხატია. ესაა ფაქტი, რომელიც ასეთივე სიზუსტით ქართული ხუროთმოძღვრების ნიაღშიც არის დაფიქსირებული (დავათის სტელა). მზე-დონის უკუშებრუნებული კულმინაციური ფაზები რამდენიმე ათასი წლის გრაფიკული წინასწარმეტყველებაა, რომელიც კაცობრიობის კულტურულ განვითარებას მუდმივად თანსდევდა.

არც ის იქნება უინტერესო, თუ მზეღვთაების ფონს მივაქცევთ ყურადღებას, რადგანაც იგი ზუსტად გამოსახავს ეკლიპტიკის გზას, მის კიდევს შორის მოქცეული და მასზე მოძრავი მანათობელი მზით, როგორც ეს უკვე ქართულ ხუროთმოძღვრებასა და ინანას ტაძრის ფასადში ვიხილეთ.

არქაულ სიმბოლოებში მზის სისტემის ძირითადი სტრუქტურის აღმოჩენა იმის უტყუარი დამამტკიცებელი მასალაა, რომ უძველეს შუმერებს, უძველესი ქართველური მეცნიერული სკოლის მსგავსად, მზის ყოველი შემობრუნებისა და მისი მთლიანი სისტემის ახსნა შეეძლოთ. 42-ე სურათი გვიჩვენებს კომპოზიციას – „ინანა ღებულობს თაყვანისცემას“ (Black, Green 1992:108). ინანა გარშემორტყმულია წრეების ჯაჭვით, რაც ნიკორნმინდის გუმ-



სურ. 42. ინანა თავის ასტრალურ ასპექტში თაყვანისცემას იღებს (Black, Green 1992:108).

<sup>4</sup> ოსირისის წერილში „რა-ხარაკის“ მიმართ ეკითხულობთ: „ქეშმარიტება ჩაფლეს ქვესკნელის ნიაღში“ (Budge 1934:455).

ბათზე ქვაში გამოკვეთილი ეკლიპტიკის მხოლოდ განსხვავებული მხატვრული საშუალებით გადმოცემაა. წარმოდგენილი იდენტურობა ვარსკვლავთა და წრეთა რაოდენობაშია ჩამალული, რაც მზის მიერ წლიური მოძრაობისას „გასაჩერებელი“ სახლი-ზოდიაქოებით არის მოყვანილი.

მესოპოტამიურ ხელოვნებაში მრავლად მიმოხილულ მსგავს ნიმუშებზე დაყრდნობით, მკითხველს შევახსენებთ კუთხოვანი ეკლიპტიკის არსებობის შესახებაც, რაც „დონის“ მრგვლოვანი და კვადრატული ფორმების იგივობაშია ჩაკირული; ამ საკითხზე მსჯელობა ქართული ხუროთმოძღვრებისა და მესოპოტამიური ხელოვნებიდან მოყვანილი ნიმუშების გათვალისწინებით, უკვე იყო წარმოდგენილი. მიუხედავად ამისა, მომდევნო თავში მას კვლავ მივუბრუნდებით.

## 7. მესოპოტამიური აქსესუარები და ქართული ასომთავრული ღონი

მესოპოტამიური არტეფაქტების კვლევამ გვიჩვენა, რომ ქალდეველთა ასტრონომიული ცოდნა, სხვადასხვა ფორმაში, მრავლად და მრავალფეროვნად იყო შიფრირებული. ფაქტობრივად, ყოველი მრგვალი საგნისთვის შეიძლებოდა მზის სისტემის სტრუქტურისა და ფუნქციონირების მინიჭება. ამიტომ, არ არის გასაკვირი, რომ მეფეთა სამკაულები მზის ეკლიპტიკურ სვლას აცოცხლებენ. 43-ე სურათზე (გვ. 445) ასახულია ე.წ. „გრიფინ-დემონი“, ასურელი მეფის ასურნასირპალის (მეფობდა ძვ. წ. 883-859 წწ.) ახალი სამეფო სასახლის ქვის მონუმენტური რელიეფიდან. „გრიფინ-დემონის“ სახით, ფრინველის სამოსში დამალული უძველესი ბრძენი ჰყავდათ წარმოდგენილი. მისი ღვთაებრივი ბუნება კალათითა და გირჩით არის ხაზგასმული. ესაა საგნები, რომლებიც განმმენდისთვის გამოიყენებოდა. გრიფინის ყელზე ადვილად შეამჩნევთ მძივების აცმას, სადაც თითოეული მძივი განასახიერებს მზესა და ერთ წრებრუნვას ეკლიპტიკაზე, რაც გრიფინის მზიურ წარმოშობას ადასტურებს (შდრ.: ნახ. 4, გვ. 111).

ეს და ხელოვნების მსგავსი ნიმუშები, მძივის ოდნავ განსხვავებული დიზაინის ინტერპრეტაციისკენ გვიხსნიან გზას. 44-ე სურათზე (გვ. 445) წარმოდგენილია დეტალი იმავე ასურელი მეფის, ასურნასირპალ II-ის სასახლიდან. ხელმწიფეს ამშვენებს მძივის ყელსაბამი, რომელიც არა მხოლოდ მზის სისტემის კოსმიურ სტრუქტურას გადმოგვცემს, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, გვანვდის ცოდნას მზის წლიური მოძრაობის ოთხი ფაზის შესახებ მრგვალი და ბრტყელი მძივების მონაცვლეობითი ურთიერთგანლაგებით.

თუ ყელსაბამს ჰორიზონტალურად დავიკავებთ და ერთი ბოლოდან განვიხილავთ (მაგ. მარჯვნიდან მარცხნივ), ყოველი მრგვა-



სურ. 43. ასურელი მეფის ასურნასირპალ II-ის (მეფობდა ძვ. წ. 883-859 წწ.) სამეფო სასახლის მონუმენტური ქვის რელიეფი კალპუში (თანამედროვე ნიმრუდი). მასზე წარმოდგენილია ე.წ. „გრიფინდემონი“, რომელიც ფრინველის სამოსში დამალულ უძველეს ბრძენკაცად იყო მიჩნეული. მას ხელთ კალათი და წმინდა გირჩი უკურია. რელიეფის გასწვრივ, შუაში მოთავსებული წარწერა მეფის გამარჯვებაზე მოგვითხრობს. სიმაღლე 2.32 მ (Black, Green 1992:100).



სურ. 44. „ასურელი მეფის ასურნასირპალ II-ის (მეფობდა ძვ. წ. 883-859 წწ.) ქვის სტელის დეტალი, ნაპოვნი კალპუში (თანამედროვე ნიმრუდი), მის სასახლეში. მეფე ატარებს იდენტურ ყელსაბამს, როგორც ომულეტს, რითაც მიუთითებს ღმერთების სიმბოლოებზე“ (Van Buren 1992:31). ყელსაბამის მფარველობით ფუნქციას განაპირობებს მასში კოდირებული ასტრონომიული ცოდნა, რომელიც მთლიანი მზის სისტემის სტრუქტურა-ფუნქციონირებას აცოცხლებს.

ლი მძივი, მომდევნო ბრტყელი მძივით, შემოდგომის დღელამსწორობას განასახიერებს (სურ. 9ა, გვ. 111), ხოლო, როდესაც მძივების იმავე განლაგებას მარცხნიდან მარჯვნივ შევხედავთ, მრგვალი და ბრტყელი მძივების კომბინაცია საპირისპირო ფაზაზე, საგაზაფხულო დღელამსწორობაზე, მიგვითითებს (სურ. 9ბ, იქვე). თუ მრგვალი

მძივები განიხილება მარცხენა და მარჯვენა ბრტყელ მძივებთან ურთიერთობაში, კომბინაცია ორივე ფაზის განზოგადებულ სახეს ღებულობს, სწორედ ისე, როგორც ეს მოცემულია სურ. 9გ (გვ. 111). ანალოგიურად, მძივების ვერტიკალური განლაგების განხილვის შემთხვევაში, დისკოვანი ფორმებით ზემოდან დასაზღვრული მრგვალი მძივები ზაფხულის ნაბუნობის გამოსახულებას ვგაძლევენ (სურ. 8ა, იქვე). თუ მრგვალ მძივს მომდევნო დისკოვან მძივთან კომბინაციაში წარმოვიდგენთ, ისინი ზამთრის ნაბუნობის შესაბამის სახეს მიიღებენ (სურ, 8ბ, იქვე), ხოლო, თუ ბრტყელი მძივებით შემოსაზღვრულ მრგვალ ფორმებს ვერტიკალურად წარმოვიდგენთ, მთლიანი კომბინაცია ორივე ნაბუნობის რთულ აბსტრაქტულ ხატს აირეკლავს (სურ. 8გ, იქვე).

იგივე კოსმიური ფენომენია გადმოცემული იდენტურად აგებული სამაჯურის მეშვეობითაც (მრგვალი მძივი+ბრტყელი მძივი), რომელიც სხვადასხვა ღმერთს, ქალღმერთსა და ჯინს უკავია. 45-ე და 46-ე სურათები (გვ. 447) წარმოგვიდგენენ ასურელი მეფის – ასურ-ნასირპალ II-ის იმავე სასახლის კედლებიდან აღებულ დეტალებს, თუმცა იგივე „კოსმიური სამაჯური“ მრავალ ღვთაებას ამშვენებს.

ცხადია, რომ სამკაულების დეტალების შესრულება უზარმაზარ კოსმიურ ცოდნას შეიცავს, რაც მაყურებელს შესაძლებლობას აძლევს, სამკაულის ნაწილების შესაბამისი ასტრონომიული ცოდნის მონაკვეთები წაიკითხოს. უფრო მეტიც, მძივებსა და მათ ორგანიზაციას ძალუძს მზიური სისტემის სტრუქტურის იმიტაცია „მოქმედებაშიც“ და *in abstractio*. ამიტომ სხვადასხვა სამკაულის ომულეტებად და/ან დამცველ სიმბოლოებად გამოყენება იმ მეცნიერული ინფორმაციით არის განპირობებული, რომელიც მათში იმთავითვე იყო კოდირებული. ეს იგივე ცოდნაა, რომელიც უზრუნველყოფდა მისი მფლობელის როგორც ღვთაებრივსა და სამეფო რანგს, ისე ქვეყნის მართვის ძალაუფლებას.


ჩატარებული ანალიზი გვიჩვენებს, რომ „რგოლისა და სვეტის“, „მჩქეფარე ღარნაკის“ სახელწოდებებით ცნობილი ღვთაებრივი და სამეფო სიმბოლოები, ისევე, როგორც მფარველი სამკაულები, (სამაჯურებისა და მძივების სახით), სინამდვილეში ერთი და იმავე ასტრონომიული ცოდნის განსხვავებული გამოხატულებებია. შუმერ ასტრონომ-ქურუმებს მზის სიტემის სტრუქტურის შესახებ საკმაოდ კარგი ცოდნა ჰქონდათ: მზის წლიური მოძრაობა, მისი ძირითადი ფაზები, პრეცესიით გამოწვეული მოძრაობის ელიპსური ფორმა, და სხვ. ეს საკრალური ასტრონომიული სიბრძნე იყო უამრავი მოხერხებულად შესრულებული არტეფაქტის, ამოტივფრული გამოსახულების, რელიეფის, ძვირფასეულობის ... ჭეშმარიტი წყაროსთვალი. მათთვის, ვინც „ჰელდასხმულ“ ქურუმთა კასტას არ განეკუთვნებო-



სურ. 45. დეტალი გირჩით, რომელიც უჭირავს ჯინს. ასურელი მეფის ასურ-ნასირპალ II-ის სასახლის მონუმენტური ქვის რელიეფი კალკუში (თანამედროვე ნიმრუდი)" (Black, Green 1992:46).



სურ. 47. „ღმერთი აპური. აპურ-ში ნაპოვნი მოპირკეთებული აგურის პანელიდან. ძვ. წ. მე-9-7 საუკუნეები" (Black, Green 1992:38). ღმერთს უჭირავს მზის მოძრაობის 'სამაჯური' ზაფხულისა და ზამთრის ნაბუნობით.



სურ. 46. „ციური სამაჯური ინანას ხელში. დეტალი ამოტიფრულია ასურნასირპალ II-ის სასახლის მონუმენტურ ქვის რელიეფზე" (Black, Green 1992:51).

და და ისინი დაუკავშირებელ და ინფორმაციულად უსარგებლო ნივთებს წარმოადგენდნენ, მაშინ, როდესაც „კელდასხმულთა“ მცირე რაოდენობისთვის, იგივე ნივთები, ღრმა თაყვანისცემის ობიექტები იყვნენ.

ასტრონომიული ცოდნის სრულყოფილმა ფლობამ უძველეს ბრძენკაცებს საშუალება მისცა, შეექმნათ მხატვრული პრინციპების მქონე ისეთი ფლექსიური სისტემა, რომელიც არათუ უზრუნველყოფდა გარკვეული ფორმებისა და მათი კომბინაციების შენარჩუნებას, არამედ ავტომატურად აკოდირებდა ასტრონომიული ცოდნის ცალკეულ სეგმენტებსაც. შედეგად, მოხდა მზის სისტემის უძველესი მეცნიერების გასაიდუმლოება ერთდროულად ხილულ და უხილავ კოდში, შიფრში, რომელიც უზრუნველყოფდა ამ ცოდნის ამოკითხვას „კელდასხმულთა“ და განათლებული ელიტის მიერ, მაგრამ კეტავდა გზას მასებისთვის.

ამ ხილულ-უხილავი კოდური სისტემის ცალკეული მონაკვეთები განსაკუთრებული სიძლიერით გამოანათებენ ხოლმე მაშინ, როდესაც სხვადასხვა პრეისტორიული ლინგვისტური და კულტუროლოგიური სახის მასალა ქართველური ენებისა და კულტურის პრიზმაში განიხილება. ეს უკანასკნელი არა მხოლოდ მრავალი სიმბოლოსა და გამოსახულების ახლებურ წაკითხვას გვთავაზობს, არამედ ხანგრძლივი დროის საიდუმლოებების ამოხსნაშიც გვეხმარება. ამ კუთხით, ნეოასურული პერიოდის თიხის ფირფიტა, რომელზეც ასურელი მეფე ნაბუ-აპლა-იდინა ღმერთ შამაშს ეახლება (სურ. 25, გვ. 426), უამრავ ისეთ დაფარულ ინფორმაციას შეიცავს, რომელსაც გაცილებით უფრო შორს მივყავართ ისტორიის წიაღში, ვიდრე ბრიტანეთის მუზეუმში მოცემული ანოტაცია აფიქსირებს.

## 8. ნეოასურული ფირფიტის ახლებური ხედვა

ნეოასურული ფირფიტის კომპოზიციაში დამალული ინფორმაციული ნაკადის ერთ-ერთი ნიმუში, რომლის გაშიფვრა ქართველური მასალის საშუალებით არის შესაძლებელი, – ღვთაებრივი თვალის ცნებაა. ცნობილია, რომ მრავალგვარ კომპოზიციათა შორის, „შამაშს სვეტებზე დაყრდნობილ პავილიონში მოთავსებულ ტახტზე მჯდომარედაც გამოხატავდნენ, რომლის წინ მზის თვალია მოთავსებული“ (Mackenzie 1937:347). ამგვარი კომპოზიციური გადაწყვეტით არის შესრულებული ფირფიტა სიპარიდანაც. ქართველური ენობრივი მასალა და წარმართული რწმენა ნათელს ჰფენს იმ მიზეზებს, რომლებიც მზელმერთისა და ბორბლის ფორმულის უკან დგას.

ქართველურ კულტურაში ბორბალი მჭიდროდ არის დაკავშირებული, ერთი მხრივ, ბედისწერასთან და, მეორე მხრივ, ღვთაებრივ თვალთან. „ბედის ბორბალი“, ანუ, უფრო სწორად, მისი წრებრუნვა განაგებს ყოველი სულდგმულის ბედს. იგი მოძრაობაში მოჰყავს ღვთაებრივ ძალებს. „ბედის ბორბლის“ გამგებელი – მზის ღმერთი და მისი ღვთაებრივი თვალია. ქართველური ლექსიკა ამ კანონს ირეკლავს. მასში გვაქვს ორი სიტყვა, რომელიც ბორბალს აღნიშნავს. ეს არის სიტყვა თვალი, რომელსაც გააჩნია როგორც „მხედველობის ორგანოს“, ისე „ბორბლის“ მნიშვნელობა და თავად ბორბალი. ბორბლის ვარიანტებია:

ქართ. ბორ–ბორ–ბალ-ი; ბორ-ბალ-ა „ობობა“; ბორ-იალ-ი...

მეგრ. ბორ–ბორ–ბოლ-ია „ობობა“

ლაზ. ბო(რ)–ბომ-ბულ-ა „ობობა“

მეგრული და ლაზური ფორმები კანონზომიერად შეესატყვისება ქართულ ფუძეს. „ბორბალ“- ფუძისთვის 'ობობის' მნიშვნელობის შეთავსება მოულოდნელი არ არის (ქსელის ქსოვისას ობობა ტრიალებს, ბრუნავს). „ბორბალა“, „ტრიალა“ > „ობობა“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 114).

სპეციალურ ლიტერატურაში „ბორბალი“ „ბორ“ ძირის რედუპლიკაციად არის მიჩნეული (Neisser 1953:66; ერთელიშვილი 1980:159). მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული რედუპლიკაცია სრულიად ლოგიკური და დამაჯერებელია, წარმოდგენილი ანალიზის ფონზე, ნაკლებულია, არასრულია. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ქართველურში, ერთსა და იმავე ლექსემას რამდენიმე სწორი, მაგრამ ამავე დროს განსხვავებული ნაკითხვა შეიძლება ჰქონდეს. ასეთია უკვე განხილული სამოთხე და ვფიქრობთ, სიტყვაც „ბორბალი“. რედუპლიკაციის გარდა იგი თხზვის სტრუქტურასაც ააშკარავებს, სადაც ორი განსხვავებული ხმოვნის მქონე ძირია წარმოდგენილი – ბორ+ბარ. რ-სა და ლ-ს ურთიერთგადასვლა (ბარ > ბალ) დაფიქსირებული მოვლენაა (ბარბარ-/ბარბალ-; ფენრიხი, სარჯველაძე 2000:95). აქედან გამომდინარე, „ბორბალ“ შეიძლება წარმოვადგინოთ არა მხოლოდ როგორც ბორ+ბოლ-ის რედუპლიკაცია, არამედ როგორც თხზული ბორ+ბარ, სადაც მეორე კომპონენტის მნიშვნელობა მზეს შეესაბამება.<sup>5</sup> ამის საფუძველს ქართველური მასალა გვთავაზობს:

ქართ. ბარ–ბარ-ბარ-ი; ბარ-ბალ-ი „გიზგიზი“

მეგრ. ბორ–ბორ-ბონჯ-ია „მოგიზგიზე“ (იქვე, 94).

თუ რედუპლიკაციური „ბარბარ“ „გიზგიზსა“ და მოგიზგიზეს“ აღნიშნავს, „ბარ“ ძირი ცეცხლისა და სინათლის წყაროზე, ანუ მზეზე მიუთითებს. თუ ბორბალის ყველა შესაძლო კომპონენტის მნიშვნე-

<sup>5</sup> საინტერესოა, რომ ჩინურ კულტურაში ობობა მზის სიმბოლოა.





აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ქართველური ტოლობა ბორბალი=თვალი=მზე სიპარის ფირფიტის იდენტური რელიგიური ფორმულის სახით არის წარმოდგენილი. ფაქტობრივად, შამაშისა და ბორბლის ერთ კომპოზიციამში გამოსახვა ქართველური ტოლობის სემანტიკას აცოცხლებს. პირველი სიტყვა (თვალი) ამყარებს პირდაპირ კავშირს შამაშის წინ მდგომ ბორბალსა და ღვთაებრივ თვალს შორის, მაშინ, როდესაც მეორე სიტყვის ბგერითი კომპლექსი (ბორბალი) შამაშის შუმერულ ნყვილზე, მზელვთაება ბარბარ/ბაბბარზე მიუთითებს. შედეგად, ფირფიტაზე გამოსახული შამაშისა და თვლის (ბორბლის) მონაკვეთი წარმოადგენს მრავალშრიანი კოდირებული ინფორმაციის რთულ ქართველურ-შუმერულ და ასურულ სახებას, რომელიც შემდეგნაირად იკითხება: ტახტზე მჯდომი შამაში არის პლანეტა მზე და მზის ღმერთი *per se*. იგი მზის სისტემის სტრუქტურისა და მისი ფუნქციონირების ასტრონომიული ცოდნის განსახიერებაა. საკუთარი შემოქმედების შუაგულში მჯდომი შამაში მართავს და ამოძრავებს სამყაროს. მაგრამ, ამავე დროს, შამაში არის საკუთარი მზიურობის ღვთიური თვალი, უმაღლესი მოსამართლე და სამყაროსა და ადამიანთა ბედის მწერალი.

ასურული რელიგიიდან მომდინარე ინფორმაცია ამით არ ამოიწურება. ასომთავრული „დონის“ ხილული და უხილავი ფორმები ღვთის წინაშე მდგომი მზის თვალისა და მისი კვადრატული კვარცხლბეკის არაორთოდოქსური ნაკითხვისკენ გვიბიძგებს. „დონის“ მრგვალი და კვადრატული გეომეტრიული ფორმების იგივობა ღმერთის წინ მდგომი ორი საგნის ერთებაზე მიუთითებს; ბორბალი, ანუ მზიურ-ღვთაებრივი თვალი და მისი საყრდენი, რომლებიც აქამდე ორ განსხვავებულ საგნად აღიქმებოდნენ, მზისა და მისი ეკლიპტიკის განსხვავებული გეომეტრიული გამოსახვაა მხოლოდ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, შამაშს გარშემორტყმული სხვადასხვა საგანი ღმერთის ხილვადი და უხილავი ასპექტებია, რომელთა დაფარული გეომეტრიული არსი მოიცავს წრეს, ბორბალს, თვალს, წერტილს, სამკუთხედსა და კვადრატს, მათთვის დამახასიათებელი მათემატიკური და გეომეტრიული მნიშვნელობებითა და თანმდევი ინფორმაციით. შესაბამისად, შამაშის ხილული და უხილავი იპოსტასების ერთობლიობა წარმოჩნდება როგორც მზე მანიფესტაციამში, ანუ მზე, როგორც წყარო (წერტილი) მუდმივი სიცოცხლისა (წრე), რომელსაც ძალუძს ჩაკეტოს ან დაასრულოს (კვადრატი) საკუთარი შესაქმე (სიცოცხლე) ადამიანებისადმი ბედისწერის განკუთვნებით.

„ვარკაცები“, რომლებსაც შამაშის ტახტი ეყრდნობა, ერთი მხრივ, ამყარებენ ასოციაციურ კავშირებს საყრდენის ეგვიპტურ იეროგლიფთან და, მეორე მხრივ, წარმოადგენენ კიდევ ერთ დამატებით საბუთს განსახილველი ასურული კომპოზიციის ქართველური სარჩუ-

ლის გამოსააშკარავებლად. გავიხსენოთ, რომ „წარკაცვი“, ამირანის ანდრეზული (და არა მითოლოგიური!) ფორმულა, ქართველი ერის თერეომორფული არქეტიპია. თუ ქართველურ რწმენასა და ასურულ გამოსახულებას შევადრებთ, „წარკაცები“, რომლებსაც შამაშის ტახტი უჭირავთ, გვთავაზობენ ეჭვგარეშე ინფორმაციას ქართველთა გასაიდუმლოებული ისტორიული ფუნქციის შესახებ: წარკაცვი-ამირანი, ანუ ქართველი ერი, ფლობს, განაგებს და აკონტროლებს უძველეს ღვთაებრივ და სამეფო ძალაუფლებას; ამ ძალაუფლების სიმბოლოა „ჯოხი და რგოლი“, ანუ ქართული ასომთავრული ასო-ნიშანი „დონი“, რომელიც გაზაფხულის ბუნიობის ფაზაშია გამოსახული.

გასაიდუმლოებული შუმერულ-ქართველური კონტაქტები მესოპოტამიური ცხოვრების სხვადასხვა ფენაში აღწევენ. „დონი-ბარბარ-შამაში“<sup>6</sup> მოხერხებულად „მოკალათებულა“ სხვადასხვაგვარ სამკაულში (მძივები, ყელსაბამი, სამაჯური), ჭურჭელში (ლარნაკი), არქიტექტურულ დეკორში (რგოლ-სვეტები) და ურმის ბორბლებშიც კი. მიუხედავად ამისა, უფრო მნიშვნელოვანია მზის სისტემის ასტრონომიული ცოდნის აღმოჩენა დამწერლობის ნიშნებსა და ისეთ რელიგიურ ცნებებში, როგორც, მაგალითად, ღვთაებრივი თვალია. მზე-ღმერთის წამყვანი ფორმა ყველა გაანალიზებულ მანიფესტაციაში წრის გეომეტრიული ფიგურაა, რომელიც უძველესმა ბრძენ-ქურუმებმა მეცნიერული და კულტუროლოგიური ცოდნის სხვადასხვა მონაკვეთის შესაფერის და მოხერხებულ სამალავად ამოარჩიეს. ამიტომ წრით გამოხატული ღვთაებრივი თვალი ყველგან გვხვდება, რაც ღმერთის ყოვლისმხილველი თვალის რელიგიურ დოგმას ადასტურებს.

წარმოდგენილი კვლევის ფონზე, სიპარში ნაპოვნი ფირფიტის რელიეფი ქართველურ-ეგვიპტური, ქართველურ-შუმერული და ქართველურ-ფინიკური კონტაქტების დამადასტურებულ ფაქტებს მრავალსახელიან ერთ გრაფიკულ სიმბოლოში ათავსებს, რომელიც საკუთარ ისტორიას გვიმხელს. ამ მოთხრობის მთავარი მოქმედი პირი არის ასურელი მეფე ნაბუ-აფლა-იდინა, რომელიც მზეღმერთ შამაშის წინ წარსდგება. ღმერთს ხელთ უპყრია ჯოხი და რგოლი, – მისი შინაგანი მზიურობის საკრალური გამოხატულება. ეს უსახელო რგოლი გაზაფხულის დღელამსწორობის გაყინული ხატია, ასტრონომიული პოზიციაა, რომელიც შამაშს უტოლებს არა მზეს ზოგადად, რაც აქადური კულტურიდან არის ცნობილი, არამედ მზის დღელამსწორობის კონკრეტულ ხატს – მხოლოდ.

მაგრამ აქვე იბადება კითხვა:

*თუ მესოპოტამიურ ცივილიზაციას ჰქონდა ცოდნა მზის სისტე-*

<sup>6</sup> შეადარეთ უძველეს ქართველურ ბედისწერის ბორბლის ფორმულას, რომელიც განხილული იყო შამაშის ღვთაებრივ ინსიგნიასთან („დონი“) კავშირში.

მის შესახებ, რამ განაპირობა შუმერული და მოგვიანებით, ბაბილონური ცივილიზაციის დომინანტ/ნამყვან სიმბოლოდ გაზაფხულის დღელამსწროობის ფაზის არჩევა?

პასუხი გაზაფხულის ბუნიობის, როგორც წლის ყველაზე ნაყოფიერი პერიოდის, მეტაფორულ გადაზარებაში მდგომარეობს. გაზაფხულის ბუნიობა, რითაც იწყება ბუნების გამოღვიძება-გაფურჩქვნა, გადაიაზრება, ახლო აღმოსავლეთის კულტურული განვითარების იდენტურ ეპოქად, რომელიც მესოპოტამიურმა ცივილიზაციამ კაცობრიობის განვითარებაში ითამაშა (შეადარეთ მზის წლიური მოძრაობის სხვადასხვა ფაზას, გამოხატულს ეგვიპტური Khetm-*წიw/წen* იეროგლიფით).

კულტურტრეგერი ტერიტორიის ისტორიული ფუნქცია დასმულ შეკითხვაზე გასაცემი პასუხის მეორე მნიშვნელოვანი დეტალია, რადგანაც კაცობრიობის ცივილიზების ტრიუმფალურ სვლაში მესოპოტამია და, განსაკუთრებით – შუმერი, ათვლის წერტილს წარმოადგენს. შესაბამისად, სწორედ ეს არეალი უნდა ყოფილიყო კულტურულად, პოლიტიკურად, სოციალურად, ეკონომიკურად და რელიგიურად ცივილიზაციის გაფურჩქვნის დასაწყისი. ეს ორი ძირითადი მახასიათებელი (დროისა და სივრცის ათვლის წერტილები), პოლიტიკურ, კულტურულ და სოციალურ ნაყოფიერებასთან შეერთებული, წარმოადგენდა იმ თვისებების ერთობლიობას, რომლებიც შუმერული ცივილიზაციის ფუძემდებლებმა „დონის“ მესოპოტამიურ სიმბოლოში კოდის სახით ჩადეს.

გავიხსენოთ ისიც, რომ ცივილიზაციის დასაწყისის ანალოგიურად, გაზაფხულის ბუნიობა, დრო, როდესაც დღე და ღამე ერთმანეთის სწორია, იმავდროულად, ახალი ეპოქის დასაწყისის მაუწყებელიცაა.

იგივე ფილოსოფიური მრწამსია კოდირებული ერთ-ერთ უძველეს დღესასწაულში, რომელიც „ნინასარგონული პერიოდიდან მოყოლებული, ახალი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნემდე, რაიმე ფორმით თითქმის მუდმივად აღინიშნებოდა“ (Bidmead 2004:1). ეს გახლავთ აკიტუს დღესასწაული, რომელიც მარტის ბოლოს (შეადარეთ ხარება დღეს მარტის 25-ში) ან ადრეულ აპრილში, ე.ი. საგაზაფხულო დღელამსწროობისას იმართებოდა ხოლმე (იქვე, 39, სქ. 1). აკიტუს, ანუ ახალი წლის დღესასწაულის აღნიშვნა საგაზაფხულო ბუნიობისას მესოპოტამიური ფილოსოფიის, რელიგიური სისტემისა და კაცობრიობის განვითარებაში მისი ისტორიული როლის აღნიშვნის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. ამის შემდეგ განა გასაკვირია, რომ *ენუმა ელიშ*, ანუ შესაქმის მითი, ნისანუს (აპრილის) ყოველ 4 რიცხვში მოაგონებდა ხოლმე ყველას და განსაკუთრებით კი ღმერთებს, ქალღმერთებსა და მეფეებს, რომ არაფრიდან აღშენებული ცივილიზაცია, რომელსაც ისინი მართავდნენ, იმ ღმერთის ღვთაებრივი სურვილის

მიხედვით დაიწყო, რომლის ერთ-ერთი საკრალური რიცხვი იყო 4. ეს ღმერთი, დაბრძანებული მეოთხე ცაზე, აკიტუს დღესასწაულამდე თავისი წლიური ბრუნვის ერთ მეოთხედ გზას ფარავდა. ამიტომაც, დღესასწაულის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი, ეპოსის წარმოთქმა, ნისანუს 4-ში ხდებოდა. დაჟინებით განმეორებადი რიცხვი 4, იყო ღვთაებრივი და სამეფო მზიური წარმომავლობის ასტრონომიული საძირკვლის შემახსენებელი და მინიშნება იმ მზეღმერთის მფარველობისა, რომლის ანბანური რიცხვითი მნიშვნელობაც უდრიდა 4-ს.

აქედან გამომდინარე, შამაშის უფრო სრულყოფილი პორტრეტი წარმოდგება, როგორც საგაზაფხულო დღელამსწორობის მზე, სიცოცხლის მიმცემი, გამანაყოფიერებელი ენერჯის მქონე მზე, რომელსაც საკუთარი ასტრონომიული არსებობის ნიშანი უკავია. სოციალურ დონეზე, ყოველივე ეს აკიტუს დღესასწაულად ითარგმნებოდა, ხოლო ისტორიული განვითარების სპექტრში, - ცივილიზაციის განვითარების ყველაზე ნაყოფიერ პერიოდად.

დავასკენით. მთელ მესოპოტამიაში გავრცელებული ჯოხი და რგოლი, - ნიშანი, რომელიც ზეცასა და ქვესკნელს, ანუ ცოცხალთა და მკვდართა სამეფოებს მართავდა, იყო ქართული ასომთავრული დონი.

ახლა კიდევ ერთი პატარა საიდუმლო, თუნდაც მოხერხებულობა, ქართული ასომთავრული ანბანის შემქმნელისგან: კარგად დააკვირდით 48-ე სურათს (გვ. 455), რომელიც ქვესკნელის ღმერთ ნერგალს გამოსახავს.

ღურსმულ ნიშნებს შორის პირველ და მესამე ხაზებში ადვილად შეიმჩნევა რომბული ფორმის ქართული ასომთავრული „დონი“ ⚡ - ⚡, რომელიც შუმერის პირველ ღურსმულ სადამწერლობო ნიშნად გამოიყენებოდა. მნიშვნელოვანია ის, რომ შუმერი და ეგვიპტელი ქურუმები, რომლებმაც შექმნეს შესაბამისი დამწერლობები, შესანიშნავად ფლობდნენ „დონის“ მთლიანი გრაფიკული მონახაზის რეპერტუარს და გამოიყენეს კიდევ იგი ინდივიდუალურ ასო-ნიშნებად:


### ცხრილი 96

ქართული დონი შუმერულ და ეგვიპტურ დამწერლობაში


ქართული	შუმერული	ეგვიპტური
⚡	𒀭	Ⲡ
⚡	𒀮	ⲡ
⚡	𒀯	Ⲣ
⚡		



სურ. 48. „ძველბაბილონური ცილინდრული ბეჭედი ლარსადან, რომელზეც ასახულია ქვესკნელის ღმერთი ნერგალი. ხელთ უპყრია მისი განმასხვავებელი ხმლის ატრიბუტი და ორმაგი ლომის ორთაეიანი შტანდარტი. ნარწერა ეძღვნება ნერგალს აბისარესგან, რომელიც ლარსას იმდროინდელი მეფე უნდა ყოფილიყო“ (Black, Green 2002:19).



სურ. 49. „გაკრული ხელით“ ნაწერი ქართული ასომთავრული დონი საგაზაფხულო ბუნიობის ხატი (Szarzynska 1997:20).



სურ. 50. ნიჩაბი ბიბლოსის ფსევდოიეროგლიფური ნარწერი. ძე. 6. 2000-1700 წწ.? (Diringer II 1968:120).

ცხადია, რომ შუმერული და ეგვიპტური დამწერლობების შემქმნელებს იოლად შეეძლოთ იეროგლიფად ან ლურსმულ ნიშნად გამოყენებული ქართველური გრაფემისთვის ნებისმიერი ფონეტიკური ღირებულების მიცემა; ამიტომაც, რომ ქართულ ასომთავრულ „დონს“,

მისი საგაზაფხულო დღელამსწორობის ფაზაში (ყელის გარეშე), ჩვენს განკარგულებაში მყოფ ყველაზე ადრეულ პიქტოგრაფიულ წარწერებში (სურ. 49, გვ. 455), ანდა მოგვიანებით, ბიბლოსის პირველ ანბანურ წარწერებშიც ვხვდებით (სურ. 50, იქვე).

ეს წარწერა (სურ. 50), პატარა ნიჩაბზე ბიბლოსის ფსევდოიეროგლიფური სილაბურით არის შესრულებული. იგი ნაპოვნია ბიბლოსში (სირია). „მორის დიუნანს მიაჩნია, რომ ბიბლოსის ფსევდოიეროგლიფური სილაბური დამწერლობა წარმოადგენდა ანბანის (ჩრდილოსემიტური, ანუ ფინიკიური ანბანის – ა. მ.) პროტოტიპს“ (Diringer I 1968:152). მის დასაწყისად ფრანგი მეცნიერი ძვ. წ. 2000 წ. ვარაუდობს. დარწმუნებულნი ვართ, ყველას გეცნოთ ქართული ასომთავრული მხედვთაება, ჩვენი ზესკნელური „დონი“ თავისი დაუსაბამო წრიული მოძრაობის უმაღლეს ფაზაში.

არა გვგონია, აუცილებელი იყოს დამატებითი მასალის მოხმობა იმისთვის, რომ წარსული ცივილიზაციების დაბადებასა და განვითარებაში უზარმაზარი ქართველური წვლილის არსებობა ვამტკიცოთ. ილუსტრირებული და გაანალიზებული მასალა ნათლად მიანიშნებს იმაზე, რომ მეცნიერული ცოდნა, კულტურა და, რაც მთავარია, ქართველური ენები, ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოაფრიკული ცივილიზაციების ჩამოყალიბების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდნენ. დაუჯერებელია, არსებობდეს ფაქტები, რომლებსაც ხელეწიფებათ გააქარწყლონ ცოცხალ ქართველურ და მკვდარ ცივილიზაციებს შორის გამოაშკარავებული ასტრონომიული, მათემატიკური, გეომეტრიული, რელიგიური, სიმბოლური და სადამწერლობო სისტემების უპრეცედენტო ერთობა, რომელიც, უკვდავი ღმერთების მიერ ხელთაყრობილი სამაჯურის მსგავსად, მკვრივად შეკრულა და აღშენებულა.

იკვრება, საუკუნეებით კი არა, ათასწლეულებით დაშორებული სისტემების ჰარმონიული ურთიერთკავშირი, სადაც ყველგან მეგზურად და მამოძრავებელ ძალად ქართული ასომთავრული ანბანი, ქართველური ენები და, საერთოდ, ქართველური ფენომენი გვევლინება. ქართული ასომთავრული ანბანი და ქართველური ენები მესოპოტამიიდან და ეგვიპტიდან აღადგენენ ღვთაებრივი და სამეფო ინსიგნიების ფონეტიკურად გაცრეცილ ქართველურ სახელებს, წყვეტენ და პასუხს გვთავაზობენ კაცობრიობის განვითარების ისტორიაში ასწლეულების მანძილზე დაგროვილ საკვანძო საკითხებზე.

სწორედ ქართველური ენებისა და კულტურის არცოდნა გახდა მიზეზი დასავლელ მეცნიერთა მიერ ბიბლოსის წარწერაში „დონის“

ამოუცნობლობისა; იმავე მიზეზმა შეუშალა ხელი შუმეროლოგებსა და ასირიოლოგებს, გაეშიფრათ „ჯოხის და რგოლის“ და „რგოლ-სვეტების“ გამოსახულებებში ბიბლოსის დამწერლობაში მოცემული ანალოგიური გამოსახულება. ამავე მიზეზით არ მოხდა ეგვიპტოლოგების მიერ, ქართული ასომთავრული „დონის“ იდენტიფიკაცია Khetm („ხატი“) ეგვიპტურ სამეფო ინსიგნიასა და Now/Sen („შენ“) სიმბოლოში... ამიტომ მიგვაჩნია პრეისტორიული სამყაროს შესწავლაში ქართველური ენებისა და კულტურის ჩართვა ერთ-ერთ აუცილებელ პირობად.

მოცემული ანალიზის ფონზე, ქართველური „დონის“ ბაბილონურ, ასურულ და ეგვიპტურ გამოსახულებებზე აღბეჭდვა შემთხვევითობას არ უნდა მივანეროთ! საკითხი სხვაგვარად დგას:

*რატომ უნდა ატარებდნენ უძველესი ბაბილონისა და ეგვიპტის ცივილიზაციები ქართული ასომთავრული დონის ღვთაებრივ ინსიგნიას? ინსიგნია, როგორც ცნობილია, წარმომავლობის ნიშანია. მაშ, რისი გადმოცემა სურდათ მზიური წარმოშობის ეგვიპტელ და ბაბილონელ (ქალდეელ) მეფეებს, რომელთა შიშით ძველი სამყარო ზანზარებდა?*

პასუხებზე აღარ შეეჩერდებით, უბრალოდ დავასკვნით: მცირე და ახლო აღმოსავლეთის ძველი ცივილიზაციების ღვთაებრიობის დამადასტურებელი სულ ცოტა 4000-წლიანი ინსიგნია, რომელიც ნეოასურულ კომპოზიციამი, შამაშის ღვთაებრიობას ადასტურებს, არის ქართული ასომთავრული „დონის“ გამოსახულება, რომლის კოდირებული მრავალშრიანი ეზოთერული მათემატიკურ-გეომეტრიული, ასტრონომიული და რელიგიურ-მსოფლმხედველობრივი ცოდნა-სისტემა ნანილ-ნანილ დარიგებულა მესოპოტამიიდან ეგვიპტემდე.

ქართულ ასომთავრულ „დონს“ აქვს ორი სახე: ეზოთერული, ანუ ხილული, და ეზოთერული, ანუ დამალული. პირველი თვალსაზრისით, „დონი“ პალეოგრაფიული ნიშანია; იგი ასომთავრული ანბანის მე-4 ასოა; მისი ფონეტიკური ღირებულებაა დ და ანბანური ნიშნების მსგავსად, ყველა მათ სისტემურ მახასიათებელს იზიარებს. თუმცა გვაქვს ზოგიერთი ისეთი თვისებაც, რომელიც დონს სხვა ასო-ნიშნებისგან განასხვავებს. ეს მისი გრაფიკული ფორმაა, რომელიც ორ ძირითად ჯგუფს მოიცავს: წრიულს, რომელშიც განვასხვავებთ ყელიან და უყელო ნაირსახეობას, და კუთხოვანს, რომელშიც გამოიყოფა კვადრატული და რომბული მოდიფიკაციები.

„დონის“ გრაფიკული მრავალფეროვნების მიზეზი ან მიზეზები ჯერჯერობით უცნობია. მათ მოძიებას სერიოზულად ართულებს მკვლევართა აზრი ასომთავრული ანბანის შექმნის ერთდროული და ერთჯერადი ბუნების შესახებ, რასაც „დონის“ ყველა მონახაზი იზიარებს. აღნიშნულის ფონზე, ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ „დონის“



(ისევე, როგორც მთლიანი ანბანის) განსხვავებული ვარიანტები გარკვეული პრინციპების, კრიტერიუმებისა და მიზნების ერთობლიობაზეა აგებული. ამას ყელიანი დონის გამოყენების განსაკუთრებული სიხშირეც ადასტურებს, რადგანაც შეუძლებელია, ანბანის შემქმენლ ქურუმებს უმიზეზოდ ან უმიზნოდ შეექმნათ ერთი და იმავე ასო-ნიშნის სამი, ფაქტობრივად „გამოუყენებელი“ ვარიანტი.

ჩვენი გამოკვლევის მიხედვით, „დონის“ გრაფიკული ვარიანტულობა „ჭურჭელია“, რომელშიც უძველესი საკრალური ცოდნა (მათემატიკა, გეომეტრია, მშენებლობის პრინციპები და არქიტექტურა, რელიგია, კალენდარი და ასტრონომია) შრეობრივად არის კოდირებული ანბანის სისტემური თვისებების მეშვეობით (მოხაზულობა, ანბანური რიგი, რიცხვითი მნიშვნელობა, ასოთა თანმიმდევრობა, დასახელება და აკროფონია). ეს „დონის“ გასაიდუმლოებული და უხილავი სახეა, რომელიც მის ეგზოთერულ ფორმებთან ერთად მთელი უძველესი ცივილიზაციის ტერიტორიაზე მიმოფანტულა. რომბული „დონი“ პირველ ლურსმულ ნიშნებს შორის გვხვდება, ხოლო გაზაფხულის ბუნიობის ასტრონომიული სახეობა („დონი“ ყელის გარეშე) ღვთაებრივი და სამეფო ავტორიტეტის სიმბოლოა, რომელიც ათასწლეულების მანძილზე (შუმერულიდან მოყოლებული ნეოასურულ პერიოდამდე) არ შეცვლილა. „დონის“ ყელიანი ვარიანტი ეგვიპტურ იეროგლიფსა და სიცოცხლის მომნიჭებელ ჯადოსნურ „მჩქეფარე ლარნაკის“ უცვლელ ფორმაში ასაიდუმლოებდა საკუთარ თავსაც და წარმომავლობასაც.

ქართულ ასომთავრულ „დონში“ ღიად არის დაფიქსირებული მზის სისტემის არსებობის ასტრონომიული საფუძველი – მზის ეკლიპტიკაზე მოძრაობა. ამიტომ „დონის“ ტანი წარმოადგენს არა მხოლოდ მნათობის ფიზიკურ სხეულს, არამედ მოძრაობის უჩინარ გზასაც. მისი ზეციური ხატი ღიად დაფიქსირებული ზესკნელური ფორმაა, ანუ მზის ზედა კულმინაციაა (როგორც მისი დღელამური თუ წლიური ეკლიპტიკური ბრუნვისას).

იგივე გრაფიკული ფორმა მზის ქვედა კულმინაციის ხატის დამტევია, რაც ანბანში აშკარად გამოხატული არ არის, მაგრამ მის შემქმნელს ეს ცოდნაც ჰქონდა. „დონის“ გრაფიკული და ასტრონომიული კოდის ასეთივე დაფარული ერთობა ეგვიპტის სამეფო ინსიგნიასა და ბაბილონური მზელმერთის ღვთაებრივ სიმბოლოებშია მოცემული, რის საფუძველზეც, ეგვიპტური და ბაბილონური სამეფო-ღვთაებრივი ინსიგნიები არა მარტო სახელს იბრუნებენ, არამედ თავის ღვთაებრივ არსსა და ფუნქციებს ასტრონომიულ დასაბუთებას აძლევენ.

ქართული ასომთავრული „დონის“ მონახაზი ერთდროულად მარტივიცაა (ჯოხი და რგოლი) და რთულიც, რადგან სამყაროს აგებულებისა და მნათობთა მოძრაობის მოდელს მოიცავს (რომ არაფე-

რი ვთქვით სხვა კოდირებულ ინფორმაციაზე). ამგვარი ასო-ნიშნები არცერთ ანბანურ სისტემაში არ გვხვდება. პალეოგრაფიული ტერმინოლოგია რომ მოვიშველიოთ, ქართული ასომთავრული „დონი“ არის კოსმიური ცოდნის, მზის ეკლიპტიკაზე მოძრაობის ხატი, ასტროგრაფი, პიქტოგრამა, ანუ დამწერლობის პირველი ეტაპის კუთვნილება.

აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ „დონი“ მხოლოდ პიქტოგრამა კი არა, არამედ ანბანთშემოქმედების უმაღლესი საფეხურის, ფონეტიკური ანბანის კუთვნილებაცაა. სხვაგვარად, ქართული ასომთავრული ნიშანი თავისი მოხაზულობით, შინაარსითა და ფუნქციით ანბანთგანვითარების მთლიანი ისტორიის დამტვევი გახლავთ, – სურათხატოვანი დამწერლობიდან ფონეტიკური დამწერლობის ჩათვლით. ამიტომ ქართული ასომთავრული „დონი“ არის სრულყოფილი მათემატიკური, გეომეტრიული, ასტრონომიული, ასტროლოგიური, კალენდარული და რელიგიურ-მსოფლმხედველობრივი სისტემებისა და მათში კოდირებული ცოდნის ერთ ასო-ნიშანში ფენებად გაერთიანებული სტრუქტურა, რომლის შექმნაც ამ უკიდევანო ცოდნის ერთდროულ ფლობას მოითხოვს; მისი ასეთი სისრულით შეკრება და ანბანში ჰარმონიით გადმოცემა ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა არა მარტო ძვ. წ. მე-7 ან მე-5 საუკუნეებში,<sup>7</sup> არამედ გაცილებით უფრო ადრეც. ქართული ასომთავრული „დონის“ 4000-წლიანი ხანდაზმულობა მის და, მაშასადამე, ერთდროულად თუ გამიზნულად შექმნილი ქართული ასომთავრული ანბანის დამოუკიდებელ და ხანგრძლივ არსებობაზე მიუთითებს, რომელსაც შემდგომი დაუღალავი კვლევა-ძიება უეჭველად დაადასტურებს.

ახლა მინდა შევეკითხო სკეპტიკოსს:

*შესაძლებელია კი ამდენი უმიზეზო დამთხვევა ქართულ და მესოპოტამიურ ან ქართულ და ეგვიპტურ გამოსახულებათა შორის?*

*შეიძლება, რომ სრულიად შემთხვევით, ათასწლეულების წინა ნახატებში, ფირფიტებსა და სიმბოლოებში დაფიქსირებული რელიგიური და მსოფლმხედველობრივი სისტემების ცოდნა ადასტურებდეს ქართულ ასომთავრულში კოდირებულ ცოდნას, და პირიქით – ქართული ეზოთერული ანბანური სისტემა ხსნიდეს პრეისტორიით დატოვებულ საიდუმლოებებს?*

დადებითი პასუხი ფეხსქვეშიდან გვაცლის ჩვენს წარსულს, ჩვენს რაობას, ჩვენს ანმყოსა და მომავალს. კოდირებული ისტორია ჩვენი ერისა, რომელიც „დამარხულ არს“ ჩვენს ანბანში, ჩვენს ეთნო-

<sup>7</sup> აღნიშნული თარიღი მეცნიერული სიფრთხილის გამოა მოცემული, თორემ, ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით, „სულ ცოტა 7-8 საუკუნით უწინარეს არის საგულისხმებელი“ ქართული ანბანის შექმნა (ჯავახიშვილი 1949:235).

გრაფიულ ყოფაში, ჩვენს ენაში და თითოეულ ჩვენთაგანში, როგორც ამ კოდის მატარებელში, უალტერნატივო არგუმენტი ჩვენი წინაპრების სანყის წერტილთან დგომისა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქართველური ენების, ანბანის, კულტურის მონაცემების გათვალისწინების გარეშე პრეისტორიული გამოცანები გამოცანებად დარჩება და ღვთაებრივ ინსიგნიებს გაურკვეველი Khetm, Sahu, ჯოხისა და რგოლის, რგოლ-სვეტისა და ასე შემდეგ სახელები შერჩებათ. ამიტომ, ეს ნიგნი არის თხოვნა და შეთავაზება თანამშრომლობისკენ, არა მხოლოდ ქართველოლოგებისადმი, არამედ უცხოელი მეცნიერების მიმართაც, რადგან, „აფსუს“ ოკეანის მსგავსად, დიდია გამოსაკვლევი მასალა და მრავლის ძალისხმევას საჭიროებს.

## 9. კვლავ ბამიანის ხელნაწერის შესახებ

ახლა კი ბამიანის გამოქვაბულებში ნაპოვნი ნიგნაკის ქვის ბეჭდის გამოსახულებას მივუბრუნდეთ. ეჭვს გარეშეა, რომ საქმე გვაქვს „დონის“ ეკლიპტიკაზე მოძრაობის ქვედა კულმინაციურ გამოსახულებასთან, სადაც დონის უყელო ტანის გრაფიკა ნახევაროვალის, ანუ „ლანის“ მონახაზითაა წარმოდგენილი. ამიტომ, „დონის“ ინვერსიული ფორმა ბეჭედზე არც განსხვავებული ანბანის საკუთრებაა და არც შეცდომა; პირიქით, მის გამომხატველს შესანიშნავად უნდა სცოდნოდა ქართული „დონის“ ორივე მოხაზულობის არსებობა, რაზეც, ირიბად, „ლანის“ ასწვრივი ფორმაც მეტყველებს.

არც ადამიანთა გამოსახულებებია ქვედა რეგისტრში შემთხვევით მოთავსებული, რადგანაც გარდასულ ცივილიზაციათა მბრძანებლების რწმენა მათი ღვთიური, უფრო სწორად მზიური წარმოშობის შესახებ, ყველასთვის კარგად ცნობილი ფაქტია. ამიტომ არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს ბეჭედზე გამოხატული გვირგვინოსანი მამაკაცის მზიური დინასტიის წარმომადგენლად მიჩნევა. მეტიც, მეორე მამაკაცისა და ქალის გამოსახულებების „დონის“ და „ლანის“ ქვეშ განლაგება ექვემდებარება იმ პრინციპებს, რომლებზეც აგებულია *სულიწმინდის მოფენის* კომპოზიციები, რომელთაგან ერთი შესრულებულია ოქროს ფირფიტაზე და დათარიღებულია საშუალო საუკუნეებით (ილ. 16, გვ. 164), ხოლო მეორე, გელათის მონასტრის ჩრდილოეთის ეკვდერის აღმოსავლეთ კედელზეა მოთავსებული. აღნიშნული კომპოზიციები ეჭვს გარეშე აყენებს ბამიანის ხელნაწერზე გამოსახული პირების წარმომავლობას უხილავი ღმერთის ხილული ხატისგან და მისგანვე მომდინარე მფარველობას.

ნიგნაკის მასალაც იმავეს ადასტურებს. პერგამენტზე საკრალური და უდიდესი მნიშვნელობის ტექსტები ინერებოდა. ამიტომ

ხელნაწერის ანბანისა და მისი შინაარსის განხილვის გარეშეც კი შეიძლება ითქვას, რომ თვით მისი ფიზიკური პრეზენტაცია მის რელიგიურ მნიშვნელობაზე მიუთითებს. ადვილად დავასკვნით, რომ ხელნაწერის ყოველი დეტალი გარკვეული ტრადიციის, გამიზნულობისა და მიზნობრიობის შედეგია და ღვთაებრივი ცოდნის გადმოცემის საბოლოო მიზანს ემსახურება.

საოცარი გახლდათ ათასწლოვანი განშორების შემდეგ შემდგარი ეს შეხვედრა; მომცრო მოსაცდელში უსაზღვრო დრო და მანძილი შეკუმშულიყო, კითხვების რაოდენობა კი იზრდებოდა.

*რა უნდოდა ქართული ასომთავრულის ღვთაება-ნიშნებს ამ უცნობი ანბანით დაწერილი პერგამენტის ფურცლებზე?!*

*რომელი ქვეყნიდან გამოემგზავრა ეს პანანინა ხელნაწერი, ინგლისის მინაზე ჩემს მშობლიურ ანბანს რომ შეხვედროდი?*

გული საგულეში ველარ ეტეოდა; მეგონა, ყველას ესმოდა მისი ფეთქვა; ახლაც, თორმეტი\* წლის შემდეგ, ისეთივე მღელვარება მეუფლება, როგორც მაშინ.

გაკვირვებით მზირალ მამაკაცებს კვლავ მივუბრუნდი და დანარჩენი ფურცლების გადაშლა ვთხოვე. ამჯერადაც თანხმობა მივიღე. შედარებით ნელა დავიწყე ფურცვლა, რათა უკეთესად დამეთვალეირებინა ნიგნაკის თითოეული გვერდი. მეოთხე და მეხუთე ფურცლები „დონის“, მამაკაცისა და ქალის გამოსახულებას იმეორებდა იმ განსხვავებით, რომ ბეჭედი მონაცვლეობით ხან ფურცლის მარჯვნივ, ხანაც მარცხნივ იყო მოთავსებული. ნიგნაკის მეექვსე და მეშვიდე ფურცლებს ბეჭედი არ ესვა.

ბ.-ნ რამაზ პატარიძის ეპოქალური გამოკვლევა ქართულ ასომთავრულზე, მკარნახობდა, რომ ნიგნაკის ბოლო გვერდზე კვლავ დიდ ღმერთთან შეხვედრა მელოდა. „ტიქსტის ბოლოშიც პირველი გამოსახულება უნდა იყოს“ – ვთქვი მე.

ასეც მოხდა! ნიგნაკის ბოლო გვერდის ცენტრალურ ნაწილში დასმული ბეჭედი პირველის იდენტური აღმოჩნდა – დიდი ღმერთი „ლანი“ იწყებდა და აგვირგვინებდა ამ უცნობ ტექსტს.

უძველესი ტექსტის სტრუქტურა საოცარი სიზუსტით იმეორებდა ქართულ ასომთავრულში დაუნჯებულ ცოდნას: „ლანით“, დიდი ღმერთით იწყება სიცოცხლე სამყაროსი და სიცოცხლე ამ პანანინა ნიგნაკისაც; „დონით“, მაცოცხლებელი მზით და უზენაესი ღვთაებით, – „ლანის“ ხილული სახით გრძელდება სიცოცხლე მინისა და სიცოცხლე ამ უცნობი ანბანით აღბეჭდილი ტექსტისაც და ორივეს დასასრულიც, ისევე, როგორც მათი სანყისი, კვლავ უხილავი ღმერთის

\* ნაშრომი დასაბეჭდად 2006 წელს უკვე მზად იყო, მაგრამ ობიექტური მიზეზების გამო მისი გამოქვეყნება ვერ მოხერხდა.

გამგებლობაშია. ნიგნაკის ბოლო გვერდზე, ბეჭდის ზედა რეგისტრში გამოხატული „ლანის“ გამოსახულება ამ თეზისსაც ადასტურებდა. სამყაროს უხილავი შემოქმედი, თავისი ნაღვანის ხილული ხატით ჩემ წინაშე იდგა.

ბეჭდის სიმბოლიკაც მრავლისმთქმელია. ძველთაძველი შუმერული წარმოდგენების მიხედვით, ბეჭედი და სახელი ერთი და იგივეა. თუ თქვენთვის ცნობილია სახელი, ცნობილია არა მარტო თვით პიროვნება, არამედ მისი სასიცოცხლო ენერჯის მბრძანებელიც ხდება (Campbell Thompson II 1904:xxiii).<sup>9</sup> სხვაგვარად, ვინც ხელნაწერის სიმბოლოთა სახელწოდებებს ფლობს, გვირგვინოსანი მეფის სახელის მფლობელიც ხდება და მის ძალაუფლებასა და ძლიერებას ეზიარება.

მოცემულ სიმბოლოებში საკუთარი ანბანის ასოთა ამოკითხვა ასომთავრულ ანბანს ნაზიარებ ნებისმიერ ქართველს შეუძლია, მაშინ, როდესაც, უცხოელ მეცნიერთათვის ხელმიუწვდომელია არათუ სიმბოლოთა იდენტიფიკაცია-სახელდება, არამედ მათი დანიშნულების ზუსტი ამოცნობაც.

აქედან გამომდინარე, ბეჭედზე ამოტვიფრული მთლიანი გამოსახულება ერთ ქართველურ წყაროს ეკუთვნის, მიუხედავად ჩვენთვის გაუგებარი ასოებით დაწერილი ტექსტისა. ამ შეუსაბამობამ ბეჭდის არაქართველურობა კი არ უნდა გვაფიქრებინოს, არამედ, პირიქით, მათი ერთად ყოფნის მიზეზზე უნდა დაგვაფიქროს. ამიტომ, ჩემთვის ნიშანდობლივი იქნება, თუ ქართველთა გასაოცარ წარსულზე ამეტყველდება ბეჭედები; მე ამას უკვე შევეჩვიე ქართული, შუმერული, ეგვიპტური და ინდოევროპული მასალის შედარებითი კვლევისას. მართალია, ამ კუთხით, ჩემი ცოდნა 1995 წელს გაცილებით უმნიშვნელო იყო, მაგრამ ჩემ ხელთ არსებული მასალა და პროფ. რამაზ პატარიძის გამოკვლევა მკარნახობდა ამ პატარა ნიგნაკის უდიდეს პალეოგრაფიულ და, რა თქმა უნდა, ისტორიულ მნიშვნელობასაც. ამიტომ, როდესაც ბოლო გვერდზე კვლავ „ლანიანი“ ბეჭედი გამოჩნდა, თავი ვერ შევიკავე და მუზეუმის თანამშრომლებს მივმართე: „შეიძინეთ ეს ნიგნაკი. იგი ძლიერ მნიშვნელოვანია-მეთქი“. მათ ეჭვის თვალით შემომხედეს, უცნობიც გაოცებული შემომცქეროდა. დაუყოვნებლივ გავაცნობიერე, რომ მუზეუმის თანამშრომლებს „ჩანყობილი საქმე“ ეგონათ. მათი სახელები აღარ მახსოვს, უნდობლობით აღსავსე სახეები კი ახლაც თვალწინ მიდგას. სწრაფად უთხრეს უარი უცნობს ნიგნაკის შექენაზე და წავიდნენ.

ძლიერ შევწუხდი. ვგრძნობდი, რომ შეცდომა დავეშვი, მაგრამ გვიანი იყო. მე მთელი სინრფელით წამომცდა, „შეიძინეთ-მეთქი“, ვინაიდან მსურდა, არ დაკარგულიყო ან არ განადგურებულიყო ხელ-

<sup>9</sup> ბეჭდის მნიშვნელობაზე ქართულ ტრადიციებში (სწორფრობა) იხ. ა. მესხი, 2001.

ნანერი „მოუვლელიობით“. ბრიტანეთის მუზეუმი ხომ მსოფლიოში ერთ-ერთი ნამყვანი სამეცნიერო ცენტრთაგანია, სადაც ნიგნაკს გამოიკვლევდნენ, ყურადღებას მიაქცევდნენ ქვის ბეჭდებს და იქნებ ქართულ ასომთარულამდეც მოსულიყვნენ. ახლა კი...

*ვინ იცის, სად არის დღეს ეს პატარა პერგამენტის ნიგნაკი?*

*ვისმეს კოლექციას ამშვენებს თუ დაკარგულია სამუდამოდ?*

*ჩამოვა კი ოდესმე საქართველოში?*

*იხილავს კი მას ოდესმე ქართველი ხალხი, რომლის სისხლის ყვილი ხან ასურული, ხან აელანური, ხან შუმერული და ხან ინდოევროპული კულტურის ნიმუშებიდან მოისმის?*

*შედლებს ოდესმე ქართველი ხელით შეეხოს პატარა ქვის ბეჭდებს, რომლებზეც მისმა სისხლმა და ხორცმა დაუსაბამო სიცოცხლის სიმბოლოდ გამოუსახა უხილავი ერთი ღმერთის ანბანური ხატება?*

არ ვიცი, არ მაქვს პასუხები ამ შეკითხვებზე. არც ის ვიცი, რა ბედი ენია პერგამენტის პატარა „მოგზაურ“ ნიგნაკს.

დამნაშავესავით ვიდექი უცნობის წინაშე. დაბნეული, შეცდომის გამოსწორებას ვერ ვახერხებდი. ისევ მან იმარჯვა და მკითხა, საიდან იცი, რომ მნიშვნელოვანია ეს ნიგნაკიო. რა თქმა უნდა, მოკლედ, მაგრამ მაინც ვუთხარი ქართული ასომთავრულის შესახებ; ძნელია იმის თქმა, თუ რამდენად დამაჯერებელი იყო მისთვის ეს სრულიად უცნაური და უჩვეულო ინფორმაცია. ქართველების უდიდეს ნაწილსაც ხომ ვერ დაუჯერებია საკუთარი ანბანის სიდიადე და უცხოელებისგან რატომ უნდა გაგვიკვირდეს ამგვარი რამ?

მეც გამოვკითხე უცნობს ვინაობა და მის მიერ მოტანილი საგნების სადაურობა. აღმოჩნდა, რომ იგი იყო ჩრდილოინდური ბუდისტური ხელოვნების (განდჰარანი) მკვლევარი ჯულიან შერიერი. მასთან რამდენიმე დღით ადრე ორი მამაკაცი მისულა, მიუტანიათ ვერცხლის თასი და ეს პატარა ნიგნაკი; უთხოვიათ, ბრიტანეთის მუზეუმში წაეღო გასაყიდად, მაგრამ ახლა ვინღა იყიდდა მისგან რამეს, როცა ყოველივემ „კონსპირაციის“ სახე მიიღო? ეს ბატონმა ჯულიანმაც აღნიშნა. შემომთავაზა, თქვენ ხომ არ იყიდითო. ნეტავ შემძლებოდა, არაფერს დავიშურებდი, რომ ქართული ასომთავრული ანბანის გავრცელების ასეთი უნიკალური დოკუმენტი სამშობლოში დამებრუნებინა. შემომთავაზებდაზე უარი ვუთხარი ფინანსურ მიზეზთა გამო და ვთხოვე, იქნებ სურათები გადაეღო პერგამენტის ნიგნაკისთვის. ვერ შეგპირდებო – მითხრა – ჯერ პატრონებს უნდა დავეკითხოო. რა გაენყობოდა ან რა მეთქმოდა. მეორე დღით უკვე კემბრიჯში ვბრუნდებოდი.

მუზეუმი იღებოდა; უნდა დავმორებოდით ერთმანეთს. მეც საქმე მელოდა და ბატონ ჯულიანსაც სამსახურში ეჩქარებოდა. დამშვი-

დობებისას მკითხა, მუზეუმს როდის ტოვებო. ვუპასუხე, როდესაც იკეტება-მეთქი. იქნებ მოვახერხო და სურათები გადავიღო, მუზეუმის მეორე შესასვლელთან მოვალ და იქ დაგელოდებიო.

იმედი არ მქონდა; არ მეგონა, თუ ბატონი ჯულიანი ახლახან გაცნობილი ადამიანისთვის ასე შეინუხებდა თავს..., მაგრამ ღმერთი მონყალე აღმოჩნდა. მუზეუმიდან გამოსულმა ლურჯი ფერის მანქანაში მჯდომი ჯულიან შერიერი დავინახე. მანქანაში ჩავჯექი. ფრთხილად ამოიღო „დიპლომატიდან“ ფოტოსურათების პაკეტი. „არ დამირეკია მათთვის, დამოუკიდებლად გადავწყვიტე სურათების გადაღება და შენთვის მოცემავ“ – მითხრა.

თავი დეტექტივის სამყაროში მეგონა; ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ვიღაცას ძვირფას განძს ვპარავდი. სურათები გადავთვალიერე. შესანიშნავად იყო გადაღებულ-გამყლავნებულნი. არ ვიცოდი, როგორ გადამეხადა მადლობა პიროვნებისთვის, რომელმაც ამდენი გააკეთა მხოლოდ სიკეთის გამო.

მეორე დღით კემბრიჯში დავბრუნდი.

**ჩვენი წლის შედეგები**





გავიდა რვა წელი. კვლავ გავემგზავრე ინგლისს, ამჯერად ასირიოლოგთა 49-ე საერთაშორისო კონგრესში მონაწილეობის მისაღებად (7-11 ივლისი, 2003). ჩემი მოხსენების თემა გახლდათ „წინა-შუმერული უბაიდი და მისი ქართველური წარმომავლობა“. გადაწყვეტილი მქონდა, ინგლისში ყოფნისას ბატონ ჯულიან შერიერს დავკავშირებოდი. რვა წლის შემდეგ იმედი არ მქონდა, რომ ვემახსოვრებოდი. ამიტომ თან წავიღე მის მიერ გამოგზავნილი წერილი და პერგამენტის წიგნაკის ფოტოსურათები. ტელეფონის ნომრის კოდი შეცვლილი აღმოჩნდა და ორი დღის მანძილზე ვერაფრით დავუკავშირდი. ბოლოს, 9 ივლისს, საღამოს დავურეკე და ჩემი საუბარი შემდეგი ფრაზით დავიწყე:

- ბატონ ჯულიან შერიერთან მსურს საუბარი, გეთაყვა.
- გისმენთ. მე ვარ!
- იცით, თქვენ ალბათ არ გახსოვართ მე, მე...
- თქვენ ხართ ანა, ქართველი, რომელიც მე მუზეუმში...

ალარაფერი მესმოდა, გაოცებული ვუსმენდი ნაცნობი ადამიანის ხმას, რომელსაც ამდენი წლის მანძილზე ჩემი სახელიც კი არ დავიწყებოდა. გულმა ისე დამიწყო ძგერა, თითქოს ბუდიდან ლამოს ამოვარდნასო. გადავწყვიტეთ, შევხვედროდით 10 ივლისს, სხდომის შემდეგ, 6 საათზე, ბრიტანეთის მუზეუმის ცენტრალურ შესასვლელთან (კონგრესი ლონდონის მუზეუმსა და SOAS-ში მიმდინარეობდა).<sup>1</sup>

მეორე დღეს შევხვდით. შევხვდით ისე, თითქოს ჩვენ შორის რვა წელს კი არა, რამდენიმე დღეს გაეწლო. ასე მხოლოდ კეთილშობილი ადამიანები ხვდებიან ერთმანეთს.

შევედით ბარში. ხალხმრავალ დარბაზში ერთი მაგიდა ვიპოვეთ განცალკევებით და გამოვიკითხეთ ერთმანეთის ავი და კარგი. დაინტერესდა, რამე თუ გააკეთე იმ წიგნაკთან დაკავშირებითო. არამეთქი, ვუთხარი და მიზეზებიც აეუხსენი, თუმცა არ ვიცი, რამდენად მოვახერხე მისი დარწმუნება ჩემი შეხედულების სისწორეში. ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს დიდი პატივი ვერ გავამართლე. ეს ნაშრომი ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელადაც დაინერა; და კიდევ იმიტომ, რომ მსურს, საზოგადოებამ იცოდეს: ქართული ასომთავრულის კვლევაში მცირე წვლილი წარმომავლობით სპარს-პაკისტანელ ჯულიან შერიერსაც ეკუთვნის.

ჯულიანმა საჩუქარიც მომიძღვნა, მისი ქალიშვილის თარგმანით გამოქვეყნებული Francois Baratte's მცირე მონოგრაფია *East and West: A Central Asian Silver Hoard from the Parthian Era*, London, 2002. მკითხველს ვთავაზობ თვითონ ამოიცნოს ამ მონოგრაფიის ბოლო

<sup>1</sup> SOAS - School of Oriental and African Studies.

გვერდზე დაბეჭდილ ტექსტებში ქართული ასომთავრულისა და მხედრული ასოების მსგავსი ასო-ნიშნები (სურ. 51).<sup>2</sup>

წიგნის სახელი

საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

სურ. 51

სურ. 51

სურ. 51. ილუსტრაცია პარი ფალკის სტატიიდან „ვერცხლის საგანძურის ზოგიერთ ჭურჭელზე წარწერილი საკუთარი სახელები და წონის ერთეულები“, ნიგნში: Baratte F., 2002. *East and West: A Central Asian Silver Hoard from the Parthian Era*. Melisende, London.

ბევრი ალბათ თამაზ გამყრელიძის პოზიციას დაიკავებს, რომლის მიხედვით „სხვადასხვა წერით სისტემათა გავლენები ერთმანეთზე, რა თქმა უნდა, არ გამოირიცხება, მაგრამ, ერთი დამწერლობის ცალკეულ ნიშანთა მსგავსება სხვა დამწერლობებთან ვერ გამოდგება საფუძვლად მათ შორის არსებული გენეტიური კავშირების მტკიცებისათვის თუ ცალკეულ ნიშანთა გრაფიკულ მსგავსებასთან

<sup>2</sup> მკითხველისთვის საინტერესო იქნება ალინიშნოს, რომ, ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ქართული ანბანი „ეყრდნობა ფაპლაეის ანბანს ავესტას რამდენიმე ასოს დამატებით“ (Diringer 1968:251; Junker 1925; Müller 1864; Taylor 1983:268-69).

ერთად ამგვარ დამწერლობათა შორის არ გამოვლინდა შინაგანი სტრუქტურული კავშირები ნერის არსებით მახასიათებლებში“ (გამ-ყრელიძე 1990:54).

საესებით დავეთანხმებოდი ავტორს, რომ ერთი გარემოება არა: როდესაც საქმე გვაქვს კოდირებულ ეზოთერულ ცოდნასთან, შინა-განი კავშირები დამალულია, დაშიფრულია. რაციონალური, აშკარა და ზედაპირზე არსებულ მსგავსებებს მიღმა, რომელთა გახსნა მხოლოდ ტრადიციული ლინგვისტური მეთოდის გამოყენებით შეუძლებელია, უნდა ვეძიოთ დამალული და უხილავი, – ჭეშმარიტი არსი მათი მსგავსებისა.

აქვე ვთავაზობ მკითხველს პერგამენტის ნიგნაკის ყველა გვერდის ილუსტრაციას მათზე აღბეჭდილი „ღანისა“ და „ღონის“ გამოსახულებებით (ფოტო 3-12, გვ. 520-523) და იმედს გამოვთქვამ, რომ ქართველი პალეოგრაფები დაინტერესდებიან ამ უცნობი ანბანით, სადაც საკმაოდ მოუყრია თავი სემიტიურ ასოებს. მე, ჩემი მხრივ, უკვე დავინყე მისი დამუშავება (ტომი II) და ძლიერ მოხარული ვიქნები, თუ ვინმე შემეხმიანება და დამეხმარება ამ კეთილშობილურ საქმეში.

გთავაზობთ, აგრეთვე, ჯულიანის მიერ გამოგზავნილი ნერილის ფრაგმენტსაც, სადაც იგი ხელნაწერის აღმოჩენის შესახებ მატყობინებს. აქვეა ბამიანის გამოქვაბულების კომპლექსი გიგანტური ბუდას ქანდაკებებით (ფოტო 13-14; გვ. 524), სადაც აღმოაჩინეს ეს პანანინა ნიგნაკი.

„ძვირფასო დოქ. მესხი,

შეიძლება ანა გინოდო? ასე გაცილებით უფრო მეგობრულად უღერს. მე კი ჯულიანი დამიძახე! ...

ახლა ხელნაწერის შესახებ. იგი აღმოაჩინეს ბამიანში, კოლოსალური ბუდას ქანდაკებასთან განლაგებული გამოქვაბულების კომპლექსის ერთ-ერთ ქვაბულში, ავღანეთში (ეს ორი კარგად ცნობილი ბუდაა, ბევრჯერ გადაღებული, გამოკვეთილია კლდეში და მათ უკან ბევრი გამოქვაბულია). ამის შესახებ დიდ ინფორმაციას მოიძიებ ბამიანისა და ავღანეთის არქეოლოგიაზე დაწერილ ნებისმიერ ნიგნში. ხელნაწერის აღმოჩენის შესახებ დარწმუნებით ვერაფერს ვიტყვი, ვინაიდან მხოლოდ მათ (ვინც აღმოაჩინა, ა. მ.) სიტყვას უნდა ვენდოთ; მსგავსი ამბები კი ხშირად გაბუქებულია და დამახინჯებული! ...სხვათა შორის, პატრონებმა ერთი თხოვნით მომმართეს: თუ შეგიძლია, შენი თეორიის მოკლე რეზიუმეს მიცემა ამ ხელნაწერთან დაკავშირებით; და თუ შესაძლებელია, პირველი გვერდის თარგმანი ან ნებისმიერი მეტ-ნაკლებად გასაგები გვერდისა, რისი გაშიფრაც შეგიძლია, – ეს ძლიერ გამოადგებოდათ.

პატივისცემით  
ჯულიან შერიერი“

ქართველური-შუმერული-ეგვიპტური ლინგვოკულტუროლოგია იკვლევს ქართველური ენებისა და კულტურის გენეტიკურ კავშირებს შუმერულ, ეგვიპტურ, ფინიკიურ და, ნაწილობრივ, ხათურ, ბერძნულ-რომაულ, თურქულ და ასევე, ინდოევროპულ ცივილიზაციებთან. ქართველური ენებისა და კულტურის კაცობრიობის უძველესი ენობრივი საიდუმლოებების ანალიზში ჩართვამ, ნათელი მოჰფინა როგორც მკვდარი, ისე ცოცხალი ენობრივი სისტემების მთელ რიგ ბუნდოვან თუ გაურკვეველ ასპექტებს, ახლებურად წარმოაჩინა მათი კავშირი და დამოკიდებულება უძველეს სამყაროსეულ ცოდნასთან, რომელიც, ერთი მხრივ, წარმოადგენდა ქართველ ჯელ-დასხმულ ქურუმთა გასაიდუმლოებულ ცოდნის ნაწილს, ხოლო, მეორე მხრივ, იყო ქართველთა ყოველდღიური ცხოვრების ქარგა - ენა, წეს-ჩვეულებები, სამოსი, ორნამენტი, არქიტექტურა და სხვ.

ამ სიბრძნის კოდირებული ინფორმაციის სახით, მრავალათასწლოვანი ეზოთერულ-ეგზოთერული არსებობა გარდასული ცივილიზაციების რელიგიურ სისტემებში, წმინდა წიგნებში, სარწმუნოებრივ სიმბოლოებსა თუ დოქტრინებში დასტურდება. ნაშრომში წარმოდგენილი მრავალამხრივი ლინგვისტური და კულტუროლოგიური ანალიზის შედეგად, ქართველური ენები და კულტურა წარმოჩინდა არა როგორც მოგვიანო ხანის განვითარების შედეგი, არამედ, როგორც პროტო-შუმერული და პროტო-ეგვიპტური ცივილიზაცია. ამის გამო ქართველურმა ენებმა და კულტურამ მკვდარი ენების კვლევის სისწორის ერთგვარი შესაღარებელი სტანდარტის ფუნქცია იკისრეს. ანალოგიურად მოქმედებს ქართველური ფინიკიურ, ხათურ, ბერძნულ-ლათინურ და ნაშრომში გაანალიზებულ სხვა სისტემებთან მიმართებაშიც.

ქართველურის, როგორც სავერიფიკაციო მოდელის გამოვლენა-ჩამონაკვთვა, მხოლოდ ტრადიციული აღწერითი მეთოდების გამოყენებით, შეუძლებელი აღმოჩნდა, რის გამოც, ძველი ქურუმთმეცნიერების მიერ კაბალის მეშვეობით გადმოცემული ენათმეცნიერული კვლევის ხერხები ანალიზის სფეროში შემოვიტანეთ. ეს, სწორიც არის და გამართლებულიც, ვინაიდან, თუ გვსურს ძველი ენების ობიექტური შესწავლა და, მით უმეტეს, მკვდარი და ცოცხალი ენების შედარებითი ჩხრეკა, ძიების ტრადიციულ ხერხებთან ერთად, ძველი, ამჟამად მკაცრ მეცნიერულ წრეებში მიუღებელი მეთოდებიც უნდა გამოვიყენოთ. ამგვარი კომპლექსური მიდგომა, სხვათა შორის, თვით საკვლევი მასალის, განსაკუთრებით მკვადრი ენების, ენიგმატური ბუნებითაც არის გამართლებული.

აღწერილი მიდგომის საფუძველზე გამოაშქარავდა ქართვე-

ლური ენებისა და კულტურის მნიშვნელოვანი როლი მკვდარი ცივილიზაციების არა თუ არსებობის, არამედ ფორმირების საქმეშიც. ქართველური ფენომენი მსჭვალავს მათ რელიგიურ თუ ეთნოლოგიურ ასპექტებს, სადამწერლობო სისტემების გაჩენა-განვითარებას, სამყაროს ასტრონომიულსა თუ ასტროლოგიურ ცოდნას, მითებსა და სიმბოლოებში გახვეულ მსოფლმხედველობას. კაცობრიობის კულტურის ეს უკიდევანო საგანძური ენის ორგანიზაციის ყველა დონეზეა განფენილი: ფონეტიკურ-ფონოლოგიურზე, მორფემულზე (ძირისეული თუ აფიქსალური ერთეულებით), ლექსიკურსა და თვით სინტაქსურზეც კი. ქვემოთ მოყვანილი დასკვნები სწორედ ამ თანმიმდევრობით არის წარმოდგენილი:

### ფონეტიკურ-ფონოლოგიური დონე

ნებისმიერი, ცოცხალი თუ მკვდარი ენის შესწავლა მისი ბგერითი ინვენტარის დადგენით იწყება. შედეგების სიზუსტე დიდად განაპირობებს როგორც საძიებელი სისტემის ზედმინევენით რეკონსტრუქციას, ისე, შესაბამისად, სხვა ენებთან ნათესაური ურთიერთობების დადგენასაც. იმგვარი მკვდარი ენების ბგერითი რეპერტუარის (ფონოლოგია) განსაზღვრა, რომლებიც მოკლებულნი არიან ქრონოლოგიურად ადრეულ ენობრივ ფენებს (მაგალითად, შუმერული და ეგვიპტური), პირველივე დღეებიდან უკუმიმართულებით, ანუ გაცილებით უფრო ახალგაზრდა ენობრივ სისტემებთან შედარების საფუძველზე მიმდინარეობდა და მიმდინარეობს. შუმერულის კვლევა დაიწყო არაბულით, რომელიც ჯერ ძველარაბულით, ხოლო მოგვიანებით აქადურით შეიცვალა. იგივე ბედი ენია ეგვიპტურსაც, რომლის შესწავლა სემიტური ენებისა და კოპტურის საფუძველზე მიმდინარეობს. მეცნიერთა თავდაუზოგავი შრომის მიუხედავად, მკვდარი ენების ფონეტიკური სისტემები დღესაც შორს არიან სრულყოფისგან, რისი ძირითადი მიზეზიც, ასირიოლოგების აზრით, შესაძარებელი ენის არარსებობაა – ენისა, რომელიც მიღებული დასკვნების გადამოწმების სანდო კრიტერიუმად გამოდგებოდა.

კვლევამ ცალსახად აჩვენა, რომ ამგვარ შესაძარებელ სტანდარტს ქართველური ენობრივი მასალა წარმოადგენს. იგი ნაშრომში გაანალიზებულ ყველა ერთეულს შინაგანი რეკონსტრუქციის საფუძველზე, ანუ სუბსტრატული სიღრმიდან განიხილავს, რის შედეგადაც, განსახილველი ერთეულების გაშიფვრა, დააზუსტება თუ ეტიმოლოგიზაცია რამდენიმე გზით ხორციელდება:

- დადგენილი ან სავარაუდო ბგერის ან ბგერების დადასტურება/აურყოფით;
- ახალი ბგერების იდენტიფიკაციით.

ქართველური ენების დადასტურებითი ფუნქცია მეცნიერთა მიერ გამოვლენილი ფონემების „ალიარებაშია“. მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ განსხვავებული ენების ანალოგიური თანხმოვნები ბ, გ, დ, მ, ნ, ს, შ: შუმ. „ნაბუ“, ეგვიპტ. „ნებ“, შუმ. „გუდ“, „შენ“, ეგვიპტ. „მინ“, აქად., ფინიკ. „სინ“ და ა.შ. დადასტურებითი ფუნქცია, რომელიც მოყვანილ ნიმუშებში მარტივი ჩანს, ზოგიერთ შემთხვევაში, როგორც ეგვიპტური ენის ხმოვნების დადგენაა, საკმაოდ რთულდება; ეს კი ამ ენის დამწერლობის თავისებურებით – თანხმოვანოტაციით არის განპირობებული. მაგალითად, ეგვიპტური სიტყვების ქართველური არქეტიპები „ჭედვა“, „ჭერა“, „ათი“, „ნესი“, „ნება“, „უშრეტი“, „ჭოტი“ და ა.შ. ადასტურებენ არა მხოლოდ ი, ა და უ ხმოვნების, არამედ ეგვიპტურის ფონოლოგიურ სისტემაში ე და ო სავარაუდო ბგერების არსებობასაც. აქედან გამომდინარე, ქართველური მასალა არა მარტო სრულყოფს ეგვიპტურის ბგერით ინვენტარს, არამედ აღადგენს ქართულისთვის დამახასიათებელ ხუთი ძირითადი ხმოვნისგან შემდგარ მიკროსისტემას. ქართული ი, ა, ო, უ, ე = ეგვიპტურ i, a, o, u, e.

ქართველური ენების უაღრესად მნიშვნელოვანი ფუნქცია გამოვლინდა ახალი, განსაკუთრებით, თანხმოვანი ფონემების აღმოჩენაში. მათი იდენტიფიკაციის დიდი მნიშვნელობა, განისაზღვრება თანხმოვნების, როგორც ენის ფონური სამშენებლო ბლოკების როლით, ისე ეგვიპტური ენის თანხმოვნებზე გათვლილი დამწერლობით. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ, ხშირ შემთხვევაში, მკვდარი ენების დაუდგენელი თანხმოვნები, საარტიკულაციო სირთულეებით გამორჩეული სპეციფიკური ქართველური თანხმოვნებია. აღნიშნული ბგერების გამოვლენა მნიშვნელოვნად ზრდის ქართველური არქეტიპების დამაჯერებლობის ხარისხს და ანალიზის სფეროში შემოაქვს სესხებასთან დაკავშირებული ფონეტიკური პროცესების პრობლემა.

ცნობილია, რომ სესხებისას, მსესხებელი ენა ნასესხებ მორფემებს საკუთარი ფონოლოგიური სისტემის მიხედვით აფორმებს. ფონეტიკური მსგავსებისას, ასიმილაციური პროცესები ძნელად შესამჩნევია, ვინაიდან ნასესხები ერთეულის ორმხრივი ბუნება (ფორმა+შინაარსი) ფაქტობრივად უცვლელი რჩება. საქმე რთულდება, როდესაც მსესხებელსა და წყარო-ენას განსხვავებული ბგერითი რეპერტუარი აქვს და საწყისი ჟღერადობის შენარჩუნების სურვილს ფონეტიკური ცვლილების მექანიზმი (ასიმილაცია, ჩანაცვლება, კარგვა, შერწყმა და სხვ.) მოძრაობაში მოჰყავს. შედეგად, წყვილის წევრებს (ნასესხები და საწყისი ლექსემა) შორის იწყება ფონეტიკური და სემანტიკური კავშირების შესუსტება, რაც, არც თუ იშვიათად, მათი სრული განყვევით მთავრდება.

ლინგვისტური სურათი მთლიანად იცვლება, როდესაც არქეტიპის ბგერითი მონახაზი ძნელადგამოსათქმელ ფონემებს შეიცავს, ისეთებს, როგორიც სპეციფიკური ქართველური თანხმოვნები და მათი კომბინაციებია. კვლევის მიხედვით, მსგავს შემთხვევებში, ფონეტიკური „კორუპციის“ ხარისხმა შეიძლება ისეთ დონეს მიაღწიოს, რომ არქეტიპისა და მისი დერივატის *სრული გათიშვა* გამოიწვიოს – ფენომენი, რომელსაც ქართველური და ეგვიპტური მასალის შედარებითი ანალიზი სისტემატურად გვიდასტურებს. იმის გათვალისწინებით, რომ უცხოელებს დღესაც ძლიერ უჭირთ ქართული სიტყვების სწორი ხმოვანებით გამოთქმა, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სპეციფიკური ქართველური თანხმოვნების *ადექვატური* გადატანა იყო და კვლავ რჩება გადაუჭრელ საარტიკულაციო პრობლემად როგორც მკვდარი, ისე ცოცხალი ენებისთვის. ამის მაგალითად დავასახელებთ ბერძნულსა და ლათინურ ენებში ქართველთა ეთნიკურ ტერმინს „ხალიბები“, სადაც არქეტიპული ხახისმიერი ყრუ ხშული (ყ) სიტყვაში „ყალიბი“ განსხვავებულად არის გადმოცემული; ბერძნულში ერთი მარტივი ასოა გამოყენებული (Xalups), მაშინ როდესაც ლათინური ch კომპლექსს მიმართავს (Chalibes). ასევე იქცევა ფინიკიური 'Aleph და არაბული kalib, გაცილებით ადრე კი ანალოგიურ ხერხს მიმართა ეგვიპტურმაც, როდესაც სახელში „სახემყარი“ (Sakhemkari) ხახისმიერი ყ ველარული k ფონემით ჩაანაცვლა.

ფონეტიკური „კორუფციის“ იმავე ჯგუფს ეკუთვნის ველარული მულერის ლ გამოხატვა სიტყვაში „ბულა“. ეს სიტყვა ერთნაირად აქვს წაღებული როგორც უძველეს, ისე თანამედროვე ცივილიზაციებს. ეგვიპტურში გვხვდება მისი როგორც მარტივი, ისე კომპლექსური ტრანსლიტერაცია. ხშირად ლ გადმოიცემა გ ბგერით როგორც ეს ოსირისის მშობლიური ქალაქის სახელწოდებაშია (Bu-gem), კასიტური ღვთაების სახელში Bugaš, თურქულ ლექსემაში ხბგშ („ბრძენი, გრძნეული“), სპარსულ boge-ში („ბულა“), ბულგარულში bogra („ბულა“) და ა.შ.

გვხვდება განსხვავებული თანხმოვნებიც (k, h), როგორც ეს გვაქვს ეგვიპტური დაავადების ღმერთის ტიტულში „ჭალარა“ (Tchahar), პოლონურში, უკრაინულსა და რუმინულში buhaj („ბულა“), თურქულ სიტყვაში buka („ბულა“), რუსულში byk („ბულა“, „ხარი“) და ა.შ. გვხვდება კომბინაციებიც, როგორც ერთ-ერთი ეგვიპტური ღვთაების სახელშია (Bkha), ღმერთის სპარსულ ლექსემაში baghō და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ აღწერილი შემთხვევები (დადასტურება, იდენტიფიკაცია) ტრადიციული ენათმეცნიერების კვლევის ჩარჩოებში ჯდება, აღწერილი ბგერათმომართებები მაინც მეცნიერთა ყურადღების მიღმა დარჩა. მიზეზი ენათა ნათესაობის გაბა-



ტონებულ კლასიფიკაციას და გარკვეული პოსტულატებისა თუ ავტორიტეტებისადმი ბრმა მორჩილებაში უნდა ვეძიოთ. ფაქტების უზენაესობის აღიარებამ, საშუალება მოგვცა გამოგვემულავენებინა არა მხოლოდ ტრადიციული ფონეტიკური კავშირები არამონათესავე ენებს შორის, არამედ გამოგვეყო მსგავსებისა და ურთიერთდამოკიდებულების ისეთი მოდელებიც, რომლებიც ენათა კლასიფიკაციის შესახებ არსებულ შეხედულებებს „თავდაყირა“ აყენებენ. იგულისხმება ფონემების კოდური ფორმულები, რომლებსაც, მიუხედავად იმისა, რომ ყოველ ენაში განსხვავებული კონკრეტული სახე გააჩნიათ, ერთი გამჭოლი თვისებაც ახასიათებთ – რთული არქეტიპული ფონემა. რთული არქეტიპი (რა) სრულიად ახალი და განსაკუთრებული მოვლენაა ლინგვისტურ შტუდიებში. იგი რამდენიმე ქართველური ბგერის, უმრავლეს შემთხვევაში, სპეციფიკური ქართველური თანხმოვნის გაერთიანებაა, რომელიც, შესაძლოა, ერთდროულად მსესხებელი ენის ერთ ბგერას ან მათ კომბინაციას მიემართებოდეს და მაინც რჩებოდეს ფონეტიკური იგივეობის დასაშვებ საზღვრებში. ეს უკანასკნელი (ფონეტიკური იგივეობის დასაშვები საზღვრები) გაიგება, როგორც ისეთი დისტინქციური თვისებების ერთობა, რომლებიც, ცვლილებების მიუხედავად, არქეტიპულ ფონემასთან გაიგივებას ხელს ვერ უშლის. მაგალითად, ფინიკიური' (გლოტალური ხშული) სამ ქართველურ თანხმოვანს აერთიანებს: ყ, ჳ, ხ ('Aleph =ყალიბი, =კარი, =ხარება, =ხარ...). ეგვიპტურში რთული არქეტიპი კიდევ უფრო მრავალფეროვანი და პოლიფონემურია. ერთი გველის იეროგლიფი ხუთ ქართველურ სპეციფიკურ ბგერას ითანხმებს: ჭ, ხ, ძ, ჯ, ჩ: „ჭერა“ (tchera), „ძერა“ (tcheru), „ნესიერი“ (tcheser), „ჩემი“ (tchem) მნიშვნელობით „სკიპტრა“ და სხვ.

ერთისა და მრავლის აღწერილი ურთიერთობა ერთ – „გველის“ იეროგლიფშია „განთავსებული“. ეს ფორმულაა  $a \neq n$ , სადაც მოცემული ერთეული  $a=1$  („გველის“ იეროგლიფი), ხოლო  $n=5$  საძიებელი ქართველური ფონემებია. აღწერილი მოდელი ტრადიციული ლინგვისტური პირობების მიღმა დგას და კაბალით (Themurah) გათვალისწინებულ მეთოდოლოგიას აკმაყოფილებს.

გვაქვს ფორმულის შებრუნებული შემთხვევაც, როდესაც მოცემული სიდიდე  $a \neq 1$ , ხოლო საძიებელი  $n=1$ . ისტორიული ენათმეცნიერების ჩვეული  $1=1$  ფორმულის მოლოდინმა და ეგვიპტური სიტყვების  $a \neq n$  ფორმულაზე მოდელირებამ საკამათო თანხმოვანთჯგუფის (h, ḥ, ẖ, ḫ) ფონეტიკურ ღირებულებაზე ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. ზევით აღწერილი, ქართველური ველარული ფრიკატივის (ღ) განსხვავებული ბგერითი ვარიანტების გარდა, ლ ფონემის შემცველი ეგვიპტური ლექსემების ანალიზმა აჩვენა, რომ იეროგლიფები რთული არქეტიპული მოდელის გათვალისწინებით არიან

აგებულნი; მაგალითად, **h** და **h** თანხმოვნებს შეუძლიათ ერთდროულად ორი (თუ არა მეტი) ქართველური არქეტიპის გადმოცემა. ესენია, ველარული ნაპრალოვანი **x** და ხახისმიერი (ფარინგალური) **χ**. მეტიც, ყოველი კონკრეტული ფონემის (**h**, **h**, **h**, **h**) იდენტიფიკაცია ცალკეული ეგვიპტური ლექსემის მთლიანი ფონეტიკური მონახაზის საფუძველზეა შესაძლებელი. შეადარეთ, ეგვიპტის ერთ-ერთი რეგიონის დასახელება Hare მის ქართველურ ეტიმონს „ჯარი“, სიტყვა hr („ღმერთი“) – იმავე ეტიმონს („ჯარი/ხარი“). იმავე ჯგუფს განეკუთვნება სახელის Apis-Hapi მეორე კომპონენტიც Hapi, სადაც ფრიკატივი **h** ქართველურ **ხ** / **ჭ**-ს ენაცვლება. ანალოგიურია ეგვიპტური sahu, არქეტიპით „სახე“ და hetep, რომელიც ქართველური „ხატებადან“ მომდინარეობს.

ქართველური ენების შესადარებელი სტანდარტის ფუნქცია ნაკლებ გავრცელებას გამოიწვევდა, ტრადიციული ენათმეცნიერების საზღვრებში რომ ეტეოდეს. საკვირველი სწორედ ის არის, რომ აღნიშნული ფუნქცია მოითხოვს ორთოდოქსალური და არაორთოდოქსალური მეთოდების შერწყმა-კომბინაციას, რაც მეცნიერების მიერ აღიარებულ ენობრივ, გეოგრაფიულ თუ ქრონოლოგიურ ლოგიკას არღვევს, მაგრამ ქართველური ენების აღმოჩენილ ბუნებასთან სრულ ჰარმონიაშია. ეს უკანასკნელი (ქართველური ენები) ისეთი დიაქრონიული კონსტანტაა, რომელსაც საშუალება აქვს, ერთნაირი წარმატებით შეასრულოს სუბსტრატის როლი გეოგრაფიულად, ქრონოლოგიურად და გენეტიკურად დაუკავშირებელ ენებთან მიმართებაში: იზოლირებულ ენად მიჩნეულ შუმერულთან, ქამიტო-სემიტურ ეგვიპტურთან, მკვდარ სემიტურ ფინიკიურთან, ხათურთან, ცოცხალი ინდოევროპულის სხვადასხვა განშტოებასთან (ბერძნული, ლათინური, სპარსული, სლავური), თურქულთან და სხვ.

გეოგრაფიული ფაქტორი მოხაზავს არქეტიპული ქართველური ენების გავრცელების არეალს. მისი საზღვრები მოიცავდა უძველესი ცივილიზაციების აკვნის, ე.წ. „ნაყოფიერი ნახევარმთვარის“ ტერიტორიას, სადაც იშვა შუმერული, ეგვიპტური, ხათური და ფინიკიური კულტურები. ამ საზღვრებში შედის საბერძნეთიცა და ინდოევროპული ცივილიზაციის გავრცელების გარკვეული მონაკვეთებიც.

კიდევ უფრო შთამბეჭდავია ის, რომ ქართველურის ქრონოლოგიურ-არქეტიპული სტატუსი, რომელიც კაცობრიობის სამი უდიდესი დამწერლობის (შუმერულის, ეგვიპტურის, ფინიკიურის) საიდუმლოების მნიშვნელოვან ასპექტებს ხსნის, გვიმხელს დამწერლობის ერთადერთ შემოქმედს – ქართველურ ცივილიზაციას. ეს უკანასკნელი ასრულებს გარკვეული ლერძის როლს, რომელიც იზიდავს და ერთ სისტემად ჰკრავს არა მხოლოდ თავისი ენიდან დიდი ხნის წინ

ნასესხებ ენობრივ ერთეულებს (არქექტიპებს), არამედ მათ დერივატებსაც (ნანარმოებებს), რომლებიც ვრცლად განფენილან როგორც გეოგრაფიულ (ჰორიზონტალურ), ისე ქრონოლოგიურ (ვერტიკალურ) ჭრილში. ჩატარებული ანალიზის შედეგები ეხმიანება მე-19 საუკუნის გერმანელი ორიენტალისტის ფ. ჰომელის (F. Hommel) მიერ წამოყენებულ თეორიას ალაროდელთა შესახებ. ავტორის მიხედვით, უძველეს ნარსულში, მთელს ახლო აღმოსავლეთსა და ევროპაში ერთი ენა იყო გავრცელებული, რომლის დანანევრების შედეგად ენათა არსებული მრავალფეროვნება წარმოიქმნა. ქართველური ენები სწორედ ასეთ სუბსტრატულ ფენად იმკვიდრებენ თავს ძველი ცივილიზაციების ენათა მიმართ.

## მორფემული დონე

ქართველური ენები შესაძარებელი ენის ფუნქციას მორფემულ დონეზეც ინარჩუნებენ. აქ მათი არქექტიპული ქმედება ყველა ქვესტრატაზე ვრცელდება: ა) ძირისეულზე; ბ) აფიქსალურზე. მეტიც, აფიქსებს შორის, ვხვდებით როგორც გრამატიკულ, ისე დერივაციულ ელემენტებს პრეფიქსებისა თუ სუფიქსების სახით.

ქართველური ძირისეული მორფემების არქექტიპების გამოვლენა მჭიდროდ არის დაკავშირებული, ერთი მხრივ, ცალკეულ ბგერათშესაბამისობებთან, და, მეორე მხრივ, კაბალისტური ენათმეცნიერების მეთოდოლოგიით გათვალისწინებულ ფორმულებთან, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს აღნიშნული მეთოდოლოგიური მიდგომის (ტრადიციული+არატრადიციული) აუცილებლობას. პირველი შემთხვევა – ბგერათშესაბამისობები, ენათა ნათესაობის აღიარებული კრიტერიუმია და კომენტარს არ საჭიროებს, მეორე კი თანამედროვე ლინგვისტიკის მიერ არის უარყოფილი და, ამდენად, მეტი მკაფიოებისთვის, უფრო ამომწურავ ინფორმაციას მოითხოვს. ფონეტიკური (ფონოლოგიური) დონის მსგავსად, ძირეული მორფემების კვლევისას, არქექტიპული „ქცევის“ ორი ძირითადი ტიპი გამოიყოფა: ა) გამოკვლეული ძირისეული მორფემის სავარაუდო ფონეტიკურ-სემანტიკური დადასტურება/უარყოფა; ბ) ახალი მორფემების იდენტიფიკაცია.

სავარაუდო ძირისეული მორფემების დადასტურების საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს თანხმოვანოტაციით ჩანერილი ეგვიპტური ლექსემების სრული ფორმების აღდგენა. იდენტიფიკაციის მარტივი პროცედურის გარდა, რეკონსტრუქცია შეიძლება გაცილებით უფრო რთულ საფეხურებს მოიცავდეს. პირველის მაგალითებია: ეგვიპტური met („რიცხვი 10“), და მისი ქართველური არქექტიპი „მეტი“, შუმერული gud („ხარი“) და მისი ქართველური ეტიმონი „გუდა“, შუ-

მერული ხარ და მისი ქართველური ეტიმონი „ჯარი“ და მრავალი სხვა, რომლებმაც არქეტიპული ქართველური გამოთქმა თითქმის შეურყვნელად შემოგვინახეს.

ანალიზის უფრო რთული პროცედურები მოითხოვა ეგვიპტური *sekhem*-ის („სიცოცხლის ნაპერწკალი“) შესაბამისი ქართველური არქეტიპის („სახემ“) დადგენამ, რაც რამდენიმე პრობლემასთან აღმოჩნდა წილნაყარი. ერთ-ერთი იყო წინააღმდეგობა ქართველური კანკლედობის ახალგაზრდა თარიღსა და ეგვიპტურში დაფიქსირებულ ერგატიულ *sekhem*-ის ქართველურ არქეტიპს („სახემ“) შორის. მეორე პრობლემა წყვილის სემანტიკაში მდგომარეობდა: ეგვიპტური *sekhem* „სიცოცხლის ნაპერწკალს“, ხოლო ქართველური მენყვილე – „სახეს“ აღნიშნავს. მათ შორის არსებული ურთიერთობების დადგენა, უფრო სწორად კი, ქართველური ლექსემიდან („სახე“) ეგვიპტური სიტყვის განვითარება, სხვა ენობრივი და კულტუროლოგიური მონაცემების ჩართვას მოითხოვდა.

ანალოგიურ პრობლემათა გადაჭრა დაგვჭირდა ეგვიპტურ *nb-s* („ღმერთი“), შუმერულ *Nabû-sa* (დამწერლობის ღმერთი) და მათ ქართველურ არქეტიპ – „ნებას“ შორის არსებული ნათესაური ურთიერთობების გამოსავლენად. ეგვიპტური *sen* („ასლი“) და შუმერული *sen* („ჯოჯოხეთი“, „შენვა“, „ეას ქურუმი“), რომლებიც ქართველური მეორე პირის მხოლოდითი რიცხვის ნაცვალსახელიდან („შენ“) მომდინარეობენ, ამავე ჯგუფს განეკუთვნებიან. ანალიზი კიდევ უფრო რთულდება, როდესაც ნასესხები სიტყვების ფონეტიკური მხარე არქეტიპის სუბლექტური ფორმებით არის გადმოცემული. მსგავსი შემთხვევის მაგალითია ეგვიპტური *Amit* („ქალღმერთი“) და *Ām-Mit* („ქვესკნელის ურჩხული“), რომლებიც ჩვენებითი ნაცვალსახელის *ეს/ესე* ვითარებითი ბრუნვის ფორმიდან (ამით) მომდინარეობენ და არავითარი ფონეტიკური მსგავსება არ გააჩნიათ თავის საწყის (სახელობით) ფორმასთან (შეადარეთ, *Amit* – *ეს/ე*; *Ām-Mit* – *ეს/ე*).

ქართველური სუბსტრატის მიერ ახალი ძირისეული მორფემების იდენტიფიკაცია ახლოს დგას ცალკეული ფონემების განსაზღვრასთან, ვინაიდან ორივე შემთხვევაში, ამოსავალი, შესაძარებელი ერთეულების მთლიანი ჟღერადობაა. განსახვავება ის არის, რომ პირველ შემთხვევაში, წამყვანი მნიშვნელობა ენიჭება ცალკეულ ბგერით ღირებულებებს, რომლებიც ენის ფონოლოგიური სისტემის დასადგენად გამოიყენება, ხოლო მეორეში კი, – წინა პლანზე იწვევს სიტყვის მორფემული შედგენილობა, რომელმაც უნდა გამოყოს როგორც აფიქსალური, ისე ძირისეული მორფემები. როგორც წესი, მსგავსი ანალიზი რამდენიმე საფეხურს მოიცავს: სტრუქტურული ფორმულის დადგენა, გამოყოფილი მორფემების ძირისეულ, თუ აფიქსალურ ერთეულებად დაჯგუფება, აფიქსების კლასიფიკა-

ცია პრეფიქსებად და სუფიქსებად, ასევე დერივაციულ და გრამატიკულ მორფემებად, პოზიციური თუ ფუნქციური მახასიათებლების მიხედვით.

## აფიქსური დონე

ქართველური ენების ჩართვამ მკვდარი ენების შედარებით ლინგვოკულტუროლოგიურ ანალიზში, მათი ლექსიკის ფრიად საინტერესო თვისება გამოავლინა; კერძოდ, უძველესმა ენებმა, ქართველური სუბსტრატიდან, სიტყვები დედნის გრამატიკული თუ დერივაციული გაფორმებით შეითვისეს, ისე სხეს. შესაბამისად, გვაქვს ერთიან განუყოფელ მორფემებად აღქმული, რთული სტრუქტურის მქონე ლექსემები, რომლებიც მარტივი სტრუქტურის სიტყვებად იქნა გაგებული და, შესაბამისად, მათ მარტივი სიტყვების მსგავსად ექცეოდნენ. სიტყვათმანარმოებელი მორფემების სამი სახიდან (პრეფიქსები, სუფიქსები, ინფიქსები) მხოლოდ პირველი ორი, ანუ პრეფიქსები და სუფიქსები გვხვდება. პრეფიქსები, როგორც წესი, ცვლიან სიტყვის ლექსიკურ მნიშვნელობას, მაშინ, როდესაც სუფიქსები, მეტყველების ნაწილის ზოგად სემანტიკაზე ახდენენ გავლენას. პრეფიქსებიდან აღსანიშნავია ზედა მიმართულების მაჩვენებელი მორფემა ა- ქართველურ ა-ნაბში, ა-ტენში (< ა-თენ) და ეგვიპტურ ა-ტენში (A-ten), სადაც თენ ძირის მნიშვნელობას მალლა მიმართული მოძრაობა ემატება. ონომასტიკურ ერთეულებში დადასტურებულია კიდევ ერთი დერივაციული პრეფიქსი – უ-, რომელსაც სიტყვაში უარყოფითობის მნიშვნელობა შემოაქვს. მისი საუკეთესო მაგალითია ქართველური ძირი შრეტ- მნიშვნელობით „ცეცხლის დაშრეტა“. პრეფიქსის დამატება (უ-შრეტ) ლექსემის მნიშვნელობას საწინააღმდეგო სემანტიკით ცვლის: „ამოუნურავი, მუდმივი“. შესაბამისად, ეგვიპტური სამეფო სახელიც Senusret, „უ-შრეტი“, „სიცოცხლის ჩაუქრობელ ნაპერნკალად“ იქცევა.

მეორე, სუფიქსების ჯგუფიდან, აღსანიშნავია აბსტრაქტული არსებითი სახელის მანარმოებელი -ებ, სიტყვებში სახ-ებ-ა (sakh-ib-u) და ხატ-ებ-ა (het-ep), რომელთა ეგვიპტური ვარიანტებია (-ib, -ep). ეგვიპტურ ლექსემებში, სიტყვის დერივაციული ფორმულების გაშიფვრა ქართველური ენობრივი მონაცემების მეშვეობით, დიდი მნიშვნელობის მოვლენაა, ვინაიდან იგი ერთდროულად რამდენიმე ფაქტორზე მიუთითებს:

1. სესხების ვითარებაზე, რადგან ქართველური ნანარმოები სიტყვები, როგორც მივუთითეთ, მსესხებელი ენის მიერ მარტივი სტრუქტურის ლექსემებად არის „ნაღებული“;

2. სესხების გარემოებაზე, რაც პირველი ფაქტორიდან გამომდინარეობს;
3. ენობრივი ერთეულების უშუალო, ცოცხალი ურთიერთობიდან სესხებაზე.

პირველი და მეორე ფაქტორი, ქართველებისა და იმდროინდელი ეგვიპტელების თანაცხოვრებაზე მიუთითებს, მაშინ, როდესაც მესამე, ეგვიპტელების მიერ სესხების წყაროს ენობრივი თავისებურებების არცოდნაზე აკეთებს მახვილს. ამიტომ, ნილოსის ველში, კულტურულად უფრო დაწინაურებული ქართველების ბინადრობა მხოლოდ გარკვეულ კონტურებს კი არ ღებულობს, არამედ ისტორიულ ფაქტადაც ყალიბდება, რაც მათი (ქართველების) ენის სუბსტრატულ ბუნებასა და არქეტიპულ სტატუსს განაპირობებს.

არანაკლებ ღირებულია მკვდარი ეგვიპტური ენის ლექსიკაში ქართული გრამატიკული სისტემის დაბოლოებების აღმოჩენა. გრამატიკულმა სიტყვა-ფორმებმა მრავლად შემოგვინახეს ქართული არსებითი სახელის ბრუნვის ნიშანთა მაგალითები. ეგვიპტური და ქართველური ენების ხანგრძლივ, მჭიდრო ურთიერთობაზე მიუთითებს ფაქტობრივად ყველა ბრუნვის ნიშნის წარმოჩენა საანალიზო ერთეულებში: არსებობს წრფელობითი ბრუნვის ფორმა, რომელიც სიტყვის ძირს შიშვლად წარმოადგენდა, ისე როგორც ეს გვაქვს ეგვიპტურ ლექსემებში met, khat, neb, და შუმერულ სიტყვებში ħar, gud... სახელობითი ბრუნვის ნიშანი (-ი) შემორჩენილია ეგვიპტურ სიტყვაში at'i, მნიშვნელობით „უფლისწული“ და მომდინარეობს ქართველური რიცხვითი სახელიდან ათი. მოთხრობითი ბრუნვით (-მ, -მა) არის გაფორმებულ ეგვიპტური Khtm (< ხატმა), Bugem (< ბულამ), ლათინური Chalybum (< yalibma). მიცემითი ბრუნვის დაბოლოება (-ს) შენარჩუნებულია ბერძნულ სიტყვაში xalups (< ყალიბს), თურქულში ხიğas (< ბულას), კასიტურში bugaš (< ბულას); ნათესაობითის დაბოლოება (-ის) გამოიყოფა ლათინურ სიტყვაში Chalybes (ყალიბის), თურქულში ხმğiz (< ბულის), მოქმედებითის დაბოლოებას (-ით) ვხვდებით ფინიკიურ ლექსემაში Däleth (< დალით), ეგვიპტური სახელის Nebt-ĥetep პირველ ნევრში – Nebt (< ნებით) და დაფის თამაშში Senet (< შენით), ვითარებითი ბრუნვის დაბოლოება (-ად) შენარჩუნებულია ეგვიპტურ ფრაზაში Ĥet-Shenat (< ხატად შენად) და ა. შ.

ამკარაა, რომ მთელმა რიგმა ენებმა (ეგვიპტურმა, კასიტურმა, ბერძნულმა, ლათინურმა, თურქულმა) ქართველური სიტყვა-ფორმები მთლიან მორფემებად წაიღეს, სახელდობრ ეგვიპტურმა კი არსებითი სახელის მთელი ბრუნვის სისტემა სრულად შეისისხლხორცა, რაც უშორეს წარსულში ქართველებისა და ეგვიპტელების ხანგრძლივ თანაცხოვრებას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს.

ამ და მსგავსი ერთეულების არსებობა ჰეტეროგენულ ენობრივ

სისტემებში ორ ურთულეს საკითხთან არის გადაჯაჭვული: პირველი დაკავშირებულია ქართველურ ენებში ბრუნვის სისტემის მეტ-ნაკლებად ახალგაზრდა ასაკთან, რომლის ფესვები, ტრადიციული ქართველოლოგიის მიხედვით, ეგვიპტურ ცივილიზაციამდე ვერ აღწევს. მიუხედავად ამისა, ფაქტი ჯიუტია და ერთადერთ ლოგიკურ დასკვნას გეთავაზობს – ქართველური ცივილიზაცია, მისი ენა და კულტურა ნილოსის ნაპირებზე, ეგვიპტური ცივილიზაციის სანყისიდან იყო გავრცელებული. მტკიცებულებები მორფემული დონის ყველა ერთეულის (ძირი, დერივაციული და გრამატიკული აფიქსები) შესაბამისი ქართველური არქეტიპის არსებობაში ძევს.

აღნიშნული შემთხვევების გარდა, უძველესი ცივილიზაციების ენობრივი ფაქტების კვლევაში ქართველური ენების ჩართვამ, შუქი მოჰფინა ენათა ნათესაობის ისეთ მოდელებს, რომლებიც ჯელდასხმულთა უძველესმა კასტამ კაბალის წმინდა წიგნში გაასაიდუმლოა. ეს, უპირველეს ყოვლისა, რთული არქეტიპის ფენომენია, რომელიც, ფონემურის გარდა, მორფემულ დონეზეც არსებობს. რთული არქეტიპი სრულიად ახალი და უჩვეულო წარმონაქმნია. იგი რამდენიმე ეტიმონისგან შემდგარი ჯგუფია, რომლებსაც ერთმანეთთან განსხვავებული ენობრივი კავშირები აერთიანებენ და რომლებიც, ერთ მიზანს ემსახურებიან – გადმოსცენ კოდირებული ინფორმაცია. რთული არქეტიპის ბუნება სრულიად განსხვავდება ისტორიული ენათმეცნიერების ჩარჩოში მიღებული კრიტერიუმებისგან, სადაც მოცემულ და საძიებელ ერთეულებს შორის მხოლოდ  $1=1$  შესაბამისობა დაიშვება. სხვაგვარად, ყოველ მოცემულ სიტყვას გააჩნია ფონეტიკურად და სემანტიკურად დასაშვები ერთი წყარო, მაშინ, როდესაც რთული არქეტიპის მოდელი სრულიად განსხვავებულია. თუ პირველისთვის, ძირითადი კრიტერიუმი ფონეტიკური და სემანტიკური სიახლოვეა, მეორისთვის, განმსაზღვრელი პრინციპი ბგერით მსგავსებაში მდგომარეობს. ამ უკანასკნელს, ლექსიკური სიახლოვე შეიძლება არც ჰქონდეს. რთული არქეტიპი ომონიმიის პრინციპს ეყრდნობა და შეიძლება მოიცავდეს არა თუ განსხვავებული მნიშვნელობის მქონე ერთეულებს, არამედ სრულიად განსხვავებულ მეტყველების ნაწილებსაც კი.

მიუხედავად ამისა, რთული არქეტიპის წევრების თავშეყრა შემთხვევითობას ვერ მიეწერება. ისინი არქაული ინფორმაციული სისტემის გასაღები სიტყვებია, რომლებსაც ჯელდასხმულთა ელიტა განაგებდა. არქეტიპების ფუნქციურ კავშირს ერთი მიზანი ამოძრავებს – მოახდინოს ისტორიულ-კულტუროლოგიური ცოდნის გენერირება. მექანიზმის ამუშავებას განსხვავებული ენობრივი საშუალებები სჭირდება, რომელთა შორის მარტივი პრედიკაციის აღდგენა რთული არქეტიპის წევრებს შორის, ყველაზე გასაოცარი

ფენომენია, ვინაიდან, ამ დროს, სინტაქსური კავშირები მკვედარ და ცოცხალ ენებს შორის აღდგება.

მაგალითად, 'ალეფის ექვსივე არქეტიპი – „ყალიბი, ჯარი, ხარება, ხალეპო, ხარ, ხარხარ“ – არაორაზროვნად გადმოგვცემს ფინიკიური ანბანის კარგად ნაცნობი ყალიბის ფუნქციას; გვატყობინებს ფინიკიურ 'ალეფს ამოფარებული ქართველური ჯარის ყალიბის ('ალეფ+ჯარი+ყალიბი) დაფარულ მისიას – აზიაროს კაცობრიობა ანბანური დამწერლობის სიბრძნეს.

კაცობრიობის გაკულტურების ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენა, – ნიგნიერი ცივილიზაციის დასაბამი, – მსოფლიოს ორჯერ ეხარა, მაგრამ ორჯერვე ჩუმად და შეპარვით: პირველად, ქართული ასომთავრული „ჯარი“ შუმერული „ჯარის“ პიქტოგრამით (𒄀) შუმერული ცივილიზაციის დასაწყისშივე გამოჩნდა. შემდეგ, ოდნავ მოგვიანებით, ასომთავრული „ჯარი“ ეგვიპტური „საყრდენის“ იეროგლიფია, ხოლო მეორედ, იგივე ქართული ასომთავრული ასო-ნიშანი ანბანურ კულტურაზე გადასვლას თავისი ფინიკიური ორეულით „აცხადებს“ და „თესავს“.

გაცხადების მეორე ეტაპზე, დამწერლობის ქართველური „ჯარის“ ყალიბის ფორმულა მრავალი ერის საკუთრება ხდება. ეს ის დროა, როდესაც ადამიანის მიერ შექმნილი ყველაზე დემოკრატიული და ხელსაყრელი დამწერლობის ანბანური სისტემიდან უკან დაბრუნება შეუძლებელია.

შემდეგი არქეტიპი არის „ყოფნა“ ზმნის მხ. რიცხვის მეორე პირის ანმყო დროის – ფორმა „ხარ“, რომლის ფუნქცია ღვთაებრივი შესაქმის უკან მდგომი შემოქმედის ვინაობის გამხელაა. „ხარ“ ფორმა ყველა გამოვლენილ არქეტიპთან პრედიკატულ ურთიერთობებში შედის და წინა პლანზე წამოწევს მიღებულ სინტაგმებში ნაგულისხმებ მეორე პირის ნაცვალსახელს – „შენ“: „შენ ხარ ყალიბი“, „შენ ხარ ასომთავრული „ჯარი“, „შენ ხარ სასიხარულო ამბის მახარებელი“ და „შენ ხარ ისიც, ვინც ხარხარებს“. თუ გავიხსენებთ, რომ ქართველური სუბსტრატული ფენაა და, რომ ასომთავრული ასო-ნიშანი „ჯარი“ მთლიანად ქართველ ერს განასახიერებს, მასვე ენიჭება დამწერლობის შემქმნელის ტიტულიც და ავტორობაც. დეპიფრირებული კრიპტული ინფორმაცია იმდენად აღმაფრთოვანებელი და დაუჯერებელია, რომ დღევანდელ ქართველებს ალბათ დიდხანს ახარხარებს საკუთარ ურწმუნობასა და წინაპრების ბრძნულ ოინებზე. ამ ინფორმაციის ჩამოყალიბებაში თითქოს მონაწილეობას არ ღებულობს არქეტიპი „ხალეპო“, მაგრამ ეს მხოლოდ მოჩვენებითი პასიურობაა, ვინაიდან იგი კომპლექსური არქეტიპული სემანტიკის უარყოფითად დამუხტულ დეტალებს ერწყმის: ქვესკნელი, მწველი ცეცხლი, ცოდვილ სულთა მშთანთქმელი და სხვ.



რთული არქეტიპის განსხვავებულ ფორმად უნდა მივიჩნიოთ ერთი და იმავე ქართველური ეტიმონის განსხვავებული სიტყვა-ფორმებიდან ასევე განსხვავებული მნიშვნელობის მქონე სიტყვების წარმოება, როგორც ეს ხდება პირის, კუთვნილებითი და ჩვენებითი ნაცვალსახელების სესხებისას. გავიხსენოთ, რომ კუთვნილებითი „ჩემი-ს“ სახელობითი (Chemmu), ნათესაობითი (Chemmis) და ნოდებითი (Chemmo) ბრუნვის ფორმები ეგვიპტური მინის (ნაყოფიერების ღმერთი) დღესასწაულისა და მშობლიური ქალაქის სახელწოდებებია; ჩვენებითი „ეს(ა)-ს“ ბრუნვის ფორმებმა (ამან, ამით, ამაღ) სრულად განსხვავებული ღვთაებების სახელები მოგვცა: ამონ-რა (Amon), ურჩხული „ამით“ (Am-Mit), რა-ს ერთ-ერთი სახე „ამითა“ (Am-ita) და სხვა. ქართველური „ბულა-ს“ სესხებაც ნათლად აჩვენებს, თუ როგორ შეიძლება, ერთი და იმავე არქეტიპი სხვადასხვა ენებში განსხვავებული ლექსემების საწარმოებლად იქნეს გამოყენებული: ეგვიპტური *Bu-gem, Bugem, Bucheum*, თურქული *bugis, buga*; ქართველური „ყალიბი“ ფინიკიურ  $\text{'}\text{Aleph}$ -ში, ბერძნულ *xalups*-ში, ლათინურ *Chalybum*-ში და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილ მონოგრაფიაში განხილული რთული არქეტიპების რაოდენობა დიდი არ არის, ისინი აუცილებლად უნდა მივიჩნიოთ ამ უნიკალური ენობრივი ფენომენის „პირველ მერცხლებად“, რომლის მეცნიერული შესწავლაც დაუყოვნებლივ დასაწყებია.

თუ რთული არქეტიპის ორივე სახეს შევადარებთ, აღმოჩნდება, რომ პირველის ჩამოყალიბებაში წამყვანი პრინციპი ომონიმიანია, ფონეტიკურად მსგავსი, მაგრამ სემანტიკურად განსხვავებული ლექსემების მიზანდასახული თავმოყრა, მაშინ, როდესაც მეორე შემთხვევაში, წამყვანი პრინციპი არქეტიპული ძირისეული მორფემაა, რომლის განსხვავებული გრამატიკული ფორმებით გამოყენება განსხვავებული ფონო-სემანტიკური ერთეულების ილუზიას ქმნის, რაც მსესხებელ ენაში განსხვავებული ლექსემების წარმოშობას უწყობს ხელს. შესაბამისად, პირველს რთული ლექსიკური არქეტიპი (რლა), ხოლო მეორეს კი რთული გრამატიკული არქეტიპი (რგა) შეიძლება ვუწოდოთ. აღნიშნული არქეტიპები კაბალის  $a=n$  ფორმულის ვარიაციებია. რთული ლექსიკური არქეტიპის შემთხვევაში  $a=1$ , ხოლო  $n \neq 1$ , ანუ იგი მრავალ საძიებელ ეტიმონს შეესაბამება. რთული გრამატიკული არქეტიპის შემთხვევაში კი  $a \neq 1$ , ხოლო  $n=1$ , ანუ საძიებელი  $n$  ერთი არქეტიპის განსხვავებული მორფოლოგიური ვარიანტებია.

## რთული არქეტიპის ფუნქცია

ტრადიციული და რთული არქეტიპები არაერთგვაროვანი ნარმონაქმნებია. ისინი განსხვავდებიან სტრუქტურით, ფონო-სემანტიკური თავისებურებებით, ნევრების ბუნებით (მეტყველების ნაწილები) და ფუნქციური დატვირთვით. თუ ტრადიციული ეტიმოლოგიური ძიების მიზანი იმ ერთი, თავდაპირველი ელემენტის მოძიებაა, რომლისგანაც მოცემული სიტყვა განვითარდა, რთული არქეტიპის შემთხვევაში, ეტიმონებისგან შემდგარი ჯგუფი ყალიბდება. ასევე, თუ ტრადიციული არქეტიპი და მისი დერივატი ერთმანეთს ბგერითი მხარითა და ლექსიკური მნიშვნელობით უკავშირდებიან, რთული არქეტიპის მიზანი ლინგვისტური და კულტუროლოგიური ინფორმაციის მონოდებაა. ეს უკანასკნელი (ინფორმაცია), რთული არქეტიპის ყოველი ნევრის მიერ შემოტანილი ლექსიკური მნიშვნელობის საფუძველზე ფორმირდება, ვინაიდან ისინი, სუპერლინეარული ანალიზის დროს, ტექსტის გასაშიფრი გასაღები სიტყვების მსგავსად ფუნქციონირებენ. ეს მეთოდი ფართოდ არის გამოყენებული ტექსტის ლინგვისტიკაში და მიზნად ისახავს ავტორის მიერ დაფარული ინფორმაციის დეკოდირებას.

საოცარი ის არის, რომ დეშიფრირებული მასალა კაცობრიობის მეცნიერულად შესწავლილი და გამოკვლეული კულტუროლოგიური ისტორიის ნაწილია, რომელიც ნათელს ჰფენს ორიენტალისტიკის სფეროში არსებულ მთელ რიგ პრობლემურ, საკამათო და ბუნდოვან საკითხებს. შესაბამისად, რთული ქართველური არქეტიპისა და მისი „უცხოელი“ ნევრების მიერ აღმენებული ინფორმაციული სისტემა, ისტორიულ-კულტუროლოგიური წარსულის გარკვეული ეტაპის აღდგენა-რეკონსტრუქციაა. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ რთული ქართველური არქეტიპის სემანტიკას დაგროვილი ცოდნის კორექცია-გასწორებაც ხელენიფება. მეტიც, ქართველურსა და მკვდარ ენებს შორის არსებული ურთიერთობები გამოიციხავს თანამედროვე ლინგვისტიკის მეთოდოლოგიით შესწავლილი ენების ოჯახებად გამიჯვნასა და განვითარების ბუნებას (პროტო-ენების დამოუკიდებელი არსებობა, ცალკეული შტოების ექსტრალინგვისტური ფაქტორების ზეგავლენით განვითარება და ა.შ.). რთული არქეტიპი გამოირიცხავს, თუ შეიძლება ითქვას, ენებს შორის ბუნებრივ ნათესაურ დამოკიდებულებას, ვინაიდან, პირველი სადამწერლობო ნიშნების გაჩენისთანავე, სახეზეა კოდური, ანუ გასაიდუმლოებული ურთიერთმიმართებები ქართველურ, შუმერულ და ეგვიპტურ ენებს შორის.

ქართველურის დომინანტური როლი ენობრივი და კულტუროლოგიური მონაცემების კვლევისას, ნათელს ჰფენს მის კოდურ

ფუნქციას ანალიზში ჩართული ყველა ენის მიმართ. ამიტომ, ქართველური ენები შეიძლება განიმარტოს, როგორც კოდის ენა და, მაშასადამე, ამ კოდის გასაღები, ხოლო შუმერული ან ეგვიპტური კი როგორც კოდირების სისტემები, რაც სრულიად გამორიცხავს ამ ენების განსხვავებულ ქრონოლოგიურ ჭრილში არსებობას.

მეტიც, კოდის ენა კოდირების სიტემაზე ადრეულია, ვინაიდან სწორედ იგი ფლობს დასაშიფრ ცოდნას, სწორედ მან უნდა განსაზღვროს დასაშიფრი ინფორმაციის დოზა, შიფრირების ფორმები, მეთოდები და კოდირების კონკრეტული სფეროები. სხვაგვარად, ქართველური ენები შუმერულისა და ეგვიპტური ცივილიზაციების წინარე სისტემაა, რაც კოდის არსებობის უპირველესი პრინციპია. შესაბამისად, შუმერულ და ეგვიპტურ სიტყვებსა თუ ასო-ნიშნებში (Har Ḳ, Gud Ṣ, Bakh Ḳ „საყრდენი“ და ა.შ.) მათი წარმომავლობის შიფრირება თავიდანვე, ქართველურის კოდურ სისტემად გამოყენებისას მოხდა.

მეცნიერების სხვადასხვა სფეროს ცოდნის შიფრირება ცხოვრების სხვადასხვა სფეროში (არქიტექტურა, ჩვეულებები, ადათ-წესები, რელიგია, დამწერლობა და სხვ.) ქართველურის კოდური ფუნქციის გამოვლინების ერთ-ერთი კონკრეტული ფორმაა. დამწერლობა, ან, უფრო ზუსტად, ქართული ასომთავრული ანბანი, უსაზღვრო ცოდნის (ასტრონომიული, მათემატიკური, არქიტექტურული, გეომეტრიული, რელიგიური) ნამდვილი საგანძურია, ვინაიდან, აღნიშნული ცოდნა მის სხვადასხვა ასპექტშია (გრაფიკა, რიცხვითი მნიშვნელობები, ანბანური რიგი, აკროფონია) გადანაწილებული. ქართული ასომთავრული ანბანის ეს, ერთი შეხედვით ჩვეულებრივი თვისებები, ფინიკიურ ('Āleph, 'Ain, Tâw, Sin, Dāleth), შუმერულ და ეგვიპტურ დამწერლობებთან არის გადახლართული.

კოდის ენისა და კოდური სისტემების გათიშვა გეოგრაფიულმა და ქრონოლოგიურმა ფაქტორებმა იტირათეს. მხოლოდ კოდი დარჩა უძრავი და შესაბამისად, უცვლელი, რაც სანყისი, ანუ კოდირების ეტაპის აღდგენის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ამიტომ, შუმერული და ეგვიპტური ენების სიკვდილი კოდის ენისა (ქართველურის) და კოდირების სისტემებისთვის დადებითი მოვლენაა, ვინაიდან მათმა კვდომამ კოდირებული ერთეულების „გადარჩენა“ უზრუნველყო. ბუნებრივია, ტრადიციულ ენათმეცნიერებას, რომელიც კვლევის შედარებით მწირე მეთოდებით სარგებლობს, ნაშრომში წარმოდგენილი ძიების მეთოდიკა და შედეგები მიუღებლად მიაჩნია.

## ენათა ნათესაობის რადიალური ფორმულა

დამწერლობის ნიშნებისა და მათი ენობრივი „მკედარი“ წყვილების მისტირიალური ფორმულები ქმნიან ქართველური არქეტიპის რადიალური გავრცელების მოდელს, რომელიც სტრუქტურალად „კარუსელს“ წააგავს. მის ცენტრში ქართველური არქეტიპია, როგორც დეშიფრირების გენერირების ცენტრი, ხოლო მის გარშემო განფენილ გეოგრაფიულ გარემოში, არქეტიპის ფონეტიკურად მოდიფიცირებული ვარიანტები მსესხებელი ენების განსხვავებულ ფონოლოგიურ შესაძლებლობებს აირეკლავენ. როგორც მკედარი, ისე მსესხებელი ცოცხალი ენების ერთ-ერთი გამორჩეული ნიშანი, ქართველური სუბსტრატის, განსაკუთრებით, სპეციფიკური ქართველური თანხმოვნების გადმოცემის არაჩვეულებრივად მრავალფეროვანი სურათია, რომელშიც არქეტიპული წყარო – ფონემა თუ ფონემათა კომბინაცია – გაფერმკრთალდა და, ალბათ, მრავალ შემთხვევაში, გაუჩინარდა კიდევც.

მსგავს რადიალურ გავრცელებას ემორჩილება ჯარის, ნებას, ბუღას, ხატისა და ნაცვალსახელთა მთელი მიკროსისტემა. ქართველური „ნება“ რადიალურად არის განშტოებული შუმერულში (ნაბ = ღმერთი), ეგვიპტურში (ნბ = ღმერთი), და მთელ რიგ ინდოევროპულ ენებში (ბერძნულში, ლათინურში, სლავურში და ა.შ.), სადაც მისი მნიშვნელობა (ღრუბელი, ნისლი...) ძირძველ, ანუ ქართველურ არქეტიპს პირდაპირ კი არ მიემართება, არამედ ეგვიპტურისა და შუმერულის „გავლით“, ანუ გართულებული დერივაციით უკავშირდება. სხვაგვარად, გვაქვს ურთიერთობა ქართველური > შუმერული > ეგვიპტური > ინდოევროპული. მსგავსი სესხების შედეგად წარმოქმნილმა ერთეულებმა, სესხების წყაროსთან გარეგანი მსგავსება დაკარგეს, რის გამოც, სემანტიკური ასპექტიც დაიწრდილა. ამ პროცესებს დიდად შეუწყო ხელი ქართველური ენების რთულმა ფონოლოგიამ და კოდის ენის (ქართველურის) უძველესი ცივილიზაციების ლინგვისტურ-კულტუროლოგიური პრობლემატიკის კვლევიდან ამოღებამ.

ცალკეული ერთეულების გარდა, რადიალური განვრცობის კიდევ ერთი დამახასიათებელი თვისება ლექსემათა ჯგუფების სესხებაა. ეს სესხების უაღრესად რთული ფორმაა, რომელშიც სინონიმური ჯგუფები ან მთლიანი მიკროსისტემებიც კი მონაწილეობენ. პირველის (სინონიმების) მაგალითია „ბუღას, ჯარისა“ და „გუღას“, „ხატისა“ და „სახის“, „სენ“ და „სინ“ წყვილების რადიალური განშტოება, მეორისა კი, ეგვიპტურში გამოვლენილი ქართველური პირის, ჩვენებითი, კუთვნილებითი და კითხვითი ნაცვალსახელების მიკროსისტემა. ამ უკანასკნელთა ერთეულები არქეტიპული ფუნქ-

ციით (რეფერენცია) კი არ არიან გამოყენებულნი, არამედ წარმოადგენენ ონომასტიკური და ზოგადი ლექსიკის სანარმოებელ წყაროს. მაგალითად, ეგვიპტური tchem მნიშვნელობით „სკიპტრა“, მომდინარეობს პირველი პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელიდან „ჩემი“. თუ მათ სინტაგმატურ ლერძზე ატრიბუტული სინტაგმის მოდელით განვალაგებთ (tchem + ჩემი), წარმოიქმნება ძველი ქართული განსაზღვრებითი ფრაზა „სკიპტრა ჩემი“, მაშინ, როდესაც ქართველურ-ეგვიპტური თანმიმდევრობა (ჩემი + tchem), განსაზღვრებითი სინტაგმის თანამედროვე მოდელს შეესაბამება – „ჩემი სკიპტრა“.

ანალოგიურია ეგვიპტური ღვთაებრივი ინსიგნიის სახელი sahu, რომელიც ქართველური „სახიდან“ წარმოადგება. თუ წინა წყვილის მსგავსად, ეგვიპტურ sahu-სა და ქართველურ „სახეს“ სინტაგმად წარმოვადგენთ sahu + სახე, წარმოიქმნება არაორაზროვანი წინადადება: „ქართველთა სახე ეგვიპტელთა ინსიგნიაა“. აღწერილ ურთიერთობებს, მკვდარსა და ცოცხალ ქართველურ ენებს შორის, ვერც ბუნებრივს ვუნოდებთ და ვერც სესხების რთულ ფორმად მივიჩნევთ. იგი კოდური ფორმულაა, რომლის არსებობაზე აქამდე ეჭვიც კი არავის გამოუთქვამს.

რადიალური გავრცელების ერთ-ერთ კონკრეტულ ფორმად უნდა მივიჩნიოთ ერთი და იმავე ქართველური ლექსემის განსხვავებული ბრუნვის ფორმების სესხებაც (ეგვიპტური Bugem, bkha, pacis, თურქული ხიḡa, buḡaz, bñḡiz), რასაც ლექსიკო-გრამატიკული მიკროსისტემის სესხებაც შეიძლება ვუნოდოთ. აღნიშნული მოდელი ორმხრივია, ვინაიდან იგი მოიხრება როგორც მრავალი=ერთი (ბრუნვის ფორმები+ძირისეული მორფემა), ისე კაბალის მრავალი=მრავალი ფორმულას. მრავალი=ერთის მოდელი მაშინ მოქმედებს, როდესაც ბრუნვის ფორმები ერთ ერთეულად აღიქმება, ხოლო მრავალი=მრავალი ფორმულა კი მაშინ მოქმედებს, როცა ბრუნვის ფორმები ცალკეულ მორფემებად, ანუ ინდივიდუალურ ეტიმონებად აღიქმებიან. სესხების ამ ორი ფორმულიდან, ეგვიპტურმა, უპირატესობა მეორე მოდელს (მრავალი=მრავალი) მიანიჭა, რამაც ერთი არქეტიპიდან წარმოქმნილი მრავალი ომონიმის განვითარება გამოიწვია. აღნიშნული ფორმულა საშუალებას იძლეოდა მომხდარიყო, ერთი მხრივ, ზედაპირულად განსხვავებული ფორმების ერთნაირი სემანტიკით გამოყენება და, მეორე მხრივ, მათი განსხვავებულ ლექსემებად აღქმა.

რადიალური გავრცელება მხოლოდ ენობრივი მასალით როდი შემოიფარგლება. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, რადიალური გავრცელების არსებობა კულტუროლოგიურ სფეროში. გამოირკვა, რომ წმინდა ენობრივი კავშირების გარდა, ქართველურიდან ნახესხები სიტყვები მსესხებელი ენების სხვადასხვა კულ-

ტურულ ფენასთან პარალელურ „ქსელებს“ ქმნიან, რომელთა დანახვა მხოლოდ მათი შემაკავშირებელი, თუმცა დაკარგული რგოლის მეშვეობით არის შესაძლებელი. ეს რგოლი ქართველური ენები და მისი კულტურაა, რომელთა უგულებელყოფა კაცობრიობის წარსულის კვლევის კეთილშობილურ საქმეში მეცნიერებისთვის გადაულახავ წინააღმდეგობად აღიმართება. ასეთი ბედი ეწია „ვარის“ შუმერულ პიქტოგრამასა კ და ეგვიპტური „საყრდენის“ ყ სიმბოლოს; იგივე ბედი გაიზიარა შუმერულმა „ჯოხმა და რგოლმა“ და ეგვიპტურმა khtm-წივ სიმბოლომ, რომელთა აბსოლუტური იდენტურობა მეცნიერების ყურადღების მიღმა მხოლოდ მათი შემაკავშირებელი ქართველური რგოლის უგულებელყოფის გამო დარჩა; მეტიც, ერთი და იმავე სისტემის შიგნითაც კი შეუძლებელი აღმოჩნდა სიმბოლოს მოდიფიკაციების დაკავშირება: შუმერულში „ჯოხისა და რგოლის“ და მისი განსხვავებული ვარიანტების – „რგოლ-სვეტების“, „ბორბლის“, „ყელსაბამებისა“ და „სამაჯურების“ სახით. იგივე მოხდა ეგვიპტურშიც, სადაც იდენტური khtm-წივ რგოლის განსხვავებული ასპექტები – მოდიფიცირებული „ოვალური კარტუში“ და „ქოთნის“ იეროგლიფი, – ერთმანეთს ვერ დაუკავშირეს. ვერ შეუსაბამეს ერთმანეთს ვერც მზისღმერთ რა-ს ორი პორიზონტი; შტანდარტი კისურადან ვერ დაუკავშირეს „ვარისა“ და „საყრდენის“ შუმერულ და ეგვიპტურ სიმბოლოებს. აღნიშნული იმიტომ მოხდა, რომ დეპიფირების მთელ პროცესს აღძრავენ, მიუძღვებიან და მართვენ ქართული ასომთავრული დონი, ღანი და ვარი, რომლებშიც გასაიდუმლოებული ასტრონომიული ცოდნა ძვეს, და კვლავაც წარმოადგენს, „ნაყოფიერი ნახევარმთვარის“ – მესოპოტამიისა და ნილოსის ველის ცივილიზაციების სამეფო, რელიგიური, ღვთაებრივი და აპოტროფიული სიმბოლიზმის ქვაკუთხედს. უნდა აღინიშნოს ქართული ასომთავრული ანაბნის ასო-ნიშნების – „დონისა“ და „ღანის“ რელიგიურ-სიმბოლოური გამოყენებაც. აქ, უპირველეს ყოვლისა, ხაზი გაესმის მესოპოტამიური ცივილიზაციების სამიათასწლიან პერიოდში ქართული ასომთავრული „დონის“ ღვთაებრივი და სამეფო რეგალიის ფუნქციას და ასეთივე ხანგრძლივობის ეგვიპტური კარტუშების აპოტროფიულ დანიშნულებას. განსხვავებული, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს ქართულ ასომთავრულ „თანსაც“, რომელიც ამ უზარმაზარ ტერიტორიაზე გადაჭიმული ლინგვისტური და კულტუროლოგიური ერთობის პროგრესულ განვითარებას თავის ეთნიკურ ტყუპის ცალებთან – შუმერულ (𐎶), ეგვიპტურ (𓆎) და ფინიკიურ (𐤎) თვალებთან ერთად უხმოდ „დარაჯობდა“ და „თვალყურს ადევნებდა“.

## ორთოგრაფიული ფუნქცია

ტრადიციულ ისტორიულ ენათმეცნიერებაში, ორთოგრაფიის ისეთ უმნიშვნელო ელემენტებს, როგორიც დეფისია, ენათა ნათესაობის დადგენაში დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება. ეს საკითხი გადამწყვეტი ხდება მაშინ, როდესაც უძველესი ცივილიზაციების ენებში, იდენტური ფონეტიკური შედგენილობის მქონე სიტყვები დეფისის გამოყენების შედეგად განსხვავებული მორფემული შედგენილობის მქონე ერთეულებად აღიქმებიან.

ამ კუთხით, მდიდარ მასალას გვთავაზობს ეგვიპტური ენა: *Bu-gem* (ქალაქი სუდანში) და *Bu-gem* (ოსირისის მშობლიური ქალაქი; არქეტიპი ბულამ), ეგვიპტური *Ām-Mit* („ქვესკნელის ურჩხული“), *Amit* („ქალმერთი“), *ami-t* („ინტერიერი, ბუნება“; არქეტიპი ამით); *Mati* (ღმერთი), *maā-ti* (ქალღვთაება), *maāti* („ნარმართი“; არქეტიპი მათ, მათი), *maā-t* („ქალღვთაება“), *mātt* („ასლი“, არქეტიპი: ქართველური „მათ“) და სხვ. ზოგჯერ ბგერის გაორმაგება ხდება: *Ām-Mit*, *maāti*, *matt*; ხშირია ბოლოკიდური ბგერის კარგვაც: *khat* „ხატი“, *met* „მეტი“.

როგორც ჩამოთვლილი, ისე მსგავსი ორთოგრაფიული ხერხები, ვერ ჩაითვლება გენეტიკურად დაკავშირებული წყვილების ჩვეული განვითარების შედეგად. ისინი კოდური სისტემის მიზანმიმართულად შექმნილ კონკრეტულ ფორმებს წარმოადგენენ, რათა ლექსემის ფონეტიკური და სემანტიკური საზღვრების სტაბილურობა უზრუნველყონ. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, კოდის წყაროსთვალის აღდგენის ერთადერთი საშუალებაა. აქედან გამომდინარე, ქართველური და ეგვიპტური დაკავშირებულია სპეციფიკური ორთოგრაფიული შიფრით, რომლის არსებობასაც ადასტურებს ქართულში აღმოჩენილი ანალოგიური ორსტრუქტურიანი მორფემების არსებობა. ნიმუშად დავასახელებთ განუსაზღვრელობით ნაცვალსახელს ვინმე, რომელშიც მეორე კომპონენტი (მე), გარდა ჩვეული ნანილაკოვანი სტატუსისა, სრულფასოვანი პირის ნაცვალსახელის (ვინ+მე) კოდურ ფუნქციასაც ფლობს. ანალოგიური ლექსემაა სამოთხე, რომელიც არა მხოლოდ სიტყვათწარმოების ჩვეულ მოდელზეა აგებული (სა-მოთხ-ე), არამედ თხზვის ფორმულასაც ითავსებს (სამი+ოთხი). აღვნიშნავთ, აგრეთვე, ლექსემას „ხარება“, რომლის ძირი „ხარ“, კოდური თვალსაზრისით, არის „კარიც“ და „ყოფნა“ ზმნის მეორე პირის, ანმყო დროის მხ. რიცხვის ფორმაც.

## სინტაქსური დონე

ქართველურ და მკვდარ ენებს შორის არსებული სინტაგმატური ჰარმონია, კოდირების კიდევ ერთი, სხვა დონეებისგან განსხვავებული ხერხია. სინტაქსური დონე ენის უმაღლესი სტრატაა, რის გამოც იგი ყველა სხვა დონის (ფონემური, მორფემული) კოდურ ელემენტს აერთიანებს (ფონემების მარტივ და რთულ არქეტიპებს, მორფემებს და მათ ვარიანტებს, რადიალურ განშტოებასა და ორთოგრაფიას). ქართველური არქეტიპები და მათი შუმერული, ეგვიპტური თუ ფინიკიური დერივატები სინტაქსურ დონეზე უმარტივეს პრედიკატულ ურთიერთობებს არა მხოლოდ წარმოქმნიან, არამედ მეცნიერების საჭირობოროტო საკითხებზე ინფორმაცია-პასუხსაც იძლევიან. მათ რიცხვში შედის დამწერლობა, შუმერულ და ეგვიპტურ ცივილიზაციებს შორის არსებული კავშირი, პროტო-შუმერული და პროტო-ეგვიპტური, შუმერულის იზოლირებული ბუნება და სხვ. მეტიც, გვთავაზობენ მოულოდნელ ცოდნას ქართველური ენაკოდის გასაიდუმლოებული ფუნქციის შესახებ, უძველესი ცივილიზაციების აღმშენებლობაში ქართველთა მიერ შეტანილი ღვანლის შესახებ და მათი კარგა ხნის დავიწყებული ლეთაებრივი სტატუსის შესახებაც, რომელიც მადლიერმა ერებმა უბოძეს.

დამწერლობის ასო-ნიშნებში, რელიგიურ სიმბოლიკაში, ცნებებში, არქიტექტურასა და მის დეტალებში, რიტუალსა თუ თეოფორულ ონომასტიკაში, ასევე ფოლკლორშიც კოდირებული ინფორმაცია შრეებად არის განლაგებული. ფენების თითოეული დეტალი დანარჩენი სტრატების კომპონენტებთან რთულ, ურთიერთგანპირობებულ, ურთიერთდამოკიდებულ და გადახლართულ ქსელს ქმნის, რომლის მეშვეობითაც განსხვავებული მონაკვეთებიდან ნაკადად წამოსული ინფორმაცია შრიდან შრეზე წრიული მოძრაობით გადადის და სულ უფრო მეტ და ინფორმაციულ „ნანილაკს“ იზიდავს. ქართველურისა და მკვდარი ენების მიერ ჩამოყალიბებული აღწერილი ლინგვო-კულტურულოგიური მექანიზმი, ერთგვარი *პერპეტუუმ მობილეა*, რომლის მოძრაობაში მოყვანის შემდეგ, ინფორმაციის თვითგენერირება იწყება. ეს ინფორმაცია გარდასულ დღეთა მბრძანებელი ქურუმების საკრალური ცოდნაა, რომლის საზღვრებიც ჩვენივე ფონურ ცოდნაზეა დამოკიდებული.



## პალეოგრაფიული დონე

ქართული ასომთავრული ანბანის ასო-ნიშნები უძველეს სადამნერლობო სისტემებშიც გვხვდება. მეტიც, ისინი, ვინც პირველი სანერი სიმბოლოები მოხაზეს, ქართული ასო-ნიშნების ვარიანტულ ფორმებსაც შესანიშნავად ფლობდნენ. ასომთავრული „დონის“ წრიული უყელო და ყელიანი, ოთხკუთხა და რომბული ფორმები შუმერულმა და ეგვიპტურმა სისტემებმა დაინანილეს და შემოგვინახეს. ქართველმა ქურუმებმა არც მოგვიანებით უღალატეს ჩვეულ ხერხს და ქართული ანბანის კულტუროლოგიური დატვირთვა მათემატიკურ რიცხვებში, გეომეტრიულ ფიგურებსა და ასტრონომიულ ფენომენებში ჩაკირეს და ჩაადულაბეს. კოდირების ფორმები მრავალგვარია: ასომთავრული ასოების (დონი, ლანი, თანი, ჯარი, ანი) მათემატიკური კავშირები ფინიკიურ დამნერლობასთან (დალეთ, 'აინ, 'ალეფ, სინ); შუმერული მითოლოგიის მთვრისა და ჯარის მამა-შვილის მოდელთან, დედა-შვილის (ხარი-დალეთ) ანალოგიურ, მაგრამ უკუშებრუნებულ ფინიკიურ ფორმულასთან, ეგვიპტურ და შუმერულ სამეფო და ღვთაებრივ ინსიგნიებთან, ამირანის ეპოსთან და სხვა. ამას დავუმატოთ, ანალიზის ყოველ ეტაპზე გამოვლენილი ნაწილისა და მთელის ურთიერთობა, რომელიც ქართველურ და ყველა სხვა ენის მონაცემებს შორის მყარდება. შუმერულმა და ეგვიპტურმა საკუთარი დამნერლობის ღმერთების, მათი ღვთაებრივი ატრიბუტიკისა და ბგერათნოტაციის მეშვეობით დაგვიტოვეს ცოდნა დამნერლობის ერთი დიდი ღმერთის – ქართველური ნების შესახებ. შუმერული პიქტოგრამა (𒀭), საკუთარი სახელის გასაიდუმლოებით მალავს თავის წარმომავლობას ქართული ასომთავრული „ჯარიდან“. ეგვიპტელებმა ანალოგიურ იეროგლიფს (𓆎) მეტაფორული სახელი – „საყრდენი“ უწოდეს, მაშინ, როდესაც ფინიკიელებმა მათი ანბანის ქართველურზე დამოკიდებულება მისავე სტრუქტურაში ჩამალეს – ბოლოში „ჯვარი – თავი“ დაუსვეს. Tāw-ს / თავის ქართველური მნიშვნელობა კი იგივე სანყისია, რაც დაუფარავად გვამცნობს ფინიკიური ანბანის ავტორებს – ქართველ ქურუმებს.

## ღვთაებრივის დესაკრალიზაცია

ქართველური ენების დომინანტური როლის კიდევ ერთი დამამტკიცებელი საბუთი ღვთაებრივი ფენომენის დესაკრალიზაციაა. ქართველურ მასალასთან შიპირაპირებული შუმერული და ეგვიპტური ღვთაებრივი სახელები, ცნებები, საგნები და სიმბოლოები, კარგავენ თავის საკრალურ თუ სამეფო მნიშვნელობას და ქართველური ენების ზოგად ლექსიკას უბრუნდებიან. შუმერული Nabm და

ეგვიპტური *nab* აღიდგენენ თავის პირვანდელ ლექსიკურ მნიშვნელობას – „ნება“, „სურვილი“; მათ უერთდება შუმერული *nab* („ღმერთი“; არქეტიპი: „ნება“), ეას ქურუმი *Šen* (არქეტიპი: პირის ნაცვალსახელი, მეორე პირი, მხ. რიცხვი), ეგვიპტური *Am-Mita* (არქეტიპი: ჩვენებითი ნაცვალსახელის ვითარებითი ბრუნვა), ეხნატონის რელიგიის ცენტრალური ღვთაება *Aten* (არქეტიპი: „თენება“), ნილოსის ღვთაება *Maātī* (არქეტიპი: კუთვნილებითი ნაცვალსახელი „მათი“), ეგვიპტური ნაყოფიერების ღმერთი *Min* (არქეტიპი: კითხვითი ნაცვალსახელი), ეგვიპტელთა უდიდესი ღმერთი *ჰორუსი* (არქეტიპი: „ჯარი“) და სხვ.

დესაკრალიზაციას მრავალი სადამწერლობო ნიშანიც განიცდის. ქართველურ მასალასთან შეპირაპირებითი შესწავლის დროს, შუმერული, ეგვიპტური და ფინიკიური ასო-ნიშნები კვდებიან საკუთარ სადამწერლობო სისტემებში და ღვთაებრივ ცხოვრებას ქართულ ასომთავრულთან ერთად იწყებენ. ნათქვამის საუკეთესო დემონსტრაციას წარმოადგენს ქართული ასომთავრული „დონი“ თავისი შუმერული და ეგვიპტური ორეულ-მენყვილებით: „ჯოხი და რგოლი“, „რგოლ-სევეტები“, „სამაჯური“; „ხტმ-შნვ“, ნრიული და ოვალური კარტუშები.

